გოჩა გვასალია

ფორმაცია და ცივილიზაცია

ნარკვევები

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2005

წიგნი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერულ ცენტრ „PARADOX“-ში.
კომპიუტერული უზრუნველყოფა - ნიკოლოზ კობაიძე

წიგნი გამოდის ავტორის ხარჯით

© გ. გვასალია, 2005

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2005
თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 99940-51-41-5

წინასიტყვაობა

წიგნში განხილულია აქტუალური ფილოსოფიური, რელიგიური და პოლიტიკური საკითხები. კრიტიკულად არის გაშუქებული ლიბერალ-კაპიტალიზმის დებულებები. ფორმაციონიზმის პრობლემის სიძნელე ნაჩვენებია თანამედროვე გლობალიზმთან და იუდაისტურ მესიანიზმთან კავშირში. ასევე განხილულია იდეოლოგიის, სამოქალაქო საზოგადოებისა და ინტელიგენციის ურთიერთობის პრობლემები.

პერიოდულ გამოცემებში ადრე გამოქვეყნებული მასალები შესწორებული და შევსებულია.

წიგნი განკუთვნილია ფილოსოფიის ისტორიის, რელიგიის, პოლიტიკის თეორიისა და ისტორიის ფილოსოფიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

ავტორი

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

ფორმაცია და ცივილიზაცია 6

- თავი პირველი 6
- თავი მეორე 20
- თავი მესამე 38
- თავი მეოთხე 70
- თავი მეხუთე 89

ნაციონალიზმის, კლასთა ბრძოლისა და კონსოლიდაციის შესახებ 133

რევოლუციის იდეის შესახებ ქართულ სინამდვილეში 149

- წერილი პირველი 149
- წერილი მეორე 159

ინტელიგენცია, მედიაკრატია და რევოლუცია 177

- წერილი პირველი 177
- წერილი მეორე 186
- წერილი მესამე 198

ნოემბრის რევოლუცია და ქართული ნაციონალიზმის შესაძლებლობანი 209

- წერილი პირველი 209
- წერილი მეორე 216

სპექტაკლის საზოგადოება და ბედნიერი ერი 224

- წერილი პირველი 224
- წერილი მეორე 231
- წერილი მესამე 242

საქართველო და ევროპა დღეს 262

26 მაისისა და მიმდინარე რეფორმების შესახებ . .272

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების კრიტიკისათვის ანუ რა არის ისტორია და ისტორიული საქართველოსათვის? 281

წერილი პირველი 281
წერილი მეორე 290
წერილი მესამე 299

შიში 307

Rex mundi 317

ქართული ეკლესია — სინამდვილე თუ ილუზია? .326

აღმოსავლური პროზელიტიზმის საკითხისათვის . .334

ეკლესიის საკითხისათვის ქართულ საზოგადოებაში .343
წერილი პირველი 343
წერილი მეორე 351

რა არის დღეს ქართული კულტურა? 361

ქართული ესტრადისა და ზოგიერთი სხვა
საკითხის შესახებ 369
თავი პირველი 369
თავი მეორე 380

„ჰარი პოტერის“ ერთი შეფასების შესახებ 387

ფორმაცია და ცივილიზაცია

თავი პირველი

უმთავრესი სამეცნიერო სიძნელე, რომელიც წარმოიშვა საბჭოთა სისტემის უარყოფის შემდეგ, არის ის, რომ საზოგადოებრივი აზროვნება, პოლიტიკური მეცნიერება დარჩა იმ საყრდენისა და ორიენტირის გარეშე, რასაც საკაცობრიო ისტორიის განვითარების ფორმაციული თეორია ეწოდება. XX საუკუნის 90-იანი წლების ეროვნულ მოძრაობაში იყო ბევრი მცდელობები, რომ საყოველთაო ისტორიის განმარტების მარქსისტული ფორმაციული თეორია და მასთან ერთად მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია შეცვლილიყო ისტორიის განვითარების რელიგიური თეორიით, რომელიც ქრისტიანობაში ავგუსტინეს „ღვთის ქალაქიდან“ იღებს დასაბამს. მარქსისტული ფორმაციული თეორია საღვთო ისტორიზმის მოძღვრებამ ვერ შეცვალა. პოსტსაბჭოთა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ჯერ არ მომხდარა იმ სიძნელის გააზრება, რომელიც წარმოშვა ფორმაციული თეორიის უარყოფამ. ეს სიძნელე ვერ დაიძლევა მეცნიერთა მიერ რელიგიის სახელით საბჭოთა ისტორიის გმობით. ამ სიძნელემ და მისი დაძლევის დიდმა აუცილებლობამ კვლავ მთელი სიმწვავით შეგვახსენა თავი ცივილიზაციათა შეჯახების ჰანტინგტონისეული თეორიის გავრცელების შემდეგ. ჰანტინგტონის მეთოდოლოგიური დებულება ცივილიზაციური ომების შესახებ მოწოდებულია შეცვალოს ფორმაციული თეორია და მოგვცეს ევროპული ისტორიოგრაფიისათვის უჩვეულო ისტორიის გაგება. ჰანტინგტონის თეორია რომ, მაგალითად, XX საუკუნის 70-იან ან 80-იან წლებში წარმოშობილიყო, ის ასეთ საერთაშორისო გამოძახილს ვერ ჰპოვებდა. ორი სისტემის – დასავლეთისა და საბჭოთა იმპერიის კონფრონტაცია ფორმაციულ თეორიას უდიდეს სასიცოცხლო ძალას ანიჭებდა და როგორც საბჭოთა,

ასევე დასავლური სამეცნიერო აზროვნებისათვის საიმედო ორიენტირს წარმოადგენდა. უმთავრესი, რასაც გულისხმობს ჰანტინგტონის მეთოდოლოგიური დებულება ცივილიზაციური ომების შესახებ, არის ის, რომ დასავლური ნეოლიბერალიზმის ყველა მტკიცებათა მიუხედავად, ახალი ფორმაციის ჩამოყალიბება შეუძლებელია, განმანათლებლობა დასრულდა და ევროპეისტული, რევოლუციონისტური სეკულარიზმის XVIII საუკუნიდან მომდინარე უწყვეტი ხაზი შეწყდა. მაშასადამე, ევროპას აღარ შეუძლია პოზიტიური ფორმაციული მოდელის შექმნა, რომელსაც საკაცობრიო მნიშვნელობა ექნება. პირველ რიგში, ეს უნდა დაინახოს მკვლევარის მახვილმა თვალმა ჰანტინგტონის შესწავლისას, თორემ ცივილიზაციათა შეჯახების თეორია ევროპულ ისტორიის ფილოსოფიაში ჯერ კიდევ ტოინბისთან არსებობდა. (იხ. მისი „ცივილიზაციათა შეჯახება“ 1947 წ.) ტოინბი კი არა მხოლოდ ანგლოსაქსურ, არამედ მთლიანად ევროპულ მეცნიერებაში შერისხული და ტრეტირებული იყო სწორედ იმის გამო, რომ იგი ისტორიის გაგების ფორმაციულ ფარგლებს ძალზე შორს სცდებოდა. არა მხოლოდ ბოლშევიკური, არამედ ევროპული ისტორიოგრაფიის საკვანძო დებულება და ცენტრალური ცნება არის ფორმაციათა ცვლა.

ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია აზრი, რომ თავის დროზე, კრიზისული ელინიზმი შეცვალა ქრისტიანობამ, როგორც უფრო მოწინავე მოძღვრებამ. ეს აზრი ისტორიული მოვლენის ფორმაციულ პროკრუსტეს სარეცელში მოქცევის ტიპური ნიმუშია. ელინიზმისა და ადრეული ქრისტიანობის ისტორიის მიუკერძოებელი შესწავლა დაგვანახებს, რომ აზრი კრიზისული ელინიზმის პროგრესული ქრისტიანობით შეცვლის შესახებ, არის ხარკის გაღება ფორმაციული მეთოდოლოგიისათვის, რომელიც მთელი საკაცობრიო ისტორიის მოცვას ისახავს მიზნად და არ უყურებს ცივილიზაციურ, რელიგიურ განსხვავებებს. ე.ი.რელიგიათა ბრძოლას ფორმაციული განვითარების მეთოდოლოგია განიხილავს საზოგადოებრივი წყობილების ცვლის განასერში. ამ გზით რელიგიის მნიშვნელობა ფორმაციულ თეორიაში ძალზე კნინდება. საკვლევი საკითხის ასეთი გამარტივებითა და მეტად უხეში

სტანდარტიზაციით მიიღწეოდა ის შედეგი, რომლისკენაც ისწრაფოდა ევროპული რაციონალიზმი. მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი ისტორიულ ხდომილებათა დიდი სიმრავლის სისტემატიზება. ხდომილებათა და მოვლენათა სტანდარტული სისტემატიკა, მისი იძულებითი ხასიათის მიუხედავად, ისტორიოგრაფიაში უდავოდ წინ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევა. ფრანგ განმანათლებელთა შემდეგ, XIX საუკუნის ფორმაციულ თეორიაში ითქვა მეცნიერული სიმკაცრით, რომ ისტორია შემეცნებადია, რაციონალიზებადია, ლოგიცირებადია და ისტორიის საღვთისმეტყველო გაგება, ეკლესიის მამათა წმინდა ისტორიზმი უკანა პლანზე გადავიდა.

ისეთი მოვლენა, როგორიცაა თანამედროვე გლობალიზმი, რომელიც ისტორიისათვის მთლად უცნობი ნამდვილად არ არის, არ ექვემდებარება ფორმაციული თეორიის სტანდარტულ სისტემატიკას. გლობალიზმის შესაწავლას აძნელებს ამ მოვლენის სუპრაფორმაციულობა. ეს მოვლენა გვიჩვენებს, რომ კაპიტალი გასცდა კაპიტალიზმს და ნეოლიბერალიზმს, როგორც ფორმაციას. კაპიტალი ფორმაციაზე, საზოგადოებრივ წყობილებაზე მაღლა დადგა. ამავე დროს გლობალიზმი არის ტრანსცივილიზაციური ექსტრემალური მოვლენა და ყველა რელიგიურ მესიანიზმს ის უპირისპირებს ფულის მესიანიზმს. ამიტომ ჰანტინგტონის მეთოდოლოგია, ისევე როგორც ფორმაციული თეორია, გლობალიზმის შესწავლაში ვერ შეგვეწევა.

ყოვლად უსაფუძვლო და გაუმართლებელი იყო 1990-91 წლებში მრავალი საბჭოთა მეცნიერის მიერ გამოთქმული აზრი, რომ მარქსისტული ფორმაციული თეორია არამეცნიერული გამოდგა და მან სოციალისტური სისტემა იზოლაციაში მოაქცია, ჩიხში შეიყვანა. არ მიექცა ყურადღება იმას, რომ ფორმაციული თეორიის გამოყენებით იკვლევდნენ დასავლელი მეცნიერები კაპიტალიზმის გენეზისსა და მთლიანად საკაცობრიო ისტორიას. ეს მეცნიერები სულაც არ ყოფილან მარქსისტები. დასავლური მეცნიერებაც ისევე იყენებს დღემდე საკაცობრიო ისტორიის ფორმაციულ დაყოფას, როგორც ეს ჩვენთვის ცნობილია მარქსისტული ისტორიოგრაფიიდან. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ არა მარტო მარქსისტული, არამედ ლიბერალური ისტორიოგრაფიაც მიიჩნევს, რომ ევროპული

ნაციები წარმოიშვნენ განმანათლებლობის პარადიგმის გავრცელების, კაპიტალისტური ურთიერთობების დამკვიდრებისა და ტექნიკური პროგრესის გაშლის შედეგად XIX საუკუნეში. ცხადია, აქვე იგულისხმება საერთოევროპული რევოლუციური ბრძოლა მონარქიების წინააღმდეგ. ნაციების წარმოშობა ახალ დროში რევოლუციებისაგანაა დავალებული. ეს არამარქსისტულ ევროპაში საკამათო არაა. ნაციათა წარმოშობის ამ საფუძვლიანი თეორიის უარყოფა შუა საუკუნეების რეალიებსა და საეკლესიო სწავლებაზე მითითებით, მეტად სუსტი არგუმენტია. ასეთი უარყოფა ნიშნავს ევროპული რევოლუციონიზმის უარყოფას, რომელიც საერთოა საციალიზმისა და ლიბერალიზმისათვის. ამ უკანასკნელის პლურალისტურმა დამოკიდებულებამ რელიგიის მიმართ არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ ლიბერალიზმი ემიჯნება ევროპული რევოლუციონიზმის წარსულს და ეს რევოლუციონიზმი მხოლოდ სოციალისტების, ათეისტების და ტერორისტების კუთვნილებაა. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების საუბედუროდ, ბევრ მეცნიერს ეს დღემდე არა აქვს შეგნებული და კვლევის დროს მათი აპელაციები რელიგიისადმი მწარე ღიმილის მომგვრელია.

1990-91 და შემდგომ წლებში ყურადღება ყოველთვის ექცეოდა ლიბერალიზმსა და მარქსიზმს შორის განსხვავებათა წინ წამოწევასა და მათ უტრირებას და არა იმ ძალზე არსებითი და დამაფიქრებელი ხასიათის მსგავსებებს, რაც არსებობს ამ ორ ანტაგონისტურ მიმდინარეობას შორის. უტოპიური პროექტივიზმი მარქსიზმის მსგავსად, არის ლიბერალ-დემოკრატიზმის იდეოლოგიაშიც.

ფორმაციულ თეორიას ეფუძნება დღემდე მთელი დასავლური სისტემა, იმის მიუხედავად, რომ ბევრი დასავლელი მეცნიერი კვლევაში იწყებს ჰანტინგტონის ცივილიზაციური მეთოდის გამოყენებას და მეტად თამამ დასკვნებს აკეთებს. ამის დაუნახაობა მკვლევარისათვის დანაშაულია. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, სამეწარმეო ინიციატივასა და ინდივიდუალიზმზე ლაპარაკი სულაც არ ნიშნავს ფორმაციულ თეორიაზე მაღლა დადგომასა და ავტომატურად საღვთისმეტყველო წმინდა ისტორიზმის კალაპოტში გადასვლას, იმ სულიერებითა და მადლით ავსებას, რომელიც, ფორმაციული თეორიის

უარმყოფელთა თანახმად, ასე გვაკლდა მარქსისტული ათეიზმის ბატონობის დრის. ლიბერალიზმიც ისეთივე მატერიალისტური, ექსტრემისტულ-რაციონალისტური მოძღვრებაა, როგორც მარქსიზმი და შესაბამისად, ის უარს ვერ იტყვის ფორმაციულ თეორიასა და მის იდეოლოგიაზე. ეს არის ყველა იმ საზოგადოების ალგორითმი, რომელნიც ევროპეიზმის ორბიტაში არიან მოქცეულნი, საგანმანათლებლო პარადიგმიდან ამოდიან და ქრისტიანობის სეკულარიზაციის გზას ადგანან. მარქსიზმი და ლიბერალიზმი ტყუპი ძმები არიან, რომელნიც ახალი დროის ევროპის ისტორიაში ერთმანეთს ემტერებოდნენ. ასე განსაჯა განგებამ. ამ მტრობაში ორივე ძმას ერთი ქილიასტური და მესიანისტური მიზანი აქვს, რაც კიდევ ერთი დასტურია მათი სისხლისმიერი ნათესაობისა.

ერთ-ერთი მახასიათებელი თანამედროვე პოსტსაბჭოთა საზოგადოებრივი აზროვნებისა არის ის, რომ დიალექტიკის ცნება გაქრა სამეცნიერო და პოლიტიკური ლექსიკონიდან, ფილოსოფიიდან. ეს, ცხადია, მარქსიზმის მოყივნების გამოა.

ასე თანდათანობით წარმოვაჩინეთ, რომ ლიბერალიზმი და დასავლური დემოკრატია ეფუძნება ფორმაციულ თეორიას და არა საღვთისმეტყველო ისტორიზმს, როგორც ამის წარმოჩენას ცდილობდა მრავალი ანტიმარქსისტი. ლიბერალიზმი ფორმაციული მოძღვრებაა და მაშასადამე მას აქვს ყველა ის ნაკლი, რაც გააჩნდა სოციალიზმს. ლიბერალიზმი სოციალიზმის მსგავსად, რეპრესიული ლოგიკითა და ექსტრემისტული რაციონალიზმით ცდილობს სამყაროს მოწყობასა და ახალი ადამიანის შექმნას. თანამედროვე ნეოლიბერალიზმმა გაზარდა ექსპერიმენტალიზმი ადამიანთან მიმართებაში. ეს გულისხმობს, რომ ყველაფერი შემეცნებადი და მანიპულირებადია. ექსპერიმენტის ცნება XX საუკუნის 90-იან წლებში ბოლშევიზმის გმობისათვის იქნა გამოყენებული. ამ გმობაში ის იგულისხმებოდა, რომ ბოლშევიზმის საწინააღმდეგო ლიბერალიზმი სულიერ ცხოვრებას, ბუნებით ყოფას მოიტანდა. მაგრამ ბოლშევიზმის დამარცხების შემდეგ ექსპერიმენტი და რეპრესიული ლოგიკა გაგრძელდა. ადამიანი ისევ სისტემის ჭანჭიკია და არასწორი გამოდგა აზრი, რომ მხოლოდ სოციალიზმსა და მარქსიზმს ახასიათებდა ბოლშევიკთა ნათქვამი „შეუცვლელი

ადამიანი არ არსებობს“. ამავე გამოთქმას იმეორებენ ლიბერალებიც, რათა დაჩქარდეს მათთვის სასუკვარი ახალი ადამიანის შექმნა. თანამედროვე გლობალიზმი, რომელიც მხოლოდ დაიწყო, არა მხოლოდ ლიბერალიზმის, არამედ დასავლური ცივილიზაციის უკანასკნელი დიდი ექსპერიმენტია.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ფორმაციულ თეორიას აკრიტიკებენ როგორც მეცნიერულად, ასევე კონიუნქტურულადაც, რაც ბევრზე ბევრ გაუგებრობას ამკვიდრებს. ჰანტინგტონის ცივილიზაციური მეთოდოლოგია, რომელშიც არ არის კაპიტალური ფილოსოფიური ინოვაცია, გაჩნდა მხოლოდ საბჭოთა სისტემის დამარცხების შემდეგ. ჰანტინგტონის თეორია არის ტოინბისეული კონცეპტის რეაქტივაცია ლიბერალიზმისათვის უჩვეულო ახალ სიტუაციაში. გვერდიგვერდ მოდიოდნენ ისტორიაში ლიბერალიზმი და სოციალიზმი 1991 წლის 21 აგვისტომდე - დიდი საბჭოთა იმპერიის დაშლამდე. მარტოდ დარჩენილმა ლიბერალიზმმა ვეღარ შეძლო ფორმაციული თეორიის პრიმატის დაცვა. გამარჯვებულ ლიბერალიზმს გაუჭირდა მარტოდ ყოფნა. ლიბერალიზმიც და მარქსიზმიც ევროპისა და მთლიანად დასავლური ცივილიზაციის ორი ხელი და ორი თვალია. რაციონალური ტოტალიტარიზმის აკვანი ახალი დროის, დეკარტის შემდგომი ევროპაა და არა თათრულ-მონგოლური რუსეთი. მანამდე ევროპაში საღვთო ტოტალიტარიზმი იყო, რომელთანაც რევოლუციონიზმი 1789 წლიდან 1917 წლამდე იბრძოდა.

ფორმაციულობა ისტორიის გააზრებაში აუცილებლად გულისხმობს გლობალურ უნიფორმიზაციას. ფორმაციულ ფარვატერში მდგომი თეორეტიკოსისა და პრაქტიკოსისათვის ისტორიული კანონზომიერება ყველა კულტურაში ერთნაირად მოქმედებს. ფორმაციულობა ასევე გულისხმობს იდეურ მონოპოლიზმსა და ავტორიტარიზმს, მექანიციზმის დამკვიდრებას საზოგადოებრივ ურთიერთობებში. აქედან აუცილებლად გამომდინარეობს ის, რომ ნებისმიერი პროგრესიზმი იდეოლოგიაა, სამყაროს მოწყობის რაციონალური პროექტი (ლიბერალიზმი ან სოციალიზმი) უთუოდ იდეოლოგიურია. ეს რომ ასეა და სხვაგვარად ვერ იქნება, წარმოჩნდა დღევანდელი ამერიკული ნეოკონსერვატიზმის, ევროპის პოლიტიკური ელიტის, მთლიანად

დასავლური დემოკრატიის ყველა განაცხადსა და ქმედებაში.

მარქსიზმის განმაქიქებელ საბჭოთა მეცნიერებს 1990 წლიდან მიაჩნდათ, რომ ლიბერალიზმისათვის დამახასიათებელი პლურალიზმი და რელიგიისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება იყო ის უეჭველი და წყალგაუვალი ფაქტორი, რომელიც პოსტსაბჭოთა ხალხებს დაეხმარებოდა როგორც სულიერების, ასევე საბაზრო სიუხვის მიღწევაში. ფიქრობდნენ, რომ ეს მოხდებოდა ისე, რომ დასავლური პროექტი არ გადაიხრებოდა უკიდურესობისაკენ. სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ ლიბერალიზმი თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ყველა იმ უკიდურესობას, რომელიც მარქსისტულ თეორიას ახასიათებდა. დისიდენტობა და ინტელიგენცია მიიჩნევდა, რომ ლიბერალ-დემოკრატიული სისტემა პოსტსაბჭოთა სივრცეში გაათკეცებული ძალით მუდმივად მოახდენდა ახალ-ახალი პრეცედენტების გენერაციას, დაამკვიდრებდა prosperity-ს. მაგრამ სისტემას ამის გაკეთება მხოლოდ საგანმანათლებლო პარადიგმასთან უწყვეტ კავშირში შეეძლო. პოსტსაბჭოთა სივრცეში დასავლეთმა განახორციელა ვესტერნიზაცია საგანმანათლებლო უნივერსალიების შეკვეცის ხარჯზე. საბჭოთა ბანაკი სწორედ საგანმანათლებლო პარადიგმას ავითარებდა არასლავურ ქვეყნებსა და საზღვარგარეთულ აზიაში.

სადღეისო ვესტერნიზაცია განმანათლებლური პროექტის გაუქმებასთან ერთად ამკვიდრებს კონსიუმერულ რადიკალიზმსა და მასობრივ ელიტიზმს. პოსტსაბჭოთა სივრცის ვესტერნიზაცია არ არის დასავლეთის მიერ ესტაფეტის მიღება საბჭოთა კავშირისაგან და საგანმანათლებლო პროექტის გაგრძელება. საბჭოთა იმპერიის დაშლას უნდა მივეყვანეთ პოლიცენტრულ გლობალიზმთან და არა ნეოკონსერვატორთა მიერ ინსპირირებულ გლობალიზმთან, როდესაც თვით ევროპაც კი კნინდება.

ერთადერთი რეალობა ეკონომიკური ძალაუფლებაა, რომელიც გლობალიზმის გზით აბსოლუტიზაციისაკენ მიისწრაფის. ერთადერთი ონტოლოგია კაპიტალია. ფულია ყოფიერება და ის განსაზღვრავს ცნობიერებას. ერთადერთი აქსიოლოგია არის მოგება. ასეთი ინტენსივობის საბაზრო რადიკალიზმი ისტორიაში არ არსებულა. ექსპროპრიატორული და საკახშოსპეკულაციური კაპიტალი ადამიანის ფაქტორს უარყოფს.

დეტერიტორიალიზებული ვირტუალური ეკონომიკა სუვერენიტეტებს არად აგდებს. სუვერენიტეტი აბსოლუტურ მარკეტიზაციას მხოლოდ ხელს უშლის. ბიზნესია ერთადერთი კულტურა, ერთადერთი ეთიკა. კულტურა და ინტელიგენცია, როგორც სულიერი ძალაუფლების გამოხატულება, ვერ იღებს სანქციას ბაზრისაგან, კაპიტალისაგან. საბაზრო ტესტირებასა და სელექციას კულტურა და რელიგია ვერ უძლებენ. დასავლეთის მიერ საგანმანათლებლო პროექტის დახურვის შემდეგ, საბაზრო ევთანაზია რადიკალური რეფორმების სახელით ბარბარიზაციისა და სოციალური ენტროპიისათვის სწირავს მთელ რიგ ხალხებს. ამას დღეს უკვე მრავალ ადგილას ვხედავთ.

ნუ დავივიწყებთ, რომ ორი სისტემის გლობალური დაპირისპირების დროს, XX ს. 40-80-იან წლებში, კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის არსებული ანტაგონიზმი ამართლებდა და ანეიტრალებდა ევროპული რაციონალიზმის, ფორმაციული თეორიის უკიდურესობებს - იდეურ მონოპოლიზმს, რეპრესიულ ლოგიკას. ამავე დროს, სწორედ ფორმაციული თეორიით აღჭურვილმა ევროპელმა კოლონიზატორმა, რუსმა ბოლშევიკმა და ამერიკელმა ექსპანსიონისტმა საგანმანათლებლო კულტურტრეგერობა გაიტანეს აზიისა და აფრიკის უშორეს კუთხეებსა და ოკეანის სივრცეებში. სწორედ ფორმაციულმა უნიფორმიზმმა დაძლია მრავალი ხალხის საუკუნოვანი ჩამორჩენილობა.

კი, აკრიტიკებენ ფორმაციულ თეორიას ამ უნიფორმიზმის, მექანიციზმისა და იძულებითი ხასიათის, ასევე მეტისმეტი სქემატურობის გამო და ამ დროს სულიერებასა და რელიგიაზე მიუთითებენ, საუბრობენ სხვადასხვა ხალხებისა და მათი ტრადიციების, კულტურების უნიკალობაზე, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მრავალ ხალხს არ ჰქონია ისტორია, რომ მრავალი კულტურა მხოლოდ და მხოლოდ ორიგინალური, იმპერიული კულტურის პერიფერიული პლაგიატი და იმიტაცია იყო. თვით ეს ორიგინალური, იმპერიული კულტურები (არაბულ-სპარსული, ინდური, ჩინური) ხანგრძლივ სტაგნაციას განიცდიდნენ. ფორმაციული თეორიის ლოგიკამ ყველა ხალხი და ყველა კულტურა განვითარების ერთიან მაინსტრიმში მოაქცია. სხვაგვარად ევროპეისტული პროზელიტიზმი და

საგანმანათლებლო კულტურტრეგერობა წარმოუდგენელი იყო.

ზემოთ ვთქვით, რომ ლიბერალიზმიც ისეთივე მატერიალისტური მოძღვრებაა და ეყრდნობა ფორმაციულ თეორიას, შესაბამისად, იდეოლოგიას. გავიხსენოთ, რომ გარდაქმნის დოქტრინის გამოცხადების დროიდან (1985 წ.), მსჯელობანი საზოგადოების დეიდეოლოგიზაციასა და დეპოლიტიზაციაზე ფორმაციული თეორიის უარყოფასთან ერთად მიმდინარეობდა. მაგრამ ფორმაციული თეორიის უარყოფისათვის დეიდეოლოგიზაციისა და დეპოლიტიზაციის ცნებათა შემოტანა და მათით მანიპულირება არაა საკმარისი.

ფორმაციათა თეორია, იდეოლოგია და პოლიტიკა ერთმანეთს გადაჭდობილია. ეს ერთიანი რაციონალური მთლიანობაა. ფორმაცია ყოველთვის რაციონალიზმს ემყარება. აი, ჰანტინგტონის თეორიაში კი რაციონალიზმს ეკარგება მკაცრი მეცნიერული სახე და ირაციონალურ დისკურსს ფართო ასპარეზი ეძლევა. ეს იმიტომ, რომ ჰანტინგტონთან საწარმოო ურთიერთობანი კი არ განსაზღვრავენ მეტად ისტორიის მსვლელობას, არამედ – რელიგიური იდეები. ამრიგად, დაირღვა ევროპული ისტორიოგრაფიის, პოლიტიკის, ღვთისმეტყველების იდეა ისრისებური, მუდამ წინმსწრაფი, პროგრესისტული დროის შესახებ და მოხდა აღმოსავლური წრიული დროის იდეასთან - იუგებთან დაბრუნება.

ძალაუფლებას არასოდეს შეუძლია იყოს ნეიტრალური იდეოლოგიის მიმართ, საზოგადოების მიმართ, როგორც ჩვენ გვარწმუნებდნენ ანტისაბჭოთა დისიდენტები. ძალაუფლება (ფორმაცია), იდეოლოგია და საზოგადოება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სახელით ერთმანეთს ვერ განეყოფიან. თუ დასავლეთში ძალაუფლება იდეოლოგიურად ნეიტრალურია, რატომღა იქცა გარდაქმნის დოქტრინის დროს ორ სისტემას შორის დაწყებული დიალოგი დასავლეთის მონოლოგად? თუ თავისუფალი ბაზარი დეიდეოლოგიზებულია, რატომღა ახვევს თავს დასავლეთი მთელ მსოფლიოს ისტორიის დასასრულის ფუკუიამასეულ კონცეპციას? თუ ძალაუფლება განყენებული იქნება იდეოლოგიისაგან, საზოგადოებისაგან და იქნება მხოლოდ თავისუფალი ბაზრის დანამატი, როგორღა ერქმევა მას ძალაუფლება? რა გარანტია გვაქვს, რომ ტოტალური

თავისუფალი ბაზარი ამ თავის დანამატს არ გააუქმებს? რატომ არის, რომ ტოტალიზაცია, უნივერსალიზაცია და აბსოლუტიზაცია ყოველთვის ერთ სინონიმურ მწკრივად ყალიბდება?

დისიდენტები გვასწავლიდნენ, რომ დასავლეთში ბიზნესი პოლიტიკისაგან თავისუფალია. სინამდვილეში, ბიზნესი დასავლეთშიც და აქაც, არა მხოლოდ პოლიტიკის მოკავშირეა, არამედ თვითონაა პირველი პოლიტიკა.

ფორმაციული თეორიის ლოგიცირებადი კონსტრუქციების რეპრესიული ბუნება იმით გამოიხატება, რომ ისინი აიძულებენ ადამიანს სცნოს ამ კონსტრუქციათა აბსოლუტისტური ხასიათი. ე.ი. აქ კულტურათა შორის არსებული განსხვავებები ნიველირებულია, მნიშვნელობაწართმეულია. ფორმაციული ლოგიკის თანახმად, რევოლუცია ევროპის გარდა აზიაშიც უნდა მოხდეს, იმის მიუხედავად, არის თუ არა აზიაში საწარმოო ურთიერთობები ისე განვითარებული, როგორც ევროპაში.

განმანათლებლობა კულტურათა პოზიტიურ ნიველირებას ახდენდა. ყველა კულტურა თანასწორია და მათი ჩამორჩენილობა დაიძლეოდა საგანმანათლებლო საყოველთაობით. ჩამორჩენილ კულტურებს განმანათლებლური კონცეპტების საკუთარი ინტერპრეტირების გზით, შეეძლოთ გათანასწორებოდნენ განვითარებულ კულტურებს. განმანათლებლური კონცეპტების საყოველთაობა ახდენდა რასობრივი და რელიგიური განსხვავებების ნეიტრალიზებას. ყველა ხალხისათვის, რომელიც მონაწილეობდა დიდ საგანმანათლებლო პროექტში და ირჩევდა სოციალისტურ ან კაპიტალისტურ ორიენტაციას, იოლდებოდა კულტურული თვითიდენტიფიკაციის საკითხის გადაწყვეტა. საგანმანათლებლო პროექტში მონაწილე კულტურები ახალ სიცოცხლეს იძენდნენ, გამოდიოდნენ ფოსილიზაციის მდგომარეობიდან. სამეცნიერო-ტექნიკური მესიანიზმი ყველა კულტურაში მკვიდრდებოდა და მაგალითად, კოსმოსში ადამიანის პირველ გაფრენას აზიის ქვეყნებში ისეთივე აღტაცებით ხვდებოდნენ, როგორც ევროპაში.

იქმნებოდა ყველასაოვის საერთო, განმანათლებლური, ისრისებური, პროგრესისტული დრო. ევროპის ხალხების რევოლუციური ბრძოლის პრინციპები აზიელი ხალხებისთვისაც იყო მნიშვნელოვანი. საგანმანათლებლო უნივერსალიზმი ქრისტიან-

ული ფინალიზმის სეკულარიზებული და რაციონალიზებული სახე იყო. შესაბამისად, პროგრესიზმში თავს იჩენდა ქრისტიანული მოლოდინის იდეა. აქ ყურადღებას გავამახვილებთ ერთ პარადოქსულ ვითარებაზე: განმანათლებლობა დაკავშირებულია ქრისტიანობასთან. ის მისი გაგრძელებაა. მხოლოდ დასავლეთში მოხდა ისე, რომ ისტორიული პერსპექტივა მოძიებულ იქნა რელიგიის რადიკალური სეკულარიზების გზით. განმანათლებლობის უზურპაცია დასავლეთის მიერ, ზემოაღნიშნული პარადოქსული ვითარების გამო, ნიშნავს ქრისტიანობის მარცხს. ასევე ოქტომბრის ბოლშევიკური რევოლუცია არის ქრისტიანობის გაგრძელება და არა მისი შეწყვეტა. ოქტომბრის რევოლუციის უარყოფა იწვევს ქრისტიანობის იდეურ მარცხს, ისტორიული პერსპექტივის დახურვას რუსეთისათვის. რუსეთი დღეს დგას ფორმაციის უდიდესი პრობლემის გადაწყვეტის წინაშე. დასავლეთმა რუსეთს უარი უთხრა საგანმანათლებლო პროექტში შემდგომ მონაწილეობაზე. ევრაზიის ხალხებს დასავლურმა დემოკრატიამ ყველა იმედი გაუცრუა და ვერ მისცა მათ ის, რასაც ჰპირდებოდა. რუსეთის მიერ შექმნილი ფორმაციულ - ცივილიზაციური სინთეზი იქნებოდა ის პირველი ახალი პრეცედენტი, რომელიც შემდეგ სხვა ასეთი პრეცედენტების გენერირებას გამოიწვევდა მთელ კონტინენტზე. თუ რუსეთი ამას ვერ შეძლებს, ევროპეიზმისა და დასავლური ცივილიზაციის დასასრული გარდაუვალია. ამერიკულ ნეოკონსერვატიზმს ამ კატასტროფის თავიდან აცილება არ შეუძლია.

ფრანგი განმანათლებლები იყვნენ ქრისტიანობის რადიკალური კრიტიკოსები, მაგრამ ქრისტიანობიდან გადავიდა განმანათლებლობაში ორთოიდული დროის მოძღვრება, რომელიც გამოიხატება პროგრესის ცნებაში. პროგრესი სულ წინ მიდის. ის ციკლური და წრიული არაა. პროგრესს მივყავართ ერთიან განათლებულ კაცობრიობამდე. აქ მიზანიც და მისკენ მიმავალი გზაც რაციონალიზებულია. აზროვნების რელიგიური მოტივები იცვლება სეკულარული მოტივებით. მე ვაზროვნებ რაციონალური დასაბუთებისა და დასკვნის მეშვეობით და არ ვისახავ მიზნად ამა თუ იმ რელიგიური დებულების მტკიცებას.

ფორმაციული პროგრესიზმი ცივილიზაციურად, რელიგიურად და ნაციონალურად ნეიტრალური იყო. კავკასიისა და შუა

აზიის ხალხებს ისევე შეეძლოთ შეეთვისებინათ საგანმანათლებლო კონცეპტები, როგორც აღმოსავლეთევროპელ ხალხებს.

თანამედროვე დასავლეთი ცივილიზაციური პროგრესიზმისაკენ არის მიდრეკილი. იგი საგანმანათლებლო პროექტის მონოპოლისტად გამოდის. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის პირველ ნახევარში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში რევოლუციური, მოდერნისტული ძალები ებრძოდნენ დრომოჭმულ ფეოდალურ ფორმაციას. დღეისათვის დასავლეთი, რომელიც თავს ერთადერთ პროგრესულ ძალად მიიჩნევს, ებრძვის ყველა არადასავლურ კულტურას. ე.ი. დასავლეთისათვის აღარა აქვს მნიშვნელობა იმას, არიან თუ არა ამ კულტურებში განმანათლებლობის გამგრძელებლები. დემოკრატიის ცნება მადეზორიენტირებელ და დესტრუქციულ მნიშვნელობას იძენს და იწყება მისით ისეთი ფართო მანიპულირება, როგორიც აქამდე არ ყოფილა. პროგრესიზმი დასავლეთის მიერაა უზურპირებული. ფორმაციული თეორიის გავლენითაა, რომ კვლავ დაუსრულებლად ლაპარაკობენ მოწინავე, პროგრესულ ძალებზე, რეტროგრადებზე და მათზე, ვინც ვერ დაძლია ძველი, კომუნისტური აზროვნება. მაგრამ თუ დასავლეთი ცივილიზაციური თეორიისაკენ მიიდრიკება, მაშინ ისე გამოდის, რომ დასავლეთი მოწინავეა, ყველა არადასავლური კულტურა კი ჩამორჩენილია. მხოლოდ დასავლეთს შეუძლია განაცხადოს თავისი თავის, როგორც პროგრესული ფინალისტის შესახებ, ილაპარაკოს მთელი კაცობრიობის სახელით და გვაუწყოს ისტორიის დასასრული. გამოთქმებში „მსოფლიო საზოგადოებრიობა“, „ცივილიზებული მსოფლიო“ დასავლეთი მხოლოდ თავის თავს გულისხმობს. ამ გამოთქმებს არსებულ გლობალურ სიტუაციაში არა მხოლოდ რეპრესიული, არამედ სეგრეგაციული აზრი აქვს. აქ უთუოდ უნდა ითქვას, თუ რა ფანდს მიმართავს დასავლეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში ლიბერალურ რეფორმათა ჩავარდნის გამართლებისათვის. დასავლელი ლიბერალები ამ დროს განსჯას იწყებენ არა ფორმაციული, არამედ ცივილიზაციური კატეგორიებით. რუსეთში რეფორმების ჩავარდნისას, ლიბერალები ლაპარაკობენ მართლმადიდებლობაზე, როგორც ტოტალიტარიზმის წყაროზე, ტატარშჩინის გავლენაზე და ა.შ. ე.ი.

რეფორმების ჩავარდნისას ბრალი ედება რუს ხალხს, მის ისტორიას. ამავე დროს, სხვა მართლმადიდებლურ ქვეყნებში რეფორმების ჩავარდნისას იქაურ ხალხებზე არ ლაპარაკობენ ისე, როგორც რუსებზე. ამ ხალხების საინფორმაციო საშუალებებში ხელი ეწყობა რუსებზე ძვირის თქმას და მაგ. უკრაინაში, საქართველოში ან ბულგარეთში არავინ სვამს კითხვას - თუ ლიბერალური რეფორმების ჩავარდნაში დასავლეთი ბრალს სდებს მართლმადიდებლობას, რატომ არ სდებს ის ბრალს მართლმადიდებლობას უკრაინაში, საქართველოში და ბიზანტიზმის მემკვიდრე სხვა ქვეყნებში? ლიბერალს, რა თქმა უნდა, პასუხი მზად აქვს და ის გვეტყვის, რომ იგი გულისხმობს მხოლოდ რუსულ მართლმადიდებლობას. მაგრამ მართლმადიდებლობა ერთია და გამოთქმები „რუსული მართლმადიდებლობა“, „ქართული მართლმადიდებლობა“ და ა.შ. მხოლოდ პირობითია და ეს გამოთქმები სულაც არ ნიშნავს რჯულის ფილეტიზაციას.

რუსეთი აფიქრებს დასავლეთს და მას მისი ეშინია, იმიტომ, რომ ბიზანტიური უნივერსალიზმის, რომაიზმის მემკვიდრეთაგან რუსეთი ერთადერთია, რომელსაც შერჩენილი აქვს უდიდესი პოტენცია. აღმოსავლეთ ევროპაში სერბეთს ჰქონდა ასეთი პოტენცია და რაც უყო მას დასავლეთმა, კარგად არის ცნობილი. ეს იყო ცივილიზაციური ანგარიშსწორება, რომელიც ფორმაციული ლექსიკით შეინიღბა.

სხვა იდეური მოწინააღმდეგე დასავლეთისათვის არის ისლამი. ამიტომ, აქაც დასავლეთი მცდელობას არ აკლებს, რომ ისლამი (არა საერთოდ რელიგია, როგორც ეს იყო მარქსის, შემდეგ ლენინის დროს) წარმოაჩინოს ბნელეთის კონფესიად. ბოროტი განზრახვით იქექებიან ისლამის ისტორიაში, იქმნება ისლამის შესწავლის ცენტრები და ა.შ.

დასავლეთივე უწყობს ხელს არადასავლური უნივერსალური კონცეპციის, ამ შემთხვევაში ისლამის პროვოცირებას. დიდი წუხილით უნდა ითქვას, რომ ევროპეიზმის ინვოლუციის გლობალურ ინიციატორად დასავლეთი გამოვიდა. იდეოლოგიურად კი ძალზე ხელსაყრელია მანიქეველური განსჯა, რომ ყოველივე არადასავლური (არაცივილიზებული) არის ბოროტი, ხოლო ყოველივე დასავლური (ცივილიზებული) უთუოდ ყოველთვის

კეთილია. ეს ნიშნავს, რომ ნეოლიბერალიზმის ყველა ნეგატიური პრაქტიკა, ყველა მანკიერება დაბრალდება არაცივილიზებულად შერაცხულ მსოფლიოს და ,პირველ რიგში, ისლამურ რადიკალიზმს.

როდესაც ბოლშევიკები ევრაზიაში სოციალიზმს ამკვიდრებდნენ და იყო მრავალი უკიდურესობა და ჩავარდნა, არ საუბრობდნენ კავკასიელთა და შუააზიელთა მძიმე წარსულზე, არაფერი ითქმოდა ამ ხალხების "მონურ მენტალიტეტზე". ბოლშევიკები ბრალს სდებდნენ არა ისლამს, არამედ საერთოდ რელიგიას, როგორც ხალხის ოპიუმს. ისინი მიზეზებს ეძებდნენ ფეოდალური გადმონაშთებისა და რელიგიური ცრურწმენების გავლენაში. ბოლშევიკების მიერ სასტიკად იკრძალებოდა მაგალითად, უზბეკის, ლეკის ან ქართველის ეთნიკურ თვისებებზე ლაპარაკი. სოციალიზმს ყველა აშენებდა.

დავსვათ ასეთი კითხვა: საქართველოში რეფორმები ჩავარდა და შევარდნაძის რეჟიმი შერცხვა. 12 წლის გასვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ყველაფერი თავიდან დასაწყები ყოფილა. მაგრამ რატომ არ ლაპარაკობენ საქართველოს დასავლელი მხარდამჭერნი ქართულ მართლმადიდებლობასა და ხალხზე, როგორც რეფორმების ჩავარდნის მიზეზზე? დასავლეთის შეფასებანი რეჟიმის შეცვლის შემდეგ (2003 წლის ნოემბერი) ხასგასმულად ფორმაციულია. თურმე, არ ვარგოდა ხელისუფლება და ჭეშმარიტი რეფორმები სწორედ ახლა განხორციელდება. რუსეთის შემოხვევაში კი დასავლეთი ხაზგასმულად ცივილიზაციურ შეფასებებს გამოთქვამს. აქ, ცხადია, რასიზმსა და ირაციონალიზმს დიდი გასაქანი ეძლევა. როგორ განასხვავებენ ამ დროს დასავლელი ლიბერალები რუსულ მართლმადიდებლობას ქართულისაგან?

უდიდესი სიძნელეების წინაშე ვდგავართ და XXI საუკუნის დასაწყისში თავიდან გვაქვს გასარკვევი ფორმაციული და ცივილიზაციური პრობლემები. კლასიკური ლიბერალიზმის პოსტულატებზე მითითება და ტრივიალური მსჯელობანი დემოკრატიაზე ვერ გვშველის.

თავი მეორე

თანამედროვე დასავლურ ისტორიის ფილოსოფიასა და პოლიტიკურ მეცნიერებაში ჰანტინგტონი გამოდის ერეტიკოსად და აი, რატომ: იგი წინ წამოსწევს იმ ფაქტორებს, რომელთაც როგორც მარქსისტული, ასევე ლიბერალური მიმართულებანი ისტორიული განვითარებისათვის უმნიშვნელოდ და ანაქრონისტულად მიიჩნევდნენ. ეს იყო ეთნიკური და რელიგიური ფაქტორები. ლიბერალიზმიც და მარქსიზმიც ეკონომოცენტრული, ეთნონაციონალიზმზე მაღლა მდგომი მოძღვრებანი არიან, ერთი ამოსავალი აქვთ, მაგრამ ერთმანეთის გამომრიცხავ დასკვნებამდე მიდიან. ლიბერალიზმში სოციალისტური სისტემის ცნებები მხოლოდ უკიდურესად ნეგატიური აზრით გამოიყენება. ასევე ეპყრობა მარქსიზმი კაპიტალიზმს. ორივე მოძღვრების ეკონომიკური ორთოდოქსია და დოგმატიკა ისტორიის ფორმაციულ განვითარებას ემხრობოდა. ისტორიულ მოვლენათა ცივილიზაციური მეთოდოლოგიის თანახმად გაშუქებას, ორივე მოძღვრების მიერ უარი ჰქონდა ნათქვამი. არსებობდა კულტუროლოგიური და ანთროპოლოგიური ძიებანი, მაგრამ ისინი არ იწყებდნენ ფორმაციულ-ეკონომოცენტრული საზღვრების გადახედვას, არ იწყებდნენ ფორმაციული თეორიის რადიკალურ კრიტიკას.

ორივე მოძღვრებაში ეკონომიკური ფაქტორი ყველა სხვა ფაქტორს ჩრდილავს და მათ ექსტრემისტულად უკანა პლანზე აყენებს. ორივე მოძღვრების ფინალი არის სახელმწიფოთა გაუქმება და ერთიანი კაცობრიობის შექმნა.

მარქსიზმი, ისევე როგორც კლასიკური ლიბერალიზმი, ამოდის ადამ სმითიდან (1723-90) და დეივიდ რიკარდოდან (1772 -1823), ასევე ფიზიოკრატებიდან - ფრანსუა კენედან (1694-1774) და ანნ რობერ ჟაკ ტიურგოდან (1727 - 81). აქვე უნდა დავასახელოთ უილიამ გოდვინი (1756 - 1836) და ეტიენ კაბე (1788-1856). მარქსიზმიცა და ლიბერალიზმიც საკუთარი ფილოსოფიური საფუძვლების ძიებაში დეკარტის მხრებზე დადგნენ. ეკონომიკური ფაქტორის აბსოლუტიზაცია ორივე მოძღვრებაში გულისხმობდა ასპარეზიდან რელიგიის განდევნას. ორივე მოძღვრება უნივერსალური ეკონომიზმია. ეკონომიკური

ანალიზი იძენს პოლიტიკური, კულტურული, რელიგიური ვერდიქტის სახეს და ეს ანალიზი მიისწრაფის აბსოლუტიზმისაკენ. მარქსიზმსაც და ლიბერალიზმსაც საგანმანათლებლო უნივერსალიზმის ჭეშმარიტ მემკვიდრედ თავისი თავი მიაჩნიათ.

ჰანტინგტონი კი ორივე მოძღვრების საპირისპიროს ამტკიცებს. მის თანახმად, ეკონომიკური ფაქტორი გადადის უკანა პლანზე და წინ წამოიწევს რელიგია. ჰანტინგტონის ეს აზრი მთელი დასავლური პარადიგმის თავდაყირა დაყენებაა. ჰანტინგტონის თეორიაში იგულისხმება ის, რომ ფორმაციულმა განვითარებამ ამოწურა თავისი შესაძლებლობანი. საკაკობრიო ისტორიისა და ცივილიზაციის სისტემატიზაცია, შეფასება, აკადემიური პერიოდიზაცია და მოვლენათა კლასიფიცირება იწყება რელიგიის მიხედვით.

საფუძველს მოკლებული არ იქნება იმის თქმა, რომ ჰანტინგტონი თავის განაზრებებში უახლოვდება ფრიდრიხ ლისტს (1789-1846) და მის მიმდევრებს, მესამე გზის თეორეტიკოსებსა და გერმანელ რომანტიკოსებს. როგორც ცნობილია, დასავლეთში ერთმანეთს ებრძოდნენ ჰაიეკის და კეინსის თეორიები. ისინი ერთმანეთს უარყოფდნენ. არსებობდა მხოლოდ ორი არჩევანი - ან კაპიტალიზმი, ან სოციალიზმი. ასეთი უკიდურესობა დასავლელ მეცნიერთ აფიქრებდა. გავიხსენოთ, რომ ბუეზინსკიმ XX ს. 70-იან წლებში შეიმუშავა კონვერგენციის თეორია, რომლის თანახმად, უნდა დაძლეულიყო იდეოლოგიური და გეოპოლიტიკური დუალიზმი ორ ბანაკს შორის. კაპიტალიზმისა და სოციალიზმის შემდეგ უნდა შექმნილიყო შუალედური, ახალი ფორმაცია, როგორც მესამე გზა. ეს გზა იქნებოდა გამოსავალი დიდი ანტაგონიზმიდან და ის შეარიგებდა თალასოკრატიასა და ტელუროკრატიას. საბჭოთა ბანაკს უარი უნდა ეთქვა კლასობრივი ბრძოლისა და სოციალისტური რევოლუციის იდეაზე. კაპიტალისტურ ბანაკს კი უნდა შეეზღუდა ბაზრის თავისუფლება.

კონვერგენციის თეორია განიხილებოდა რომის კლუბის შეკრებებზე. ეს თეორია აღინიშნებოდა გორბაჩოვისეულ გარდაქმნის დოქტრინაშიც. საბჭოთა ბანაკის დაშლამ აზრი დაუკარგა ამ თეორიას და წინ გამოვიდა ფუკუიამასეული

ნეომონდიალიზმი. მესამე გზის იდეა დასავლეთში ვერ განხორციელდა. აღმოსავლეთში კი ირანის ისლამური რევოლუცია არის ამ იდეის სპეციფიკური განხორციელება. ეს არის ფორმაციულ-ცივილიზაციური სინთეზი. დასავლეთის უკანასკნელი სიტყვა კი არის პლანეტარული აბსოლუტური ბაზარი. ამ იდეის განხორციელება თითქოს გულისხმობს ფორმაციული თეორიის ფარგლებში დარჩენას. დასავლეთი ცდილობს ისეთ ჰომოგენიზაციას, როდესაც ფრაიეესის პრინციპი, დემოკრატია და პლურალიზმი მიიჩნევა ყველა კულტურისათვის უნივერსალურ და აბსოლუტურ ღირებულებად. ამავე დროს ტოტალური მარკეტიზაციისაკენ სწრაფვა გამორიცხავს ფრაიეესის პრინციპის აბსოლუტურ ღირებულებად ცნობას თვით დასავლეთის მიერ. აბსოლუტურმა ბაზარმა იცის საბაზრო ევთანაზია და არა ფრაიეესის პრინციპი. ბაზარი ხდება უკანასკნელი ინსტანცია, ისტორიის პრეტორი. ეკონომიკური ძალაუფლების ყოვლისმომცველობასა და ერთადერთობას არ აღელვებს არც კონვერგენციის იდეა, არც ჰანტინგტონისეული ცივილიზაციური საზღვრები. აბსოლუტური ბაზარი ცდილობს თავის არსებობას იერარტული მნიშვნელობა მიანიჭოს. ეკონომიკური ძალაუფლების ადეპტთა მსჯელობებში ისე წარმოჩინდება, რომ აბსოლუტური ბაზარი არის კაცობრიობის ყველაზე ბუნებრივი და ერთადერთი გზა. ასე მკვიდრდება საბაზრო ადრასტეია. პლატონის „ფედროსში“ ადრასტეია ბედისწერაა. დასავლური კაპიტალის ფატალურ ძალად წარმოჩენა მიზნად ისახავს ყველა შესაძლო ოპოზიციის დათრგუნვას, რათა გულშიც არავინ გაივლოს მასთან შებრძოლება. ამ მიზნისათვის ამერიკულმა ნეოკონსერვატიზმმა შეიძლება შექმნას ჰანტინგტონის თეორიის CIA-სეული რედაქცია და დაიწყოს მისით მანიპულირება. აგენტურული პრაქტიკა სულ უფრო ზღუდავს დემოკრატიას. მსოფლიო პოლიტიკაში ასეთი კონტურები უკვე გამოიკვეთა. ეს გამოიწვევს საერთაშორისო სამართლის სულ უფრო მეტ იგნორირებას. საერთაშორისო სამართალი ფართოვდება და მან მოიცვა ისეთი საკითხები, როგორიცაა მეტი სექსუალური ლიბერალიზაცია (სექსუალური უმცირესობების უფლებები), პორნოპროდუქციის ლეგალიზაცია, გარკვეული ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზაცია. უწინ ასეთი

საკითხები არ შემოდიოდა საერთაშორისო სამართლის არეალში. დღეს კი ასეთი გაფართოება იწვევს საერთაშორისო სამართლის ნეგატიურ პოლიტიზაციას, მისი ავტორიტეტის დაცემას. ამის გამო მისი სულ უფრო ხშირი უგულებელყოფა ჩვეულებრივი ამბავი ხდება.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუ ფორმაციულ თეორიას უარვყოფთ, მაშინ აზრი ეკარგება იურისპრუდენციას, იურიდიული მეცნიერების ისტორიასა და ისტორიულ-სამართლებრივ ფაქტებს, ცივილისტიკას. იურიდიული მეცნიერება სწავლობს მონათმფლობელურ, ფეოდალურ, ბურჟუაზიულ, სოციალისტურ სამართალს. ე.ი. ის მჭიდროდაა დაკავშირებული ფორმაციულ თეორიასთან. ამ თეორიის უარყოფა და მასთან ერთად საგანმანათლებლო პროექტის დახურვა გვაბრუნებს იმ დროსთან, რაც იყო განმანათლებლობამდე და ამის შემჩნევაში ხელს გვიშლის სამეცნიერო პროგრესის უკანასკნელი მიღწევები, რომელნიც ქმნიან ილუსიას, რომ არაფერი საგანგაშო არ მომხდარა. სინამდვილეში ასეთი რამ მოხდა. ეს არის განმანათლებლობისა და მთლიანად დასავლური ცივილიზაციის Break-down (ბზარი). ეს არის ტოინბის ცნება.

ფორმაციული თეორიის უარყოფა რელიგიურ დებულებათა რეაქტივაციის გზით, რასაც ადგილი ჰქონდა XX ს. 90-იანი წლების ქართულ ეროვნულ მოძრაობაში, წესით, იმას გულისხმობს, რომ ლიბერალიზმი მხოლოდ შუალედური საფეხურია საეკლესიო დოქტრინასთან და მონარქიასთან დაბრუნების გზაზე. თუ ცივილიზაციურ მეთოდოლოგიას ვირჩევთ, როგორ უნდა შენარჩუნდეს მასში ევროპული სეკულარიზმისა და ლიბერალიზმის საუკეთესო მონაპოვრები ისე, რომ რელიგიამ მათი შეზღუდვა და შემდეგ ანულირება არ დაიწყოს? რელიგიის სახელით ფორმაციული თეორიის უარმყოფელ ადამიანს აქვს კი საიმისო უნარი, რომ დადგეს ტრადიციონალიზმის გზაზე და სათავეშივე არ მოახდინოს რელიგიის პროფანაცია?

ჰანტინგტონი ლაპარაკობს სამომავლო ცივილიზაციურ და არა ფორმაციულ განვითარებაზე. თანამედროვე სიტუაციაში აქ ყველაზე არსებითი ისაა, რომ კაპიტალს ენიჭება არა ფორმაციული, არამედ ცივილიზაციური მნიშვნელობა. თუ კაპიტალი ხდება ცივილიზაციური, მაშინ ის გადაიქცევა ერთადერთ

დროით და ისტორიულ სუბიექტად. მარქსმა გვასწავლა, რომ ისტორიაში ერთმანეთს ებრძვიან შრომა და კაპიტალი და არა ხალხები და ცივილიზაციები. ჰანტინგტონი საპირისპიროს ამბობს. ამავე დროს ნეოლიბერალიზმისა და გლობალიზმისათვის არსებითი არის შრომა და კაპიტალი, არა ხალხები და ცივილიზაციები. ძალზე ხანგრძლივი სეკულარისტული ტრადიციის შემდეგ დასავლეთს არ შეუძლია რელიგიური კონცეპტების წინ წამოწევა, როგორც ეს აღმოსავლეთის ქვეყნებში ხდება. ამავე დროს, მას უჭირს ფორმაციული განვითარების პრინციპების შენარჩუნება. იმისათვის, რათა ხელიდან არ გაუშვას კულტურულ-ისტორიული ინიციატივა, დასავლეთი ეკონომიკური ძალაუფლების არნახულ ფორსირებას ახდენს. შრომისა და კაპიტალის დიალექტიკა მეტად მზაკვრულად შეიცვალა კაპიტალის ონტოლოგიით. ეს უნდა იყოს ამოსავალი მსჯელობა, როდესაც ვიწყებთ გლობალიზმის შესწავლას. უკვე 1992-94 წლებში ჩანდა, რომ ამისკენ მიდიოდა ყველაფერი. პოსტკაპიტალიზმის ცნების შემოტანა სოციოლოგიაში არ ნიშნავს კაპიტალიზმის პოზიტიურ დაძლევას, თვისებრივად ახალ ფორმაციულ საფეხურზე ასვლას. კაპიტალის მუტაციური რეგენერაცია ხდება. კაპიტალი აღარ გულისხმობს ლიბერალიზმის პრინციპებს. აზრი ეკარგება მემარჯვენეობასა და მემარცხენეობაზე საუბარს. იგი სუპრაფორმაციულია და მხოლოდ კამუფლაჟის გულისთვის მის გარშემო კვლავ გრძელდება ლიბერალ რეფორმატორთა კამათი. ლიბერალ-კაპიტალიზმის ინვერსია მოხდა და მისთვის არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს იმას, რომ მავანი მემარჯვენეა, მავანი მემარცხენე. ფრაივესის კონკრეტული შინაარსი საბაზრო აბსოლუტიზმის კონტექსტში უმნიშვნელოა. ამის გამო დემოკრატიისაგან მხოლოდ სახელი რჩება. პრინციპულად შეუძლებელია, რომ დემოკრატიამ იარსებოს დისკრეტული ინდივიდუალიზმის თანდათანობითი აბსოლუტიზაციის პირობებში. თუ ინდივიდუალიზმი ყველაფერთან მიმართებაში პრიმარულად მიიჩნევა, მაშინ შეუძლებელია რაიმე ზნეობრივზე მსჯელობა. გამოთქმა „მსოფლიო საზოგადოებრიობა“ მხოლოდ ზნეობრივი ერთობის მოჩვენებითობას ქმნის. მსოფლიო პოლიტიკის ბოლოდროინდელი მოვლენები ამას მხოლოდ კიდევ ერთხელ ადასტურებს.

ინვერსირებულ ლიბერალ-კაპიტალიზმს არა აქვს ერთიანი დრო. მას აქვს დისკრეტულობათა და სივრცეთა სიმრავლე. ამ სივრცეთა დემოკრატიზება მაინც ვერ ქმნის ერთიან დროს, საერთო ისტორიულ ჰორიზონტს. აშაო გამოდგა ხალხების თვითმყოფადობასა და ინდივიდის ინიციატივაზე ლაპარაკი, რომელთაც ლიბერალიზმი ფართო შესაძლებლობებს შეუქმნიდა. ითქმოდა, რომ სწორედ თავისუფალ ბაზარზე განხორციელდებოდა სრულად ინდივიდის თავისუფლება, რომ ინდივიდი ბაზარზე დამოუკიდებელ სუბიექტად გამოდის და სრულად ხორციელდებოდა ადამიანური ფაქტორი. მაგრამ ასე არ არის. თავისუფლების გარანტად მიჩნეული თავისუფალი ბაზარი კაპიტალის მიერაა რეპრესირებული. ბაზარი ანონიმური და არაადამიანურია. კაპიტალის ტიტანური ძალაუფლება, გიგანტურ საწარმოო საშუალებათა ავტორიტარული მენეჯმენტი ინდივიდს სრესს. ბაზრის აბსოლუტიზაცია მიიღწევა არა პოლიტიკური დიქტატურის დამყარებით, არამედ პოლიტიკური ძალაუფლების შეკვეცით, იდეათა დევალვაციითა და ღირებულებათა გაუქმებით. აი, ამის გამო კაპიტალის ონტოლოგია უნდა განიხილებოდეს უფრო ფილოსოფიურ, ვიდრე ეკონომიკურ ჭრილში. ინდივიდი არის არა თავისუფალი სუბიექტი, არამედ ეკონომიკური ძალაუფლების ფიგურანტი. კაპიტალის რეპრეზენტაციული ფიგურა არის ფინანსური ფლიბუსტერი, მევახშე, ნოქარი, მებაჟე და ზარაფი.

ინდივიდთა კონგლომერატის ცხოვრების რაციონალიზაცია სრულებით არ გულისხმობს ზნეობრივი პრობლემების გადაწყვეტას. ასევე ფინანსური ძალადობისა და სიცრუის რაციონალიზაცია არ გულისხმობს მათ ზნეობრივ ლეგიტიმაციას. მედიაკრატია კი ყოველთვის საპირისპიროს გვიმტკიცებს. ფინანსური ფლიბუსტერი მუდამ ფუქსის მოპოვებას ცდილობს გლობალურ ეკონომიკურ თამაშში. შემდეგ ეს წარმოჩინდება ხოლმე როგორც ლიბერალიზმის ქმედითობის დასტური. ნომადური დიდი ბიზნესი გლობალურ ეკონომიკურ თამაშში ცდილობს მოახდინოს რაც შეიძლება მეტი სპეკულაციის დუბლირება, ცდილობს გაზარდოს ფლიბუსტერთა ინტერნაციონალური დიასპორა.

ჰანტინგტონის ცივილიზაციური პარადიგმა, წესით, გულისხ-

მობს ფორმაციული ეკონომოცენტრიზმის შეცვლას კულტუროცენტრიზმით. მაგრამ დასავლეთს ამის გაკეთება არ შეუძლია. კულტუროცენტრიზმი რელიგიურ რეალიზმს გულისხმობს, რომელსაც ეკონომოცენტრიზმის სოციალური ნომინალიზმი ვერ შეუთანხმდება. ევროპულ სქოლასტიკაში შუა საუკუნეების დროიდან მომდინარე კამათი რეალისტებსა და ნომინალისტებს შორის დღესაც გრძელდება სეკულარულ ასპარეზზე. კულტუროცენტრიზმის რეალიზმი ლიბერალიზმის იდეოლოგიამ არაერთხელ ტოტალიტარიზმად შერაცხა.

დავუბრუნდეთ ისევ ინდივიდსა და ბაზარს. განმანათლებლობის ღვაწლი და მთლიანად ევროპეიზმის იდეური მემკვიდრეობა აბსოლუტური ბაზრისათვის ხელისშემშლელია. საბაზრო ევთანაზიის ლოგიკა გამორიცხავს ეთიკას. ბაზრის სელექციის პოსტულატი მხოლოდ სოციალდარვინიზმია.

ძველ საბერძნეთში აგორა უშუალო დემოკრატიის ადგილიცაა და ბაზარიც. შუა საუკუნეების ევროპული ბაზარი ანტიბურჟუაზიული სულის მქონე მდაბიოთა თავშეყრის ადგილია. ბაზარზე მხიარულებას ეძლეოდა გასაქანი. მასხარა და მოხეტიალე მსახიობიც აქ იყვნენ. ძველი რუსეთის ბაზარში იყო სალოსი, რომელიც ადამიანებს კვლავ და კვლავ მოაგონებდა ქრისტეს ღვაწლის შესახებ. ბაზარზე ხალხი ხალხობდა. ეკონომიკურ ძალაუფლებას მკაცრი საზღვრები გააჩნდა.

თანამედროვე ბაზარი აღარაა აგორა, აღარაა ხალხის ბაზარი, აღარაა ტრადიციისა და საკრალური მთელის ნაწილი. ის მხოლოდ დისკრეტული ინდივიდების შეკრების ადგილია. ის ანონიმურია, კრიმინალურია. უწინ ბაზარზე სიცილის კულტურა ვლინდებოდა, დღეს კი ასეთი რამ უაზრობაა. თანამედროვე ბაზარი სიმდაბლისა და ბოღმის ლოკუსია. ყველაფერი საგანგებოდ მიჩქმალულია. არ არსებობს არანაირი ეკონომიკური დემოკრატიზმი, თანაბარი სასტარტო შესაძლებლობები. არ არსებობს საბაზრო თვითრეგულირება. ყველაფერი მონოპოლიზებული, წინასწარ გათვლილი და დაანგარიშებულია. ყველაფერი წინასწარ გაწერილი და რეგლამენტირებულია. თანამედროვე ბაზარი არის ეკონომიკური ძალაუფლების ავტორიტარული ხასიათის გამომხატველი. ასეთი თვალსაჩინო

მაგალითი ყოველთვის თავს გვახსენებს. მას განსრახ არ ამჩნევენ და ლაპარაკობენ საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირებასა და მის თვითმაორგანიზებელ ხასიათზე. თანამედროვე ბაზარი ლიბერალიზმის ანტიპოდი და დემოკრატიის ყველა პრინციპის უარმყოფელია ასეთ ბაზარზე გამორიცხულია fairness, ასევე ფუკუიამასეული trust. ასეთ ლოკუსში ინდივიდი მხოლოდ homo consommatus (მომხმარებელი ადამიანი) არის და მას არ აღელვებს დემოკრატიის პრინციპების დაცვა. აქ ფიდუციური ურთიერთობა შეუძლებელია.

საბა'რო ევთანა'ზიის განმტკიცებას ხელს უწყობს კატეგორიული მსჯელობა, რომ ჭეშმარიტი ისტორია, ნამდვილი ცხოვრება იწყება მხოლოდ იქ, სადაც ლიბერალ-კაპიტალი'ზმია. ამით მრავალათასწლოვანი წარსულისა და მას'ში გამოვლენილი გონის ტრეტირება ხდება. წარსული ისტორია კი არა, არამედ ატომარული ფაქტების გროვაა. წარსული არაფერია, იმიტომ, რომ ის ლიბერალური არ იყო. ამ აზრის განმტკიცებას ემსახურება ტოტალიტარიზმის ცნებით მანიპულირებაც. აწმყო კი ლიბერალურია, ე.ი. ის ჭეშმარიტია. ამის შემდეგ ნებისმიერი ღრმად რეფლექტირებული განსჯა, ნებისმიერი ფუტუროლოგიური დისკურსი, რომელიც ლიბერალიზმის პრეტენზიებს გააკრიტიკებს, მიუღებელი ხდება ლიბერალიზმის ადეპტებისათვის, რომელნიც ისტორიისა და ადამიანის აბსოლუტურ შემეცნებადობას ესწრაფვიან. გავიხსენოთ ფუკუიამას მსჯელობა: „... გარკვეულ ეჭვს იწვევს თვით ლიბერალურ-დემოკრატიული სა'ზოგადოებების უნარი, აღმოცენდნენ და დროის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შეინარჩუნონ სიცოცხლისუნარიანობა მხოლოდ რაციონალურ საფუძველზე“ [1.343].

გლობალიზმი როგორც ნეოლიბერალიზმის უკანასკნელი სეფე-სიტყვა, ირაციონალურ აზრს ანიჭებს ტოტალური მარკეტიზაციის რაციონალობას. აქ ჰანტინგტონის თეორიის გავლით ხდება დაბრუნება იმ დებულებებთან, რომელნიც განმანათლებლობამ და ფორმაციული თეორიის მეთოდოლოგიამ უკუაგდო როგორც ანტირაციონალური, როგორც ცრურწმენა. ამ მიზნით გლობალიზმი რელიგიას აქცევს პოლიტიკურ PR -

ფორმად.

ფუკუიამას „ისტორიის დასასრული“(1992 წ.) ნეოლიბერალიზმის კვინტესენციაა. ეს მეცნიერი იმავე პოზიციაზე დგას, რაც მის „ისტორიის დასასრულში“ არის გამოკვეთილი. ფუკუიამა ხელს აწერს 1997 წლის 3 ივნისით დათარიღებულ ცნობილ ახალი ამერიკული საუკუნის პროექტს. ხელისმომწერთა შორის აღინიშნებიან თანამედროვე ამერიკის ნეოკონსერვატორული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელნი (ჩეინი, რამსფელდი და სხვ.).

საერთაშორისო სამართლად წოდებული რუბიკონი ამერიკელთა მიერ დიდი ხანია გადალახულია. წილი ნაყარია და ბრძოლამ მთელი პლანეტის აბსოლუტური ჰეგემონიისათვის სულ უფრო ბრუტალური ხასიათი მიიღო. ჰანტინგტონი ცივილიზაციათა შორის რელიგიურ საზღვრებს ავლებს, გლობალისტთა მისწრაფებანი კი მთელ პლანეტას მოიცავენ. სად არის გლობალიზმისა და საერთოდ ნეოლიბერალიზმის ჰერაკლეს სვეტები? სად არის დასავლური ცივილიზაციის limes (გამაგრებული სამანი)?

არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაში თეორიაზე ლაპარაკი მხოლოდ კამუფლაჟია. თეორიაზე ლაპარაკისას უნდა ვიცოდეთ, რომ გულისხმობენ ძალაუფლებას, მის სამუდამო შენარჩუნებას, რათა მოპოვებულ იქნეს „დღე უუკუნო“ აბსოლუტური ბაზრისათვის. ამასთან შედარებით მედიაკრატიული თვალთმაქცობანი და ლიბერალ მეცნიერთა ენაწყლიანობა უმნიშვნელო რამ არის.

დასავლეთმა დამარცხებული სოციალიზმიდან არ აიღო მისი საუკეთესო მიღწევები. დასავლეთის მსჯელობანი კონვერგენციისა და მესამე გზის შესახებ მხოლოდ შიშით იყო გამოწვეული. მან სვლა გააგრძელა სწორედ იმ ლიბერალურ უკიდურესობათა გზით, რომელთა კონვერგირებაზე თვითონვე საუბრობდა. არა აღმოსავლეთმა, არამედ დასავლეთმა დაგვანახა ზნეობრივი პოლიტიკის შეუძლებლობა სწორედ მაშინ, როდესაც მისგან ნაძაგები „ბოროტების იმპერია“ დაიშალა. დასავლეთმა მოატყუა ყველანი და მისი დაპირებები სულიერებისა თუ ბუნებისაკენ შემობრუნების გზაზე სიყალბე გამოდგა.

თავის თეორიაში ჰანტინგტონი საუბრობს დასავლური უნი-

ვერსალიზმის ორმაგ მორალზე, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების უსამართლობაზე, მაგრამ ასეთი მხილებანი არაფერს ცვლის. დასავლეთი აგრძელებს ექსტრემალური ეკონომოცენტრიზმის ფორსირებას. იდეურად მას მეტი აღარაფერი შეუძლია. ამიტომ ჰანტინგტონის მსჯელობა ცივილიზაციური იდენტიფიკაციის შესახებ დასავლეთისათვის შეუძლებელია. დასავლეთი დასავლეთად იქცა სწორედ სეკულარიზმის დამკვიდრებითა და ქრისტიანობასთან ბრძოლით. აღმოსავლურ ქვეყნებს არ უჭირთ რელიგიური იდეების მიხედვით ორიენტირება. ასე აღწევენ ისინი ცივილიზაციურ იდენტიფიკაციას. თანამედროვე ჩინეთი, ინდოეთი და იაპონია ფორმაციულად ვითარდებიან, მაგრამ მათთან ცივილიზაციური იდენტობის საკითხი ასე მწვავედ არ დგას, როგორც დასავლეთთან. დასავლური ცივილიზაცია არის ლიბერალ-კაპიტალიზმის და არა ქრისტიანობის სინონიმური ცნება. ვინ, როგორ და რა გზით უნდა დაიწყოს თანამედროვე დასავლეთში რექრისტიანიზაცია? ჰანტინგტონის თეორიის წარმოშობამდე (1996 წ.) ევროპელ კათოლიკე და პროტესტანტ მოღვაწეებს ხშირად აღუნიშნავთ დასავლური პოლიტიკის ქრისტიანიზაციის აუცილებლობის შესახებ. ამით ვერაფერი შეიცვალა. ცივილიზაციური იდენტურობის დადგენა დასავლეთისათვის ნიშნავს რეგრესს. დასავლური ცივილისტიკის პრინციპები სწორედ ცივილიზაციური (რელიგიური) იდენტობის უარყოფასა და ქრისტიანულ უნივერსალიზმთან ბრძოლაში ჩამოყალიბდა. დასავლეთის მიერ ცივილიზაციური იდენტობის მოპოვება გულისხმობს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ყველა საშუალებით ფორსირებაზე უარის თქმას, ტექნოკრატიული და ნეომექანიცისტური იმპერატივების უარყოფას. ამის შესახებ თვით დასავლეთი XX ს. 70-80-იან წლებში აკადემიური ტრიბუნიდან საუბრობდა.

გავიხსენოთ ის ფაქტიც, რომ ევროკავშირის კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებული კამათი კონსტიტუციაში ქრისტიანობის როლის მოხსენიების შესახებ დიდხანს გრძელდებოდა და ბოლოს სეკულარისტებმა გაიმარჯვეს.

თუ უარვყოფთ განმანათლებლობიდან მომდინარე სამართლებრივი საზოგადოების იდეასა და საერთოდ ცივილისტიკას

რელიგიურ-ცივილიზაციური იდენტობის სახელით, მაშინ ბიზანტიზმის მემკვიდრე ყველა ქვეყანამ საზოგადოების სამართლებრივი რეგულაცია უნდა დაიწყოს ბიზანტიური დიგესტებითა და პანდექტებით. უკვე ყოფილმა ცივილისტებმა უნდა დაიწყონ ეკლოგების, ისაგოგებისა და ბასილიკების (VII - X სს. ბიზანტიური სამართლის კრებულების) შესწავლა. ასეთი შემობრუნება რადიკალურად დააყენებს მონარქიის აღდგენისა და რევოლუციონიზმის საუკუნო შეჩვენების საკითხს.

აი, მრავალ მუსულმანურ ქვეყანაში, სეკულარიზაციის მიუხედავად, უკვე დეკოლონიზაციის დროიდან (XX ს. 50-60-იანი წლები) ისეთი საერო კანონებია, რომელნიც შარიათის უზენაესობას ითვალისწინებენ. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ისლამურ ქვეყნებში დასავლური ტექნიკის მიღწევათა ათვისება და მათი რეპროდუცირება არ იწვევს ლიბერალიზმის ზრდას, ახალ სეკულარულ მოთხოვნებს. პირიქით, ტექნიკა ამ ქვეყნებში აძლიერებს რელიგიურ იდენტურობასა და ფუნდამენტალისტურ მოთხოვნებს. დასავლეთში ასეთი რამ წარმოუდგენელია.

ნიცშე თავის „ანტიქრისტეში“ (1895 წ.) ჭეშმარიტებას ამბობდა, რომ ქრისტიანი არავინაა, რომ ყველაფერი ანტიქრისტიანულია (§38).

სამოქალაქო საზოგადოების ნიცშესეული კრიტიკა გამანადგურებელია („ნება ძალაუფლებისაკენ“§§316,319,345,356), მაგრამ ნიცშევე ლაპარაკობს განმანათლებლობის გაგრძელების აუცილებლობაზე („მოგზაური და მისი ჩრდილი“, §221).

ნიცშე თავისი მოძღვრების განსაკუთრებულობის მიუხედავად მაინც განმანათლებელთა კვალში დგას და ნაციონალ-სოციალისტების მიერ ნიცშეს რიგ დებულებათა გამოყენება რასობრივი და ცივილიზაციური იდენტურობისათვის ყოვლად გაუმართლებელი იყო. მარქსის დიდად მოძულე ნაციონალ-სოციალისტები, არიული ხალხურობისა და ნეოპაგანიზმის დამამკვიდრებელნი, მაინც ფორმაციულ ფარვატერში იდგნენ, იმის მიუხედავად, რომ მათი იდეოლოგია ამოვარდნილი იყო ევროპული რაციონალური იდეოლოგიების საერთო ნაკადიდან და ამ იდეოლოგიას ცივილიზაციური, ირაციონალური ხასიათი ჰქონდა.

ალბერ კამიუ თავის „მოჯანყე ადამიანში“ აღნიშნავდა, რომ ადვოკატად უნდა დავუდგეთო ჩვენ ნიცშეს. კამიუს თანახმად, ა'როვნების ისტორია'ში ნიცშეს მოძღვრებას ეწია ბედის ისეთი უკუღმართობა, როგორიც არ სწვევია არც ერთ სხვა მოძღვრებას მარქსის მოძღვრების გარდა.

ისიც გავიხსენოთ აქ, რომ მარქსის მოწაფე და მიმდევარი, ამ სიტყვათა სრული მნიშვნელობით, ცოტა იყო. მარქსის შემსწავლელთაგან ყველამ თავისი გ'ხა გამოიყვანა, მაგრამ ყველა ფორმაციონისტად დარჩა.

XX საუკუნის 60-70-იანი წლების დასავლელი ნეომარქსისტები (სარტრი, ფრომი, ჰაბერმასი და სხვ.) ფორმაციონისტები იყვნენ. მათ მიერ მარქსის ახლებური წაკითხვა და მის რიგ დებულებათა გადახედვა არ იწვევდა ირაციონალური კონცეპტების შემოტანას ნეომარქსიზმში. ნეომარქსისტთა (ფრანკფურტის სკოლის) უფროს და უმცროს თაობათა შორის ძალზე მწვავე დისკუსიების მიუხედავად, ევროპული რაციონალიზმის კრიტიკის მიუხედავად, ეს მოაზროვნენი რაციონალიზმის, შესაბამისად ფორმაციონიზმის საზღვრებში რჩებიან.

XX საუკუნის 60-70-იან წლებ'შივე მარქსი'ზმისა და ლიბერალიზმის კრიტიკას კონტრკულტურათა წარმომადგენელნი ეწეოდნენ პოლიტიკური და კულტურული ორიენტალიზმის, ნეოპაგანიზმის, აღმოსავლური მისტიკის საფუძველზე. ისინი, გარკვეული აზრით, ჰანტინგტონამდელი ცივილიზაციონისტები იყვნენ.

XX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს დასავლეთმა ისევ ფორმაციული ლოგიკის გზით გააგრძელა სვლა და დათრგუნა კონტრკულტურული ცივილიზაციონიზმი.

ბოლშევიზმის ზღვარდაუდებელი და დროში მეტად გაწელილი განქიქებისას, რაც სულის სისუსტისა და ინტელექტუალური არაკეთილსინდისიერების ნიშანია, განზრახ დავიწყებულია, რომ ფორმაციული თეორია შეიქმნა ევროპაში. მარქსიზმის ჩამოყალიბება ევროპული ეკონომიკური პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე ხდებოდა. ძნელია ისეთი ქართველი მეცნიერის პოვნა, ვინც ნეომარქსიზმის შესწავლის აუცილებლობაზე მიუთითა. უზარმაზარი ლაკუნაა გაჩენილი ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში, რომელიც ვერ შეივსო უზო-

გადესი ლიბერალ-დემოკრატიული მსჯელობებით. ფრიად სავალალოა, რომ საქართველოში არაა არც ჭეშმარიტი ნეოლიბერალი, არც ნეომარქსისტი. სამაგიეროდ მრავლადაა დეკლასანტი ინტელიგენტი, რომელიც უფლის ვექილად და ეკლესიის შვეიცარად გამოდის.

მარქსიზმის დიდი სამეცნიერო ავტორიტეტის გამოა, რომ დასავლეთში ნეოლიბერალიზმისა და ონტოლოგიზებული კაპიტალის კრიტიკა უკავშირდება ნეომარქსიზმს. თანამედროვე ევროპელ მოაზროვნეთა (მაგალითად, იორგენ ჰაბერმასის) ნონკონფორმიზმი გულისხმობს ამერიკანიზმისა და ნეოკონსერვატიზმის კრიტიკას. მაგრამ აქვე უნდა გავიხსენოთ პოპერიანელი ჯორჯ სოროსის მიერ გაკრიტიკებული ამერიკული ნეოკონსერვატიზმი. სოროსი უფრთხის ონტოლოგიზებული კაპიტალის აბსოლუტისტურ პრეტენზიებს. ღია საზოგადოების პრინციპთა უარყოფას სოროსი ხედავს სწორედ იმ ქვეყანაში, რომელიც დემოკრატიის ბურჯად მიიჩნევა. ამის გამო პრეზიდენტ ბუშის მომხრეთ საპრეზიდენტო არჩევნების დროს, 2004 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, სოროსის შესახებ მკვახედ უთქვამთ. თავის ნაშრომში სოროსი აღნიშნავს, რომ ის კი აკრიტიკებს ამერიკის მთავრობას, მაგრამ არაა ნეომარქსისტი [2].

მაიკლ ჰარდტისა და ანტონიო ნეგრის ნაშრომში „იმპერია“, გლობალიზმის ანალიზი ნეომარქსისტულია [3]. ონტოლოგიზებული კაპიტალის ნეომარქსისტული კვლევა ბევრს გვაძლევს კრიტიციზმის თვალსაზრისით, მაგრამ შეუძლია თუ არა ნეომარქსიზმს მოგვცეს ახალი ფორმაციული ორიენტირი მარქსიზმის სადღეისო მარცხის პირობებში? შეიძლება თუ არა ნეოლიბერალიზმისა და გლობალიზმის კრიტიკა არ იყოს ნეომარქსისტული და ამავე დროს დავრჩეთ ფორმაციული თეორიის საზღვრებში? მიგვაჩნია, რომ ეს უდიდესი იდეური სიძნელეა მათთვის, ვინც საგანმანათლებლო უნივერსალიზმისა და განმანათლებლობის ტრანსცენდენტალური სუბიექტის დაცვას ცდილობს. ამ სუბიექტის კულტურული პერსპექტივის კატასტროფაა დაწყებული. დასავლელმა კულტუროლოგმა, რომელიც ადამიანური ფაქტორის აქტუალიზებას ცდილობდა, ეს მოვლენა თავიდან ვერ აიცილა. სოციალურ-ზნეობრივ კრიტიციზმს

აზრი ეკარგება. ის აღარ გამოიხატება ხელოვნებასა და ლიტერატურაში. კულტურის დეკულტურაცია და თინეიჯერიზაცია მიმდინარეობს. TV – დუერების კულტურული იმპროვიზაციები, დიზაინის კაპრიზები, PR – ფორმები, შოუ-ბიზნესის თვალწარმტაცი იმიტაციები ცვლიან საგანმანათლებლო კულტურტრეგერობას.

განმანათლებლობა სისხლხორცეულად დაკავშირებულია ფორმაციულ თეორიასთან და არა ცივილიზაციურ სეგრეგაციასთან. განმანათლებლობა ცივილიზაციურ იდენტურობაზე მაღლა დგება და ამის მიღწევას დიდ ევროპელ მოაზროვნეთა ძალისხმევა და რევოლუციური სისხლი დასჭირდა. ჰანტინგტონის თეორია კარგად ამართლებს დასავლეთის მიერ განმანათლებლობის მხოლოდ მის კუთვნილებად მინნევას და ამ გზით მის უზურპირებას. კი კამათობს ჰანტინგტონი ფუკუიამასთან, მაგრამ ისინი თანაადეპტებად რჩებიან. საკითხის არსი მდგომარეობს არა მათ კამათში, არამედ იმაში, რომ გლობალისტი ფუკუიამა და ცივილიზაციონისტი ჰანტინგტონი გამოდიან გლობალისტი განმანათლებლის – მარქსის წინააღმდეგ.

განმანათლებლობის უდიდესმა ღვაწლმა შექმნა იმის ილუზია, რომ უკვე მიღწეულს არ ემუქრებოდა ნგრევა, ის მუდამ ასეთი იქნებოდა და ადამიანისაგან მას არ დასჭირდებოდა მეტი ძალისხმევა. სულიერი ენტროპიის შესაძლებლობაზე არ ფიქრობდნენ. სინამდვილემ აჩვენა, რომ განმანათლებლობის დიდი მიღწევანი იოლად შეიძლება გაცამტვერდეს ფრაივესის პრინციპის სახელით წარმართული სამოქალაქო დემობილიზაციითა და მუშათა კლასის დესოციალიზაციით. მუშათა საკითხისა და საერთოდ მუშისა და შრომის ცნების გაქრობა სააზროვნო ველიდან უდიდესი იდეოლოგიური დივერსიაა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება განმანათლებლობის მიტაცებას დასავლეთის მიერ. მუშის საქმე, მუშური პროფესიები ტრეტირებულია. ამ გზით მოაკვდინა ონტოლოგიზებულმა კაპიტალმა ხალხის რევოლუციური პოტენცია.

ინტელიგენციის, კოგნიტარიების დეკლასაცია და დესოციალიზაცია კი გამოიხატება იმით, რომ ათეიზმის გმობა და

რელიგიური ერზაცი ცვლის ჭეშმარიტ პრობლემებს. აღარაფერს ნიშნავს ბარუხ სპინოზასა და ჯორდანო ბრუნოს ღვაწლი და მას ცვლიან ჰომილეტიკითა და ჰაგიოგრაფიით, რაც სულიერების მონაპოვრად საღდება. ამას ემატება კომერციული მისტიკისა და მაგიის მოძალება. მასშტაბური დეინტელექტუალიზაციის პირობებში სააზროვნო ნიშნული სულ უფრო დაბლა იწევს და ეს ინიღბება ჰედონიზმის კულტივაციითა და საეთერო-დიზაინური სიმბიოტიკით. ფილოსოფიურ და პოლიტიკურ დისკურსში ჩანს ინტელექტუალური პატიოსნების დიდი ნაკლებობა. ინტელიგენტი აღარ აყენებს დიდ პრობლემებს. ის ინტელიგენტობაზეც უარს ამბობს და ცდილობს შეერიოს სამოქალაქო საზოგადოებად წოდებულ ანონიმურ მასას. მედიაკრატიის აქტიურობის ფონზე იკვეთება ამ სამოქალაქო საზოგადოების ლიანგური აპათია და მზარდი გაუცხოება.

საგანმანათლებლო პროგრესიზმიდან დარჩა მხოლოდ სამეცნიერო-ტექნიკური, ტექნოლოგიური პროგრესიზმი, რომელიც ადამიანური ფაქტორის სრული მარცხის პირობებში უწყვეტად გრძელდება. ინტერნეტისა და ფიჭური ტელეფონის გაჩენას უკავშირებდნენ ადამიანთა და კულტურათა დაახლოებას, პლანეტარული ცივილიზაციის ჩამოყალიბებას, რაც სინამდვილეში ვერ განხორციელდა.

განმანათლებლობისა და რაციონალიზმის კრიზისს იწვევს ის, რომ ადამიანებს უმძიმთ უწყვეტი პროგრესის განხორციელება. ძალზე ხშირად ერთი ადგილის ტკეპნა თვით ევროპაში სარეკლამო და დიზაინური იმპროვიზაციით იფარება. ძნელი წარმოსადგენი არაა, როგორი სახე ექნება ამ მოვლენას განმანათლებლობის პერიფერიებში. არის მხოლოდ სამომხმარებლო მეგალითომია და არა ის თიმოტური სწრაფვა და ის პასიონარიზმი, რაც ახლის ძიებას სჭირდება. ადამიანთა დიდი მასა ითვისებს განმანათლებლობის მრავალ მიღწევას, როგორც მომხმარებელი. უწყვეტ პროგრესიზმს კი გონების სულ უფრო მაღლა ასვლა ესაჭიროება. ამ აზრით განმანათლებლობა მუდმივად კრიზისულია. განმანათლებლობამდელმა მონარქიულ-კლერიკალურმა პარადიგმამ ასეთი კრიზისი არ იცის. სოციალური დროის არნახულად აჩქარება, რისი მომსწრეც

არის თანამედროვე ადამიანი, მინარქიზმისათვის უცხო რამ იყო.

მასას შეთვისებული აქვს უკვე სტანდარტად ქცეული მინიმალური საგანმანათლებლო მოთხოვნები და მისი მეგალოთიმია გადაქცეულია კონსიუმერულ არტისტიზმად და ჯგლეთად მეტი კომფორტის მოპოვებისათვის. მასების ამ გრძნობაზე თამაშობს მედიაკრატია და იგი ყველა საშუალებით ელიტიზმის მასიფიკაციას ამკვიდრებს. სტანდარტული მოთხოვნების დამძლევ მასობრივ ადამიანს მისი უნარებისათვის მეტად შეუფერებელი მეგალოთიმია გააჩნია. ეს წარმოშობს დაუფარავ ეგოლატრიასა და ნარცისიზმის უჩვეულო გამოვლინებებს. აქ სულიერ სრულყოფასა და ზნეობაზე ლაპარაკიც კი უაზრო ხდება, თუმცა ყველგან და ყოველთვის სულიერებასა და ზნეობაზე ლაპარაკი გვესმის. აი, ამ მომენტში თავისუფალი ინდივიდების საქმიანობად წოდებულ გაავებული ადამიანი-ავტომატების დოღში ერთვება საბაზრო ევთანაზია და ლაგამაყრილი ინდივიდუალიზმის ქადაგება. ნეოლიბერალიზმის იდეური ძლიერება მთლიანად ადამიანის სამომხმარებლო მეგალოთიმიასა და ეგოლატრიაზეა დაფუძნებული. ამავე კონტექსტში თავსდება ადამიანი-ავტომატის რელიგიურობა (ამ სიტყვას განგებ არ ვსვამთ ბრჭყალებში) რელიგიის სრული პროფანაციის პირობებში.

მედიაკრატია მუდმივად ამიზეზებს იმ წყლულს, რასაც მასობრივი ადამიანის მეგალოთიმოტური მისწრაფება ჰქვია. ამას ნეოლიბერალიზმი თავისი თავის, როგორც ჭეშმარიტად სამართლიანი წყობილების დამადასტურებელ, უეჭველ და სარწმუნო ფაქტად წარმოაჩენს. ფუკუიამა ნეოლიბერალიზმის ამ გულისნადებს კარგად სწვდება და იგი აღნიშნავს: „...არც ერთი არსებული ლიბერალური საზოგადოება არ ემყარება მხოლოდ და მხოლოდ იზოთიმიას; ყოველმა მათგანმა რაღაც დონით უნდა დაუშვას უსაფრთხო და მოთვინიერებული მეგალოთიმიაც, გინდაც ამგვარი ქმედება ამ საზოგადოებისათვის რწმენის რანგში აყვანილ პრინციპებს ეწინააღმდეგებოდეს“ [1.346].

მასობრივი ადამიანის თიმოსი არაა რევოლუციური, ანტიბურჟუაზიული. ის ლიბერალიზმისათვის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს, რაგინდ ეპატაჟურ ფორმებსაც არ უნდა

იღებდეს. სამომხმარებლო მეგალოთიმიის ყოველმხრივი წახალისება ადამიანთა მიერ მიიჩნევა თავისუფლების ძირითად ნიშნად, იმ თავისუფლებისა, რომელიც მათ წინაპრებს არ გააჩნდათ. უმთავრესი ადამიანთათვის არის არა უშუალო დემოკრატიის ფორმების განხორციელება, არა სამართლიანობის დაცვა, არამედ სამომხმარებლო მეგალოთიმიის ხელშეუხებლობა.

დიდი ხნის მანძილზე, ახალი პრეცედენტების გენერირების გარეშე მიმდინარე განმანათლებლობის მიღწევათა სტანდარტიზაცია, ამ მიღწევათა დევალვაციასა და ირაციონალიზაციას იწვევს. გაუმართლებელ დავიწყებას ეძლევა მრავალი რამ, რითაც თანამედროვე ადამიანი საშვილიშვილოდ არის დავალებული. ამა'ში პოსტსაბჭოთა დროის ინტელიგენტს დიდი წვლილი მიუძღვის. განმანათლებლობის დეზერტირი, რელიგიური სიმულაკრების დამცველი, ეკლესია'ში მოყიალე სიმულანტი და სერვილისტი. აი, ვინ არის თანამედროვე ინტელიგენტის გავრცელებული ტიპი. ამ ტიპმა საგანმანათლებლო პროგრესიზმის შემდგომი განხორციელების მძიმე ტვირთისაგან თავი დაიხსნა ეკლესიაზე მითითებით. ინტელიგენტი ძელზე უნდა იქნეს გასმული იმის გამო, რომ მან განმანათლებლობა მღვდლისებრ დაგმო და ამავე დროს რელიგიითვე გაამართლა ლიბერალ-დემოკრატია.

XVIII საუკუნის 80-90-იან წლებსა და XIX საუკუნეში ინტელიგენტი იყო ის, ვინც უარს ამბობდა sacrificium intellectus -ზე (გონების რწმენისათვის მსხვერპლად შეწირვაზე), საეკლესიო დოგმატიკაზე და რაციონალური დასაბუთების გზით ცდილობდა სარწმუნო ცოდნის კუმულირებას. ასეთ მსხვერპლშეწირვაზე უარის თქმამ დაამკვიდრა საგანმანათლებლო უნივერსალიზმი და სეკულარული დასავლური ცივილიზაცია. დღეს კი პირიქით მოხდა, განმანათლებელთა იდეური და სულიერი მემკვიდრე - პოსტსაბჭოთა ინტელიგენტი არამკითხე დოგმატიკოს ღვთისმეტყველად და მისტიკოსად იქცა. ამის შემსწრე ფრანგი განმანათლებლებისათვის ეს დიდი უბედურება და რენეგატობა იქნებოდა. ვოლტერის ირონია მიწასთან გაასწორებდა ახლანდელი ინტელიგენტის თეოლოგობას.

თანამედროვე განმანათლებლობა თავის უწყვეტ ზეაღსვლაში გულისხმობს არა ჰაგიოგრაფიასთან და პატრისტიკასთან დაბრუნებას მარქსიზმის ჯიბრით, არამედ იმას, რომ უწყვეტ პროგრესიზმს ესაჭიროება მარტინ ჰაიდეგერი კუბში და სტივენ ჰოკინგი კვადრატში. ადამიანი კი საამისოდ უნდა ემზადებოდეს, რათა მან შეძლოს ახალ სიმაღლეზე მყარად დადგომა და ამ სიმაღლის, როგორც გონების კიდევ ერთი მონაპოვარის ჯეროვნად დაფასება.

ადამიანთა უდიდესი ნაწილი სულით უძლურია. ნუ მოგვატყუებს კაცთა დიდგულობა, სილაღე და ანცობა. ისინი უმაქნისნი არიან რაიმე დიდი წამოწყებისათვის და მხოლოდ მიღწეულის გაპარტახება ძალუძთ.

ფრაივესის პრინციპს ხშირად უწოდებენ ადამიანისათვის ყველაზე ბუნებრივ მისწრაფებას, მაგრამ ფრაივესის პრინციპსე ლაპარაკით მართლდება საბაზრო ევთანაზია. პოლიტიკური და ეკონომიკური დემოკრატია აქ აღარაფერს ნიშნავს, იმიტომ, რომ პოლიტიკისა და პოლიტიკურის ცნება საბაზრო ექსტრემიზმის პირობებში ძირეულად იცვლება.

ადამიანთა მასა, ულმობელ საბაზრო კანონთა თანახმად, სოციალ-დარვინისტულ გადარჩევასა და ევთანაზიას ექვემდებარება. ბაზარი იწყნარებს მხოლოდ ფულად-სასაქონლო ურთიერთობებს ადამიანთა შორის.

ქრისტიანობის თანახმად, ხალხში არის ღვთის ძალა. ბაზარი თავისი არგუმენტებით კამათობს ამ ღვთის ძალასთან და ხალხიდან მის განდევნას ცდილობს. ბაზარი ცდილობს დაგვარწმუნოს მოყვასისადმი სიყვარულის უაზრობასა და უსარგებლობაში. ამაში ძნელია ბაზართან შეკამათება, იმიტომ, რომ ცხოვრება ბაზრის სასარგებლოდ ლაპარაკობს. ის გვასწავლის, რომ მოყვასთან ურთიერთობაში უნდა ვიხელმძღვანელოთ მარკეტიზებული ადამიანის უფლებებით. ადამიანური ექსპრესიულობისა და სპონტანურობის გამოვლენა ურთიერთობაში სისულელე ხდება. მათი გამოვლენა სარფიანი არაა. ამავე დროს ისინი გართობის ინდუსტრიის, რეკლამისა და დიზაინის მიერ არის კულტივირებული, მაგრამ კაპიტალის ყინულოვნება გართობის ინდუსტრიის ელექტრონული შუქით ვერ ლხვება.

ბაზრის მსჯელობათა თანახმად, ყველა ადამიანი არაა ღმრთის მსგავსი და უარიყოფა ის, რომ ქრისტეს მადლი ყველას კუთვნილებაა, რომ ყველა ადამიანი ღვთის შვილია. ეს პირდაპირ კი არ ითქმის, არამედ იგულისხმება დასავლეთის მიერ საგანმანათლებლო უნივერსალიზმის მიტაცებაში. ახალი დროიდან (საფრანგეთის 1789 წლის დიდი რევოლუციის შემდეგ) ხალხებსა და ქრისტიანობას შორის დგას განმანათლებლობა. მისი უსურპირებით იწყება ქრისტიანობის საბაზრო პერვერსია. განმანათლებლობა და ქრისტიანობა, დიდი ურთიერთმტრობის მიუხედავად, ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი. მათი პროგრესიზმის უარყოფა მიგვიყვანს ისტორიის ციკლურობის აღიარებასა და ფორმაციონიზმის უაზროდ მიჩნევამდე. ეს დასავლური სეკულარული ცივილიზაციისათვის კატასტროფას ნიშნავს.

გვაქვს სრული უფლება მოვახდინოთ ფიდუციის საფუძველზე შემოსული იმ სისტემის პოლიტიკური რეკლამაცია, რომელიც თავს საუკეთესო და ერთადერთ საქონლად ასაღებს. ამ სისტემას მიეცა ძალზე დიდი ავანსი და სრული ნდობის კრედიტი. იგი ამოუწურავი ლიმიტით სარგებლობს მედიაკრატიაში.

თავი მესამე

ამერიკულ ნეოკონსერვატიზმსა და გლობალიზმში გამოხატული ნეოლიბერალიზმი იწყებს განმანათლებლობის მიერ უარყოფილი რელიგიური იდეების წინ წამოწევას. კაპიტალი ლაპარაკობს თავის თავზე, როგორც ღვთის განზრახვაზე. გლობალიზმი არის რადიკალური დიდი დეპატრიაცია, რომელთან ერთადაც გამოიყენება პროტესტანტული მესიანიზმიდან მომდინარე იდეა, რომ ამერიკა არის God`s own country (ღვთის მხარე). ნეოკონსერვატიზმის მიერ ხდება კაპიტალის გლორიფიკაცია, კაპიტალის ღვთივდაცულობის იდეის დამკვიდრება. ამერიკული ფუნდამენტალიზმის იდეა Redeemer Nation (გამომსყიდველი ერი) უკავშირდება აბსოლუტური მსოფლიო ბაზრის დამკვიდრებას. გამოდის, რომ კაპიტალია კაცთა მეთევზური, იგია Deus fenerator (მევახშე ღმერთი).

მეტაისტორიული კაპიტალი დასავლელი ფაუსტური ადამიანისათვის უკანასკნელი დიდი წყევლაა. თანამედროვენი კვლავ და კვლავ გამოიცდებიან იობის მსგავსად. გლობალიზმი თავისი სეკულარული, საბაზრო და უზნეო ხასიათის მიუხედავად, არის ისევ იმ ბიბლიურ საკითხებზე კამათი. იგი არის აბრაამიტული რელიგიების უდიდესი ინტენსივობის მტრობა, რომელიც ქმნის თანამედროვეობის დრამატულ ისტორიას. ამ რელიგიათა მტრობაზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს პოსტმოდერნიზმი და მისი რელატივიზმი. ამ მტრობას აბსოლუტისტური ხასიათი და მიზანდასახულობანი აქვს.

ძველი აღთქმიდან მომდინარე და შემდეგ სახარებასა და ყურანში გადასულმა იმპერატიულმა დისკურსმა განსაზღვრა ისტორიის მსვლელობა, კულტურის მაგისტრალური გეზი, მრავალი დიდი მოაზროვნის შემეცნებითი სწრაფვა.

ბლეზ პასკალი და ჟან კალვინი ნეტარი ავგუსტინეს კვალად დასაბამიერი ცოდვის იდეის ექსტრემიზებას ახდენენ. მათ თანახმად, დასაბამიერი ცოდვა და წყევლა მის გამო საყოველთაოა. ე.ი. ყველა კაცი ერთ ბედქვეშაა. ეს ირაციონალური ტოტალობაა, ტოტალურ-ტემპორალური მისტერიაა. წყევლის საყოველთაობა დროითი ყოვლადობაა. ცოდვა და წყევლა მის გამო, ონტოლოგიური მნიშვნელობისანი არიან. მეცნიერულად და რაციონალურად ეს მეტად არადამაჯერებელია და ალოგიკური. პასკალს ეს ღრმად ჰქონდა გაარკვეული, როდესაც აღნიშნავდა: „ღმერთმანი, არაფერი არ გვთრგუნავს ისე, როგორც ეს სასტიკი მოძღვრება, და მაინც, მისტერიათაგან ამ ყველაზე გონებამიუწვდომელი მისტერიის გარეშე, ჩვენთვის სამუდამოდ გონებამიუწვდომელი დარჩებოდა ჩვენივე თავი... ადამიანი უფრო გაუგებარია ამ საიდუმლოს გარეშე, ვიდრე ეს საიდუმლოა გაუგებარი ადამიანისათვის ...“ [4.290].

ჰუსერლის ფენომენოლოგია და მისგან გამოსული ჰაიდეგერის ონტოლოგია ფილოსოფიურ სიბრტყეში გადატანილი ტოტალური დროითობის საკითხია. მათი მოძღვრებები დიდი რელიგიური პრობლემის ფილოსოფიური და ასევე პოლიტიკური პროექციაა. ჰაიდეგერის „ყოფიერება და დრო“ (1927წ.), ასევე ჰუსერლის „ევროპულ მეცნიერებათა

კრიზისი და ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია“ არის პოლიტიკური ნაშრომები. ჰუსერლის „კრიზისი“ (1936 წ.) საგანმანათლებლო კატეხიზისი და უახლესი კრიზისული დროის ფილოსოფიური მესიანიზმის დამაფუძნებელი ნაშრომია. ის მეგატექსტია, რომელიც ეწინააღმდეგება მოგვიანოდ წარმოშობილ პოსტმოდერნიზმს. ამ უკანასკნელს კი გლობალიზმი კარგად იყენებს თავისი მიზნებისათვის.

აქ, უთუოდ, გასარკვევია გლობალიზმისა და ნეოკონსერვატიზმის მეტად მზაკვრული ორაზროვნება. ამერიკელ ნეოკონსერვატორთა და მათ ევროპელ მოკავშირეთა მიერ განმანათლებლობის მიტაცება და მისი სხვა ხალხებისათვის დახურვა იმოსება კალვინისტური მესიანიზმის იდეებით. უცნაურია, რომ ქრისტიანული იდეით გამართლდეს და დასაბუთდეს ბაზარი, დაიწყოს კაპიტალის ექსტრემისტული გლორიფიკაცია, მაგრამ ასეა.

განმანათლებლობის სეკულარიზებული მიზანი არის საყოველთაო, ერთობლივი ხსნა გონების ხელმძღვანელ პრინციპად ქცევისა და სამყაროს რაციონალური მოწყობის გზით. გადავხედოთ ფრანგი განმანათლებლების (ვოლტერი, დიდრო, ჰელვეციუსი, ჰოლბახი და სხვ.) ნააზრევს. მათი ენთუზიაზმი და გონების უნარებით აღტაცება ახლანდელი ადამიანისათვის ხშირად გაუგებარია. აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ახლანდელ ადამიანს აღარ ესმის რევოლუციების გამომწვევი გარემოებანი და ის ძალზე იოლად იწყებს მათ გმობას რელიგიის სახელით. აი, ასეთი გმობა საზოგადოებრივ აზროვნებაში როდესაც მასობრივ გატაცებად იქცევა, ამზადებს განმანათლებლობის ღვაწლის დაუნახაობას და მის არაფრად ჩაგდებას. ამის შემდეგ ადამიანებს, რომელთაც თავი დემოკრატებად წარმოუდგენიათ, საგანგაშოდ არ მიაჩნიათ დასავლეთის მიერ განმანათლებლობის მიტაცება. უარესი უბედურება კიდევ ისაა, რომ პირში ჩალაგამოვლებული და საარაკოდ მოღორებული ადამიანები სანთლებითა და ხატებით ხელში გაცხოველებით ლაპარაკობენ თავისუფალ ბაზარზე. მათი მეტად ხანგრძლივი ევფორია სწორედ გონების სიმცირის ის ნიშანია, რის გამოც წუხდნენ ფრანგი განმანათლებელნი.

ამერიკული ნეოკონსერვატიზმი და გლობალიზმი კი,

მიიტაცებს რა განმანათლებლობას და ხურავს მას სხვა ხალხებისათვის, ამკვიდრებს ყველასაგან ნაჩუმარი, საკუთარი სეგრეგაციული ხსნის იდეას. ეს არის აქამდე უპრეცედენტო ხსნის იდეა, როდესაც კალვინისტური და იუდაისტური იდეები ერწყმის საბაზრო და ტექნოცენტრულ ექსტრემიზმს, ტრადიციულ საგანმანათლებლო რაციონალიზმს, დიდი ფრანგული რევოლუციის პრინციპებს. ასეთი რამ არ მომხდარა დასავლური სეკულარული ცივილიზაციის ისტორიაში.

მხოლოდ ამერიკელები არიან უფლის რჩეულნი. ყველა ხალხი უნდა წარიწყმიდოს და ამოწყდეს ამერიკელთა და მათ მეგობართა გარდა. ყველა სხვა გოგისა და მაგოგის ხალხია, რომელიც ეკონომიკური მახვილით, საბაზრო არმაგედონის ძალით უნდა მოისრას. რუსების გარდა, გოგისა და მაგოგის ხალხებს, ამერიკელთა თანახმად, მიეკუთვნებიან არაბები, ირანელები, კორეელები და ეს ნუსხა სულ უფრო იზრდება.

საკვირველი მოვლენაა, როდესაც თავისუფალი ბაზარი, რომელიც რადიკალური სეკულარიზმის იდეას გულისხმობს, სისხლხორცეულად გადაეჭდო რელიგიურ ფუნდამენტალიზმსა და ბოლო ჟამის იდეას. წესით, ასეთი რამ არ უნდა მოხდეს და ეს შეუძლებელი უნდა იყოს. მაგრამ სწორედ ასე ხდება XXI საუკუნის დასაწყისში. საბაზრო ეკონომიკას, წესით, საერთოდ არ უნდა აღელვებდეს ცივილიზაციური იდენტურობის ცნება, მისი უმთავრეს პოლიტიკურ სტრატეგემად ქცევა და ყოველმხრივი პოსტულაცია. მაგრამ ვხედავთ იმას, რომ ბაზარი თავის თავს აფუძნებს ზეცაზე მითითებით. ასეთი რამ კაცობრიობის ისტორიაშიც არასოდეს ყოფილა.

ძველ დროში, ტაძარში შესვლისას, მეზვერე და მეკერმე სულ უკან დგებოდნენ. ქრისტე ვაჭრებს ტაძრიდან დევნიდა. ახლა მეზვერე და მეკერმე საკურთხეველთან დგანან. თვით უფალი გამხდარა მთელი დუნიის დახლიდარი, ჩარჩი და მჩოდარი. უფლის სახელით წარიმართება პლანეტარული money making. ფულით ცხონდება კაცი. არა შრომით, არამედ ფულით, კაპიტალით, რომელიც არამადაა ნაშოვნი.

გლობალიზმი თვით კალვინისტური პრინციპების უარყოფაა. წარმოვიდგინოთ, რას იტყოდა თვით კალვინი, გლობალისტების ასეთ შაბაშს რომ შესწრებოდა.

რატომ ჰქვია გლობალიზმი იმ მოვლენას, რომელიც განკერძოებულია და სეგრეგაციული ცხონების იდეას ამკვიდრებს? რატომ ჰქვია გლობალიზმი იმ მოვლენას, რომელიც ჭეშმარიტი საგანმანათლებლო გლობალიზმის, მარქსისტული ფორმაციული გლობალიზმის ძირეულად წინააღმდეგია? რატომ ჰქვია გლობალიზმი იმ მოვლენას, რომელიც თანაბარი წარმატებით იყენებს როგორც ფუკუიამასეულ ისტორიის დასასრულის, ასევე ჰანტინგტონისეულ ცივილიზაციათა შეჯახების იდეებს? რაღა არის გლობალიზმი, თუ საბაზრო რენტაბელობისა და სელექციის სახელით ხდება განმანათლებლური გლობალიზმის დემონტაჟი? ეს ისტორიის დასასრული კი არა, რადიკალური ანტიისტორიზმია. აქ ცნებათა ძალზე ვერაგულ შეცვლასთან გვაქვს საქმე. სახელთა გამართვა კი არ ხდება, არამედ მათი გამრუდება და თავდაყირა დაყენება. ამიტომ ცრუობენ, რომ გლობალიზმი რაღაც ახალი და ოვალსაჩინო მიღწევაა ლიბერალ-დემოკრატიისა და თავისუფალი ბაზრის განვითარებაში. სინამდვილეში ამ მოვლენაში ფორმაციული და განმანათლებლური აზრით არაფერი ახალი არაა.

შეერთებული შტატები დაიწყო როგორც ახალი რევოლუციური უტოპია, რომელიც ეფუძნებოდა პროტესტანტულ ფუნდამენტალიზმს, მის რჯულში მოშურნეობას, ვისაც Mayflower American (ძირძველი ამერიკელი) ეწოდება. ამერიკის სივრცეები მიიჩნეოდა აღთქმულ მიწად ინგლისიდან გადმოხვეწილი ფანატიკოსი პურიტანებისათვის. კოლონისტი ანგლოსაქსებისათვის ახალი სამყარო იყო Schicksalsraum (ბედით ნაბოძები სივრცე). მათი ექსპანსია დასავლეთით, წყნარი ოკეანისაკენ წარიმართა. ახალ სამყაროში არ იყო ძველი სამყაროს - ევროპის ცოდვებისაგან დამძიმებულობა. აქ უნდა აღსრულებულიყო ღვთის განზრახვა და ისტორია დასრულებულიყო. ფუკუიამამ ეს აზრი მთლიანად სეკულარული ცნებებით გამოხატა. ფუნდამენტალისტთა თანახმად, (თვით ეს ცნება საზოგადოებრივ მეცნიერებაში ამერიკიდან შემოვიდა) ანგლოსაქსები უფალმა აირჩია და Yankee Nation (ამერიკელი ერი) განახორციელებს ბოლო ჟამის მიზანს. პლიმაუტის საძმოს ეთნოესქატოლოგიური სწავლება და Manifest Destiny-ს (ბედის განზრახვის გამოვლენა) იდეა შემდგომ გარდაისახა გეოპოლი-

ტიკურ და ისტორიოგრაფიულ კონცეპტად და უმთავრეს საზღვაო, თალასოკრატიულ სტრატეგემად ადმირალ ალფრედ მეჰენთან.

პურიტანული მესიანიზმით იყო განპირობებული ამერიკელთა უდიდესი ყურადღება ნაცისტური გეოპოლიტიკისადმი 1945-55 წლებში. შეიძლება ითქვას, რომ მათ ყველას დაასწრეს გერმანული გეოპოლიტიკის შესწავლა და ამ მეცნიერების საკუთარ მიზანთა შესაბამისად განვითარებისათვის საფუძვლის მომზადება. ისიც უნდა ითქვას, რომ ბრიტანეთის საზღვაო იმპერიის ზეობის დროს, რესტავრირებულ ბრიტანულ მონარქიას შეთვისებული ჰქონდა ის პურიტანული ფუნდამენტალიზმი, რომელმაც ინგლისის რევოლუციის დროს, კრომველის ხელით დაამხო მონარქია. იმპერიისდროინდელი ინგლისური რასიზმი და პროტესტანტული ფუნდამენტალიზმი ერთი მოლიანი იდეოლოგემა იყო. ინგლისური რასიზმიდან აიღო ბევრი რამ გერმანულმა რასიზმმა ნაციონალ-სოციალისტური სისტემის დამყარების შემდეგ. ნუ დავივიწყებთ, რომ ჰიტლერი ინგლისელებით აღტაცებული იყო ნაციზმის ჩამოყალიბების ადრეულ პერიოდში და ის „ჩემს ბრძოლაში“ აყენებდა ბრიტანელებთან მოკავშირეობის იდეას. ისტორიამ კი სხვაგვარად განსაჯა.

ამერიკელებმა ბრიტანეთის იმპერიის დაცემის შემდეგ დაიწყეს პლანეტარული მესიანიზმის იდეის განხორციელება. ბრიტანელები XIX საუკუნის ბოლოს მიიჩნევდნენ, რომ ისტორია დასრულდა და მათი იმპერიის დიდების მზე მუდამ ზენიტში იდგებოდა. ამერიკელთა გარდა, პლანეტარული მესიანიზმი განახორციელა ცარისტულმა და საბჭოთა რუსეთმა. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ ამერიკელებმა ისტორიის დასასრულის იდეა კვლავ გაიხსენეს. ამ იდეას ეწყობა Mayflower family-ს (ძირძველი ამერიკული ოჯახის) დროინდელი ფუნდამენტალიზმი, რომელიც დღეს იუდაისტური მესიანიზმის სულიერი ძმაა.

შპენგლერი „ევროპის დაისის“ მეორე ტომის მესამე თავში ამბობს, რომ ინდეპენდენტების ძველი აღთქმისეულმა უდიდესმა სწრაფვამ, მრავალ ინგლისურ ოჯახში ჯერ კიდევ XIX ს.-ში დაამკვიდრა რწმენა, რომ ინგლისელები ისრაელის ათი

შტოს მემკვიდრენი და წმინდა ხალხი არიან. ისინი მსოფლიოზე უნდა გაბატონდნენ. ამ რწმენამვე, შპენგლერის თანახმად, გამოიწვია მათი ამერიკაში გადასახლება 1620 წელს და მის საფუძველ'ზე შეიქმნა ის, რასაც დღეს შეიძლება ამერიკული რელიგია ეწოდოს.

აქვე ვთქვათ, რომ სხვა აბრაამიტული რელიგია - ისლამი, იანკების ნაციონალისტურ ესქატოლოგიასა და კაპიტალის ინტერნაციონალიზმს უპირისპირებს ინტერნაციონალურ მუსლიმურ მესიანიზმს. კალვინისტურ-იუდაისტური საღვთო ალიანსის მიერ აბსოლუტური ბაზრის დაფუძნებას ისლამური ფუნდამენტალიზმი უპირისპირებს აბსოლუტურ ჯიჰადს. აქ კვლავ საოცარი მოვლენის შემსწრენი ვართ. ისლამი თითქოს უნდა უახლოვდებოდეს კალვინისტურ-იუდაისტურ რელიგიურ ალიანსს თუ არა, იუდაიზმს მაინც. ისლამში რაციონალური მოტივები ძალზე ძლიერია, მაგრამ ის ზემოთხსენებულ ალიანსს, რომელიც გლობალიზმის იდეური წარმმართველია, არ უახლოვდება. ისლამი მათი მტერია. ამ მოვლენის რაციონალურად ახსნა ძნელია. იმის მიუხედავად, რომ მაღრიბ-მაშრიყში მრავლად არიან პროამერიკული რეჟიმები, ხოლო თურქეთი მრავალწლიანი სეკულარიზმის გზას ადგას, მაინც არ ხდება შესამჩნევი იდეური შემზადება კალვინისტურ-იუდაისტურ ალიანსთან ისლამის დაახლოებისათვის. ამაში პროვიდენციალური აზრი ძევს.

როდესაც საქმე იმ საკრალურ იდეას ეხება, რომელმაც განსაზღვრა ისტორია, ამერიკელები ნაციონალისტები არიან. ხოლო როდესაც საქმე სრულიად დეპატრირებულ თავისუფალ ბაზარს ეხება, ამერიკელები არიან რადიკალური ინტერნაციონალისტები და ყველას მოუწოდებენ იყვნენ ბაზრის და არა იდეის ინტერნაციონალისტები. სხვათა ნაციონალიზმი და საკრალური იდეა, სხვათა ფუნდამენტალიზმი ამერიკელთა მიერ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სახელით დაუნდობლად იგმობა.

პროვიდენცია იმასაც დაგვანახებს, რომ თუ ამერიკის უმთავრესი მესიანისტური სუპოსტატის - საბჭოთა იმპერიის დაცემა იყო ისეთი სამარცხვინო და ღალატიანი, როგორიც არ იყო არც ერთი სხვა იმპერიის დაცემა, მაშინ ამერიკის დაცე-

მა საზარელი იქნება. ეს იქნება არა ბოლშევიზმისამებრ უსიხ-ლო ღალატით დაცემა, არამედ ინფერნალური კატაკლიზმი. დასავლელი ფაუსტური ადამიანის ყველა ქმედებისათვის გან-ტევების ვაცად ისტორიის სამსჯავროზე წარდგება ამერიკა და არა ევროპა.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ საბჭოთა იმპერიის ასეთი სირცხვილეული, ერთი გასროლის გარეშე დაცემით, ისტორიის პროვიდენციულმა ძალამ რუსეთს აარიდა ის, რაც მან ამერიკისათვის განამზადა? ამერიკის დაცემა იქნება თუ არა ევროპის დასასრულიც?

რუსეთის ისტორია ირაციონალურია, გროტესკულია, ხშირად სამოდურულია და ეს გვიშლის ხელს დავინახოთ აზრი მსოფლიოს ამ უდიდესი გიგანტის არსებობაში. შევხედოთ, რა ხდება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ: რუსეთი კარგავს მოკავშირე რესპუბლიკებად წოდებულ გარე ტერიტორიებს. დავხედავთ პოსტსაბჭოთა რფ-ს რუკას და ჩანს, რომ საბჭოთა იმპერიის მოხაზულობისაგან რფ-ს მოხაზულობა დიდად არ განსხვავდება. ის ევრაზიის გულად რჩება.

ამაოდ შფოთავენ რუსი მედასავლეთენი, ლიბერალები და რეფორმატორები, ცდილობენ რა რუსეთის ისტორიის რაციონალიზებას. ჯერ კიდევ არის რაღაც დიდის იმედი. მომ-ლოდინე შემმეცნებელს ძალზე ბევრ რამეზე უწევს თვალის დახუჭვა, რომ ეს იმედი და პროვიდენციის რწმენა შეინარჩუნოს. ეს სულიერი გამოცდასავითაა. იმედი იმის შემდეგაც კი რჩება, როდესაც ვხედავთ, რომ პუტინი და მისი მოავრობა უუნაროა საიმისოდ, რათა გლობალურ მზიურ წამოწყებას ჩაუყაროს საფუძველი და გადაწყვიტოს ფორმაცია-ცივილიზაციის პრობლემა.

საბჭოთა იმპერიის უომრად დაცემის რაციონალური ახსნანი მრავლად არსებობს და მასზე დღემდე იწერება. რაციონალური ისაა, რომ იმპერია ღალატით, სიცრუით, ფუჭსიტყვაობით დაეცა. მაგრამ, საბოლოო ჯამში, რუსეთის იმპერიის დაცემაში ირაციონალური უფრო მეტია. ორი სისტემის ჭიდილში ღალატით დაცემული რუსეთი მართალია. მართალი კი არაა ის სისტემა, რომელმაც გაიმარჯვა რუსეთთან ბრძოლაში. აი, რაში მდგომარეობს რუსეთის სიმართლე: მან უდიდესი გეოპოლი-

ტიკური, სამხედრო, იდეური დათმობები განახორციელა დასავლეთთან პოლემიკაში და საამისოდ არ მოითხოვა არანაირი დოკუმენტური გარანტიები. ის ენდო დასავლეთს როგორც იდეურ ნათესავს. მუდამ კომპრომისების ხელოვნებაზე მოლაპარაკე დასავლეთმა კი არც ერთი კომპრომისი არ განახორციელა. დასავლეთმა დაგვანახა პოლიტიკის ქრისტიანიზების შეუძლებლობა. მან დაგვანახა განდიზმის უაზრობა ახლანდელ ეპოქაში.

რუსეთის დიდი ზნეობრივი სიმართლის დანახვასა და დაფასებაში ხელს გვიშლის ელცინის დანაშაულებრივი მმართველობა, 1992-97 წლების გაპარტახება, რუსული ლიბერალური მედიაკრატიის გულისწამღები ყიყინი და უდიდესი რესენტიმენტულობა. შეუძლებელია, რომ ასეთი ზნეობრივი სიმართლე დაიკარგოს, განქარდეს და გაზეთების არაფრადჩასაგდები გახდეს.

საბჭოთა იმპერია დაეცა, მაგრამ ისე, რომ ის მართალი დარჩა ისტორიისა და ღვთის წინაშე. ეს სიმართლე გადასწონის ნეოლიბერალური ბანაკის მთელ ძლიერებას და მტვრად აქცევს კაპიტალის ხიბლს. რუსეთის ზნეობრივი სიმართლით შექმნილი მორალური კაპიტალი უფრო მეტია, ვიდრე მსოფლიო კაპიტალის ტიტანური ძალა.

ჩინეთმა დაიცვა მაო ძედუნის პოლიტიკა და მარქსიზმი, მაგრამ მას არა აქვს ზნეობრივი სიმართლე. მის მიერ საკუთარი რევოლუციური წარსულის დაცვას მეტად უტილიტარული და ნაყალბევი ელფერი დაჰკრავს. აქ ბევრი რამ გასარკვევია, თორემ მედიაკრატია ბევრს ლაპარაკობს ჩინეთზე, მის ეკონომიკაზე.

რუსეთთან ასეთი მოპყრობით დასავლეთმა მასთან საერთო, თავისი რევოლუციური ისტორიის ფესვები გადაჭრა. სიხარბით ატანილმა დასავლეთმა ეს არ დაინახა.

მედიაკრატიის მიერ შეგნებულად დაშვებული უაზრობა იყო იმაზე ლაპარაკი, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აშშ კორექტული პოლიტიკის გზას დაადგებოდა და არ შექმნიდა ერთპოლუსიან, მონისტურ მსოფლიოს. უამრავი პოლიტოლოგი გვარწმუნებდა 1991 - 94 წლებში, რომ ახლა დემოკრატიის ერა დადგა და ყველანი ცივილიზებული ურთიერთობების

საზღვრებში რჩებიან. სინამდვილეში, საბჭოთა კავშირის დაშლიდან პირველივე წელი მეტყველებდა, რომ აშშ აგრესიის გზით წავიდოდა და თალასოკრატიული კონცეპტების ფორსირებას დაიწყებდა. ამ ვითარებას საგულდაგულოდ მალავდა ლიბერალური რუსული მედია, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლაში უდიდესი მოლალატური როლი შეასრულა.

არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დასავლეთს არ აღმოაჩნდა ის უნარი, რათა ლიბერალიზმი შეენარჩუნებინა ფორმაციული სახით, ფორმაციულ ფარგლებში, რომ არ მოეხდინა კაპიტალის ახსნა და შრომის დამონება. დასავლეთმა საკუთარი ფორმაცია აღარ იკმარა და ვერც სხვა რამ შექმნა. მან განახორციელა განმანათლებლობის დანაშაულებრივი პრივატიზაცია. პოლიტიკური და ზნეობრივი ტვირთისაგან გათავისუფლებული კაპიტალი იწყებს ადამიანთა საბაზრო დევნას.

დასავლეთი არა მხოლოდ ფორმაციული თვალსაზრისით მოექცა რუსეთს ასე მზაკვრულად. რუსეთი დასავლეთს თავისიანად მიიჩნევდა, მიუხედავად მასთან მტრობისა. რუსეთი დასავლეთს განმანათლებლობისა და რევოლუციების მემკვიდრედ თვლიდა და გავიხსენოთ ის, თუ როგორ ცდილობდა საბჭოთა იდეოლოგია ხაზი გაესვა დასავლეთთან ამ იდეური ნათესაობისათვის, როდესაც ის ამხელდა ბურჟუაზიულ თეორიებს. ისიც ვთქვათ, რომ მარქსიზმისა და ლიბერალიზმის გარდა, რუსეთს დასავლეთთან ბევრი რამ ჰქონდა საერთო. ჯერ კიდევ მარქსიზმის გაჩენამდე, ცარისტული რუსეთი ევროპული პოლიტიკის ნაწილი იყო. დასავლეთმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთს ხელი ჰკრა, როგორც ცივილიზაციურ ნათესავსაც. რუსული ქრისტიანობა დასავლეთმა არაფრად მიიჩნია და მისი პროპაგანდისტული დემონიზაცია დაიწყო. ეს იმას ნიშნავს, რომ დასავლეთი უარს ამბობს რუსული ევროპეიზმის ყველა მიღწევაზე და გამოდის, რომ გეოგრაფიული ევრაზიის დიდი ნაწილი აზიური იყო კულტურულად და აზიურივე დარჩა. ამ მსჯელობით ევროპა კალინინგრადიდან უკვე აზიის მეზობელია. დასავლეთმა რუსეთის ფორმაციული განქიქება (ბოლშევიკური ტოტალიტარიზმი, დირექტიული ეკონომიკა, ერთპარტიული მმართველობა და ა.შ.) მალევე

გადაზარდა რუსეთის ცივილიზაციურ განქიქებაში (მართლმადიდებლური ტოტალიტარიზმი, სობორულობა, ოქროს ურდოს მძიმე მემკვიდრეობა და ა.შ.).

რუსეთს რომ სჯეროდა დასავლეთის იდეური წამოწყებებისა XX ს. 70-80-იან წლებში, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ობიექტურად ლაპარაკობდნენ მაგ. რომის კლუბზე და მის მიერ დასმულ პრობლემებზე, ითარგმნებოდა პეჩეი, ფორესტერი, პესტელი და სხვა მოაზროვნენი. განიხილებოდა გლობალური პრობლემების ფილოსოფია. ამ მიმართულების დასავლელი მკვლევარნი მსოფლიო მთავრობის შექმნის იდეას ემხრობოდნენ. უფრო ადრე ამ იდეას ემხრობოდა ტოინბი. კონვერგენციის (ორი სისტემის შერწყმის) იდეა მონდიალისტებისაგან მომდინარეობდა და საბჭოთა მეცნიერება მისი შესაძლებლობების კვლევას ეწეოდა.

80-იანი წლების ბოლოს გამოცემულ საბჭოთა სპეციალიზებულ ცნობარებსა და პოლიტიკურ ლექსიკონებში ნეოგლობალიზმზე იყო ლაპარაკი. იყო ასეთი სალექსიკონო სტატია „თანამედროვეობის გლობალური პრობლემები“. ტერმინი „ნეოგლობალიზმი“ ამავე პერიოდში დასავლურ პოლიტიკაში გამოიყენებოდა. ახლა თუ ტერმინ „ნეოგლობალიზმიდან“ ტერმინ „გლობალიზმისკენ“ დაბრუნება ხდება, ეს მხოლოდ დასავლური პროგრესიზმის უკუსვლას შეიძლება გულისხმობდეს, მაგრამ ამაზე არ ლაპარაკობენ. ან კიდევ, ამ ტერმინთა ცვლა გვიჩვენებს, რომ რაღაც ცუდად არის დასავლურ სისტემაში.

დღეს, გლობალიზმზე საუბრისას, ხშირად გამოიყენება პლანეტარულის ცნება. მაგრამ არაა გამორკვეული ის, რომ პლანეტარული ხდება არა ლიბერალიზმის კლასიკური პრინციპები, არამედ აბსოლუტური ბაზარი და სპეკულაციური კაპიტალი. გამანათლებლურ საყოველთაობას ცვლის ფინანსურ-კომპიუტერული პანკოსმიონი. განმსაზღვრელი არის არა დემოკრატია, არამედ საბაზრო ეკონომიკა, რომლისთვისაც ეს დემოკრატია ზედმეტი ტვირთია. გლობალიზმი უნივერსალური ფინანსური რეგლამენტაციის პრინციპებს ამკვიდრებს მსოფლიოში. უთვალავი კომპიუტერის მონიტორებზე ფულის მეტაფიზიკა იწერება.

მედიაკრატია გვარწმუნებს, რომ უნდა დავეთანხმოთ მსოფლიო ისტორიის დამასრულებელი ეტაპის ამერიკულ ინტერპრეტაციას. უნდა დავეთანხმოთ იმას, რომ ყოველივე აქამდე არსებული ბოლოს ამერიკელთა დასაწუნი და ჩამოსაწერი გახდებოდა, რომ ყველა ხალხისათვის სავალდებულოდ იქცეოდა ამერიკელთა მიერ რედაქტირებული და ადაპტირებული საყოველთაო ისტორია და უნივერსალური ფინანსური რეგლამენტაცია.

როგორ შეიძლება დაეთანხმოს მეცნიერი, რომ ყველაფერი დასრულდა სწორედ ისე, როგორც ამერიკელები ითვალისწინებდნენ?

გლობალიზმი ხალხების უმეტესობას არასრულფასოვნად მიიჩნევს და ცდილობს აამოქმედოს მათი გადაშენების პროგრამები. აბსოლუტური ბაზრისათვის ეს ხალხები წუნდებული საქონელია და მათი ადგილი გიგანტურ გეტოებში ან სასაფლაოზეა.

მსოფლიოს სამერმისო გაერთიანებაზე მოფიქრალი რუსი მწერალი დანიილ ანდრეევი (1906 - 1959) თავისი პროფეტული წიგნის „მსოფლიოს ვარდის“ დასაწყისში კითხულობდა: „სად ძევს იმ კოშმარული პერსპექტივების საზღვრები, რომელნიც ჩვენი წარმოსახვის წინაშე წარმოიშობიან ორი ფაქტორის - ტერორისტული ერთმმართველობისა და XXI საუკუნის ტექნიკის შერწყმის შედეგად?“

მიმართულება, რომელიც გლობალური პრობლემების ფილოსოფიად იწოდება, დღეისათვის გულისხმობს მხოლოდ დასავლეთის პრობლემებს. მსჯელობენ პოსტკაპიტალისტურ, პოსტინდუსტრიულ, ინფორმაციულ საზოგადოებებზე, მაგრამ არა მომავალი ფორმაციის გამომუშავების აუცილებლობაზე. ახსნილმა კაპიტალმა ეს პრობლემა გააუქმა. ის უარს ამბობს შრომასთან დიალექტიკურ ურთიერთობაზე.

დასავლეთიდან მომდინარეობდა შეშფოთება ორი სისტემის დაპირისპირების გამო და მან წამოაყენა კონვერგენციის იდეა. დასავლეთს აფიქრებდა სამომავლო ეკოლოგიური და დემოგრაფიული კრიზისი, წყლის და საკვების დეფიციტის მზარდი პრობლემა, პლანეტის ყოველმხრივი გადატვირთვა, მიწათსავარგულების შემცირება, ზღვის ფსკერის დაბინძურება,

ტყეების გაჩეხვა, გლობალური დათბობა, ოზონის ხვრელის ზრდა და ა.შ. ადრეული გლობალისტები მიუთითებდნენ უნარჩენო ტექნოლოგიების წარმოებისა და ინდუსტრიის ეკოლოგიზაციის აუცილებლობაზე. ეს გულისხმობდა ტექნიკური განვითარების შენელებასა და თანდათანობით თავის შეზღუდვას. განიხილებოდა გამალებული შეიარაღების საყოველთაო პრობლემა. უმაღლეს სახელისუფლო დონეზე განიხილებოდა სტრატეგიული ბირთვული პარიტეტის შესაძლებლობანი. საქვეყნოდ ცნობილი ორგანიზაცია „გრინპისი“ ატომური ნარჩენების განთავსების გამო აქციებს აწყობდა, მთელ დედამიწას გარს უვლიდა და ყველას ახსენებდა პრობლემის სიმწვავეს.

აი, აქედან დაიწყო გლობალიზმი. ეს ცნება თავიდან ალარმისტულ დისკურსსა და კრიტიკულ რეფლექსიას გულისხმობდა. ყველა ეს საკითხი ორ დაპირისპირებულ სისტემას ერთობლივად უნდა გადაეჭრა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დასავლეთმა ამ საკითხების გადაწყვეტაზე უარი თქვა და ის ცდილობს მთელი არადასავლური მსოფლიო თავის სანედლეულო დანამატად აქციოს. ადრეული გლობალიზმის კრიტიკული რეფლექსია და საფუძვლიანი ალარმიზმი ბაზრის აპოლოგიით, წარმოების რეექსტენსიფიკაციითა და თალასოკრატიის რადიკალიზებით დასრულდა.

ეს ნიშნავს, რომ თავდაპირველი გლობალიზმის მიერ დასმული ყველა პრობლემა დავიწყებას მიეცა. დემოკრატიულ ევროპაში 1999 წელს ალარმისტობა არავის დაუწყია, როდესაც მისი შუაგული-სერბეთი ამერიკელთა მიერ გაღარიბებული ურანის შემცველი ჭურვებით დაიბომბა. გამალებული შეიარაღების თემა დღეისათვის საგანგებოდ დავიწყებულია, იმის მიუხედავად, რომ მრავალი ათეული დიდი თუ მცირე ქვეყანა რემილიტარიზაციისა და სრული სამხედრო გადაიარაღების გზას ადგას.

დასავლეთმა ვერ შეძლო და არც შეუძლია რეცეპტურულ-ტექნოლოგიური ცივილიზაციის გარდაქმნა და მისი შეზღუდვა. ადრეული გლობალიზმის წუხილი და შეშფოთება გლობალური პრობლემების გამო ლიტონ სიტყვად დარჩა. თავის დროზე ამ პრობლემათა დაყენება გვიჩვენებდა, რომ ზნეობრივი საწყისის

მინიმუმის არსებობას დასავლეთში განაპირობებდა სოციალისტურ ბანაკთან დაპირისპირება. ესეც ერთგვარი ირაციონალური მომენტია. საბჭოთა ბანაკის დაშლის შემდეგ გლობალიზმი გლობალურ სეგრეგაციად გადაიქცა.. ეს გვიჩვენებს, რომ მსოფლიოს მპყრობელად ქცეულ დასავლეთს არ ჰქონია იმის უნარი, რომ ეს ზნეობრივი მინიმუმი შეენარჩუნებინა. გლობალიზმი, როგორც სრული ლიბერტარიზმი, არის ექსტრემისტული ამერიკანოცენტრიზმი და Pax Americana-ს იგივური ცნება. მას მოსაჩვენებლად ეწოდება გლობალიზმი. დემოკრატიზებას საჭიროებენ არა ანტიამერიკანისტული ქვეყნები, არამედ თვით გლობალიზმი, რომელიც დემოკრატიის ყველა პრინციპის უარმყოფელია.

რადიკალურად თალასოკრატიული გლობალიზმი არის ბურჟუაზიის, ფინანსურ ფლიბუსტერთა გლობალური აჯანყება განმანათლებლობის წინააღმდეგ. მათ გვერდით უდგას აგენტურული და მედიაკრატიული ინტერნაციონალი. მასების აჯანყება, რაზეც ორტეგა ი გასეტი მსჯელობს, იცვლება ფინანსურ ფლიბუსტერთა აჯანყებით, რომლის მიზანი არის ყველა სოციალური ვალდებულებისა და იმპერატივისაგან გათავისუფლება. ფინანსური ფლიბუსტერი პროლეტარივით უსამშობლოა, მაგრამ მას პროლეტარისაგან განსხვავებით, ბევრზე ბევრი რამ აქვს დასაკარგი. იგი ყველა საშუალებით ცდილობს ყველა რისკის მინიმიზაციას და ქმნის თავის კონტრკულტურას. კაპიტალის ნომადიზაციის შემდეგ, ფლიბუსტერი ინვესტორის სახელით დაძრწის მთელ დუნიაზე. არანაირი განსხვავება აღარაა მაფიოზსა და ფლიბუსტერს შორის. მასთან შედარებით XV საუკუნის ვენეციელი ვაჭარი მტრედად მოჩანს.

პლანეტარული ბაზრის პირობებში გეოპოლიტიკურ ცნებებსა და გეოგრაფიულ დეტერმინანტებზე ლაპარაკი თითქოს უაზრო უნდა იყოს. ამას მრავალი დემოკრატი ამტკიცებს, მაგრამ პირიქით ხდება. გეოპოლიტიკა არც მოძველდა, არც ისტორიას ჩაბარდა. ამ დისციპლინის აქტუალიზება ხდება.

როდესაც საერთაშორისო დონის შეხვედრები ეწყობა, დიპლომატები არ კამათობენ, მაგალითად, მაკინდერის ან ჰაუსჰოფერის თეორიებზე და არავინ ახსენებს გეოპოლიტიკის ცნებებს. ლაპარაკობენ მხოლოდ რეფორმებზე, განვითარებაზე,

თანამშრომლობაზე, მაგრამ ამის უკან დგას გეოპოლიტიკური დუალიზმი.

პოლიტიკის თეორიაში მოღვაწე ჰანტინგტონი ნეოატლანტიზმის ცნობილი წარმომადგენელია. ბჟეზინსკის პოლიტოლოგიური ნააზრევი გეოპოლიტიკური ხასიათისაა. მისი ნაშრომი „დიდი საჭადრაკო დაფა“ ამაზე მეტყველებს.

როდესაც პოლიტიკის თეორიაში მომუშავე ქართველი დემოკრატები არტისტულად ემიჯნებიან გეოპოლიტიკას, მათ უნდა ვკითხოთ, თუ როგორ აცალკევებენ ისინი ჰანტინგტონის ან ბჟეზინსკის ნააზრევში პოლიტოლოგიასა და გეოპოლიტიკას.

ნეოატლანტიზმის თანახმად, რუსეთის დემოკრატიზაცია ვერ შეწყვეტს ბრძოლას ხმელეთსა და ზღვას შორის. ჰანტინგტონის თანახმად, დასავლეთსა და ევრაზიას შორის მტრობა გაგრძელდება ცივილიზაციურ საფუძველზე. წინ გამოვა რელიგიური იდეა. ჰანტინგტონის ცივილიზაციური თეორია არის იმის თვალსაჩინო მაგალითი, რომ გეოპოლიტიკა დგას ისტორიის ფილოსოფიის, პოლიტიკური მეცნიერების, ფილოსოფიის ისტორიის მოსაზღვრედ.

პოსტბოლშევიკური პერიოდის მთლად დისკრედიტებული ატლანტიზმის გლობალიზაცია ნიშნავს მემარჯვენე მონდიალიზმის მიზნების პოსტულირებას. კამათი ნეოატლანტიზმსა და მემარჯვენე მონდიალიზმს შორის არაფერს ცვლის ამ საქმეში, ისევე როგორც ჰანტინგტონის კამათი ფუკუიამასთან, ისევე, როგორც სოროსის კამათი თეთრი სახლის ახლანდელ ადმინისტრაციასთან. სოროსიც ისევეა გლობალური სპეკულაციური კაპიტალის დამცველი, როგორც ნეოკონსერვატორები. სოროსი და ბუში, რომლის პრეზიდენტად კვლავ არჩევის კატეგორიულ მოწინააღმდეგედ სოროსი ახლახანს გამოდიოდა (2004 წლის შემოდგომა), ისევე რჩებიან თანაადეპტებად, როგორც ფუკუიამა და ჰანტინგტონი. ისინი, ყველანი ერთად, ჰაუსჰოფერის ტერმინით რომ ვთქვათ, იწყებენ Umbruch-ს (ხვნა), რაც გულისხმობს მსოფლიოს გადანაწილებას. ხოლო კამათი მონდიალიზმის მიმართულებებსა და გლობალისტების ცალკეულ წარმომადგენლებს შორის, მხოლოდ ამა სოფლის ძლიერთა ინტელექტუალურ თავშესაქცევად რჩება. ჰანტინგტონისეული The West and The Rest (დასავლეთი და სხვა

დანარჩენები) გლობალური სეგრეგაციის მეცნიერული დაკანონებაა.

ბეჭინსკისეულ დიდ საჭადრაკო დაფაზე გლობალიზმი ცაიტნოტში აყენებს თვით ევროპულ ქვეყნებს - უნგრეთს, ჩეხეთს, რუმინეთს, პოლონეთს, ბულგარეთს, უკრაინას. საქართველოზე სათქმელიც არაფერი რჩება. გლობალიზმმა დაამდაბლა საქართველოს სტატუსი. ის იყო მეორე სამყაროს წევრი, რომლის ეკონომიკური განვითარება 1989-91 წლებისათვის თავის პიკს აღწევდა. პირველი სამყარო იყო დასავლეთი, მეორე - სოციალისტური ბანაკი. ახლა საქართველო მეოთხე სამყაროს ქვეყანაა. დასავლეთი ყოფილი მეორე სამყაროს და ასევე აღმოსავლეთის ქვეყნების ყოველმხრივ მარგინალიზებას ცდილობს. საქართველოს განვითარებადი ქვეყანა ეწოდება და იმედი გამოითქმის, რომ მალე ის განვითარებული ქვეყნების რიგში ჩადგება. დასავლეთმა საბჭოთა საქართველოს მიღწევები მოსპო და მათი იდეური დისკრედიტაციაც მოახდინა. ასეთი სრული დემონტაჟის შემდეგ გამორიცხულია, რომ დასავლეთი დაინტერესებული იყოს ყველაფრის თავიდან აღდგენით. სოციალიზმისდროინდელი განვითარებულობის დონის (1989-91 წწ.) მიღწევაც კი შეუძლებელი ხდება საქართველოსათვის და ლაპარაკი უახლესი ტექნოლოგიების დანერგვაზე უაზრობაა.

საბჭოთა საქართველოში არსებობდა დახურული, გასაიდუმლოებული საწარმოები. „მიონი“ ამზადებდა სარაკეტო პლატებს. თბილისის საავიაციო ქარხანა სამხედრო დანიშნულების ტექნოლოგიური კომპონენტების წარმოებას ეწეოდა. დღეს რომ მოხდეს „მიონის“ ძირითადი ფონდების რენოვაცია, სპეციალისტების გადამზადება-რეკვალიფიკაცია და დაიწყოს გალიუმის არსენიდის საწარმოო გამოყენება, მიკროჩიპების გამოშვება, საავიაციო ქარხანამ რომ დაიწყოს, მაგალითად, სამხედრო ვერტმფრენების მაკომპლექტებელი დეტალების დამზადება, საქართველოსათვის ეს ტექნოლოგიური სიახლე და გლობალიზაციასთან ზიარება იქნება, მაგრამ იგი მაინც კონტექსტიდან ამოგლეჯილ მოვლენად დარჩება და მსოფლიო ეკონომიკური ჯაჭვედის მხოლოდ ერთ მცირე რგოლად და პერიფერიულ ტექნოლოგიურ რეცეპციად წარმოგვიდგება.

გაუგებარია ხოლმე ის მედიაკრატიული ემფაზა, რაც ქვეყანაში, მაგალითად, წვენების ან ლუდის ჩამოსასხმელი ახალი ხაზების ინსტალაციას მოსდევს ხოლმე. ეს არაა ახალი ტექნოლოგია. მართლა ახალ და, მით უმეტეს, უახლეს ტექნოლოგიებს დასავლეთი ასე იოლად არ მიჰყიდის იმ ქვეყნებს, რომელთაც საბაზრო კრიტერიუმების მიხედვით წუნი დაედოთ და იდეურად მარგინალიზებულნი არიან. საქართველოს failed state (არშემდგარი სახელმწიფო) უფრო საბაზრო, ვიდრე დემოკრატიული კრიტერიუმების მიხედვით ეწოდება.

დასავლეთი რომ ლაპარაკობს ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნაზე, ეს სულაც არაა ის კომპენსაცია, რაც ჩვენ, ყოფილმა საბჭოთა მოქალაქეებმა, უნდა მივიღოთ დასავლეთის მიერ ერთიანი პოლიეთნიკური, იდეურ-კულტურული და სოციალური სივრცის დაშლის სამაგიეროდ. დასავლეთის მიერ შემოთავაზებული ერთიანი სივრცე არაა ერთიანი იდეურ-კულტურული და სოციალური სივრცე, არაა ერთიანი ისტორიული დროის მქონე. ამ ეკონომიკურ სივრცეს არა აქვს ყველასათვის საერთო დრო, არა აქვს არანაირი მოვალეობა ვინმესთან ურთიერთობაში. ამას განზრახ არ არკვევენ და ისე წარმოჩინდება, რომ ერთიან ეკონომიკურ სივრცეზე ლაპარაკი თავისთავად გულისხმობს იდეურ, სოციალურ, ისტორიულ-ტემპორალურ ერთობას. მხოლოდ ადამიანთა დასაბნევად გამოიყენება სოციალურის ცნება. ნეოლიბერალიზმი რადიკალურად ანტისოციალურია. ამის გამოა, რომ იგი ითავსებს შეუთავსებელს - ნეოეთნიზმს, ნეოტრაიბალიზმს, ექსტრავაგანტურ ნეოარქაიზაციასა და ბარბარიზაციას. არის მომენტები, როდესაც ნეოლიბერალიზმი გამოდის ბარბაროსული ნეოეთნიზმის მოკავშირედ, შემდეგ კი მის გმობას იწყებს. გვერდიგვერდ თანაარსებობენ სოციალური ენტროპია და ნეოლიბერალიზმი.

დასავლური იდეოლოგია სოციალურის ცნებას საბაზრო ექსტრემიზმის შესანიღბავად იყენებს, ისევე როგორც რევოლუციის ცნებას. ნეოლიბერალიზმი რევოლუციებს აწყობს. ეს ისტორიის თავდაყირა დაყენების კიდევ ერთი მაგალითია. რევოლუციას კაპიტალის წინააღმდეგ შრომა აწყობდა. კაპიტალი

უფრთხოდა რევოლუციის ხსენებასაც კი. ახლა კი ის რევოლუ-ციონერად იქცა სერბეთში, საქართველოში, უკრაინაში. ეს დემოკრატიის სახელით ხდება და ამით ინიღბება თავისუფალი ბაზრის აბსოლუტისტური მისწრაფებანი. 2004 წლის დეკემბერში რის ვაინაჩრობით კაპიტალმა უკრაინაში მოაწყო სერბეთისა და საქართველოს რევოლუციათა მსგავსი რევოლუ-ცია. ეს უკრაინას არ აახლოებს დასავლეთთან. უკრაინაზე უფრო ახლოს დასავლეთ ევროპასთან არიან ერთი დუუინი აღმოსავლეთევროპული ქვეყნები, რომელნიც 15-წლიანი პოსტ-სოციალისტური პერიოდის გასვლის შემდეგ ხედავენ, რომ სულაც არ ყოფილა ისე, როგორც ისინი მიიჩნევდნენ 1989-93 წლებში. სერბეთი შუა ევროპაა და იქ მომხდარი რევოლუცია ამ ქვეყანას დასავლეთთან ოდნავაც ვერ აახლოებს. სერბეთი მარგინალიზებულ და რეპრესირებულ ქვეყნად რჩება და ლიტონი სიტყვა გამოდგა რევოლუციისშემდგომ სერბეთში დასავლური ინვესტიციების ნაკადზე ლაპარაკი. ასეთივე მსჯელობა მიმდინარეობს დღეს რევოლუციისშემდგომ უკრაინაში, რომელსაც წინ უძევს გაწბილებისა და დასავლეთისაგან დამცირების წლები.

XIX საუკუნის ევროპულ ქვეყნებში რევოლუციები რომ ხდებოდა, ამით იქმნებოდა ერთიანი იდეური ფრონტი, რევოლუ-ციური ინტერნაციონალი. კაპიტალის მიერ მოწყობილმა რევ-ოლუციებმა სერბეთში, საქართველოსა და უკრაინაში ეს ქვეყნები სულაც არ დააახლოვა იდეურად, არ წარმოშვა ახალი ფორმაციული შესაძლებლობანი. XIX საუკუნის რევ-ოლუციონიზმი კი ერთიან იდეურ-ისტორიულ ტემპორალობას ქმნიდა და ევროპის ხალხები თავიანთ ქვეყნებში მის მიხედვით ასწორებდნენ საათებს. წელებზე ფეხს იდგამდა ჩვენი დროის ლიბერალური მედიაკრატია, რომ რევოლუციონიზმის ჭეშმარიტად სახელოვანი ეპოქა აბუჩად აეგდო და ხალხებში რევოლუციური სულისკვეთება ამოეშანთა ღვარძლიანი და თვალთმაქცური სიტყვით. ამავე დროს იგი მოუღალავად აღუვლენს ხოტბას კაპიტალის სუპრემატიას და მის მიერ მოწყობილ რევოლუციებს. მედიაკრატიის მიერ იწერება დიდი თავანების აზმანი შარავანდედთანი.

კაპიტალი თვით დასავლეთის ისტორიის დეზავუირებას

ახდენს და მიუთითებს, რომ ბაზრის უფლებამოსილებანი უფრო მეტია, ვიდრე ისტორიისა და კულტურისა. გონისა და სულიერი ძალაუფლების ნაღვაწი და განაცხადი კაპიტალსა და ბაზარს უფლებამოსილების გადამეტებად მიაჩნიათ. ამის გამოა, რომ თანამედროვე ევროპული აზროვნების უდიდესი მიღწევები ფილოსოფიაში, ანთროპოლოგიაში, თეოლოგიასა და კულტუროლოგიაში არანაირ გავლენას არ ახდენს დასავლეთის პოლიტიკაზე და გლობალურ ფილოსოფიურ პრობლემებად წოდებული მიმართულებაც დეზავუირებულია. ბაზრისათვის ეს ყველაფერი არის წერე და იკითხე. რას ნიშნავს ნეოლიბერალური real policy-სთვის (პრაგმატიზმისათვის) მარტინ ჰაიდეგერის ან კარლ რანერის მოძღვრებები?

განმანათლებლობის მონეტიზაციის პირობებში დასავლეთი მხოლოდ ისეთი რეცეპციის შესაძლებლობას სთავაზობს მარგინალიზებულ ქვეყნებს, როდესაც მკვიდრდება მხოლოდ მასობრივი ბოჰემურობა, მედიაკრატიული ვოლუნტარიზმი და კომპრადორიზმი. ბებრის მიჯნურობასა და მათხოვრის ლაღობას ჰგავს უკანასკნელი მოდის მიხედვით შემოსილი პაუპერის ბოჰემურობა და ჰედონიზმი. ასეთი რამის წარმოდგენა გაუჭირდებოდათ როგორც მარქსსა და მარქსამდელ სოციალისტებს, ასევე ფრანგ განმანათლებლებს.

განმანათლებლურ ღვაწლში დგომა, ლოგოსის მსახურება იცვლება ჰედონისტური მნიშვნელობის ლოგოტიპების ტირაჟირებით. ასეთ ვითარებაში ცივილისტური რეცეპცია, დასავლური იურიდიული ტექსტების მიხედვით პოსტსოციალისტური ქვეყნების კანონთა შედგენა აზრს კარგავს. ეს კანონებიც მხოლოდ ლოგოტიპებია. ლოგოტიპი ახლანდელი ეპოქის მენიშნეა, რომელიც ცვლის მითს, რელიგიას, ფილოსოფიას. ლოგოტიპი წყვეტს დიდ ნარაციას და იწყებს დიდ ჩვენებას. გარდასულ დროთა რელიგიური და მითური სიმბოლოებიც ლოგოტიპებადაა გადაქცეული. ლოგოტიპის მუდმივი სარეკლამო ჩვენება, მისი დაპირება კარგად უთავსდება ნეომექანიციზმის პრინციპებით მცხოვრები ატომიზებული საზოგადოების სულისკვეთებას. Real policy-ს თანახმად, არ არსებობს არანაირი სულიერი ტანჯვა და ის ბოლოვადი კითხვები, რომელნიც ჭეშმარიტ ადამიანურ მოღვაწეობას ქმნიან. ყვე-

ლაფრის გადაწყვეტა ძალუძს ტელევიზიასა და მის საეთერო ესკაპიზმს. სიმბოლოები სიმულაკრებით იცვლება და რელიგიაც ერთ-ერთი სიმულაკრია სხვა ასეთივე სიმულაკრების გვერდით. დიდი ნარაცია შეწყვეტილია და ისტორიის დასასრულზე გვესაუბრებიან.

ასეთ ვითარებაში შეუძლებელია ჰუსერლისეული ინტერსუბიექტურ-ტრანსცენდენტალური სოციალობა. წარმოიშობა ასეთი წინააღმდეგობა: პოსტმოდერნის ფილოსოფია, რომელსაც ნეოლიბერალიზმის პოლიტიკა ძალზე უნარიანად იყენებს, გულისხმობს კულტურის ყველა იმ ნარაციის დეზავუირებას, რომელიც ერთიანი საბოლოო მიზნისაკენ მიისწრაფის. პოსტმოდერნი საგანმანათლებლო უნივერსალიზმის ტელეოლოგიური მოლვაწეობის უარმყოფელია. ამავე დროს, ნეოლიბერალური გლობალიზმი მიგვითითებს ერთიან საკაცობრიო და საბოლოო მიზანზე.

მედიაკრატია, როგორც ნეოლიბერალიზმისა და აბსოლუტური ბაზრის მოციქული, ერთდროულად ლაპარაკობს როგორც პოსტმოდერნულ ყოვლისმომცველ უმისნობაზე, ტოტალურ კალეიდოსკოპურობაზე და ფრაგმენტაციაზე, ტექნოლოგიურ მოზაიკურობაზე, ასევე გლობალურ საკაცობრიო ერთიანობაზე და მაშასადამე, ერთიან მიზანზე. თუ ნეოლიბერალიზმი და მედიაკრატია პოსტმოდერნის ფილოსოფიის დარად ჰანტინგტონის თეორიასაც თავის მეთოდოლოგიად გადააქცევს, ეს ნიშნავს, რომ იოლად გამართლდება დიდ კატასტროფათა ციკლები, კაცობრიობის უდიდესი ნაწილის ბარბარიზაცია. ჰანტინგტონის თეორიას კიდევ უფრო მეტი მანიპულაციური შესაძლებლობანი აქვს, ვიდრე პოსტმოდერნის ფილოსოფიას. ჰანტინგტონის თეორია კარგად გამოდგება როგორც მუდმივი ალიბი ფინანსურ ფლიბუსტერთა ყველა ქმედებისათვის. გლობალურ ტერორიზმთან ბრძოლის სახელით მართლდება ბევრი ისეთი რამ, რისი გამართლებაც არ შეიძლება. მედიაკრატიის მანიპულაციური და მექანიცისტური პოზიცია ეწევა ფლიბუსტერული კრედოს ლეგიტიმაციას.

ჭეშმარიტი გლობალიზმი კვლავ დაიწყებდა ერთიანი დიდი ტექსტის აღდგენას და მოაყენებდა პოსტმოდერნისტულ კონსტრუქციებს. მაგრამ, რახან ნეოლიბერალური გლობალიზმი

ქმნის სეპარატულ პროექტს, ამიტომ ის არ იწყებს პოლემიკას პოსტმოდერნთან. აი, აქაც ვხედავთ, რომ გლობალიზაცია ეწოდება იმას, რაც არაა გლობალური აზრისა და მნიშვნელობის მქონე. პოსტმოდერნის სულისკვეთება გლობალიზმის ცნებისა და მისი სემანტიკის მიმართ ღრმად ანტაგონისტურია. გლობალიზმის ცნება გულისხმობს სწორედ იმ დიდი ნარაციის დაცვას, რომლის დეკონსტრუირებასაც პოსტმოდერნი ასე ფილიგრანულად ახორციელებს და არსს აცლის ინტერსუბიექტურ-ტრანსცენდენტალური სოციალობის კონცეპტს. ატომიზებული სოციუმის დაუსრულებელი დისკურსი ფრაიეესის პრინციპის შესახებ, ფუნქციებისა და კომპეტენციის განსაზღვრის შესახებ არაა ის აზროვნება, რომელიც მომავალში გაიხედება და ტელეოლოგიური იქნება, რომელიც ზნეობრივ პრინციპს შექმნის. პრაგმატისტ ინდივიდს, შეუძლებელია, რაიმე აღელვებდეს თავისი თავისა და კომფორტის გარდა. როდესაც ის გამოდის და წუხილით ლაპარაკობს ოზონის ხვრელის გაფართოებაზე ან ნარკობიზნესზე, ეს ირონიას იწვევს.

პოსტმოდერნი ეწინააღმდეგება ჰუსერლისეულ შემკრებ ფილოსოფიას, ახალ ტოტუსს და ჭეშმარიტად გლობალურ მიზნებს. ისტორიის დეკონსტრუქციის პოსტმოდერნისტულ ფილოსოფიურ გამოცდილებას ნეოლიბერალიზმი პოლიტიკურად იყენებს და თავდაყირა აყენებს ტერმინებს. იგი აუქმებს ისტორიულ კონტექსტებს, ქმნის დიდ ლაკუნებს მათში, ეწევა მთელი რიგი არსებითი ხასიათის სიუჟეტების წაშლას, რათა დამალოს თავისი სისხლისმიერი სიახლოვე სოციალიზმთან და ბოლშევიზმთან. ეს კარგად ჩანს ასობით პოლიტოლოგისა და ექსპერტის გაავებულ მსჯელობაში. ასეთი ქმედებით ნეოლიბერალიზმი იწვევს ცივილურ დერაციონალიზაციას, სპობს ყველა საგანმანათლებლო პოტენციას და ძირს უთხრის თვით დასავლურ ცივილიზაციას. ნეოლიბერალიზმი ამზადებს ისტორიაში მანამდე არნახულ მონობას და სიცრუეს. ამერიკული ნეოკონსერვატიზმი დგას პლანეტარული უწმინდურების სათავეში. აშშ არის ევროპული კულტურუტოპიზმის გლობალისტური პროექცია, რომლის ერთადერთი მიზანი აბსოლუტური ბაზრის აპოლოგეტობაა. არა რომელიმე არაევროპუ-

ლი ფაქტორი, არამედ ამერიკანოცენტრიზმის ახლანდელი ვერსია იქცევა დასავლური ცივილიზაციის დაცემის მიზეზად. ნეოკონსერვატორთა ექსტრემიზმი აღმოსავლეთის ქვეყნებს აყენებს ასეთი არჩევანის წინაშე: ან კაპიტულაცია დემოკრატიის სახელით, ან ფუნდამენტალიზმი და დიდი იდეური ომის ახალი ინტენსივობით დაწყება. ასეთ ვითარებაში იქმნება ყველა პირობა აღმოსავლეთის დევესტერნიზაციისათვის. რადიკალურმა ნეოატლანტისტურმა გლობალიზმა მოახდინა რადიკალური ფუნდამენტალიზმის პროვოცირება და ანტიფორმაციონისტული რელიგიური კონცეპტების აქტუალიზება.

ნეოლიბერალიზმის მიერ პოლიტიზებული პოსტმოდერნის პოსტულატები ახდენენ საბაზრო ამორალიზმის ლეგიტიმაციას. არაფერს ნიშნავს ქვეყანათა საზღვრები, სუვერენიტეტები, რელიგიური ტრადიციები, იმიტომ, რომ ეს ყველაფერი უკავშირდება კულტურის იმ ინტენციას, რომელიც წარმოშობს დიდ ნარატიულ ტექსტს, უმაღლეს იდეას. ამას კი პოსტმოდერნის ფილოსოფია გადაჭრით უარყოფს.

პოსტმოდერნის ასეთი პოლიტიზების გამო არაფერს ნიშნავს იმის ხშირი გამეორება, რომ დასავლეთი სცნობს ქვეყნების, სახელდობრ, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და საზღვრების ურღვევობას. ამის მიჩნევა საიმედო დაპირებად და მით უმეტეს, ურყევ გარანტიად, ყოვლად უსაფუძვლოა, რასაც დაგვანახებს მსოფლიო პოლიტიკის უახლესი ფაქტები.

თუ ქართველობამ ასეთი სიხარულით აიტაცა პოსტმოდერნული დებულებები, რადგან ისინი კარგად ამართლებენ დაცემასა და წარწყმედას, მაშინ შეუძლებელია, ის ვინმესგან მოითხოვდეს იმის დაცვას, რასაც თვითონ ასე გულმოდგინედ გმობს და ამასხარავებს. შენ სასაცილოდ მიგაჩნდეს იდეურ ადამიანად ყოფნა და ამავე დროს სხვებისაგან, უცხოელებისაგან მოითხოვდე შენთან ურთიერთობაში იდეურობას, პრინციპების დაცვას. ეს უჭკუობისა და სულის სიბილწის ნიშანია. მედიაკრატიის მუშაობა სწორედ ასეთ ამბივალენტობასა და სხვისაგან სინდის-ნამუსის ერთთავად ექსპრესიულ და ემფატიკურ მოთხოვნებზეა აგებული, რაც ქმნის მედიაკრატიის პრინციპულობისა და იდეურობის მოჩვენებითობას. ქვეყანა, რომელმაც მთელი დუნია დახლად და საროსკიპოდ აქცია,

საქართველოს საფერაოდ მოიცლის და მას დაუწყებს კოჭის გორებას?

საქართველოში რომ ვერ ხედავენ თანამედროვე კაპიტალის სუპრაფორმაციულ ხასიათს, ამაზე ის მეტყველებს, რომ 15 წელზე მეტია გაცხოველებით კამათობენ იმაზე, თუ ვინ არის ჭეშმარიტი მემარჯვენე და ეს მემარჯვენეობა (ლიბერალიზმი) ზნეობისა და სამართლიანობის უეჭველ გარანტიად მიაჩნიათ. ამავე დროს, ასევე გაცხოველებით ამხელენ მემარცხენეებს და მემარცხენეობა (სოციალიზმი) ყველა უბედურების წყაროდ მიაჩნიათ. ეს ქართული საზოგადოებრივი აზროვნების პროვინციალიზმზე მეტყველებს, ისევე, როგორც იმის მოთხოვნა, რომ „გლობალიზმმა გაითვალისწინოს ქართველთა თვითმყოფადობა და ეროვნული ტრადიციები“. ისიც ითქმის, რომ გლობალიზაციის ძალით საქართველო „აქტიურად ჩაებმება მსოფლიო სავაჭრო-ეკონომიკურ პროცესებში“. ეს ცარიელი ფრაზებია, რომელთა მსგავსი ყოველდღე წარმოითქმის ტელეეთერში.

ქართველი ინტელიგენცია ვერ გარკვეულა თანამედროვე კაპიტალის მუტაგენეზში და მას გზიანი სიტყვა არც კაპიტალის მიერ განმანათლებლობის მიტაცების გამო უთქვამს. ინტელიგენტი გაზულუქდა და გაქსუვდა უფლის ვექილობითა და ეკლესიის შვეიცარობით, ასევე ლიბერალიზმის პრიმიტიული აპოლოგიით. ამას ფიქრი და თავის დატანჯვა არ სჭირდება, ინტერსუბიექტური შემეცნება არ სჭირდება. ამის გამო როგორი მომსჯელეც თინეიჯერულ ასაკს ოდნავ გადაცილებული მაიმახი ჟურნალისტია, ისეთივე არის სიჭარმაგეში შესული ტუტუცი პროფესორი, რომელიც აცხადებს, რომ გლობალიზმი „ბუნებრივი პროცესია“. ეს არის ჩვეულებრივი მედიაკრატიული კრიმანჭული. ბუნებრივი პროცესი ეწოდებოდა იმას, რაც საქართველოში 1991 წლის დეკემბრის მიწურულიდან ხდებოდა. რა ითქმოდა და რა აღმოჩნდა, ყველამ დაინახა.

გლობალიზმი არაა ბუნებრივი პროცესი და ლიბერალიზმის ორგანული განვითარების საფეხური, როგორიც იყო კათოლიკობას განდგომილი წვრილი მეწარმეების საქმიანობა, რომელნიც პროტესტანტული ასკეზის პრინციპს კაპიტალიზმის ფორმირებაში ახორციელებდნენ, როგორიც იყო ბურჟუაზიის მონაწილეობა ევროპულ რევოლუციებსა და ნაციების

ჩამოყალიბება'ში. გლობალიზმი არის თანამედროვე დასავლეთის დეგენერატი პირმშო, ჭკვიანი და ავი მუტანტი, რომელიც ძალზე სწრაფად იზრდება და თავის მშობელს შთანთქმით ემუქრება.

თანამედროვე ბიზნესს არაფერი ეტყობა პროტესტანტული ასკეტურობისა. ის ყველაფერს უჯანყდება და მისთვის ქრისტიანობა და საერთოდ, ყველა რელიგია არაფერია. მისთვის ubi nummus ibi Deus (სადაც ფულია, ღმერთიც იქაა). კაპიტალი აჯანყდა და აღლაღდა ისე, როგორც არასდროს. ბჟეზინსკის დიდ საჭადრაკო დაფაზე გლობალიზმი ცდილობს გაითამაშოს საერთაშორისო ფინანსური გამბიტი. ისტორიის დასასრული უკავშირდება მსოფლიოს ეკონომიკურ ლიბერალიზაციასა და ბაზრის აბსოლუტიზაციას. ის მოიტანს საყოველთაო მშვიდობას, ნეოლიბერალების თანახმად, და ომი არავისთვის აღარ იქნება რენტაბელური. მეგალოთიმია ბაზრის მიერ საბოლოოდ გაიხედნება და მას პრაგმატი'სმის ლაგამი ამოედება. გავიხსენოთ, რომ ეკონომისტთა მანჩესტერის სკოლის წარმომადგენელი რიჩარდ კობდენი (XIX ს.) მიიჩნევდა, რომ ფრიტრედერობა მსოფლიოს შეცვლიდა, აღმოფხვრიდა ომებს, დაშლიდა იმპერიებს და კაცობრიობა ერთ ოჯახად იქცეოდა. უფრო ადრე კანტიც ფიქრობდა, რომ ეკონომიკური ლიბერალიზაცია მოსპობდა ომებს. XX ს. 20-იანი წლების პანევროპეისტებიც იმედოვნებდნენ, რომ ერთიან ევროპაში მუდმივი მშვიდობა იქნებოდა.

საფრთხე, რომელსაც აჯანყებული კაპიტალი უქმნის დასავლურ ცივილიზაციას, აფიქრებს ვატიკანს. კათოლიკე მეცნიერნი, იეზუიტი პოლიტიკის თეორეტიკოსები, ფილოსოფოსები, სოციოლოგები ქმნიან თანამედროვე საზოგადოების ისეთ პროექტებს, სადაც ქრისტიანობას გამოკვეთილი ადგილი უკავია. კარდინალები და პრელატები საერო სამსახურში დგანან, უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები არიან.

პაპ იოანე პავლე II -ის ენციკლიკაში Centesimus annus (მეასე წელი), (1991 წ.) ნათქვამია, რომ თანამედროვე ეკონომიკის გლობალიზაცია არის ფენომენი, რომლის დაგმობა არ ეგების, რადგან მას შეუძლია შექმნას დიდი შესაძლებლობები მეტი კეთილდღეობისათვის. მაგრამ სულ

უფრო ხშირად მსჯელობენ, რომ გლობალიზაციის პროცესი უნდა კონტროლდებოდეს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, რადგან ასეთი კონტროლის განხორციელება, პაპის თანახმად, არ შეუძლია ყველა'ს ძლიერ სახელმწიფოსაც კი.

ამის გარდა, პაპმა 2001 წლის 28 აპრილს აღნიშნა, რომ არასწორად განხორციელებული გლობალიზაცია, 'შესაძლოა, გადაიქცეს კოლონიალიზმის ახალ ვარიანტად. პაპის ასეთი მსჯელობა ნეომონდიალისტურმა ბანაკმა უარყოფითად შეაფასა.

ზემოთხსენებული ენციკლიკა სოციალური ხასიათისაა, ისევე, როგორც მისი წინამორბედი მრავალი ენციკლიკაა. მართლმადიდებლობა კი, ყოველთვის მძიმე საზოგადოებრივი ვითარების მიუხედავად, არ ქმნის სოციალური ხასიათის ეპისტოლეებს. არ არსებობს მართლმადიდებელი პოლიტიკის თეორეტიკოსი, სოციოლოგი. იქმნება მხოლოდ უზოგადესი მსჯელობანი. დღემდე მართლმადიდებლობას არ უცვნია რევოლუციური ევროპეიზმისა და მუ'შათა მოძრაობის მი'სანთა სამართლიანობა. მისი არგუმენტები მთლიანად ეკლესიის მამათა სწავლებას ეყრდნობა. მას არ სურს სცნოს თანამედროვე ფილოსოფიური აზროვნების მიღწევები. არ ხდება რელიგიურ-ფილოსოფიური სინთეზის წარმოშობა, როგორც ეს კათოლიციზმშია. მართლმადიდებლობას არაფერი უთქვამს პოსტსაბჭოთა პერიოდის რუსეთსა და საქართველოში დამკვიდრებული პოლიტიკური კრიმინალიტეტის შესახებ. ლაპარაკი ამა თუ იმ წმინდანის ღვაწლზე, უმწვავესი სოციალური საკითხების გადაუჭრელობის პირობებში, არასაკმარისია და ხშირად უადგილოდ ჩანს. ინტელიგენტმა კი გონების სადარაჯოზე დგომას საყდრის კარისკაცობა არჩია და შესაძლებელი რომ იყოს, უნივერსიტეტსაც საყდრად აქცევდა. დავუსვათ ინტელიგენტს ასეთი შეკითხვა: თუ პლურალიზმი და დემოკრატია ყოვლისმომცველია, როგორ არის, რომ ინტელიგენტი პლურალიზმის ანტაგონისტი მართლმადიდებლური დოქტრინიდან გამოიყვანს დემოკრატიის პოსტულატებს და როგორც მართლმადიდებლობას, ასევე დემოკრატიას, იგი ჭეშმარიტებად მიიჩნევს? როგორ არის 'შესაძლებელი პლურალიზმის გამოყვანა ღმერთზე მითითებით მართლმადიდებლურ გარემოში? რა ფორმაცია 'შეიძლება იყოს ის, რომელიც

მართლმადიდებლურ-ლიბერალურია?

იმასაც ვხედავთ ლიბერალი ინტელიგენტის მსჯელობის საპირისპიროდ, რომ პლურალიზმი სულაც არაა სულიერებისა და ზნეობის მაჩვენებელი.

დეკარტის რაციონალიზმი, როგორც ლიბერალიზმისა და სოციალიზმის ფილოსოფიური საფუძველი, არაა პლურალისტური. დეკარტის შემეცნების თეორიაში მათემატიკური მეთოდების უნივერსალიზება და შესამეცნებელი სუბიექტის მექანიზმად, ავტომატად წარმოდგენა პლურალიზმს ისევე გამორიცხავს, როგორც დეკარტისშემდგომი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სწრაფვა მათემატიზებისაკენ. თუ მეცნიერულ-მათემატიზებული შემეცნებისათვის ჭეშმარიტება ერთია, მაშინ მისთვის პლურალიზმი სულაც არაა ჭეშმარიტება.

რაციონალიზმი ყოველთვის მონიზმისაკენ მიისწრაფის და სადაც რაციონალური პროექტია, იქ უთუოდ ავტორიტარული იდეოლოგიაც არის. მონისტური აღმოჩნდა ნეოლიბერალიზმის ის იდეოლოგია, რომელიც მრავალი წელი პლურალისტურად საღდებოდა. რაციონალიზმი, იდეოლოგია და მონიზმი ერთმანეთთან სისხლხორცეულად დაკავშირებულია. შემეცნების მათემატიზებული მეთოდები კი ყოველთვის მექანიციზმს გულისხმობს. ის, რომ დაშვებულია რელიგია, მითი, მხატვრული სიტყვა და ყოველივე ის, რაც პლურალიზმის მოჩვენებითობას ქმნის, არაფერს ცვლის მონისტურ და მათემატიზებულ საგნობრივ ვითარებაში. როგორც სოციალისტური, ასევე ლიბერალური ფორმაციები ამ საკითხში ერთნი არიან. ამის შემდეგ განათლებული მკითხველისათვის სავსებით თვალსაჩინო გახდება იმ მსჯელობის უსაფუძვლობა, რომ იდეოლოგია ყალბი ცნებებისა და ირაციონალური კონსტრუქციებისაგან აგებული სისტემაა და ის უნდა შეიცვალოს პლურალისტური სისტემით. შემეცნების მათემატიზებული მეთოდების უნივერსალიზება და ყოვლისმომცველობა ქმნის იმ რაციონალურ ტოტალიტარიზმს, რომლის შეცვლას XX ს. 90-იანი წლების ანტისაბჭოთა დისიდენტების დროიდან პლურალიზმით ლამობენ. ეს სანაქებოდ მიჩნეული პლურალიზმი კი ისევ ის მონიზმი გამოდგა თავისი რეპრესიული ლოგიკითა და ფორმაციულ-იდეოლოგიური ცნებებით.

ჰუსერლი, როგორც დეკარტის მიმდევარი, ქმნიდა შემეცნების უნივერსალურ მეთოდს და მათემატიკურად ზუსტი და მკაცრად მეცნიერული, ყოვლისმომცველი თეორიით ცდილობდა ერთიანი ჭეშმარიტების დადგენას. პლურალიზმი აქ გამორიცხულია. პლურალიზმი შემეცნებაში არის პოსტმოდერნული რელატივიზმი, რომელიც ნეოლიბერალიზმის მონისტურმა იდეოლოგიამ გამოიყენა როგორც ნგრევის ინსტრუმენტი. დასავლური პოსტმოდერნი თვით დასავლეთში ვერ ახდენს ისეთ დამანგრეველ გავლენას პოლიტიკურ სინამდვილეზე, როგორც პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. ნეოლიბერალური მონიზმი თვით დასავლეთში პოსტმოდერნისტულ პლურალიზმს უმცირეს შესაძლებლობასაც კი არ მისცემს დეკონსტრუქციისათვის, პოლიტიკური სინამდვილის ფრაგმენტაციისათვის.

XX ს. 90-იანი წლების დასაწყისში ბევრს ლაპარაკობდნენ კონსტრუქციული დიალოგის გზით პრობლემათა მოგვარებაზე. აქ პლურალიზმი იგულისხმებოდა, მაგრამ არ გარკვეულა ის, თუ როგორ არის შესაძლებელი დიალოგი და პოლილოგი მონისტურ საბჭოთა სისტემასთან იმ დროს, როდესაც მასთან მოკამათე მხარე თვითონაც ისეთივე მონისტია და ისევე ეყრდნობა რეპრესიულ ლოგიკას, როგორც თვით მონისტური სისტემა. თანაც მასთან მოკამათეს ამ სისტემის გაცამტვერება აქვს მიზნად დასახული. ამის გამო იყო, რომ 90-იანი წლების დასაწყისის მედიაკრატიაში დაწყებული ვითომ დიალოგი დასავლეთსა და საბჭოეთს შორის იქცა დასავლეთის დიდ მონოლოგად, რომელშიც მან არც თავისი მოკავშირე ანტისაბჭოთა დისიდენტები შეიწყნარა. ამ მონოლოგმა სწრაფად მიიღო საბაზრო ნეომონიზმის სახე. მოვლენის არსი სწორედ ეს იყო და არა ის, რომ დაიწყო საბჭოთა ისტორიის თეთრ ლაქებზე და რევოლუციური ტერორის შედეგად რეპრესირებულთა რეაბილიტაციაზე საუბარი. უკვე 1991 წელსვე საბაზრო ნეომონიზმისათვის სრულიად არაფერს ნიშნავდა ეს საკითხები. მედიაკრატია კი ამაზე ლაპარაკით დეზორიენტირებულ საზოგადოებას თვალში ნაცარს აყრიდა და საგაზეთო ბიზნესიც ხეირობდა. მოვლენის არსი სწორედ ის იყო, რომ სიტყვა დიალოგი სინამდვილეში დასავლეთის მონოლოგს აღნიშნავდა და არა ის, რომ გაუქმდა ათეისტური

იდეოლოგია და დაიწყო საყდრების შენება. საყდრები დღესაც შენდება, მაგრამ საბაზრო ნეომონიზმს ეს ოდნავაც არ უშლის ხელს. მისთვის სულ ერთია, ვინ ათეისტია და ვინ ეკლესიური ადამიანი. ამ საკითხში ის პლურალისტია. დასავლეთი ამ საკითხში, ე.ი. რელიგიაში კი არ არის მონისტი, როგორც აქ დღემდე შეცდომით მიიჩნევენ, არამედ თავის წმიდათაწმიდაში - ბაზრის აბსოლუტიზაციაში. გლობალიზმი ბჟეზინსკისეულ დიდ საჭადრაკო დაფაზე ის ძლევამოსილი, უხილავი ფიგურაა, რომელიც თამაშის დროს არანაირ წესებს არ იცავს. ამავე დროს, იგი დასავლური ცივილიზაციის აქილევსის ქუსლია.

დავაკვირდეთ, თუ როგორ სულ უფრო ნაკლებად მოიხსენიებ-ბა დღეს მედიაკრატიის მიერ სიტყვა დემოკრატია 1991 -97 წლებთან შედარებით. საბაზრო მოსაზრებანი და მიზანშეწონილობანი სულ უფრო დაუფარავად აცხადებენ თავის თავის შესახებ, რაც პოლიტიკურ და ეკონომიკურ დემოკრატიას ფიქციად აქცევს.

ფინანსური ფლიბუსტერი ყველაფერს თავზე მოექცა, მაგრამ დიდ სულიერ სიმაღლეზე ყოფნა მას არ შეუძლია. ქონ-დრისკაცის თვალსაწიერი მედიაკრატიის მიერ ახალ აზროვნებადაა წარმოჩენილი. ვაიშია კი არა, არამედ ჩანდალა აჯანყდა და მისი კაპიტალი გაცოფდა. ბრაჰმანი და ქშატრია სულ ქვემოთ, ჩანდალას ადგილზე აღმოჩნდნენ. ჩანდალაა ახლა ბრაჰმანი.

ნეოლიბერალიზმის პრინციპი Profits before people (მოგება უწინარეს ადამიანისა) იღებს აქამდე არნახულ ექსტრემისტულ სახეს და ამ პრინციპის მიხედვით განისჯება ყველა და ყვე-ლაფერი. ის აძლევს არსებობის სანქციას ამა თუ იმ ხალხსა და კულტურას. ეს სანქცია სუვერენულ მთავრობათა და გაეროს გადაწყვეტილებებზე მაღლა დგას. ზემოაღნიშნულ ნაშრომში სოროსი ამბობს, რომ უაზრობაა, როდესაც მსოფლიოს ყველაზე წარმატებული ღია საზოგადოების მართვა ხელში ჩაუვარდათ იმ იდეოლოგებს (ნეოკონსერვატორებს), რომელნიც ღია საზოგადოების უმთავრეს პრინციპს უარყოფენ. ვის შეეძლო წარმოედგინა, რომ საფრთხე ღია საზოგადოებას თვით ამერიკისაგან შეექმნებოდა? -კითხულობს სოროსი.

ამერიკელ ნეოკონსერვატორთა სულიერი ძმა და არა

უბრალოდ მოკავშირე, არის საქართველო. ნეოკონსერვატორთა მფარველობით გალაღებული ქართველის მსჯელობიდან დემონსტრაციული ცინიზმი, ძალმომრეობა და სადიზმი გამოსჭვივის. ისტორიული და კოსმოსური ლაჩარი, ყველა დროში ხელნაცარავი ქართველობა გულს მხოლოდ ასეთი საქციელით იოხებს. დესპოტური ბუნების მქონე, ყოველთვის შფოთის ამტეხი და მოძალადე ეს პატარა ხალხი დღეს პლანეტარული უწმინდურების ავანგარდში დგას და მისი მოციქულია. არაკაცებისა და არაქალების ერი თავის სიმახინჯეს ამერიკელთა მფარველობით სილამაზედ და თავისუფლებისათვის ბრძოლად ასაღებს. საღ დაიხლართება და ვის ელაქუცება ქართველობა. ყველაფრიდან ჩანს მისი მართლმადიდებლობის ფიქციურობა და იმიჯმეიკერული ხასიათი. კავკასიისა და აზიის, მთელი მსოფლიოს ამ ჩირქოვან მუწუკს აღმოაჩნდა იმდენი უნარი სხვა ხალხებისაგან განსხვავებით, რომ ყველასთვის გაესწრო ნეოკონსერვატიზმის ლაქიობაში. გლობალისტების გზის მამალი და დიდი თავანების ჟამის მცნობელი გახდა ქართველობა.

თუ 10-12 წლის წინათ აღინიშნებოდა, რომ ესა და ეს პოლიტიკოსი ქართულ ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობდა, დღეს ამის თქმა მიღებული აღარაა. ისე იქცევიან, თითქოს არც არსებულა ეროვნული მოძრაობა. პოლიტიკოსი ხაზგასმულად პროტოკოლურად და კანცელარიულად გველაპარაკება. ყველა ლოგიკური ხერხი და სააზროვნო საშუალება მოხმარდა საკუთარი მოუცილებელი უღირსობის, გათახსირებულობისა და სამუდამო მონობის გამართლება-გადასხვაფერებას.

1995-96 წლებიდან ითქმოდა, რომ საქართველო, ისევე როგორც ამერიკა თავის დროსე, თავდაპირველი, ველური კაპიტალიზმის ეპოქაში იმყოფება და ახლა მიმდინარეობს კაპიტალის დაგროვება. ასეთი მსჯელობით მართლდებოდა ქვეყნის გაუგონარი მაფიიზაცია. თუ ამ მსჯელობას სარწმუნოდ მივიჩნევთ, მაშინ 1989 წლიდან წამოწყებული მთელი ეს საეკლესიო პროპაგანდა სხვა არ იყო რა, თუ არა თავის მოტყუება, აპოსტასია და ღვთისგმობა. ამ საეკლესიო პროპაგანდის თანახმად, სწორედ ქართველ ერს გააჩნდა ისეთი სულიერი და ზნეობრივი ძალა, რაც მას სხვა ხალხებისაგან გამოარჩევდა და უფლის რჩეულ ხალხად აქცევდა. თუ ქვეყანაში, ამის

მიუხედავად, განხორციელდა კრიმინალური პრივატიზაცია და მაფიიზაცია, მაშინ მთელი ეს გახელებული მსჯელობანი მართლმადიდებლობაზე, მირონდადენილ ხატებზე და ეკლესიაში მომხდარ სასწაულებზე ფუჭე სიტყვა ყოფილა.

პოსტსაბჭოთა საქართველოში ლიბერალიზმისა და საბაზრო ეკონომიკის კონიუნქტურული თეოლოგიზაცია ბიზანტინიზმისაგან, რჯულისაგან ისეთი განდგომაა, რომლის გამო შურისგება გარდაუვალია. ეკლესიამ ვერ გაარკვია, როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონოდა მას XX საუკუნის მიწურულის ბუნებისმეტყველებასთან, ათეიზმთან, სამყაროს გარდაქმნის ლიბერალურ პროექტთან. უსოგადესი, მყვირალა ფრაზების დაუსრულებელმა კონსტრუირებამ და ტირაჟირებამ მედიაკრატიის მიერ, საქმეს ვერ უშველა. წარმოიშვა ერთიმეორეზე აბსურდული თვალსაზრისები.

ეს თვალსაზრისები თავისი აბსურდულობის მიუხედავად, პოზიტიურია იმ აზრით, რომ მათ ლოგიკურ დასრულებამდე მიჰყავთ კონიუნქტურულად თეოლოგიზებული ლიბერალიზმის არგუმენტაცია და ამგვარად, სრულად წარმოაჩენს საკუთარ ხარვეზებს. ამის შემდეგ მისი კრიტიკა უფრო მეტად არის შესაძლებელი, ვიდრე თავიდან, როდესაც ეს აბსურდული თვალსაზრისები თავის თავს ყოველგვარი კრიტიკის გარეთ აყენებდა და რეფლექსიის ყველა მცდელობას ეწოდებოდა სატანური, მასონური, სექტანტური, ბოლშევიკური და ა.შ.

აი, ასეთი ვითარების გამო ჩვენთვის ხელსაყრელია ის, რომ ამ თვალსაზრისებს ჰქონდეთ მუტაციური განვითარების სრული თავისუფლება და საკუთარი ლოგიცირება მიიჩნიონ შეუვალ ჭეშმარიტებად.

ამ თვალსაზრისების დამცველი ლიბერალი არტისტულად გვიმტკიცებს, რომ „მთელი მსოფლიო დღეს დგას არა გზაჯვარედინზე, არამედ ლიბერალ-დემოკრატიზმის გზის დასასრულში“. ლიბერალის ეს მტკიცება ნიშნავს, რომ არავის აღარაფერი აქვს ასარჩევი და ლიბერალიზმმა განახორციელა ყველა ესქატოლოგიური და სოტერიოლოგიური მიზანი.

XX საუკუნის განმავლობაში, 1991 წლის აგვისტოს მიწურულამდე, იყო მრავალი გზა - ლიბერალიზმი, სოციალ-დემოკრატიზმი, ბოლშევიზმი, ნაციონალ-სოციალიზმი, ფაშიზმი.

იყო იდეური მოძღვრებები, პოლიტიკური ბრძოლის ტრადიციები, სოციალური ორიენტირები. დღეს აღარაა მოაზროვნე, რომლის მიხედვითაც იმსჯელებდნენ და შეადგენდნენ სოციალურ პროექტებს, რომელთანაც იკამათებდნენ და ეს კამათი რაღაც ღირებულის შექმნის საწინდარი იქნებოდა. პოპერი, კეინსი, ჰაიეკი, ფუკუიამა, ჰანტინგტონი ვერ ასრულებენ იმ როლს, რასაც ასრულებდა მარქსი. ვიწრო გავლენით სარგებლობენ ევოლა, ელიადე, გენონი. მათი ტრადიციონალიზმი არის ფაშიზმი, რეალიზმი, რომელიც უარყოფს პოსტმოდერნისტულ ნომინალიზმს. ეს არის რაციონალიზმის კრიტიკა და რაციონალიზმის არალიბერალისტური ინტერპრეტაცია. ტრადიციონალისტების საფუძვლიან გამოკვლევებს არ შეუძლია შეაჩეროს საგანმანათლებლო უტოპიის კრახი, გონების ლინეარული, ექსპონენციალურად ზეადმავალი გზის შეწყვეტა. საგანმანათლებლო უნივერსალიზმი შექმნა სააზროვნო უნართა კონცენტრირებამ, სისტემურმა შემეცნებითმა საქმიანობამ და გონების დისციპლინამ. განმანათლებლობის ამ მონაგარის შენარჩუნებისათვის საჭიროა ასეთივე დისციპლინირებულობა და ზნეობრიობა, ასევე ინტელექტუალური პატიოსნება.

როდესაც მთელი საზოგადოების მოწოდება არის ჰედონიზმი, ეს ნიშნავს, რომ განმანათლებლობის მიღწევები აზრს კარგავს და უქმდება იმ შემთხვევაშიც კი, როცა ტექნიკური წინსვლა გრძელდება. ასეთ შემთხვევაში ტექნიკა ადამიანის დაცემისა და დამონების უმძლავრეს ფაქტორად იქცევა. ტექნიკა კაპიტალთან უმჭიდროეს კავშირში ამართლებს გონების მაღალ მონაპოვართა დევალვაციას. რაც შეეხება გონით და ზნეობრივ პრობლემებს, ისინი შეიძლება გადაწყდეს ტექნოლოგიური, იმიჯმეიკერული მენეჯმენტის ხერხებითა და PR - მეთოდებით, ე.ი. არსებობს არა გონითი, ზნეობრივი პრობლემები, არამედ - ემპირიული პრობლემები. საგანმანათლებლო ჰუმანიზმი გადაიქცევა ჰუმანიტარულ ტექნოლოგიად, სულის კალკულაციად, ნორმატიულ ცინიზმად.

განვიხილოთ, თუ როგორ ეპყრობა ეს ტექნოლოგია განმანათლებლობის ერთ-ერთ ძირითად მონაპოვარს. ფრანგ განმანათლებელთა თანახმად, ბუნებრივი უფლებები არის ადამიანის სულიდან მომდინარე. ე.ი. ეს უფლებები არაა განპირობე-

ბული მონარქიზმისა და კლერიკალიზმის იდეოლოგიით, რომელიც არაბუნებრივია, ხელოვნურია. ეს, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ამ იდეოლოგიის არაბუნებრიობა ადამიანის სულს ეწინააღმდეგება და, მაშასადამე, მისი უარყოფა და დეკონსტრუირება უნდა მოხდეს.

ის, რაც გონების ძალით იქმნება, უთუოდ ბუნებრივი ადამიანის გამოხატულება უნდა იყოს. ფრანგული განმანათლებლობიდან მომდინარე ამ მსჯელობამ ჯერ ევროპა, შემდეგ კი მსოფლიო შეცვალა.

სადღეისოდ აღმოჩნდა, რომ ბუნებრივი უფლებებიც შეიძლება არაბუნებრივად, ხელოვნურად იქცეს და მთლიანად იყოს განპირობებული ნეოლიბერალიზმისა და საბაზრო ექსტრემიზმის იდეოლოგიური მანიპულაციებით. რახან დღემდე უკეთესი არა შექმნილა რა, ამიტომ ისევ განმანათლებლობის მიერ შექმნილი ცნებები გამოიყენება, იმის მიუხედავად, რომ განმანათლებლობა ნეოლიბერალიზმმა შეკვეცა და დახურა.

ნეოლიბერალური იდეოლოგიის თანახმად, ბუნებრივი ადამიანისა და მისი უფლებების იდეა ვერ ხორციელდებოდა ბოლშევიკური ტოტალიტარიზმის დროს, მაგრამ ეს უფლებები (ფრაივესის პრინციპი) პოსტბოლშევიკურ პერიოდში თავიდანვე ფიქციად და მანიპულაციის საგნად იქცა.

არის კიდევ ასეთი სიძნელე: საგანმანათლებლო კრიტერიუმის თანახმად, ინიგო ლოიოლა (1491 - 1556) ან ბერნარ კლერვოელი (1090 -1153) ვერ იქნებიან ბუნებრივი ადამიანები, რადგან მათი მოღვაწეობა იმთავითვე კლერიკალიზმითაა განპირობებული, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ლოიოლა ან doctor ecclesiae ბერნარი ამის გამო ნაკლებ მნიშვნელობას იძენენ.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნიკის განვითარება ხელს უწყობდა ფორმაციის ცვლას. ტექნიკის წინსვლა თეორიული აზროვნების გაძლიერებასა და გაღრმავებას დიდ იმპულსს ანიჭებდა. დღეს ტექნიკის წინსვლა მხოლოდ ჰუმანიტარულ ტექნოლოგიებსა და PR-მეთოდებს აძლიერებს.

დასავლეთში, პოლიტიკური ხასიათის დეკლარაციებში ხშირად აღინიშნება ადამიანური განზომილების შესახებ და ის ნებისმიერი პროგრესის პრიორიტეტად ცხადდება. იქმნება მიმზიდველი ლექსემები და ფრაზები („ადამიანური პოტენ-

ციალის განვითარება“, „ადამიანური რესურსების გონივრული გამოყენება“).

ვითარდება მხოლოდ ტექნიკა და რახან დასავლეთი ველარ ქმნის მულტინაციონალურ, გლობალურ თეორიას, ამიტომ ტექნიკის განვითარება ადამიანური განზომილების განვითარებადაც მიიჩნევა. დასავლეთს ძალზე უჭირს ადამიანური განზომილების იდეის ხორცშესხმა. საქართველოში მიმდინარე საპირისპირო მტკიცებანი ვითარებაში გაურკვევლობის მაჩვენებელია. ქართველ ლიბერალს თავისი თავი იმ უნარის მქონედ მიაჩნია, რომ ჰუმანიტარული ტექნოლოგიის ყოვლისმომცველობის პირობებში იგი სულიერებასა და ადამიანურობას შეინარჩუნებს. ეს შეუძლებელია, რასაც ექსტრემისტულად ნეომექანიცისტური ქართული სინამდვილეც გვიდასტურებს.

თავი მეოთხე

გორბაჩოვისეულ გარდაქმნის დოქტრინას ოცი წელი შეუსრულდა. მივაქციოთ ყურადღება იმას, თუ როგორ ჰგავს ერთმანეთს გორბაჩოვისეული გარდაქმნის პროგრამა და ნეოლიბერალიზმის დოქტრინა. ეს მსგავსება ბევრზე ბევრის მთქმელია. ორივე თეორიაში ერთი და იგივე ცნებები და ტერმინები, ერთნაირი დაპირებებია.

გორბაჩოვის დოქტრინაში ადამიანური ფაქტორის აქტივიზაცია ერთ-ერთი ცენტრალური ცნება იყო. აღინიშნებოდა, რომ „საზოგადოებას არ შეუძლია ეფექტური ფუნქციონირება და დინამიკური განვითარება, თუ არ მოიძიებს მასების შემოქმედებითი საქმიანობის ახალ გზებს ცხოვრების ყველა სფეროში“.

ასეთივე წინადადებებს მრავლად წავაწყდებით ევროპისა და ამერიკის პოლიტიკურ ორგანიზაციათა პროგრამებსა და დეკლარაციებში. გორბაჩოვის დოქტრინაში ლაპარაკი იყო „ადამიანის ყოველმხრივ განვითარებაზე“. იგივეს ამბობს ამერიკული სოციოლოგია, ფუტუროლოგიური ფილოსოფია.

გორბაჩოვის დოქტრინის ვერც ერთი დებულება ვერ განხორციელდა. ყველაფერი სწორედ ამ დოქტრინის საპირისპიროდ

მოხდა. რითი ვართ ჩვენ დავალებულნი საბჭოთა სისტემის სოციალური პროექტისაგან? ყველაფრით. ახლა დიდი ღალატის შემდეგ, რაც ჩაიდინა ბოლშევიკურმა საიმპერიო ხელისუფლებამ, გამოდის, რომ ჩვენ, როგორც საბჭოთა განმანათლებლობის მიღწევა, უმნიშვნელონი და ზედმეტნი ვართ და ლიბერალური პოლიტიკური ელიტისათვის მხოლოდ მუდმივი მანიპულირების საგანსა და საექსპერიმენტო ცხოველს წარმოვადგენთ. ორგანიზებული ფარული გენოციდის შემადგენელი ნაწილებია ადამიანთა გახრწნა, შიმშილით გაწყვეტა, ლეგიტიმიზებული მიზანთროპული სიტუაციით ადამიანთა ჭკუიდან გადაყვანა.

საგანმანათლებლო უნივერსალიზმის შეუჩერებელი სეკვესტრირება და მონეტიზაცია ნეოლიბერალიზმის მიერ, ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვექვემდებარებით ფიზიკურ ლიკვიდაციას. ეს პირდაპირ არსად ითქმის, მაგრამ ასეა. მთავარი აქ ის არის, რომ ადამიანები შეაგუო ასეთ ხვედრს. ყველაზე ეფექტურად კი ამ საქმის შესრულება გამოუდით რეფერენტულ, ელიტურ ჯგუფებს, რომელნიც ჩვენსავე შორის შერჩეული ადამიანებით იქმნება.

ეროვნულ კონსოლიდაციაზე ლაპარაკი გარდაქმნის დოქტრინის დროიდანვე იდეური პლაცებო იყო. ხომ აწამებს და ხრავს ქართველს ეს ინდივიდუალიზმი, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ისე გაუხდის მსოფლიო კაპიტალი საქართველოს საქმეს, რომ თავისსავე ხორცს კბილებით დააგლეჯინებს. საქართველო დიდი ქვეყნების გეოპოლიტიკური და დემოპოლიტიკური გეგმის შემსრულებელია.

კვლავ ვიმეორებთ, რომ საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ გეოპოლიტიკამ არ ამოწურა თავის თავი, როგორც ამას ლიბერალი ამტკიცებს. გეოპოლიტიკა ლიბერალიზმისა და ბოლშევიზმის დაპირისპირებაზე მაღლა დგას და ის ამ დაპირისპირებამდე არსებობდა თავისი პოსტულატებითა და იმპერატივებით.

ფორმაციონიზმისა და ცივილიზაციონიზმის საკითხები გეოპოლიტიკური საკითხებია. გლობალიზმის პრობლემის განხილვა კი გეოპოლიტიკის საფუძველთა ცოდნას გულისხმობს და ითხოვს. ნეოლიბერალური იდეოლოგია კი ამ ვითარებას უფრო მალავს, ვიდრე წარმოაჩენს და სხვაგვარად ვერც იქნება.

ნეოლიბერალთა განზრახულობის აღმასრულებელ ადგილობრივ რეფერენტულ ჯგუფებთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: კაპიტალის ზეეროვნულობის მაჩვენებელია ის, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებსა და აღმოსავლეთ ევროპაში ერთნაირად, ერთი მეთოდით მოხდა კომპრადორული ელიტების ჩამოყალიბება და აქ კი თაღლითურად ეროვნულ ტრადიციებსა და სარწმუნოებაზე გველაპარაკებიან, რომელთა ხელშეუხებლობისა და განვითარების გარანტია, რეფერენტული ჯგუფების მიხედვით, სწორედ ნეოლიბერალიზმის იდეოლოგემები და თავისუფალი საბაზრო სტიქიაა. ბოლშევიზმს არ განუხორციელებია ისტორიის ისეთი ფუნდამენტური ფალსიფიკაცია, როგორიც განახორციელა ნეოლიბერალიზმმა. ამ საქმეში მეოთხე ხელისუფლებად წოდებულმა მედიაკრატიამ ოფიციალურ ისტორიოგრაფიასა და ხელისუფლებაზე ბევრად მეტი გააკეთა. პოლიტიკის საეთერო პერსონიფიცირება ფარავს კაპიტალის დეპერსონიფიცირებულ ხასიათსა და მის ანონიმურობას. მედიაში კონიუნქტურის პერსონიფიცირება მეტად ეფემერულია და ამის გამო კონიუნქტურის საეთერო და საგაზეთო რეპრეზენტატული ფიგურები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებიან.

გარდაქმნის დოქტრინის დროიდან მიმდინარე მსჯელობანი ორ სისტემას შორის დიალოგის დაწყების აუცილებლობის შესახებ რომ იქცა დასავლური სისტემის უწყვეტ და უკმეხ მონოლოგად, ეს გამართლდა ყალბი დილემის ხანგრძლივი მედიაკრატიული აქტივიზებით – ან ლიბერალ-დემოკრატია, ან ბოლშევიზმის რევანში. ამით დასავლეთმა და ადგილობრივ მედასავლეთეთა ლეგიონებმა თავისთვის შეიქმნეს ალიბი პოსტსაბჭოთა ქვეყნების გაპარტახებისა და დიდი კრიმინალური პრივატიზაციის (1992-1997 და შემდგომი წლები) გამო. თუ ამ დროს ვინმეს ეჭვი შეჰქონდა დასავლეთისა და მედასავლეთეთა ქმედების სისწორეში, მყისვე იწყებოდა ყვირილი კომუნისტურ რეციდივებზე, წითელ-ყავისფერთა შეთქმულებაზე და მცოცავ ბოლშევიკურ გადატრიალებაზე. თვით ეს გამოთქმა „წითელ-ყავისფერები“ დასავლეთის კიდევ ერთი იდეოლოგიური ფანდი იყო. არავინ ცდილობდა გაერკვია, ვინ იყო წითელი და როგორ უნდა შეკავშირებოდა ის ყავისფერებს, ე.ი. ნაციონალ-სოციალ-

ისტებს. როდესაც ასეთი სისულელეების მტკიცება დაიწყო საუნივერსიტეტო წრეების წარმომადგენელმა, მაშინ გაბუნდოვანდა ყველა ვითარება ინტელექტუალურ ასპარეზზე და არ იქნა შემჩნეული, რომ დაიკარგა ფორმაციონიზმის შეფასებისა და ანალიზის ყველა კრიტერიუმი და ევრისტიკული მეთოდი. მედიაკრატიას კი ეს სულაც არ ანაღვლებდა და ერთიმეორეზე ღვარძლიანი და მყვირალა ფრაზების კონსტრუირებით გიჟურად იყო გატაცებული.

კაცობრიობის ისტორიაში ეს ერთადერთი პირველი შემთხვევაა, როდესაც რაციონალიზებული უზნეობა ასეთი ინტენსივობითა და მასშტაბით, მრავალი ათეული ხალხის მონაწილეობით, ასეთი სისტემატიზებული და სტანდარტული სახით, უსარმაზარ გეოგრაფიულ სივრცეში განხორციელდა. აქ კვლავ დავინახეთ, თუ რა უსაფუძვლოა მტკიცებანი ქართველთა ღვთივრჩეულობისა და სხვა ხალხებზე რასობრივი თუ ეთნიკური აღმატებულების, ქართული კულტურის ღრმა სულიერების შესახებ.

მრავალი ათეული ხალხი აშკარა მოტყუებისა და გასულელების მიუხედავად იცავს ლიბერალ-დემოკრატიზმს, ნეოლიბერალიზმს. ადამიანთა სულმდაბლობასა და სიბრიყვეს სულაც არ სჭირდება დოკუმენტურად გაფორმება და ხშირად უაზროა მსჯელობანი მასონურ შეთქმულებასა თუ მსოფლიო ებრაელთა ხრიკებზე. მხოლოდ საბაზრო მიდგომითაა შესაძლებელი ინდივიდთაშორისი უწყვეტი რესენტიმენტულობის განხორციელება. ფუკუიამა თავის „ისტორიის დასასრულში“ ამ საკითხს გვერდს უვლის. ადამიანთა მასები ემხრობიან იმ სოციალურ სისტემას, რომელიც მათ ყველაფრისაგან ათავისუფლებს და ყოველგვარ ზნეობრივ ტვირთს ხსნის. ჰუმანიტარული ტექნოლოგიებით იხსნება ფართო ჰორიზონტი სიმულაკრებისა და PR-ეპიგონობისათვის. აღარაფერს ნიშნავს ის, მივა თუ არა ხალხი ყოველ 4 წელში არჩევნებზე. ხალხი აღარაა იდეოკრატიულად ანგაჟირებული. იგი მხოლოდ მედიაკრატიული სიმულაკრებითაა ანგაჟირებული. ამ სიმულაკრებში ასევე შედის პროფანირებული რელიგია და ყველა მისი სიმბოლო. ასეთი რელიგია არავისაგან მოითხოვს ექსტაზურ იდეურობას, როგორიც ჩვენთვის ცნობილია ძველი და ახალი

აღთქმებიდან. როდესაც განმანათლებლობა ესქატოლოგიური მიზნის რაციონალიზაციას ახდენს და კაცობრიობის ფინალი, ბოლო ჟამი მის მიერ სეკულარიზებულია და გადატანილია რაციონალურ-დაგეგმარებით სიბრტყეში, მაშინ იდეური ექსტაზი უკავშირდება რევოლუციას, როგორც ახალ ონტოლოგიას, უკავშირდება იდეოლოგიას და იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც ამ იდეოლოგიის პოსტულირებას ეწევა. ეს არის ღმერთმებრძოლი რევოლუციური სენტიმენტალიზმი, ათეისტური რომანტიზმი და საბუნებისმეტყველო მესიანიზმი, რაც მხოლოდ დასავლურმა კულტურამ იცის. რაციონალიზებული უტოპიის თანახმად, ახალი სამყაროსა და ახალი ადამიანის შექმნა უთუოდ ზემოაღნიშნულ თვისებებს გულისხმობს. თქმა არ უნდა იმას, რომ ასეთი სულისკვეთება მთლიანად ძველი აღთქმის მეტატექსტიდანაა მომდინარე. ძველი აღთქმის ცეცხლი და არა უბრალოდ გავლენა, აშუქებს მარქსისტულ ფორმაციულ თეორიაში. ათეისტური რომანტიზმი და მთლიანად რევოლუციონისტული ექსტაზი არის დიდი დავა ქრისტესთან, არის ძველ და ახალ აღთქმათა ძველი დროიდან მომდინარე სასტიკი ბრძოლის გაგრძელება. ოლივერ კრომველის მოძრაობა და ინგლისის რევოლუცია მხოლოდ დასაწყისი იყო ამ ბრძოლისა ახალი ისტორიული დროის გარიჟრაჟზე.

ლიბერალთა მიერ ცივილიზებული მსოფლიოს ცნების უხშირესი გამოყენება ისევ მარქსისტული ფორმაციული ლოგიკის რეციდივია, მაგრამ განმანათლებლობის დასავლეთის მიერ პრივატიზებისა და დახურვის პირობებში ცივილიზებული მსოფლიოს შესახებ მსჯელობანი, ცივილიზაციის დაყვანა დემოკრატიასა და დემოკრატიულობაზე, გადაიქცევა ახალ გლობალურ აპარტეიდად. ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნას ნეოლიბერალი ცდილობს იდეოკრატიული ექსტაზის გარეშე. იგი ცდილობს საიმედო მომხრედ გაიხადოს ადამიანთა დაცემა. ამავე დროს ნეოლიბერალს ისეთივე ძველი აღთქმისეული შეურიგებლობა ახასიათებს და მსოფლიოს ყველა ხალხთან საბრძოლველადაა შემართული. ასეთი შეუსაბამობა კი უდიდეს წინააღმდეგობათა წყებას წარმოშობს და უახლოესი მომავლის გრანდიოზული კატაკლიზმების წანამძღვრად გამოდის. ნეოლიბერალი დევნის და დასცინის ყოველგვარ იდეურობას.

აღარაფერს ვამბობთ ექსტაზ'ზე, რომელიც ნეოლიბერალისათვის ყველა შემთხვევაში კლინიკური მოვლენაა.

ადამიანები ხედავენ, რომ დემოკრატიის დანაპირები შეუძლებელია შესრულდეს, მაგრამ ისინი ისე მსჯელობენ, თითქოს ეს დანაპირები უკვე შესრულდა, ან ეს-ესაა შესრულდება. დემოკრატიის დანაპირები შეუძლებელია შესრულდეს საყოველთაო დაცემის, სულის დისციპლინის ნაკლებობის პირობებში. საგანმანათლებლო ფრონტის მოხსნა და მოქალაქეთა სოციალური დემობილიზაცია ნეოლიბერალთა მიერ ყოველმხრივ გამართლებულია და ამასთან ერთად, ადამიანებს მუდმივად ჰპირდებიან, რომ მცირე ხანში ასე და ასე იქნება. ადამიანთა წინაშე პერსპექტივის სახით წარადგენენ იმას, რაც შეიქმნა სულის დისციპლინით, გონებრივ ძალთა კონცენტრირებით.

აქ უნდა დაისვას შემდეგი კითხვა: ბოლშევიზმის დამარცხების შემდეგ მსოფლიო არ გამხდარა უკეთესი. ძალადობა და სიცრუე სულ უფრო მატულობს. The world we're in, is horrible, მაგრამ საზოგადოება მაინც ვითარდება. საკითხავია სწორედ ის, რა ვითარდება და რის მეოხებით საგანმანათლებლო ფრონტის მოხსნის პირობებში? ვხედავთ, რომ ვითარდება ტექნიკა და ნეომექანიციზმის კონცეპცია. უკვე ძალზე ტრივიალურია, რომ ტექნიკის და არა ადამიანის ზეაღსვლა ხდება. ტექნიკა ახდენს ადამიანის ყოფიერების კორექტირებას. რა არის ის, რაც ამდენი სიცრუისა და უზნეობის მიუხედავად, ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას? იმასაც ვხედავთ, რომ ტოლერანტობა და პლურალიზმი ზნეობიდან მომდინარე კი არაა, არამედ არის კაპიტულაცია და კომპრომისი უზნეობასთან.

ნეოლიბერალიზმი არ უარყოფს, რომ სამყარო ცუდია და უცუდესი ხდება, მაგრამ ის მიგვითითებს, რომ საზოგადოება მაინც ვითარდება. ნეოლიბერალი ამით გულისხმობს, რომ ასეთი განვითარების ძალით ზნეობრივი პრობლემატიკა მოიხსნება და ის საერთოდ უქმდება. ნეოლიბერალიზმის ასეთი მსჯელობა არის იმის მტკიცება, რომ ადამიანის ისტორია მხოლოდ ტექნიკური პროგრესისა და მეცნიერულ გამოგონებათა ისტორიაა, ხოლო სხვა დანარჩენი არის ტექნიკისადმი მისადაგების მუდმივი მცდელობა. შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ

ღმერთი და პროვიდენცია განზრახ უშვებს ასეთ საგნობრივ ვითარებებს? თუ ჰო, მაშინ ღვთისმეტყველება დოგმატიკის ფარგლებში შეუძლებელი ხდება. ისტორიის, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარების შედეგის გაგება, ძალზე ხელსაყრელია ნეოლიბერალთათვის. მაგრამ რატომღა მიმართავს ასეთ შემთხვევაში ნეოლიბერალიზმი მესიანიზმს?

ისტორიიდან ცნობილია, რომ ყველა მესიანიზმი დამარცხდა. დამარცხდა ესპანეთის იმპერიის კათოლიკური მესიანიზმი, ნაპოლეონის ფრანგული იმპერიის რევოლუციური მესიანიზმი, საღვთო კავშირის რელიგიური მესიანიზმი, რუსული ცარისტული მესიანიზმი, ფაშისტური და ნაცისტური მესიანიზმი, ბოლშევიკური მესიანიზმი. მესიანიზმი არის იმპერიათმშენებელი ადამიანის პრეტენზია აბსოლუტურზე. მესიანიზმის მარცხი თითქოს უნდა გვარწმუნებდეს, რომ ადამიანმა ასეთი პრეტენზიის გამოთქმისაგან თავი უნდა შეიკავოს. მაგრამ ნეოლიბერალი კვლავ ასეთ პრეტენზიას გამოთქვამს და ომს უცხადებს ყველას, ვინც მას არ ეთანხმება. ფუკუიამა სწორად მსჯელობს იმ ტრანსისტორიული საზომის არსებობის სიძნელეზე, რომლის მიხედვითაც ლიბერალიზმისა და დემოკრატიულობის შეფასება იქნება შესაძლებელი. ფუკუიამა თავის „ისტორიის დასასრულში“ არსად ეხება ანგლოსაქსურ კალვინისტურ მესიანიზმს და მისი სიფრთხილე გასაგებია. ფუკუიამას თანახმად, ისტორიის ცოდნა შეუძლებლად აქცევს სიყვარულს.

თუ მე ისტორიიდან ვიცი, რომ ნებისმიერი პრეტენზია აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე დამარცხდება, მაშინ რატომ უნდა მიყვარდეს ქრისტე და ეკლესია? რატომღა უნდა ვიყო მე ბოლშევიკი, ნაციონალ-სოციალისტი? ლიბერალიზმის შეუვალი ლოგიკის თანახმად, ქრისტეს მსჯელობა, რომ ისაა ჭეშმარიტი ღმერთი, არის ჩემი, როგორც თავისუფალი ინდივიდის უფლებათა შელახვა. აი, ამ უარსებითეს სიძნელეს ლიბერალიზმის ფილოსოფია ვერ ძლევს. ინდივიდისათვის სულ ერთია, ქრისტეა ჭეშმარიტი უფალი, თუ სხვა ვინმე. ამ სიძნელეს ვერ დაძლევს ძალზე გავრცელებული გამოთქმები, რომ „ღმერთი სიყვარულია“, „აკეთე სიკეთე“, „გიყვარდეს მოყვასი შენი“. როგორ და რა უნდა მიყვარდეს დღეს? როგორ უნდა უყვარდეს

თვით ნეოლიბერალს ვინმე ან რაიმე?

მე, როგორც უტილიტარისტი ინდივიდი, სხვა ინდივიდშიც ვხედავ ისეთსავე მისწრაფებებს, როგორიც მე მაქვს და შეუძლებელია ეს სხვა მე მიყვარდეს ქრისტიანულად და საერთოდ რაიმე ადამიანური კეთილი გრძნობა გამაჩნდეს მის მიმართ. ასევე ამ სხვა ინდივიდს, შეუძლებელია, მე ქრისტიანულად ვუყვარდე. ერთადერთი, რასაც ორი ინდივიდი შეიძლება განიცდიდეს ერთმანეთის მიმართ, არის უნდობლობა, მიზანთროპია და სადიზმი. ორი ინდივიდი ერთმანეთში ხედავენ საძაგელ არსებებს და არც ერთს არა აქვს უფლება მეორისაგან რაღაც მეტი მოითხოვოს, ვიდრე ფორმალური და კონვენციური ურთიერთობებია. ამავე დროს, ინდივიდები ერთმანეთს ამხელენ ღორობაში და მოითხოვენ ზნეობრივ ქმედებებს.

ნეოლიბერალის თანახმად, ისტორიამ დაამტკიცა, გვასწავლა და კარგი გაკვეთილი მოგვცა, რომ ყველა მესიანიზმი დამარცხებისათვის იყო განწირული, უაზრობა იყო. მაგრამ არის კი ყველა მესიანიზმის დამარცხება იმის მტკიცების საფუძველი, რომ ისტორიამ გვასწავლა მესიანისტური იდეების უაზრობა?

თუ „ისტორიამ დაამტკიცა“, რომ ყოველი რელიგიური და სეკულარული მესიანიზმი უაზრობა ყოფილა, გამოდის, რომ უაზრობა ყოფილა იდეოკრატიულ ექსტაზთან დაკავშირებული ისეთი თვისებები, როგორიცაა ერთგულება, თავგანწირვა, მოშურნეობა. ლიბერალიზმის იდეოლოგია მთელი მისი მზაკვრობის მიუხედავად, ვერასოდეს შეძლებს გამოაცალკევოს მესიანიზმისაგან ეთიკური კატეგორიები და დაუკავშიროს ისინი ფრაიველის პრინციპსა და დემოკრატიას. დემოკრატიულად მცხოვრებ ინდივიდს არ სჭირდება ეთიკა. ის ცხოვრობს როგორც მექანიკური არსება. ირგვლივ არის მილიონობით თვალთმაქცი ინდივიდი. ყველა მათგანი მოითხოვს, რომ დემოკრატიამ და მისმა ინსტიტუტებმა დაიცვას ინდივიდის უფლებები ზნეობრივ საწყისზე დაყრდნობის გარეშე.

როდესაც ნეოლიბერალი ბოლშევიზმის მარცხის შემდეგ ლაპარაკობს, რომ „დრომოჭმული გველის პერანგის გამოცვლის დრო დადგა“, აქ კვლავ ფორმაციული ლოგიკის რეციდივი

ვლინდება. თუ ნეოლიბერალი ამ მოვლენას გველის ტყავის ცვლას ადარებს, მაშინ დადგება დრო, როდესაც გველი ლიბერალ-დემოკრატიზმად წოდებულ ტყავსაც გამოიცვლის. მაშასადამე, ნეოლიბერალის მტკიცებანი ამ სისტემის ერთადერთობისა და საბოლოო ჭეშმარიტების შესახებ ყოვლად უსაფუძვლოა.

ფორმაციათა ცვლა მარქსიზმში და არა მხოლოდ მასში მკვლელობასაა შედარებული. მომდევნო ფორმაცია ამარცხებს და კლავს წინამორბედს. შემდგომ გამარჯვებულსაც იგივე ემართება მისი მომდევნო ფორმაციისაგან. ნეოლიბერალიზმმა კი გაიმარჯვა, მაგრამ ფორმაციული კონტურები მან ვერ გამოკვეთა და ისრისებური დროიდან ის ისევ წრიულად განმეორებად ეპოქებზე - იუგებზე გადავიდა. ახლა, ისე როგორც არასდროს, ნეოლიბერალიზმი საჭიროებს საკუთარი სინამდვილის მითიზაციასა და მისტიფიკაციას. ისტორია კი არ დასრულებულა. მისი ახალი საფეხური დაიწყო და იდეური ბრძოლა ისეთი ინტენსივობისა იქნება, როგორიც იყო წარმართობისა და ადრეული ქრისტიანობის რამდენიმესაუკუნოვანი ბრძოლა, როგორიც იყო ქრისტიანობისა და ისლამის ბრძოლა შუა საუკუნეებში. ნეოლიბერალიზმს მისი ტექნიკური განვითარებულობის მიუხედავად, ამ ბრძოლაში გამარჯვების მცირე შანსი აქვს. მსოფლიოს ხალხთა უმრავლესობისათვის დასავლურმა იდეალმა თანდათან აზრი დაკარგა. ის სამართლიანობა და ის სამართლებრივი საზოგადოება, რაზეც ამდენს ლაპარაკობს ნეოლიბერალიზმის იდეოლოგი, მომდინარეობს უნდობლობიდან, რომელიც სულ უფრო ექსტრემისტული ხდება და ამით საფუძველს უყრის ტოტალურ თვალთვალს, დასმენას და ანონიმურ შანტაჟს. ჯერ კიდევ ნიცშე თავის ნაშრომში „ნება ძალაუფლებისაკენ“ (§278) აღნიშნავდა უნდობლობის როგორც სიმართლის წყაროს შესახებ. დემოკრატიული საზოგადოების ამ დიდ ნაკლს კარგად გრძნობს ფუკუიამა და მას თავის გამოკვლევას უძღვნის. აქ საუბარია ნდობის, როგორც ეთიკური თვისების შესახებ.

დემოკრატიული საზოგადოების ანალიზს უნდა ვიწყებდეთ კითხვის დაყენებით: შეიძლება თუ არა იყოს სისტემა კიდევ უფრო მზაკვრული და ორსახოვანი, ვიდრე თანამედროვე

ნეოლიბერალიზმია?

განმანათლებელთა დროიდან რადიკალურად გამოიკვეთა პრობლემა - როგორი უნდა იყოს სოციალურ-პოლიტიკური მოწყობა, რომ ადამიანს თავის უნართა განხორციელება ზნეობრივი კომპრომისის გარეშე შეეძლოს?

პოლიტიკური ფილოსოფიის ანგლოსაქსური ტრადიცია, რომელსაც ლოკთან და ჰობსთან ეყრება საფუძველი, განმანათლებლობის ამ პრობლემას დღეს საბაზრო პრაგმატიზმის თანახმად გადაწყვეტს. ნებისმიერი ადამიანი ეგოისტი ბურუუაა. ეგოიზმი წარმართავს საზოგადოების განვითარებას. ამ ფილოსოფიის წინააღმდეგ გამოვიდნენ ბოლშევიკები, ფაშისტები და ნაცისტები. დღეს კი მას უარყოფენ ევროპელი ტრადიციონალისტები, ევროპელი ახალი მემარჯვენეები და რუსი ნეობოლშევიკები. ჯამათი არ სჭირდება იმას, რომ მათი ნაკვლევი მაღალი აკადემიურობით გამოირჩევა, მაგრამ ახალი ფორმაციის თეორიული მონახაზები ჯერ არ ჩამოყალიბებულა. შეუძლია კი ამ ოპოზიციას ლიბერალ-კაპიტალიზმის დადებით მხარეთა შენარჩუნება?

ნეოლიბერალიზმის ადგილობრივი ადეპტები კი ამ ოპოზიციას ან არ ახსენებენ, ან მსჯელობის დასაწყისიდანვე კილავენ. ზემოაღნიშნული ოპოზიციის გარდა არსებობს უკვე პანევროპული ახალგაზრდული ანტიგლობალიზმი. ეს მოძრაობა არის XX საუკუნის 60-70-იანი წლების აჯანყების მემკვიდრე. და კიდევ ერთი ოპოზიცია არსებობს. ეს არის ისლამური ექსტრემიზმი. დასავლური ანტიგლობალიზმი არის ევროპული რევოლუციონიზმის ახალი გამოძახილი.

საქართველოში ანტიგლობალისტთა ახალგაზრდული მოძრაობა არ არსებობს. ზედმეტია ლაპარაკი ქართულ ტრადიციონალიზმზე, ახალ მემარჯვენეობასა და ევრაზიელობაზე. ქართული თვალსაწიერი მტკვრისა და რიონის ხეობებს და ამ ხეობებში მდებარე დასახლებებს ვერ გასცილდა. მედიაკრატიული თვალთმაქცობა კი სხვადასხვა ტელეარხებსა და გაზეთებში მომუშავე ქართველ ახალგაზრდობას კარგად შეუძლია. მაგალითად, ითქმის ასეთი რამ: „შეერთებული შტატების ნაციონალური ინტერესები არ ეწინააღმდეგება დემოკრატიული სამყაროსათვის მიღებულ ცივილიზებული

ურთიერთობის ნორმებს და ისინი არა თრგუნავენ, როგორც ეს ანტიგლობალისტებს ჰგონიათ, არამედ პირიქით, ხელს უწყობენ თავისუფლებისმოყვარე ხალხების დემოკრატიულ განვითარებას და ბუნებრივ მისწრაფებებს". ამას რაიმე განმარტება აღარ სჭირდება.

დასავლურმა იდეოლოგიამ ისე მოაწყო, რომ გლობალიზმის კრიტიკა გაიგება ლიბერალ-დემოკრატიზმის კრიტიკად, რადგან ამ იდეოლოგიამ გლობალიზმი ლიბერალიზმის განვითარების ბუნებრივ საფეხურად წარმოაჩინა. ეს იდეოლოგია იმას კი აღარ გამოკვეთს, თუ რატომ აღარ იცავს გლობალიზმი ფორ-მაციულ მეთოდოლოგიას და მთლიანად არც ცივილიზა-ციონიზმის კალაპოტში გადადის.

თუ ადამიანი პოსტსაბჭოთა გარემოში გლობალიზმს აკრი-ტიკებს, მან უნდა აღნიშნოს თვითონ ის ვინ არის - ნეომარქ-სისტი, ფუნდამენტალისტი, ტრადიციონალისტი თუ ნეობოლშევიკი. სხვა იდეური შესაძლებლობანი პოსტსაბჭოთა ადამიანისათვის, რომელსაც განმანათლებლობის დახურვის მძიმე პირობებში უხდება ცხოვრება, აღარ არსებობს.

თუ, მაგალითად, სარტრი კაპიტალიზმის მისეული კრიტიკ-ისას რჩებოდა სოციალისტად და იცავდა დიდი ფრანგული რევოლუციის სულისკვეთებას, გაგებით ეკიდებოდა რუსული ბოლშევიზმის ექსტრემისტულ ქმედებებს, ესმოდა ბოლშევიზმის წინაშე მდგარი სიძნელენი, მისთვის კაპიტალიზმის კრიტიკა, პოსტსაბჭოთა ადამიანთან შედარებით, გაცილებით ადვილი იყო იმიტომ, რომ განმანათლებლობის პარადიგმა საფრანგეთსა და მთლიანად ევროპაში ხელშეუხებელი იყო.

გლობალიზმის თანამედროვე დასავლელი კრიტიკოსისაგან განსხვავებით, პოსტსაბჭოთა კრიტიკოსის ხვედრი უფრო მძიმეა. პოსტსაბჭოთა ადამიანმა გლობალიზმის კრიტიკასთან ერთად უნდა იბრძოლოს განმანათლებლობის შენარჩუნებისათვის, თორემ გლობალიზმის მისეული კრიტიკა არგუმენტირებულო-ბისა და მეცნიერულობის მიუხედავად, ცარიელ სიტყვად დარჩება. განმანათლებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა კი მას გაუჭირდება საზოგადოების დესოციალიზებისა და სრული უიდეობის გამო. პოსტსაბჭოთა კრიტიკოსს ყოველთვის ორ ფრონტზე უწევს ბრძოლა. ბრძოლა განმანათლებლობის

შენარჩუნებისათვის გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე გლობალიზმისა და ნეოლიბერალიზმის კრიტიკა.

საქართველოში ეროვნულ ძალებს მაშინაც კი არ შეუძლიათ კონსოლიდირება, როდესაც ყველასთვის ყველაფერი აშკარავდება. ფინანსურ ფლიბუსტერთა კლასს კი შეუძლია ინტერნაციონალური კონსოლიდირება. ფლიბუსტერთა კლასს ყველაფრის გამოაშკარავების შემდეგაც კი შეუძლია მოატყუოს ეროვნული ძალები, რომ კლასობრივი ბრძოლა სატანურია და ღვთიური ჭეშმარიტება ყველა ვითარებაში მხოლოდ ნაციონალიზმი და სარწმუნოებაა. ეს სიცრუე კაპიტალს სჭირდება იმისთვის, რომ ეროვნულმა ძალებმა ვერ შეძლონ თეორიულ სიმაღლეზე ასვლა და ქვეყნის გარეთ წინააღმდეგობის ინტერნაციონალური ფრონტის ორგანიზება. ნაციონალიზმზე და მამაპაპათა რჯულზე თვალთმაქცური ლაპარაკი კაპიტალს ესაჭიროება იმისათვის, რომ ქვეყნები მუდმივად რჩებოდნენ ეთნიკური სუვერენიტეტის ნაჭუჭში და ეს რაღაც განსაკუთრებულ მიღწევად მიაჩნდეთ.

ბოლშევიკური მმართველობის დროს ნონკონფორმისტული წიგნის გამოსვლა საზოგადოებაში აუიოტაჟს იწვევდა და ხელისუფლება შეშფოთებული იყო. ეს იმიტომ, რომ მონისტური იდეოლოგიური აკრძალვების დროს საზოგადოებას გააჩნდა კონსოლიდირების, აჯანყების პოტენცია. პლურალისტული იდეოლოგიის პირობებში, როდესაც არ არსებობს აკრძალვები, საზოგადოება მოკლებულია კონსოლიდაციის, აჯანყების უნარს, იმის მიუხედავად, რომ უკანონობა და სიცრუე აღემატება წინამორბედი სისტემის ყველა უკანონობასა და სიცრუეს,

გამოვიდა უწინ აკრძალული წიგნები. საზოგადოებამ შეიტყო მრავალი დაფარული ფაქტი, მაგრამ ეს სინამდვილეს არ ცვლის. გამოვიდა უამრავი წიგნი აღმოსავლურ ეზოთერიზმზე, სპირიტუალიზმზე, რაც მარქსისტულ-ლენინურ მატერიალიზმზე არტისტული შურისძიება იყო. გარდაქმნის დოქტრინის დროინდელი დისიდენტები მარქსისტულ ეკონომოცენტრიზმს ყოველი მხრიდან აკრიტიკებდნენ. სუვერენიტეტების გამოცხადებით ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ლამობდნენ მარქსიზმის განქიქებას და წინ წამოსწევდნენ რელიგიოცენტრიზმს. ყველა მათგანი ლაპარაკობდა

საკუთარი ისტორიის ტრაგიკულ ფაქტებზე. მარქსისტული ფორმაციონიზმის მათეული მრავალწლიანი კრიტიკა ყოვლად არამეცნიერული იყო. აღმოსავლეთევროპელი ხალხების მიერ ბოლშევიზმის თეატრალური გმობა რუსული სიიაფითა და გულუხვობით გალაღებულთა თავნებობა იყო. რუსების რასისტულმა დაცინვამ აღმოსავლეთევროპელები ვერ დაუახლოვა დასავლეთევროპელებს. ისინი დარჩნენ მცირე ულუფის ამარა და დასავლეთ ევროპამ აღმოსავლეთევროპელებს ბოლშევიზმის თავგამოდებული ლანძღვის გამო არაფერი უფეშქაშა. მთელი აღმოსავლეთ ევროპა რჩება ხაზგასმულად დაქვემდებარებულ მდგომარეობაში. მედიაკრატიული სპეკულაციები აღმოსავლეთ ევროპის დიდი ეკონომიკური შესაძლებლობების შესახებ გამოდგა სიცრუე.

აქვე გავიხსენოთ მედიაკრატიის შემდეგი ორაზროვნება. გარდაქმნის დოქტრინის დროიდან იგი ერთდროულად იყო ეკონომოცენტრისტი და რელიგიოცენტრისტი. 1989-91 წლებში მსჯელობამ დეპოზიტებზე, აქციებზე, დივიდენდებზე მაგიური მნიშვნელობა შეიძინა. ამავე დროს, მედია მიუთითებდა ეკლესიაზე, რომელსაც ბოლშევიკები დევნიდნენ და ჟურნალისტმა ლამის თავად ჩაიცვა ანაფორა, დაგმო მარქსისტული ფორმაციონიზმი და რევოლუციის მიერ დამხობილი მონარქიის გულშემატკივრად და მეხოტბედ გამოვიდა.

იმ წლებში საწარმოები, გარდაქმნის დოქტრინის თანახმად, უნდა გადასულიყვნენ სრულ სამეურნეო ანგარიშზე, რაც გულისხმობდა თვითდაფინანსების, თვითმმართველობის, რენტაბელობის და ხარჯდაფარვადობის პრინციპთა დაცვას. იმ დროსვე მიმდინარეობდა საუბრები ერთობლივ საწარმოთა შექმნის შესახებ. სრული სამეურნეო ანგარიშის იდეა 1991 წლის მეორე ნახევარშივე დავიწყებას მიეცა. ვერც ერთმა საწარმომ ეს იდეა ვერ განახორციელა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე. 1992 წლიდან, ყოვლისმომცველი პოლიტიკური კრიმინალიტეტის პირობებში საწარმოთა თვითმმართველობის პრინციპზე ლაპარაკი უაზრო გახდა. განვითარებული სოციალიზმიდან მცირე დროში ლიბერალიზმზე გადასვლა ვერ განხორციელდა და დღესაც, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მოღვაწე ათასობით ლიბერალი რეფორ-

მატორის მცდელობაია მიუხედავად, ასეთი გადასვლა ვერ ხერხდება. ამ მარცხის დასაფარად მედიაკრატია მრავალგვარ ხერხს იგონებს. პოსტსაბჭოთა დროის ლიბერალებმა ბოლშევიზმის მარცხი ქრისტიანული ღმერთის გამარჯვებად მიიჩნიეს. ღმერთი კი ლიბერალ რეფორმატორებს არაფერში შეეწია და მრავალჯერ შეარცხვინა ყველა მათი განსჯა. რეფორმატორთა გვერდით მდგომი ეკლესია კი ამაზე დუმს. მართლმადიდებლობის კაპიტალიზაცია და სოციალიზაცია ვერ მოხერხდა, იმის მიუხედავად, რომ რუსული ეკლესია 1991 წლის სექტემბრიდანვე და უფრო ადრე ქართული ეკლესია, ყველა ლიბერალური პოლიტიკური წამოწყების მონაწილენი იყვნენ. თანამედროვე მართლმადიდებლური ღვთისმეტყველება ამ საკითხს გვერდს უვლის. არც საუნივერსიტეტო წრეები აყენებენ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ არის შესაძლებელი კაპიტალიზმის შესახებ მარქსის დისკურსის რელიგიური ინტერპრეტაცია და თუ ოფიციალური ეკლესია ლიბერალიზმს ღვთისთვის სათნო წყობილებად მიიჩნევს ბოლშევიზმისაგან განსხვავებით, რატომ არ ხდება მართლმადიდებლური დოქტრინის კაპიტალიზება?

სადღეისოდ ექსპერტ-ანალიტიკოსთა მიერ ითქმის, რომ „ფერადი რევოლუციები“ რიგ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არის ჭეშმარიტი დემოკრატიული რეფორმების დასაწყისი. ცუდია, როდესაც მკვლევარი PR - ფორმისტად იქცევა. იგი მსჯელობს, რომ აი, ახლა განვითარდება მცირე მეწარმეობა და ჩამოყალიბდება საშუალო კლასი. ექსპერტი არ კითხულობს, რატომ ვერ ჩამოყალიბდა კაპიტალისტური ურთიერთობანი პოსტსაბჭოთა ხალხებში 15 წლის მანძილზე. ამ პუნქტში მისი რეფლექსია მეტად სუსტია და სტანდარტულ შეფასებებს არ სცილდება. ექსპერტის მსჯელობათა თანახმად, მოდის „პოლიტიკოსთა ახალი, ენერგიული თაობა“, რომელსაც „უფრო მეტი შესაძლებლობები აქვს“. ასეთი რამ ძალზე ბევრჯერ თქმულა და სინამდვილე ისაა, რომ დემოკრატია თვით დასავლეთში იხრწნება. დასავლეთს სულაც არ აღელვებს პოსტსაბჭოთა ხალხებში დემოკრატია დამკვიდრდება თუ არა. მიუკერძოებელი განსჯისათვის გვაქვს მეტად დამაფიქრებელი 15-წლიანი უახლოესი წარსული. მეცნიერმა ასე არ უნდა

გააუბრალოვოს თავისი მსჯელობა, რომ ყველაფერი ახლა იწყება, რომ დემოკრატიას და თავისუფლებას ალტერნატივა არა აქვს. ყველაფერი დიდი ხანია დაწყებულია და ყოველთვის მიმდინარეობს ამდენი ექსპერტ-ანალიტიკოსის განსჯათა საპირისპიროდ. პოსტსაბჭოთა სივრცეში ასეთი სულიერი კატასტროფა მოხდა და ექსპერტი კი კვლავ უბანალურესი გამოთქმებითა და შეფასებებით იფარგლება. ესეც სოციალური მექანიკისა და ადამიანი-ავტომატის გამარჯვების კიდევ ერთი საგულისყურო მაუწყებელია.

კაპიტალიზმი, როგორც კულტურა და სულიერი მოღვაწეობა, როგორც რელიგია, მხოლოდ ევროპის რამდენიმე ქვეყნის ისტორიული წარსულია. პოსტსაბჭოთა სივრცეში მისი გადატანა არ მოხერხდა, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი რაციონალური განსჯა და პროექტი შეიქმნა ამ მიზნით. რამდენიმე ათეული კვლევითი ინსტიტუტი და ცენტრი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში წარუმატებლად ცდილობს შექმნას კაპიტალიზმზე გადასვლის ოპტიმალური მოდელი.

მარცხი კი ხშირად ბრალდება მართლმადიდებლობას, რომელიც ოფიციალური ეკლესიის სახით, სულაც არ ეწინააღმდეგება პოლიტიკური კონიუნქტურის მიერ პოსტულირებულ პრინციპებს. პირიქით, ოფიციალური ეკლესია ყოველთვის ლიბერალ რეფორმატორთა ყველა ინიციატივის მხარდამჭერად გამოდის და ღმერთის ავტორიტეტით განამტკიცებს ნეოლიბერალთა დაპირებებს. არსად არასოდეს გასმენილა, რომ მართლმადიდებლობას ნეოლიბერალთა მიერ ჩადენილ უსამართლობათა გამო ხმა აღემაღლებინოს. ეკლესიას არაფერი უთქვამს კრიმინალური პრივატიზაციის დაკანონების გამო. აბა, რატომ სდებენ ბრალს მართლმადიდებლობას ლიბერალი რეფორმატორები?

მართლმადიდებლობის ისტორიიდან ცნობილია, რომ XIV - XV საუკუნეების ბიზანტიური აზროვნება იმპერიის დაცემისა და საყოველთაო კრიზისის პირობებში ცდილობდა ანტიკური პრინციპებისა და სეკულარული იდეების წინ წამოწევით ახალი ორიენტირების მოძიებას. აპოსტატა გეორგიოს გემისტოს პლეთონი, თეოდოროს მეტოხიტესი, ნიკიფოროს ხუმნოსი და სხვები ბაძავდნენ პლატონს. მათი განსჯა წარმოიშვა ბიზანტი-

ის ეკონომიკის იტალიურ კაპიტალზე დამოკიდებულების დროს. ბიზანტიელ ნეოპლატონიკოსთა ნააზრევს თვით ბიზანტიაში არ გამოუღია ისეთი ნაყოფი, რომელიც ახალი დროის დადგომის მაუწყებელი იქნებოდა. ახალი რენესანსული დრო იტალიაში დადგა.

XIV - XV საუკუნეების იტალიურ-ბიზანტიური ეკონომიკური ურთიერთობანი ბასილეიის დაკნინებას აჩქარებდა. ბიზანტია იქცა იტალიური მანუფაქტურული წარმოებისა და ვენეციელთა, გენუელთა სავაჭრო კაპიტალის დანამატად. ამან სულაც არ შეუწყო ხელი ბიზანტიაში კაპიტალიზმის ადრეული ფორმების გაჩენას. ფეოდალური ფორმაცია შეურყეველი რჩებოდა. რენესანსის დროის იტალიური ბურჟუაზია (XV ს.) ფეოდალიზმს იტალიაში ასე წარმატებით იმიტომ ეწინააღმდეგებოდა, რომ იტალიის მეზობელი ქვეყნები სულ ომობდნენ და შიდა კონფლიქტებს ვერ აუდიოდნენ. საფრანგეთი ინგლისთან ასწლიანი დინასტიური ომით (1337-1453) იყო დასუსტებული, ესპანელები არაბებს ებრძოდნენ, ჰაბსბურგები თავისი გავლენის გაფართოებას ცდილობდნენ. ყველგან საჭირო იყო დიდი ფული, რომელიც მხოლოდ იტალიელ მევახშეებს ჰქონდათ. ყოველთვის საგულისხმოა კითხვის დაყენება - რენესანსი პროვიდენციული მოვლენა იყო, თუ იღბლიან შემთხვევათა ერთობლიობის შედეგი?

შემმეცნებლის აღტაცება ვენეციის, ფლორენციის, გენუის სილამაზით და მთლიანად რენესანსის სიდიადით ხშირად არ აქცევს ხოლმე ყურადღებას იმას, რომ ეს ყველაფერი სავაჭრო კაპიტალის მეოხებით, მეკობრეობით და იტალიურ ტირანიათა საფუძველზე შეიქმნა. კონსტანტინოპოლის გაძარცვას უნდა უმადლოდეს ვენეცია თავის სილამაზესა და ღირსშესანიშნაობებს.

XII საუკუნის მეორე ნახევარში ვენეციელები და გენუელები ბიზანტიას ზღვაზე პირველობას ართმევენ და ამის გამო ბალკანეთის ნახევარკუნძულის დიდ ნაწილზე ბიზანტიამ ძალაუფლება დაკარგა. ზღვიდან ვენეციელთა გემების შეტევის შემდეგ აიღეს ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლი 1204 წელს. ხმელეთიდან წმინდა ქალაქი აუღებელი იყო. ვენეციელთა და გენუელთა გემები შავ ზღვას თავისი სავაჭრო მიმოსვლის არე-

ალად აქცევენ. XIV საუკუნის დასაწყისში აზოვის ზღვაზე, ყირიმის სახანოში საერთაშორისო სავაჭრო ფაქტორიად იქცა ტანა, რომელმაც შეცვალა ტრაპიზონი. ტანა ტრანსაზიური სავაჭრო გზის ის პუნქტი იყო, რომელიც აზიას ევროპასთან აერთებდა. გენუელებს ეპყრათ შავი ზღვის სანაპირო და მონგოლთა იმპერიას აბრეშუმის ნედლეულს ევაჭრებოდნენ.

ვენეციელთა და გენუელთა სავაჭრო გემებმა გამოუთხარა ძირი ბიზანტიის დიდებას. რაც ბარბაროსების - ჰუნების, ავარების, სლავების, ბულგარელების მახვილმა ვერ გააკეთა, ის გააკეთა იტალიურმა ფლორინმა და ვენეციელმა მარკიტანტმა. ვენეციის საზღვაო რესპუბლიკა გლობალიზაციის ადრეული გამოხატულება იყო. XIII საუკუნის შუა ხანები ის დროა, როდესაც ვენეციელი, ფლორენციელი და გენუელი ვაჭარ-მევახშეების მოვალე იყო მთელი ევროპა. იტალიელები სძულდათ მევახშური სიხარბის გამო და მათი საკუთრება ხშირად დაურბევიათ. უცხო ქვეყნებიდან მოზიდულ ნედლეულს - მატყლსა და აბრეშუმს იტალიის ქალაქებში ამუშავებდნენ. აქ იყო მუშახელის დაუნდობელი ექსპლუატაცია, შრომის მძიმე პირობები, ყოველივე ის, რაც მოგვიანებით მარქსმა XIX საუკუნის პირველი ნახევრის ინგლისში დაინახა და თავისი გამოკვლევების ემპირიულ საფუძვლად აქცია. თუ ინგლისში მანუფაქტურული ურთიერთობები, შრომის ახლებური განაწილება ახალი ფორმაციის დამკვიდრებაზე მეტყველებდნენ, იტალიაში ასე არ მომხდარა. კაპიტალის დაგროვება ვენეციელ და ფლორენციელ ვაჭრებს არ აძლევდა პოლიტიკურ უფლებებს, იმის მიუხედავად, რომ ევროპის მრავალი არისტოკრატული სახლი მათი მოვალე იყო. რენესანსის მიუხედავად, იტალიაში არ მომხდარა კათოლიციზმის კაპიტალიზაცია და არც ერთ იტალიელ ჰუმანისტს არ დაუწყია ქრისტიანობის ისეთი ინტერპრეტაციის შექმნა, როგორიც მოგვიანებით დაიწყეს ლუთერმა და კალვინმა.

ნიცშეს თანამედროვე იაკობ ბურკჰარდტი (1818-1897) თავისი ცნობილი გამოკვლევის მეექვსე თავში სვამს კითხვას, - რატომ მოხდა, რომ სულიერად ასე ძალმოსილი იტალია უფრო გაბედულად არ იწყებს მოქმედებას საეკლესიო იერარქიის წინააღმდეგ და რატომ იტალიამ გერმანიაზე უწინ არ განახ-

ორციელა გერმანულის მსგავსი რეფორმაცია? [5.389].

რენესანსი არ ყოფილა საერთოევროპული მოვლენა. ის მხოლოდ იტალიასა და ნიდერლანდებში განვითარდა. ნიდერლანდებში რენესანსი და პროტესტანტიზმზე დაფუძნებული კაპიტალისტური ურთიერთობები, იტალიისაგან განსხვავებით, გვერდიგვერდ ვითარდებოდა. ნიდერლანდებში ჩამოყალიბდა ბურჟუათა კლასი. როდესაც იტალიაში ჩინკვეჩენტო დასრულდა, რენესანსი ევროპის სხვა ქვეყნებში მაშინღა გადავიდა და იმიტაციისა და სტილიზაციის საგნად იქცა. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ჩრდილოევროპულ ქვეყნებში პროტესტანტული მოძრაობა იყო გაშლილი. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთევროპულ ქვეყნებში - უნგრეთში, ჩეხეთსა და პოლონეთში რენესანსი თითქმის იმავე დროს მიმდინარეობდა, რა დროსაც იტალიაში. ეს ქვეყნები მაინც ევროპის პროვინციებად დარჩნენ და რენესანსული სული აქ ფეოდალიზმმა მოაშთო. ეს სამი ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპიდან, რუსეთის იმპერიის მიმართ ყველაზე აგრესიულნი იყვნენ. უნგრეთი და ჩეხეთი ავსტრიასთან ერთად დიდი ხნის მანძილზე ფეოდალური რეაქციის ბურჯს წარმოადგენდნენ. უნგრეთის გვერდით მდებარე ავსტრია რენესანსის მიმართ ყრუ დარჩა. ესვე ითქმის ესპანეთზე, რომელიც კლერიკალური რეჟიმის დასაყრდენი იყო და ესპანეთის იმპერია თავისი ძლიერების ზენიტში ფეოდალიზმის დამცველად გამოდიოდა. თავისი კოლონიებიდან მოზიდულმა სიმდიდრემ ესპანეთი, რომელსაც ევროპის პოლიტიკური ჰეგემონობისა და სულიერი წინამძღოლობის დიდი მისწრაფება გააჩნდა, ვერ გაიყვანა ბურჟუაზიული განვითარების გზაზე. ესპანეთის იმპერია დამარცხდა კაპიტალისტურ ინგლისის იმპერიასთან ბრძოლაში. ინგლისში, გერმანიასა და საფრანგეთში, უფრო გვიან რუსეთში იტალიური რენესანსი ნიმუშად იყო დასახული და არსგამოცლილი, სტილიზებული ნაწარმოებები ფართოდ ვრცელდებოდა ამ ქვეყნებში XVIII საუკუნეში. რენესანსის სტილიზაციას თანამედროვე დიზაინიც ეწევა.

ზემოთ ვთქვით, რომ ნიდერლანდებში იტალიისაგან განსხვავებით, გაგრძელდა კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარება. არაა საკმარისი ამის ახსნა მხოლოდ ახალი

საზღვაო გზების აღმოჩენით (პორტუგალიელთა მიერ XVI საუკუნის დასაწყისში) და ამის გამო ვენეციის, გენუის, ფლორენციის დაკნინებით. მოგვიანებით კაპიტალიზმი იტალიაში ჩრდილოეთ ევროპიდან შეევიდა.

ნიდერლანდებში აღმოცენებული კაპიტალიზმის ესტაფეტა აიტაცა ინგლისმა. კაპიტალიზმის პრაქტიკაში ინგლისის მასწავლებელი ჰოლანდიაა. კაპიტალიზმის აკვანი XIV-XV საუკუნეების რენესანსული იტალიაა. შემდგომ კაპიტალიზმი XV - XVI საუკუნეებში ვითარდება ფლანდრიასა და ჰოლანდიაში, შემდგომ - ინგლისში XVIII-XIX საუკუნეებში, შემდგომ - ჩრდილოეთ ამერიკაში.

ამრიგად, მსჯელობა, რომლის თანახმადაც საბაზრო ეკონომიკის აკვნად მოიაზრება მთლიანად ევროპა, არაა სწორი. იტალიაშივე, ასევე გერმანიასა და ესპანეთში არსებობდა კაპიტალიზმის საწინააღმდეგო იდეოლოგიები მუსოლინის, ჰიტლერის და ფრანკოს დროს.

რენესანსული ადამიანი, ადრეული იტალიელი კაპიტალისტი თავის სამოქმედო ფილოსოფიას საჭიროებდა. საფუძველი ეყრება ოფიციალური ეკლესიისაგან დაშორებას. იღბალი და მოქმედებისათვის საჭირო გამბედაობა უფრო მნიშვნელოვანი იყო რენესანსში, ვიდრე ღვთის განზრახვა. ასეთმა განაზრებამ ახალ კულტურას დაუდო დასაბამი. კათოლიკე ღვთისმეტყველი დიტრიხ ჰილდებრანდი თავის „ახალ ბაბილონის გოდოლში“ აღნიშნავდა, რომ XV საუკუნის ფლორენციელი ხელოსანი უდავოდ უფრო კულტურული იყო, ვიდრე ჩვენი დროის უნივერსიტეტის პროფესორები არიან. ეს აზრი მაშინ ხდება გასაგები, როდესაც გვესმის ის სულისკვეთება, რაც იტალიაში რენესანსის წინააღმდეგობრივ ეპოქას ქმნიდა.

თუ მართლმადიდებლობას ნეოლიბერალთა მხრიდან ბრალი ედება კაპიტალიზმისადმი მტრულ დამოკიდებულებაში, მაშინ რენესანსის ისტორიაზე მითითებით, ჩვენ შეგვიძლია ბრალი დავდოთ კათოლიციზმს, რომ მან არ შეუწყო ხელი იტალიაში ადრეული კაპიტალიზმის განვითარებას.

თანამედროვე ნეოლიბერალიზმსა და გლობალიზმზე საუბრისას არ შეიძლება არ შევეხოთ იუდაისტური მესიანიზმის პრობლემას.

ხორხე ბორხესი თავის ლექციაში ბუდიზმის შესახებ აღნიშნავს, რომ ძალზე ძნელია რელიგიის, განსაკუთრებით იმ რელიგიის, განმარტება, რომლის აღმსარებელიც არა ხარ.

ბორხესს აქ შეიძლება დავეთანხმოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც განვიხილავთ არააბრამიტულ რელიგიებს. ინდუიზმი და მისგან გამოსული ბუდიზმი უცხო სულიერი ტრადიციაა მისთვის, ვინც აღიზარდა აბრაამიტული რელიგიებით ფორმირებულ კულტურულ სივრცეში. ასეთ ადამიანს ისე არ უნდა უჭირდეს ამ რელიგიათა შესახებ მსჯელობა, როგორც მას გაუჭირდება ინდუიზმისა და ბუდიზმის შესახებ აზრის გამოთქმა.

ვიცით რა თორა და წინასწარმეტყველთა წიგნები, ჩვენ გვიადვილდება სამივე აბრაამიტული რელიგიის გაგება-განმარტება. ამაში ხელს არ შეგვიშლის მათ მიერ ერთმანეთის სრული უარყოფა და განუწყვეტელი მტრობა ერთმანეთთან.

ვედებისა და უპანიშადების ცოდნა კი ვერ დაგვეხმარება ბუდიზმის გაგებაში, მით უმეტეს, რომ აბრაამიტულ რელიგიათაგან განსხვავებით, როგორც ისტორიიდანაა ცნობილი, ბუდიზმი არ მტრობდა ინდუიზმს, არ დევნიდა მას მაშინაც კი, როდესაც ბუდიზმი ინდოეთის სუბკონტინენტის სახელმწიფო რელიგია იყო იმპერატორ აშოკა მაურიას დროს (ძვ.წ.273-239 წწ.) და ბრაჰმანიზმმა მრავალი პოზიცია დათმო. მაურიების დინასტიის დაცემის შემდეგ, შუნგებისა და კანვების დინასტიების დროს, დაიწყო ინდოეთის რევედიზაცია, ბრაჰმანიზმის დიდი აღორძინება. ადრე დაკარგულ პოზიციათა დაბრუნებისას, ბრაჰმანებს არ დაუწყიათ ბუდიზმის დევნა. შუნგები და კანვები ისეთივე თავგამოდებული ბრაჰმანისტები იყვნენ, როგორი თავგამოდებული ბუდისტიც იყო მეფე აშოკა. ასეთი რელიგიური მგზნებარების მიუხედავად, შუნგები და კანვები ბუდიზმსა და ჯაინიზმსაც სწყალობდნენ. ის, რაც ინდუისტურ და ბუდისტურ ქვეყნებში იყო წესი, აბრაამიტული

რელიგიების ქვეყნებში იყო გამონაკლისი.

იუდაისტური მესიანიზმის საკითხი თითქოს აღარ უნდა იყოს აქტუალური სეკულარულ, რადიკალურად ეკონომოცენტრულ და მატერიალისტურ თანამედროვეობაში, მაგრამ პირიქით არის. იუდაიზმის საკითხი დღეს უაქტუალურესია და ის უმჭიდროეს კავშირშია ნეოლიბერალიზმის პლანეტარულ მისწრაფებებთან.

ახლა მიღებულია, როდესაც ლიბერალ-დემოკრატი შაბლონურად ახდენს იმის საჯაროდ კონსტატირებას, რომ იგი ანტისემიტიზმის მგმობელია. არავინ კითხულობს, თუ რამდენად ესმის ამ ლიბერალს ანტისემიტიზმი, რა აზრით არის ის ანტისემიტიზმის მგმობელი - დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებზე მითითებით, თუ ქრისტიანობაზე მითითებით? ამას არ არკვევენ და ასე დაჯარდა უამრავი ლიბერალი, რომელთა მიერ ანტისემიტიზმის გმობა ჩალის ღეროებია და მეტი არაფერი.

თუ ადამიანი ანტისემიტიზმს გმობს, გამოდის, რომ ის იუდოფილი თუ არა, ზოგადად პროსემიტი მაინც არის. ასე კი არ ხდება. ანტისემიტიზმის მამხილებელი ლიბერალი კაცი იუდაიზმისა და იუდეველთა მიმართ არანაირი გულითადი მოპყრობით არ გამოირჩევა. თუ ეს ასეა, რასაც ყველგან ვხედავთ, აბა, რა რჯის მას, როდესაც ანტისემიტიზმს გმობს? ასეთი კაცისთვის იუდაიზმი და იუდეველნი არის რაღაც ერთ-ერთი მოვლენა მოვლენათა დიდ პლურალისტურ კონგლომერატში. იუდაიზმი და იუდეველნი კი ერთ-ერთი მოვლენა კი არა, არამედ ერთადერთი მოვლენაა, რომელიც სხვა მოვლენებზე მაღლა დგას და რომელიც დემოკრატიის არშინით ვერ გაიზომება. იუდეველი ჭეშმარიტად განსაკუთრებული და საკვირველი ადამიანია.

ის, რომ რამდენიმე დასავლეთევროპული ქვეყანა ანტიისრაელურ, შესაბამისად პროპალესტინურ პოზიციაზე დგას, სულაც არ ნიშნავს, რომ ეს ქრისტეს გულისათვის ხდება.

ვინც ანტისემიტია ევროპასა და რუსეთში, უნდა გაირკვეს, რაში გამოიხატება მისი ანტისემიტობა იმის გარდა, რაც ბევრჯერ თქმულა თითქმის საუკუნის წინ კარლ ლუგერის (1844 - 1910), იულიუს ლანგბენის (1851-1907) ჰიუსტონ სტიუარტ ჩემბერლენის (1855-1927), ასევე ერნსტ მორიც არნდტის, ლუდ-

ვიგ ფრიდრიხ იანის, მანამდე ევროპელ სქოლასტიკოსთა და დემონოლოგთა მიერ. რაში გამოიხატება ჩვენს ევროპელ და რუს თანამედროვეთა ანტიიუდაიზმი გარდა იმისა, რომ ებრაელებს ამხელენ მსოფლიო ფინანსური ძალაუფლების ფლობაში?

მოხდა მრავალი რევოლუცია, დიდი ომი. უახლოესი წარსულის დიდი მოვლენა იყო საბჭოთა იმპერიის დაშლა. თუ ებრაელთა მიმართ სულ ერთი და იგივე ბრალდებები ისმის მრავალი თაობის ცხოვრების განმავლობაში, მაშინ გამოდის, რომ გოი ბრიყვია, სულმდაბალია და ყველა იმ თვისებითაა შემკული, როგორც თალმუდშია გადმოცემული. გამოდის, რომ ებრაელ'სე ჭკვიანი არავინ ყოფილა. ეს ანტიიუდაისტური ბრალდებანი და მხილებანი საბოლოოდ ყოველთვის იმას ადასტურებს, რისი აღიარებაც ანტიიუდაისტებს ჯიუტად არ სურთ. სახელდობრ იმისა, რომ ებრაელი განსაკუთრებულია, რომ ებრაელთა გარეშე დასავლეთის ცივილიზაციის წარმოდგენა შეუძლებელია. თუ ებრაელობა, ანტიიუდაისტთა განსჯის თანახმად, უდაბლესი რასა, უბოროტესი ხალხი, ყოველივე მანკიერების მატარებელია, მაშინ შეუძლებელია მის შესახებ საუბარი და მისი მხილება ასეთი განუწყვეტელი იყოს საუკუნეთა მანძილზე. რაც უდაბლესი და მანკიერია, შეუძლებელია ის იყოს მუდმივი მხილების, გმობის, ამავე დროს დაცინვის საგანი. მის შესახებ, წესით, ერთხელ ან რამდენიმეჯერ ამბობენ და შემდეგ დიდი-დიდი მას ზოგჯერ ახსენებენ. უდაბლესსა და მანკიერს მტრობა არ სჭირდება.

არაფერი ისე შეუვალად არ გვიმტკიცებს იუდაისტური მესიანიზმის განსაკუთრებულობასა და მისი არსებობის სრული უფლების შესახებ, ვიდრე მთელი ეს თანამედროვე, ინტერნაციონალური, აკადემიური ანტიიუდაიზმი და დაუსრულებელი ბრალდებანი ებრაელთა მიერ ღმერთის მკვლელობის შესახებ.

მხოლოდ მხილებანი, რაოდენ უდავო და სწორიც არ უნდა იყოს ისინი, არაფერს ნიშნავს იმიტომ, რომ გოი ამ მხილებათა შემდეგ ისევ ისეთი რჩება სხვა გოებთან ურთიერთობაში, როგორიც მანამდე იყო. ქრისტიანად ყოფნა თუ ძალუძს გოის? თუნდაც მაშინ, როდესაც ის გამარჯვების დიდებითაა შემკული? აი, ებრაელს კი შეუძლია მოსეს რჯულის მიმდე-

ვრად დაშთენა, მაშინაც კი, როდესაც ის დამარცხებული, არაადამიანურად დამცირებული და დევნილია. თუ ეს ასეა, რაც იუდაიზმის მაღალი ტრაგიზმით აღვსილი ისტორიიდან ვიცით, აქვს თუ არა ებრაელს უფლება იყოს მოსეს რჯულის მიმდევარი და ვის აქვს მორალური უფლება და ის სიმართლე, რომ დაგმოს მოსეს რჯული?

ლიბერალთათვის სავალდებულო სტანდარტულ ზოგადობად ქცეული გამოთქმა „ანტისემიტიზმი ჩემოვის მიუღებელია“, არაფერს ნიშნავს. ჩვენი დროის განათლებულმა ადამიანმა აუცილებლად უნდა გაარკვიოს თავისი დამოკიდებულება იუდაიზმთან. დღეს ცხადი გახდა, რომ ქრისტიანული თეოლოგიის ყველა განსჯა და მტკიცება იუდაიზმის უპერსპექტივობის შესახებ არასწორი გამოდგა. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ ქრისტიანობამ დიდი დამარცხება განიცადა. ეს ფაქტი გვიბიძგებს უკუვაგდოთ იუდაიზმის ჩვეული შეფასებები და სხვაგვარად შეეხედოთ მას.

არის კიდევ ასეთი მომენტი: ებრაელთა შესახებ წერას ერიდებიან ხოლმე, რათა თავიდან აიცილონ ანტისემიტიზმის ბრალდება და თავს აფარებენ ფრაზებს მშვიდობიანი თანაარსებობისა და ქრისტიანული სიყვარულის შესახებ. აქედანაც ჩანს, რომ საკითხის შესახებ არ უფიქრიათ, არ შეუძლიათ საკუთარი პრინციპის დაცვა და პირველივე სიძნელის წარმოშობისთანავე იმალებიან. არ უფიქრიათ იმიტომ, რომ არ აღელვებთ ის, რის დამცველებადაც საკუთარი თავი მიაჩნიათ. ლიბერალი თუ ასეთი გულმოდგინე ქრისტიანია, როგორც ის ყოველთვის ამტკიცებს, მაშინ უკვე ასეთი გულმოდგინება, თუ ის ჭეშმარიტია, უნდა აიძულებდეს XX - XXI საუკუნეების მიჯნაზე მცხოვრებ ადამიანს, დაუფიქრდეს და ჩაულრმავდეს იუდაიზმის პრობლემას, ქრისტეს ტრაგედიას. თუ ლიბერალი ამ საკითხთა გააზრებაში ეყრდნობა საეკლესიო დოგმებს, მაშინ ის ლიბერალად როგორღა რჩება? მას სურს, რომ ლიბერალიც იყოს და ეკლესიის დოქტრინის დამცველიც.

პლურალიზმზე მითითებით ანტისემიტიზმის გმობა გულისხმობს იმას, რომ დემოკრატიის პირობებში ისრაელიტებსაც აქვთ უფლება ჰქონდეთ საკუთარი ინტერპრეტაცია ჭეშმარიტების შესახებ და ამ ინტერპრეტაციის შემეცნებისას არაა საჭირო

ჩვეულებრივზე მეტი ძალისხმევა. მაგრამ განსაკუთრებულ მოვლენას – იუდაიზმს, შემეცნებისას განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდება.

აქვე შემდეგიც უნდა გაირკვეს: იმ ცნობილმა ნაცისტებმა, ვინც დენაციფიკაციის შემდეგ უარყვეს თავისი ნაცისტური წარსული, ის უარყვეს პოლიტიკური კონიუნქტურის გავლენით, თუ მათ შეიგნეს, რომ ევროპელ ებრაელთა წინააღმდეგ მიმართული ნაცისტური კამპანია ყოვლად გაუმართლებელი იყო? შეუძლებელი იყო ებრაელებზე იმის თქმა, რომ ისინი უნტერმენშებისა და კულტურის მომსპობი ერი იყვნენ. უნტერმენშების ერს შეუძლებელია შეექმნა უდიდესი ინტენსივობის ის სულიერი ტრადიცია, რომლიდანაც გამოვიდა ქრისტიანობა და ისლამი, რომელმაც დასავლური კულტურის ისტორიას წარუშლელი კვალი დააჭყო. ნაცისტური არიელობის თეორია და ფიურერისტული მესიანიზმი კი ჩაფლავდა.

რას ფიქრობდა ჰაიდეგერი დენაციფიკაციის შემდეგ ნაციონალ-სოციალიზმის შესახებ? მას არასოდეს დაუგმია თავისი ნაცისტური წარსული და მისი ცნება Kehre (შემობრუნება) აქ ბევრს არას გვეუბნება. არის კი 1945 წლის შემდგომი ჰაიდეგერის ფილოსოფია ყოველივე იმ საუკეთესოს შეფარული და ერთობ გენიალური გადარჩენა, რაც ნაციზმს გააჩნდა? ჰუსერლის ებრაულ გენიას დაუპირისპირდა ჰაიდეგერის გერმანული გენია, რომელიც დაეთანხმა ნაცისტური ანტისემიტიზმის არგუმენტაციასა და მიზნებს და მან ფილოსოფიური პაექრობა თავისი დიდი მასწავლებლის პოლიტიკურ დევნად აქცია. გასაკვირია, რომ ისეთმა მასშტაბურმა და ღრმა მოაზროვნემ, როგორიც ჰაიდეგერი იყო, განსაკუთრებული ვერაფერი დაინახა იუდაიზმსა და ებრაელებში. ნაცისტ ანტიიუდაისტებს ჰაიდეგერი ყველაფერში მხარს უჭერდა.

თუ ნაციზმი არიული წარმოშობის პოსტულირებას ახდენდა, მაშინ ის უთუოდ ბრაჰმანიზმს ან ზოროასტრიზმს უნდა დაახლოვებოდა. შესაბამისად, ნაცისტებს უნდა ეფიქრათ ინდოელებსა და ირანელებთან დაკავშირებაზე. ნაცისტ მეცნიერთა აღმოსავლეთით, ასევე სკანდინავიური და ძველგერმანული მითებით დაინტერესება მიზნად ისახავდა იმას,

რომ ფორმაციულ თეორიაში, ინდუსტრიალიზმის დექრისტიანიზებულ ეპოქაში, ასევე ნაცისტურ გლობალიზმში შეეტანათ მითის ელემენტები. ეს იყო „მესამე გზის“ თეორიის ნეოპაგანისტური ინტერპრეტაცია. ამ მიზნით იღვწოდნენ „ანენერბე“ და სხვა ორგანიზაციები. მითის ასეთი პოლიტიკური აქტუალიზება უპრეცედენტო მოვლენა იყო განმანათლებლობასა და ერთიან ფორმაციულ კონსტრუქციაში. ნაცისტები ცდილობდნენ, რომ ნორდულ-არიული დამპყრობლობა ყოფილიყო მითიდან გამომავალი და ჰიერატული. ქრისტე არიულ ღვთაებად გამოცხადდა და ითქვა, რომ იგი არასოდეს ყოფილა ებრაელი. ნაცისტ ორიენტალისტთა, ენათმეცნიერთა, გეოპოლიტიკის თეორეტიკოსთა, სოციოლოგთა და სხვათა მტკიცებით, გეზი სწორად იყო აღებული. განმანათლებლობისა და ფორმაციონისტული დიხოტომიის (კაპიტალიზმი - სოციალიზმი) ნაცისტური ვერსია, მაო თანახმად, ახალ პერსპექტივას პოულობდა.

ყოველივე ამას, მისი აკადემიური დონის მიუხედავად, ექსტრემისტული ანტიიუდაიზმი სათავეშივე აზრს უკარგავდა. ისე იყო საკითხი დაყენებული, რომ გერმანული, ფიურერისტული კულტურის აღორძინების წინაპირობად ებრაელთა გაჟლეტა მიიჩნეოდა.

არიული წარმოშობის პოსტულირებამ ნაცისტებს ხელი არ შეუშალა იაპონელებთან შეკავშირებაში. ეს იმ დროს, როდესაც ევროპელი რასისტების მიერ, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, იაპონელები ბარბაროსებად მიიჩნეოდნენ. არიელობის თეორია და ანტიიუდაიზმი ის სისულელე იყო, რომელმაც დაღუპა ყოველივე ის საუკეთესო, რაც ნაციონალ-სოციალიზმში იყო.

ნაცისტური იდეოლოგიის ცნება Weltgeschichtliche Mission (მსოფლისტორიული მისია) თავისი არსებობით XX საუკუნის 10-20-იანი წლების სიონისტთა განაზრებებისაგან იყო დავალებული. ფიურერისტული მესიანიზმი იუდაისტური მესიანიზმის კალკირება იყო.

დღეს ასეთ მისიაზე ამერიკელები ლაპარაკობენ. ნაცისტებისაგან განსხვავებით, ამ დროს, ისინი ბიბლიაზე მიუთითებენ. თავისუფალი ბაზრის აბსოლუტიზაციამ ახალ იერუსალიმსა და სახარებისეულ იმპერიას უნდა ჩაუყაროს საფუძველი.

Geopolitics -ს ბევრი საერთო აღმოაჩნდა Geopolitik-ასთან. ამის განხილვას ნაციზმისა და ბოლშევიზმის მხილებაში დაოსტატებული პოსტსაბჭოთა დროის პოლიტოლოგები თავს არდებენ.

Lichtvolk (შუქოსანი ხალხი) გერმანელები კი არა, არამედ ებრაელები იყვნენ მა'შინაც კი, როდესაც ისინი ევროპის გეტოებში ცხოვრობდნენ. გერმანელები კი მაშინაც არ იყვნენ შუქოსანი ხალხი, როდესაც გერმანია, XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში, ეკონომიკური და სამხედრო ძლიერებით იმოსებოდა და უდიდეს კულტურულ აღმავლობას განიცდიდა. Lichtvolk -ის იდეის, რომელსაც კაბალისტიკასა და ხასიდიზმში აქვს ფესვები, მითვისება გერმანელთა მიერ, მათი ქვეყნისათვის წყევლად იქცა.

ჰაიდეგერმა კი ამის დანახვა არ ისურვა. საინტერესოა, როგორ იყენებდნენ ჰაიდეგერის ნაცისტი მიმდევრები ფენომენოლოგიას. ფატალურად დაუკავშირდა და შეეჯახა ერთმანეთს ებრაული და გერმანული იდეები. გერმანელი ერი ებრაელთათვის უახლესი დროის ყამალეკად იქცა. უდიდესი დამცირებისა და მსხვერპლის საფასურად ისრაელის სახლი გერმანულ გლობალიზმთან ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა.

უცნაურია შემდეგი ვითარება: როგორც ჰაიდეგერის გაკიცხვა არ ეგების მისი ანტისემიტობის გამო, ასევე არ ეგების იუდაისტური მესიანიზმისა და სიონიზმის განსჯა ჩვეულებრივი პოზიციიდან, ფილისტერი ლიბერალის თვალსაწიერიდან. ასე, მაგალითად, განსჯიან ფრანგულ ნაციონალიზმსა და მესიანიზმს, ინგლისურ რასიზმსა და იმპერიალიზმს და ა.შ.

ერთადერთი ხალხი, ვის შესახებაც სრული საფუძვლიანობითა და ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ იგი არის ხალხი-ღმერთი, არის ისრაელის ხალხი.

ებრაელთა უნიკალობის შესახებ აღნიშნავდა მარტინ ბუბერი [6.206, 209].

კარლ იასპერსი მარტინ ჰაიდეგერს 1949 წლით დათარიღებულ წერილში სწერდა: „... მე თქვენ ბრალს არ გდებთ, ვინაიდან თქვენი ქცევა ამ მსოფლიო კატასტროფაში იმყოფება არა იმ დონეზე, რომელიც დასაშვებს ხდის მორალიზებას“ [7.241].

მესამე რაიხის ცნობილი ანტიიუდაისტის, ჰაიდეგერის „ყოფიერება და დრო“ უხილავი, მტკიცე ძაფებით მაინც იუდაისტურ პრობლემატიკას უკავშირდება, რომელიც ექსისტენციალიზმში ფილოსოფიურადაა გააზრებული. იობის წიგნი კირკეგორთან რაციონალიზმის შეზღუდულობის მაჩვენებელია ფილოსოფიაში.

იუდაიზმი უმძიმესი ტვირთია ადამიანისათვის. რჩეულია ის ხალხი, რომელსაც ამ ტვირთის ზიდვა შეუძლია. განეშორება ღმერთი მას, თუ იგი ველარ ზიდავს ამ ტვირთს და სხვა ხალხთან წავა. ჭეშმარიტ იუდეველად ყოფნა ზეადამიანობაა. მხოლოდ ასეთი გარემო თუ წარმოშობდა ქრისტეს და მის მოწაფეებს. მათი ეთიკური ექსტრემიზმი იუდაიზმის ახლებური გაგრძელებაა. იაკობსა შორის იშვა უდიდესი ინტენსივობის სულიერი ტრადიცია, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე სხვა ხალხების მიერ შექმნილი მეცნიერება, ფილოსოფია, კულტურა. ამ ტრადიციამ იდეურად შეამზადა კრომველის რევოლუცია. ინგლისელთა ამერიკაში გადასახლებას იდეურად განამტკიცებდა ბიბლიის პურიტანული ინტერპრეტაციები. მათზე მიუთითებენ დღეს ამერიკელი ნეოკონსერვატორები, რომელნიც ქვეყნის რეპურიტანიზაციას ცდილობენ.

დღეისათვის ევროპული რევოლუციონიზმის ფრანგულმა და გერმანულმა ვერსიებმა უკანა პლანზე გადაიწიეს და წინ გამოვიდა მისი ანგლოსაქსური ვერსია, რომელიც ყოველმხრივ ამართლებს განმანათლებლობის პოლიტიკურ ნულიფიკაციას, იდეურად ასაბუთებს გლობალისტურ Gleichschaltung -ს. ფრანგულ ან გერმანულ რევოლუციონიზმს გაუჭირდებოდა კაპიტალის ძალაუფლების ბიბლიაზე მითითებით გამართლება, ანგლოსაქსურ რევოლუციონიზმს კი ეს არ უჭირს. იგი საუბრობს ახალ იერუსალიმზე, რომელიც კაპიტალმა უნდა შექმნას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს განმარტება მკითხველს დაეხმარება იუდაიზმის საკითხის გააზრებაში. მასში გარკვევა არის ის საჯილდაო ქვა, რომლის დაძლევის მიხედვით შეიცნობა მოაზროვნე და თანამედროვეობაში ღმერთის პრობლემაზე მოფიქრალი ადამიანი. იმპროვიზაცია და სიმულაცია აქ მხოლოდ გაუგებრობებს წარმოშობს. ინტელექტუალური

სიზანტე და სიმხდალე იუდაიზმის გაგებაში მიუტევებელია. იუდაიზმი ადამიანისაგან ყოველთვის მის შესაძლებლობათა ზღვარს ითხოვს და გაცილებით მკაცრია, ვიდრე ქრისტიანობა. ებრაელი ფილოსოფოსი ანდრე ნეერი აღნიშნავს, რომ „მსოფლიო უფრო მეტად საჭიროებს იუდაიზმს, ვიდრე იუდაიზმი - მსოფლიოს“ [8.98].

არც ერთ სხვა ხალხს, რომელსაც არ ჰქონდა საკუთარი სახელმწიფო და უცხო ქვეყნებში მრავალი საუკუნე ცხოვრობდა, არ მიუღია ისეთი ცხოველი მონაწილეობა მისთვის მტრული დასავლური ცივილიზაციის შექმნაში, როგორც ეს ებრაელებმა გააკეთეს ევროპაში, რუსეთსა და ამერიკაში. აშქენაზები (ევროპელი ებრაელები) მონაწილენი იყვნენ ახალი დროის ევროპის ყველა დიდი ისტორიული მოვლენისა. ამავე დროს იუდაიზმმა შეინარჩუნა დისტანცია დასავლურ ცივილიზაციასთან ურთიერთობაში. მან არ განიცადა ისეთი სეკულარიზება, როგორც ქრისტიანობამ.

ეს ორსახოვნება, როდესაც ორივე სახე ექსტრემიზმამდე და გროტესკამდეც კი არის მისული, ებრაელებს დღემდე ახასიათებთ. ებრაელებს მიუძღვით უდიდესი წვლილი როგორც კაპიტალიზმის, ასევე სოციალიზმის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ისინი იყვნენ როგორც საარაკო მევახშენი და მჩოდარნი, ასევე უდიდესი სოციალისტები.

მხოლოდ ამ ისტორიული ვითარების მხედველობაში მიღებით გახდება გასაგები ის, რომ იუდაიზმი არის კიდეც და არც არის დაკავშირებული დასავლურ ცივილიზაციასთან და მის უახლეს ტენდენციებთან. იუდაიზმი დღეს ჩართულია გლობალიზმის ნეოკონსერვატიულ პროექტში, ის მისი იდეური ინსპირატორია, მაგრამ, ამავე დროს, მისგან შორს მდგომია.

XX საუკუნის 10-30-იანი წლების სიონისტთა რადიკალური განცხადებები, რაზეც დღეს ანტისემიტები თავის მსჯელობათა დასადასტურებლად მიუთითებენ ხოლმე, წარმოშვა ევროპის ხალხების რასისტულმა სიძულვილმა ებრაელთა მიმართ, რომელიც ქრისტესა და ზნეობის სახელით იყო გამართლებული. არაფერში შეცვლილა ანტისემიტთა (მათ ბანაკში შედის პოსტსაბჭოთა პერიოდში წარმოშობილი ათობით ქრისტიანულ-ფუნდამენტალისტური ჯგუფი და ორგანიზაცია)

არგუმენტაცია საუკუნენახევრის განმავლობაში. სისულელეა იმის მტკიცება, რომ მალე დადგება დრო, როდესაც ისრაელი მოინანიებს და ქრისტეს სწავლებას შეუდგება. კი, მაგრამ, რომელ სწავლებას - პროტესტანტიზმს, კათოლიკობას თუ მართლმადიდებლობას? არსებითი აქ ისაა, რომ ისრაელის გაქრისტიანების შემთხვევაში, სიძულვილი ებრაელთა მიმართ მაინც იარსებებს, ისევე, როგორც ევროპაში არსებობდა სიძულვილი გაქრისტიანებულ ებრაელთა მიმართ. ქრისტეს ჯვარცმის მომისეზება ებრაელთადმი სიძულვილის გასამართლებლად არის თავის მოტყუება. ქრისტიანი უკვე ძალზე დიდი ხანია აღარავინაა. ებრაელებზე ზნეობრივი ვინაა მათ მამხილებელთაგან? თუ ანტისემიტი სეკულარისტია, მაშინ რატომ ვერ იკავებს იგი თავს და ებრაელებს ღმერთის მკვლელობაში ამხელს? განა სეკულარისტისათვის, შესაბამისად ლიბერალისათვის, სულ ერთი არაა ქრისტეც და ანტიქრისტეც, თეიზმიც და ათეიზმიც?

როგორც სეკულარისტი (ლიბერალი) ანტისემიტი, ასევე რელიგიური ანტისემიტი ებრაელებს ბრალს სდებენ „სოციალიზმის სატანური თეორიის“ შექმნაში. 1988-90 წლების დისიდენტებიცა და უნივერსიტეტის წარმომადგენელნიც კი პრესაში ამხელდნენ ებრაული წარმოშობის სოციალისტებსა და ბოლშევიკებს. მარქსის მასწავლებლის, მოშე ჰესის (1812-75) სახელი, როგორც ავაზაკის სახელი, ისე ისმოდა. ეს თავისებური ნებადართული ანტისემიტიზმი იყო. ის ჰგავდა შემდეგ ფაქტს: სპეციალურ ლიტერატურაში თორასა და წინასწარმეტყველთა წიგნების მეცნიერული (ისტორიოგრაფიული, ლინგვისტური) ანალიზი ხშირად ანტისემიტიზმის გამოვლინებად გადაქცეულა. მკვლევართ აღუნიშნავთ, რომ შესაქმის ბიბლიური ამბავი უაზრობაა, წინასწარმეტყველნი მატყუარები იყვნენ და სხვა ამგვარები. ანტისემიტიზმი ხშირად შემოსილა მეცნიერული ობიექტურობით.

სადღეისოდ ყოფილი დისიდენტები, უნივერსიტეტის წარმომადგენლები „კაპიტალიზმის სატანური სისტემის“ შექმნაში კვლავ ებრაელებს სდებენ ბრალს. ვინ დააყენა საკითხი, თუ როგორ შეიძლება ერთმა ხალხმა ერთმანეთის საწინააღმდეგო სისტემები შექმნას? როგორ არიან ებრაელები აქაც და იქაც?

ნიკოლაი ბერდიაევი აღნიშნავდა, რომ მარქსი და როტშილდი შეურიგებელი მტრები არიან და მარქსის ანტისემიტიზმი აბათილებს ლეგენდას ებრაელთა მსოფლიო შეთქმულებაზე.

ვკითხოთ ანტისემიტს: თუ შენ ებრაელებს ბრალს სდებ როგორც სოციალიზმის, ასევე კაპიტალიზმის სისტემათა შექმნაში, რატომ არ გაფიქრებს ეს და არ იწყებ იუდაიზმის უფრო უკეთ შემეცნებას, ვიდრე ეს ეკლესიამ გასწავლა? რატომ მიგაჩნია შენ, რომ იუდაიზმი ქრისტიანობის შემამზადებელია და სხვა არაფერი, რომელიც ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ დასრულდა? სხვა რა გაგიგია ამ ცხოვრებისა, რომ იუდაიზმს საბრალდებოდ ეპოტინები? განა ებრაელთა ბრალია, რომ პოსტსაბჭოთა სინამდვილე ასეთია? რატომ არ მეოხეყოფა ამ სინამდვილეში მცხოვრებ ადამიანს ბოლშევიკთა დაცემის შემდეგ აღორძინებული ქრისტიანობა მცირედში მაინც?

პოსტბოლშევიკურ დროში ქრისტიანობა დამარცხდა და იგი დამარცხდა არა ებრაელთა ხრიკებისა და სიონისტთა შეთქმულების გამო. ორიათასწლოვანი მძიმე და დაუნდობელი დავის შემდეგ ოორამ გაიმარჯვა სახარებაზე. გლობალისტთა და ანგლოსაქს კალვინისტ მესიანისტთა დამარცხების შემდეგაც, მასთან დაკავშირებული იუდაიზმი გააგრძელებს ისტორიულ სვლას.

ქრისტიანობა არის უდიდესი ცილისწამება იუდაისტებად დაშთენილ ებრაელთა მიმართ, ფარისეველთა მიმართ, რომელთაც ჟამთა სიავეში დაიცვეს მოსეს რჯული. გასაოცარია ის, რომ ეკლესიამ ასე იოლად გააუქმა იუდაიზმი, რასაც ებრაელთა მცირერიცხოვნებაც უწყობდა ხელს, და მისი უსურპაცია მოახდინა, აქცია რა თორა და წინასწარმეტყველთა წიგნები სახარების ისტორიულ წანამძღვრად. პლატონი კი, ეკლესიის მიერ ქრისტეს წარმართ წინასწარმეტყველად იქნა მიჩნეული.

ნიცშეს „ანტიქრისტე“ პროფეტულად ისმის ჩვენს ავ დროებაში. წარმოვიდგინოთ, რომ ეს ნაშრომი რომელიმე ებრაელ ფილოსოფოსს დაეწერა. დღემდე არ შეწყდებოდა ებრაელთა მხილება და წყევლა. ეს ნაშრომი სიონისტური

შეთქმულების კიდევ ერთ დადასტურებად ჩაითვლებოდა.

„ანტიქრისტეს“ §§24-27-ში ნიცშეს მიერ ებრაელთა და ქრისტიანობის შესახებ გამოთქმული აზრი ნაცისტებისათვის ერთ-ერთი ავტორიტეტული დასაყრდენი იყო ებრაელებთან, კათოლიკეებსა და პროტესტანტებთან ბრძოლაში.

გენიალურმა ნიცშემ ვერ გაიგო იუდაიზმის მნიშვნელობა და ვერ დაინახა, რომ მოსეს რჯულმა ებრაელს ზეადამიანური იმპერატივები წაუყენა. ნიცშეს ზეადამიანი წარმართია. ამ დიდ მოაზროვნეზე მისმა თანამედროვე ანტისემიტიზმმა მაინც მოახდინა გავლენა. რაღა უნდა ვთქვათ ევროპელ უბრალო ადამიანებზე.

ჩვენ, პოსტსაბჭოთა პერიოდის დასაწყისში და მანამდე, 1989-90 წლებში უამრავ შეღავათს ვაძლევდით ქრისტიანობას, რომლის ანტიბოლშევიზმი ფალსიფიკატორობა იყო და ქრისტეს გულისათვის ძალზე ბევრ რამეზე ვხუჭავდით თვალს. ჩვენ მოტყუებულნი აღმოვჩნდით. ქრისტიანობა მხოლოდ პოლიტიკური ინსტიტუტების დანამატია.

როგორი იქნება დასავლეთის ისტორია, თუ მასში აღარ იქნება იუდაისტური მესიანიზმი? ახლა ებრაელებს აქვთ საკუთარი სახელმწიფო და როგორი უნდა იყოს ამის შემდეგ მათი მონაწილეობა დასავლეთის დიდი იდეების შექმნაში? ებრაელთაგან დაიწყო ქრისტიანობა და მათვე დაასრულეს ის კაპიტალის ძალაუფლების აბსოლუტიზაციით. ებრაული გენიის ორივე პირმშომ - სოციალიზმმა და კაპიტალიზმმა დაასრულეს თავიანთი არსებობა. რისი შექმნა შეუძლია გლობალიზმისა და ნეოკონსერვატიზმის მარცხის შემდეგ ებრაულ გენიას ან ჩრდილოეთ ამერიკაში, ან ევრაზიაში? იუდაიზმი ვერ იქცევა მსოფლიო რელიგიად. როგორ უნდა გაგრძელდეს საკაცობრიო ორთოიდული დრო? ინდუისტურ და ბუდისტურ კულტურებს, მათი სიდიდის მიუხედავად, არ ძალუძთ ევრაზიაში ისტორიის შექმნა. მითითებანი ჩინეთზე, როგორც მომავალ მსოფლიო დომინანტზე, გადაჭარბებული და უსაფუძვლოა. რჩება მხოლოდ ისლამური კულტურა, რომელიც უფრო ახლოს დგას იუდაიზმთან, ვიდრე ქრისტიანობა. რამდენად შეუძლია იუდაიზმს თანამედროვე ისლამურ მოძრაობაში მონაწილეობა? ისლამურ-იუდაისტური კულტურული სიმბიოზის მაღალი პრეცე-

დენტი ამ ორი რელიგიის ურთიერთობაში უკვე იყო.

თავად ებრაელი მოაზროვნენი უფრთხიან ხოლმე გლობალიზმისა და იუდაიზმის კავშირის შესახებ მსჯელობას, რათა თავიდან აიცილონ ანტისემიტური ინტერნაციონალის ახალ ბრალდებათა ნიაღვარი. მიიჩნევენ თუ არა ებრაელები, რომ ამერიკული მესიანიზმი საუკეთესო საშუალებაა იუდაიზმის მიზანთა აღსრულებისათვის? თუ ისრაელიანთა მოლოდინი და მათი რჯული წინასწარმეტყველთა დროიდან ვიდრე დღემდე სხვა არა ყოფილა რა, თუ არა ამერიკულ ჰეგემონიზმთან თანაზიარობა და კაპიტალის ძალაუფლების ადეპტობა, მაშინ არაფერი ისეთი არ ყოფილა აბრაამის, იაკობის, დავითის ღმერთი. შეუძლებელია, რომ იუდაისტური მესიანიზმის ფინალი იყოს გლობალური ლიბერტარიზმი და აბსოლუტური ბაზარი. შეუძლებელია სავახშო თეურგია იუდაიზმის შესახებ უაპელაციო დასკვნათა გამოტანის საფუძველს გვაძლევდეს. ამერიკა WASP-ისათვის (თეთრი ანგლოსაქსი პროტესტანტებისათვის) არის აღთქმული მიწა და არა გლობალისტი ამერიკელი ებრაელებისათვის, მით უმეტეს მაშინ, როდესაც არსებობს ისრაელის სახელმწიფო. გავიხსენოთ, რომ ამერიკული კომუნისტური მოძრაობა ებრაელთაგან შედგებოდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ებრაელები იწყებენ როგორც შტატების, ასევე ფედერალურ ხელისუფლებაში მოსვლას და შესაბამისად, კომუნიზმისაგან განდგომას. 60-70-იან წლებში მარქსიზმის პოპულარიზაციას ამერიკელ ახალგაზრდობაში ეწეოდნენ ჰერბერტ მარკუზე და ფრანკფურტის სკოლის სხვა წარმომადგენელნი.

იუდაიზმი ის ტრადიციონალიზმია, რომელსაც ყველაზე ნაკლებად შეეხო საბუნებისმეტყველო მესიანიზმი და ათეისტური სეკულარიზმი, ყოველივე ის, რაც მოდერნს უკავშირდება. იუდაისტი მიწის ერთგულია. ისრაელი უკავშირდება მიწის (ერეც) ცნებას. მოსეს რჯული მიწის ღვთისმეტყველებაა. მხოლოდ იუდაიზმმა განამტკიცა სწავლება ადამიანის არსების ექსტრემალური გეოცენტრულობის შესახებ, რაც არ არის ინდუიზმსა და ბუდიზმში. ეს სწავლება უშუალოდ უკავშირდება ორთოიდული დროის იდეას. ევროპული საბუნებისმეტყველო მესიანიზმი ასევე ამ სწავლებას

უკავშირდება.

ვინც დაკვირვებია, დაგვეთანხმება, რომ ებრაული მისტიკა რადიკალურად განსხვავდება ინდუისტური და ბუდისტური მულტიპლანეტარული, პოლითეისტური მისტიკისაგან. ებრაული მისტიკა ისეთივე მკაცრია, როგორც თორა. მიწა არის მიწისაგან შექმნილი ადამიანის აკვანიც და კუბოც. მიწაზე აღსრულდება ღვთის ჩანაფიქრი და კაცი მიწაზე არის ღვთის საქმის თანამონაწილე. ადამიანი საფრენი ტექნიკის არნახულად განვითარების მიუხედავად, ყოველთვის გეოცენტრული არსებად დარჩება. ის ვერ გადავა სადმე სხვა პლანეტაზე. ანდრე ნეერის სიტყვით რომ ვთქვათ, იუდაიზმი არის გეოთეოლოგია. თუ დღეს იუდაიზმი რადიკალურად თალასოკრატიულია, მაშინ რჯულის პროფანაციასთან გვაქვს საქმე. აქ სიძნელის წინაშე ვდგებით. ნომადური, ფლიბუსტერული კაპიტალის აბსოლუტიზაცია გულისხმობს მიწის იდეის პრინციპულ გაუქმებას. აღთქმული მიწა აღარ არის ღირებული. ფულის თეურგიას არაფერში არგია ღვთის მიწის იდეა. ამ მიწაზე ღვთის კონკრეტული ყოფნა (შჰინა) ბაზრის ადეპტისათვის არაფერს ნიშნავს. იუდაიზმის ჩრდილოამერიკული ინტერპრეტაცია ახერხებს გლობალისტურ ლიბერტარიზმთან მჭიდროდ დაკავშირებასა და მის იდეურ ინსპირატორობას. რადიკალური მონეტარიზმის პროექტში, მილტონ ფრიდმენის დებულებათა ექსტრემიზების საქმეში, მონაწილეობს არა იუდაიზმი, არამედ იუდაიზმის ერთ-ერთი ასპექტი. ეს ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს.

ყოველგვარ აზრს მოკლებულია ქრისტიან ფუნდამენტალისტთა პერიოდულ გამოცემებში დამკვიდრებული შეხედულება, რომ ებრაული დიასპორის ახლანდელი ფინანსური ძლიერება ანტიქრისტეს მოსვლას ემსახურება, ბოლო ჟამს კი ებრაელები ქრისტიანობაზე მოექცევიან და მონანიებას დაიწყებენ ქრისტეს ჯვარცმის გამო. ისრაელი არასოდეს მოექცევა ქრისტეს რჯულ'ზე. მას ეს არაფერში წაადგება. იგი თავის მესიანიზმს იცავს. ისრაელი აღარ იქნება ისრაელი, ქრისტეს რომ შეუდგეს. ჩაქრება დავითის ვარსკვლავი, თუ იუდეველი რაბის ნაზარეთიდან ღმერთად სცნობს. შემმეცნებლისათვის უდიდესი მოვლენა არის სწორედ მოსეს რჯულის ასეთ არაადამიანურ ვითარება'ში გამოტანჯვა

და დღემდე მოტანა. იუდეველი ვერ იქნება როგორც გოი. იუდეველნი ვერ იქნებიან მარადიული ხალხი (ამ ოლამ), თუ ისინი ქრისტესა და მის მოციქულებს სცნობენ.

ქრისტიანი ფუნდამენტალისტები ისრაელის არსებობაში, ასევე იმა'ში, რომ იგი ამერიკის მოკავშირეა, ხედავენ სატანურ ა'ს, რაც, ცხადია, კიდევ ერთი დიდი გაუგებრობაა. ასეთი მდარე ღვთისმეტყველება ბევრჯერ მოგვისმენია და ბევრჯერ-აც მოვისმენთ. თუ ისრაელი სატანური ქვეყანაა, მაშინ მასთან მებრძოლი პალესტინელები ღვთის გან'სრახვას უნდა ასრულებდნენ და ისინი მუსულმანები არ უნდა იყვნენ. ასეთი ღვთისმეტყველების თანახმად, ქრისტიანი ფუნდამენტალისტი უნდა საუბრობდეს იმ დროის დადგომა'ზე, როდესაც პალესტინელები ქრისტეს რჯულ'ზე მოექცევიან. ამ ღვთისმეტყველებაში ხშირად წავაწყდებით ისეთ უაზრო ფრაზებს, როგორიცაა „სიონისტების ებრაული რასა", „თალმუდისტ მასონთა სატანური გეგმები" და მისთანები.

შეუძლებელია საუბარი იუდაიზმის ღრმა კრიზისსა და სიცარიელე'ზე მაშინ, როდესაც ეს რელიგია, რელიგიათაგან ყველა'ზე უარეს პირობებში ნამყოფი, დღემდე მოვიდა. ის მრავალი საუკუნე არსებობდა საკუთარი მიწისა და პოლი-ტიკური ინსტიტუტების გარეშე. ისიც ითქმის, რომ თორადან სახარებაზე გადასვლა იყო წინ გადადგმული ნაბიჯი, მეტი ჰუმანიზმი. სად და რაში გამოვლინდა ქრისტიანობის მეტი კაცთმოყვარეობა?

განმანათლებლობამ და რევოლუციონიზმის თეორიამ საზო-გადოებრივი ხელშეკრულების იდეის შექმნით, წინ წამოსწიეს იუდაისტური სამართლიანობის პრინციპი. ეს იმას ნიშნავს, რომ ქრისტიანული სიყვარულის იდეა თვით ქრისტიანულ გარემო'ში უარიყო. მეფე, როგორც ღმრთის მოადგილე სახელმწიფოში, არაა სიყვარულის ღირსი. სამართლიანობა სიყვარულ'ზე უმეტე-სია. ასე იყო ინგლისის და შემდეგ კონტინენტის რევოლუციებში. ებრაელთა გარეშე რევოლუციების წარმოდ-გენა კი შეუძლებელია.

სარტრი თავის ესეში „განა'სრებები ებრაელთა საკითხის შესახებ" აღნიშნავს, რომ ებრაელი ათეისტები, რომლებთანაც მე მისაუბრია, მეუბნებოდნენ, რომ ისინი კამათობდნენ ქრის-

ტიანულ ღმერთთან. სარტრის თანახმად, ათეისტი ებრაელები არა თალმუდს ებრძოდნენ და არა რაბინი იყო მათთვის რელიგიის მსახური, არამედ - კიური [9.159].

სარტრის მიერ მოყვანილი ეს ფაქტი კარგად გვიჩვენებს იმას, რომ იუდაიზმს რევოლუციონიზმისა და მოდერნის გავლენა ისე არ შეხებია, როგორც დასავლურ ცივილიზაციას. ამ უკანასკნელმა დაგმო საკუთარი წარსული დეკარტის რაციონალიზმის, სამეცნიერო მესიანიზმის, განმანათლებლობისა და რევოლუციების პერიოდში. ამის სრულად გააზრება ბევრი რამის გაგებაში გვეხმარება. ძნელია პასუხი გაეცეს კითხვას, თუ რა არის დასავლეთი ტექნიკისა და ლიბერალიზმის გარდა და მათ გარეშე?

სულ სხვა იყო ებრაელთა საკუთარი რევოლუცია, რომელიც მიზნად ისახავდა ისრაელის სახელმწიფოს შექმნას. დავიდ ბენ გურიონი 1944 წელს აღნიშნავდა, რომ ებრაელთა რევოლუცია მხოლოდ სისტემის წინააღმდეგ კი არა, არამედ განსაკუთრებული ხალხის განსაკუთრებული ხვედრის წინააღმდეგ არის მიმართული [6.343].

ებრაელი ხალხი ერთადერთია, რომელსაც აქვს უფლება ჰქონდეს ეთნოთეოლოგია. ამ ეთნოთეოლოგიის ერთ-ერთი მხარე კითხვის ასე დასმაში გამოიხატება: „და თუ ჩვენთვის არის შექმნილი ეს წუთისოფელი, რატომ არ ვფლობთ მემკვიდრეობას ამ წუთისოფელთან ერთად? როდემდის იქნება ასე?“ (მესამე ეზრა, 6, 59).

გალილეველ მოძღვარს რომ მიჰქონდა, იმ ჯვარზე უმძიმესია იუდაიზმის ტვირთი. ის კიდევ უფრო დამძიმდა ქრისტიანობის მსოფლიო რელიგიად გადაქცევის შემდეგ. თორა და წინასწარმეტყველთა წიგნები, მთლიანად ებრაული საღვთო წერილი პირველი და უდიდესი წიგნია და როდესაც ამას ამბობენ ბიბლიაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ძველი აღთქმის ტექსტს ეხება. პოსტმოდერნის ფილოსოფიამ დაშალა ქრისტიანობის ტექსტი, მაგრამ თორასა და წინასწარმეტყველთა წიგნების ტექსტებს ის ვერასდროს დაშლის. ახალ აღთქმად წოდებული ტექსტი, ოთხი სახარება და მოციქულთა საქმენი იუდაიზმის ორიგინალური სიტყვაკაზმული ინტერპრეტაციაუფროა, ვიდრე საღვთო ტექსტი. არ ვიცით ის მოტივები,

რომელთა მიხედვითაც სწორედ ეს ოთხი სახარებაა კანონიკურად მიჩნეული და არა სხვებიც. თვით ნაზარეთელ რაბის არაფერი დაუწერია და სახარებები მისი სიკვდილიდან დიდი ხნის შემდეგ დაიწერა, რომელნიც ძველი აღთქმის მცირე დანამატად მოჩანან. არ ვიცით რა ჭეშმარიტად ქრისტეს ნათქვამია და რა კიდევ მახარებლებისა. რამდენიმე ათეული სახარება ან გადამალეს, ან მოსპეს, რასაც ეკლესია სულიწმინდის ჩაგონებით ხსნის. რატომ არაფერი ვიცით სხვა მოციქულთა, მაგალითად, სიმონ-პეტრეს ან იუდას სახარებებზე? აპოკრიფულ სახარებათა ავტორები რომ წერდნენ ქრისტეზე, როგორ გავიგოთ, მათ ეს სულიწმინდის კარნახით დაწერეს, თუ თავისი მახსოვრობის ძალით?

სახარებას იუდაიზმის ნებისმიერი გზით უარყოფის სურვილი დაუსახავს მიზნად და ამის გამო ის ხარვეზიანია. ქრისტიანობა გაჩნდა უარყოფისა და მტრობის, წყევლისა და დევნის ნიადაგზე. იუდაიზმისაგან განსხვავებით, ქრისტიანობას არა აქვს საკუთარი ნიადაგი. იგი იუდაიზმის უარყოფითა და მის დებულებათა მითვისების გზით იმკვიდრებდა თავს. ადრეული ქრისტიანობა და ადრეული ამერიკული პროტესტანტიზმი უარმყოფლურ სულისკვეთებაში ერთმანეთს მოჰგავან.

ბუდიზმსაც არა აქვს საკუთარი ნიადაგი და ბუდამ არ დაუშვა ბრაჰმანებთან შეჯახება. არსად არ ამხელს ბუდა ბრაჰმანებს და არ კამათობს მათთან ისე, როგორც ქრისტე - ფარისეველებთან. ბუდას არ სურდა ქიშპისა და უარყოფის სულისკვეთებით დაემძიმებინა თავისი მოძღვრება ხსნის შესახებ. იუდაისტური მოძულეობა ბაალების მესავთა სიძვის ხალხების მიმართ, ქრისტემ თვით იუდაიზმის წინააღმდეგ მიმართა.

ჭაბუკი ქრისტეს ცხოვრება ბნელით მოცულია. ეზოთერულ სწავლებებში გამოითქმის აზრი, რომ მან ტიბეტში დაჰყო მრავალი წელი, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ბუდისტ მოძღვრებს ემოწაფებოდა. მიუთითებენ ხოლმე ბუდისტურ და ქრისტიანულ ღვთისმსახურებათა გარკვეულ მსგავსებებზე. მაგრამ ქრისტე, თალესის ან პითაგორას მსგავსად, სასწავლებლად უცხოეთში ვერ ივლიდა. იუდაისტური გარემოთი არის გამსჭვალული ქრისტეს ქადაგებანი. მას არაფერი უთქვამს სამ-

ყაროს აგებულების ან მეცნიერების შესახებ, როგორც ამას აკეთებდნენ თალესი და პითაგორა.

ებრაელის აზრი რელიგიურ განცდებზეა მიმართული. ამის გამო ის გულგრილად ეკიდებოდა ეგვიპტურ თუ ასირიულ მეცნიერებებს. ეგვიპტელთა და ასირიელთა ღმერთები უძლურნი აღმოჩნდნენ. ამ ხალხებმა ვერ შექმნეს სულიერი ტრადიცია და აღიხოცნენ. თავის დროზე კი ისინი დიდად მძლავრობდნენ. მრავალჯერ იხილეს უფლის სასწაული უცხო ხალხების მეფეებმა და ქურუმებმა, მაგრამ არ მოქცეულან იუდაიზმზე. მოციქულთაგან განსხვავებით, იუდაისტები არ მოუწოდებდნენ სხვებს, რომ მოსეს რჯულს შესდგომოდნენ და დაეგმოთ ბაალები. იუდაისტები შეიძლება გახდნენ ერთეული ადამიანები და არა ხალხები. ეს მოსეს რჯულის პარადოქსია. გამონაკლისი არიან ადრეული ისლამის დროინდელი ხაზარები, რომელთა სახაკანოს (VII - VIII სს.) რელიგია იყო იუდაიზმი. ამის მიუხედავად ისინი აღიხოცნენ. მოსეს რჯული კვლავ ერთადერთი ხალხის რელიგიად დარჩა. ებრაელები ძრწოლის მომგვრელ სიმარტოვესა და მეტაფიზიკურ ობლობას განიცდიან მსოფლიოს ხალხებს შორის. ასეთი სიმარტოვისა და ობლობის განცდა მხოლოდ იუდეველის ხვედრია. ამის გამო შესაქმე იუდეველთათვის სხვაგვარი აზრის მქონეა, ვიდრე - გოებისათვის. ასევე აბრაამისაგან ნაშობი, ებრაელთა სისხლისმიერი უმცროსი ძმები, არაბები, არიული წარმოშობის ირანელებთან ერთად, ისრაელისათვის ყამალეკად ქცეულან. ამის რაციონალურად ახსნა ძნელია. ეს არის თანამედროვე ისტორიის დიდი ignoramus (არ ვიცით), მაგრამ ის არ უნდა მივიჩნიოთ ignorabimus-ად (არასოდეს გვეცოდინება).

ისლამურმა (სუნიტურმაც და შიიტურმაც) რადიკალიზმმა უნდა გააუქმოს ლოზუნგი „სიკვდილი ისრაელს!“ ისლამურმა მოძრაობამ პოსტსაბჭოთა ეპოქაში მცდარად უნდა მიიჩნიოს აზრი, რომ ისრაელი ამერიკასთან ერთად სატანის ბანაკს წარმოადგენს. იუდაიზმი ისლამმა თავის მოკავშირედ უნდა დასახოს. ლოზუნგი „სიკვდილი ისრაელს!“ ისლამის ისტორიულ მერმისს დიდ საფრთხეს უქმნის და აგონიაში მყოფ დასავლურ ცივილიზაციას სიცოცხლეს უხანგრძლივებს. ასეთი ლოზუნგი ისლამურ სამყაროს უიდეო ძალისა და რიცხოვნების დემონ-

სტრაციად აქცევს. მტერი ისრაელი კი არა, არამედ დასავლეთია, რასაც ყველაზე უკეთ ამჟამად ერაყის ომი წარმოაჩენს. ისრაელი, როგორც აღმოსავლური ქვეყანა არ იმყოფება დიდი პოლიტიკის დაძაბულ არეალში, დასავლურ ვექტორულ დრო'ში, რომელიც დასასრულს უახლოვდება.

ეს გავრცელებული მოწოდება „სიკვდილი ისრაელს!“ უთუოდ უნდა უარიყოს, რათა გლობალურმა ისლამმა მოიძიოს დიდი პერსპექტივა და გააგრძელოს ვექტორული დრო, შესაბამისად ისტორია. დასავლური ცივილიზაციის ყირანი დგება. ისლამური აზრი კი უნდა ემ'ზადებოდეს დიდი მისიის ტვირთვისათვის. ისტორიული, ვექტორული დრო აბრაამიტული რელიგიების, იუდაიზმისა და ისლამის სივრცეში უნდა დარჩეს და ის არამც და არამც არ უნდა გადავიდეს ინდუისტურ და ბუდისტურ ვესტერნიზებულ ცივილიზაციებში.

რუსეთმა, როგორც სოციალისტური რევოლუციონიზმისა და ქრისტიანობის დამცველმა, როგორც ბი'ზანტიური იდეის მემკვიდრემ სრული მარცხი განიცადა და ისიც, დასავლეთთან ერთად იქცა ტექნიკისა და მედიაკრატიული სიყალბის მოიმედე უიდეო ძალად. ჩვენ დიდხანს მოველოდით რუსეთის დიდ წამოწყებას და ამ დროს ბევრს ვითმენდით ახალი მომავლის გულისათვის. რუსულმა ბიზანტიზმმა კატასტროფით დაასრულა თავისი არსებობა. ეს ქრისტიანობის კიდევ ერთი დამარცხებაა. სახელმწიფოს (რფ-ს) დაცემა კი მხოლოდ დროის საქმეა. რუსთა თაობების დიდი საქმისათვის თავგანწირვა და ჭირთათმენა თავად რუსებმა აბუჩად აიგდეს და ოლად გაიყიდნენ სამომხმარებლო კომფორტსა და შოუბიზნესზე.

მანქანამ და კაპიტალმა გაიმარჯვა ქრისტიანულ ღმერთზე, მაგრამ მანქანა და კაპიტალი ვერასოდეს გაიმარჯვებს აბრაამის, იობის, მუჰამედის ღმერთზე. გლობალიზაცია დასავლური ცივილიზაციის უკანასკნელი დიდი გაბრძოლებაა. იგი ისლამის სულიერად გატეხვისა და მისი მოწამვლისათვის ყველაფერს აკეთებს. ქრისტიანობა დაიწყო როგორც მონების, მეძავების, ქალაქელი ბოგანოების რელიგია და ის დასრულდა, როგორც ბანკირების, PR-მენეჯერების, პარლამენტარებისა და პრეზიდენტების რელიგია.

ისლამი არასოდეს სდებდა ბრალს იუდაიზმს ისე, როგორც

ამას ქრისტიანობა აკეთებდა. ისლამსა და იუდაიზმს შორის მშვიდობის დამყარებას არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ საღვთო მნიშვნელობა აქვს. იუდეველმა ისლამურ აღმოსავლეთში უნდა ჰპოვოს თავის უნართა გამოვლენის შესაძლებლობა. ისტორია დასავლეთისათვის დასრულდა, მაგრამ არა ისლამისათვის. ებრაულმა გენიამ ცხოველი მონაწილეობა უნდა მიიღოს ფორმაციულ-ცივილიზაციური სინთეზის შექმნაში. ეს, რა თქმა უნდა, რთული გზაა, მაგრამ განა რომელიმე გზა ყოფილა იოლი იუდეველთათვის? ახლანდელ დროს ახალი, რელიგიური მარქსი ესაჭიროება.

აქ ერთ პარადოქსზე გავამახვილებთ ყურადღებას: წინა ორ, XIX და XX საუკუნეებში ებრაელი მოაზროვნეები სოციალისტურ და კაპიტალისტურ პრაქტიკებში მონაწილეობდნენ როგორც საკუთარი ქვეყნის არამქონენი. შეუძლიათ კი მათ მომავლის დიდი იდეების შექმნა მაშინ, როდესაც არსებობს ისრაელის სახელმწიფო?

ისლამი ეთანხმება იუდაიზმს იმაში, რომ ღმერთს არ შეიძლება ჰყავდეს ძე და ასეთი აზრის დაშვება მკრეხელობაა. კაცღმერთის იდეა ელინურია და არა იუდაისტური. ქრისტეს პირველი მოწაფეები აღარ არიან ებრაელები, არამედ ქრისტიანები არიან. მოციქულთა ებრაული წარმოშობა დავიწყებას ეძლევა. ტიტანური ძალისხმევა სჭირდებოდა იმას, რომ ებრაელებს I - IV საუკუნეებში არ ერწმუნათ ქრისტეს მქადაგებლებისა. ებრაელებს რომ მიეღოთ ქრისტიანობა, ისინი გაქრებოდნენ. ქრისტე კი ამას ვერ შეაჩერებდა.

ქრისტეს მოვლინების შემდეგ წუთისოფელი ისეთივე დარჩა, როგორიც იყო. იუდაისტური მესიის მოსვლის შემდეგ კი სამყარო უნდა გასხივოსნდეს. ამაზე არსებითი ისაა, რომ იუდეველმა არ სცნო ქრისტე ცოდვათა გამომსყიდველად და ამიტომ, ქრისტიანისაგან განსხვავებით, მას ისევ აწევს ღვთის წყევლა პირველშობილი ცოდვის გამო. იუდეველმა უარი თქვა თავისი ცოდვის სხვის მიერ გამოსყიდვაზე. იუდეველი ეულად დარჩა გაქრისტიანებული ხალხების დიდ საკრებულოში და თორას კითხვა გააგრძელა.

ქრისტიანობამ ანტიკურობასთან ბრძოლას წინა აზიაში რამდენიმე საუკუნე მოანდომა. ევროპის ბარბაროსთა შორის ის

ისე გავრცელდა, რომ ამ ბარბაროსმა ხალხებმა, ეგვიპტელი, ლიბანელი, სირიელი, მესოპოტამიელი კულტურული ხალხებისაგან განსხვავებით, არა უწყოდნენ რა ქრისტესა და ფარისევლებს შორის, იუდეველებსა და მოციქულთა შორის, ადრეულ ქრისტიანებსა და რომაელებს შორის არსებულ კოლიზიათა შესახებ. ქრისტიანობამ თავისთვის ხელსაყრელი ბნელი გარემო ჰპოვა ევროპაში, სადაც სახარებისეულ რეფლექსიასა და ღრმა ფსიქოლოგიზმს, ისრაელისაგან განსხვავებით, წინ ვერაფერი აღუდგა. ერი, რომლის წიაღ'ში შეიქმნა იობის წიგნი, წინასწარმეტყველთა ქადაგებანი, ქრისტეს სიტყვას ისე იოლად ვერ იწამებდა, როგორც ევროპელი და რუსი ბარბაროსები. ესე იგი, მათ ქრისტიანობა მიიღეს ყოველგვარი კრიტიკული რეფლექსიისა და შედარებითი განსჯის გარეშე. ჯერ დღეს არ უწყიან ევროპის ხალხებმა იუდაიზმის შესახებ და 15-17 საუკუნის წინ რა იქნებოდა, თქმა არ უნდა.

ევროპის ბარბაროსთა შორის რომ ანტიკური კულტურა ყოფილიყო გავრცელებული, ქრისტიანობას ფეხის მოკიდება გაუჭირდებოდა. ესპანელ მისიონერთა მიერ ინდიელთა შორის ქრისტიანობის გავრცელება ჰგავს ევროპელ ბარბაროსთა შორის ქრისტიანობის გავრცელებას. ისლამი ისე გავრცელდა კულტურულ ინდოეთ'ში, რომ ინდოელებმა არ იცოდნენ ისლამის ქრისტიანობასა და იუდაიზმთან ბრძოლის პერიპეტიები, განსხვავებით სირიის, ეგვიპტის, მესოპოტამიის, ბიზანტიის ხალხებისაგან. ასევე გავრცელდა ისლამი და მოგვიანოდ ქრისტიანობა აფრიკის ტომებს შორის.

და კიდევ ერთ არსებით ვითარებას უნდა გაესვას ხაზი: იუდაიზმი რომ პროზელიტური რელიგია ყოფილიყო და მისიონერ რაბინებს მთელ დუნიაზე ევლოთ, ქრისტიანობა ვერ გავრცელდებოდა ისე, როგორც ის არის გავრცელებული. იუდაიზმის არაპროზელიტურმა ხასიათმაც განაპირობა თორას ქრისტესეული ინტერპრეტაციის გავრცელება.

ყველა ხალხის თანასწორობა ქრისტეს წინაშე, ის, რომ არა არს ურიაება, არცა წარმართება, არამედ ყველანი ერთნი იყვნენ ქრისტე'ში, საბოლოოდ აუქმებდა თორას. ქრისტე'ში ყველა ხალხის ერთიანობა დედამიწაზე იმპერიული უნივერსალიზმის სახით უნდა გამოხატულიყო. სხვაგვარად შეუძლებელიც იყო

და ეს გვიჩვენა ქრისტიანობის ისტორიამ. ამ უნივერსალობაში კი ქრისტეს შემდგარი ებრაელები აღარ იქნებოდნენ ებრაელები და ქრისტიანულ იმპერიაში მცირე ხანში ყველას დაავიწყდებოდა ისინი. დღეს კი ახსოვთ ებრაელები იმიტომ, რომ მათ არ სცნეს ღმერთად ის, ვინც ყველამ სცნო. გალილეველმა მოძღვარმა გააუქმა სწავლება ებრაელთა ღვთივრჩეულობის შესახებ. ქრისტიანულმა თეოლოგიამ კი ბრალი დასდო ებრაელებს, რომ მათ სურდათ მსოფლიო ძალაუფლება და ყველა ხალხზე ბატონობა. ამის დასადასტურებლად ძველი აღთქმიდან მოჰყავთ ხოლმე ამონარიდები. ეს ყველაზე გავრცელებული ბრალდებაა ებრაელთადმი. მაგრამ ეს რომ ასე ყოფილიყო, იუდაიზმი ვერ გაძლებდა უმძიმეს პირობებში. იუდაიზმი არ იქნებოდა იუდაიზმი, რომ მისი საბოლოო მიზანი ყველა ხალხზე ბატონობა და მსოფლიო ძალაუფლების მოპოვება ყოფილიყო. ამის დანახვა კი ქრისტიანმა თეოლოგებმა, ეკლესიის დიდმა მამებმა, პატრიარქებმა და პაპებმა არ ისურვეს.

ვკითხოთ თანამედროვე ქრისტიან თეოლოგებს: ისრაელის სახელმწიფო რომ აღდგა 1948 წელს, ეს ღმერთის ნებით არის? თუ ისრაელის აღდგენა ქრისტეს ნების საწინააღმდეგოდ მოხდა? თუ ჰო, მაშინ, ქრისტიანული ღვთისმეტყველების მიხედვით, ისრაელის აღდგენა სატანისეული მოვლენაა. ასეთი აზრის დაშვება კი სისულელეა. ასეთი სიძნელის გამო ეს საკითხი არ განიხილება ხოლმე.

ებრაელები სძულთ იმის გამო, რომ მათ შეძლეს მოსეს რჯულის დაცვა და ამით დაამტკიცეს მრავალი ქრისტიანული დებულების უსაფუძვლობა, რომ რაბი ნაზარეთიდან სულაც არ ყოფილა ის, როგორც მის შესახებ სახარება იუწყება. იქნებ ქრისტე ჭაბუკობაში მოგზაურ ანტიკურ ფილოსოფოსებთან, მაგალითად, პირონისტებთან ან კინიკოსებთან განისწავლა? იქნებ იგი სოფისტებს ემოწაფებოდა? მის ქადაგებებში არის რაღაც სოკრატული. ამის გარდა, მის მიერ ფარისეველთა მხილება ანტიკურ პარესიასტობას უფრო ჰგავს, ვიდრე რაბის შესაფერის საქციელსა და ბჭობას.

ნუ დავივიწყებთ, რომ ახალ აღთქმაში ბოლოს კვლავ ძველი აღთქმის სულმა გაიმარჯვა და თავის დროზე არაკანონიკურად

მიჩნეული „გამოცხადება“, რომელიც წინასწარმეტყველთა წიგნების ქრისტიანიზებული რედაქციაა, ბიბლიის დამასრულებელ ნაწილად იქცა. აქვე ვიკითხოთ: წინასწარმეტყველთა ტრადიცია შეწყდა, თუ იაკობსა შორის კვლავ მოევლინებიან წინასწარმეტყველნი?

ძველი აღთქმის დიადმა სულმა სხვადასხვა გაქანებით გამოავლინა თავი წმინდა წერილის პროტესტანტ ინტერპრეტატორებში, განმანათლებელ ათეისტებსა და რევოლუციონერებში, სოციალიზმის თეორეტიკოსებში. იუდაიზმის სიმძიმის გამო მრავალი ევროპელი ებრაელი უარს ამბობდა მასზე და გაქრისტიანებისა თუ ასიმილირების გზით ცდილობდა მისი შემაძრწუნებელი საკითხებისაგან თავის დახსნას. ისეთი ებრაელებიც იყვნენ, რომელთაც სძულდათ იუდაიზმი და ისრაელიანები. ისინი იუდაიზმის საწინააღმდეგო ეკლესიის მამაოა არგუმენტებს სრულად იზიარებდნენ, ან კიდევ ათეისტურ პოზიციაზე დგომით ცდილობდნენ იუდაიზმის, როგორც წარსულის გადმონაშთისა და ცრურწმენის უარყოფას.

და მაინც ეულად ბრწყინავდა დავითის ვარსკვლავი იუდაიზმისადმი სიძულვილის მრუმე ზეცაზე. ისრაელიანები მესიას მოელოდნენ. როდესაც მცირერიცხოვანმა ხალხმა იუდაიზმის სიმძიმე იტვირთა, მან იცოდა, რომ თავს სიძულვილისათვის სწირავდა. ამ სიმძიმის ტარება იუდეველს სხვა ხალხებისაგან გამორჩეულობისა და თავისი ხალხის განსაკუთრებულობის განცდას ანიჭებდა. ღმერთსა და იუდეველს შორის დიალოგიც არის და დავაც. ღმერთმა უნდა მოუსმინოს ებრაელს, რომელიც მასთან დავობს შესაქმის უხეირობის გამო. სხვას ღმერთი არ მოუსმენს.

გოებიც ჰბაძავენ ებრაელებს, რაც ებრაელთა დამანგრეველ ირონიას იწვევს. როდესაც გოი ვერ ახერხებს სულიერი დისციპლინის დაცვას, ის კვლავ სიძულვილით აღივსება ხოლმე ებრაელთა მიმართ. იგი მათგან თავის მართლებას მოითხოვს რჯულის გამო, იუდაური საესავის გამო, რომელსაც გოიმ თანამედროვეობაზე მითითებით ანაქრონიზმი და ფანატიზმი უწოდა.

გოის სიძულვილს იუდეველი სიძულვილითვე პასუხობს. ეს კრეაციული სიძულვილია, რომელიც არ იცის არც ერთმა სხვა

რელიგიამ. ასეთი სიძულვილი საკუთარი თავისათვის უფრო მეტის მოთხოვნას ნიშნავს. მან არ იცის მიტევება და შეღავათი საკუთარი ნამოქმედარისათვის. ასეთი სიძულვილის მტვირთველი საკუთარი სისუსტის გამო მიტევებას არავისგან მოელის. სიძულვილი გოისადმი სულ სხვაა, ვიდრე ბრაჰმანის სიძულვილი ჩანდალას მიმართ. ისეც მოხდა, რომ გოისადმი სიძულვილი მივიდა მისთვის განწმენდასა და ხსნაზე საერთოდ უარის თქმამდე. ინდუიზმს არ ამხელენ ჩანდალათადმი სიძულვილის გამო. ისრაელიანების მცირერიცხოვნება კი თორასა და თალმუდის მოყივნებას აიოლებს.

გოი სულიერად ხეიბარია, მისი მოძულე იუდეველის თანასმად. გოის არ შეუძლია შესაქმის გასხივოსნებისათვის მუშაკობა. იუდეველი ეულად მუშაკობს. მას სურს, რომ გოიც მუშაკობდეს, მაგრამ ხედავს, რომ გოი უძლურია საამისოდ. ის არაა ღმერთის ღირსი. გოი სიხარულის ყიყინას სცემს ებრაელის დაცემის გამო. გოი ყოველთვის შურით აღვსილია მასზე ებრაელის სულიერი და ინტელექტუალური აღმატებულების გამო. სიმარტოვემ წარმოშვა აზრი, რომ იუდეველის მოკვლა ნიშნავს ღმერთს დაარტყა. ძნელია ამის გაგება მისთვის, ვინც აღიზარდა რესენტიმენტულ პუბლიცისტიკაზე, ვინც მიჩვეულია მორალურ პოზიორობასა და ყველაფრის ფემინიზაციას. ინდუიზმში ბრაჰმანის სიცოცხლის ხელყოფა ღმერთების რისხვასა და დიდ სასჯელს იწვევს. იუდაიზმში კი მთელი ხალხია მიჩნეული ყველა ხალხის ბრაჰმანად.

იუდეველის რისხვა გოისადმი ისეთივეა, როგორც მოსეს რისხვა უდაბნოში მიმავალი თავისი ხალხის სიმდაბლისა და სულმოკლეობის გამო. იუდეველებია ერთადერთი ხალხი, რომელმაც საკუთარი დაცემა საღვთო ტექსტში დაუფარავად ასახა. არც ერთ სხვა რელიგიაში ასე არაა. ვედებსა და უპანიშადებში ვერ ვნახავთ ძველ არიელთა ასეთ რეფლექსიას. ბავშვებად ჩანან ვედური და ზოროასტრული არიელები ისრაელიანების რელიგიურ გენიასთან შედარებით. იობის წიგნის შექმნა მხოლოდ ისრაელში შეიძლებოდა.

სახარებამ თორადან გადაიღო ასეთი მისწრაფება. არაა მიჩქმალული ის, რომ ქრისტეს პირველი მოწაფენი მოძღვარის მიერ ნათქვამ იგავებს ვერ არკვევდნენ. ისიც აღნიშნულია

სახარებაში, რომ მოწაფენი მერყეობდნენ რწმენაში და მოძღვარი მათ ამის გამო საყვედურობდა. არც ისაა დამალული სახარებაში, რომ მოწაფეებმა ძილს მისცეს თავი, როდესაც მოძღვრის მოთხოვნით ფხიზლად ყოფნა ჰხამდა. ასეთი ამბები მრავლადაა.

იუდაიზმმა, ქრისტიანობისაგან განსხვავებით, არ იცის ბერმონაზენობა, სხეულის გვემა და ასკეტიზმი. სააქაო ცხოვრებაზე ზრუნვა იუდეველის მოვალეობაა. ამ საკითხში ისლამი მთლიანად იმეორებს იუდაიზმს. ქრისტიანობამ ეს ვითარება წარმოაჩინა როგორც იუდაიზმისა და ისლამის მანკიერება და შესაბამისად, ქრისტიანობა ორივე რელიგიის სიყალბეს ამტკიცებდა. ისინი მას სულიერებას მოკლებულ, ამქვეყნიური მისნების განმახორციელებელ სწავლებებად მიაჩნდა.

ქრისტიანი მამები, რომელნიც იუდაისტურ მესიანიზმს მსოფლიო ძალაუფლების მოპოვების იდეად წარმოაჩენენ, არ ხედავენ იმას, რომ თუ ღმერთი, იუდაისტური წერილის თანახმად, ყოვლისმომცველი და ყოვლადძლიერია, მაშინ ის არ შეიძლება იყოს ერთი ხალხის, იუდეველების ღმერთი. იუდაისტმა, ცხადია, ეს იცის. მან კი არ მიიტაცა ეს ღმერთი და მისი მფარველობა სამუდამჟამოდ დაიკანონა, არამედ იგი რჯულთამებრ ცხოვრებით ხდება ღირსი ყოვლადძლიერი ერთის კურთხევისა და წყალობისა. იუდეველს თავისი თავი მიაჩნია ღმერთის ღირსად, ყველა ხალხზე უმეტესად. იუდეველს ეს რომ შეთვისებული არ ჰქონოდა, მაშინ მის წერილში არ იქნებოდა გადმოცემული უღირსი მეფეების, წინაპართა უკეთურების ამბები. წინასწარმეტყველთა წიგნები გამსჭვალულია ვარამით, რომ ღმერთმა მიატოვა თავისი ხალხი ცოდვათა სიმრავლის გამო.

საკუთარი ცოდვიანობისა და უღირსობის ასეთი დამტანჯველი შეგნება არ ასახულა, მაგალითად, ბიზანტიურ რელიგიურ ლიტერატურაში ან XII-XIV საუკუნეების კათოლიკურ წიგნებში. აქ არის მრავალი კომპილაცია, ეპიგონობა, სტანდარტად ქცეული მითითებანი წინასწარმეტყველთა გამონათქვამებზე.

იუდაიზმის მოსაყივნებლად იმის მტკიცება, რომ, ქრისტეს

თანახმად, ყველა ხალხი თანასწორია, თანასწორობას კი არ ამკვიდრებს, არამედ ყველას ათავისუფლებს რელიგიური ცხოვრების სიმძიმისაგან. ყველას თანასწორობის პირობებში ქრისტიანები ყველანი მხოლოდ პირობითად არიან. ისტორიამ გვიჩვენა, რომ ქრისტეს შემდგარ ხალხებს შორის მაინც ჩნდება მისწრაფება, რომ სწორედ ესა და ეს ხალხია ქრისტიანულ საკრებულოში გამორჩეული და ყველაზე წინ მიმავალი. სხვა ხალხები ამ ერთს უნდა ედგნენ კვალში. ამ მისწრაფებამ წარმოშვა ფრანგული, ესპანური, ინგლისური, რუსული მესიანიზმები. ავგუსტინემ ეს ადრეული ქრისტიანობის დროიდანვე გაიაზრა. თუ ეს ყველაფერი ცნობილია, მაშინ ერთობ უნდა გვიჭირდეს იმის მტკიცება, რომ ქრისტე იუდეველებმა იმიტომ არ მიიღეს მესიად, რომ მათ მსოფლიოს ხალხებზე გაბატონება სურდათ. ისტორიამ ისიც გვიჩვენა, რომ ფარისეველთა მოძღვრებამ გაიმარჯვა ნაზარეთელი რაბის სიბრძნეზე. ბოლშევიზმის დამარცხების შემდეგ პოსტსაბჭოთა აზროვნებამ მესიანიზმი საერთოდ დაგმო და მრავალგზის ხაზი გაესვა იმას, რომ დემოკრატიას არ სჭირდება მესიანისტური პრეტენზიები. ლიბერალებმა მოისურვეს ქრისტე მისი მესიანიზმის გარეშე. ამის შესახებ გაცხოველებულმა ლაპარაკმა წლები წაიღო. ქრისტეს წარმოდგენა მესიანიზმის გარეშე ძნელია. დემოკრატებმა კი ქრისტე მიტინგებზე, არჩევნებზე, საპარლამენტო დებატებზე მოსიარულე, ყველასათვის საყვარელ სუბიექტად აქციეს. ბედის ირონია კი იმაში მდგომარეობდა, რომ მცირე ხანში ამერიკელებმა განაცხადეს საკუთარი მესიანისტობის შესახებ, რომლის თანახმად, ამერიკელები არიან ის ჭეშმარიტი და ხალხებს შორის პირველი ქრისტიანები, რომელთაც ყველგან შეაქვთ დემოკრატიის ნათელი. 1990-93 წლებში გამეტებით გვიმტკიცებდნენ, რომ შეუქცევადი დემოკრატიული პროცესები მიზნად ისახავდა მთელ მსოფლიოში ყველა ხალხის თანასწორობას. აღარ გაიგებოდა ვინ ვის ეჯიბრებოდა ახალი ყაიდის არტისტობაში. ლიბერალთა მტკიცებების საპირისპიროდ კი ისტორიამ კვლავ სხვაგვარად განსაჯა და უცერემონიოდ დაუმუწა პირი მათ, ვინც ყველა ტრიბუნას ტუტუცობით იკლებდა.

განმანათლებლობის სოციალისტურ და კაპიტალისტურ ვერ-

სიებს თალმუდის კატეგორიებში თუ გადავიყვანთ, მაშინ ჩვენთვის ნაოელი გახდება მრავალი ისეთი ვითარება, რომელთაც უწინ ვერ ვამჩნევდით. გოიმ ვერ შეძლო განმანათლებლობის პრინციპების დაცვა. გოი იგივე დარჩა, რაც იყო განმანათლებლობამდე. ახლა ასე დგება საკითხი: ებრაელებმა საყოველთაო ახალი სეკულარული მოძღვრება უნდა შექმნან, თუ მხოლოდ რჩეულ გოითა შორის, ოქროს მილიარდისა და პლატინის მილიონის ფარგლებში გააგრძელონ განმანათლებლობა? თუ განმანათლებლობა გრძელდება მხოლოდ ოქროს მილიარდის საზღვრებში, რომელიც მხოლოდ ქონების ფლობის გამო არის რჩეულად მიჩნეული, მაშინ განმანათლებლობას ეს ოქროს მილიარდიც ძალზე მალე დაასრულებს. ოქროს მილიარდის (დასავლეთ ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკის და მათი რამდენიმე სატელიტი ქვეყნის) საზღვრებში განმანათლებლობის ჩაკეტვა იუდაიზმისათვის უკანასკნელი შესაძლებლობაა დასავლურ ცივილიზაციაში. ისლამური აღმოსავლეთის გარდა იუდაიზმს ასპარეზი აღარ რჩება. იუდაიზმის სეკულარულ იდეებს არ მიიღებენ არც ბუდისტური, არც ინდუისტური ცივილიზაციები. ისინი თავად ცდილობენ საკუთარი რელიგიური იდეების დასავლეთში გავრცელებას. დგება დრო, როდესაც დასავლეთმა უნდა აირჩიოს ან ისლამი, ან ბუდიზმი და ინდუიზმი.

ოქროს მილიარდი მალე განახევრდება. ნახევარი კვლავ განახევრდება. ებრაელი მარტო რჩება დასავლელი შერცხვენილი ხალხების ზღვაში. ვისთან ერთად უნდა იღვაწოს მან საგანმანათლებლო ნათელის შესაკრებად? ახალი ფორმაციულ-ცივილიზაციური გლობალური იდეა თორას თეორიისა და თალმუდის ფენომენოლოგიის გარეშე ვერ წარმოიშობა, მაგრამ ვისთან და როგორ იკამათებენ ებრაელი მოაზროვნენი, თუ აღარ იქნება ქრისტიანობა?

სოციალიზმის დამარცხებამ კაპიტალიზმს არ მოუტანა გამარჯვება. ახალი გენია არის საჭირო, რომელიც თანამედროვეობის ილუზიებსა და იდეურ სიძნელეებში სწორ გეზს აღმოაჩენს. გლობალიზაციის მომხრე ებრაელები კაპიტალიზმისა და დასავლეთის საბოლოო დისკრედიტაციას უწყობენ ხელს.

ვერნერ ზომბარტი (1863 -1941) ებრაელებს კაპიტალიზმის უმთავრეს ფაქტორად მიიჩნევდა. ზომბარტი კაპიტალიზმის წყაროს კათოლიციზმში ეძებდა. მის გარდა რელიგიისა და კაპიტალიზმის კორელაციის საკითხებს იკვლევდნენ მაქს ვებერი (1864 - 1920), გეორგ ზიმელი (1858 - 1918), ასევე მაიკლ ნოვაკი და სხვები. ვებერისეული der Geist des Kapitalismus (კაპიტალიზმის სული), მკვლევარის თანახმად, ადრეულ ბურჟუათა შორის, პროტესტანტულ გარემოში წარმოიშვა. ამ გარემოში ებრაელებმა მალევე გამოიჩინეს თავი და კაპიტალიზმის ავანგარდში მოექცნენ. ერთი მხარეა ებრაელთა საიგავო სიხარბე და სიძუნწე, რის შესახებაც აღნიშნულია ჯერ კიდევ ფირდოუსის „შაჰნამეში“, უფრო გვიან ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალში“, შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარში“ და ა.შ. მეორე მხარეა უდიდესი სწრაფვა მსოფლიოს გარდაქმნისაკენ, მრავალი საუკუნის მანძილზე მსოფლიოს ხალხების მასწავლებლობა რჯულის საკითხებში.

ერნსტ ბლოხის ძველი მეგობარი გეორგ ზიმელი ებრაელი იყო. ზიმელის გამოკვლევას კაპიტალსა და ბურჟუაზიაზე ეწოდება „ფულის ფილოსოფია“ (1900 წ.). ამ ნაშრომში, ჩვენი აზრით, მარქსის „კაპიტალის“ გავლენა ჩანს. ზიმელი ფულის საკითხს განიხილავს ებრაელთა საქმიანობასთან მჭიდრო კავშირში. ფული შეადგენს ებრაელთა სიმდიდრეს [10.284], (იხ. ასევე გვ.285, 287). ზიმელის ვრცელი და მძიმე მსჯელობანი ეხება იმას, თუ რატომ შეძლო საზოგადოების ერომა ნაწილმა ფულის დაგროვება. ფინანსური და ეკონომიკური განვითარება, ზიმელის თანახმად, კულტურის კონტექსტში უნდა განიხილებოდეს. ზიმელის ძიებანი ახლებურ განვითარებას გერმანულ ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაში იძენენ. ზიმელის, როგორც კაპიტალიზმის კრიტიკოსის იდეები, გამოძახილს პოულობენ ნეომარქსისტებთან.

რელიგიისა და კაპიტალიზმის ურთიერთობებს იკვლევდა ასევე პიტერ ლუდვიგ ბერგერი, რომელმაც ფენომენოლოგიური მეთოდის გამოყენებით ყურადსაღები კონცეპცია შექმნა. ბერგერი XX საუკუნის 70-იანი წლების ნეოკონსერვატიზმის ცნობილი წარმომადგენელია. იგი საზოგადოების ყოვლისმომცველ სეკულარიზაციას ეწინააღმდეგებოდა და რელიგიის მეშვეობით

ცდილობდა უმწვავესი სოციალური პრობლემების გადაჭრას.

ჩვენ დასაწყისში ვთქვით, რომ ფორმაციული თეორიის ლიბერალი უარმყოფელნი მიუთითებდნენ ხალხთა თვითმყოფადობასა და ტრადიციებსე, რომელიც, მათი თქმით, დათრგუნა ფორმაციონისტულმა იძულებამ. ფორმაციონიზმის ასეთ უარყოფაში ბოლშევიზმი იგულისხმებოდა და მიუთითებდნენ ხალხების კომუნისტურ ნიველირებაზე. პოსტსაბჭოთა სინამდვილემ კი კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ხალხების უმრავლესობას არანაირი თვითმყოფადობა და ტრადიციები არა აქვთ. მრავალ მათგანს თავადვე მოსწყინდა მრავალწლიანი პოზიორობა და არტისტული ყვირილი. ისინი ცდილობენ შეეკედლონ მდიდარ ქვეყნებს. ამ ხალხების არტისტული ყვირილის გამო მდიდარ ქვეყნებში გული არავის აუჩუყდა.

არც ერთმა რასისტულმა და ევგენიკურმა თეორიამ არ წარმოაჩინა ასე დაუფარავად და დაუნდობლად ხალხების უუნარობა, როგორც კოსმოპოლიტურმა ნეოლიბერალიზმმა და თავისუფალი ბაზრის თანდათანობითმა აბსოლუტიზაციამ. საბაზრო ევთანაზია და ფულის ევგენიკა მრავალ ხალხს უარს ეუბნება საგანმანათლებლო პროექტში მათ მონაწილეობაზე. ფულის ევგენიკა ამ ხალხებს არასრულფასოვან, ყოვლად უმაქნის პოპულაციად მიიჩნევს. ის მათ სთავაზობს დემოკრატიას განმანათლებლობის გარეშე, რაც სხვა არა არის რა, თუ არა PR -ტექნოლოგიების დიქტატი, ბაზრის სრული თავისუფლებისა და კომპრადორიზმის ლეგიტიმაცია. ასეთ რამეს რასისტული თეორიები ვერ წარმოიდგენდნენ.

ფულის ევგენიკა ხალხებს უმტკიცებს, რომ განმანათლებლობის პარადიგმა მხოლოდ დასავლელ ადამიანს ეკუთვნის და ამ პარადიგმის საყოველთაობა უზარმაზარ მორალურ და ფინანსურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, რომელიც ძალზე ხშირად ვერ ამოიგება. აი, ამაშია ნეოლიბერალური გლობალიზაციის ის სიმართლე, რომლის უარყოფა დღეს ერთობ ძნელი გამხდარა. გლობალიზაციისა და ფულის ევგენიკის ამ სიმართლესთან შებრძოლება ჩვეული ანტირასისტული, სოციალისტური, პაციფისტური თუ კონტრკულტურული არგუმენტებით შეუძლებელი ხდება. ეს მორალური და

ფინანსური დანახარჯები სწორედ ხალხების სიმდაბლის გამო ვერ ამოიგება. ადამიანთა უდიდესი ნაწილი საშუალოზე დაბალი ინტელექტუალური და სულიერი შესაძლებლობების მქონეა. ეს არაფრის მაქნისი მასა დიდ ტვირთად აწევს სისტემასა და რეჟიმებს. ეს ადამიანები არ იცვლებიან რევოლუციებისა თუ ომების შედეგად. ისინი თაობიდან თაობაში ერთნაირად თვალთმაქცნი და ტუტუცნი არიან.

საგანმანათლებლო მიღწევათა გავრცელება ხელს უწყობს ასეთი ადამიანების კატასტროფული ტემპით რეპოპულაციას. ისინი საგანმანათლებლო პროექტის შემდგომი განხორციელებისათვის უდიდეს ხელის შემშლელ ფაქტორად იქცევიან. ამ ადამიანებს საბაზრო რენტაბელობა და გლობალიზმი, როგორც თანამედროვე ნეომალთუსიანელობა, ართმევს ადამიანურ სტატუსს და ისინი გადაჰყავს ცხოველთა კატეგორიაში.

გლობალიზმი არის დასავლელი რაციონალისტი და ტექნოსოფოსი ადამიანის დიდი დავა ქრისტიანულ ღმერთთან და მისეულ სიყვარულის იდეასთან. გლობალიზმი არის კაპიტალისტთა რევოლუციონერობა და ქრისტიანული ღმერთისათვის ყოველგვარ შეღავათზე საბოლოოდ უარის თქმა. სახარებაში კი არის ნათქვამი, რომ მდაბალი ამაღლდება, მაგრამ ის კი აღარ ითქმის, იპატიებს თუ არა ამაღლებას მდაბალი. სოციალიზმი იმიტომ კი არ დაინგრა, რომ არარეალური და უტოპიური რამ იყო, არამედ იმიტომ, რომ ადამიანმა, რომელიც რევოლუციონიზმისა და მუშათა მოძრაობისაგან იყო ყველაფრით დავალებული, რელიგიური არტისტობა და პოლიტიკური კულტურულობა ამჯობინა. რევოლუციით ამაღლებული მდაბალი ქედმაღლობით აღივსო. მან ძალზე მალე დაივიწყა, თუ ვინ და ვისი შთამომავალი იყო. დღეს ის გასულელებული და უარესად დამდაბლებულია. ხალხები მათზე გაწეულ საგანმანათლებლო ზრუნვას უმადურობით პასუხობენ და მათ უჩნდებათ ილუზია, რომ ისინი დამოუკიდებლად რაღაცის გაკეთებას შეძლებენ. ისინი იწყებენ ლაპარაკს ტოტალიტარულ წარსულზე და ლაპარაკი ლაყბობად იქცევა ხოლმე. რეფორმებისა და ინვესტიციების, ახალი ტექნოლოგიების სახელით თითქმის მომენტალურად ნიავდება თაობათა შრომით შექმნილი

საწარმოო ფონდები. ეს წინგადადგმულ ნაბიჯად და ახალი აზროვნების მიღწევად საღდება. მეტი დამაჯერებლობისათვის ეკლესიას მიმართავენ, რომელიც ამ კატასტროფას სატანის დამარცხებად და ღმერთის გამარჯვებად წარმოაჩენს.

ფულის ევგენიკამ მრავალი ხალხი წარმატებით დააყენა განმანათლებლობის მიღმა. საკითხი თავიდანვე ისე იყო დასმული, რომ განმანათლებლობა ანტიქრისტიანული, ესე იგი, სატანური იყო. ამიტომ ეკლესია დღეისათვის მომხრეა ნეოლიბერალიზმის ყველა წამოწყებისა და იგი კომპრადორული რეჟიმების სამსახურშია ჩამდგარი. ხალხები აღარ ებრძვიან ამ რეჟიმებს. მათთვის კომპრადორულ ელიტაში მოხვედრა სანუკვარი რამ არის. ეს ნიშნავს, რომ ხალხები კომპორადორული რეჟიმების ალი-კვალი არიან. ეს ვითარება თითქოს ამ რეჟიმების სამუდამოდ განმტკიცებას უნდა უწყობდეს ხელს, მაგრამ ასე არ არის. მომავლიდან მომავალი უხილავი საფრთხე ამ რეჟიმებს სიკვდილს უქადის. კომპრადორული ინტერნაციონალი თავს იმით იზღვევს, რომ გაფაციცებით ეძებს ნონკონფორმიზმის ნაშთებს და სპობს მათ რელიგიური თუ ჰუმანიტარული მანიპულაციებით. დასავლეთი მომენტის აგრესიულობის სულ უფრო მეტად გაზრდით ცდილობს აწმყოს აბსოლუტიზაციას.

ხალხებმა დაინახეს, რაც უყო მათ დასავლეთმა, მაგრამ მათ მიერ გამოთქმული უკმაყოფილება და იმედგაცრუება არაა საკმარისი კაპიტალთან საბრძოლველად. მათ არტისტული დაუმორჩილებლობასა და შეურაცხადობამდე მისულ პოზიორობას მხოლოდ ნეოლიბერალიზმის იდეოლოგია ამართლებს და აქეზებს. ამ მოვლენას საგანგებო შესწავლა ესაჭიროება.

ხალხის რომელ ფენაში უნდა გამოვლინდეს მოჯანყეობრივი, რევოლუციური სული? რა უნდა იყოს ახალი ინტერნაციონალური, პოლიტიკური ინსურგენციის იდეური საფუძველი, მაშინ როდესაც აღარ არსებობს მუშათა კლასი, ნონკონფორმისტული სტუდენტობა, სულისათვის მებრძოლი ბერმონაზვნობა? მარქსიზმი დაიხურა არა მისი არამეცნიერულობის, არამედ ხალხთა უმეცრებისა და კადნიერების გამო. თუღა არიან ისეთი ებრაელები, ვინც გლობალიზაციის მოკავშირე

ებრაელებს წინ აღუდგებიან და გოებს შორის იდეურ ბრძოლას დაიწყებენ? ჩაქრება დავითის ვარსკვლავი, თუ ებრაელები გოებს დაემსგავსებიან, თუ სიმდიდრე მოიტაცებს მათ. შეიძლება თუ არა თანამედროვე დასავლური ანტიგლობალისტური მოძრაობა ერთიან ინტერნაციონალურ ფრონტად ჩამოყალიბდეს ებრაელთა მონაწილეობით? თუ ებრაელები უარს იტყვიან ბრძოლაზე და მათ ამაში გაამართლებს ისრაელის სახელმწიფოზე, როგორც აღსრულებულ მიზანზე მითითება, მაშინ ისლამის, როგორც დასავლეთის შეურიგებელი მოწინააღმდეგის ამოცანა უფრო რთულდება. კონფუციანურ-ბუდისტური ჩინეთი და ბრაჰმანისტული ინდოეთი დასავლეთთან რადიკალურ იდეურ დაპირისპირებას ვერ შეძლებენ, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყანას, საერთაშორისო ორგანიზაციათა მონაცემების მიხედვით, აქვს აღმავალი ეკონომიკა. ინდუისტური ღრმა სულიერება უძლურია საიმისოდ, რომ შექმნას ვექტორული ისტორია. დიდი აზრი ძევს იმაში, რომ ეს უზარმაზარი ქვეყანა ბრიტანეთის იმპერიის მიერ მის დაპყრობამდე, მოგოლთა ისლამური იმპერიის ცენტრი იყო.

ინდუისტური სულიერება მაცდურია და ქალური. ინდური კულტურა ძველ დროში ინდოეთისაგან აღმოსავლეთით და არა დასავლეთით გავრცელდა. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში მოგვიანებით ასევე გავრცელდა ბუდიზმი. ასეთი გეოგრაფიული განშლით ინდუიზმი და ბუდიზმი თითქოს გაექცნენ ისტორიას. ბუდიზმმა ვერ შეძლო ევრაზიის ჩრდილო-აღმოსავლეთში გავრცელება მონღოლეთისა და ბურიატიის გარდა. ისლამმა კი შეაღწია რუსეთის აღმოსავლეთში - თათარსტანში, ბაშკირეთში, მორდვეთში. ინდოეთმა თავის ორივე მხარეს - აღმოსავლეთით და დასავლეთით დაკარგა დიდი ტერიტორიები ისლამური ბანგლადეშისა და პაკისტანის სახით. ინდოეთის ვეება სუბკონტინენტი აზიის განაპირა მხარეა.

ტექნოლოგიურად როგორც არ უნდა განვითარდნენ აზიის ვეფხვებად წოდებული სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, ისინი ვერასოდეს შექმნიან ღერძულ ისტორიულ დროს. ამ ქვეყნების დიდ პერსპექტივებზე მსჯელობანი მეტად გადაჭარბებულია.

ჰანტინგტონის დებულებას - დასავლეთი და დანარჩენები,

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, უპირისპირდება დებულება - ისლამი და დანარჩენები. გოების, ამ შემთხვევაში მუსლიმთა იდეურ სიმაღლეზე ყოფნა აძნელებს ებრაელის იუდაისტად ყოფნას. აი, დასავლელი (პირობითად ქრისტიანი) გოები კი დაცემულნი არიან. ეს კი აიოლებს ებრაელის იუდაისტად ყოფნას და მას უქმნის უსაფრთხოების ილუზიას იმ აზრით, რომ ირგვლივ არავინაა იდეური მებრძოლი. დასავლელი გოების დაცემა განამტკიცებს ფულის მესიანიზმს და ათავისუფლებს ებრაელებს მძიმე იდეური ძიებებისაგან. ამიტომაა მათთვის იოლი იუდაისტობა დასავლურ გარემოში. ამერიკელ ებრაელთა ხელშია ამერიკული მედია, შოუბიზნესი, ბანკები, მაღალი სახელისუფლო პოსტები, საერთაშორისო ვაჭრობა. როგორ უნდა გავიგოთ XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე ებრაელთა ასეთი არგაგონილი აღზევება დასავლურ ცივილიზაციაში? არის თუ არა ეს ღვთის წყალობა? ებრაელთა აღზევება უცხო ქვეყნის ძლიერების საფარქვეშ ხდება. როგორ არის შესაძლებელი იუდაისტური მესიანიზმის თანხვედრა ანგლოსაქსურ მესიანიზმთან? ნეოკონსერვატორთა მესიანიზმში იუდაიზმი აღარაა იუდაიზმი, თუ ამერიკული პროტესტანტიზმი აღარაა ქრისტიანობა? როგორ მოხდება ამერიკელ ებრაელთა ექსოდუსი და ისრაელისაკენ სვლა? ვისი მესიანიზმი უფრო მეტად ვლინდება ამერიკულ ჰეგემონიზმში - იუდაისტური თუ კალვინისტური?

ფინანსურად და პოლიტიკურად ასეთი მძლავრი დიასპორა ებრაელებს არასოდეს ჰქონიათ. აქვე ვიკითხოთ ოლიგარქი მიხაილ ხოდორკოვსკი უფრო მართალია, თუ მისი მდევნელი ფედერალური ხელისუფლება? ოლიგარქი ბორის ბერეზოვსკი უფრო მართალია თუ ის ხელისუფლება, რომელიც მის დაპატიმრებას ლამობს და რომელსაც ახლა გაახსენდა კანონი და სამართალი? ბერეზოვსკი თავის დროზე ელცინის ხელისუფლების წარმომადგენელი იყო და ვერ მოხვდა პუტინის გარემოცვაში. ხელისუფლებას, რომელიც გორბაჩოვის დოქტრინის დასრულების დროიდან ყველგან დიდ უსამართლობას ამკვიდრებდა, ახლა გაახსენდა სამართალი და ებრაელ ოლიგარქებს დაერია. რასაც რუსეთის ხელისუფლება სთესს, იმას იმკიან და კვლავაც მოიმკიან ევრაზიის ხალხები. ეს ხელისუ-

ფლება მხარს უჭერს დასავლეთის ყველა მსჯელობებს.

მრავალი წინააღმდეგობისა და მარცხის მიუხედავად, დასავლური დემოკრატია და გლობალიზაცია განიხილება როგორც საკაცობრიო ქრისტიანული იდეის სინონიმი. ეს ისეთივე სიყალბეა, როგორც იმის მტკიცება, რომ ქრისტიანული დასავლეთი ცდილობს მთელი მსოფლიოს ჰუმანიზაციას. საერთაშორისო ურთიერთობათა მაშინერია დიდი პოლიტიკიდან განდევნის ზნეობას. უმთავრესი ხდება survival of the fittest (ყველაზე შეგუებულის თავის გადარჩენა). ხალხების ასეთი დაცემისა და კადნიერების პირობებში გონების ერთადერთი მოწოდება არის სიცრუისა და შემგუებლობის უნარების განვითარება. მედიაკრატიის ყოველი დღე ამას გვიჩვენებს. ის დაჟინებით ამტკიცებს, რომ „არსებული სტატუს-კვოს წინააღმდეგ ამბოხს ცივილიზებული მსოფლიო გმობს“, „მსოფლიო ფინანსური დემოკრატიზაცია დრომ მოიტანა“, „ახალი მონეტარული წესრიგი მყარდება“, „დემოკრატიზებულ რეგიონებში მსოფლიო საზოგადოებრიობა ინვესტიციების ჩადებას აპირებს“ და ა. შ. ყველა ტელეარხზე, ყველა გა'სეთში ისმის ასეთი მსჯელობანი.

კაპიტალი, რომელმაც პოსტმოდერნული ფილოსოფიაც იდეოლოგიური მიზნებისათვის გამოიყენა, საგანგებოდ ზრუნავს იმაზე, რომ რაციონალიზმი არ იყოს ტოტალიტარული, ავტორიტარული და რეპრესიული, რათა თავისუფლების ილუზია მყარად იყოს დამკვიდრებული. კაპიტალი ზრუნავს იმაზე, თუ როგორ შეიძლება რაციო დანაწევრდეს და ამავე დროს სისტემის რაციონალობა შენარჩუნებულ იქნეს. გლობალური სისტემაა კაპიტალისათვის მთავარი და არა სახელმწიფოები. ცნებებით მანიპულირება ხელოვნების რანგში ადის. ეტატიზმის ცნება ჯერ კიდევ ანტისაბჭოთა დისიდენტობის დროიდან (1988-91 წწ.) ინტენსიური მანიპულაციის საგანი იყო. ეტატიზმი არაა ტოტალიტარული სისტემისათვის დამახასიათებელი, როგორც ამას ლიბერალური პოლიტოლოგია ამტკიცებდა. ბოლშევიზმის ნგრევას უწოდებდნენ დეეტატიზაციას, რაც არ იყო სწორი. დეეტატიზაცია'ში იგულისხმებოდა დეიდეოლოგიზაცია. მაშინ ეს შეუვალ ჭეშმარიტებად საღდებოდა, დღეს კი კარგად ჩანს ამ მსჯელობის სრული

უაზრობა. მარქსისტული დეეტატიზაცია გულისხმობდა არა იმას, რასაც გლობალისტური დეეტატიზაცია გულისხმობს. ლიბერალურად გაგებული დეეტატიზაციის კონტექსტში მოიაზრება სამოქალაქო საზოგადოების ცნება.

არაა საჭირო პოლიტოლოგიური ხრიკები იმის დასაფარად, რომ სამოქალაქო საზოგადოების პოლიტიკის გარეშე წარმოდგენა შეუძლებელია. შეუძლებელია ადამიანის უფლებები დეპოლიტიზაციის წინაპირობად იქნეს მიჩნეული. პოლიტიკური სოციალიზაციისა და პოლიტიკური ინტერსუბიექტურობის გარეშე სამოქალაქო საზოგადოება ვერ იარსებებს და ვერანაირი მეთოდი ვერ დაადგენს იმ ზღვარს, სადაც წყდება სამოქალაქო საზოგადოების დამოკიდებულება პოლიტიკაზე, სახელმწიფოზე. იმ ზღვარს, სადაც მთავრდება ინსტიტუციონალური დაყოფა პოლიტიკურ ძალაუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, ვერანაირი მეთოდი ვერ ნათელჰყოფს.

ნეოლიბერალურ-გლობალისტური დეეტატიზაციის პროცესში ხდება ხალხების სულ უფრო მეტად დამდაბლება და დაცემა. მედიაკრატია კი ყოველთვის პირიქით ამტკიცებს. ღმერთსაც არ შეუძლია იმის უარყოფა, რომ ნეოლიბერალიზმის პოლიტიკამ აქსიომად აქცია ხალხების ლაჩრობა და სულმდაბლობა. ამის გამო ამერიკელებს უადვილდებათ ატლანტისტური ჰეგემონიზმის განმტკიცება. დიდი პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპად ეს ამერიკული აქსიომა ქცეულა. უაზრობად მოჩანან ასეთ ვითარებაში ეს საერთაშორისო დეკლარაციები, კონვენციები და ქარტიები. ეს ჰუმანიტარული პროგრამები, რომელნიც დასავლური ფონდების მიერ ფინანსდება, არის გლობალისტთა მიერ გამოვლენილი ცინიკური ტოლერანტობა წუნდადებული, მარგინალიზებული, დეგრადაციისათვის განწირული ხალხების, ადამიანთა ჩენჩოს მიმართ. ამ ხალხებისათვის ამერიკელები იობის მეგობრებივით არიან.

ანთროპოლოგიური ლანდშაფტი შავბნელია. ფულის ევგენიკა და თალმუდის მოძღვრება გოის უვარგისობის შესახებ ერთმანეთს უკავშირდება ნეოლიბერალიზმის გლობალურ პანორამაში. ყველა ხალხს აქვს უფლება იყოს ნაგავი. თითოეულ მათგანს შეუძლია საკუთარი ღორობიდან შექმნას

მარტიროლოგი და ლაჩართა ისტერია ისტორიად გაასაღოს. არც ერთ სხვა საქმეში არაა ხალხი ისე უსიტყვოდ შეთანხმებული, როგორც თავისი ლაჩრობისა და უნამუსობის მიჩქმალვაში. არაფერში ისეთ გულმოდგინებას არ იჩენს ხალხი, როგორც თავისი სიბრიყვისა და კადნიერების სიბრძნედ და სათნოებად გასაღებაში. ამან ბრუტალური სიცხადე შეიძინა. მას არ შველის ჯვარსა და ხატზე კანკალით მითითება.

როგორ ხდება ლაჩრობის გამართლება? აი, მაგალითად, საქართველოში მიმდინარე ნეომექანიცისტური რეფორმების პროცესში „ლაგერებში“ არავინ მიჰყავთ და პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელთაგან დასახვრეტად არავინ გაუმეტებიათ. ამის გამო რეფორმებს იოლად ეგუებიან, მიუხედავად იმისა, რომ ეს რეფორმები ყოველგვარ ზნეობრივ საწყისს არის მოკლებული. მთავარია არა ის, ექნება თუ არა ამ რეფორმებს ხელშესახები რეზულტატი, არამედ ის, რომ ყველა ცოცხალია, ყველანი ყაყანებენ. ბოლოს ეს ცოცხლადყოფნა ჩაფუშული რეფორმების უმთავრეს მიღწევად გასაღდება. რეფორმების პროცესში რომ დახვრიტონ ავაზაკი მოხელეები და უმკაცრესი კანონები შემოიღონ, ახლა ეს ექნებოდათ თავისი ლაჩრობის გამამართლებელ მიზეზად. საზოგადოებას არ შეუძლია წინ აღუდგეს რეფორმატორებს და შეაგნებინოს მათ, რომ რასაც ისინი რეფორმებს უწოდებენ, არაა რეფორმები. კვლავ ვიმეორებთ: ხალხიც ისეთია, როგორიც არის პოლიტიკური ელიტა. როგორც ეს ელიტა ქმნის მუშაობის მოჩვენებითობას, ისე ხალხი ქმნის ოპოზიციური პროტესტის მოჩვენებითობას და იგი ყველაფერზე თანახმაა, ოღონდ თავის შეწუხება არ მოუხდეს.

უნტერმენში არაა ებრაელი, როგორც ამას ნაცისტები ამტკიცებდნენ. უნტერმენშები ყველა ხალხში არიან. ასევე ჩანდალა არაა მხოლოდ შერისხული, ღვთის გარეგანი ინდუსი. ჩანდალა ყველგანაა. პლურალიზმისა და კაპიტალის ზეობის პირობებში მთელი რიგი ხალხები ქცეულან უნტერმენშებად და ჩანდალებად. ცხადზე უცხადესია, რომ პოსტსაბჭოთა ხალხების ლიბერალიზაცია (საუკეთესო გაგებით) ბერძნული კალენდების დადგომამდე (ესე იგი, არასდროს) გადაიდება. ეს ხალხები ახალ ტექნოლოგიებსა და დიდ ინვესტიციებზე ლაპარაკობენ

და არ სურთ დაინახონ, რომ გლობალიზაციის არიერგარდშიც არაა მათთვის ადგილი.

აბსოლუტური მანქანა, აბსოლუტური მონობა, აბსოლუტური საროსკიპო. აი, ეს არის მომავალი, რომელსაც ნეოლიბერალური დასავლეთი მსოფლიოს უმზადებს. ყველგან მხოლოდ ვოლუნტარისტული კაპიტალისა და ავტორიტარული გლობალური ბიზნესის წარმომადგენელ ებრაელებს ვხედავთ, მაგრამ არსად ჩანან მომავლის ებრაელები. ეს კი მთლიანად იუდაიზმს და არა მარტო ებრაულ დიასპორას დიდ საშიშროებას უქმნის. კატასტროფა გარდაუვალი იქნება. ისლამური ნახევარმთვარის კაშკაში ებრაელთავე მიზეზით დაჩრდილავს დავითის ვარსკვლავს. ჰანტინგტონის თეორიას, როგორც დასავლური ცივილიზაციის ვერდიქტსა და რეკვიემს, უნდა მოჰყვეს ებრაული გენიის ახალი კონცეპტი, რომელიც პოსტვესტერნისტული მერმისის სხივოსანი უვერტიურა იქნება. სხვაგვარად შეუძლებელია.

ბაზრის თავისუფლების აბსოლუტიზაცია და ტექნოლოგიათა ნომადიზაცია ნებისმიერი ჰეგემონიზმის დეცენტრაციას გულისხმობს. ამრიგად, გლობალიზაცია, როგორც აბსოლუტური ბაზარი ეწინააღმდეგება ამერიკული ჰეგემონიზმის მონოცენტრულობას და პირიქით. აბსოლუტური ბაზარი ამერიკულ ჰეგემონიზმს თავისთვის შემაბრკოლებელ ფაქტორად მიიჩნევს და მის ლიკვიდაციას შეეცდება. გლობალურია არალეგალური ემიგრაცია, ტრეფიკინგი, ნარკობიზნესი, პორნობიზნესი, იარაღით უკანონო ვაჭრობა, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა, ბავშვებით ვაჭრობა. საბაზრო რენტაბელობა უგულებელჰყოფს კანონს და მასზე მაღლა დგას. საბაზრო სტიქიამ არ იცის მორალი და კანონი. ბაზრისათვის დასაშვებია ყველაფერი, რასაც მოგება მოაქვს. ზემოთ ჩამოთვლილი კრიმინალური გლობალიზმის გამოვლინებანი არ სცნობენ ამერიკულ ჰეგემონიზმს, უგულებელყოფენ ფედერალურ კანონებს, იჭრებიან ამ ქვეყანაში და ცდილობენ საკუთარი სეგმენტების გაფართოებას. აქვე ისიც საკითხავია, რა კრიტერიუმის მიხედვით მიიჩნევიან ისინი კრიმინალურ ბიზნესად დიდი პოლიტიკისა და გლობალიზაციის ამორალურობის პირობებში? ეს არაა გარკვეული. კრიმინალური გლობალიზაცია წინ უსწრებს ოფიციალურ

გლობალიზაციას.

გლობალისტები ხშირად მიუთითებენ ინტერნეტზე, ფიჭურ კავშირზე, საკაბელო ტელევიზიაზე. ისინი ნეოლიბერალიზმის დიდი დანაპირების, გლობალური უტოპიის შემადგენელნი არიან. ტექნიკის ამ მიღწევათა გავრცელებას, თავისუფალი ბაზრის ადეპტთა თანახმად, მოჰყვება ხალხთა დაახლოება და თანამშრომლობა, იდეების, ინფორმაციებისა და ტექნოლოგიების ინტენსიური და დაუბრკოლებელი გაცვლა. ეს კი ნანატრ მარადიულ მშვიდობას მოიტანს. განვლილმა წლებმა, უახლოესმა წარსულმა კი დაგვარწმუნა, რომ ეს შეუძლებელია. ხალხებს ძალზე ხშირად არაფერი აქვთ ერთმანეთისათვის სათქმელი. თვით ერთი საზოგადოების შიგნით, ინდივიდებს შორის ისეთი გაუცხოებაა, რომელიც ფიჭური კავშირით, ელექტრონული მედიით, PR-მანქანით ვერ დაიძლევა. საზოგადოების წევრებს არაფერი აქვთ ერთმანეთისათვის სათქმელი. სისულელეა მითითებანი წინაპრებზე, ტრადიციებზე, ეკლესიაზე. ყველგან მანქანის ადამიანზე გამარჯვებას ვხედავთ. ინტერნეტისა და ფიჭური კავშირის მსოფლიოში გავრცელებამ ვერც იდეები გაავრცელა, ვერც ახალი კონცეპტების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. აღმოსავლეთისათვის ინტერნეტი და ფიჭური კავშირი ის ტექნიკური მიღწევაა, რომელიც დასავლეთთანვე საბრძოლველად გამოიყენება. თავის დროზე ტელეგრაფის, ტელეფონის, რადიოს შესახებაც ითქმოდა, რომ მათი გავრცელება ხალხების დაახლოებას შეუწყობდა ხელს.

დასავლეთისათვის ტექნიკური მიღწევები იდეური და ზნეობრივი სიმაღლის რანგშია აყვანილი. დასავლეთი კვლავ აგრძელებს სამეცნიერო პროგრესის ფორსირებას და ათასწლეულის პროგრამებზე, მეგაპროექტებზე საუბრობს. ამ დროს მისი ხვალინდელი დღე გაურკვეველია. ჯორჯ ბუშმა თავის წინასაარჩევნო კამპანიაში (2004 წლის დასაწყისი) ადამიანის მთვარეზე დასახლების პროგრამაზე ილაპარაკა. მიწაზე არსებულ დიდ პრობლემებს კი კიდევ ემატება პრობლემები.

საბჭოთა იმპერიამ შერცხვენით დაასრულა თავისი არსებობა. ეს ევრაზიაში ევროპეიზმის დამარცხებაა. არავინ აღმოჩნდა საბჭოთა იმპერიის დამცველი. მთლიანად დასავლური ცივი-

ლიზაცია კი თავის დღეებს უფრო სამარცხვინოდ დაასრულებს. არავინ იქნება მისი დამცველი, ვისაც დღეს უმძლავრესი ტექნიკით მოაქვს თავი და სისხლს ღვრის, ვინც იარაღის კოსმოს'ში გატანით ატლანტისტურ პანკოსმიზმს ახორციელებს. ეს ცივილიზაცია დასრულდება შამპუნის, სარეცხი ფხვნილის, ქალის საფენების რეკლამით. საითკენ წავა ამის შემდეგ იუდაიზმი, რომელიც დასავლურ ცივილიზაციაში ერთთავად ქრისტიანობასთან კამათობდა და რომელიც ვეღარ იკამათებს ისლამთან? თორას მუჰამედისეული ინტერპრეტაცია არის იუდაიზმი ყველასათვის. ისლამსა და იუდაიზმს შორის მცირე განსხვავებაა. ებრაელი სეკულარისტი მოაზროვნენი ვერ იდავებენ ყადისთან ისე, როგორც ისინი დავობდნენ პასტორსა და კიურესთან. სოფლისა ყადიმაც ისევე საჯა, როგორც რაბინმა. იმამი კი რაბინის მსგავსად ედავება პასტორსა და კიურეს, რომ ის არ იყო ძე ღვთისა. შარიათთან ვერ გამართავს ისეთ პოლემიკას ებრაელი, როგორც იგი პოლემიზირებდა ეკლესიის სწავლებასთან. სოციალიზმისა და კაპიტალიზმის დიხოტომიური კონფრონტაციის დასრულებამ ებრაელი სეკულარისტი თეორეტიკოსი იდეების ასპარეზის მიღმა დააყენა. ზემოაღნიშნული ვითარების გააზრება უფრო ნათლად დაგვანახებს, რომ სადღეისოდ ისლამურ მოძრაობაში ებრაელთა იდეური მონაწილეობის საკითხი მეტად გაძნელებულა.

ვუჭვრეტო რა მსოფლიოში მიმდინარე კოლიზიებს, კვლავ ვდგებით მუჰამედის რელიგიური გენიის წინაშე. ჰიჯაზის იუდეველებმა დათესეს ამ მაძიებელი და ღრმად მოფიქრალი არაბი ჭაბუკის სულში შემეცნების ის მარცვალი, რომელიც მცირე ხანში უსარმაზარ მშვენიერ ხედ იქცა. ამ ხის ქვეშ ჰპოვა მრავალმა ხალხმა ცხოვრების საზრისი. ქრისტიანობამ მუჰამედს სულშიჩამწვდომი ვერაფერი უთხრა. მუჰამედმა გააგრძელა წინასწარმეტყველთა ტრადიცია და ქრისტიანობასთან გაასმაგებული ძალით განაახლა ის კამათი, რაც იუდეველებმა ქრისტეს მიმდევრებთან დაიწყეს. მუსლიმი არაბის ქრისტიან არაბთან დავა ისეთივე მძიმე და სისხლიანი იყო, როგორც მოსეს რჯულის დამცველი ებრაელის დავა ქრისტიან ებრაელთან. ეს დავა აბრაამიტულ რელიგიებს შორის, საბჭოთა ბანაკის დაშლის შემდეგ, განახლებული

ძალით გრძელდება ევრაზიაში. 1991 - 95 წლებში არც ერთმა დასავლელმა მეცნიერმა საბჭოთა იმპერიის დამარცხებაში არ დაინახა დასავლეთის სამერმისო, კიდევ უფრო სირცხვილეული დამარცხება. ეს იმიტომ, რომ რუსებისადმი რასისტულმა სიძულვილმა და სიხარბემ რუსეთის ბუნებრივი სიმდიდრის მიმართ დასავლელ ადამიანს მზერა დაუბინდა. დასავლეთი დღემდე არ სცნობს რუსეთის მიერ ევრაზიაში გაწეულ უდიდეს საგანმანათლებლო ღვაწლს, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკებში ხშირად რუსების დამცირების ხარჯზე მკვიდრდებოდა. რუსებმა ეს იდეის გულისათვის ითმინეს. ესპანეთის, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის იმპერიებში ასე არ ყოფილა. ევროპელ კოლონიზატორებს საკუთარი ხალხი სხვა ხალხების მსახურად არ დაუყენებიათ იდეის გულისათვის. ეს მხოლოდ რუსმა გააკეთა. არც ის ჩააგდო არაფრად დასავლეთმა, თუ რის ფასად დაუჯდათ რუსებს თათარ-მონგოლთა არმიების შეჩერება. რუსებს შეეძლოთ მათთან ერთად ელაშქრათ ევროპაში. მაგრამ ქრისტიანობის გულისათვის ისინი ეწინააღმდეგებოდნენ თათარ-მონგოლებს. გაეშვათ ერთხელ მაინც რუსებს აზიის სტეპებიდან დაძრული ურდოები ევროპისაკენ და ვეღარ დასცინებდა ევროპელი რასისტი რუსს, რომ ის თათარია. ასეთი მზაკვრობის გაკეთება შეეძლოთ რუსებს, დაყრიდნენ რა ურდოში ხმებს ევროპელთა სიმდიდრის შესახებ. სიხარბე აღარ მოასვენებდა ოქროს ურდოს ხანებს. ასე არ ასვენებდა სიხარბე ესპანელ დამპყრობლებს სამხრეთ ამერიკაში. ბრიტანელებს კი ინდოეთის აურაცხელი სიმდიდრისა სჯეროდათ. ახლა ის ვნახოთ, რამდენჯერ მოექცა მზაკვრულად რუსეთს ევროპა, რამდენჯერ დაძრა მან არმიები მოსკოვისაკენ. დასავლეთმა ისიც არაფრად ჩააგდო, თუ რის ფასად დაუჯდათ რუსებს თათარ-მონგოლთა საუკუნოვანი ბატონობის აღმოფხვრა. რუსთა და თათართა ბრძოლაში (XIV ს.) ძალები თანაბარი იყო სამხედრო განვითარებისა და ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისით. ეს არ იყო ბრძოლა, როდესაც ცეცხლსასროლი იარაღით იმედმოცემული ევროპელი მშვილდითა და ტომაჰავკით შეიარაღებულ ინდიელებს ჟლეტდა. არც ის თქმულა დასავლეთში, რომ რუსთა მიერ ციმბირის კოლონიზაცია და ნახევრადველური

ხალხების ევროპეიზაცია გენოციდის თანხლებით არ მიმდინარეობდა, როგორც ეს იყო ორივე ამერიკაში და ასევე აფრიკაში. ციმბირში ჩასული რუსი არ ყოფილა რასისტი და რუსი ახალმოსახლენი მალევე შეერივნენ ციმბირის გაქრისტიანებულ ხალხებს. რეზერვაციები და მონათა ბაზრები ციმბირში რუსებს არ გაუხსნიათ.

საბჭოთა იმპერიასთან ბრძოლაში გამარჯვებულ დასავლელ დემოკრატებს ყოველივე ამის დანახვა და დაფასება მოეთხოვებოდათ. ეს კი არ მოისურვეს ისეთმა ინტელექტუალებმა, როგორებიც არიან ბჟეზინსკი, კისინჯერი, ფუკუიამა, პანტინგტონი, კოენი, ეტციონი, ბიუკენენი, საიმსი და სხვები. დასავლეთმა იდეოლოგიური, დივერსიული მიზნებისათვის გამოიყენა სოლჟენიცინის, სახაროვის სახელები, რომელნიც დღეს აღარავის ახსოვს. ამავე მიზნებისათვის აყვირებს დასავლეთი ქართველებს. დასავლელმა ადამიანმა ახლა რუსების ჩუმი გენოციდი განიზრახა და ამ მიზნით მრავალგვარ პროექტებს თხზავს, რათა დაშლილი რუსეთის წიაღისეული სიმდიდრე და ნედლეული საკუთარი ეკონომიკის ექსტენსიურ განვითარებას მოახმაროს.

ყოველივე ამის შემდეგ კი ადამიანი მტკნარი სულელი უნდა იყოს, რომ დაიჯეროს დასავლეთის თვალთმაქცური მტკიცებანი დემოკრატიისა და ევროქრისტიანული ცივილიზაციის შესახებ. სტვენის ღირსნი არიან დასავლელი პასტორები და მათი მრევლი. რა ოხრად ტარდება ეს საერთაშორისო კონფერენციები, სამიტები, უჰალსტუხო შეხვედრები? თუ დასავლეთმა განმანათლებლობის უზურპაცია და ნეოკოლონიალიზმი, კომპრადორული რეჟიმები და რასიზმი ირჩია, მაშინ, დაე, მან ზღოს ყველაფრისათვის. სიძულვილი სიძულვილის წილ.

ემიგრანტი ანგლოსაქსი, კუნძულელი ევროპელი ლტოლვილი, რომელიც ოთხთვალაზე ზის მთელი თავისი ავლადიდებით და ახალ ინგლისში ჩასული, ამერიკის დასავლეთისაკენ მიიწევს, გზადაგზა კი ინდიელებს სპობს, თავისი მესიანიზმით არაა საკმარისი ისტორიის შექმნისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების გვერდით, ან თუნდაც სამხრეთ ამერიკაში ერთი განვითარებული, ევროპული დონის ქვეყანა რომ მაინც ყოფილიყო, შეერთებული შტატების ისტო-

რია სხვაგვარად წარიმართებოდა. ველურ მიწებზე უმცირეს ვადებში განხორციელებული ამერიკული იმპერიალიზმი ასე ვერ გაიხარებდა. მაშინ ასე ვეღარ იმჭევრმეტყველებდნენ ბენჯამინ ფრანკლინი, ჯორჯ ვაშინგტონი და ამ ქვეყნის სხვა მამები. სამხრეთელი პლანტატორის კეთილშობილებას ჩრდილოელი ენაწყლიანი მდაბიოს გაიძვერობამ აჯობა. ბრიყვია ის, ვისაც ჰარიეტ ბიჩერ-სტოუს „ბიძია თომას ქოხი“ მართალი ჰგონია. სწორედ ახლა დგება მომენტი, როდესაც ჰეროიკულად მიჩნეული ამერიკის ისტორია ყველაზე უმსგავსი სახით წარმოჩინდება. ამერიკა არაა ღვთის მხარე, აღთქმული მიწა. WASP არაა გამომსყიდველი ერი. ამერიკული მესიანიზმი მესიანიზმის უდიდესი პაროდიაა ისტორიაში, ხოლო ის შეწყვეტილი პურიტანული რევოლუცია ინგლისშივე უნდა გაგრძელდეს. ამერიკა, როგორც საყოველთაო მტერი, უნდა დაეცეს. იუდაიზმის ყველაზე ლიბერტარული ვერსიაც კი ვერ იქნება ამ პაროდიული მესიანიზმის გვერდით და ეს უნდა იცოდეს ამერიკის ებრაულმა დიასპორამ. დგება მომენტი, რომლის ფორმირება PR-ტექნოლოგიით შეუძლებელია, რომლის დოლარით ძლევა და გალეწვა შეუძლებელია. როგორი კადნიერებითაც ამერიკელი მესიანიზმს შეეპოტინა, ისეთივე სისასტიკით ზღავს ის ისტორიაში. ებრაელები კი მარტონი რჩებიან. მრავალი გოი შურის გამო მათ დიდ მოყივნებას დაიწყებს, მათ სიმდიდრეს მშიერი მხეცის თვალებით შეჭამს. ერთადერთი ხალხი, ვინც ებრაელებს ხელს გაუწვდის, იქნებიან არაბები.

ამერიკელები ყოველნაირად ცდილობენ შექმნან საკრალურობის მოჩვენებითობა თავიანთ ქვეყანაში. ისინი იწყებენ ნაციონალისტური იდეების აქტუალიზებას ისტორიოგრაფიაში, პოლიტიკურ პუბლიცისტიკაში, რელიგიურ ქადაგებაში. ნაციონალიზმი კოლექტივიზმს გულისხმობს. მესიანიზმი კი შეუძლებელია ინდივიდუალიზმს ეფუძნებოდეს. ამავე დროს, ამერიკელები სხვა ხალხებისაგან გადაჭრით მოითხოვენ ყოველგვარ კოლექტივიზმზე უარის თქმას. ამის გარდა, ამერიკელები ცდილობენ დაარწმუნონ სხვა ქვეყნები ხალხის ცნების სამეცნიერო უსაფუძვლობაში. ამავე დროს, ისინი თავად იყენებენ ამ ცნებას და ყოველივე იმ საუკეთესოს, რაც ევროპამ შექმნა.

ამერიკელთა ახალგაზრდა თაობამ უნდა დაინახოს, რომ შეერთებული შტატების ისტორია სიცრუის, ძალმომრეობის, ყლეტისა და გაღლეტის ისტორიაა. სწორედ ამერიკელებს არგუნა ბედისწერამ პირველი ატომური ბომბის გამოყენება. ამერიკას უნდა ჰყავდეს თავისი სოლუენიცინი და ბერდიაევი, გაიდარი და კალუგინი. ამერიკას უნდა ჰყავდეს თავისი დორენკოები და პარფიონოვები.

მეცნიერულად დაფუძნებული სიცრუითა და სპექტაკლურობით ისტორიის ყოვლისმომცველი რაციონალიზება, ყველა არსებული თუ შესაძლო ხიფათის განეიტრალების მიზნით, როგორც ამას ამერიკული ჰეგემონიზმი ცდილობს, შეუძლებელია. ირაციონალური ძალის განდევნა ისტორიიდან ადამიანისათვის მიუწვდომელია. ისტორია არ დასრულებულა ამერიკული ჰეგემონიზმით. პოსტვესტერნული ისტორია ახლა იწყება, რომელიც სრული უარყოფით ემუქრება ევროპული სეკულარიზმის საუკეთესო მონაპოვრებს. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ, დასავლეთმა დროის ლიმიტი ძალზე სწრაფად ამოწურა. ლიბერალური ბანაკის დანაპირები განუხორციელებელი დარჩა და ყველაფერი მის მტკიცებათა საწინააღმდეგოდ მიმდინარეობს. საგანმანათლებლო პროექტის დახურვამ დაასრულა ქრისტიანობა. ფორმაციონიზმის უარყოფის შემდეგ, დასავლეთში აზრი ეკარგება პოლემიკას სოციალიზმის, კაპიტალიზმის და მესამე გზის შესახებ, ხოლო მტკიცებანი მთელ მსოფლიოში დემოკრატიის დამკვიდრების შესახებ სასაცილოდ იქცა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ფუკუიამა ფრენსის. ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი. CIPDD, თბ., 1999.

2. Сорос Джордж. Мыльный пузырь американского превосходства. "Альпина Бизнес Букс". М., 2004.

3. Хардт Майкл. Негри Антонио. Империя. "Праксис". М., 2004.

4. პასკალი ბლეზ. აზრები. გამომც., „საბჭოთა საქართველო". თბ., 1981.

5. Буркхардт Якоб. Культура Италии в эпоху Возрождения. "Интрада". М., 1996.

6. Сионизм в контексте истории (хрестоматия), книга 2, Изд. "Библиотека - Алия". 1993.

7. Хайдеггер Мартин - Ясперс Карл. Переписка 1920-1963. "Ad Marginem". М., 2001.

8. Неер Андре. Ключи к иудаизму. Изд. "Библиотека - Алия". 1989.

9. Сартр Жан Поль. Портрет антисемита. "Европейский дом". С-Пб., 2000.

10. Simmel Georg. Philosophie des Geldes. Gesamtausgabe, B.6.Suhrkamp.

ნაციონალიზმის, კლასთა ბრძოლისა და კონსოლიდაციის შესახებ

განათლებულ მკითხველს ახსოვს, რომ XX საუკუნის 90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის დასაწყისიდანვე დაიწყო გაცხოველებული მსჯელობა კონსოლიდაციისა და კონსენსუსის აუცილებლობაზე. მაშინდელი პოლიტიკური აზროვნებისათვის ეს ცნებები ერთობ ეგზოტიკური და მიმზიდველი იყო და მათ ყველა იყენებდა საჯარო გამოსვლებში. უკვე 1991 წლის შემოდგომაზე, სამოქალაქო ომის დაწყებამდე, ამ ცნებებს აღარ მიმართავდნენ და მალე ისინი დავიწყებას მიეცა. შევარდნაძის დროს, 1993 წლიდან, დაიწყო ლაპარაკი ორად გახლეჩილი ერის გამთლიანებასა და ეროვნულ შერიგებაზე. შერიგების ეტრატიც შეიქმნა ეკლესიის კურთხევით. ეროვნული შერიგება ვერ იქნა მიღწეული. საყოველთაო დაცემამ, სოციალური ატომიზმის დამკვიდრებამ, გაუცხოებამ შერიგებასა და გამთლიანებას აზრი დაუკარგა.

2003 წლის ოქტომბრის ბოლოს, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისათვის დარიგდა საარჩევნო ბლოკ ბურჯანაძე-დემოკრატების წინასაარჩევნო პროგრამა „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია". პროგრამაში კარგად ჩანს ჩვენი დროის პოლიტიკური სულისკვეთება. ანონიმური რეფერენტურის მიერ შედგენილი ეს ტექსტი მაქსიმალურად არაეროვნული და სოციალურია. არაა ნახსენები ქართველი ხალხი. ლაპარაკია მხოლოდ მოსახლეობაზე და მის სოციალურ პრობლემებზე. არც რელიგიაა სადმე ნახსენები. წარმოიშობა კითხვები: რატომღა ჰქვია ახალ ხელისუფლებას ნაციონალური? რატომღა ლაპარაკობს ხელისუფლება რევოლუციის შემდეგ ღვთის მადლზე? როგორღა არის ბურჯანაძის პარტია სააკაშვილის პარტიის მოკავშირე?

სიტყვა „საქართველო" პროგრამის დასაწყისში ნახსენებია ქარხნების, ფაბრიკებისა და სოფლის მეურნეობის კონტექსტში. საქართველო არსადაა ნახსენები დამოუკიდებელი, იდეური

შინაარსის მქონე ცნებად. რევოლუციურ რომანტიზმთან ასეთი გულგაყინული ტექსტი შეუთავსებელია და მისი არსებობა ხელისუფლების ანტინაციონალურ ბუნებას კიდევ ერთხელ წარმოაჩენს. ძნელია იპოვო განსხვავება ამ პროგრამასა და 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის შექმნილ შევარდნაძის მოქალაქეთა კავშირისა და აბაშიძის ბლოკ საქართველოს აღორძინების პროგრამებს შორის.

წინა პროგრამებისაგან განსხვავებით, ბურჯანაძე-დემოკრატების ბლოკის პროგრამა კიდევ უფრო მშრალი, ხაზგასმულად გულცივი, პროტოკოლური და კანცელარიულია. მხოლოდ პროგრამის ბოლოში არის აღნიშნული, რომ „...სახელმწიფოს ჩამოყალიბება მხოლოდ სოციალური კონსოლიდაციის გზითაა შესაძლებელი“ (გვ.47) და ის სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი პირობაა. აქვე, ცოტა ქვემოთ, სოციალური კონსოლიდაციის ცნება მეორედაა ნახსენები.

არა ეროვნული კონსოლიდაცია, როგორც ითქმოდა 90-იანი წლების დასაწყისის ეროვნული მოძრაობის დროს, არამედ სოციალური კონსოლიდაცია და ისიც პროგრამის ბოლოშიღა ხსენდება. სრულიად გაუგებარია, როგორ არის შესაძლებელი თუნდაც სოციალური და არა ეროვნული კონსოლიდაცია სოციალური ატომიზმის, დისკრეტული ინდივიდუალობისა და საბაზრო ურთიერთობათა აბსოლუტიზაციის პირობებში. როგორ უნდა კონსოლიდირებდნენ სოციალურად ატომები და ინდივიდები. ატომების კონგლომერატი და ინდივიდთა მექანიკური ჯამი პროგრამაში იწოდება მოსახლეობად, რომელმაც სოციალური პრობლემები უნდა გადაწყვიტოს. არსადაა ხალხი და მისი ეროვნული პრობლემა. ეს არის ჩვენი დროის უარსებითესი საკითხი, რომლის გადაწყვეტა არის ამოსავალი ყველა შემდგომი პოლიტიკურ-ფილოსოფიური რეფლექსიისათვის.

კონსოლიდაციისა და კონსენსუსის ცნებები 90-იანი წლების დასაწყისის ქართული დისიდენტობის ანტიბოლშევიკურ დისკურსში ცენტრალურ ადგილს იკავებდა. დისიდენტები და ასევე ბოლშევიზმისადმი კრიტიკულად განწყობილი ინტელიგენტები მიიჩნევდნენ, რომ ეს ცნებები იყო მარქსიზმის საწინააღმდეგო სოლიდური სეკულარული არგუმენტაცია.

ძირითადად კი ანტიმარქსისტული განსჯანი რელიგიური ხასიათისა იყო. დისიდენტები გვასწავლიდნენ, რომ მარქსისეული კლასთა ბრძოლის თეორია სატანურია, უღვთოა და ის უნდა შეიცვალოს ეროვნული კონსოლიდაციის იდეით. მაგრამ მათ არ გაარკვიეს ასეთი კონსოლიდაციის შესაძლებლობანი ინდივიდუალიზმისა და პოსტმოდერნისტული პლურალიზმის პირობებში. ლიბერალიზმის იდეოლოგია, ისევე როგორც პოსტმოდერნიზმი, ხალხის ცნების გამოყენებას ეწინააღმდეგება. არც ერთ შემთხვევაში არ ეგების იმის დავიწყება, რომ დღევანდელი ლიბერალიზმის კულტურული ეკვივალენტი არის პირონიზმი, ცინიზმი და ნომინალიზმი. ლაპარაკი კლასიკური ლიბერალიზმის პრინციპების დამკვიდრებაზე უსაფუძვლოა, რადგან XX საუკუნის 70-იანი წლების დასავლეთში ლიბერალიზმი უკვე აღარ იყო კლასიკური. დასავლეთის შემყურე საქართველომ კი შეუძლებელია დაამკვიდროს ის, რაც თვით დასავლეთში უკვე გავლილი საფეხურია. ნეოლიბერალიზმი და ლიბერტარიზმი ძირეულად განსხვავდება XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის კლასიკური ლიბერალიზმისაგან.

კონსოლიდაცია უკვე იდეურობას გულისხმობს. იდეურობას კი დღევანდელი ლიბერალიზმი მტრულად უცქერს. კონსოლიდაციური იდეურობა ნიშნავს ინდივიდის ფარგლებს გარეთ გასვლას და რაღაც უფრო მეტის დამკვიდრებისათვის ბრძოლას, ვიდრე სოციალური ატომიზმია. ამრიგად, კონსოლიდაცია შეუძლია ხალხს და არა გაუცხოებული ინდივიდების კონგლომერატს. ინდივიდუალიზმის მეხოტბეობა და ამავე დროს ლაპარაკი ქართველ ერზე, რომლის უზენაესი მიზანი, დისიდენტების თანახმად, საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრება იყო, ერთობ გაუგებარი რამ არის. თუ სოციალური იდეალი არის ინდივიდების მექანიკური ჯამი, მაშინ აღარ უნდა ყოფილიყო გამოყენებული ქართველი ერის ცნება. პრაგმატული ინდივიდებისათვის არაფერი ნაციონალური არაა ღირებული. საბაზრო პირობებში ჩაყენებული ნაციონალური იდეა დესემანტიზებული ხდება. ლიბერალიზმი კონვენციონალიზმს აფუძნებს. ინდივიდთა კონვენციური (შეთანხმებითი) კონსენსუსი, მაგალითად, არჩევნების დროს, ფორმალური, დროებითი და

მოლიანად ანგარებითია. კონვენციურ საფუძველზე შავი თეთრად საღდება, არამზადა – ერისკაცად. სიტყვები მნიშვნელობათა გარეშე გამოიყენება. კონვენციური ხასიათი აქვს PR - ტექნოლოგიებს და ეს ტექნოლოგიები ხდება ყოვლისმომცველი. ისინი კულტურის შემცვლელად გამოდიან. ლიბერალური პოსტმოდერნი უპირატესობას ანიჭებს ნეგატიურს და მას სანახაობად განიხილავს.

მხოლოდ ანტიბოლშევიკური დისიდენტური მოძრაობის მახასიათებელი არ ყოფილა კლასთა ბრძოლის მარქსისტული თეორიის უარყოფა, ეროვნული კონსოლიდაციისა და კონსენსუსის პრინციპის წინ წამოწევა. იტალიური ფაშიზმი და გერმანული ნაციზმი ასევე უარყოფდნენ კლასთა ბრძოლის თეორიას და მიუთითებდნენ ეროვნული თანხმობისა და ხალხის ერთიანობის აუცილებლობაზე. მაგრამ არის ერთი არსებითი მომენტი: დუჩეც და ფიურერიც დაკავშირებულნი იყვნენ მსხვილ ბურჟუაზიასთან და კაპიტალთან. რომ არა ნაციზმის მოკავშირეობა, იტალიური ფაშიზმიც ისევე გაძლებდა ევროპაში მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, როგორც ესპანურმა ფაშიზმმა გაძლო გენერალ ფრანკოს მმართველობის დროს, როგორც პორტუგალიურმა და ბერძნულმა ფაშიზმმა გაძლო 1974 წლამდე. რომ არა ფრანკოს რეჟიმის კაპიტალისტური ხასიათი, მას ომის დამთავრებისთანავე დაამხობდნენ. ფრანკოს რეჟიმის დამსახურებაა ესპანური კათოლიციზმის მოთვინიერება და მისი კაპიტალიზმის სამსახურში ჩაყენება.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ნაცისტური პარტია ჰიტლერს კი არ შეუქმნია, არამედ ის მის პოლიტიკაში მოსვლამდე არსებობდა. პარტიაში იყვნენ ძველი ანტისემიტი ნაციონალისტები: დრექსლერი, შტრაიხერი, ესერი, ფედერი, ეკარტი, როზენბერგი და სხვები. პარტიაში მოსვლისას ჰიტლერი წინ წამოიწია თავისი ნიჭით. პარტიის ჩამოყალიბების დღიდან მასში მიმდინარეობდა კამათი ნაციონალისტებსა და სოციალისტებს შორის იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო პარტიის გენერალური პოლიტიკური გეზი. ამ საკითხს მიეძღვნა ბამბერგის პარტიული კონფერენცია (1926 წლის 14 თებერვალი). ამ კამათმა მოიტანა 1934 წლის 30 ივნისის ჟლეტა („გრძელი

დანების ღამე“). პარტია შედგებოდა ნაციონალისტ და სოციალისტ მუშათა უმრავლესობისაგან, ამიტომ არჩევანის გაკეთება ნაციონალიზმსა და სოციალიზმს შორის აუცილებელი იყო. ჰიტლერის წიგნში “ჩემი ბრძოლა“ ეს ასახულია. დადგა პარტიის დაშლის საფრთხე. როგორი უნდა ყოფილიყო სოციალიზმი ნაცისტურ მოძრაობაში? ამის გამო ჰიტლერი მრავალი წელი კამათობდა ძმებთან გრეგორ და ოტო შტრასერებთან, რომელნიც პარტიის ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ. გრეგორ შტრასერი ჰიტლერის მომხრეებმა 1934 წლის 30 ივნისის ჟლეტის დროს მოკლეს. მისი ძმა ოტო კი ჰიტლერის რისხვას უცხოეთში გაექცა. პარტიის ორიენტაციის საკითხებზე ჰიტლერი ეკამათებოდა ძველ პარტიელს გოტფრიდ ფედერს (1883 - 1941). ფედერი ჰიტლერის პარტიული მოძღვარი იყო. თვით ფედერსა და შტრასერებს ჰქონდათ უთანხმოება, როდესაც ჰიტლერი 9 თვე საპყრობილეში იყო. ის რომ საპყრობილიდან გამოვიდა, ვეტერანებს შორის დავა უკვე გამწვავებული იყო და პარტია გაყოფის საფრთხის წინაშე იდგა. ჰიტლერის ოპონენტი იყო ძველი ნაციონალისტი არტურ მარუნი (1890-1950), აგრეთვე ალფრედ ჰუგენბერგი (1865 - 1951), რომელიც ნაცისტური მოძრაობის ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე გავლენით სარგებლობდა. შტრასერებს ეკამათებოდნენ შტრაიხერი და ესერი. ... ოტო შტრასერმა შექმნა ორგანიზაცია „შავი ფრონტი“ (1930 წლის მაისი) და იცავდა სოციალისტურ ორიენტაციას ნაცისტურ მოძრაობაში.

გერმანელი სოციალისტები, მუშათა მოძრაობის წარმომადგენლები, ასევე იტალიელი ფაშისტები უშუალოდ დაკავშირებულნი არიან ჰეგელთან, კანტის კრიტიკოსებსა და ინტერპრეტატორებთან. სოციალიზმის თეორია რომ ასე იოლად ხელწამოსაკრავი ყოფილიყო, არ იქნებოდა დასავლეთში ახალი მემარცხენეობა და ნეომარქსიზმი. უგულისყურობის, გაქანებული სერვილიზმისა და ქართული ტუტუცობის გამო ევროპული აზროვნების ძირითადი ინტენციები შეუსმენელი დარჩა. ღიმილისმომგვრელია, როდესაც ქართველი ლიბერალები მეტაფიზიკას ეპოტინებიან.

ნეოლიბერალიზმის დღევანდელი ზეობის პირობებში ნების-

მიერი პარტია ძველი დროის პარტიათა მსგავსად ისევ დგება იმისი გარკვევის აუცილებლობის წინაშე, თუ როგორ უნდა შეუთანხმდეს ერთმანეთს ნაციონალიზმი, სოციალიზმი და ლიბერალიზმი. ეს კარგად უწყიან ნეოლიბერალიზმის იდეოლოგებმა და ისინი ქმნიან მადეზორიენტირებელი კაზუისტიკის ქმედით არსენალს. ეს იდეოლოგები გაფაციცებით ეძებენ თავის ანტაგონისტებს და ჩანასახშივე ცდილობენ მათ ნეიტრალიზებას. იდეური ბრძოლა კი სულ უფრო ინტენსიურ ხასიათს იძენს მთელ მსოფლიოში და სულაც არ დამდგარა დეიდეოლოგიზაციის პერიოდი.

ნაცისტური პარტიის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული კოლიზიების ზემოთმოყვანილი მცირედი მიმოხილვა დაგვანახებს, თუ რა დრამატული იყო იდეური არჩევანის გაკეთება ქვეყანაში, რომელშიც მარქსიზმმა პოლიტიკური ტრადიცია შექმნა და სოციალიზმი მსოფლიოში გაავრცელა. დაგვანახებს, რომ ისტორიულ კონტექსტში მთლად სწორი არაა მსჯელობა ნაცისტების მიერ სოციალიზმის ცნების მითვისების შესახებ. ნაცისტური ეკონომიკა იყო სახელმწიფო კაპიტალიზმი და ის მიღწევას წარმოადგენს ეკონომიკური აზრის განვითარებაში. ჰიტლერის პროგრამაში ლაპარაკია ცენტრალიზებულ საგეგმო ეკონომიკაზე, მაგრამ ეს მაინც არაა სოციალიზმი, იმიტომ, რომ ნაცისტური სისტემა მსხვილი ბურჟუაზიის მხარდაჭერას ეყრდნობოდა. ნაცისტური მესიანიზმი მთლიანად ებრაული მესიანიზმისაგანაა დავალებული. იუდაისტური საღვთო რასიზმი ნაცისტური რასიზმის უშუალო წყაროა. ამის მიუხედავად, ნაციზმის თეორეტიკოსებმა ვერ გაიგეს მარქსიზმის აზრი და მასში დაინახეს ებრაული ვერაგობა და სიონისტური შეთქმულება. გერმანული ნაციონალიზმი იდეურად სოციალისტური იყო ანტონ დრექსლერისა და ოტო შტრასერის დროს, სანამ პარტიაში ჰიტლერის ხაზი გაიმარჯვებდა. ამის შემდეგ პარტიას სახელწოდება სოციალისტური შერჩა. ის ყოველთვის ხალხზე ლაპარაკობდა და ხალხისა და სახალხოს ცნებები ნაცისტური იდეოლოგიის საყრდენი იყო.

ლიბერალები იყენებენ ხოლმე „სახალხო მეურნეობის“ ცნებას. ლიბერალთა მიერ ეს ცნება, წესით, აღარ უნდა გამოიყენებოდეს. მათ ბევრი სხვა ცნება უარყვეს როგორც

კომუნისტური აზროვნების დანატოვარი. სახალხო მეურნეობის ცნებას კი იყენებენ და აღარ ამბობენ, რომ ის ერთ-ერთი ცენ-ტრალური იდეოლოგემაა სოციალიზმში. თუ ხალხის ცნებას ლიბერალიზმი უარყოფს, მის მიერ სახალხო მეურნეობის ცნების გამოყენება უაზრობაა.

90-იანი წლების ეროვნულმა მოძრაობამ საქართველოში მარ-ქსიზმი უარყო არა როგორც ებრაული მოვლენა, არამედ როგორც სატანიზმი. მარქსისტული ინტერნაციონალიზმის საპირისპიროდ ეროვნულ მოძრაობაში წინ წამოსწიეს ქართული რასიზმი. დაიწყო ლაპარაკი ერთჯიშოვნებაზე, ჯილაგიანობაზე, ქართულ სისხლზე და გენზე. ამავე დროს იგივე ადამიანები ლიბერალიზმის თავგამოდებული დამცველნი იყვნენ. შეუძლებელი იყო საბაზრო ეკონომიკის აპოლოგია შეთანხმებულიყო განსჯასთან სისხლსა და გენზე. ყველაფერი კიდევ უფრო გაბუნდოვანდა და აირია მას შემდეგ, რაც გამ-სახურდიას მოძრაობას უწოდეს პროვინციული ფაშიზმი (1992 წ.). ამას დაეთანხმა ყოფილ პარტნომენკლატურასთან გადაჯდობილი დისიდენტობა და ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელობა. ამის გარდა გრძელდებოდა რევოლუცი-ამდელი (ცარისტული) წარსულის იდეალიზაცია. ბოლშევიზმს ისტორიის შეცდომა ეწოდა. აქ გამოვლინდა დასავლური სოვე-ტოლოგიისა და ემიგრანტული თეთრგვარდიული ისტორი-ოგრაფიის გავლენა. ოქტომბრის რევოლუციას ეწოდა არარუსული ჯგუფის შეთქმულება რუსი ხალხის წინააღმდეგ. ხშირად მიუთითებდნენ რეიგანის ნათქვამზე, რომ საბჭოთა კავშირი ბოროტების იმპერია იყო. 1992 წლიდან დაიწყო ლაპარაკი ორ რუსეთზე – დემოკრატიულზე და წითელზე. ყოველივე ამის ტირაჟირებით საგაზეთო ბიზნესმა ხეირი ნახა და ხალხიც კარგად გააბითურა. დაიწყო ისტორიის პოსტმოდ-ერნისტული დეტექსტუალიზაცია.

კლასთა ბრძოლის მარქსისტული თეორიის უარყოფას, ცხა-დია, დასავლეთი უწყობდა ხელს. საბაზრო ეკონომიკა საქართველოში ეროვნულობის განვითარების ერთადერთ გარან-ტად იქნა მიჩნეული. სოციალისტური ეკონომიკა კი ეროვნულო-ბის მტრად წარმოჩნდა. კლასთა ბრძოლის უარყოფით, ქართველ დისიდენტობას სურდა ეთქვა, რომ ეკონომიკურ ძალაუფლებას,

კაპიტალს არა აქვს ინტერნაციონალური ხასიათი, რომ კაპიტალი და ბურჟუაზია ეროვნულია, ხალხურია, რომ კაპიტალი ეროვნული კონსოლიდაციისა და კონსენსუსის პოტენციათა მქონეა. მაგრამ საქმეც სწორედ იმაშია, რომ კაპიტალი არაა ეროვნული და ის რადიკალურად არ იქნება ეროვნული XXI საუკუნის დასაწყისში. ხელისუფლების მტკიცებანი ნაციონალური კაპიტალის, ეროვნული ბიზნესის დამკვიდრება-განვითარების შესახებ უსაფუძვლოა, განზრახ დაშვებული გაუგებრობაა. ახლა არაა, მაგალითად, XIX საუკუნის მეორე ნახევარი, როდესაც ნაციონალიზმისა და თანამედროვე გაგებით ნაციათა გაჩენა უკავშირდებოდა ქვეყნების ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ განვითარებას. აი, მაშინ იყო შესაძლებელი საუბარი ეროვნულ ბურჟუაზიაზე, ეროვნულ კაპიტალიზმზე. დღეს კი ამის თქმა დიდი უაზრობაა. საბჭოთა კავშირის დაშლის დროს სუვერენიტეტების აღლუმი დასავლეთისათვის ფრიად ხელსაყრელი რამ იყო. ხალხები თავის ეთნოცენტრისტულ ნაჭუჭში ჩაიკეტნენ და დაიკარგა საერთო მიზანი. ამის შემდეგ კი ნაციონალიზმის უსწრაფესი გაუფასურება დაიწყო.

ჯერ კიდევ რენესანსის დროს კაპიტალმა თავისი კოსმოპოლიტური ხასიათი წარმოაჩინა. ვენეციელი და გენუელი ვაჭარ-მევახშეების საქმიანობა (XV ს.) იყო ტრანსნაციონალური. რევოლუციების ეპოქაში ევროპული ბურჟუაზია ეროვნული იყო იმდენად, რამდენადაც ეს მისი ძალაუფლების განმტკიცებას ესაჭიროებოდა. პროტესტანტობამდელი კაპიტალიზმი იტალიაში არანაირი მორალური ნორმით არ იყო შეზღუდული. ბურჟუაზიის საქმიანობაში მარქსი ვერ ხედავდა ზნეობრივ საწყისს და ამხელდა მას. ინტერნაციონალურ მსოფლიო კაპიტალსა და ბურჟუაზიას მარქსმა დაუპირისპირა შრომისა და მუშათა კლასის ინტერნაციონალიზმი. ახლა ვიკითხოთ: სხვაგვარად როგორ შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო კაპიტალისა და შრომის ურთიერთობის პრობლემა? რელიგიაზე, ისტორიულ ტრადიციაზე, ნაციონალიზმზე, მუშათა მისტიციზმზე მითითება რომ არასაკმარისი იყო, ამას თვით ევროპელი მოაზროვნენი ხედავდნენ. აქ რატომღა ამტკიცებენ დღემდე ასე გადაჭრით, რომ კლასთა ბრძოლის თეორიას

პასუხი შეიძლება გაეცეს მართლმადიდებლობაზე დაყრდნობით?

რაოდენ სატკენიც არ უნდა იყოს, უნდა ითქვას, რომ 90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის დროიდან ვიდრე XX საუკუნის დასასრულამდე და შემდეგაც, საქართველოში მექანიკურად იქნა გამეორებული ის, რაც დასავლეთში ამ დროისათვის უკვე განვლილ პერიოდად მიიჩნეოდა. საქართველოში ფუჭი დუბლის სახით განმეორდა და უნიკალურ მოვლენად წარმოჩინდა ის, რაც ევროპაში უკვე ბანალობა იყო. კვლავ აღმოჩნდა, რომ ევროპული იდეური მიმდინარეობებისაგან საქართველო ძალზე შორს დგას და ევროპასთან შეხების წერტილები ვერსად დაიძებნა. ყველგან მხოლოდ ტრაფარეტული მსჯელობები და სულელური მოიმედეობა ვრცელდება.

საქართველოში კაპიტალის რელიგიასთან ისეთივე შეთანხმების მცდელობა ხორციელდებოდა ეროვნული მოძრაობის დროიდან, როგორც ამას ცდილობდნენ ფაშისტები და ნაცისტები. ასეთმა მსჯელობამ მკითხველი არ უნდა მიიყვანოს დასკვნამდე, რომ ეროვნული მოძრაობა ნაცისტური ან ფაშისტური იყო. საკითხი ეხება კაპიტალთან სულიერი ურთიერთობის გზათა მოძიების მცდელობებს. ეს უდიდესი პრობლემა საგანგებოდ მიიჩქმალა პოლიტიკური კონიუნქტურის მიერ. მანვე შექმნა განსჯის სიიოლის მოჩვენებითობა, აიყოლია ათასები და შემდეგ ეს გაასაღა თავის იდეურ გამარჯვებად. ყველგან ითქმოდა, რომ „მარქსიზმი კუჭის ფილოსოფიაა“ და ეს გამოთქმა აიტაცა უვიცთა ზღვამ. მარქსის რელიგიურად და ლიბერალურად მკილავნი სინამდვილეში ისევ დარჩნენ აზროვნების ათეისტურ-ეკონომოცენტრულ კალაპოტში. მას თავის მოსატყუებლად სხვა სახელი დაერქვა და საეკლესიო ანტურაჟით შეიმოსა.

კაპიტალიზმის შესახებ მარქსის დისკურსის რელიგიური, ონტოთეოლოგიური ინტერპრეტირება ვერ განხორციელდა. მარქსის „კაპიტალი“ დღემდე არ იქნა წაკითხული ისე, როგორც ეს ჩვენს ავ დროს შეესაბამება.

ვერც ეროვნული კონსოლიდაცია და კონსენსუსი იქნა მიღწეული და ვერც რჯულში დგომა შეძლო ქართველობამ. აქ ჩნდება კითხვა: თუ ეროვნული კონსოლიდაცია ვერ იქნა მიღწეული, არსად არსებობს კონსენსუსი და არც კლასობრივი

ბრძოლის თეორია მიიღება, მაშინ რა უნდა იყოს საზოგადოებისა და ქვეყნის წარმმართველი იდეა? ქართულმა სინამდვილემ კი მხოლოდ ის დაამტკიცა, რომ არაა საჭირო რაიმე იდეისა და იდეურობის არსებობა, არსებობს მხოლოდ PR- ტექნოლოგია, მედიაკრატია, ფამილარობა და ფალსიფიკაცია. მაგრამ ეს არ აუქმებს ზემოთხსენებულ კითხვაზე პასუხის მოძიების დიდ აუცილებლობას. რელიგიურმა აპელაციებმა ამ კითხვას პასუხი ვერ გასცა.

როგორც განმანათლებლობა არის საერო ქრისტიანობა, ასევე მუშათა კლასის ბრძოლა განმანათლებლობის უნივერსალურ პარადიგმაში არის სეკულარიზებული ქრისტიანობის პრინციპებისათვის ბრძოლა. ათეიზმი სატანიზმი კი არაა, როგორც ეროვნულ მოძრაობაში ამტკიცებდნენ, არამედ არის საგანმანათლებლო სეკულარიზმის ექსტრემუმი, რომელშიც რელიგიის პირობითი დაშვებაც კი, როგორც ეს ვოლტერთან არის, უარიყოფა და ახალი სამყაროს შექმნა ღმერთის სრული უარყოფით იწყება. ათეიზმის რელიგიური გმობა ეროვნული მოძრაობის მიერ, ქართული განმანათლებლობის მოკრძალებულ მიღწევებს მნიშვნელობას უკარგავდა, ინტელიგენციის იდეურ სტატუსს დაბლა სწევდა.

კაპიტალიზმის კრიტიკოსს, ნეომარქსისტ და ნეოფროიდიანელ ერიხ ფრომს (1900 - 1980) თავის ნაშრომში „ადამიანის მარქსისეული კონცეპცია“ (1961 წ.), მითითებული აქვს, რომ რეფორმაციის შემდეგ მესიანისტური იდეები გადმოიცემოდა არა რელიგიურად, არამედ ფილოსოფიურად და სოციოლოგიურად.

გავიხსენოთ, რომ მაქს ვებერისათვის კაპიტალიზმი არის პროტესტანტული ეთიკის პირმშო. ვებერის ამ დებულებას ნეოლიბერალიზმის იდეოლოგია დღემდე იყენებს კაპიტალის მორალური ლეგიტიმაციის მიზნისათვის. ფრომი კი ამავე ნაშრომში აღნიშნავს, რომ მარქსისტული სოციალიზმი პროტესტანტული ეთიკის, ქილიასტური სექტანტობის, თომიზმისა და XVIII საუკუნის განმანათლებელთა მემკვიდრეა.

ებრაელ ფრომს ებრაელი მარქსის სეკულარული მესიანისტობა და ქილიაზმი კარგად ესმოდა. კაპიტალისა და შრომის ურთიერთობაში გამოხატული დუალიზმი მარქსისტული სტე-

რიოლოგიის გულია. როგორც ქრისტეს სწავლებაში ღატაკი არის მადლისა და ცხონების ღირსი, ასევე მარქსიზმში პროლეტარი არის ის, ვისზეც დამოკიდებულია სამყაროს კაპიტალისაგან ხსნა.

უწინ, ქრისტიანულ უნივერსალიზმში (ბიზანტიის იმპერია, საღვთო რომის იმპერია) სხვადასხვა ხალხებს შეეჭონდათ თავისი წვლილი. განმანათლებლობაში, როგორც სეკულარიზებულ ქრისტიანულ უნივერსალიზმში, შეეღიოდა სხვადასხვა ხალხების ნაციონალური მონაპოვარი გონებისა და ფილოსოფიური ღმერთის განხორციელების საქმეში.

საგანმანათლებლო მოღვაწეობა და იდეურობა არაფრით ჩამოუვარდება სასულიერო მოღვაწეობას და რელიგიურ იდეურობას. განმანათლებლური ღვაწლი თავის აღმავლობაში ისეთსავე დაძაბულობასა და ექსტაზს მოითხოვს ინტელიგენტისაგან, როგორც რჯულში დგომისას არის სულიერი ღვაწლი. ყველაზე უკეთ, ყველაზე სიღრმისეულად ეს გაიაზრეს ებრაელმა მოაზროვნეებმა. ბარუხ სპინოზა (1632-77) განმანათლებლობამდელი განმანათლებელი იყო. თავის კვლევაში ფრომი სპინოზას და ასევე მეორე ცნობილ ებრაელ მოაზროვნეს, კანტის მიმდევარ ჰერმან კოჰენს (1842-1918) მიაპყრობდა ყურადღებას. ფრანკფურტის ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენელ ებრაელ მოაზროვნეთ – ადორნოს, ფრომს, ბირნბაუმს, გოლდმანს და სხვებს მარქსის მნიშვნელობა სრულად ჰქონდათ გააზრებული. მარქსი იყო ის, ვინც XVIII საუკუნის ფრანგულ და გერმანულ განმანათლებლობას თავის დროში უწვეულო ძალით აგრძელებდა. მარქსიზმის მნიშვნელობა კარგად ესმოდა ებრაელ მოაზროვნეს ერნსტ ბლოხს (1885-1977). აქვე უნდა მოვიხსენიოთ ბლოხის თანამედროვე ვალტერ ბენიამინი (1892-1940).

დენაციფიკაციის დროინდელ გერმანიაში ისევ ებრაელმა მოაზროვნეებმა გააკეთეს ძალზე ბევრი ფილოსოფიისათვის და საერთოდ, ებრაელთა გარეშე ევროპული აზროვნება არ იქნებოდა ის, რაც არის.

იმის მიუხედავად, რომ 90-იანი წლების ეროვნულ მოძრაობაში მრავალი დისიდენტი ფილოსოფოსი იყო, ყოველივე

ამას არ მიენიჭა მნიშვნელობა, ან უბრალოდ გაუგებარი დარჩა, რაც აისახა კიდეც დისიდენტთა პოლიტიკურ განსჯაში. დისიდენტური რეფლექსიები ხაზგასმულად არაფილოსოფიური იყო. არაფრად ჩააგდეს ის მოაზროვნენი, რომელთაც XX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპულ ფილოსოფიაში მთელი ეპოქა შექმნეს. ამავე დროს მოხერხებულად იყენებდნენ ერიხ ფრომის ნაშრომს „ადამიანური დესტრუქციულობის ანატომია“, რათა დაერწმუნებინათ ქართველობა, რომ გამსახურდია ჰიტ-ლერის მსგავსი იყო. დღეს ისე იქცევიან, თითქოს ეს არ ყოფილიყოს, მაგრამ ამის და ბევრი სხვა რამის ასე იოლად დავიწყება შეუძლებელია. ქართველმა ინტელიგენციამ მრავალი მიუტევებელი დანაშაული ჩაიდინა. ის დიდად შეცდა, როდე-საც მარქსიზმს სატანიზმი უწოდა. 1989 წლიდან პრესაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო როყიოდ და სასაცილოდ იტყოდა რაიმეს მარქსზე და ათეიზმზე. მართლმადიდებლობას შეფარებული ინტელიგენცია ვერც რჯულს გამოადგა და ვერც ფილოსოფიურ ასპარეზზე იხეირა.

აქ კიდევ ერთი რამ უნდა აღინიშნოს: საკუთარი რევოლუცი-ის დაგმობა იწვევს საკუთარი საგანმანათლებლო მონაპოვრების უმნიშვნელოდ გადაქცევას და პოლიტიკური სინამდვილის კატასტროფულ დეონტოლოგიზაციას. უარყვეს რუსებმა 1917 წლის ბოლშევიკური რევოლუცია და ისინი იდეურად განიარაღებულნი და ნიადაგს მოწყვეტილნი აღმოჩნდნენ. რელიგიურმა აპელაციებმა რუსებს ვერაფერი მისცა და ლიბ-ერალური რეფორმებიც ერთიმეორის მიყოლებით ჩაფლავდა. რუსულ მედასავლეთეობას კი თვით დასავლეთმა მიაყენა უდიდესი დარტყმა. ფრანგებს რომ უარეყოთ 1789 - 93 წლების რევოლუცია და ფრანგული განმანათლებლობის დაცინვა რჯულზე მითითებით დაეწყოთ, ეს გამოიწვევდა ფრანგული სინამდვილის დეონტოლოგიზაციას და მთლიანად ევროპული კულტურის რყევას. წარმოვიდგინოთ, რომ ფრანგებმა მონარქი-ის აღდგენის სახელით, სულიერების სახელით დაიწყონ განმანათლებლობისა და რევოლუციონიზმის რევიზია. ორივე მათგანი არა მხოლოდ ფრანგული, არამედ საერთოევროპული და საკაცობრიო მოვლენაა.

არაა სწორი, როდესაც ითქმის, რომ 1917 წლის

ბოლშევიკური რევოლუცია საქართველოსთვის უცხო იყო. აქ ერთი რამ არის გამოსარკვევი: საქართველო რომ ყოფილიყო ინგლისის, საფრანგეთის ან გერმანიის კოლონია, იმ ქვეყნებში მომხდარი რევოლუციები შეუძლებელია საქართველოსთვის უცხო ყოფილიყო. მაგალითად, ფრანგული რევოლუციები ან გერმანული მუშათა მოძრაობა და ფრანგულ-გერმანული სოციალიზმი საქართველოშიც იქნებოდა და სულაც არაა ისე, რომ მე ჩემს ეკლესიას შევეფარები და ვიტყვი, რომ ის რევოლუცია ჩემთვის უცხო მოვლენაა. თუ რევოლუცია საქართველოსთვის უცხო მოვლენაა, მაშ, რატომღა იღებს საქართველო ფრანგულ-გერმანულ განმანათლებლობას და ამით თავის თავს ევროპის მონათესავე ქვეყნად მიიჩნევს? თუ იღებ ევროპულ განმანათლებლობას, მასთან ერთად უნდა იტვირთო რევოლუციის სიმძიმეც. ამ სიმძიმეს კი ეკლესიის მამებზე თვალთმაქცური მითითებანი ვერ შეამსუბუქებს.

ჩვენს სინამდვილეში, იდეოლოგიური დივერსიების მეშვეობით, შრომას, მუშათა კლასს კაპიტალმა ჩამოართვა იდეური იარაღი. კაპიტალმა დაასაჭურისა და დაიმონა შრომა. საამისოდ მან გამოიყენა რელიგია და ანტიბოლშევიკური დისიდენტობა. კაპიტალის ამ განხრახვის კონტექსტში ქართული ეროვნული მოძრაობა ძალზე უმნიშვნელოდ და სასაცილოდ მოჩანს. ქართული დისიდენტური მოძრაობა, სუვერენიტეტის დეკლარირება და პატრიოტული აპელაციები წარმოგვიდგება როგორც შუალედური საფეხური შრომის დაპყრობისა და კაპიტალის პლანეტარული გლობალიზაციის გზაზე. ნეოლიბერალიზმის ადეპტებისათვის ეს არის საბოლოო პუნქტი კაცობრიობის ისტორიაში. ამ საკითხს მრავალი ინტელიგენტი გაურბის და ისე იქცევა, თითქოს ის არ არსებობს. ქართველობამ ვერ შეძლო რელიგიისა და ეროვნულ-პატრიოტული იდეების საფუძველზე კონსოლიდირება და კონსენსუსის მიღწევა. ამავე დროს ის დღემდე დასცინის მარქსისტული კლასობრივი სოლიდარობის იდეას.

დასავლური ბიზნესი კოსმოპოლიტურია და გლობალური კაპიტალი ნაციონალიზმზე ბევრად მაღლა მდგარია. მარქსის გენიამ ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ეს მკაცრად გაარკვია და კაპიტალთან ბრძოლის გზებიც დასახა.

სამშობლოების სუვერენიტეტები კაპიტალისათვის არაფერს ნიშნავს. თუ ყველაფერი აქეთკენ მიდიოდა, რაღა აზრი ჰქონდა ეროვნული მოძრაობისა და სამოქალაქო ომის სისხლს? დისიდენტობა გაიქცა-გამოიქცა სხვადასხვა პარტიებსა და ბლოკებში და მრავალწლიანი უსაგნო კამათი გააგრძელა.

1990 - 93 წლებში ლიბერალიზმი გვიმტკიცებდა, რომ მისთვის უმთავრესი იყო არა კლასი, არამედ ერი, ნაცია. მაგრამ დღეს ვხედავთ, რომ ნეოლიბერალიზმისათვის უმთავრესი არის კლასი – ბურჟუაზია, რომელიც საერთაშორისო ბიზნესს წარმოადგენს. მარქსის მსგავსად ნეოლიბერალებიც ლაპარაკობენ სახელმწიფოთა გაუქმებაზე. კაპიტალი თუ გლობალურ - ინტერნაციონალური გახდა, შრომა ეთნოცენტრისტულ მასშტაბამდე იქნა დაყვანილი. რელიგიისა და ინდივიდის თავისუფლების სახელით შრომის დეინტერნაციონალიზაცია და გაეროვნულება, შემდეგ კი მისი არნახული გაუფასურება მოხდა. ამისთვის კარგად იქნა გამოყენებული ანტიბოლშევიკური დისიდენტობის რადიკალიზმი, რომელიც უმეტესწილად ყალბი და თეატრალური იყო.

მარქსისტულ საისტორიო კონსტრუქციაში ერთმანეთს ებრძვის ორი ზეეროვნული ძალა - კაპიტალი და შრომა, კაპიტალისტი და მუშა. დღეს კაპიტალი ებრძვის მსოფლიოს ყველა ხალხს. ამ საკითხთა გააზრებას მრავალი ინტელიგენტი შეგნებულად აბუნდოვანებს სტალინზე და ბერიაზე ლაპარაკით, რათა დაფარონ საკუთარი დამარცხება და არარაობა კაპიტალის დემონური ძალმოსილების წინაშე.

გამსახურდიას დამამხობელმა დისიდენტობამ ეროვნული კონსოლიდაციის შესაძლებლობა აღმოფხვრა იმით, რომ გადაეჭდო მისგანვე გალანძღულ ყოფილ პარტნომენკლატურას და მასთან ერთად ქმნიდა ახალ სახელისუფლო ელიტას 1992 - 95 წლებში. დიდი ღალატით დამძიმებული დისიდენტობა ყოფილმა პარტნომენკლატურამ თანდათან შეავიწროვა და განდევნა ხელისუფლების ყველა შტოდან 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. პარტნომენკლატურა გადაიქცა კაპიტალისტად, პრივატიზატორად. მან თავის გვერდით მორალურად განადგურებული დისიდენტობაც არ იგუა. ის მან თანდათან თავიდან მოიშორა. კრიმინალურად კაპიტალიზებულ-

მა პარტნომენკლატურამ მხოლოდ ნომენკლატურაში შემავალი ყოფილი საბჭოთა ინტელიგენცია დაიყენა გვერდით. ასე შეიქმნა ახალი ელიტა და რეფერენტული ჯგუფები. ყველაფრის მიუხედავად, საზოგადოებას კაპიტალიზებული პარტნომენკლატურის ლიბერალობისა უფრო სჯეროდა 1995-2001 წლებში, ვიდრე მორალურად განადგურებული დისიდენტობის ლიბერალობისა. ესეც ბედის დიდი დაცინვა იყო. მსოფლიო კაპიტალთან პარტნომენკლატურამ უფრო გამონახა საერთო ენა, ვიდრე ამ კაპიტალისაგან ინსპირირებულმა ანტისაბჭოთა დისიდენტობამ. მსოფლიო კაპიტალი დაეთანხმა პარტნომენკლატურის მიერ დისიდენტობის პოლიტიკური ასპარეზიდან განდევნას. ამის შემდეგ მრავალი დისიდენტი კვლავ ლაპარაკობდა ლიბერალიზმზე, როგორც ეროვნულობის ეროვნულ გარანტზე, ეს მათ მარაზმს გვიჩვენებდა.

ამ მოვლენათა შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიას ჯერ არ დაუწყია და მისთვის უფრო ადვილია გაცხოველებული კამათი შორეული დროის ქართველური ტომების განსახლების ან ბოლშევიკური რეპრესიების შესახებ, ვიდრე თანამედროვე ისტორიის ფილოსოფიის საკითხთა კვლევა.

რადიკალურმა ანტიბოლშევიზმმა ხელი ვერ შეუშალა დისიდენტობას იმაში, რომ გამსახურდიას დამხობის საქმეში ყოფილ პარტნომენკლატურას გადაჭდობოდა და მის მიერვე დაწყებული ეროვნული მოძრაობა დასაწყისშივე დიდი შერცხვენით დაესრულებინა. დისიდენტობა იმასაც იოლად შეეგუა, რომ 12 წელი ქვეყანას კვლავ პარტნომენკლატურა მართავდა. რელიგიისა და ვითომ ნაციონალური იდეის სახელით, ქვეყანა მცდარი გზით იქნა წაყვანილი. ხელმოცარულთა და ცხოვრებისაგან თავშიჩარტყმულთა ღვარძლი კი საზოგადოებას მიეწოდებოდა როგორც შეურიგებელი ოპოზიციონერობა. როგორი უნდა ყოფილიყო პროვინციული თვითკმაყოფილება და თავხედობა, როცა უკვე 1995 წლის შემდეგ კვლავ ითქმოდა, რომ მარქსმა ყველანი გაასულელა და მის სატანურ მოძღვრებას ნახევარი მსოფლიო მისდევდა. ასეთი სიბრიყვეები არა მარტო გაზეთებში, არამედ საუნივერსიტეტო ტრიბუნიდანაც ითქმოდა. გამოდის, რომ სულელები იყვნენ სარტრი, ფრომი, სხვა ნეომარქსისტები და

ნეოსოციალიზმიც სისულელეა. ევროპული იდეური გენეზისისაგან ქართული დისიდენტობის უცხოობა დრომ მთელი დაუნდობლობით აქაც წარმოაჩინა.

ქვეყნის მცდარი გზით წაყვანასა და საზოგადოების დეზორიენტირებას თან დაერთო ტრაიბალიზმი და მასშტაბური კრიმინალიზმი. კლასობრივი ბრძოლის თეორიის არსი და ამოცანა ვერ იქნა გაგებული. ამავე დროს ქართული დემოკრატიის ათვლის წერტილად ყველას მიერ მიიჩნევა სწორედ კლასობრივი ბრძოლის ქართველ პრაქტიკოსთა (მენშევიკთა) საქმიანობა. ვერც ამ გარემოებამ აიძულა ტრაფარეტული ლიბერალები, რათა საკითხს ჩაღრმავებოდნენ.

დისიდენტობამ გაიმეორა ფაშისტური და ნაცისტური იდეოლოგიების არგუმენტი, როდესაც მან ერი, ხალხი კლასზე მაღლა დააყენა და კაპიტალი ეროვნულ ძალად წარმოაჩინა. გამსახურდიას განქიქების მიზნით დისიდენტებმა გააგრძელეს 90-იანი წლების დასაწყისშივე გამოთქმული მცდარი მსჯელობა და მათ მიერ ერთდროულად მტკიცდებოდა ორი რამ, რომ კაპიტალი არის ეროვნულიც და ინტერნაციონალურიც.

ატომიზებული საზოგადოების ტოტალური დისკრეტულობის პირობებში კონსოლიდაციის იდეა უაზრო ხდება თვით მასებზე მეტი შეგნების მქონე ინტელიგენციასაც კი აღარ შეუძლია რაიმე იდეის გარშემო კონსოლიდირება. ინტელიგენციის წარმომადგენელნი (მაგალითად, ისტორიკოსი გურამ ყორანაშვილი), მარქსიზმის ნაკლოვანებად მიიჩნევდნენ იმას, რომ მასში არ იყო ეროვნული კონსოლიდაციის იდეა, მაგრამ მარქსიზმი აღარ იქნებოდა მარქსიზმი, მასში რომ ეს იდეა ყოფილიყო.

როგორ უნდა იქნენ კონსოლიდირებულნი მდიდართა კლასი და საქართველოს უღატაკესი უმრავლესობა? როგორ უნდა იქნენ კონსოლიდირებულნი თუნდაც სოციალურად და არა ეროვნულად უკვე მერამდენედ სახეცვლილი ერთი და იგივე პოლიტიკური ელიტა და საზოგადოება?

ინტელიგენცია სრული პლურალიზმის პირობებშიც კი ვერ ახერხებს თავისი შეხედულების ჩამოყალიბებას და დაცვას. ვითომ შეურიგებელი პოლიტიკური პროტესტანტები კი გასაოცარ შემგუებლობას და იდეურ მიმიკრიულობას იჩენენ.

რევოლუციის იდეის შესახებ ქართულ სინამდვილეში

„სრულ ჩვენ რადა ვართ ტანჯვაში,
კვნესა რად ისმის ჩვენითა?“
ვაჟა-ფშაველა „ბახტრიონი“

წერილი პირველი*

2003 წლის ნოემბერში, პარლამენტის წინ საპროტესტო მიტინგების მსვლელობისას, ამბობდნენ, რომ ეკლესია ყველაფრის მშვიდობიანად დასრულებისათვის ლოცულობდა. პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომის შემდეგ, როგორც სამღვდელოთა, ასევე საეროთა მიერ ითქვა, რომ უფალმა ჩვენი ვედრება შეისმინა, ლოცვამ ნაყოფი გამოიღო და ყოველივე კეთილად დასრულდა. ეს იმას გულისხმობდა, რომ ნოემბრის საპროტესტო აქციებში ღვთის ნება გამოვლინდა, რამდენადაც ხელისუფლების შეცვლა დაემთხვა გიორგობას, 23 ნოემბერს.

შეუძლებელია, ეს მსჯელობა ასე ადვილად მიივწყო, როგორც ეს საზოგადოებამ გააკეთა. საკითხი მეტად რთულია და შეუძლებელია მან მორწმუნე ღრმად არ დააფიქროს. როგორც ვთქვით, აღინიშნებოდა, რომ ხალხის მიერ გამოთქმულ პროტესტში ღვთის განზრახვა გამოვლინდა: მაგრამ აქ არის მთელი რიგი არსებითი საკითხები, რომელთაც გვერდს ვერ ავუვლით. პირველ რიგში, ის უნდა ითქვას, რომ ხალხი მრავალი წლის მანძილზე პროფანირებული რელიგიით ცხოვრობდა და ვერ ხალხობდა. ის ვერ იცავდა მართლმადიდებლური კოლექტიური ცხონების პრინციპს, არამედ იყო ინდივიდუალისტური პრინციპის დამცველი ატომიზებულ, პლურალისტურ საზოგადოებაში. როგორ გამოავლინა ღმერთმა თავისი ნება იმ ხალხის საპროტესტო მოქმედებაში, რომელიც მრავალი წელი იყო მხოლოდ ნომინალური ქრისტიანი? გამოდის, რომ ღმერთმა ამაზე თვალი დახუჭა, რახან სხვა

* პირველად გამოქვეყნდა ყოველკვირეულ გაზეთ „ახალ 7 დღეში“ (14-20 მაისი, 2004 წ.).

არავინ იყო, ვის მოქმედებაშიც ღმერთი თავის ნებას გამოავლენდა. მაგრამ ასეთი დაშვება ღვთიური სამართლის იდეას ეჭვქვეშ დააყენებს. შეუძლებელია ღმერთმა დათმოს ადამიანთან მისი დამაკავშირებელი ეთიკური პრინციპი. თუ ვიტყვით, რომ ღმერთმა სამართლიანობის პრინციპზე მაღლა დააყენა სიყვარული, ეს მაინც ვერ გაგვარკვევს მოვლენის არსში და აი, რატომ: ხალხი ნოემბრის პროტესტისათვის ემზადებოდა არა რელიგიური იდეების, არამედ სეკულარისტული იდეების სახელით. ხალხს რომ პროტესტი გამოეთქვა როგორც რჯულის დამცველს და შეერცხვინა ხელისუფლება რელიგიურ პრინციპებზე მითითებით, მაშინ იქნებოდა შესაძლებელი იმის თქმა, რომ ღმერთმა სიყვარულით გადმოხედა თავის სამწყსოს და მის სიტყვაში თავისი ნება გამოავლინა. ხალხი ხელისუფლებას ამხელდა ისევ და ისევ ინდივიდუალიზმისა და პლურალიზმის სახელით. ღმერთი კი არ შეიძლება იყოს ლიბერალ-დემოკრატი. მისი პრინციპები სულ სხვაა. ასე გვასწავლა ჩვენ რჯულმა. გარდა ამისა: როგორ შეიყვარა ღმერთმა ისინი, ვინც ამ სახალხო პროტესტს ამერიკელთა მხარდაჭერით ხელმძღვანელობდა, ვინც ძველი ხელისუფლების წარმომადგენელია? ამდენი სავლე პავლედ როგორ იქცა? პავლე შეიძლება იყოს ერთი და არა მთელი პარტია. პავლეების პარტია საკუთარი ნაციონალიზმისა და რელიგიურობის წარმოჩენას ცდილობს, მაგრამ როგორ შეძლებს ის ქართული იდეისა და მართლმადიდებლობის დაცვას, როდესაც იგი მისი მტრების – გლობალისტების მფარველობით მოვიდა ქვეყნის სათაკეში? აუცილებელი იყო, რომ უბედურებისა და დაცემის მრავალი წელი გასულიყო, რათა პოლიტიკის ათასობით სავლე პავლედ ქცეულიყო? ვინც უკვე 1995-97 წლებში მიუთითებდა, რომ ხელისუფლება ქვეყანას ანგრევდა, სავლეები მათ აჩუმებდნენ და დასცინოდნენ. ახლა ისინი თავადვე ამბობენ იგივეს. რატომ არ ამბობდნენ ისინი ამას, ვთქვათ, 1998 ან 2000 წელს? რატომ მოხდა, რომ სწორედ მათ მიერ გამოთქმულ პროტესტს დაუჭირა ხალხმა მხარი და ყურიც არ ათხოვა, ასეთივე პროტესტის გამომოქმელ, ძველი, ეროვნული პარტიების წარმომადგენლებს (ნოდარ ნათაძე, ირაკლი წერეთელი და სხვ.)?

პავლეთა პარტია უცხოელ მოკავშირეებზე მითითებით ყველას არწმუნებს, რომ ყველაფერი სწორედ ახლა იწყება. თავიდან მეორდება ის პროპაგანდისტული ციკლი, რომელიც 1992 წლის მარტში, შევარდნაძის ჩამოსვლის შემდეგ დაიწყო. ეროვნული მოძრაობის დროიდან შექმნილი პოლიტიკური გაერთიანებები კიდევ ერთხელ აღმოჩნდნენ საზოგადოებრივ სარბიელს ჩამოშორებულნი.

ღმერთი ამდენი წელი ძველ ხელისუფლებასთანაც ისევე იყო, როგორც ახლა ახალთან არის, რაც ასე იოლად ითქმის სამთავრობო მოხელეთა და სამღვდელოთა მიერ. ეს რწმენის დიდ ნაკლებობას წარმოაჩენს. თუ ძველი ხელისუფლება ქრისტიანობის ყველა პრინციპის უარმყოფელი იყო, რატომ არაფერი იღონა მის დასამხობად მრევლმა? ქართული მედია საზოგადოებას მრავალი წელი სწორედ იმას უმტკიცებდა, რომ შევარდნაძის ხელისუფლება ქრისტიანული იყო, რომ ღმერთი მას იფარავდა და მისი ხელისუფლება სწორედ ტირანი გამსახურდიასაგან შებღალული ქრისტიანობის დაცვის მიზნით მოვიდა. დღეს მთელი ეს მაშინდელი კატეგორიულობა და შეურიგებლობა იმავე მედიამ დავიწყებას მისცა.

როდის განუდგა ღმერთი ძველ ხელისუფლებას და დადგა ხალხის გვერდით ნოემბრის აქციებზე? აქციები წარიმართებოდა ამერიკული გეგმის მიხედვით. ხალხის პროტესტის ამ გეგმისათვის შესატყვის კომენტირებას ახდენდა ამერიკელთა მიერ დაფინანსებული მედია. ე.ი. ეს იყო მთლიანად რაციონალური მოვლენა. თუ ეს ასეა, აბა, როგორღა ამბობენ, რომ ყველაფერი ღვთის ნებით მოხდა? ასეთი რამის მტკიცება მორწმუნისათვის მკრეხელობაა. შეუძლებელია ღვთის ნება გამოვლენილიყო ჯორჯ სოროსის ფულითა და ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის პროპაგანდით. ასეთ მტკიცებას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ღმერთი ისეთივე PR-ტექნოლოგი და იმიჯმეიკერია, როგორიც არის ჩვენს გვერდით მყოფი მრავალი ლიბერალი. მაგრამ ასეთ დასკვნას მივყავართ მკრეხელობამდე და ღვთის გმობამდე. ადამიანმა თავის თავს უნდა ჰკითხოს: რა გამოვლინდა, როგორც ღვთიური, ნოემბრის აქციებში? რატომ არ შეუძლია ადამიანს ამ კითხვაზე პასუხის ძიებისას ვინმესგან შემწეობა მიიღოს?

ზემოაღნიშნული მსჯელობანი ღვთის მიერ ჩვენი ვედრების შესმენისა და ყველაფრის კეთილად დასრულების შესახებ გულისხმობს, რომ ღმერთი ჩვენთანაა და უბედურებათაგან ჩვენი დაცვის გარანტი მომავალშიც სწორედ ის არის. მაგრამ განა ამასვე არ ამბობდნენ 1989 წლიდან? რატომ, სწორედ საქართველოს დაატყდა თავს ამდენი უბედურება? მოაზროვნე სწორედ იმიტომ არის მოაზროვნე, რომ ამ კითხვამ ის დააფიქროს და შეძრას. ჩვენი საზოგადოების განათლებული ნაწილი კი ასეთი საკითხებისაგან თავის დაძვრენის დიდოსტატია.

როგორ შეიძლება ღვთიური გამოვლინდეს ჩვენს თანამედროვეობაში? როგორ უნდა განეცადა ადამიანს, რომ პარლამენტის წინ მდგომთა შორის ღვთის სული ტრიალებდა? მე მახსენდებოდა ამავე ადგილას 1989-91 წლების შეკრებები. მაშინაც ამბობდნენ, რომ ღმერთი ჩვენთან იყო. შეუძლებელია ასეთ ვითარებაში ადამიანმა არ იფიქროს იმაზე, თუ როგორ ეცხადებოდა ღმერთი ძველ დროში ხალხს ქვეყნისათვის გადამწყვეტ ჟამს. მიტინგზე თუნდაც ხატებით მისვლა გახდის თუ არა ხალხს იმის ღირსად, რომ მან ღვთის გამოცხადება იხილოს და მიიღოს თავის გულში?

კიდევ ერთი ვითარება: პარლამენტის წინ პროტესტით გამოსულთა შორის მრავალად იყვნენ საუნივერსიტეტო წრეების წარმომადგენელნი. ისინიც ეთანხმებოდნენ აზრს, რომ ღვთის ნება ხალხის გამოსვლაში გამოვლინდა. მაგრამ ის, რომ ეს მრავალდღიანი პროტესტი წარიმართა სწორედ ამერიკელთა მხარდაჭერით, რაციონალური დაგეგმვის, გამოთვლისა და ანგარების, პრაგმატული განსჯის გზით, მათ ავალებს იფიქრონ იმაზე, თუ რას ნიშნავს ევროპულ აზროვნებაში წარმოშობილი აზრი ღმერთის სიკვდილის შესახებ, სამყაროს ღმერთსმოკლებულობის შესახებ.

ჩვენთან რომ ნოემბრის პროტესტი ღვთის განზრახვის გამოვლენად მიიჩნევა, ეს გულისხმობს იმას, რომ საქართველო ყველა შემთხვევაში ღვთის სამყოფელია. ისე გამოდის, რომ სამყარო ღმერთსმოკლებულია მხოლოდ დასავლეთში და არა საქართველოში. მაგრამ ქართული სინამდვილე რომ საპირისპიროს გვეუბნება? მრავალი წლის მანძილზე რელიგი-

ის შესახებ ამდენმა ლაპარაკმა ყველა რანგის ტრიბუნიდან ვერ გამოკვეთა საკითხი: როგორ უნდა დაბრუნდეს ღმერთი სამყაროში და როგორ უნდა შეხვდეს მას ადამიანი? აქ სულ სხვა განაზრებაა საჭირო და მხოლოდ ღვთისმეტყველებაზე მითითება საკმარისად ვერ წარმოაჩენს საკითხის სიძნელეს. არ შეიძლება განათლებული კაცი მსჯელობდეს სატელევიზიო კომენტარის დონეზე და საკითხის სიძნელენი გადაპქონდეს ნეიტრალური ცნებებისა და ყალბი ენობრივი კონსტრუქციების არეალში. ეს ის საკითხია, რომელიც ქართული საზოგადოების წინაშე 1989 წლიდან დგას. დაბრუნდება კი უთუოდ ღმერთი ათეიზმის გმობით და საღვთო წერილზე ლაპარაკით? გახდება კი ეკლესიაში სანთლის დანთებით საზოგადოების ცხოვრება გონითი? მხოლოდ იმას ვხედავთ მრავალი რწმუნების საპირისპიროდ, რომ საზოგადოება უღმერთოა. ღვთისმეტყველებისა და მთლიანად სარწმუნოების PR-ტექნოლოგიისა და იმიჯმეიკერობის საგნად ქცევა რწმენაში უგულობას წარმოაჩენს. ეს მეტად ვერაგული სიტუაციაა და მისი მებრძოლ ათეიზმთან შედარება არ ეგების. ქართული საზოგადოება ტექნოლოგიური და ტექნიცისტურია. მხოლოდ ასეღა არის შესაძლებელი მუდმივი მარცხიანობის კვლავ და კვლავ მიჩქმალვა.

ღმერთის დაბრუნების შესახებ საკითხი XX საუკუნის 90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის დროს ძალზე მარტივად გადაწყდა. ეს მოხდა საეკლესიო პრინციპებზე მითითებით, თითქოს ახლა, მაგალითად, XIV საუკუნე იყოს, თითქოს არაფერი მომხდარიყოს ისეთი მნიშვნელოვანი ევროპის ისტორიაში, რაც პოსტსაბჭოთა ადამიანის საღვთისმეტყველო თუ ფილოსოფიურ დისკურსს კვალს დაატყობდა. საკითხის ასეთი მარტივი გადაწყვეტა კიდევ უფრო გააიოლა ბოლშევიკური ათეიზმის მხილებამ. დამარცხებათა წყებას 1995 წლის შემდეგ, ამ საკითხის გადაწყვეტის ახლებური გზების ძიება არ გამოუწვევია. პირიქით, ამან საკითხის ადრინდელი, 90-იანი წლების დროინდელი მარტივი გადაწყვეტა უფრო განამტკიცა და რელიგიის პროფანაციაც კიდევ უფრო გაღრმავდა. ეროვნული მოძრაობის დროიდან გამოყოლილი აზრი, რომ ბოლშევიზმის ყოველმხრივი მხილება უთუოდ

ღმერთის დაბრუნებას ნიშნავდა, დღემდე მყარად არის დამკვიდრებული საზოგადოებრივ აზროვნებაში.

ნოემბრის აქციებზე გამოტანილი იყო დიდი ფრანგული რევოლუციის ლოზუნგი ფრანგულ ენაზე – LIBERTÉ, EGALITÉ, FRATERNITÉ. ეს ნიშნავდა, რომ მომიტინგენი თავს მიიჩნევდნენ ევროპეისტული რევოლუციონიზმის მიმდევრებად და იზიარებდნენ ფრანგ განმანათლებელთა მიერ შექმნილ ბუნებრივი ადამიანისა და აჯანყების თეორიას. მაგრამ ეროვნული მოძრაობა და სამღვდელოება 1989-91 წლებში ყველა რევოლუციის და, საერთოდ, რევოლუციონიზმის, როგორც სატანიზმის, მგმობელად გამოვიდა. ვინ და როგორ შეათანხმა საქართველოში რევოლუციური ღმერთმებრძოლობა და რჯული? თუ ღმრთის სული პარლამენტის წინ შეკრებილთა შორის მიმოიძვროდა, როგორ ეთანხმებოდა ის კათოლიკურ წიაღში წარმოშობილ ფრანგული რევოლუციის ლოზუნგს? როგორ შეიძლება ხატი, რომელიც მომიტინგეს ეჭირა ხელში, ყოფილიყო ფრანგული რევოლუციის ლოზუნგის გვერდით? თვალწინ გვქონდა მოვლენა, რომელიც ძალზე ბევრ საფიქრალს იძლეოდა. ამის შესახებ არც უნივერსიტეტელმა ინტელიგენტმა და არც სამღვდელომ არ დააყენა საკითხი. ასეთი ხალხმრავალი და ხანგრძლივი პოლიტიკური პროტესტაცია, როდესაც ხშირად ხდება მიმართვა რელიგიური იდეებისადმი, ადამიანს დააფიქრებს იმაზე, თუ როგორ იყო უწინ შესაძლებელი თეოფანია.

ქართულ საზოგადოებაში ასე ხდება: რელიგიური იდეა ადამიანს დაჰყავს თავის ფიზიოლოგიურ ფაქტობრიობამდე, კონსიუმერულ კაპრიზულობამდე, თავისი ცხოვრების სინამდვილემდე. ამ დროს ყველასათვის საერთო მსაჯული არის მედია, რომელიც გაუცხოებულ და დემორალიზებულ ინდივიდთა შორის ქმნის ნამდვილი ურთიერთობის საეთერო თუ საგაზეთო მოჩვენებითობას. ნოემბრის მოვლენებმა დაგვანახა, რომ ქართველობა არის ტელეარხებისა და გაზეთების საზოგადოება. შეუძლებელია მასში ღვთის სული ტრიალებდეს. ტელევიზია და პრესა განამტკიცებენ ამ საყოველთაო პრიმიტიულობასა და კაპრიზულობას. ურთიერთობის ბიჰევიორისტული მოდელი ცვლის ადამიანის ცნობიერებას და უაზრობის

ყოველდღიური ტირაჟირებისათვის განუსაზღვრელი შესაძლებლობანი იქმნება. ხშირად ითქმის: „ყველა ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს საკუთარი აზრი“ და მთელი საზოგადოება კი მოტყუებულია. გამუდმებით მიუთითებენ მსოფლიო საზოგადოებრიობაზე, რომელიც, თურმე, ძალზე აღტაცებულია ვარდების რევოლუციით. ყოველივე ისევ და ისევ ქართული სულის დიდ სისუსტესა და ამყოლ-დამყოლობაზე მიუთითებს, ყოვლისმომცველ არანამდვილობას წარმოაჩენს. ლიბერალურმა კასუისტიკამ და დასავლურმა ჰუმანიტარულმა ტექნოლოგიებმა დემორალიზებულ ქართველობას სულზე მოუსწრო და ეროვნული ტყუილი გაგრძელდა. ნოემბრის მოვლენები დაუკავშირდა „სულმნათ წინაპრებს“, “ზეციურ საქართველოს“. საზოგადოებამ არ დაინახა ეროვნული მოძრაობის დიდი დამარცხება და ყველა დემოკრატმა საქართველოს შესახებ მსოფლიო საზოგადოებრიობის აზრზე მითითებით თავი მოიტყუა, რომ შევარდნაძე აქ დემოკრატიას ააშენებდა. იგივე გრძელდება ახლაც. დასავლეთი სააკაშვილში ჯერ კიდევ მმართველი პარტიის დაშლამდე ქვეყნის მომავალ პრეზიდენტს ხედავდა. ამის შესახებ ქართულ პრესაშიც იწერებოდა 1998 წლის გაზაფხულზე, 1999 წლის ზაფხულში (მაგალითად, გაზეთი „საქართველო“).

არის თუ არა ნოემბრის მოვლენები ეროვნული მოძრაობის გაგრძელება? გვინდა ეს ვკითხოთ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს: ივლიანე ხაინდრავას, დავით ბერძენიშვილს, ზვიად ძიძიგურს და სხვებს, რომლებიც დღეს სააკაშვილის გვერდით დგანან.

ეროვნულმა ძალებმა დიდი დამარცხებისა და იმედგაცრუების შემდეგ ვერ შეძლეს გაერთიანება და ერთიანი ფრონტით გამოსვლა. ამ ძალებმა არა დევნისა და რეპრესიების, არამედ სრული პლურალიზმის პირობებში განიცადეს დეგრადირება. ის, ვინც ეროვნული იდეების დამარცხების მიზეზთა კვლევას დაიწყებს, ამ ვითარებას გვერდს ვერ აუქცევს.

ახალგაზრდობისათვის სააკაშვილისა და უვანიას მიერ გამოთქმული პროტესტი უფრო მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე 1995-2000 წლებში ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა მიერ გამოთქმული პროტესტი. რატომ აღარ არის ამ

უკანასკნელთა სიტყვა ახალგაზრდობისათვის საყურადღებო? აბა, რაღა იყო ეროვნული მოძრაობა და რა უნარი ჰქონდა მას, თუ ის სრული პლურალიზმის პირობებში ასე დაეცა? რა შეიძლება დღეს იყოს ეროვნული მოძრაობა, ეროვნული იდეა? ეროვნული მოძრაობის სათავეებთან იდგა რუსთაველის საზოგადოება და რაც დაემართა მას, ყველამ დაინახა.

ერთი ის არის, რომ გამტკნარდე და ისე მოიქცე, თითქოს არაფერი გესმის და ვერაფერი შეგიგნია. მეორე ის არის, რომ დაუსრულებლად დაიტანჯო და ჯოჯოხეთს იტრიალებდე გულში, რადგან გესმის რაც მოხდა. თუ მართლა გიყვარს ეს შენი უბედური ქვეყანა თავისი ჩიტირეკია ხალხით, სხვაგვარად არც შეიძლება იყოს.

სად არიან ორგანიზაციები, რომელნიც 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე აქციებზე პროტესტს გამოთქვამდნენ? ესენი არიან: წმინდა ილია მართლის საზოგადოება, ეროვნული ფრონტი – რადიკალური კავშირი, ეროვნული ხსნის მოძრაობა – წინააღმდეგობის ფრონტი, ქალაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოება, მერაბ კოსტავას საზოგადოება, სრულიად საქართველოს იბერიულ-კავკასიური მოძრაობა, კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება და სხვანი.

მათ შესახებ ნოემბრის მოვლენათა მონაწილე ახალგაზრდობამ არაფერი იცის. სააკაშვილმა შეძლო სტუდენტობის მიმხრობა და იმის თქმა, რომ მან გამოუცდელი ახალგაზრდობა აიყოლია, არაა სწორი. ეროვნულ მოძრაობას რომ ემხრობოდა ახალგაზრდობა 14-15 წლის წინათ, მაშინაც ამბობდნენ, რომ, მაგალითად, ნოდარ ნათაძე, მერაბ კოსტავა გამოუცდელ ახალგაზრდობას ხიფათში ხვევდნენ, მის გაუმართლებელ პოლიტიზებას ახდენდნენ და სხვა ამგვარები.

ქართველი სტუდენტობა და მთლიანად ახალგაზრდობა 1992-2000 წლებში პოლიტიკურად ინდიფერენტული იყო. მასობრივი სტუდენტური მოძრაობა დაიწყო სააკაშვილის მოწოდებების შემდეგ. ეს ვერ გააკეთა ვერც ერთმა ეროვნულმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ. ახალგაზრდობის თვალში ეროვნული იდეები ასე მალე გახუნდა. სააკაშვილი ჩავიდა ქვემო ქართლის აზერბაიჯანულ დასახლებებში და მიიმხრო ის ხალხი, ვინც 1992 წლიდან, ეროვნული მოძრაობის შიშით შევარდნაძეს

უჭერდა მხარს. სააკაშვილმა დაარწმუნა აზერბაიჯანელები, რომ მათ საქართველოდან განდევნას არავინ აპირებდა, სააკაშვილი ჩავიდა შიდა ქართლში, სამეგრელოში და ხალხი მიიმხრო. ეროვნულმა ძალებმა ეს ვერ გააკეთეს. 90-იანი წლების ეროვნული მოძრაობა უფართოესმა პლურალიზმმა და მის მესვეურთა ურთიერთსიძულვილმა დასცა, რომელიც შევარდნაძისადმი სიძულვილზე ძლიერი აღმოჩნდა.

ვოქვათ, სააკაშვილი, მაგალითად, 2000 წელს მმართველი პარტიიდან გადასულიყო ეროვნული მოძრაობის დროინდელ რომელიმე პარტიაში. ამ უნარიან ადამიანს იქ მიაგდებდნენ. მას არავინ მოუსმენდა და ის პარტიის რიგითი წევრი იქნებოდა. ვთქვათ, სააკაშვილს პარტია კი არ შეექმნა, არამედ მოეთხოვა ყველა ეროვნული ძალის გაერთიანება და ერთიანი ფრონტით გამოსვლა. მას ყურს არავინ ათხოვებდა, შურის გამო არ შეამჩნევდნენ მის განათლებას და ხალხის გაძღოლის უნარს.

მსჯელობა სააკაშვილის შესახებ მხოლოდ იმ მიზნით, რომ სიტუაცია იყოს ყოველთვის მოწამლული, როგორც ეს იყო მაშინ, როდესაც ოპოზიცია გამსახურდიას დასამხობად ემზადებოდა, ვერაფერს გვეტყვის არსებული სინამდვილის შესახებ. შურის და ჯიბრის გამო ითქმის სააკაშვილზე სომეხყოფილი, ნაგიუარი და სხვა, როგორც შევარდნაძის მომხრეთა, ასევე ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა მიერ. ის გაქირდეს ისე, როგორც აქ იციან. მას მასონი, სატანისტი, იეჰოვას მოწმეთა მფარველი უწოდეს, მაგრამ სტუდენტობა მაინც მას მიემხრო. გამსახურდიას შეადარეს და თქვეს, ქვეყანას დაღუპავსო. ისე კი გამოვიდა, რომ ეროვნული მოძრაობის ლიდერთა გასაკეთებელი მან გააკეთა. სააკაშვილის ნაგიუარმა ყველა მისი მქირდავის, პირველ რიგში, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა ჭკუადამჯდარობას აჯობა.

როდესაც ადამიანი აზრის სიმკაცრეს ვერ უძლებს, ის მქირდაობით ცდილობს ფონს გასვლას. ნებისმიერ დებულებას შეიძლება დასცინო. ნებისმიერი ადამიანის ნაღვაწი შეიძლება აბუჩად აიგდო. რელიგიის სახელით შეიძლება დასცინო დეკარტის რწმენას, რომ სწორედ ის, რაღაც ახალს ქმნიდა ა'ხროვნება'ში. ქრისტეს შეიძლება ისე დასცინო, როგორც

არავის. მისი სწავლება შეიძლება სასაცილოდ აქციო და ამას აკეთებდა როგორც ევროპული, ასევე რუსული ათეიზმი. ყოფილი იეზუიტის ლეო ტაქსილის (1854-1907) „სახალისო სახარება“ ევროპული მებრძოლი ათეიზმის ტიპური გამოხატულებაა.

როდესაც დამცინაობისა და მქირდაობის უწყვეტ ნაკადს ვხედავთ საზოგადოებრივ აზროვნებაში, გვაქვს საფუძველი ვილაპარაკოთ ქართულ პირონიზმზე. შორიდან მაცქერალის სკეპსისი ბოლო მომენტში საკუთარი თავისა და საკუთარი პირონიზმის უარმყოფელია. პირონისტი სიმულაკრების მხურვალე მხარდამჭერად გამოდის და უაზრობათა კატეგორიულ მტკიცებას იწყებს. როდესაც პათოსი და პირონიზმი გვერდიგვერდ დგანან, ეს სულის სალმობის ნიშანია. როგორ შეიძლება პირონისტმა ამტკიცოს, რომ დემოკრატია ერთადერთი ჭეშმარიტებაა? როგორ შეიძლება სკეპტიკოსმა ასე ხშირად წარმოთქვას, რომ ის ბედნიერია? სკეპტიკოსი ლიბერალი როგორ ახერხებს ქრისტიანად ყოფნას? რჯულის დამცველი პირონისტი როგორღა არის? ამიტომაა, რომ ქრისტიანთა ქვეყანაში ქრისტიანს ვერსად იპოვი. სათითაოდ ყველა ნამუსიანი კაცია, მთლიანობაში კი ხალხი დაცემულია. სათითაოდ ყველა ჭკვიანია, მაგრამ საზოგადოება საარაკოდ გასულელებულია.

პლურალისტურად და კონსიუმერულად ადაპტირებული ქრისტიანობა ლიბერალიზმის გლობალური სისტემისათვის სრულიად უსაფრთხო გახდა. ეს სისტემა ქრისტიანობას თავის ბაირაღად იყენებს PR-ტექნოლოგიებში. პროფანირებული ქრისტიანობა არაფერს მოითხოვს ადამიანისაგან, გარდა იმისა, რომ მან მორწმუნედ მოაჩვენოს თავი და საამისოდ ნებადართულია რელიგიური მნიშვნელობის მქონე ყველა გამომსახველობითი საშუალების გამოყენება. თვალთმაქცობა რეგულატურ სახეს იძენს და ცხოვრების ერთადერთ შესაძლებელ წესად იქცევა. ადამიანი ინსტინქტურად სწვდება, სად როგორ უნდა იცრუოს. ლიბერალიზმი სწორედ ქრისტიანობაზე მითითებით ახდენს გონითობისა და ზნეობის ვირტუოზულ ანულირებას. ლიბერალიზმის ერთადერთი საიმედო მოკავშირე ამ პლანეტარულ განზრახვაში ხალხების თავისუფლებისაკენ სწრაფვა კი არა,

არამედ რესენტიმენტული სული და ადამიანის ცოდვილი ბუნებაა. ხდება რესენტიმენტულობის რაციონალიზაცია და ცოდვის რუტინიზაცია. სიცრუით მხოლოდ იმიტომ აღშფოთდებიან ხოლმე, რომ არა აქვთ ამ სიცრუეში მონაწილეობის შესაძლებლობა და წილი არ უდევთ მასში. ქართული სინამდვილის ბანალიზაცია, დაწყებული 1992 წლიდან, უფრო განმტკიცდა. ასეთ ვითარებაში უკეთ გასაგები ხდება ფუკუიამას აზრი: „სწორედ პოსტისტორიული სამყაროა ის სამყარო, სადაც მხოლოდ და მხოლოდ სახელისათვის ბრძოლაში თავგანწირვის სურვილს კომფორტული თვითგადარჩენის სურვილმა სძლია და ბატონობისათვის ბრძოლაც საყოველთაო და რაციონალურმა აღიარებამ შეცვალა“ (ფ.ფუკუიამა. ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი. თბ., 1999, გვ.292).

წერილი მეორე*

რას იტყოდა აკაკი ბაქრაძე, 2003 წლის ნოემბრის მოვლენებს რომ მოსწრებოდა? მან შეიცნო ეროვნული მოძრაობის დაცემა და შეძლო კიდეც, ეთქვა თანამედროვეთა თაობის შესახებ „ჩვენ კი შერცხვენილი და თავლაფდასხმული წავალთ ისტორიის ასპარეზიდან“ (1996 წლის ნოემბერი). ამ მოაზროვნემ ისიც განიცადა, თუ როგორ უცხო გახდა 90-იანი წლების დასაწყისის ეროვნული მოძრაობის იდეები ახალი თაობისათვის.

ეროვნული ძალების გაერთიანების ყველა მცდელობა 1996-2000 წლებში ამაო გამოდგა. მისცემდა კი დასავლეთი ეროვნული ძალების ერთიან ფრონტს შევარდნაძის წინააღმდეგ მოქმედების შესაძლებლობას? პასუხის გაცემას დიდი თავის მტვრევა სულაც არ სჭირდება, მაგრამ ეს არ ამართლებს იმას, რომ ეროვნულმა ორგანიზაციებმა მრავალი წელი იუქმეს და ფუჭსიტყვაობაში გაიყვანეს დრო.

რატომ ასე მცირე დროში გაუცხოვდნენ ახალგაზრდებისათვის ეროვნული მოძრაობის წარმომადგენ-

*(პირველად გამოქვეყნდა ყოველკვირეულ გაზეთ „ახალ 7 დღეში“ (21-27 მაისი, 2004წ.).

ლები? მათთვის, ვინც 1989–91 წლებში ბავშვი იყო და დღეს 20-27 წლისაა, სააკაშვილ-ჟვანიას დემოკრატია და ნაციონალური მოძრაობაა მიმზიდველი. ჩემი თაობა, ვინც მაშინ 20-27 წლისა იყო, იმდენად მოტყუებული და დათრგუნული დარჩა ამ გაუგონარი ღალატითა და დამარცხებით, ეროვნულ წინამძღოლთა მუდმივი ურთიერთმტრობით, რომ ამას ვერ დაივიწყებ და ვერასოდეს მიუტევებ. არა მარტო ეროვნულ მოძრაობასა და ახლანდელ ახალგაზრდობას შორის, არამედ ჩემს თაობასა და ეროვნულ მოძრაობას შორის გაჩნდა დიდი გაუცხოება. ქართული მედია კი ბედნიერი ცნობიერების დამკვიდრებას ცდილობს და ირწმუნება, რომ ყველაფერი ახლა იწყება.

ეროვნული ძალები სააკაშვილს ისევე დასცინოდნენ, როგორც შევარდნაძის მომხრეები. ეროვნული ორგანიზაციების მრავალმა წარმომადგენელმა ნოემბრის აქციების მონაწილეებს გზააბნეულნი უწოდა და ასეთი რამეც კი თქვეს: „ბელადად ქცეულმა გიჟმა სომეხმა სააკიანმა, რომელსაც არაქართველი ცოლი ჰყავს“ და „პურის მაფიოზის მედიდურმა ქალიშვილმა“ ხალხს ჭკუა აურიეს, „სააკაშვილის ფანებად“ აქციეს.

ძნელად გასაგები აქ ის არის, რომ ეროვნული ძალები თითქოს სულ შევარდნაძის დამხობას ცდილობდნენ და როცა ასეთი შესაძლებლობა რეალურად გაჩნდა, ისინი სააკაშვილს ისევე ლანძღავდნენ, როგორც შევარდნაძის მომხრეები. ფართოდ გამოიყენებოდა პუბლიცისტური შტამპები, რომელნიც ნებისმიერ ვითარებას და პერსონას შეიძლება მიუყენო. ფსიქოლოგები ალაპარაკდნენ ეგზალტირებულ ბრბოზე, სააკაშვილის ფსიქიკის დისპარმონიულობაზე და მიუთითეს, რომ ის დესტრუქციული პიროვნებაა და ფარული კომპლექსი სტანჯავს. ახსენებდნენ ტერმინ „სუბლიმაციას“. როგორ არ გაგახსენდეს ასეთივე ფსიქოლოგობა გამსახურდიას გაქირდვის მიზნით. გახდა სააკაშვილი პრეზიდენტი და მისი მლანძღველნი დღეს მისი მეხოტბენი არიან.

დასავლურმა ტექნოლოგიამ გააკეთა ის საქმე, რაც ეროვნული მოძრაობის ხალას სიტყვას უნდა გაეკეთებინა. ტყუილმა გააკეთა ის საქმე, რაც სიმართლეს უნდა გაეკეთებინა. ხალხმა ეროვნული პარტიების ნათქვამი ოპოზიცი-

ურ აზრად არ მიიჩნია, საკაშვილის ნათქვამი კი სწორედ ასეთად ჩათვალა. სიცრუით განრინება გამოვიდა.

ავსტრიელ ბუნებისმეტყველსა და ფილოსოფოსს კონრად ლორენცს (1903-1989) ნაშრომში „ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა“(1973 წ.) აღნიშნული აქვს, რომ ტრადიციასთან კავშირის გაწყვეტის დროს შვილთა თაობა უფროსთა თაობას ისე ექცევა, როგორც უცხო ეთნიკურ ჯგუფს. ლორენცის თანახმად, შვილთა სიძულვილი მამათა მიმართ ამ დროს ღრმავდება.

შვილთა თაობას საქართველოში სწამს, რომ საკაშვილის ხელისუფლება ეროვნული ძალაა, რომელიც ღვთის შეწევნით მოვიდა ქვეყნის სათავეში. ეროვნულ ძალად და ეროვნული მოძრაობის გაგრძელებად მიიჩნეოდა შევარდნაძის ხელისუფლება. ამას ამტკიცებდა მრავალი დისიდენტი და ინტელიგენტი, ასევე ახალგაზრდობა. მაშინაც, 1992-94 წლებში ოპოზიციის მიერ ერთად გამოიყენებოდა რევოლუციის ცნება და რელიგიური იდეები.

1989-91 წლებში თვით რევოლუციის ცნება იგმობოდა, როგორც სატანური. ამ თემაზე მაშინ პარტიათა 'შტაბ-ბინებში სპეციალურ მოხსენებებსა და ლექციებს კითხულობდნენ. მღვდლები კი საკვირაო ქადაგებებში მუდამ ამას ამბობდნენ. დისიდენტებიც და საუნივერსიტეტო წრეებიც აღნიშნავდნენ, რომ ისინი ემხრობოდნენ ევოლუციურ განვითარებას. რევოლუციის იდეის კატეგორიული უარყოფის არანამდვილობა გამოვლინდა 1991 წლის შემოდგომაზეევე. გამსახურდიას მოწინააღმდეგე დისიდენტებმა და ინტელიგენციამ პოლიტიკურ ლექსიკაში კვლავ შეიტანეს რევოლუციის ცნება. გამსახურდიას გაძევებას დაერქვა სახალხო რევოლუცია. აღარავის გახსენებია, რომ ერთი წლის წინ ეს ცნება დაიგმო რჯულის კანონსა და ეკლესიის მამებზე მითითებით. რევოლუციონერები კი დისიდენტებისა და მღვდლების მიერ დაიწყევლნენ როგორც სატანის შეგირდები. 2003 წლის ნოემბერ-დეკემბერში ამ ცნებამ პოლიტიკურ ლექსიკაში უმთავრესი მნიშვნელობა შეიძინა. ეს გულისხმობდა, რომ 1992 წლის მარტიდან დაწყებული მსჯელობანი შევარდნაძის ხელისუფლების ქრისტიანულ ბუნებაზე სიყალბე იყო. რჯულის დაცინვა იყო მისი ეკლესიაში

მისვლა და მონათვლა. მოელი ქვეყნის აბუჩად აგდება იყო შევარდნაძის 2000 წლის 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის გამოქვეყნებული პროგრამა (იხ.„დილის გაზეთი“. 25 მარტი, 2000 წ.)

დღეს ისევ გამოიყენება ამ პროგრამაში ხაზგასმული დებულებანი. საუბრობენ ქართველი ერის განსაკუთრებულობის შესახებ. ამბობენ, რომ საქართველოს პოვნა რუკაზე უჭირდათ და მსოფლიომ სწორედ ვარდების რევოლუციის შემდეგ გაიცნო ჩვენი ქვეყანა. შევარდნაძის მოსვლის შემდეგაც, 1992 წლიდან ასე ამბობდნენ. განა ასე იოლია იმის დავიწყება, რასაც ტელევიზია ამტკიცებდა 1992-1995 და შემდგომ წლებში? ახლანდელი ხელისუფლება ამბობს, რომ მსოფლიომ ვარდების რევოლუციით გაიცნო ქართველი ერი. ეს უარყოფს წინა წლებში ნათქვამს, რომ საქართველო მსოფლიომ სწორედ შევარდნაძის წყალობით გაიცნო, ქართველი ერი კი ცნობილი გახდა დიქტატორ გამსახურდიასთან ბრძოლით. ახლა რომ სხვაგვარად ამბობენ, ეს ნიშნავს, რომ არავინ იცნობდა საქართველოს და არც შევარდნაძე ყოფილა დიდი პოლიტიკოსი. როგორც 1992-94 წლებში გამოთქვამდა მსოფლიო თანამეგობრობა „უპრეცედენტო დაინტერესებას საქართველოს სახალხო-დემოკრატიული რევოლუციით“, ახლა ის, ხელისუფლების თანახმად, ასეთივე უპრეცედენტო დაინტერესებას გამოთქვამს ვარდების რევოლუციით. როგორ უნდა გაირკვეს აქ სიმართლე? წახვალ უცხოეთში და იკითხავ? ვინ გეტყვის მართალს, ვინ გეტყვის, რას ფიქრობს სინამდვილეში საქართველოზე.

ძალზე ბევრი რამ, რისი დავიწყებაც არ შეიძლება, დავიწყებას მიეცა. ამ მიზნით ითქმის, რომ „ბრძოლა ღირსეული ცხოვრებისათვის არასოდეს მოავრდება,“ „საქართველოში რთული პროცესების ეპოქა დაიწყო“. მაგრამ შევარდნაძე სულ ღირსებაზე არ ლაპარაკობდა? ის ხომ მუდამ იმას იმეორებდა, რომ „ურთულესი და უძნელესი პროცესები მიმდინარეობს“. მაშინაც და ახლაც ამბობენ, რომ „დღეს საქართველო დგას ისტორიულ გზგასაყარზე“. ამასვე ამტკიცებდნენ 1989-91 წლებში. თუ ქვეყანა ამდენი წელი გზაგასაყარზე დგას, როგორლა გვარწმუნებენ, რომ საქართველო მტკიცედ დგას

დემოკრატიის გზაზე და ამ გზიდან არ გადაუხვევს? შევარდნაძის ჩამოსვლის შემდეგ ბევრი პოლიტიკოსი ამბობდა: „მე ბედნიერი ვარ“. ახლაც იგივე ითქმის. ყველაზე ბედნიერი, ყველაზე განსაკუთრებული და ყველაზე ნიჭიერი ერი, ახალი ხელისუფლების თანახმად, ქართველობაა.

ახალი ხელისუფლება აღნიშნავს, რომ დიდი დავით აღმაშენებლის გზით ივლის. ეს უაზრობაა. მეფე დავითი დემოკრატიის გზით მიდიოდა? თუ მონარქიის აღდგენაა განზრახული, მაშინ ეს სხვაგვარად უნდა ითქვას. მეფე დავითის გზით სიარული კავკასიის ჰეგემონობისა და კავკასიური უნივერსალიზმისათვის ბრძოლაა. ისე გამოდის, რომ ახალი ხელისუფლებაც ამისათვის იბრძოლებს და მეფე დავითის მსგავსად მხედრობაში დაბერდება. მე არ მესმის დემოკრატი პრეზიდენტის მიერ ინაუგურაციის დროს მეფე დავითის საფლავზე ფიცის დადების მნიშვნელობა. ეს პან-კავკასიზმის დამცველ მესიანისტ და ტრადიციონალისტ გამსახურდიას არ გაუკეთებია. რომელიმე ესპანელმა პოლიტიკოსმა რომ თქვას, რომ ის იმპერატორ კარლოს I-ის (XVI ს.) გზით ივლის, დიდი ლაფსუსი გამოვა. ცნობილია, რომ კარლოს I პანევროპული უნივერსალური კათოლიკური მონარქიისათვის იღვწოდა. თურქმა პოლიტიკოსმა რომ თქვას, რომ ის სულთან მეჰმედ ფატიჰის (XV ს.) გზით ივლის, ეს დასავლეთს შეაშფოთებს და თურქეთს განმარტებას მოსთხოვს. ასეთ განცხადებებს ევროპაში პოლიტიკური სკანდალი მოჰყვება, იმიტომ, რომ ეს იდეისა და პრინციპის საქმეა.

სააკაშვილის ასეთი განცხადების შემდეგ, ქართველმა მონარქისტებმა გამოთქვეს იმედი, რომ პრეზიდენტი კონსტიტუციური მონარქიისათვის ზრუნვას დაიწყებს და საქართველოზე ღვთის მადლი, მათი თქმით, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გადმოვა.

როდესაც შევარდნაძე დადიოდა საზღვარგარეთ ოფიციალური ვიზიტებით, ამბობდნენ, რომ უცხოელი პოლიტიკოსები ამაყობდნენ დიდ პოლიტიკოსთან მეგობრობით. იმავეს ამბობენ დღეს სააკაშვილზე. შევარდნაძის დროს მუდმივად აღინიშნებოდა, რომ საქართველოს გულისათვის უცხოელი პოლიტიკოსები და საერთაშორისო ორგანიზაციები უპრეცედენ-

ტო გადაწყვეტილებებს იღებდნენ. იგივე ითქმის დღესაც. „ისტორიული ვიზიტები და უპრეცედენტო შეხვედრები“ შევარდნაძის დროს რამდენი იყო და ახლა თავიდან დაიწყო ეს ყველაფერი. შევარდნაძეს უცხოეთში ყველა ტაშს უკრავდა. ახლა სააკაშვილის ვოიაჟებზე ითქმის იგივე. უცხოეთში წარმოთქმული შევარდნაძის „ისტორიული სიტყვა“ არაერთხელ ქცეულა ქართული მედიის აღტაცების საგნად. ახლა სააკაშვილის „ისტორიულ ფრაზებზე“ და უცხოელ პოლიტიკოსებთან „გულწრფელ დიალოგებზე“ ლაპარაკობს მედია და ისტორიებიდან ისტერიებამდე მიდის. აღარ გინდა გაიხსენო 1992–95 წლების პროპაგანდა, მაგრამ ახლანდელი პროპაგანდა სწორედ ამ წარსულს გახსენებს. ოდნავაც არ დასტყობია ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებას დიდი მარცხისა და შერცხვენის მიუხედავად, დამძიმება, სულის დისციპლინა. ისევ ის ქარაქუცული ლაპარაკი, ისევ ქართველთა განსაკუთრებულობის შესახებ წამდაუწუმ აღნიშვნა, ღვთის მადლის უთავუამო ხსენება გვესმის. ითქმოდა, რომ შევარდნაძე ღმერთს სთხოვდა ქვეყნის გაძღოლაში შემწეობას. ახლა ამბობენ, რომ სააკაშვილი ლოცულობს და ღმერთს დახმარებას სთხოვს. როგორ უნდა დაეხმაროს ღმერთი ქრისტიანს დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის აშენებაში? საზოგადოებრივ აზროვნებას სასახელოდ მიაჩნია, რომ ღმერთსაც სთხოვს დახმარებას, უცხო ქვეყნებსაც და თავს მორწმუნედ თვლის.

ჩამოვიდოდა შევარდნაძე უცხოეთიდან და მყისვე აღინიშნებოდა, რომ „დახმარება ჩამოგვიტანა“, „ვალები გადაგვივადეს“. ჩამოვიდა სააკაშვილი ევროპიდან და ამერიკიდან და განაცხადეს: „პრეზიდენტმა რეფორმებისათვის საჭირო თანხები ჩამოგვიტანა“. ამან ამდენი მილიონი დოლარი გამოუყო საქართველოს, იმან – უფრო მეტი. როგორც შევარდნაძის დროს ლაპარაკობდნენ „უპრეცედენტო დახმარებებზე“, იმავეს იმეორებენ ახლაც. დაიწყო ციფრების ტრიალი - 80 მლნ., 164 მლნ., 45 მლნ. და როგორც ადრე, ახლაც ისევე ირწმუნებიან, რომ „თანხები უფრო გაიზრდება“. შევარდნაძის დროს „სრულიად განსაკუთრებულ, ახლო ურთიერთობებს ეყრებოდა საფუძველი“, ახლაც იგივე ითქმის. ყველა „საქართველოს

ეროგული მეგობარია“– ამერიკაც, საფრანგეთიც, რუსეთიც, გერმანიაც. სწორედ ახლა წამოვა ინვესტიციების ნაკადი, სერიოზული ინვესტორები შემოსასვლელად ემზადებიან. უწინაც ამას ამბობდნენ.

ასეთი იგივურობა ძალზე საფუძვლიან ეჭვს წარმოშობს. როდის ჰქონდა აზრი და მნიშვნელობა ამგვარ მსჯელობებს? თუ შევარდნაძის დროს ჰქონდა ასეთ მსჯელობებს მნიშვნელობა, რატომღა იმეორებენ, რომ ყველაფერი სწორედ ახალი ხელისუფლების მოსვლით იწყება? როგორ უნდა გავარკვიოთ სინამდვილე და რის მეშვეობით უნდა მოხდეს ასეთი ვერიფიკაცია? ქართულ საზოგადოებაში ხდება ფამილარობის დაუნდობლობასთან და ანგარებასთან საკვირველი შეთავსება. თან საქვეყნოდ გლახაობს ქართველი და თან ქედმაღლობს. აღარ დაილია ქართული სიბრიყვის ბეღელი. ვის დაკარგვია ქართველი და ვინ ეძებს საქართველოს? რისი განსაკუთრებული ურთიერთობები?

PR-მენეჯერებს ხალხი ძალზე პრიმიტიულად მიაჩნიათ, როცა მას ყოველთვის ასეთი დაპირებებით ასულელებენ, თან სულ ეპირფერებიან მას და ამბობენ, რომ მსოფლიო ქართველებით აღფრთოვანებულია. შეაქებენ მელასა, შეაჭმევენ მძღნერასაო. ასე ემართება ქართველობას. რა ხერხებითაც ხალხს ატყუებდნენ შევარდნაძის მმართველობის 12 წლის მანძილზე, იგივე ხერხები გამოიყენება ახლა. 1992 წლის დასაწყისში ითქმოდა, რომ შევარდნაძე ჩამოსვლისას 5 მლრდ. დოლარს „ჩამოგვიტანდა“, “უკვე მოჰქონდა“. ამერიკელებს ინვესტიციები უნდა მოეწოდებინათ. დასავლურმა სამშენებლო ფირმებმა, თურმე, დანგრეული რუსთაველის პროსპექტის უსასყიდლოდ აღდგენის სურვილი გამოთქვეს. მალე ირანს საქართველოსთვის წელიწადში 2 მლრდ. კუბური მეტრი გაზი უნდა მოეწოდებინა. ვითომ ნავთობის აქციები იყიდებოდა, ვითომ საფონდო ბირჟა ფუძნდებოდა. გამსახურდიას დროს, თურმე, ყალბი თვითმმართველობა იყო და ნამდვილი თვითმმართველობა უნდა დამკვიდრებულიყო. სინამდვილეში, შევარდნაძის საპრეზიდენტო აბსოლუტიზმის პირობებში თვითმმართველობა მრავალი წელი არ არსებობდა. ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის ასეთ დაპირებებს თან

ერთვოდა ამბები, რომ ,მავანს უფლის ანგელოზი გამოეცხადა და ქართველების განსაკუთრებულობის შესახებ რაღაც აუწყა, რომელიღაც საყდარში ხატი ატირდა, მავანთ საქართველოთი მოხიბლული უცხოპლანეტელები ესტუმრნენ. ჰუმანიტარული ტექნოლოგიის ხერხები წლების მანძილზე უფრო იხვეწებოდა პოსტმოდერნის პოსტულატების, ბიჰევიორული ფსიქოლოგიის მიღწევათა გამოყენებით.

რატომ ვერ იცავს ქართული კულტურა, რელიგია ასეთი ყოვლისმომცველი პრიმიტივიზაციისაგან საზოგადოებას? გინდა აღშფოთება გამოთქვა, რომ ასე არ არის, ასე არ იქნება, როგორც ხელისუფლება და მედიაკრატია ამტკიცებს, მაგრამ ადამიანებს სურთ ბედნიერი ტყუილი. ისინი ამას მოითხოვენ. ვინ არის ისეთი, ვინც იტვირთავს წყევლას კეთილისა და ბოროტის გარჩევის გამო?

1992-94 წლების ამ დაპირებათა შესახებ არ იცის ახლანდელი ხელისუფლების მხარდამჭერმა ახალგაზრდობამ. მას სწამს, რომ ყველაფერი ახლა იწყება და რაც დღეს ითქმის, ადრე არ თქმულა. ამ ახალგაზრდობას უფრო დიდი გაწბილება მოელის, ვიდრე ჩემმა თაობამ განიცადა. დღეს ყველა ისევ ახალგაზრდობის სახელით ლაპარაკობს და მას ბევრს ჰპირდებიან, მაგრამ როდესაც ის დიდი ეროვნული სიცრუით გამოწვეულ ბოროტებას შეიცნობს, არავინ ეყოლება მას თავის დარდში თანაზიარი. ყველა მიივიწყებს ახალგაზრდობას, ისე, თითქოს არც არავის ულაპარაკია მასზე. ჩემს თაობას და ამ თაობას საერთო უბედურებაც ვერ დააახლოვებს. ყველანი ერთმანეთისათვის უცხონი და შორებელნი დავრჩებით.

ახალგაზრდობას ახალი ხელისუფლების რელიგიურობა მისი სიმართლისა და უბედურებათაგან თავის დაცვის ურყევ გარანტად მიაჩნია, მაგრამ განა რელიგიური არ იყო შევარდნაძის ხელისუფლება და ეკლესიაც სულ მის გვერდით იდგა?

არ არის მართებული, როდესაც ეკლესია ეთანხმება ახალი პრეზიდენტის მიერ დავით მეფის საფლავზე ფიცის დადებას. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ფიცი დადოს რომანოვების საფლავზე, საფრანგეთის პრეზიდენტმა – ბურბონების საფლავზე, თურქეთის პრეზიდენტმა – სულთნების საფლავზე.

ყველა ბედნიერია ამ უბედურ ქვეყანაში. რჯულის შეჭირვებას საკუთარ შეჭირვებად არავინ მიიჩნევს. ახალი ხელისუფლების მიერ გამოთქმული რადიკალური მსჯელობანი ჩვენგან ასევე საკითხების რადიკალურ დაყენებას მოითხოვს.

ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელნი მიუთითებენ, რომ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრება, სუვერენიტეტის ატრიბუტიკა, საელჩოების გახსნა უცხოეთში, არის ეროვნული მოძრაობის მონაპოვარი. აქ გასარკვევია შემდეგი: ასეთი რამ ყველა ქვეყანამ მოიპოვა, მათაც კი, ვისაც დისიდენტურად არ უბრძოლია (შუა აზიის ქვეყნები). ე.ი. ეს მონაპოვარი ყველა ქვეყანას აქვს, იმის მიუხედავად, იყო თუ არა ამ ქვეყნებში ეროვნული მოძრაობანი. თუ ყველას აქვს ეს მონაპოვარი, აბა, რაღა არის აქ ეროვნული? ქართული ეროვნული მოძრაობის მიზანი უნივერსალურის მოპოვება თუ არის, მაშინ ეროვნული რაღა არის? როგორ უნდა განვჭვრიტოთ აქ ღვთის განზრახვა? როგორ შეიძლება ერთმანეთს შეუთანხმდეს გლობალური ნეოლიბერალიზმის მიზანი და ქრისტიანობის საბოლოო მიზანი ისტორიის დასასრულის შესახებ? ისტორიის რა საზრისსე შეიძლება ვილაპარაკოთ იმის შემდეგ, რაც ვიხილეთ პოსტსაბჭოთა ათწლეულში? მხოლოდ გაურკვევლობას წარმოაჩენს ის, როდესაც ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ცდილობენ რეფორმებსა და რეორგანიზაციაზე, მცირე ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებაზე ლაპარაკით.

რატომ არ შეეწია ღმერთი, მაგალითად, ნოდარ ნათაძის 1996 და შემდგომ წლებში გამოთქმულ რადიკალურ პროტესტს შევარდნაძის წინააღმდეგ და ის შეეწია სწორედ საკაშვილის მიერ გამოთქმულ ასეთსავე პროტესტს? ეს კითხვა აღძრა სწორედ ხელისუფლების მტკიცებებმა, რომ მას ღმერთი იფარავს, ღმერთი უმართავს ხელს.

ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთ ნეგატიური აზრით აღუნიშნავთ, რომ სააკაშვილი არაა ნაციონალისტი, ის დემოკრატია. მაგრამ თუ ეს ითქმის, მსჯელობა უნდა გაგრძელდეს და გაირკვეს, რა აზრით არის სააკაშვილი დემოკრატი და არ არის ნაციონალისტი. მსჯელობაში სააკაშვილის დემოკრატობის შესახებ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი გულისხმობს, რომ დემოკრატია

ნაციონალიზმთან შეუთავსებელია, გულისხმობს, რომ დემოკრატია უსამართლოა, მაგრამ ამას ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი ვერ გამოკვეთს და არ არკვევს. არც ის გარკვეულა დღემდე, როგორ არის შესაძლებელი, რომ დემოკრატიამ მიუთითოს ქრისტიანობაზე.

გამსახურდიას ხელისუფლების დამამხობელნი ამტკიცებდნენ 1992 წელს, რომ ოპოზიციის ქმედებანი ღვთის მადლით აღვსილი იყო.ოპოზიციას ტანკები უკურთხეს მღვდლებმა. მანამდე დისიდენტები ამტკიცებდნენ, რომ ეროვნული მოძრაობა 1989-91 წლებში ბოლშევიზმის მხილებით ღვთის მადლით ივსებოდა. ეკლესია არ ეწინააღმდეგება ამ ცნებათა ასე იოლად გამოყენებას საეროთა მიერ. ის ხშირად მხარს უჭერს ხოლმე ასეთი აზრის დამკვიდრებას, უახლოესი წარსულის მანიქეველურ განმარტებას. მართლმადიდებლობის იდეური დამარცხება თვით მართლმადიდებელთა მიერ შემზადდა. უახლოესი წარსულის (ბოლშევიზმის) რადიკალური გმობით კვლავ ვუბრუნდებით ბოგომილობას და ალბიგოელთა მოძღვრებას. მღვდლის პირითვე უარიყოფა რჯული, როდესაც მის მიერ ითქმის, რომ რუსეთის იმპერია ცარიზმის დროსაც სატანური იყო და ბოლშევიზმის დროსაც სატანური დარჩა. გამოდის, რომ სატანისკენ ისწრაფოდნენ რუსული ორიენტაციის ბაგრატიონები და ქართველი მღვდელთმთავრები, სატანისა იყო ქართული ეკლესია 1801-1918 წლებში. მარქსიზმიც სატანური თუ იყო, მაშინ ქართული ეკლესია 1918-21 წლებში ისევ სატანისა ყოფილა. ასეთ აპოსტასიას ყურადღება აღარ ექცევა.

მანიქეველური თვალსაზრისის დამკვიდრება, სახელდობრ ის, რომ პოლიტიკური კონიუნქტურა (დემოკრატია) კეთილია და ღვთიური, ხოლო კონიუნქტურისაგან მოყივნებული კი – ბოროტი და ეშმაკეული, ქრისტიანობის უარყოფა და უფრო დიდი ბოროტების დამკვიდრების წანამძღვარია. რატომ არ მოგვცა ღმერთმა ნიშანი ისტორიის მანიქეისტური განმარტებისა და, შესაბამისად, ავგუსტინეს „ღვთის ქალაქიდან“ მომდინარე ეკლესიის მამათა მესიანისტური ისტორიზმის უარყოფის გამო? იყო თუ არა საქართველოს ბოლოდროინდელი დაცემა ღვთის რისხვა ასეთი უარყოფისათვის?

როგორი დარტყმა ადგება ქრისტიანობას, როცა დემოკრა-

ტიას შემდგარი მრევლი და სამღვდელონი ამბობდნენ, რომ შევარდნაძე 1992 წლის 7 მარტს ღვთის განზრახვით ჩამოვიდა საქართველოში, ღვთის მფარველობით იგი გადაურჩა ტერაქტებს, ღმერთმა დაიცვა ის 1993 წელს აფხაზეთში, როცა მისი თვითმფრინავი კინაღამ ჩამოაგდეს. ღვთის ნებით არ გადადგა ის 1993 წლის აგვისტოში, დარჩა პოსტზე და ამით საქართველო გადარჩა. ღვთის წყალობით იყო ის, ყველაფრის მიუხედავად, ამდენი წელი ქვეყნის სათავეში. დღეს ამბობენ, რომ 2003 წლის ნოემბრის აქციები და ახალი ხელისუფლების მოსვლა ღვთის განზრახვით მოხდა. ე.ი. ისიც ღვთის მიერ იყო, რაც დღეს იგმობა ყველას მიერ და რაც იგმობოდა ჯერ კიდევ 1996-2001 წლებში და ისიც ღვთის მიერ არის, რაც ნოემბრის აქციების შემდეგ დამკვიდრდა. ეს იმ დასკვნამდე მიგვიყვანს, რომ ღმერთი არაა სიკეთის წყარო, რომ ის ბოროტი და მატყუარაა.

არამც და არამც არ უნდა ითქვას ის, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლა და ძველის წასვლა მოხდა ღვთის განზრახვით. ვისაც ესმის ქრისტიანული წმინდა ისტორიზმი, ის არ შეიძლება არ დაგვეთანხმოს, რომ ამის თქმა არ შეიძლება.

ახალი ხელისუფლების თანახმად, საქართველო შევარდნაძის დროს ისტორიის ობიექტი იყო და აი, ახლა იქცა ისტორიის სუბიექტად. ეს არის იმის უარყოფა, რაც ითქმოდა შევარდნაძის 12-წლიანი მმართველობის დროს. 1992 წელსაც ამბობდნენ, რომ გამსახურდიას დამხობით ქართველი ხალხი ისტორიის სუბიექტად იქცა. შევარდნაძის დროს მრავალი წელი საგულდაგულოდ ირწმუნებოდნენ, რომ დემოკრატია და შევარდნაძე ყველაფერია. აღმოჩნდა, რომ არაფრობა იყო ის, რაც ყველაფრობად იყო წარმოჩენილი. აღმოჩნდა, რომ სიყალბე იყო ათასობით ადამიანის მიერ წარმართული სახელისუფლო კამპანია. დღეს ახალი ხელისუფლება იწყებს მტკიცებას, რომ სწორედ ის და მისი ნათქვამია ყველაფერი.

სომეხ პავლიკიანელებთან (IX ს.) და ბულგარელ ბოგომილებთან (X ს.) მძიმე იდეურ ბრძოლაში ჯაფადამდგარი ბიზანტიელები უფრთხოდნენ ასე პირდაპირ თქმას, რომ იმპერიაში რაღაცა ცუდი ღვთის განზრახვით მოხდა. დღევანდელი ადამიანი რატომღა ამტკიცებს ასე გადაჭრით,

რომ ბოლშევიზმი სატანიზმია, გამსახურდია სატანა იყო, შევარდნაძე სატანა იყო, ბურჯანაძე სატანაა. აბა, ღმერთს რაღა რჩება? მრევლი მრავალი წელი ამტკიცებდა, რომ შევარდნაძე სატანა იყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ეკლესია ამდენი წელი სატანის ხელისუფლებას უჭერდა მხარს.

ასე ადვილი არაა ბოროტების ისეთი კონცენტრაციის დაგვიწყება, რაც შევარდნაძის დროს განხორციელდა. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ეს ისევე უნდა აქციოს საგანგებო ყურადღების საგნად, როგორც მღვდელმა. არ შეიძლება სიძნელისაგან თავის დაძვრენა იმის თქმით, რომ „ღმერთი სიყვარულია“. განათლებულ ადამიანს ეს არ ეპატიება.

თუ თანამედროვე ქართველი დემოკრატი, ე.ი. სეკულარისტია, რატომღა განსჯის ის წარსულსა თუ აწმყოს რელიგიური კრიტერიუმებით, ისე, თითქოს იგი შუა საუკუნეების ადამიანი ყოფილიყოს?

თუ ეშმაკისა იყო განვლილი 12 წელი, ღმერთი რაღას იქმდა? მორწმუნენი რას იქმოდნენ ამდენი ხნის განმავლობაში? შეიძლება დავასკვნათ, რომ რესენტიმენტულ სულს ოღონდ ვინმეს განქიქების შესაძლებლობა ყოველთვის ჰქონდეს და ეშმაკსაც წაუღია ეკლესიის მამათა სწავლებაც, მესიანისტური ისტორიზმიც და თავად ეშმაკიც.

ავგუსტინეს და მანამდე ორიგენეს დროიდან ღვთისმეტყველების მარადიული სიძნელე ისაა, რომ ერომანეოს შეათანხმოს ღმერთის ყოვლისშემძლეობა და კაცის ნამოქმედარი. ავგუსტინეს გავლენით ამტკიცებდნენ იანსენისტები XVII საუკუნეში, რომ მხოლოდ ღვთის წყალობით არის შესაძლებელი ხსნა. ამის გამო პაპმა ურბან VIII-ემ (1623-1644) დაწყევლა ავგუსტინე. შემდეგ ის კვლავ დააბრუნეს კათოლიკური ეკლესიის წიაღში. ამ საკითხში ავგუსტინეს უკიდურესობას უახლოვდება ჟან კალვინის უკიდურესობა. ღვთისმეტყველების ამ მარადიული სიძნელის ეკლესიის დოქტრინის ფარგლებში გადაწყვეტა ძალზე ჭირს. ამ გარემოებამ გამოიწვია მრავალი ერესის წარმოშობა.

ბიზანტიური თეოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენლის იოანე დამასკელის (675-753 წწ.) თანახმად, ღმერთი ყოველივეს განჭვრეტს, მაგრამ არა წინასწარ განსაზღვრავს ყოველივეს.

კაცის ნამოქმედარი მისივე თავისუფალი ნებიდანაა გამომდინარე. ბიზანტიური თეოლოგია მთელი მისი არსებობის მანძილზე იოანე დამასკელის ამ აზრს ეყრდნობოდა.

როდესაც ითქმის, რომ ბოლშევიკური 70 წელი სატანის მეუფება იყო, ეს ღვთის ყოვლისშემძლეობისა და ბიზანტიური ღვთისმეტყველების უარყოფაა. კაცის თავისუფლებასა და ღვთის ყოვლისშემძლეობის შეთანხმებასთან უშუალოდ დაკავშირებულია განგებისა და ბედისწერის საკითხები.

ჩვენთვის, როგორც პოსტბოლშევიკური ეპოქის თაობისათვის, ისტორიის ფილოსოფიის გააზრებაში ცენტრალურ კითხვად უნდა იქცეს ის, შეიძლება კი რევოლუციის სახით ღვთის ნება ვლინდებოდეს? ახლანდელი ხელისუფლება საკუთარი პოლიტიკური პროტესტაციის შესახებ სწორედ ამას ამტკიცებს და დღესვე იწყებს საკუთარი აპოლოგეტიკის შექმნას ისტორიოგრაფიაში. 2003 წლის ნოემბრის რევოლუცია ღვთიურად იქნა მიჩნეული, მაგრამ ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში უკვე დამკვიდრებულია აზრი, რომ 1917 წლის ბოლშევიკური რევოლუცია, ისევე, როგორც 1789 წლის საფრანგეთის რევოლუცია და საერთოდ რევოლუციონიზმი ეშმაკეულია. თვით რევოლუციის ცნება იქნა დაგმობილი საზოგადოებრივ აზროვნებაში. ამავე დროს, საზოგადოებრივ აზროვნებას ანდამატივით იზიდავს ეს ცნება.

ბიზანტიის დაცემა ყველა მართლმადიდებლისათვის სამუდამო მუნათია. გვსურს თუ არ გვსურს, უნდა ვთქვათ, რომ ბიზანტიური საღვთო უნივერსალიზმის შერიგება კალვინისტურ ამერიკანოცენტრიზმის უნივერსალიზმთან შეუძლებელია. ის, რაც მოხდა პოსტსაბჭოთა ათწლეულში, მხოლოდ განამტკიცებს ჩვენს მსჯელობას. ამ ვითარებას ვერ დაფარავს სეკულარისტული ფრაზიორობის კასკადები, ლაპარაკი რეფორმებსა და ინვესტიციებზე.

ქართველ დემოკრატთა ლიბერალური დისკურსი არის მცდელობა, როგორმე თავი დაიხსნან ამ ვითარების სიმძიმისაგან, როგორმე დაფარონ ორი უნივერსალიზმის შერიგების შეუძლებლობა. ვთქვათ პირდაპირ, რომ ბევრ ქართველ მედასავლეთეს ემძიმება მართლმადიდებლობა, მაგრამ ვერ ამბობს ამას და თავს აჩვენებს მერჯულედ. რჯულის სიმძიმით

უკმაყოფილებას კი ის გამოხატავს რუსეთის ისტორიის გმობაში. დემოკრატები და რუსეთის მძრახველობას აყოლილი უცოდინარი ადამიანები ამტკიცებენ, რომ რუსეთმა მიითვისა ბიზანტიური იდეა, რომ რუსეთმა თვითნებურად გამოაცხადა თავი ბიზანტიის მემკვიდრედ და მიიტაცა ბიზანტიური სიმბოლიკა. რუსეთის ისტორიის გმობა და მართლმადიდებლობისათვის ლიბერალური სამსჯავროს მოწყობა მედიასა და მეცნიერებაში დასავლეთის მიერაა წამოწყებული.

ქართველ მედასავლეთეთა ბანაკი არ სცნობს რუსულ რელიგიურობას და მისთვის გაცილებით იოლდება საქმე, როდესაც ის ლაპარაკობს ბიზანტიური იდეის რუსეთის მიერ მიტაცებაზე. თუ ამ მსჯელობას გავყვებით, მაშინ ისიც შეიძლება ვთქვათ, რომ ბიზანტია ოიკუმენის საზღვრებში შემოჭრილ ბარბაროს ტომთა შორის მტრობის ჩამოგდებით, ეშმაკობით, ომითა თუ ტკბილი კვერით ცდილობდა რჯულის გავრცელებასა და განმტკიცებას, იმპერიის შენარჩუნებას. ამის შემდეგ კი შეგვიძლია დავგმოთ ბიზანტიზმი, როგორც უზნეო, ავტორიტარული და ტოტალიტარული იდეა.

ქვეყნის კათოლიციზმზე გადასვლის გამოუთქმელი სურვილი ბევრს აქვს. ვატიკანთან რაღაც ფარული გარიგებების დადების მცდელობანი ამ სურვილის შესახებ მეტყველებს. ქართველს სტერილიზებული და კონსიუმერული მართლმადიდებლობაც კი ემძიმება. ვითარება კიდევ უფრო სავალალო ხდება პრინციპულ საკითხებზე ქართული ეკლესიის გაურკვეველი და ნაგვიანევად გამოხატული პოზიციის გამო. ეკლესია ხშირად დანაშაულზე წასწრებულივით მსჯელობს. მის ნათქვამში არ ჩანს დარწმუნებულობა.

ლიბერალიზებულ ქართულ საზოგადოებაში არაა გააზრებული, რომ ბიზანტიური იდეა ცოცხლობს და გავლენას ახდენს ჩვენს ცნობიერებაზე. კონსტანტინოპოლი, როგორც დაკარგული სულიერი სამშობლო, მორწმუნეთათვის, იმპერიულ ადამიანთათვის ყოველთვის გულის ჭრილობა და ენით გამოუთქმელი მოლოდინია. ამ ჭრილობას ვერ უწამლებს ლიბერალიზმის დაპირებანი. ის სულ სხვაა, ის სრულიად შეუძლებლის იმედია.

ბიზანტიის იდეა ცოცხლობდა ბოლშევიზმში და ბოლშევიზმი იცავდა მისგანვე დევნილ რუსულ ეკლესიას. ბოლშევიზმი და მოეული რუსული განმანათლებლობა საერო ბიზანტიელობაა. ამიტომ არ სცნო დასავლეთმა საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ რუსული განმანათლებლობის მიღწევები ევრაზიაში და ბოლშევიკების ნდობაც ბოროტად იქნა გამოყენებული დასავლური ბანაკის მიერ.

ქართველ მედასავლეთეებს არ სურთ იმის დანახვა, რომ რუსული განმანათლებლობა, ბოლშევიზმის ჩათვლით არის სეკულარული ბიზანტიური იდეა, რომელმაც საქართველო ევროპეიზებულ ქვეყნად აქცია. ქართული მენშევიზმი ამ სეკულარული ბიზანტიზმის ნაწილია. საქართველოში ბოლშევიზმის გმობამ იმიტომ მიიღო ასეთი ხანგრძლივი და შიზოფრენიული ხასიათი, რომ ამით ქართველი მედასავლეთე ბიზანტიის იდეის შეფარული უარყოფის შესაძლებლობას ახორციელებს. საქართველოში ლიბერალიზმის აპოლოგიასთან ერთად რომ მართლმადიდებლობის ფილეტიზაცია მიმდინარეობს, ესეც ბიზანტიის იდეის უარყოფის ერთგვარი ხერხია.

ქართველი დემოკრატები ირონიულად ურჩევენ რუსეთს, რომ დათმოს „იმპერიული ამბიციები“ და დემოკრატიული ცხოვრება დაიწყოს. ამ დროს დემოკრატები აღარ ამბობენ, რომ დასავლეთი იმავე საიმპერიო უნივერსალიზმისათვის იბრძვის.

ევროინტეგრაცია არ დაიახლოვებს მართლმადიდებლურ საქართველოს. საუკუნეების სიღრმიდან მომდინარე რელიგიურ მტრობას ლიბერალურ ღირებულებებზე ლაპარაკი ვერ ანეიტრალებს. იმპერიული მიზნისათვის რომი და კონსტანტინოპოლი ერთმანეთს იმპერატორ ოტონ I-ის (912-973 წწ.) დროიდან და უფრო ადრე ეცილებოდნენ.

ევროგაერთიანება სეკულარისტულია, მაგრამ ის ინარჩუნებს ანტაგონიზმს ბიზანტიური იდეის მიმართ, რაც გამოიხატება მართლმადიდებლობის რუსული ტოტალიტარიზმის წყაროდ მიჩნევაში. ამას მრავალი დასავლელი მეცნიერი ამტკიცებს. აღარ არის ბოლშევიზმი, მაგრამ ლიბერალიზებული რუსეთის ძაგება ახლა მისი მართლმადიდებლობის გამო მიმდინარეობს დასავლეთში.

ქართველ მედასავლეთეებს იზიდავს ლიბერალიზმის მიერ

მოთვინიერებული კათოლიციზმი. ჭეშმარიტი კათოლიციზმი მართლმადიდებლობის მსგავსად ვერ ეთანხმება ნეოლიბერალიზმის ღირებულებებს. ლიბერალიზმის მიერ კათოლიციზმის მოთვინიერებას ხელი შეუწყო საბჭოთა ბანაკის არსებობამ და მისმა ექსპანსიურმა ათეისტურმა იდეოლოგიამ. მოთვინიერებამდე კათოლიციზმიც ისევე იქნა გაკიცლული ლიბერალურ სამსჯავროზე, როგორც დღეს მართლმადიდებლობას კილავენ. საქმე მხოლოდ მართლმადიდებლობის მოთვინიერებას არ ეხება. დასავლეთმა საგანმანათლებლო უნივერსალიზმის შეკვეცა დაიწყო და გლობალიზმის სახით მისი მონოპოლიზება მოახდინა. დასავლეთისათვის იდეოლოგიურად ძალზე ხელსაყრელია პოსტსაბჭოთა დემოკრატების მიერ რევოლუციონიზმის სატანიზმად მიჩნევა და საერთოდ უახლოესი წარსულის მანიქეისტურ-ბოგომილური ინტერპრეტაცია. დასავლეთისათვის ხელსაყრელია ის, რომ მართლმადიდებლობა ფილოსოფიას ამრეზით უცქერს და პავლე მოციქულის სულისკვეთებას ინარჩუნებს ამ საკითხში. მართლმადიდებლობის საერო აზროვნების მონაპოვართაგან, ამა სოფლის სიბრძნისაგან დისტანცირება დასავლეთს უფრო მეტ უპირატესობას აძლევს. მას აქვს ერთობ ქმედითი კონცეპტუალური აპარატი, რომლის საშუალებითაც მოკავშირეებს იძენს.

ჰეგელი განმანათლებლობაში მისი ათეიზმისა და ანტიმონარქიზმის მიუხედავად, ღვთის ნების გამოვლინებას ხედავდა და ისევ მონარქიის აპოლოგიამდე მიდიოდა. ჰეგელს მონარქისტობის მიუხედავად არ უთქვამს, რომ რევოლუციონიზმი და განმანათლებლობა სატანურია.

რისთვის გვინდა ჩვენ ყოველივე ამის ცოდნა? იმისთვის, რომ დავრწმუნდეთ: ლიბერალიზმის ღირებულებათა შესახებ ლაპარაკი არის ძველისძველი ანტაგონიზმის შენიღბვა სეკულარული ცნებების სოფისტური გამოყენებით. ამის შემეცნებას ბევრი ადამიანი თავს არიდებს იმიტომ, რომ ის აბათილებს ლიბერალიზმის ყველა დანაპირებს ბედნიერი ცხოვრების შესახებ. ეს შემეცნება ადამიანს სხვაგვარი ცხოვრებისაკენ მოუწოდებს. ადამიანს ურჩევნია მიჰყვეს სიცრუეს, რათა არ მოუხდეს ფიქრით შეწუხება. ახალი ხელისუფლების მეხოტბეობა ამ უთქმელი მისწრაფების გამოვლინებაა, სინამდვილისაგან

გაქცევის მწველი სურვილია. ისტორია გრძელდება და ლიბერალიზმი არაა ყოველივეს ბედნიერად დასრულების წანამძღვარი.

ბევრის მეტყველია, როდესაც განზრახ აღარ ითქმის, რომ ქრისტიანული იმპერია (ბასილეია) და მსოფლიო ეკლესია მართლმადიდებლურ სწავლებაში განუყოფელია. ეს არის რჯულის ფუნდამენტი და უპირველესი ტრადიცია. სადაც ბასილეიაა, სადაც რომაიზმია, მსოფლიო ეკლესიაც იქ უნდა იყოს, და პირიქით. ვინ უნდა იქნეს აღიარებული ბიზანტიური იდეის დამცველად? რუსეთის დაცინვას, მის მიერ რომაიზმის დაცვის გამო, ბოლოს რჯულის უარყოფამდე მივყავართ, რაც თავიდან ვერ იქნება აცილებული რჯულის ფილეტიზაციით.

* * * *

ნოემბრის მოვლენები ინდივიდუალისტი მოქალაქისათვის არის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლა, მაგრამ რა შეიძლება იყოს ის ნამდვილი ქრისტიანისთვის? თუ ინდივიდუალისტი მიმხმარებელი ამ მოვლენებში ხედავს რაციონალურ განზრახვას, ქრისტიანი როგორ უნდა ხედავდეს მათში და საერთოდ საქართველოს უახლოეს წარსულში ღვთის განზრახვას?

ყოველი მორიგი კონიუნქტურული მეხოტბეობა და მთლიანად საზოგადოებრივი აზროვნება ქვეყნის მძიმე წარსულის ნეიტრალიზებისკენაა მიმართული, მაგრამ ძნელია იმის რაციონალურად ახსნა, თუ როგორ ხდება წარსულის აჩრდილთა აწმყოში მატერიალიზება. საზოგადოება ცრუსიტყვაობითა და თეატრალობით ცდილობს თავის გატანას იქ, სადაც რუტინული მუშაობაა საჭირო. მარცხიანი წარსულის ნეიტრალიზება ვერ ხერხდება და ყოველთვის ისე ხდება, რომ პაპის ნაჭამი ტყემალი შვილიშვილს სჭრის კბილს. ეს არის ქართული სინამდვილის Ding an sich. დაცემის სიღრმე ისეთია, რომ მისი გადმოცემისა და განსჯისათვის საკმარისი აღარაა ხოლმე ასეთი სიტყვები, როგორიცაა ავაზაკი, მოღალატე. რაც სოციალურ რუდიმენტად მიიჩნეოდა, სინამდვილეში ის ორიმენტი აღმოჩნდა. დისფუნქციასთან გვაქვს ხოლმე საქმე და ისტო-

რიულ გარღვევაზე კი გვესაუბრებიან. საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმათა მუდმივი ჩამოუყალიბებლობა სოციალური ონტოგენეზის ხანგრძლივ შეყოვნებას იწვევს. ამას მოსდევს პოლიტიკური დისკურსის დაუსრულებელი კვანტიფიკაცია, ინტელექტუალური პარაზიტიზმი და ყოვლად გაუმართლებელი ნაივურობა. „ქართული პოლიტიკური აზროვნება ძალიან გულუბრყვილოა“, – აღნიშნავდა აკაკი ბაქრაძე. ძნელი ასახსნელია, თუ როგორ არსებობს პოლიტიკური გულუბრყვილობა ზნედაცემულობისა და სრული სკეპსისის პირობებში. ქართული პლურალიზმის რეზინის კედლები დაუსრულებლად იწელება. თუ ყველაფერი პრაგმატულობაზეა დამყარებული, რატომღა მტკიცდება ყოველთვის, რომ საქართველოს უანგაროდ დაეხმარებიან?

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ შემმეცნებლის წინაშე დგება პოლიტიკური არჩევანისა და ამ არჩევანის დასაბუთების რთული საკითხი. საქართველოში არასდროს არის ისე, რომ რაიმე კეთდებოდეს დიდი ხინჯისა და ძალადობის გარეშე. ისევ ისე „ყველა ცრუი, ყველა ტყუი“ არის და სიმართლის გასაკეთები საქმე გააკეთა მხსნელმა სიცრუემ.

მეოთხე რესპუბლიკის დასაწყისი საქართველოში იმითაა მნიშვნელოვანი, რომ 1992 წლიდან კვლავ ქვეყნის სათავეში მოსული, მარაზმში მყოფი საბჭოთა ნომენკლატურა, როგორც იქნა, ჩამოსცილდა ხელისუფლებას. აქაც ეროვნული მოძრაობის გასაკეთებელი გააკეთა სააკაშვილის ნაციონალურმა მოძრაობამ.

გინდა დაიჯერო, რომ ნოემბერში დიდი ზნეობრივი მოვლენის მომსწრენი გავხდით, მაგრამ მეექვსე მოწვევის პარლამენტის სხდომები ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს არაფერი მომხდარა. თითქმის მთელი სადეპუტატო კორპუსი ისევ იმ ადამიანებისაგან შედგება, ვინც მრავალი წელი იყო პარლამენტსა და მთავრობაში. ეს ვითარებაც აბათილებს იმ აზრს, რომ ქვეყანაში რევოლუცია მოხდა. რევოლუციები ასე არ ხდება. რევოლუციონერები ასეთები არ არიან.

ძალზე ბევრი ადამიანისათვის პოლიტიკოსობა და პოლიტოლოგობა არის დიაგნოზი. ისევ ისე დაიწყება გადარბენა–გადმორბენა მთავრობიდან პარლამენტში და

პირიქით. კვლავ გაჩნდებიან სამსახურიდან გამოქცეული მინისტრები, სამუშაოთი თავმობეზრებული უწყებათა მმართველები. ეს რევოლუციონერები მალე სააკაშვილის ოპოზიციად გადაიქცევიან.

სიცრუის ისეთი მარცვლები დაითესა საზოგადოებაში, მცირე ხანში გაუვალ ტევრად რომ გადაიქცევა.

ინტელიგენცია, მედიაკრატია და რევოლუცია

წერილი პირველი*

ნოემბრის მოვლენებმა დასავლური კოსმოპოლიტური კაპიტალისა და გლობალური ეკონომიკური ძალაუფლების დიდი ძალმოსილება წარმოაჩინა. ამან კვლავ დაგვაყენა ისტორიულ-ფილოსოფიური რეფლექსიის აუცილებლობის წინაშე, რათა შევძლოთ გარკვევა იმაში, რაც მედიაკრატიის მიერ ფართო აუდიტორიას მიეწოდება როგორც ფატალური საბოლოო ჭეშმარიტება, როგორც ისტორიის დასასრული.

ნოემბრის რევოლუცია ბურჟუაზიული ხასიათის მქონე იყო, რომელიც მოაწყო ტრანსნაციონალურმა სავახშო კაპიტალმა ყოველგვარი მალვა-ფარვის გარეშე. ასეთი მსჯელობის გამო განათლებულ მკითხველს გაეცინება და მას მარქსიზმის დებულებები გაახსენდება. სასაცილოდ სულაც არაა საქმე. როგორ მოხდა, რომ კაპიტალიზმი, რომელიც ყოველთვის უფრთხოდა რევოლუციას, რაც ჩვენ ვიცით ევროპული და რუსული რევოლუციონიზმის ისტორიიდან, თვითონ იქცა რევოლუციის ინიციატორად? ეს ფაქტი დაგვანახებს, რომ რაღაც ძირეულად შეიცვალა კაპიტალის და შრომის ურთიერთობაში, რაც მარქსიზმის გმობისა და ლიბერალიზმის აპოლოგიით გატაცებულთ ყურადღების მიღმა დარჩათ.

ცრუ რელიგიურობისა და ზედაპირულობის გამო ევროპული განმანათლებლობისა და რევოლუციონიზმის, ასევე შრომის ფილოსოფიის სოტერიოლოგიური და ესქატოლოგიური

---

* პირველად გამოქვეყნდა ყოველკვირეულ გაზეთ "ახ. 7 დღეში" (28 მაისი-3 ივნისი, 2004 წ.).

მნიშვნელობა საზოგადოებისათვის გაუგებარი დარჩა. შესაბამისად, მისთვის გაუგებარია ამერიკული პროტესტანტული ფუნდამენტალიზმის მიერ კაპიტალისათვის ბოლო ჟამის მხსნელის მნიშვნელობის მინიჭება. ნეოლიბერალიზმისათვის პლანეტარული სიმონია არის უნივერსული პასუხი ყველა საკითხზე.

რატომ და როგორ იყენებს ნეოლიბერალიზმი თავისი ზრახვებისათვის ხალხისა და რევოლუციის ცნებებს, როდესაც ის ორივე მათგანის მიმართ ისტორიულად ანტაგონისტურია? გამოდის, რომ ნეოლიბერალიზმმა, გლობალურმა ეკონომიკურმა ძალაუფლებამ ამ ცნებებს არსი გამოაცალა, მათი დესემანტიზაცია მოახდინა და ახლა მათ მანიპულაციურ ტექნოლოგიებში იყენებს. სხვაგვარად ლიბერალ-კაპიტალიზმი ამ ცნებებს არ გამოიყენებდა. დავაკვირდეთ რა ხდება: ხალხისა და რევოლუციის ცნებებს იგი ყოველთვის ერთად იყენებს. აქედან ჩანს, რომ არა მხოლოდ სოციალიზმისაოვის, არამედ ლიბერალიზმისათვისაც ხალხისა და რევოლუციის ურთიერთმიმართებანი ძალზე მნიშვნელოვანია და სულაც არაა ისე, როგორც ამის შესახებ ითქვა 90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის დროიდან. ლიბერალიზმის დასავლელმა იდეოლოგმა ეს იცის. მისი მზაკვრობა დიდი სამეცნიერო განსწავლულობიდანაა მომდინარე. დივერსიისა და დეზორიენტაციის მიზნით ლიბერალიზმის იდეოლოგი ასეთ ხერხს მიმართავს: როდესაც სოციალიზმი იყენებდა ხალხისა და რევოლუციის ცნებებს, ლიბერალური ბანაკი მათ უმნიშვნელობასა და ცდომილებაზე მიუთითებდა. ის სოციალიზმის უკიდურესობებზე ყურადღების გამახვილებით ცდილობდა დამაჯერებელი ნეგაციის შექმნას. ამის მიუხედავად, სათავისო საჭიროებისათვის ლიბერალიზმს ორივე ცნება (ხალხი და რევოლუცია) ხშირად გამოუყენებია XX საუკუნის 70-იან წლებში და შემდგომ.

ხალხისა და რევოლუციის მნიშვნელობათა გაგებაში ხელი არ უნდა შეგვიშალოს იმან, რომ საბჭოთა მმართველობის დროს ეს სიტყვები გაყალბდა და ყოვლად უაზროდ გამოიყენებოდა, რამაც თავის ზენიტს მიაღწია გორბაჩოვისეულ გარდაქმნის დოქტრინაში. დიდი აზრის მქონე ეს სიტყვები - ხალხი და რევოლუცია, რომელთა გარეშე ევროპული ანტიფეოდალური და ანტიბურჟუაზიული ბრძოლის ისტორია წარმოუდგენელია,

გორბაჩოვის დროს მოსასმენადაც გაუსაძლისი გახდა. ისინი ყბედობას გადააყოლეს.

ევოლუცია და ხალხი არ გამოიყენება ერთად იმიტომ, რომ ევოლუციის ცნება იდეურ ექსტაზისს, პეროიზმს გამორიცხავს. ევოლუცია თავისი მნიშვნელობით უფრო ახლოს დგას საფეხურებრივ გამოთვლასთან და პრაგმატიზმთან.

ხალხის ნამდვილი ყოფიერება ვლინდება რევოლუციურ ექსტაზირებაში. უკვე ხალხის ცნება გულისხმობს იდეურ ექსტაზს. დასავლეთმა ეს იცის. მას ახსოვს საკუთარი რევოლუციები. კრიტიკულ მომენტებში ყოვლისმომცველი გაუცხოების დაძლევისათვის ის შეგნებულად იყენებს ხალხის და რევოლუციის ცნებებს. ყველა სხვა შემთხვევაში ლიბერალური დასავლეთი ორივე ცნების გადაჭრით უარმყოფელია და მათ ცვლის ინდივიდისა და რეფორმების ცნებებით. კაპიტალი ცდილობს ხოლმე სასიცოცხლო ძალა მიიღოს ანტაგონისტური ცნებებიდან - ხალხი და რევოლუცია.

რევოლუციას უნდა უმადლოდეს თავის წარმოშობას ლიბერალიზმი. ის ისევეა რევოლუციის პირმშო, როგორც სოციალიზმი. ბურჟუა და მოჯანყე ქალაქელი ბოგანო ერთად არიან რევოლუციის მემკვიდრენი. ორთავენი, კაპიტალისტი და დაქირავებული მუშა, თანაბრად არიან რევოლუციის შვილები. ბურჟუა, კაპიტალისტი კონტრრევოლუციონერი ხდება, მუშა კი აგრძელებს რევოლუციას. გუშინ ბურჟუა ფეოდალებს ებრძოდა, დღეს კი ფეოდალიზმის მოკავშირე ხდება რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. რევოლუციას მუშასთან ერთად ნონკონფორმისტი მოაზროვნენი აგრძელებენ.

თანამედროვე ევროპის ისტორია ეყრდნობა რევოლუციური ხალხის ბრძოლას ფეოდალიზმის და შემდგომ ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ხალხმა შექმნა რევოლუციური იდეურობა და აღმაფრენა და არა დისკრეტული ინდივიდების მექანიკურმა ჯამმა, არა სოციალური ატომების კონგლომერატმა. რევოლუციური ხალხის იდეურობამ მოიძია ისტორიის ახალი ჰორიზონტები და შექმნა ისტორიული დრო, შექმნა მომავალი, რითაც ჩვენ ყველანი დღეს ვსარგებლობთ.

ნებისმიერი დისკურსი რევოლუციის, კაპიტალის თუ შრომის შესახებ ყოველივე ზემოაღნიშნულს არ უნდა ივიწყებდეს. ის

მას მუდამ მხედველობაში უნდა ჰქონდეს როგორც ამოსავალი დებულება და მისი იგნორაცია რელიგიის ან სამშობლოს სახელით გაუმართლებელია.

ძალიან ცუდია, როდესაც ხალხისა და რევოლუციის ცნებათა ხშირი ხსენება ინტელიგენციაში არ აღძრავს აზრს, არ იწვევს ძველ მსჯელობათა გადახედვას. ყველაფერი ისევ ისე ინერტული, ტრაფარეტული და ფამილარული რჩება. ჩვენი ინტელიგენცია კონცეპტუალურ განზოგადებებს შეგნებულად გაურბის, მაგრამ ამის მიუხედავად, ყოველთვის კატეგორიულ შეფასებებს იძლევა. ეს წარმოშობს მრავალ შეცდომილებასა და გაუგებრობას.

ძნელია დავასახელოთ XIX - XX საუკუნეების მიჯნაზე მყოფი ისეთი ქართველი რევოლუციონერი (მარქსისტი, ანარქისტი, სოციალ-ფედერალისტი და სხვ.), ვინც რევოლუციის იდეას მეტაფიზიკურად, გნოსტიკურად, ფილოსოფიურად და ისტორიოსოფიულად გაიაზრებდა. ცარისტული იმპერიის პროვინციათაგან საქართველოს მაზრები რევოლუციური აქტივობით გამოირჩეოდა, მაგრამ ამ აქტივობას არ გააჩნდა საკუთარ ნიადაგზე შექმნილი თეორიული საფუძვლები. მთლიანობაში საგაზეთო აყალმაყალის დონეს ქართული რევოლუციონიზმი არ გასცილებია. ბევრის მთქმელი არაა ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელის, ვარლამ ჩერქეზიშვილის, ირაკლი წერეთელის და სხვათა ნააზრევი. XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მოკავშირე რესპუბლიკათაგან საქართველო მასობრივი პოლიტიკური აქტივობით გამოირჩეოდა, მაგრამ ამ აქტივობამ ვერ შექმნა სოლიდური საისტორიო და პოლიტიკური რეფლექსია. მთლიანობაში შეიქმნა მხოლოდ ჰიპერტროფირებული პუბლიცისტიკა, მაგრამ არა მკაცრი, რაციონალური განაზრებანი.

საქართველოს არ ჰყოლია და არა ჰყავს ანტიბურჟუაზიული სულის მქონე ისეთი დისიდენტები, როგორებიც იყვნენ ჟან პოლ სარტრი, ალბერ კამიუ, გი დებორი, რეჟი დებრე და სხვანი. არც ისეთი ანტისაბჭოთა დისიდენტები, როგორებიც იყვნენ ალექსანდრ სოლჟენიცინი, გრიგორი პომერანცი, მიხაილ აგურსკი და სხვანი. ჩვენი დისიდენტების პოლიტიკური განსჯა ძირითადად მზა ფორმათა გამოყენებასა და კონიუნქტურულ

კლიშეთა გავრცელებას ეყრდნობოდა. დასავლური კონტექსტიდან ამოგლეჯილმა და ქართულ გარემოში გადმოტანილმა პოლიტიკურმა თუ ფილოსოფიურმა ცნებებმა მხოლოდ გაუგებრობათა გამრავლებას შეუწყო ხელი.

XX საუკუნის 60-იანი წლების ანტიბურჟუაზიულ აჯანყებასთან იმ დროის მრავალი ევროპელი მოაზროვნე გარკვეულ მიმართებაში იმყოფება. 60 - 70-იანი წლების მიჯნაზე მდგარ ნონკონფორმისტ მოაზროვნეთა ნაშრომები ეხება კაპიტალისა და შრომის ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტებს. 60 - 70-იანი წლების დისიდენტური კონტრკულტურული და ორიენტალისტური პროტესტი მიზნად ისახავს ეკონომოცენტრიზმის დაძლევას, რაც ერთნაირად ახასიათებს ლიბერალიზმსაც და მარქსიზმსაც. მარქსიზმის დამარცხების შემდეგ ლიბერალიზმმა კაპიტალის ეკონომოცენტრიზმი შრომის ეკონომოცენტრიზმის საპირისპიროდ აბსოლუტურ ფაქტორად აქცია. კაპიტალის ეკონომოცენტრიზმი ლიბერალიზმმა დასავლური აზროვნების გენერალურ თეზისად დასახა და უკანა პლანზე დასწია კულტუროლოგიური, რელიგიური და სხვა განსჯანი. ამას ხელი ვერ შეუშალა ევროპული ფილოსოფიური ანთროპოლოგიის, ფენომენოლოგიის, რელიგიური ფილოსოფიის, ექსისტენციალიზმის უდიდესმა მონაპოვრებმა. ყოველივე ეს კაპიტალისათვის, ბურჟუაზიისათვის (ბიზნესმენთათვის) მეორეხარისხოვანი დარჩა. საბაზრო ეკონომიკის სახელით უარიყო ნებისმიერი კულტუროცენტრიზმი და რელიგიოცენტრიზმი.

ნუ მოგვატყუებს აქ თანამედროვე ევროპული კათოლიკური თუ პროტესტანტული ღვთისმეტყველების მიღწევანი, რელიგიურ-ფილოსოფიური სინთეზის ნიმუშები, ეკუმენისტური მოძრაობის გაშლა. ყოველივე ეს ვერ აკავებს ეკონომიკური ძალაუფლების პრეტენზიებს ყოვლისმომცველობაზე, ვერ აკავებს კაპიტალის პლანეტარულ აბსოლუტიზაციას. მეოთხე ხელისუფლებად წოდებული მედიაკრატია მოგვიწოდებს მივიღოთ ეს როგორც ბედისწერა. ეს არის ლიბერტარიზმისა და გლობალიზმის ძალზე დახვეწილი ონტოლოგიური შენატყუარი, რომელთან ბრძოლა უნივერსიტეტს და ინტელიგენციას ისევე მართებს, როგორც ეკლესიას.

ევროპული ქრისტიან-დემოკრატია და სოციალ-დემოკრატია

თავისი ხელისუფლებაში მოსვლით დავალებული იყო 60-70-იანი წლების დისიდენტობისაგან. ისინი, ისევე როგორც ევროპული როიალისტური და კონსერვატორული ორგანიზაციები, ვერ ებრძვიან კაპიტალის აბსოლუტიზაციას. ევროპის მრავალი ქვეყნის სათავეში სოციალისტების მრავალწლიანი ყოფნა არ ნიშნავს, რომ ისინი კაპიტალს ისეთსავე ბრძოლას დაუწყებენ, როგორც მას ებრძოდნენ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ან XX საუკუნის დასაწყისის სოციალისტები. ქრისტიან-დემოკრატიისა და სოციალ-დემოკრატიის კაპიტალიზაცია უკვე 90-იანი წლების დამდეგამდე დასრულებული იყო. მატერიალური სიუხვე სოციალისტებს, მაგალითად, შვედეთში, საშუალებას აძლევდა სრულად განეხორციელებინათ სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა, მაგრამ ასეთი ფაქტები არ ნიშნავდა იმას, რომ კაპიტალს სოციალისტები ოპოზიციაში ჩაუდგნენ. ეს არც იმას ნიშნავდა, რომ ევროპაში განხორციელდა კონვერგენციის (ორი სისტემის შერწყმის) თეორია.

ევროპელი მოაზროვნენი (ჰ.მარკუზე, ჟ.ელული და სხვ.) 70-იან წლებში აღნიშნავდნენ, რომ მუშათა კლასმა დაკარგა რევოლუციურობა და სვამდნენ კითხვას, ვინ შეიძლება ყოფილიყო რევოლუციური და რამდენად შესაძლებელი იყო რევოლუცია თანამედროვეობაში?

ბურჟუაზია XIX საუკუნეში მონარქისტულ-კლერიკალურ წრეებს უკავშირდებოდა, რათა მუშათა რევოლუციურ ბრძოლას უფრო ქმედითუნარიანად დაპირისპირებოდა. ამის გამო ბურჟუაზიას რევოლუციის ღალატში ამხელდა ევროპული ნონკონფორმისტული ინტელიგენცია. მაგალითად, ბაირონისათვის, ჰოფმანისათვის ეს პრინციპის საქმე იყო.

სულაც არაა ისე, რომ დასავლეთში ინტელიგენცია არ არის, არამედ სამოქალაქო საზოგადოებაა, ხოლო ინტელიგენცია „სპეციფიკური რუსული პროდუქტია“. სამოქალაქო საზოგადოებაში ინტელიგენციის არარსებობა მიღწევა სულაც არაა. ეს განგაშის საფუძველს იძლევა, იმიტომ, რომ სამოქალაქო საზოგადოება არის კაპიტალის ძალაუფლების მიერ უნიფორმიზებული კონგლომერატი, სადაც დისიდენტურ-რევოლუციური და ანტიბურჟუაზიული სულის მქონე ინტელიგენ-

ცია გაქრა. სამოქალაქო საზოგადოების ინტელიგენციაზე მაღლა დაყენება არის სისულელე, რის დამკვიდრებასაც, ცხადია, დასავლური იდეოლოგია უწყობს ხელს. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებად წოდებული უნიფორმიზებული კონგლომერატის დამკვიდრება ნიშნავს მუდამ მაშანტაჟებელი ჯენდერული სომატოლოგიის, მასკულტურით შემოსილი პოლიტიკური ფიზიოლოგიისა და კაპიტალის ერთადერთ იდეად ქცევას. უნიფიცირებულ დისკრეტულ ინდივიდებს სულაც არ აღელვებთ ის, საზოგადოებაში იარსებებს თუ არა ანტიბურჟუაზიული სულის მქონე ადამიანთა ჯგუფი. ბელინსკი და ტოლსტოი იყვნენ ინტელიგენტები, სარტრი და კამიუ კი სამოქალაქო საზოგადოების დისკრეტული ინდივიდები იყვნენ და არა ინტელიგენტები. ასეთი მსჯელობა ხომ უაზრობაა.

ყოველივე ამის გარკვევა აუცილებლად მიგვაჩნია, რადგან ირგვლივ მრავალი ქიმერა და ილუზიაა მოჯარული. ასეთი გარკვევის შემდეგ ისინი თავისთავად ქრებიან და ყველაფერი თავის ადგილზე დგება. რადიკალური და ექსტრემისტული ეკონომოცენტრიზმი დასავლური აზროვნების მაინსტრიმია, რომელიც არაევროპულ კულტურებში შეჭრას ცდილობს. ლიბერალიზმსა და გლობალიზმში მას არა უბრალოდ ობლიგატური და აპოდიქტური, არამედ ფატალური მნიშვნელობა ენიჭება მთელი კაცობრიობისათვის.

ასე ნაქები და ნანატრი დეიდეოლოგიზებული და დეპოლიტიზებული სამოქალაქო საზოგადოება, არის ისტორიაში აქამდე უცნობი ეკონომიკური ძალაუფლების ტოტალიზაცია და მექანიცისტური, ტექნოცენტრული სოციალობის აბსოლუტიზაცია. ინტელიგენტების როგორც პასიონარების დომესტიკაციას (მოშინაურებას) კაპიტალი არა რეპრესიებით, არამედ ყველა ცნების დესემანტიზაციით, ენის დესტრუქციით, მეგატექსტების დეკონსტრუქციით და ყოვლისმომცველი გაუცხოების ნორმატიზაციით ცდილობს. კაპიტალი მხოლოდ ბაირონის ან ჰოფმანის მსგავსი ადამიანების ნეიტრალიზებას კი არ ესწრაფვის მათი სოციალურ ატომამდე დაყვანის გზით, არამედ ის ასეთი ადამიანების გაჩენის ყველა შესაძლებლობის აღმოფხვრას ცდილობს. ბაირონი დღეს რომ ყოფილიყო, საეჭვოა, ის ყოფილიყო ბაირონი. ის ვერც თავისი ქვეყნიდან

წავიდოდა, რადგან ყველგან ერთი და იგივეა და გასაქცევი აღარსადაა. კაპიტალის ძალაუფლებამ მსოფლიოს მრავალ ხალხში დაიმკვიდრა თავი როგორც ერთადერთმა შესაძლებლობამ. ზამიატინის, ორუელის, ჰაქსლის ანტიუტოპიად წოდებულ თხზულებებში ვერ ვნახავთ იმას, რაც ახლა იქმნება.

პასიონარების დომესტიკაციაში კაპიტალის ზრახვათა აღმასრულებელი მედიაკრატია გასაოცარ შიზოთიმიურ თანმიმდევრულობას იჩენს. TV - doer-ების ამაყად მოყივარი ლაშქარი საეთერო ბრეინშტორმინგის გზით ყოველ საათში გვიმტკიცებს, რომ სწორედ ის არის უმაღლესი მსაჯული და საბოლოო ინსტანცია, სწორედ ტელევიზიის სამსჯავროზე უნდა წარდგეს მთელი საკაცობრიო ისტორია.

მედიაკრატია, როგორც მეოთხე ხელისუფლება, პირველ, მეორე და მესამე ხელისუფლებებზე მაღლა დადგა იმიტომ, რომ ეკონომიკურმა ძალაუფლებამ, კაპიტალმა შეზღუდა როგორც პოლიტიკური ძალაუფლება, ასევე სულიერი ძალაუფლება და ახლა საბაზრო კრიტერიუმების გამოყენებით მათ სრულ გაუქმებას ესწრაფვის. კაპიტალი და მედიაკრატია – ეს არის გლობალიზმის მიზანი. გლობალური ეკონომიკური ძალაუფლება მხოლოდ მეოთხე ხელისუფლებას სწყალობს. საბაზრო სელექციის და რენტაბელობის თანახმად შეფასებას მხოლოდ მეოთხე ხელისუფლებამ გაუძლო. თუ ეს ასეა, მედიაკრატია და კაპიტალი იგივურნი ხდებიან. დრამატულ ისტორიულ ჭიდილში კაპიტალმა დაამარცხა შრომა. რევოლუციონერთაგან უწინ ნაგემები დამარცხებებისათვის კაპიტალი დღეს ყველგან რევანშს იღებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მყისვე გაბატონდა არა მაქს ვებერისეული მომჭირნე და თავმოზღუდული ბურჟუა, არა ის პროტესტანტი საერო ასკეტი, რომელმაც, ვებერის თანახმად, დააფუძნა კაპიტალიზმი, არამედ გაბატონდა მარქსისეული კაპიტალისტი, გამღლეტი, ექსპლუატატორი და თავაწყვეტილი ჰედონისტი. მარქსის მიერ დადანაშაულებული ბურჟუა ყოველმხრივ კულტივირებულია მედიაში და ის იდეალურ, ყველასათვის მისაბაძ ადამიანადაა წარმოჩენილი. ვებერის ასკეტურად მცხოვრები ბურჟუას შესახებ კი მედია კრინტს არ

ძრავს, არადა, სწორედ მისი კულტივირება უნდა ხდებოდეს.

პოსტბოლშევიკურმა სინამდვილემ დაგვანახა, რომ ბურჟუაზიის მარქსისეული და არა ვებერისეული შეფასება აღმოჩნდა სწორი. დასავლეთი პოსტსაბჭოთა ქვეყნების საბაზრო ეკონომიკის გზაზე გადასვლით მართლა რომ ყოფილიყო დაინტერესებული, ის ხელს შეუწყობდა სწორედ ვებერისეული ბურჟუას კულტივირებას და არა ამ ქვეყნების ხელისუფლებათა კრიმინალიზაციას.

არასწორი გამოდგა ასევე ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელთა მიერ გამოთქმული აზრი, რომ საბაზრო ლიბერალიზაციის პირობებში 70-იან წლებში ცკ-ს მდივან შევარდნაძისაგან დევნილი არალეგალური მეწარმე წელში გაიმართებოდა და ქვეყანასაც ახეირებდა. აღმოჩნდა, რომ ეს ნაქები ფარული მეწარმე ლიბერალიზმის პირობებშიც ისეთივე კომბინატორი და მაქინატორი დარჩა, როგორიც იყო. საკუთარი თავის გარდა მას არაფერი აინტერესებს. ამ შემთხვევაშიც მარქსი გამოდგა მართალი და არა დისიდენტობა და ეკლესია, რომელთაც ეს კომბინატორი „სატანური კომუნისტური დიქტატურისაგან“ წამებულის სახელით შემოსეს. შინაური ბურჟუა ასეთია და უცხო რაღა იქნება, ამას თქმა არ უნდა. 1989-91 წლებში დამკვიდრდა მცდარი აზრი დასავლური ბიზნესის სამართლიანობისა და პატიოსნების შესახებ. დასავლელი ბიზნესმენი მაშინდელმა პრესამ ზნეობის ეტალონად მიიჩნია. მედია კონიუნქტურული მომენტის დიქტატურას ამკვიდრებს ხოლმე და შემდეგ ამ მომენტის არასწორი ინტერპრეტაციით აუდიტორიას თავგზას უბნევს. მომენტის კონკრეტიკის უკიდურესი ვერბალურ-ემფატიკური ესკალაციით ხდება აუდიტორიის დეზორიენტირება და გახრწნა. ვერბალურ ემფატიკურობას ხშირად არაფერი საერთო არა აქვს ხოლმე სინამდვილესთან. ეს ნებადართული თვალთმაქცობა და მასობრივი ნარცისულობის განმტკიცებაა. ამას ემატება ყურით მოთრეული საკითხების განხილვა და გაწელვა, რაც ზრუნვის მოჩვენებითობას ქმნის. ასე ხდება ცხოვრების საეთერო ფამილარიზება. გაუცხოებული ინდივიდების ყოფაში ტელეურთიერთობები სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს. მედიაკრატიის მეშვეობით კაპიტალი ცდილობს მთელი პლანეტის უწყვეტ პერფორმანსად ქცევას.

წერილი მეორე*

იმისათვის, რომ მაქსიმალური ეფექტიანობით განხორციელდეს ჰუმანიტარული ტექნოლოგია და PR-მენეჯმენტი, მედიაკრატია სისტემურად უნდა ზემოქმედებდეს აუდიტორიაზე. ნოემბრის რევოლუციას წინ უძღოდა და თან სდევდა soft ideology-ს ქართული რედაქციის გამოყენება. ასე ეწოდება დესემანტიზებულ, არსგამოცლილ ცნებათა ნაზავს, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებად წოდებული სოციალური ატომების კონგლომერატისათვის მყარი დასაყრდენია. ეს იდეოლოგია ჩამოაყალიბა კაპიტალმა 60-70-იანი წლების ევროპულ დისიდენტობასთან ბრძოლაში და განავითარა 80-90-იან წლებში. ამ იდეოლოგიამ გადაიღო და თავისი მიზნებისათვის გამოიყენა დისიდენტური პროტესტის სხვადასხვა გამოხატულებანი. კონტრკულტურული ეპატაჟი, სექსუალური რევოლუცია და ნარკოტიკები საესტრადო ხელოვნებისა და მოდის ინდუსტრიის, დიდი შოუბიზნესის შემადგენელ ნაწილებად იქცნენ.

გასაოცარია პოლიტიკური სისტემის უნარი, როდესაც ის თავის საწინააღმდეგო დებულებებს თავისივე სარგებლობისათვის იყენებს და მიითვისებს რა მათ, თვითონ იწყებს ამ დებულებათა კრიტიკიზმით მანიპულირებას.

წარმოვიდგინოთ, რომ კათოლიციზმს ალბიგოელთა ერესის დებულებანი თავის დოქტრინაში შეეტანა, ან ბიზანტიურ მართლმადიდებლობას ბოგომილური ერესი საკუთარი სწავლების შემადგენელ ნაწილად ექცია, ან იეზუიტებს პროტესტანტიზმთან ბრძოლაში მიეთვისებინათ და გამოეყენებინათ ლუთერისა და კალვინის დებულებანი. ყოველივე ამის წარმოდგენაც კი ძნელია, მაგრამ კაპიტალმა XX საუკუნის 60-70-იანი წლების ევროპული დისიდენტური მოძრაობა სწორედ ასეთი გზით ჩაახშო. კაპიტალმა საკუთარი იდეოლოგიური მიზნებისათვის გამოიყენა ევროპელი დისიდენტების აზრი, რომელიც შემდეგ აკადემიურ ფილოსოფიაში, კერძოდ, ფროიდომარქსიზმში დამკვიდრდა (მისი ცნობილი წარ-

---

* პირველად გამოქვეყნდა ყოველკვირეულ გაზეთ „ახ. 7 დღეში“ (4-10 ივნისი, 2004 წ.).

მომადგენელი ჰერბერტ მარკუზე 60-70-იანი წლების მოჯანყე ახალგაზრდობისათვის იდეურ წინამძღოლად იყო მიჩნეული რაიხთან, სარტრთან, სოროკინთან და სხვებთან ერთად). ამ აზრის თანახმად, სექსუალური რევოლუცია არის ინდივიდთაშორისი გაუცხოების დამძლევი ფაქტორი. დასავლეთისათვის ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე, სექსუალური ლიბერალიზაციის ქადაგება იყო დივერსიული იარაღი სოციალისტური ბანაკის ხალხების წინააღმდეგ. 1989 - 90 წლებიდანვე აიტაცა ქართულმა მედიამ ეს თემა. ის ადამიანის ჭეშმარიტ თავისუფლებას დაუკავშირდა. სინქრონულად მიმდინარეობდა ურთიერთგამომრიცხავი სექსუალური ლიბერალიზაციის პროპაგანდა და მართლმადიდებლური ქადაგებანი პრესაში.

კაპიტალს არ ეშინია, სექსუალური რევოლუცია ინდუსტრიად აქციოს. მან იცის, რომ გაუცხოებას ის ვერ დაძლევს, მანიპულაციურ შესაძლებლობებს კი რამდენჯერმე გაზრდის. მოელი ქვეყნიერებაც რომ სამეძაო სახლად გადაიქცეს, ეს პოლიტიკურ სისტემას მცირე საფრთხესაც კი ვერ შეუქმნის, ვერ შეარყევს კაპიტალის ძალაუფლებას. სექსის ცნება დასავლური კულტურული პარადიგმის ნაწილია. არაევროპულ კულტურებში ასე არ არის. როდესაც აღინიშნებოდა კომუნისტი იდეოლოგების მიერ, რომ საბჭოთა კავშირში სექსი არ იყო, აქ იგულისხმებოდა იდეოლოგია და განსხვავებული კულტურული პარადიგმა. კაპიტალის მიერ გახედნილი სექსუალური რევოლუციის გამოვლინებანი პორნოპროდუქციის სახით არალეგალურად ვრცელდებოდა საბჭოთა რესპუბლიკებში.

დღეს სექსუალური ლიბერალიზაცია ჰუმანიტარული მექანიკისა და PR-მენეჯმენტის შემადგენელი ნაწილია. ასეთი ლიბერალიზაცია ინდივიდებში ნარცისიზმს, ეგოტიზმს და ნევროზულობას აღრმავებს, რისი დანახვაც ქართულ სინამდვილეში მცხოვრებთ არ უნდა გაუჭირდეთ. როგორც ძველი მეისტორიე იტყოდა, „განმრავლდნენ სიძვანი და მრუშებანი“, მაგრამ ადამიანი არ გამხდარა თავისუფალი, არც საზოგადოებაა ადამიანური. გაუგებარია ინტელიგენტების თავგამოდება სექსუალური რევოლუციის პროპაგანდის საქმეში.

კაპიტალი სექსუალური ლიბერალიზაციის პროპაგანდისათ-

ვის იყენებს ფროიდის, იუნგის, ფრომის თეორიებს და, ცხადია, ეს ამ მეცნიერთა ავტორიტეტს ვნებს. თითქოს ყველაფერი ადამიანებზე ზრუნვის მიზნით კეთდება (იხ. ნინო კორძაძის მასალა „ინსტინქტის ექსპლუატაცია მომგებიანია“. ახ. 7 დღე. 21-27 მაისი, 2004 წ). ეს ძალზე ქმედითი საშუალებაა ადამიანთა დიდი მასების სამოქალაქო დემობილიზაციისა და გახრწნისათვის. ამის შემდეგ გაცილებით იოლდება PR-ტექნოლოგიების განხორციელება.

60-იანი წლების ევროპულ და ამერიკულ ახალგაზრდულ დისიდენტობაში დემონსტრაციული მემრუშეობა იყო კაპიტალის ძალაუფლების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური პროტესტი. ასეთი რამ არ ყოფილა ვესტერნიზებულ აღმოსავლურ ქვეყნებში. იქ პროტესტი რელიგიური ფანატიზმის სახეს იძენდა. ასე იყო ინდოეთში, ირანში, მაღრიბ-მაშრიყის ქვეყნებში. ირანში სექსუალური ლიბერალიზაციის მცდელობებმა დასავლეთს ეს ქვეყანა მტრად გადაპკიდა ისლამური რევოლუციის დროიდან. დღეს ამერიკელები ერაყში ცდილობენ სექსუალური რევოლუციის განხორციელებას.

დასავლელი დისიდენტის მიერ დემონსტრაციული მემრუშეობის სახით გამოხატული პოლიტიკური პროტესტი როგორღაც ჰგავს ქრისტიანულ სალოსობას. სალოსი მეძავთა მეგობარ ქრისტეს ჰბაძავდა. სალოსის ეპატაჟსა და უხამსობას საკრალური აზრი ჰქონდა, წარმოაჩენდა საეკლესიო ნორმატივების შეზღუდულობას დიდი სულიერებისა და სიწმინდის გზაზე მავალთათვის.

ინდუისტს შეუძლია თქვას, რომ ინდოეთში მრავალი ტანტრისტული სწავლებისა და ფალოსის კულტის არსებობის მიუხედავად არაა სექსი. მუსულმანსაც შეუძლია თქვას, რომ ირანში ან ეგვიპტეში არაა სექსი. ტანტრისტულ სწავლებებს და საერთოდ აღმოსავლურ ეროტიზმს დასავლეთი პორნოინდუსტრიისათვის იყენებს. ინდური კინემატოგრაფი კი საკუთარი კულტურის ეროტიკას, ტაძრებს არ იყენებს ასეთი მიზნით. დღემდე არსებობს ინდოეთის ქალაქებში საღვთო პროსტიტუცია, მაგრამ ეს იქ კინემატოგრაფიული კომერციის საგანი არაა.

დასავლეთში მსახიობები ჯეინ ფონდა, ბრიჯიტ ბარდო

მაშინდელი სექსუალური რევოლუციის წარმომადგენელნი იყვნენ. დღეს მოდის ბიზნესსა და კინოში ასეთი მსახიობი ათასობითაა. მემრუშეობა დღეს სამსახიობო კარიერისა და კომერციის ნაწილია. წარმოუდგენელია, მაგალითად, მადონამ ან ჯენიფერ ლოპესმა პოლიტიკური პროტესტის მიზნით სექსუალური რევოლუციონერობა დაიწყონ.

პორნოპროდუქციის წარმოებით დასავლეთი მსოფლიოში პირველია. ეს ბიზნესი პირველ ადგილზეა მსოფლიოში და მისი საბრუნავი თანხები მილიარდობით დოლარს უტოლდება. ამ ბიზნესში ასიათასობით ადამიანია ჩართული. მას არც ჭკუა უნდა, არც ცოდნა-განათლება. გაჩნდა ინტერნეტი და მასში მაშინვე გაჩნდა უამრავი პორნოსაიტი. ეს ბიზნესი ნარკოტრაფიკისაგან განსხვავებით, არანაირ რისკთან არაა დაკავშირებული. მაღალრისკიანი ნარკობიზნესი დიდ სამეცნიერო ცოდნას მოითხოვს.

კაპიტალის ხელში ეს იდეოლოგიური იარაღია. ამის შესახებ ჯერ კიდევ 70-იან წლებში საბჭოთა პროპაგანდა აღნიშნავდა. საბჭოთა იდეოლოგია როკ-მუსიკასაც ეჭვის თვალით უცქერდა, რადგან იცოდა, რომ დასავლეთმა ისიც იდეოლოგიური დივერსიის იარაღად აქცია სოციალიზმის წინააღმდეგ.

საქართველოში ყველაფერი უნდა დამდაბლდეს და დაკნინებული მნიშვნელობა შეიძინოს, რათა საზოგადოებრივი აზროვნება მას შესწვდეს და ინტელექტუალური სიმულაციები დაიწყოს. არ უნდა მოგვატყუოს იმიტირებაში გამოჩენილმა ქართულმა ნიჭიერებამ. საზოგადოებრივ აზროვნებას არ ძალუძს გაუძლოს ელემენტარული ლოგიკის სიმკაცრეს და სულ უმაღლეს პრინციპებზე კი ლაპარაკობს. სნობისტურად საუბრობენ სამყაროს დესაკრალიზაციისა და დემითოლოგიზაციის შესახებ. ამით ქმნიან მოჩვენებითობას, რომ ეს საკითხი აწუხებთ და აფიქრებთ. ვითომ მითის დაბრუნება სურთ და, მაგალითად, მწუხარებას გამოთქვამენ მიჯაჭვული პრომეთეს გამო. შეუძლებელია, ეს ირონიას არ იწვევდეს. ლიბერალ-კაპიტალიზმი მითის მტერია. ის ყველაფერს ანგარების თვალით უცქერს და ღმერთების სამყოფელსაც გააუქმებს, თუ ის საბაზრო სელექციის მიერ დაწუნებული იქნება.

შეიძლება თუ არა კაპიტალისტმა საქართველოში გამოავლი-

ნოს ის თვისებები, რაც ვებერმა სისტემის წარმოშობის მორალურ საფუძვლად მიიჩნია? შესაძლებელია თუ არა, მართლმადიდებლობა ვებერისეულ შრომის ეთიკას და საერო ასკეტობას შეუთანხმდეს? რამდენად შეუძლია ქართულ არამად მოპოვებულ კაპიტალს მოიპოვოს მორალური ლეგიტიმაცია საზოგადოების თვალში და როგორ უყურებს ამას მართლმადიდებლობა?

სოციალური მენეჯმენტის თანამედროვე ამერიკელი თეორეტიკოსი პიტერ დრაკერი არ ეთანხმება კაპიტალიზმის წარმოშობის ვებერისეულ თეორიას. ნაშრომში „პოსტკაპიტალისტური საზოგადოება“ (1993 წ.) დრაკერი მიიჩნევს, რომ ტეილორის მართვის სამეცნიერო სისტემის წარმოებაში დანერგვის შემდეგ, მარქსისეული პროლეტარი 1930 წლისათვის გადაიქცა ბურჟუად. დრაკერის მრავალი დაკვირვება კაპიტალიზმზე და დასკვნა უდავოდ ყურადღებას იმსახურებს, მაგრამ მასთან არაფერია ნათქვამი კაპიტალის ძალაუფლების აბსოლუტისტურ პრეტენზიაზე. მარქსი კი ამას ამჩნევდა და განგაშს იწყებდა.

დავუბრუნდეთ ისევ ქართულ კონკრეტიკას. კაპიტალს შეეძლო ეცლია შევარდნაძისათვის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვა და სააკაშვილისგან მოეთხოვა მიტინგის შეწყვეტა. წინა წლებში კაპიტალი ყოველთვის იცავდა შევარდნაძეს. ახლა კი მან აღარ ადროვა პრეზიდენტს ვადის დასრულება. მას შესწავლილი ჰქონდა ქართული პოლიტიკური სპექტრი და იცოდა, რომ პრეზიდენტი ყველას სძულდა. ამიტომ კაპიტალმა თამაშ-თამაშით მოაწყო რევოლუცია და ამით ქართველობას ძალზე ოსტატურად წაართვა პერსპექტივა, ნარნარად გააცალა მას ხელიდან ისედაც სუსტი მოჯანყეობრივი პოტენცია. ამ რევოლუციის მოწყობით კაპიტალმა თავისთვის ხელსაყრელ კალაპოტში მოაქცია ქართველთა პროტესტი და ამით მნიშვნელობა დაუკარგა მას. ქართველთა სიძულვილი ხელისუფლების მიმართ კაპიტალმა მიაწერა შევარდნაძეს და ამრიგად, ყოველგვარი შეეჭვების საფუძველი კაპიტალის სისტემის მიმართ გაბუნდოვანდა.

არა ამერიკელებმა – ჯორჯ ბუშმა, რიჩარდ მაილსმა, ლინ პასკომ, სტროუბ ტელბოტმა და სხვებმა, არამედ კაპიტალმა

გააკეთა ეს ყოველივე. კაპიტალი პოლიტიკაში დეპერსონიფიცირებულია და ანონიმური. ჩვენთან ამ მოვლენის შესწავლა ჯერ არ დაწყებულა.

აღმოჩნდა, რომ კანონიერების დამცველი ამერიკული ლიბერალიზმისათვის საქართველოს კანონები უმნიშვნელოა. ამ რევოლუციის მოწყობით კაპიტალმა ერთდროულად ორი კი არა, რამდენიმე კურდღელი დაიჭირა.

რატომ სწორედ საქართველოა პირველი ქვეყანა, სადაც ასეთი ჰუმანიტარული ტექნოლოგია განხორციელდა? სერბეთის მოვლენები და მილოშევიჩის დამხობა (მილოშევიჩი გადადგა 2000 წლის 6 ოქტომბერს) შეუძლებელია დადგეს საქართველოს ნოემბრის რევოლუციის გვერდით, იმის მიუხედავად, რომ იქაც, მილოშევიჩის დამხობას კაპიტალმა ასეთივე ხერხების გამოყენებით მიაღწია. შეუძლებელია, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, სერბებს თავი მოტყუებულად არ ეგრძნოთ. მოელი ეს დაპირებები ინვესტიციებზე და დასავლურ დახმარებებზე ილუზია გამოდგა. მილოშევიჩის გადაყენებიდანვე დაიწყო ახალი პოლიტიკური კრიზისი და ის დღემდე გრძელდება. როგორც სერბეთის, ასევე საქართველოს შემთხვევაში რევოლუციად წოდებული ტექნოლოგია პირველად განხორციელდა მართლმადიდებლურ ქვეყნებში. სერბეთის მარგინალიზება მსოფლიო მასშტაბით ჯერ კიდევ 1999 წელს, მისი დაბომბვით დაიწყო. ბლეფი გამოდგა მილოშევიჩის სასამართლო პროცესიც და მის გარშემო შექმნილი ანტურაჟიც მსოფლიო მედიაში. ვერც სერბეთის დაბომბვამ, ვერც მილოშევიჩის გასამართლებამ, კოსოვოს პრობლემა ვერ გადაწყვიტა. ისე კი გამოვიდა, რომ სეპარატისტულმა კოსოვომ და საერთოდ სეპარატიზმმა ნატოს მიერ სერბეთის დაბომბვით გამართლება და მხარდაჭერა მოიპოვა. სერბეთში არსებული ომის სიძნელეები, მიმდინარე პოლიტიკის უკიდურესობანი და სისასტიკენი მოხერხებულად იქნა გამოყენებული კაპიტალისა და დასავლური მედიაკრატიის მიერ. ეს არის სიძულვილი მართლმადიდებელი სერბეთის მიმართ. უაზრობა იყო მილოშევიჩისა და შევარდნაძის შედარება, რაც ქართულმა მედიაკრატიამ გაავრცელა.

ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიდან კი არა, მთელი

სოციალისტური ბანაკიდან მაინცა და მაინც პირველად საქართველოში განხორციელდა ასეთი რევოლუცია. ნამდვილმა სახალხო პროტესტმა ხელისუფლება დაამხო პერუში, ინდონეზიაში რამდენიმე წლის წინათ. იქ ხალხს არც კაპიტალმა შეუძახა, არც მედიაკრატიამ.

კაპიტალმა დაინახა, რომ ქართველობა როგორც ხალხი, რაიმე ისტორიული წამოწყებისათვის უუნაროა. კაპიტალს არ ეშინოდა რევოლუციაში ასიათასიანი მასების მონაწილეობისა, არ ეშინოდა, რომ რევოლუცია ცოტა ხანში შეიძლება მართლა სახალხო რევოლუციად გადაქცეულიყო და არა ამერიკელთა ნაფერები golden boys, არამედ ერის ბელადი (ნუ შეგვეშინდება ამ სიტყვის) გამოსულიყო ასპარეზზე. ამ რევოლუციით ქართველთა უძლურება წარმოჩნდა, პირიქით კი ითქვა. ეს რევოლუცია ქართველობას ვერ აქცევს ისტორიულ ხალხად. ამისათვის სულ სხვა რამ არის საჭირო. ეს რევოლუცია ისტორიაში საზეიმო თარიღად შესატანი კი არაა, არამედ ერის სირცხვილია, მისი ცრუ ყოფიერების მწვერვალია.

ხალხს არ შეუძლია მოითხოვოს შევარდნაძის გასამართლება, უმძიმეს დანაშაულთა გამოძიება. ექს-პრეზიდენტს პენსია დაუნიშნეს, დაცვით უზრუნველყვეს და ამით ყველაფერი დამთავრდა. ძველი ხელისუფლების მოხელეთა დატუსაღება პოლიტიკური ანგარიშსწორება უფრო არის, ვიდრე კორუფციასთან ბრძოლა. ხელისუფლება ფარულად უთანხმდება ძველი ხელისუფლების მოხელეებს. ყველაფერი მიიჩქმალა ახალი დაპირებებით ინვესტიციებისა და კრედიტების, ხელფასების გაზრდის და გადასახადების შემცირების შესახებ. ხალხმა უნდა მოითხოვოს ძველი ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის საჯარო გასამართლება. რევოლუცია ძველი ხელისუფლების მოწყობილია, ე.ი. ინიციატივა კვლავ მოქკავშირისაა და არა ეროვნული, არა სახალხო ძალებისა.

გვეეჭვება, რომ ,მაგალითად, უკრაინაში ხალხმა ასეთი რევოლუციის მოწყობის შესაძლებლობა მისცეს კაპიტალს, იმის მიუხედავად, რომ პეზიდენტ კუჩმას გადადგომას მრავალი წელი მოითხოვს ოპოზიცია და რადიკალურად აკრიტიკებს მას. იმიტომ არ მოაწყობენ ასეთ რევოლუციას უკრაინაში, რომ ეს ეროვნული თავმოყვარეობისა და უბრალოდ, კაცური მოქცევის

საკითხია. ქართულ მედიაში ისე ითქვა უკრაინაში ასეთი რევოლუციის მოწყობის სამზადისის შესახებ, თითქოს რაიმე სასახელო ყოფილიყო ამაში. სომხეთზეც ითქვა, რომ იქ რევოლუცია იწყებოდა 2004 წლის აპრილში. სომხეთში ასეთი რამ არ მოხდება. მსგავსი მსჯელობანი ქართულ მედიაში წარმოაჩენს იმას, რომ ქართველთა ეროვნული სირცხვილის კიდევ ერთხელ კამუფლირება და სხვა რაიმედ გასაღება მოხდა. საქართველოს მსგავსად უნდა წარიწყმიდოს ყველაფერი უკრაინასა და სომხეთში, რომ ასეთი რევოლუცია მოხდეს. (2004 წლის მიწურელს უკრაინაში რის ვაი-ვაგლახით განხორციელდა ის ტექნოლოგია, რაც საქართველოში ნოემბრის რევოლუციის დროს გამოიყენებოდა. ქართველი ემისრები წარგზავნილ იყვნენ უკრაინაში ნარინჯისფერი რევოლუციის მხარდასაჭერად). რატომ არ დაეხმარა ოპოზიციას აზერბაიჯანში ამერიკა?

გამსახურდიას დამხობის შემდეგ, ათ წელზე მეტი ქვეყნის ისტორია კაპიტალის მითითებით იწერებოდა. ახლაც, ამ რევოლუციის მოწყობით კულტურულ-ისტორიული ინიციატივა ხელთ ჩაიგდო კაპიტალმა და ქვეყნის ისტორია უახლოესი ათწლეულის მანძილზე კვლავ მისი მითითებით დაიწერება. ეროვნულმა ძალებმა საბოლოოდ დაკარგეს კულტურულ-ისტორიული ინიციატივის მოპოვების ყველა შესაძლებლობა. კაპიტალმა შევარდნაძის გადაყენებით გაამართლა საკუთარი თავი ქართული დემოკრატიის ხელმოცარულობის გამო. ამ რევოლუციით კაპიტალმა მოხერხებულად დაიძვრინა თავი. დავიწყებას მიეცა მრავალი ეჭვისაღმძვრელი გარემოება და ფაქტი. ამ რევოლუციის მოწყობით კაპიტალმა საქართველოში საკუთარი პოლიტიკური მომავლის მყარი გარანტია მოიპოვა. ამასთან ერთად, მან ქართველთა თვალში მორალურ ლეგიტიმაციას მიაღწია შევარდნაძის გადაყენებით. კაპიტალმა მოახდინა ყველა შესაძლებელი იდეური ოპოზიციის საბოლოო ნეიტრალიზება როგორც პირობითი პოლიტიკური სპექტრის ფარგლებში, ასევე მის გარეთ. დიდ ვალად დაადებენ ქართველებს ამერიკელები შევარდნაძის გადაყენებას. ისინი უცერემონიოდ დაანახებენ ყველას, თუ ვინ არის ამ ცხოვრების ბატონი.

მოქალაქეთა კავშირმა კი თავი გაიმართლა იმით, რომ მისი

წიაღიდან გამოვიდა ახლანდელი მმართველი პარტია. გავიხსენოთ იტალიელი სოციოლოგების ვილფრედო პარეტოს (1848 - 1923) და გაეტანო მოსკას (1858 -1941) დებულება ელიტათა ცირკულაციის ანუ როტაციის შესახებ, რაც სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის აუცილებელი პირობაა. რევოლუცია თავისთავად გულისხმობს ელიტათა ცვლას, მაგრამ საქართველოში მმართველი ელიტა არ შეცვლილა. მან ჰუმანიტარული ტექნოლოგიის გზით კვლავ დაიბევა ადგილი ხელისუფლებაში და ახალი სახელი დაირქვა. პარეტოს, ცხადია, გაუჭირდებოდა ასეთი ფაქტის განმარტება თავისი თეორიის მიხედვით. საზოგადოებაში ვერ შეიქმნა ახალი ელიტა. ახალი ელიტა დისიდენტური ძალები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ დისიდენტობამ ძველ ელიტასთან - ყოფილ პარტნომენკლატურასთან კავშირში დაამხო გამსახურდია. დღეს პარტნომენკლატურაც და დისიდენტებიც, როგორც ძველი და ახალი ელიტა, საბოლოოდ განიდევნენ ხელისუფლებიდან.

როგორ უნდა დაიჯეროს მოქალაქემ, რომ ადამიანები, რომელნიც მრავალი წელი ქმნიდნენ მუშაობის იმიტაციას, ახლა დაიწყებენ მუშაობას? ელიტა, რომელიც კორუმპირებული იყო, რომელიც გრანტების მითვისებითა და მათი განაწილების მონოპოლიზებით, თვითნებობით, ანონიმური მმართველობით გამოირჩეოდა, ირწმუნება, რომ ახლა შექმნის სამართლიან საზოგადოებას. სააკაშვილის გარემოცვაში ისევ ისეთი სიმრავლეა მოლაყბე პოლიტიკური მედღეურებისა. ისინი განზრახ აბუნდოვანებენ სიტუაციას საკუთარი არარაობის დაფარვის მიზნით. გაბოროტებული ახალგაზრდა კაცები მოვიდნენ ხელისუფლებაში. მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირიდან ნაციონალურ მოძრაობაში გადასულნი, თანამდებობის მოპოვებაზე არიან დაგეშილნი. ჭაბუკი სეთურებით აივსო მთავრობა. წარმოიშვა ასოციალური ტიპების დიდი მასა. ეს ადამიანები თავიანთ თავს როგორც ნაქურდალს, ისე ჰყიდიან ფასდაკლებით ან სადემპინგო წესით. მათი სიმრავლე მათ ფასს კიდევ უფრო დაბლა სწევს.

აღინიშნება, რომ ახალი ეტაპი დაიწყო ნოემბრის რევოლუციიდან. მაგრამ გარდამავალი ეტაპი თუ დგას, ახალი ეტაპი როგორღა დაიწყო? ე.ი. გარდამავალი ეტაპის ახალი

პერიოდი დაიწყო, მაგრამ ეს რომ გამოიკვეთოს, მაშინვე წყალი შეუდგება ხელისუფლების მტკიცებებსა და დაპირებებს. თუ გარდამავალი პერიოდი დასრულდა, მაშინ ეს უნდა ითქვას და შემაჯამებელი მსჯელობაც უნდა გამოქვეყნდეს. გარდამავალი პერიოდი და ახალი ეტაპი თუ ერთადაა, ეს ნიშნავს, რომ არანაირი ახალი ეტაპი არ დაწყებულა. შევარდნაძე მრავალი წელი გარდამავალ პერიოდზე მიუთითებდა და თუ ეს პერიოდი დამთავრდა, მაშინ იგულისხმება, რომ ქვეყანა საბოლოოდ გადავიდა ლიბერალიზმის რელსებზე, რაც არსად არაა ხელშესახები. თუ გარდამავალი პერიოდი არ დამთავრებულა, ახალმა ხელისუფლებამ უნდა გამოკვეთოს ის, თუ რამდენი ხანი გაგრძელდება ეს პერიოდი.

იმიტომაა საქართველოში უჟამობა, რომ ისტორიული დრო არ არსებობს. ისტორიის სუბიექტი არაა ქვეყანა და არც ქართველობაა ისტორიული ხალხი. ის უცხოური ექსპერიმენტის საგანი და საცდელი ობიექტია.

ისტორია საქართველოში ვიდეოკამერით, სამონტაჟო მაგიდით და მობილურ ტელეფონზე საუბრით იქმნება. მობილური ტელეფონი დეპერსონიფიცირებული და ანონიმური კაპიტალის, ასევე დისკრეტული ინდივიდის სუვერენობის ტექნოკრატიული სიმბოლოა.

ვირტუალური სინამდვილისა და საეთერო ფანტაზმების დომინაცია ისტორიის შექმნის პრეტენზიით გამოდის. ისტორიის კლიპად ქცევა იწყება და შესაბამისად კლიპური ცნობიერება მკვიდრდება. ნოემბრის მოვლენების დროს იქმნებოდა პოლიტიკურ-საესტრადო კლიპები, რაც აუდიტორიას მიეწოდებოდა როგორც აზროვნების მონაპოვარი.

ვიდეოკამერითა და სამონტაჟო მაგიდით შექმნილი ისტორია ვერ განიხილება დილთაის ან ჰაიდეგერის მეთოდოლოგიით. შეუძლებელია მასში რაიმე იყოს გონითი. ადამიანური ყოფიერების ამ ტოტალურ ტექნიზაციას საბოლოო ჭეშმარიტების დიდი პრეტენზია აქვს. არაფრის მთქმელია აქ ტექნოფობიაზე ლაპარაკი. საკითხი ისტორიულ-ფილოსოფიურ განსწავლულობასთან შეთანხმებულ უღრმეს თვითრეფლექსიას მოითხოვს.

ეკონომიკური მენეჯმენტის თანამედროვე ამერიკელი

თეორეტიკოსი ლესტერ სეროუ (Thurow) ნაშრომში „კაპიტალიზმის მომავალი...“(1996 წ.) აღნიშნავს, რომ კაპიტალისტური კულტურა და სატელევიზიო კულტურა იდეალურად ეწყობიან ერთმანეთს, იმიტომ, რომ ერთიც და მეორეც ფულის კეთებით არიან დაკავებულნი. მისივე თქმით, თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიები ხელს უწყობენ რადიკალურ ინდივიდუალიზმს.

საქართველოში ყველა არხზე ისევ განახლდა ღამის პოლიტიკური გადაცემები. ეს არის თავისებური კომპენსაცია უიდეობისა და მარცხიანობისათვის. ისევ ის ადამიანები, ვინც შევარდნაძის დროს იმოძღვრებოდნენ, დადიან სხვადასხვა ტელეკომპანიებში და საჯაროდ კამათობენ.

სამყაროს ინფერნალიზება გასაოცარ სახეს იძენს. ირაციონალური ვლინდება როგორც ტექნიკის მძლავრებაში გამოხატული რაციონალობა. ადამიანური განზომილება და ადამიანის ფაქტორი, რაზედაც ძალზე ბევრს ლაპარაკობენ, ასეთ ვითარებაში ლიკვიდირებული აღმოჩნდა. სანამ ამის შესახებ საუბარს გავაგრძელებთ, მკითხველის ყურადღებას გავამახვილებთ ერთ გარემოებაზე: თუ ლიბერალიზმი ისტორიის დასასრულზე მსჯელობს და ინდივიდების სოციალიზება ხორციელდება როგორც დისკრეტულ-აისტორიული, რატომღა იყენებენ ისტორიისა და ისტორიულის ცნებებს დღევანდელ პოლიტიკაში? ადამიანის გამოუთქმელი შიში და დაფარული სევდა ისტორიის დასრულების გამო, ვლინდება ისტორიისა და ისტორიულის ცნებების ასეთ შეუსაბამო გამოყენებაში.

დავუბრუნდეთ ტექნიკის საკითხს და განვიხილოთ ის ამ გამოუთქმელ შიშთან მიმართებაში. უმდაბლეს ადამიანსაც კი აქვს მისწრაფება, რომ თავი წარმოაჩინოს ღვთიური ნაპერწკლის მქონედ და იდეასთან ზიარებულად. ადამიანი ასეთ მისწრაფებას ან არტისტულად ან ალალად ავლენს. ერთია იმის გარკვევა, რომ ადამიანი მიისწრაფის ღვთიურისაკენ, როგორც სულიერი უნარების მქონე არსება, ან როგორც მსახიობი, როგორც homo ludens (მოთამაშე კაცი). მეორეა ის, რომ ამ მისწრაფების მუდმივობა ყველა ადამიანში, როგორც კაცის ბუნების სისუსტე და სიძლიერე, გამოიყენება ჰუმანიტარული ტექნოლოგიებისა და მედიაკრატიის მიერ. ლიბერალიზმის იდე-

ოლოგია გვარწმუნებს, რომ ის ყველა ადამიანის სულიერი განვითარებითაა დაინტერესებული და მიუთითებს თავის თავზე, რომ ის არაა ბოლშევიზმის მსგავსად ათეისტური, არამედ რელიგიურია. ასეთი თვალთმაქცობით ლიბერალიზმი ბევრს აბნევს. ის ეპოტინება და ბილწავს იმას, რაც ადამიანში ანგელოზურია. მას პლურალიზმი პოსტმოდერნული ludus -ის (თვალისსეირის, თამაშის) საგნად აქცევს. ქართულ კონკრეტიკაში ეს გამოვლინდა, როდესაც ნოემბრის რევოლუ-ცია დაუკავშირდა სულიერებას, რელიგიას. ყველას მიეცა სიცრუეში მონაწილეობის შესაძლებლობა. შეუძლებელია, რომ ინდივიდუალიზმი და ფრაივესის პრინციპი იყოს სულიერების გარანტი, მაგრამ დიდი და მცირე ამას ამტკიცებს გაცხოველებით.

ახალი საუკუნე ახალი, განახლებული სიცრუით დაიწყო საქართველოში. ქართული საზოგადოება იქცა საპყრობილედ კედლების გარეშე, ბანაკად მავთულხლართებისა და სათვალთვალო კოშკურების გარეშე. აქ მეუფე ტელეეკრანად წოდებული უამრავი შუშის თვალია. ყველა თავისი ნებით ცრუობს – სტუდენტი, მოხელე, მუშა, დახლიდარი და ა.შ. ეს ნებაყოფლობითი სიცრუე ადამიანის ღვთიურისაკენ არტისტული სწრაფვაა. როცა ის საკუთარი უძლურებისა და სიმდაბლის გამო მიუწვდომელი რჩება, იძულებულნი არიან კვლავ იცრუონ. ეს ისეთი შინაგანი იძულებაა, რომელსაც ვერ შეედრება ბოლშევიკური თუ მონარქიულ-კლერიკალური ცენზურა, რომელსაც გარეგანი, ინსტიტუციონალიზებული რეპრესიული აპარატის სახე აქვს. ადამიანს პლურალიზმის პირობებში ენითგამოუთქმელად სტკივა საკუთარი უძლურება ღვთისაკენ სწრაფვის გზაზე. ამ ტკივილს ის სხვათა მხილებითღა იქარვებს. აღარ არის მონისტური იდეოლოგიური სისტემა, რომ უძლურმა ადამიანმა თავისი უძლურება მას დააბრალოს, მასთან ბრძოლაში განაქარვოს საკუთარი სიმდაბლით მოგვრილი ტანჯვა.

ნოემბრის რევოლუციამ იდეურობისა და იდეალიზმის, ღვთიურობის მოჩვენებითობა შექმნა. ეს რევოლუცია რეალობაში გამოვლენილი ვირტუალური ციფრული მატრიცა იყო და მეტი არაფერი. შესაშური ორგანიზებულობა სხვისი

ჩაგონებით იყო მიღწეული. ეროვნული მოძრაობის დროს მასების პოლიტიკურ აქტივობას მუდამ თან სდევდა კრიმინალი. დამოუკიდებლად ვერ შეძლო ქართველობამ თვითორგანიზება და კიორგანიზება ეროვნულ მოძრაობაში. ნოემბრის რევოლუციაში მასების დარაზმულობასა და ორგანიზებულობას მნიშვნელობა ეკარგება იმიტომ, რომ ეს სანახაობა და სანახაობის ორგანიზებულობა იყო. ქართველობამ მიიღო სანახაობა საკუთარი თავის შესახებ და ის გაგრძელდება. საზოგადოება ჰიპერპოლიტიზებულია, მაგრამ ეს ვერ წარმოშობს მაღალ აზრს იმიტომ, რომ პოლიტიკა, როგორც გონითი საქმიანობა, გადაგვარებულია, მედღეურთა ხელშია ჩავარდნილი. („ახ. 7 დღეში“ ამ ადგილზე სრულდება მეორე წერილი).

წერილი მესამე*

აქვე გვინდა შეეეხოთ ერთ გაუგებრობას, რომელიც უშუალოდ ეხება სამოქალაქო საზოგადოებისა და ინტელიგენციის საკითხს: 90-იანი წლების დასაწყისში იდეალად მიიჩნეოდა საზოგადოების დეპოლიტიზაცია და დეიდეოლოგიზაცია. იგულისხმებოდა, რომ ლიბერალიზებული ადამიანის ნამდვილი ყოფიერება მხოლოდ დეპოლიტიზაციის გზით მიიღწეოდა. ამ გაუგებრობის გავლენით ნეგატიური აზრით აღინიშნება ხოლმე, რომ „ჩვენი საზოგადოება უზომოდ პოლიტიზებულია“ ან მხოლოდ ის აღინიშნება, რომ „საზოგადოება პოლიტიზებულია“. აქ საკითხის გაშუქება მეცნიერს მოეთხოვება. თუ საზოგადოება უზომოდ პოლიტიზებულია, უნდა გაირკვეს ის ზომა და ზღვარი, საიდანაც ზედმეტობა და უზომობა იწყება. ამის გარდა: თუ საზოგადოება პოლიტიზებული არაა, მაშინ როგორ უნდა განახორციელოს მან დემოკრატია? შეუძლებელია სოციალიზაცია პოლიტიზაციის გარეშე, იდეოლოგიის გარეშე. სოციალიზაცია პირდაპირ დამოკიდებულებაში იმყოფება პოლიტიკასთან. როგორ შეიძლება ფრაივესის პრინციპის (ადამიანის უფლებების) მოაზრება პოლიტიკისა და პოლიტიზების გარეშე? შესაბამისად,

* პირველად გამოქვეყნდა „ახ. 7 დღეში“ (11-17 ივნისი, 2004წ.).

რამდენად შესაძლებელია ლიბერალური საზოგადოება პოლიტიზების და იდეოლოგიზების გარეშე? გასარკვევია ისიც, რა შინაარსი რჩება თავისუფლებას კაპიტალის ეკონომოცენტრიზმის თანახმად მოწყობილ საზოგადოებაში. ფრაივესი, როგორც ინდივიდის თავისუფლებისა და შესაბამისად, მისი ზნეობრიობის უდავო პირობა, სინამდვილეში ინდივიდის ანონიმურობისა და უ'ზნეობის ერთგული დამცველია. ამიტომ სრული სისულელეა ტრანსპარენტულობის (რომელიც დემოკრატიულობისა და ზნეობრიობის გამოხატულებად მიიჩნევა) მოთხოვნა. ფრაივესი უფრო privy-ს (საიდუმლო, ფარული) და private-ს (კერძო, ფარული) გულისხმობს, ვიდრე იმას, რაც მის შესახებ არის ნათქვამი დეკლარაციებსა და საკანონო კრებულებში. ჩვენთვის ყოველთვის გაუგებარია, რატომ მიიჩნევა ფრაივესის პრინციპი უდიდეს ზნეობრივ მონაპოვრად. ფრაივესი ამართლებს საზოგადოების ისეთად ყოფნას, როგორიც ის არის. მასზე უკეთ ვერაფერი განამტკიცებს საზოგადოების დესოციალიზაციასა და დემორალიზაციას. თითოეული პრივატ-ინდივიდი ღირებულებათა პრივატიზატორია სხვებთან ურთიერთობაში. სრულად განხორციელებული ფრაივესი ნიშნავს იმას, რომ აზრს კარგავს ისეთი ცნებები, როგორიცაა თანადგომა, კეთილმოსურნეობა, ზნეობრივი და ემოციური დამოკიდებულება ვინმეს ან რაიმეს მიმართ. ამის შემდეგ უაზრობად ჩანს, მაგალითად, საპარლამენტო არჩევნებზე გამოვლენილი სპონტანურობა და ზნეობის დაცვის მოთხოვნა, ან, მაგალითად, რელიგიური ნორმების დაცვის მოთხოვნა.

ჩემს თაობას, ჯერ კიდევ ეროვნულ მოძრაობამდე, სულ იმაში არწმუნებდნენ, რომ მთელ რიგ დარგებში (ფსიქოლოგია, ბუნებისმეტყველება, ზუსტი მეცნიერებანი) არსებობდა ქართული სკოლები და მიმდინარეობები. აღმოჩნდა, რომ ასე არ ყოფილა. ინტელიგენტთა შორის არავინ არაფრის მიმდევარი არაა. ძნელია დავასახელოთ თანამედროვე ქართველი პერსონალისტი, ანთროპოლოგი, რელიგიური ფილოსოფიის მიმდევარი, ექსისტენციალისტი. ყოველივე ეს აქ მხოლოდ და მხოლოდ სამუზეუმო შესწავლის საგანია და არა ცოცხალი ცოდნა, რომელიც შეიძლება აწმყოსათვის გამოიყენო. სრული პლურალიზმის პირობებში, რასაც ნატრულობდა ინტელიგენცია,

ქართულ ნიადაგზე ვერ შეიქმნა ვერანაირი თეორია ან მიმართულება, რომელსაც ეყოლებოდა რამდენიმე მიმდევარი მაინც.

ბატონიშვილი იოანე „ხუმარსწავლის“ მეორე წიგნში ბერი იოანეს პირით ამბობს: „ესე მეტათ ძნელი სენია ჩუენ ქუეყანაში, რომ თუ კაცმან იცის რამე, მტრად აღუჩნდებიან. და ზოგთ მცოდნეთაცა ჰსჯირთ, რომ ამპარტავნებასა და ცუდ დიდებობასაც შეუდგებიან ...“

90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის დროიდანვე დეპოლიტიზებული სამოქალაქო საზოგადოების იდეის კონტექსტში ინტელიგენცია მოიაზრება როგორც ის, ვისთვისაც ყველაზე ბუნებრივი მდგომარეობა არის ლიბერალ-კაპიტალიზმი. სწორედ ამგვარი მოაზრება არის ყველა გაუგებრობის სათავე, როდესაც მსჯელობენ ინტელიგენციაზე. ინტელიგენციისა და ინტელიგენტურობის მოაზრება ლიბერალიზმისა და სამოქალაქო საზოგადოების სინონიმურ ცნებად განზრახ დაშვებული შეცდომაა. ინტელიგენციისათვის ლიბერალიზმი არაა მისი სოციალური და პოლიტიკური ონტოგენეზის დასასრული და არაა საბოლოო პუნქტი მის ისტორიულ სვლაში. ინტელიგენციამ უნდა გააგრძელოს რევოლუცია. არა ნოემბრის რევოლუცია, არამედ რევოლუცია შრომის ახსნის დიადი საქმისათვის. სხვაგვარად ინტელიგენციას არა აქვს მომავალი. მას ყოველგვარი რეპრესიების გარეშე შთანთქავს კაპიტალი. ინტელიგენცია უნდა იყოს პოლიტიზებული. მის მიერ დეპოლიტიზაციისა და დეიდეოლოგიზაციის ქადაგება თვითლიკვიდაციის ტოლფასია.

ინტელიგენციის საკითხის გარკვევაში ხელს გვიშლის ქართველი ინტელიგენციის დიდი შერცხვენა ეროვნული მოძრაობის დროიდან, მისი პროლეტარიზაცია და მარგინალიზაცია, მისი დესოციალიზაცია, უიდეობა და ზეკონფორმიზმი. ისიც საკითხავია, როგორღა არსებობს დეპოლიტიზებულ და დეიდეოლოგიზებულ საზოგადოებაში კონფორმიზმი? წესით, ის აღარ უნდა არსებობდეს, მაგრამ როდესაც ის არსებობს, ეს კიდევ ერთხელ წარმოაჩენს იმას, რომ სტანდარტულ, ჩვეულ მსჯელობაში რაღაც არაა სწორი.

თუ დასავლეთში არაა ინტელიგენცია, არამედ სამოქალაქო

საზოგადოებაა, გამოდის, რომ ყველა ინტელიგენტია. ეს კი, რაოდენ განვითარებულიც არ უნდა იყოს საზოგადოება, შეუძლებელია. გაუგებრობას აღრმავებს ისიც, როდესაც ითქმის, რომ დასავლთში არიან ინტელექტუალები და არა ინტელიგენტები. გამოდის, რომ, მაგალითად, ცარისტულ რუსეთ'ში ინტელიგენტი ინტელექტუალი არ იყო, გამოდის, რომ გეორგი პლეხანოვი ან ნიკო ნიკოლაძე იყვნენ ინტელიგენტები, მაგრამ არა ინტელექტუალები. შეუძლებელია ინტელექტუალი უფრო მეტს გულისსმობდეს, ვიდრე ინტელიგენტი. სნობობის გამო ახსენებენ ხოლმე ნონკონფორმიზმის ცნებას და აქაც წინააღმდეგობაა, იმიტომ, რომ თუ დეპოლიტიზებული სამოქალაქო საზოგადოება იდეალურ საზოგადოებადაა დასახული და შესაბამისად, ლიბერალიზმი საბოლოო და აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, მაშინ მასში ნონკონფორმისტობა რატომღა უნდა არსებობდეს? გამოდის, რომ რაღაც ვერ არის სწორად მსჯელობა'ში. რაც იდეალურია და საბოლოო, მას ნონკონფორმისტის კრიტიკა და პროტესტი აღარ უნდა სჭირდებოდეს. ესე იგი, ის არაა იდეალური და არც საბოლოო ჭეშმარიტებაა. გარდა ამისა, კონფორმისტობაც და ნონკონფორმისტობაც ყველა შემთხვევაში პოლიტიზაციას გულისხმობს.

დემოკრატიზება არ ნიშნავს დეპოლიტიზებას. უკვე დემოკრატიის ცნება ყოვლისმომცველ პოლიტიზაციას გულისხმობს. თუ დემოსი პოლიტიკურად არ იდეირებს, მაშინ დემოკრატია ფიქციაა. ხალხის მონაწილეობა პოლიტიკაში მხოლოდ პოლიტიზების გზით ხორციელდება. ძალაუფლების ყველა სისტემა (მონარქია, ფაშიზმი, ლიბერალიზმი) პოლიტიზების გარეშე შეუძლებელია. ეს ძალაუფლების ბუნებიდან გამომდინარეობს. საპირისპიროს მტკიცება ან უცოდინრობის გამო ხდება, ან ილუზიათა ხიბლში ყოფნის გამო. დეპოლიტიზებული, შესაბამისად, დეეტატიზებული დემოკრატიის დამკვიდრება წყლის ნაყვაა. როდესაც დასავლეთი ხელს უწყობს ასეთი მცდარი აზრის დამკვიდრებას, ეს გვიჩვენებს, რომ მოქალაქეთა მასების დესოციალიზებისა და ჰედონისტური სწრაფვის წახალისებით, რაც გამოიხატება დეპოლიტიზებისა და სექსუალური რევოლუციის პროპაგანდაში, ხდება ყველა ფორმალური თუ არაფორმალური ნორმის მოშლა, რასაც

ვხედავთ კიდეც. იდეოლოგიურ ბრძოლაში სნობობა და არტისტობა დაუშვებელია. ეს კარგად იცოდნენ ჯერ კიდევ ერესებთან მებრძოლმა იეზუიტებმა, მონარქიასთან მებრძოლმა ევროპელმა რევოლუციონერებმა.

საქართველოში წინა წლებში ცდილობდნენ აღარ გამოეყენებინათ ინტელიგენციის ცნება. განათლებულ მკითხველს ეს კარგად ეხსომება. დემოკრატიის შექმნაში მუდმივმა მარცხიანობამ განაპირობა ამ ცნების კვლავ გამოყენება. ესეც ბევრის მთქმელია. ინტელიგენციის ცნების კვლავ გამოყენება წარმოაჩენს იმის აუცილებლობას, რომ ლიბერალურად უნიფიცირებულ საზოგადოებაშიც კი ვიღაც უნდა იყოს მორალური ავტორიტეტის მქონე. მართალია, ჩვენი ინტელიგენცია დაცემულია, მაგრამ საზოგადოებას მის გარდა სხვა ინტელიგენცია არ ჰყავს. საზოგადოების წევრები კი არიან თავისუფალნი, მაგრამ ისინი მორალურ ავტორიტეტს მოკლებულნი არიან. აქ ჩნდება კითხვა: როგორ შეიძლება საზოგადოება იყოს უნიფიცირებული და უნიფორმიზებული პლურალიზმის პირობებში? ადამიანებს ასწავლეს, რომ ასეთი რამ მხოლოდ ტოტალიტარულ საზოგადოებებში ხორციელდება. ახლანდელი უნიფიკაცია არის პლურალიზმის უნიფიკაცია და ის მიიღწევა ჰუმანიტარული ტექნოლოგიების გზით. პლურალიზმის ცნება არსგამოცლილი ხდება. ნებისმიერ ოპოზიციას აზრი აქვს დაკარგული იმიტომ, რომ პლურალიზმი იდეათა სელექციას კი არ ახდენს, არამედ ის რელატივისტურია, პირონისტულია და მისთვის სულ ერთია ცუდი იდეა და კარგი იდეა.

ჩვენი ინტელიგენცია გაურბის მარქსს შიშის გამო, რომ მას ბრალი არ დასდონ ბოლშევიკურ რეციდივში. მარქსს დღემდე განიხილავენ დასავლელი მეცნიერნი და გაუგებარია საქართველოში ასე ხანგრძლივად რატომ ხდება მისი დაცინვა. როგორ ინტერპრეტაციას მისცემს ის ინტელიგენცია ისტორიას, ვინც მარქსისტული მეთოდოლოგია და ისტორიის განვითარების ფორმაციული კონცეპცია უარყო? რამდენად ეთანხმება ინტელიგენცია ნეოლიბერალიზმის საისტორიო ინტერპრეტაციას ისტორიის დასასრულის შესახებ?

გვინდა ვკითხოთ პოლიტიკური კონიუნქტურის დამცველ ინტელიგენტს: თქვენ რომ მართლმადიდებლობაზე დაყრდნობით

წარმართავთ საკუთარ ანტიტოტალიტარულ დისკურსს, მართლმადიდებლობაზე, საერთოდ რელიგიაზე ტოტალიტარული და მონისტური რომელი მოძღვრებაა? თუ თქვენ ხართ ის, ვინც მართლმადიდებლობის რეფორმაცია და კაპიტალიზაცია მისი ნაციონალიზაციისა და ფილეტიზაციის გზით განახორციელა და ის პლურალიზმს მოარგო? თქვენ რომ ლიბერალიზმის აპოლოგიის დროს მიუთითებთ რჯულსე, ისე გამოდის, რომ კაპიტალიზმი მისმა ევროპელმა თეორეტიკოსებმა მოციქულთა და ეკლესიის მამათა სწავლებაზე დაყრდნობით შექმნეს. რატომ არის, რომ საკრალურის შემეცნება ყოველთვის პროჰიბიტური, ავტორიტარული და მონისტური და არა დემოკრატიულ-პლურალისტურია?

მსჯელობა რადიკალურისა და პრინციპულის შესახებ რადიკალური და პრინციპული უნდა იყოს. აქ შეუძლებელია სინამდვილის სიმულაკრებით შენაცვლება, მნიშვნელობის არამქონე ნიშნებით მანიპულირება.

ქართველი ინტელიგენციის დემოკრატიული დისკურსი თავიდანვე ფამილარულ-კომპლიმენტარული იყო. ინტელიგენციის კატეგორიულობა და შეურიგებლობა, მის მიერ აკადემიური კონცეპტებისა და სამეცნიერო ცნებების უფართოესი გამოყენება, თვითორგანიზებისათვის ძალთა დაძაბვას და სულიერ დისციპლინას, დიდი შემეცნებითი ღვაწლისათვის მზადებასა და მზადყოფნას კი არ გულისხმობდა, არამედ ამართლებდა ქართულ ყალბისმქმნელობას და უქნარობას. 90-იანი წლების დასაწყისში ლიბერალიზმის აპოლოგიას საქართველოში ჰქონდა სამოქალაქო დემობილიზაციის, უშრომელობის და ეროვნული მოძრაობის თანამდევი დიდი კრიმინალის გამამართლებელი აზრი და შინაარსი. რჯულთან გადაწნული ქართული ლიბერალიზმი გულის სიწმინდით ნაშობი ცეცხლის შუქი კი არა, არამედ ჭაობის შუქი და ჭაობის მყრალი ჯანღი იყო. რიგიანად დაწყებული არ იყო ეროვნული მოძრაობა და ის უმოკლეს ხანში კატასტროფულად დამთავრდა. პარტნომენკლატურამ თვით დისიდენტებთან და პოლიტიკურ კრიმინალიტეტთან ერთად ეროვნული მოძრაობა ოთხში ამოიღო. უარესი ბედის დაცინვა ვერ იქნებოდა.

მრავალი ინტელიგენტი პრეზიდენტ გამსახურდიას აბრალებ-

და, რომ მან ქართველები ერთმანეთს გადაჰკიდა, მაგრამ გამსახურდიას პრეზიდენტად გახდომამდე ინტელიგენცია სხვადასხვა პარტიებში წავიდ-წამოვიდა და ერთმანეთის ლანძღვას მიჰყო ხელი. 1989-90 წლების პრესა დიდი ურთიერთსიძულვილითაა სავსე.

უდიდესმა მარცხმა და დაცემამ ინტელიგენცია ვერ აიძულა თავის თავისკენ მიქცეულიყო განსჯად და საკუთარ შემეცნებით ნიადაგზე რაღაც შეექმნა.

ნოემბრის რევოლუციამდე ზუსტად ერთი წლით ადრე, 2002 წლის ნოემბერში, ზურაბ ჟვანიას პარტიას დაერქვა ეროვნული კონვენტი. ჩვენ გვახსოვს 1991-92 წლების ეროვნული ფორუმი და ეროვნული კონგრესი. ჟვანიას პარტიის ეს სახელწოდება - ეროვნული კონვენტი, მალევე მიეცა დავიწყებას. პარტიას ბურჯანაძე - დემოკრატები დაერქვა. წინა წლებში შევარდნაძის მხარდამჭერი ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი კონვენტის ყრილობაზე იმყოფებოდა როგორც შევარდნაძის რადიკალური ოპოზიცია. გამსახურდიას დიდმა მოძულემ ვახუშტი კოტეტიშვილმა აღნიშნა, რომ ხოში მაქვს და იმიტომ ვუჭერ მხარს ჟვანიასო. ეროვნულ კონვენტში მოსვლით ინტელიგენცია საკუთარ გაკოტრებას ამართლებდა და პოსტშევარდნაძისეული პერიოდისათვის წინდაწინ თადარიგს იჭერდა. ინტელიგენციის ასეთი გადასვლა-გადმოსვლა იმას ნიშნავს, რომ კონვენტის ოპოზიციონერობა ყალბი იყო და ისევ ის პოლიტიკური ელიტა იქნებოდა ქვეყნის სათავეში.

1991-92 წლებში საქართველოში ინტელიგენციის ხოშის გამო მოხდა ის, რაც არსად მომხდარა მთელ პოსტსაბჭოთა ბანაკში. ასეთი გაუგონარი ღალატი მხოლოდ საქართველოში აღმოჩნდა შესაძლებელი. ხოშით მოსული ინტელიგენცია რასაც შევარდნაძის დროს აკეთებდა, იმასვე აგრძელებს ხოშიანად ნოემბრის რევოლუციის შემდეგ.

ადამიანები, რომელნიც მრავალი წელი პოლიტიკაში არიან, მსჯელობენ როგორც მეტისმეტად პრიმიტიული ინტრიგანები. მათ არ იციან და არც სურთ იცოდნენ პოლიტიკის თეორია, ისტორიის ფილოსოფია, გეოპოლიტიკა.

ინტელიგენციამ მარქსს დასცინა, რადგან მას, ინტელიგენციის თანახმად, ყველაფერი ეკონომიკაზე დაჰყავდა და სულიერ

ფაქტორებს გამორიცხავდა. ამავე დროს ინტელიგენცია ამტკიცებდა, რომ ყველაფრის განმსაზღვრელი ეკონომიკაა, ოღონდ არა სოციალისტური, არამედ საბაზრო ეკონომიკა. მარქსისტული პოლიტეკონომია შეცვალა ეკონომიქსმა. ეს უკანასკნელი არის რადიკალური ტექნოცენტრული დეტერმინიზმის კონცეფცია. მისი დამკვიდრების პარალელურად, ჰუმანიტარული ტექნოლოგიების მეშვეობით ხდება ვიტალური სუბიექტურობისა და ჰედონიზმის ყოველმხრივი ლეგიტიმაცია და ეს ადამიანისაკენ შემობრუნებად, ადამიანური განზომილების პროგრესად საღდება.

საგანმანათლებლო პროგრესის იდეის თანახმად, ადამიანები დღეს ნახევრადღმერთები თუ არა, ზეკაცები მაინც უნდა იყვნენ. ფრანგული და გერმანული, ასევე რუსული განმანათლებლობა ადამიანის მუდმივი ზეაღსვლის იდეას იცავს. ჩვენს სინამდვილეში ეს იმას ნიშნავს, რომ ის, ვინც ჰეგელისა და კირკეგორის შემდეგ მოვიდა, აღარ უნდა ჩამოუვარდებოდეს ამ მოაზროვნეებს, ნაბიჯს უნდა უწყობდეს მათ. დღევანდელ ინტელიგენტს ჰეგელისებრ უნდა შეეძლოს პოლისტური აზროვნება. ინტელიგენტს უნდა შეეძლოს კირკეგორის ტრაგიკული შემეცნებითი მარტოობის განცდა, რათა მან შექმნას საყურადღებო განაზრება და არა უბრალოდ დაწეროს უნივერსიტეტის დებულებით გათვალისწინებული საგეგმო ნარკვევი კირკეგორის შესახებ.

ფრანგულ-გერმანული და მთლიანად ევროპული განმანათლებლური პროგრესიზმი ადამიანისაგან სულ უფრო მეტ შემეცნებით უნარებს მოითხოვს. ამრიგად, ინტელიგენცია როგორც განმანათლებლობის მოციქული და არა უფლის ვექილი, არა სამღვდელოების მაამებელი, ახორციელებს ფილოსოფიური ღმერთის იდეას, ახორციელებს ადამიანის სულის უწყვეტი ზეაღმავლობის იდეას.

ყოველივე ამის საპირისპიროდ, პოსტბოლშევიკური დროის ქართველმა ინტელიგენციამ სულ უფრო ქვემოთ დასწია ინტელექტუალური ნიშნული და საკუთარი დემობილიზაცია საგანმანათლებლო ფრონტზე რჯულზე მითითებით გაამართლა. ესეც გაუგონარი დანაშაული იყო, რომელმაც დააჩქარა განმანათლებლობის დემონტაჟი და დევალვაცია.

განმანათლებლობის დროს ახალ ადამიანზე იყო ლაპარაკი. ადამიანური ძალებისადმი უდიდესი რწმენა უდიდეს უტოპიას ქმნიდა. განმანათლებლობამ ეს რწმენა რენესანსის ეპოქის მოაზროვნეთაგან გადაიღო. ფლორენციის პლატონური აკადემიის წარმომადგენელი გრაფი პიკო დელა მირანდოლა (1463-94) ადამიანის შესახებ აღნიშნავდა: magnum miraculum est homo (ადამიანი დიდი სასწაულია). ასეთსავე აზრს იცავდნენ რენესანსის ეპოქის სხვა მოაზროვნენი. ასეთი იყო მაშინ ფილოსოფიური რწმენა, რომ რაღაც დიდი უნდა დაწყებულიყო, ახალი მსოფლიო უნდა შექმნილიყო. დღეს თუ შეიძლება ასეთი რამ ითქვას ადამიანზე? მუდმივად ლაპარაკობენ განვითარებაზე, ცვლილებებ'ზე, სიახლეებზე, ახალ მსოფლიო წესრიგზე და ახლებურ აზროვნებაზე, მაგრამ ის რწმენა და ის აზრი ადამიანის შესახებ აღარაა. დღეს ცნება „ახალი" უსაზღვრო მანიპულაციის საგანია. ეს საღვთისმეტყველო ცნება გადაიქცა ნეოლიბერალურ ექსტრემუმად. ლიბერალიზმის იდეოლოგია მეტაფიზიკურ პრობლემებს განდევნის არა უბრალოდ ქრისტიანობის უკან დაწევით და სციენტისტური მოდელის წინ წამოწევით, არამედ ქრისტიანობის გამოყენებით. რჯულის თანახმად, ახალი რომი იყო ბიზანტია. ახალი ადამიანი იყო ის, ვინც ქრისტესი იწამა. ლიბერალიზმის იდეოლოგია ახდენს იდეური მოწინააღმდეგის დეონტოლოგიზაციას და ლაპარაკობს ამერიკაზე როგორც ესქატოლოგიურ ჰეგემონსა და ახალი ეპოქის მენიშნეზე.

დენი დიდროს, ფრიდრიხ ნიცშეს, მარტინ ჰაიდეგერის, ჟან პოლ სარტრის შემდეგ ინტელიგენტი უნდა მოერიდოს ათეიზმის პრიმიტიულ გმობას და მის სატანიზმად შერაცხვას. ინტელიგენტმა კი სამღვდელოებასთან ერთად სწორედ ეს გააკეთა. ეს იყო ფილოსოფიური და საუნივერსიტეტო ასპარეზიდან დეზერტირობა. შეუძლებელია, რომ ბოლშევიკების დამგმობ და ყველაფრის ხელაღებით უარმყოფელ ინტელიგენტს ჰქონოდა იმდენი მორალური და ინტელექტუალური უნარი, რომ ყველაფრის თავიდან შექმნა დაეწყო.

.ნიცშეს, კირკეგორის, ფროიდის გამოკვლევათა შემდეგ უაზრობისათვის სულ უფრო ნაკლები შესაძლებლობა უნდა დარჩენილიყო, მაგრამ პირიქით მოხდა. საქართველოში ამ

მოაზროვნეთა მონაპოვარი ინტელიგენციის დემოკრატიულმა კონფორმიზმმა გააუქმა. ინტელიგენციისათვის 1992-2003 წლების დაცემა განსაწმენდელად ვერ იქცა. თავის მსჯელობაში ინტელიგენცია მიუთითებს ხოლმე, მაგალითად, უნამუნოზე. ესპანეთში XIX - XX საუკუნეების მიჯნაზე მიგელ დე უნამუნომ დაიწყო ესპანეთის ინტელექტუალური აღორძინება და ამ საქმეში მას კათოლიციზმთან უთანხმობა ჰქონდა. შემდეგ ესტაფეტა აიტაცა ხოსე ორტეგა -ი- გასეტმა. ეს მოაზროვნენი ხშირად მოიხსენიებიან საქართველოში, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მათი სახელები საკუთარ მსჯელობას სამკაულად მოარგონ. უნამუნოს ნათქვამი გულებს ვერ სწვდება და არავის აფიქრებს. ვერავინ გააგრძელა მერაბ მამარდაშვილის ესტაფეტა. მის ნააზრევს კი ბევრის მოცემა შეუძლია.

ქართველი ინტელიგენცია დასავლეთის დასავლელ კრიტიკოსთა ნააზრევს განზრახ ვერ ხედავდა, რათა ხელი არ შეშლოდა ლიბერალიზმის გაქანებულ მეხოტბეობაში. ბურჟუაზიული დემოკრატიის ფილოსოფიური კრიტიკა ევროპული აზროვნების მონაპოვართაგანია. ქართველმა ლიბერალმა ინტელიგენტმა კი ისე წარმოაჩინა, რომ მან დასავლელ მოაზროვნეებზე მეტი იცის. ნოემბრის რევოლუციის შემდეგ ლიბერალიზმის მეხოტბეობა ინტელიგენციამ ახალი ძალით გააგრძელა. რატომ განდევნა ინტელიგენციამ ბურჟუაზიის ცნება პოლიტიკური ენიდან, როდესაც მას თვით დასავლეთში დღემდე იყენებენ?

დასავლეთისათვის ფრიად ხელსაყრელი იყო, რომ საქართველოში ბოლშევიზმი და სოციალიზმი მიჩნეულ იქნა ანტინაციონალურ ძალად, ხოლო ლიბერალ-კაპიტალიზმი ნაციონალური იდეის გარანტად. ეს ცდომილება ინტელიგენციას ჯერ კიდევ 1989 წელს უნდა შეეჩნია. ამ ცდომილების დამკვიდრებით უარიყო საგანმანათლებლო მონოტექსტუალიზმი, რომელშიც ყველა სოციალური კონცეპტი და პოლიტიკური პრინციპი ერთი მთავარი აზრით, ცენტრალური იდეითა და გენერალური თეზისით იმპერატიულად არის შეპირობებული.

პოსტმოდერნისტულმა პლურალიზმმა მოახდინა ამ მონოტე-

ქსტუალიზმის დეკონსტრუქცია. მან ხელი შეუწყო რელიგიის ფილეტიზაციას (გაეროვნულებას) საქართველოში. ამის შემდეგ სოციალურმა დისკურსმა მონსტრულ-ეროვნული და ქიმერული ხასიათი შეიძინა. პატრიოტულ სიმულაციებს დასასრული არ უჩანს. ინტელიგენციის უფროსი თაობა ტირანულად იქცევა.

ინტელიგენციის ნებისმიერი მსჯელობა, რომელიც თანამედროვეობის პრობლემებს გაურბის და ,ამავე დროს, აქვს კრიტიკული შეფასების, ანალიზის, დიაგნოზის პრეტენზია, არის ინტელექტუალური ფალსიფიკატი.

მარქსისტული მატერიალიზმისაგან დათრგუნული და თითქოს იდეალიზმს მოწყურებული ინტელიგენცია იდეურ პერსპექტივას ვერ პოულობს. უნივერსიტეტმა, ისევე, როგორც ეკლესიამ, ვერ შეძლო არსებული სინამდვილის ანთროპოლოგიური ექსპერტიზა. ინტელიგენტიც და ბერიც ისევ ისე ამტკიცებენ, რომ არსებული სინამდვილე სულიერებასთან სრულ თანხმობაშია და მაგალითად, ამის დასტურად მიუთითებენ ათობით მშენებარე ეკლესიაზე, ნოემბრის რევოლუციაზე.

შემოვიდა უწინ აკრძალული წიგნები, ყველაფრის შესწავლაა შესაძლებელი, მაგრამ ვერსად ვხედავთ რაიმე აღმაფრენას. ისეთი ყოვლის მაარარავებელი ანთროპული გარემოა შექმნილი, რომ საკუთარი ღრმად რეფლექტირებული განსჯა ვერ წარმოიშობა. საქართველოში უცხოელ მოაზროვნეთა გენიალური აზრიც კი არარავდება. ასეთ ვითარებაში праздника на нашей улице не будет. რაც უფრო მეტს ლაპარაკობენ ლიბერალური იდეალის შესახებ, მით უფრო მეტად ანტაგონისტური ხდება ამ იდეალის მიმართ ქართული სინამდვილე.

ნოემბრის რევოლუცია და ქართული ნაციონალიზმის შესაძლებლობანი

წერილი პირველი*

დასავლეთისათვის ჯერ კიდევ 1989-91 წლებში იყო მიუღებელი გამსახურდიას ნაციონალიზმი. მის ნაციონალისტურ მოწოდებებს დასავლეთი უარყოფითად აფასებდა. პრეზიდენტი სააკაშვილიც ცდილობს იყოს რადიკალი ნაციონალისტი და ისე წარმოაჩენს, რომ ის თავისი პოლიტიკით აღადგენს სამოქალაქო ომის ძალით შეწყვეტილ კავშირს დღევანდელობასა და გამსახურდიას დროს შორის. მაგრამ დასავლეთს სააკაშვილის ნაციონალიზმი არ აშფოთებს, იმიტომ, რომ ის არაა ისეთი ხალასი, როგორც გამსახურდიას ნაციონალიზმი იყო. დასავლეთის უშფოთველობა იმით აიხსნება, რომ მან იცის: ქვეყანა, რომლის პოლიტიკური ელიტა მთლიანად დავალებულია საერთაშორისო საკახშო კაპიტალისაგან, ვერ განახორციელებს ნაციონალურ პოლიტიკას, ვერასოდეს იქნება ტრადიციონალისტი.

ქვეყნის სათავეში რომ მოსულიყო მართლა ნაციონალისტური პარტია, დასავლურ მედიაში გამოქვეყნდებოდა ნეგატიურ შეფასებათა ციკლი და დაიწყებოდა ქვეყნის დისკრედიტაცია, როგორც ეს გამსახურდიას დროს იყო. ახლა რომ მმართველ პარტიას ეწოდება ნაციონალური, ამას დასავლეთის მიერ არ ექცევა ყურადღება. თვით ევროპაში ასეთი სახელწოდების პარტიის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენა ყოველთვის უარყოფითად განიხილება. დასავლურ პოლიტიკაში ნაციონალისტები მარგინალიზებულნი არიან. ევროპასა და რუსეთში ყურადღებას იპყრობს პარტიის ნაციონალურად დასახელება და არა ის, რომ პარტია შეიძლება მემარჯვენეობის დეკლარირებას ახდენდეს და სინამდვილეში კი მემარცხენე იყოს, ან პირიქით. კაპიტალის გლობალიზაცია თანდათან ასრს უკარგავს ასეთი იდეური ორიენტაციის (მემარცხენეობის ან მემარჯვენეო-

* პირველად გამოქვეყნდა გაზეთში „ხალხი და ხელისუფლება“ (№7, ივნისი, 2005 წ.).

ბის) გამოკვეთის აუცილებლობას. ამ ორ მხარეს შორის ზღვარი თანდათანობით იშლება. ეს ვითარება იმას გვიჩვენებს, რომ ტრანსნაციონალური კაპიტალისათვის შემაბრკოლებელ ფაქტორად განიხილება არა პრინციპული მემარჯვენეობა ან მემარცხენეობა (კლასიკური გაგებით), არამედ ნაციონალიზმის გამოვლინებანი.

საქართველოში ცნებები და სახელები დიდი ხანია გაყალბებულია. უცხოეთში რომ ქვეყნის ადმინისტრაციამ ამდენი ილაპარაკოს თავისი ხალხის განსაკუთრებულობასა და ღვთივრჩეულობაზე, ეს დიდ გაუგებრობას გამოიწვევს. საქართველოს შემთხვევაში რომ ასე არ ხდება, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დასავლეთი სააკაშვილის „ნაციონალურ მოძრაობას“ არ განიხილავს კაპიტალისათვის შემაბრკოლებელ ნაციონალისტურ ძალად. საქართველო დასავლეთისათვის უმნიშვნელო ქვეყანაა და მისი ნათქვამი საკუთარი ღვთივრჩეულობის შესახებ ყურადღებას არ იპყრობს და არც ნეგატიურად არის შეფასებული უცხოური მედიაკრატიის მიერ.

ამერიკული პოლიტიკა პროტესტანტული ფუნდამენტალიზმის მესიანისტურ იდეებს იცავს, მაგრამ ამ ქვეყნის ადმინისტრაცია საჯარო გამოსვლების დროს სეკულარისტული ცნებებითა და ეკონომიკური კატეგორიებით მსჯელობს. საქართველოში კი ხელისუფლება ცდილობს საკუთარ ლიბერალობას მეტი დამჯერებლობა შესძინოს ღვთის მადლზე და რელიგიურ განსაკუთრებულობაზე საჯარო განსჯით.

ნოემბრის რევოლუციამ დაგვანახა, რომ არ არსებობს ნაციონალური კაპიტალიზმი, რომ კაპიტალს არა აქვს ეროვნული ხასიათი. ის, რომ მმართველ პარტიას ჰქვია ნაციონალური, არის იდეოლოგიური კამუფლაჟი. ნოემბრის რევოლუცია ეროვნული ეკონომიკის აღორძინების გულისათვის არ მომხდარა. ყოფილი პოსტსაბჭოთა ბანაკიდან კვლავ საქართველო არის პირველი ქვეყანა, რომელშიც საერთაშორისო კაპიტალმა ღიად მოაწყო რევოლუციად წოდებული ექსპერიმენტი. გამორიცხულია, რომ ასეთ შემთხვევაში პოლიტიკური ელიტა იყოს ნაციონალური და დაიცვას ეროვნული ტრადიცია. გამორიცხულია, რომ საერთაშორისო

კაპიტალს ხელი შეეწყო ქვეყნის სათავეში ნაციონალური ძალის მოსვლისათვის. დასავლეთი რადიკალური ეკონომიკური ანტინაციონალიზმის გლობალურ პოლიტიკას ამკვიდრებს.

შევარდნაძის დამხობის გზით ქვეყნის სათავეში რომ ეროვნული მოძრაობის დროინდელი ორგანიზაცია მოსულიყო და განეცხადებინა, რომ ის გამსახურდიას ეროვნულ პოლიტიკასთან კავშირის აღდგენას იწყებს, მყისვე დაიწყებოდა ამ ორგანიზაციის პროპაგანდისტული დემონიზაცია თვით საქართველოში. საინტერესოა, რა პოზიციაზე დადგებოდნენ ასეთ შემთხვევაში ისინი, ვინც დღეს „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ბურჯანაძე დემოკრატების“ წარმომადგენელნი არიან. ეჭვიც არ უნდა შეგვეპაროს იმაში, რომ ამ ეროვნული ორგანიზაციის დამხობას თვით ქართველები განახორციელებდნენ ამერიკული და რუსული კაპიტალის მხარდაჭერით და ამისათვის ომის დაწყებასაც არ მოერიდებოდნენ. ეროვნულ ორგანიზაციას ბრალს დასდებდნენ ფაშიზმში, დიქტატურის დამყარებაში და ყოველივე იმაში, რაშიც ქართული ნიჭიერება მთელი სისრულით ვლინდება. აი, სააკაშვილს ჯერ კიდევ 2003 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე ბრალს სდებდნენ ფაშიზმში იმის გამო, რომ მან თავის დაარსებულ პარტიას „ნაციონალური მოძრაობა“ უწოდა. ირონიას ის იწვევდა, რომ სააკაშვილს ფაშიზმში დასდეს ბრალი არა მხოლოდ შევარდნაძის მომხრეებმა, მათ, ვინც 1992 წელს გამსახურდია პროვინციულ ფაშიზმში დაადანაშაულა, არამედ 90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმაც, რაც ამ მოძრაობისა და ქართველი ანტისაბჭოთა დისიდენტობის დიდ იდეურ გაკოტრებას კიდევ ერთხელ მთელი სისრულით წარმოაჩენდა. ამის გარდა, სააკაშვილს, ისევე როგორც გამსახურდიას, ტრაფარეტული ჩვეულების თანახმად, დიქტატორულ მისწრაფებაშიც დასდეს ბრალი. საკითხში გაურკვევლობა მყვირალა შეფასებით იქნა დაფარული.

შევარდნაძეს, ყველაფრის მიუხედავად, ვერ უბედავდნენ კონტრაქციების მოწყობას. ამის შესაძლებლობა დასავლეთმა მხოლოდ თავის კრეატურას – სააკაშვილს მისცა. ამ ორი პოლიტიკოსის გარშემო ტრიალებდა ნოემბრის საპროტესტო აქციები. სხვები მხოლოდ პოლიტიკური ფიგურანტები იყვნენ.

ორივე პოლიტიკოსს ამერიკული იდეური მხარდაჭერა და ტრანსნაციონალური კაპიტალი უმაგრებდა ზურგს. დამოუკიდებლად საქართველოში პერსპექტიული პოლიტიკური პროცესი ვერ ვითარდება. ქართული სინამდვილე ყოველგვარი იდეური აკრძალვების გარეშე დაკნინდა. წარმოჩინდა მრავალი ათეული ეროვნული პარტიის სრული უმნიშვნელობა. მათმა სიმრავლემ ქართული ნაციონალური იდეა დიდი დევალვაციისაგან ვერ იხსნა. რეპრესიებისა და იატაკქვეშეთში ყოფნის პირობებში არ დაემართებოდა ეროვნულ მოძრაობას ის, რაც მას დაემართა იდეოლოგიურ აკრძალვათა არარსებობისა და სრული თავისუფლების პირობებში.

ნოემბრის რევოლუცია იყო ელიტათა როტაციის ნეოკაპიტალისტური ვერსია, რითაც ქართველობა კიდევ ერთხელ საარაკოდ იქნა გაბითურებული. ხალხი ხმას აძლევდა არა სააკაშვილის პარტიას, არამედ ხმას აძლევდა შევარდნაძის პარტიის წინააღმდეგ. შეგნებულად იქნა ხალხი ჩაყენებული ასეთ მდგომარეობაში, რათა განხორციელებულიყო ნეგატიური ხმის მიცემის ტექნოლოგია, როდესაც ხმას აძლევენ მის წინააღმდეგ, ვინც მხილებული და გაკიცხულია და არა იმას, ვინც ხმების მოგროვებას საჭიროებს.

ნეგატიური ხმის მიცემის ტექნოლოგია განახორციელეს ხელისუფლების წიაღიდანვე გამოსულმა პოლიტიკოსებმა და ქვეყნის სათავეში ისევ ისინი მოიყვანა ამ ტექნოლოგიამ, ვინც 1995 წლიდან განაგებდა ყველაფერს. ამან ეროვნული ძალების უღონობა და ქართული პარლამენტარიზმის დამარცხება წარმოაჩინა. ახლანდელი მმართველი პარტია ტექნოლოგიურ საფუძველზე იქნა სასწრაფოდ შეკოწიწებული. ის მთლიანად უცხოურ მხარდაჭერას ეყრდნობა და წარმოადგენს ტრანსნაციონალური კაპიტალის პოლიტიკურ მარიონეტს კავკასიაში. ის გაცილებით მცირე ხანში დაიშლება, ვიდრე მოქალაქეთა კავშირი დაიშალა და მისი დაშლა იდეის გამო კი არა, არამედ ისევ PR-ტექნოლოგიის მიზნით მოხდება.

მრავალმა ადამიანმა 1995 წელს შევარდნაძის პრეზიდენტად გახდომას მხოლოდ იმიტომ მისცა ხმა, რომ ის მიიჩნეოდა სამოქალაქო ომის დასრულებისა და სტაბილურობის დამკვიდრების გარანტად. ამიტომ ყველაფერზე შეგნებულად

დახუჭეს თვალი და მრავალი მაშინდელი დანაშაული დავიწყებას მიეცა ბედნიერი მომავლის სახელით. საზოგადოება დააყენეს საკუთარი უუნარობის ფაქტის წინაშე და იგი აიძულეს თავი მოეტყუებინა. ყველაფერი დაუკავშირდა შევარდნაძის პრეზიდენტად არჩევას, როგორც დღეს ყველაფრის გადაწყვეტა დაუკავშირდა საკაშვილის პრეზიდენტად არჩევას. ამ მიზნით კვლავ დავიწყებას მიეცა 1995 წლიდან ჩადენილი უმძიმესი დანაშაულებანი.

რატომ ასე იოლად გასაღდა ნოემბრის რევოლუცია ზნეობრივ მონაპოვრად? იმიტომ, რომ არნახული ფლიდობისა და სულმდაბლობის პირობებში ერთობ ადვილია უმცირესი რაღაც წარმოჩნდეს ზნეობრივ ქმედებად. ქართველ ხალხს დიდი ხანია ნამუსიანად არ უცხოვრია და არც მტყუან-მართლის გარჩევის სურვილი ჰქონია. საყოველთაო დაცემის პირობებში მორალის სახელით გამოსული პოლიტიკური მსახიობობა ადვილად საღდება მიღწევად. სრული დემორალიზების პირობებში ადამიანები თან ლაღად გრძნობენ თავს და თან ეწამებიან ამ საყოველთაო დამცირებით. უწყვეტი მორალიზების მიუხედავად საზოგადოება მაინც უზნეოდ ცხოვრობს და ამავე დროს საჭიროებს ზნეობრივ მოჩვენებითობას, რაც მას მისცა ნოემბრის რევოლუციამ.

ეს ხავერდოვანი რევოლუცია, როგორც ადრე აღვნიშნეთ, soft power-ისა და soft ideology-ს პრინციპების გამოყენებით მოეწყო. დასავლეთი მას ყველას სთავაზობს და თან განმანათლებლობის უზურპირებას ახდენს. ეს იდეოლოგია ვლინდება იმაში, რომ მმართველ პარტიას ეწოდება ის სახელი, რისკენაც ლიბერალიზმით გაწბილებული ქართველობა მიისწრაფოდა. მაგრამ როგორც მოქალაქეთა კავშირი არ ყოფილა არც მემარცხენე და არც მემარჯვენე, ასევე ნაციონალური მოძრაობა, გარდა იმისა, რომ არაა ნაციონალისტური, არაა არც მემარჯვენე და არც მემარცხენე.. Soft ideology-ს პირობებში ყველა მსჯელობა თანაბარმნიშვნელოვანია. ყველაზე უმკაცრესი შეფასება და ურადიკალურესი კრიტიკა თავიდანვე ნეიტრალიზებულია. ამის გამო ხელისუფლების ყველა რადიკალური განაცხადი და დაპირება არ არის სარწმუნო, ისევე როგორც მისი ნაციონალიზმი. ჭეშმარიტი ნაციონალიზ-

მი შეუძლებელია არ იყოს სოციალისტური და კოლექტიური. ნაციონალიზმი ვერ დაეყრდნობა საბაზრო პრინციპს, სოციალურ ატომიზმსა და ინდივიდუალიზმს. გამსახურდიას ეს ესმოდა და ის ცდილობდა ეროვნული მოძრაობის წინაშე მდგარი სიძნელე მესიანიზმის დაფუძნებით გადაეწყვიტა.

1989-91 წლებში საქართველოში მთელი კატეგორიულობით დაისმოდა საკითხი – თუ სოციალიზმი არა, მაშინ მხოლოდ ლიბერალიზმი. შესაბამისად, საბაზრო ლიბერალიზმი უალტერნატივო წყობად მიიჩნეოდა. საკითხის ასეთმა დაყენებამ გამორიცხა გორბაჩოვისეულ გარდაქმნის დოქტრინაში არსებული კონვერგენციის (ორი სისტემის დაახლოების) იდეის შესაძლებლობათა განხილვა. საკითხის ასე დაყენებამ, რომ ლიბერალიზმი უალტერნატივო წყობა და ერთადერთი ჭეშმარიტებაა, ეროვნული მოძრაობა დააყენა არჩევანის წინაშე: ნაციონალიზმი ან უნდა მორგებოდა ლიბერალ-კაპიტალიზმს და მიეღო მისი კოსმოპოლიტური სულისკვეთება, რაც ეროვნული მოძრაობის დასრულებას ნიშნავდა, ან ამ ნაციონალიზმს რაღაც სხვა იდეური გზა უნდა მოეძიებინა. გამსახურდია შეეცადა ქართული მესიანიზმის დაფუძნებით გადაეჭრა ეს საკითხი და ამით ის ეროვნულ იდეასა და ნაციონალიზმს ლიბერალ-კაპიტალიზმისაგან დამოუკიდებელ პერსპექტივას უქმნიდა. მესიანისტური ნაციონალიზმის ნეიტრალიზება ლიბერალიზმს გაუჭირდებოდა, ინდივიდუალიზმსა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ნაციონალიზმი კი ლიბერალიზმმა მყისვე გააკამტვერა.

მერაბ კოსტავას სიკვდილის შემდეგ გამსახურდია დისიდენტთა შორის ერთადერთი იყო, ვისი ნაციონალიზმიც სწორი გზის დასაწყისში იდგა. სხვა დისიდენტების დამსახურება კი ისაა, რომ ეროვნული მოძრაობის იდეურობა ლიბერალ-კაპიტალიზმის მეხოტბეობითა და სერვილიზმით დამთავრდა. სხვა დისიდენტებს არ გასჭირვებიათ ყოფილ პარტნომენკლატურასთან შეკავშირება გამსახურდიას დამხობის მიზნით. მათ არ გაუძნელდათ გამსახურდიასეული მესიანიზმის უარყოფა და ბოროტად დაცინვა. ამ მესიანიზმის გამო მათ უწოდეს გამსახურდიას პროვინციელი ფაშისტი. ეს დისიდენტები ერთს გვიმტკიცებდნენ და სხვა კი ჩანდა ევროპული რევ-

ოლუციონიზმისა და მუშათა მოძრაობის ისტორიიდან.

დიდი დამარცხებისა და იმედგაცრუების შემდეგ არც ერთმა დისიდენტმა არ გააგრძელა გამსახურდიასეული მესიანიზმი. ასეთმა დაცემამაც ვერ აიძულა დისიდენტობა ძიება დაეწყო. გამსახურდიას ესმოდა საბაზრო ლიბერალიზმის ანტინაციონალური ბუნება და ამის შესახებ სხვებსაც აფრთხილებდა, რაც ისევ ქილიკისა და დაცინვის საგნად იქცა. გამსახურდიამ მიმართა მართლმადიდებლურ ფუნდამენტალიზმს. ის ქმნიდა ქართულ ესქატოლოგიას. ამის სრულად გააზრებაში ხელი არ უნდა შეგვიშალოს 1989-91 წლების მესიანიზმის უკიდურესმა თუ ყოვლად უაზრო გამოვლინებებმა სამღვდელოთა თუ საეროთა მხრიდან. მართლმადიდებლური ფუნდამენტალიზმი კი პროტესტანტულ მესიანისტურ ლიბერალ-კაპიტალიზმს ყელში ძვალივით გაეჩხირა და გამსახურდია დაამხეს. ასეთი რამ მთელი ყოფილი პოსტსოციალისტური ბანაკიდან მხოლოდ საქართველოში მოხდა. და მხოლოდ საქართველოში მოხდა ნოემბრის რევოლუცია ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიდან. 1991-92 წლებში გამსახურდიას მართლმადიდებლური მესიანიზმი რუსეთის ლიბერალიზებული პოლიტიკური ელიტისათვისაც მიუღებელი იყო. ბიზანტიზმზე მსჯელობა რუსეთში დიდი იმედგაცრუების შემდეგღა დაიწყო.

ლიბერალურ ეკონომოცენტრიზმზე ნაციონალური იდეა ვერ დაეყრდნობა. ეს ქართველობამ უნდა იცოდეს თუნდაც საკუთარი მენშევიკური წარსულის გამო, რომ აღარაფერი ვთქვათ ბოლშევიკურ წარსულსა და ბიზანტიურ კოლექტივიზმზე.

დღევანდელი ხელისუფლება ცდილობს წარმოაჩინოს, რომ ის არის ნაციონალისტი ლიბერალ-კაპიტალისტი, მაგრამ ნაციონალ-კაპიტალიზმი შეუძლებელი რამ არის. ამის საპირისპიროს მტკიცებას ჯერ კიდევ დისიდენტობა ანდომებდა დიდ დროს 1991-93 წლებში. ახლა იგივეს ამტკიცებს მმართველი პარტია და მთელი პოლიტიკური ელიტა. ასეთი განმეორებადი პრიმიტიული ინსინუაციებით კვლავ დამარცხებას ეყრება საფუძველი.

ნოემბრის რევოლუციის კრიტიკის მორალური უფლება მხოლოდ მას აქვს, ვინც ოავად იყო მისი მონაწილე,

შეიგრძნო სისტემის ხიბლი და მისი სიცრუის ძალმოსილება, ვინც შეიცნო, თუ რას ნიშნავს ადამიანი-მანქანა. თუ სიცრუეს ასე შეუძლია დარაზმოს ახალგაზრდობა, სიმართლეს რაღა რჩება?

იდეურად თავის პოვნა ქართველობამ ვერ შეძლო დღემდე და ახლა ნოემბრის რევოლუცია მიიჩნევა ათვლის წერტილად და ყოველივე ჭეშმარიტის დაწყების საფუძვლად. ქართული არაფრობიდან ყველაფრობის გამოყვანას ცდილობენ. კაპიტალმა გამოიყენა რევოლუციის ცნება, რათა ამ ამყავებულ, გულღრძო გარემოში რაღაც ნამდვილობის მოჩვენებითობა შექმნილიყო.

წერილი მეორე*

ეროვნული მოძრაობის დროს, როდესაც რელიგიასა და ადამიანის უფლებებზე მითითებით კატეგორიულად იგმობოდა ყოველგვარი რევოლუციონიზმი, აღინიშნებოდა, რომ XX საუკუნის 90-იანი წლებისათვის რევოლუციების ეპოქა დასრულდა და ახლა მშვიდობიანი, ევოლუციური განვითარების დრო დადგა. ინტელიგენციის წარმომადგენელნი მსჯელობდნენ, რომ რევოლუციური აჯანყება აღარაა ცივილიზებული მეთოდი და მხოლოდ კონსტრუქციული დიალოგის გზით უნდა გადაჭრილიყო ყველა პრობლემა.

ნოემბრის აქციების დროს კი კვლავ რელიგიასა და ადამიანის უფლებებზე მითითებით გამოიყენებოდა რევოლუციის ცნება. ითქმოდა, რომ რევოლუცია ღვთის შეწევნითა და ადამიანის თავისუფლების გულისათვის ეწყობოდა. ასეთი შეუსაბამობა ინტელიგენციას განსჯის საგნად არ უქცევია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ რევოლუციონიზმის 14 წლის წინანდელი გმობა ისევე იყო პოლიტიკური წამხედურობა და თეატრალობა, როგორც ახლანდელი ნოემბრის რევოლუციის მეხოტბეობა არის.

რევოლუციის ცნების დიდი ისტორიული და ონტოლოგიური

---

* პირველად გამოქვეყნდა ყოველკვირეულ გაზეთ „იერიაში“ (№63, 2 ივლისი, 2004წ.).

მნიშვნელობა უკვე იქიდან ჩანს, რომ ის საქართველოში გამოიყენა რევოლუციის ისტორიულმა მტერმა, მსოფლიო კაპიტალმა, როგორც ნამდვილი სიტყვა და ჭეშმარიტი ყოფიერების აღმნიშვნელი ცნება.

ეს მოვლენა მოგვიწოდებს ვიფიქროთ რევოლუციაზე, განვსაჯოთ მის შესახებ არა ეკლესიის მამათა სწავლებაზე დაყრდნობით, როგორც ამას ეროვნული მოძრაობის დროს აკეთებდნენ, არამედ საგანმანათლებლო რაციონალიზმსა და ფილოსოფიურ იდეალიზმზე დაყრდნობით.

თუ ხალხი მიიჩნევა ისტორიის შემოქმედად, რატომ არ მოითხოვა მან ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელთაგან 1996-2001 წლებში წინ გაძღოლა და ის გაჰყვა ნოემბრის აქციას? ამაზე მეტი დამცირება ხალხსა და ეროვნულ მოძრაობას რაღა უნდა განეცადა, რომ ის გაერთიანებულიყო? რა უნდა აკეთონ ნოემბრის რევოლუციის შემდეგ ეროვნულმა ძალებმა? ამ რევოლუციის მესვეურებმა თქვეს, რომ შევარდნაძის გადადგომა 23 ნოემბერს, იყო ღვთის შეწევნით მომხდარი სასწაული. აჭარის მთავრობის გადადგომაც დაამთხვიეს გიორგობას – ამა წლის 5 მაისს და ესეც ხელისუფლებამ თავისი რელიგიური განსაკუთრებულობის მტკიცებას მოახმარა. ორივე გიორგობაზე ხელისუფლების პირველ პირთა გადადგომა დაგეგმილი იყო. მეტი საქმე არ ჰქონდა ღმერთს, რომ შევარდნაძისათვის ან აბაშიძისათვის რაღაცის შესმენა დაეწყო და გადადგომა ჩაეგონებინა. ასეთი „სასწაულების“ შემდეგ არ იქნება გასაკვირი, რომ რაიმე პოლიტიკური მოვლენა ხელისუფლებამ დაამთხვიოს აღდგომას და საქართველოში ქრისტეს მოსვლაზე დაიწყოს საუბარი. ხელისუფლება ყოველთვის ხაზს უსვამს, რომ მისი ნამოქმედარი ღვთის ნებასთან შეთანხმებულია, რომ სააკაშვილის პირით ღმერთი ამხელდა შევარდნაძეს. ეს წარმოშობს კითხვას – ეროვნული მოძრაობის მხცოვანი წარმომადგენლის ნოდარ ნათაძის პირით ღმერთი ამხელდა შევარდნაძეს თუ ამას ნოდარ ნათაძე თავისი ნებით აკეთებდა? თუ ღმერთმა შევარდნაძის მხილებისათვის სააკაშვილი აირჩია, მაშინ ეს რჯულის სიმართლეში ეჭვის შეტანის საფუძველს წარმოშობს. ამის საშიშროება სამღვდელოებამ ვერ დაინახა და მან, პირიქით, ხელი შეუწყო ხელისუფლების მიერ რჯულით

მანიპულირებას. ხალხი რომ რჯულის მოშურნე ყოფილიყო, ამას გადაჭრით შეეწინააღმდეგებოდა. ასეთი მანიპულაციების შემდეგ კიდევ უკვირთ ხოლმე ეკლესიის კრიზისული მდგომარეობა. რელიგიის PR-ად გადაქცევაშიც საქართველო პიონერი აღმოჩნდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან. ღმერთს რომ შევარდნაძის მხილებისათვის რომელიმე მღვდელი აერჩია, მის ქადაგებას მოჰყვებოდა თუ არა ის შედეგი, რაც ნოემბრის რევოლუციას მოჰყვა?

არის ასეთი არსებითი ხასიათის შეუსაბამობა: ნოემბრის აქციებიდან დაწყებული, რევოლუციისა და რეფორმების ცნებები ერთდროულად გამოიყენება. შოკური თერაპიის შევარდნაძის დროინდელი ცნება დავიწყებას მიეცა. რევოლუცია გულისხმობს არა რეფორმებს, არამედ ახლის შენებას, ხოლო რეფორმა გულისხმობს არა რევოლუციას, არამედ ევოლუციურ, საფეხურებრივ სვლას. ეს ორი ცნება ერთმანეთთან შეუთავსებელია. ხელისუფლება რომ შევარდნაძის დროს დაწყებული რეფორმების გაგრძელებაზე ლაპარაკობს, ამით ბათილდება მისივე ნათქვამი, რომ მოხდა რევოლუცია. რევოლუცია თუ მოხდა, მაშინ რეფორმებზე აღარ უნდა საუბრობდნენ. რეფორმიზმი ევოლუციონიზმი და შესაბამისად, ანტირევოლუციონიზმია. რეფორმების შესახებ ხელისუფლების საუბარი ნიშნავს იმას, რომ ისევ იმას ინარჩუნებენ, რაც ნოემბრის რევოლუციამდე იყო. ამ შემთხვევაშიც ქართული პოლიტიკური აზროვნება უკუღმართადაა. გამორიცხულია რევოლუციონერი იყოს რეფორმისტი და პირიქით. და კიდევ: რეფორმებზე ლაპარაკი კიდევ ერთხელ წარმოაჩენს, რომ მმართველი პარტია – „ნაციონალური მოძრაობა“ სოციალური პარტიაა და არა ნაციონალისტური. თანამედროვე დასავლური დემოკრატია მთლიანად სოციალურია. იგი ინდივიდის და არა ხალხის პრიმატს წამოსწევს წინ. ხალხის ცნება ნეიტრალიზებულია. ლიბერალ-დემოკრატიზმისათვის ევოლუციური პროგრესიზმია უმთავრესი იმიტომ, რომ ევოლუციის შემოქმედი არის ინდივიდი და არა ხალხი. ხალხი რევოლუციის და არა ევოლუციის შემოქმედია. საქართველოში რევოლუციის ცნების გამოყენებამ კაპიტალის მიერ, წარმოაჩინა სისტემის უსაზღვრო მანიპულაციური შესაძლებლობები და მისი დიდი იდეური გამარჯვე-

ბა ანტიბურჟუაზიულ რევოლუციონიზმთან ბრძოლაში. ისიც გასარკვევია, შეუძლია კი სამომხმარებლო მსახიობობით მცხოვრებ ინდივიდს იყოს რევოლუციონერი?

თანამედროვე ევროპაში არის ახალ მემარჯვენეებად წოდებული ნაციონალისტური და არა სოციალური პოლიტიკური ძალა, რომელიც ლიბერალ-კაპიტალიზმის ოპონენტია. ეს ახალი მემარჯვენეობა კლასიკური მემარჯვენეობისაგან (ლიბერალიზმისაგან) განსხვავებით, იცავს არა ინდივიდისა და მისი სოციალურობის, არამედ ხალხისა და ნაციონალიზმის პრიმატს. ამის გამო დასავლური ნეოლიბერალიზმი ახალ მემარჯვენეებს ბრალს სდებს ფაშიზმში. გავიხსენოთ, როგორი უარყოფითი შეფასებები მოჰყვა დასავლეთში ავსტრიელი მემარჯვენის იორგ ჰაიდერის განცხადებებს. ახალი მემარჯვენეები კი ადანაშაულებენ დასავლურ დემოკრატიას ნაციონალიზმის იგნორირებასა და მთელი ყურადღების სოციალურ პრობლემებზე გადატანაში. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის 60-იანი წლების დასავლელი ახალგაზრდობის ანტიბურჟუაზიული პროტესტი სოციალური, კოსმოპოლიტური და კონტრკულტურული იყო. ამ პროტესტმა მოიყვანა სოციალისტები ევროპის ქვეყნების სათავეში 70-იან წლებში. სოციალისტების პოლიტიკურ ავტორიტეტს განამტკიცებდნენ ნეოსოციალისტი მოაზროვნენი (სარტრი, ფრომი და სხვები), მაგრამ ამ სოციალისტებმა (ახალმა მემარცხენეებმა) მალე დაკარგეს ანტიბურჟუაზიული სულისკვეთება. ისინი, ამის მიუხედავად, დღემდე არიან ევროპის მრავალი ქვეყნის სათავეში. თუ ახალი მემარცხენეები მარქსის, ტროცკის, კასტროს მოღვაწეობას სწავლობდნენ, ახალი მემარჯვენეები სწავლობენ იტალიური ფაშიზმისა და გერმანული ნაციზმის ისტორიას, იწყებენ ამ მოძღვრებათა რეაბილიტაციას და მაღალ აკადემიურ დონეზე აყალიბებენ საკუთარ ნაციონალისტურ კონცეპტებს.

საქართველოში სააკაშვილის ნაციონალისტობაში თუ ეჭვი ეპარებათ, ამას ვერ გამოკვეთენ იმიტომ, რომ არ იციან როგორ ჩამოაყალიბონ არგუმენტაცია. ეს არცოდნა არსებობს იმის გამო, რომ სოციალიზმისა და მთლიანად ევროპული რევოლუციური ეპოქის ხელაღებით უარყოფამ, შემდეგ გამსახურდიასეული მესიანისტური ნაციონალიზმის დაცინვამ ქართულ

პოლიტიკურ აზროვნებას ძალზე ბევრი რამ წაართვა და მისი თვალსაწიერი ერთობ დაავიწროვა. ვერ აყალიბებენ არგუმენტაციას, მაგრამ გრძნობენ, რომ საკაშვილის ნაციონალისტობა არაა სარწმუნო. ავგუსტინესებრ რომ ვთქვათ, ადამიანს მისი შინაგანი სიტყვა აუწყებს, რომ გარშემო სიცრუე მეუფებს. მაგრამ მას არ ჰყოფნის უნარი და შემეცნებითი მოთმინება, რათა მისდიოს და გამოარკვიოს ამ სიცრუის წყარო და საფუძველი. ასეთი უუნარობით გამოწვეულ ტკივილს ადამიანი ყველაზე მარტივი ხერხით იამებს – ის ლაპარაკობს სატანაზე. ადამიანებს არ შეუძლიათ შეკრება და განსჯა, ერთმანეთის მოსმენა, გზიანი სიტყვის თქმა. გაცილებით ადვილია, რომ მათ ხელისუფლების პირველ პირებს სატანისტები ამ მასონები უწოდონ. რატომ არ შეუძლიათ ადამიანებს შეკრება და ერთობლივად განსჯა? ამავე დროს არსებობს ასობით ასოციაცია, კლუბი, პარტია. ყველაფრის მიუხედავად, ადამიანები ირჩევენ დისკრეტულ ატომებად და გაუცხოებულ ინდივიდებად ყოფნას. მათი რომელიმე ასოციაციაში ან საზოგადოებაში ყოფნა არის მექანიკური და არა იდეურ-ორგანული გაერთიანება. როგორ უნდა გაირკვეს – ადამიანებს ეს ეგოისტურ-ნარცისული მისწრაფება სისტემამ ჩამოუყალიბა, თუ ის მათ ჰქონდათ და სისტემამ მხოლოდ მისი სრულად გამოვლენის შესაძლებლობა მისცა მათ? ამის გარკვევას მივყავართ შემდეგ კითხვებთან: ვინ და როდის ქმნიდა ისტორიას? როგორ უნდა დაიწეროს ნოემბრის რევოლუციის ისტორია? თუ ისტორიის ნეოლიბერალური დასასრული მიუღებელია, მაშინ ვინ უნდა გააგრძელოს ისტორია? ეს კითხვები ოპონენტმა, შესაძლოა, მიიჩნიოს ავტორისეულ ფორსაჟად, მაგრამ დაიწყებ განსჯას და მათ გვერდს ვერ აუვლი. ამ კითხვათა გამოტოვება და დავიწყება არაფრითაა გამართლებული. მათზე პასუხის გაცემა შემმეცნებლის წინაშე მომავლის ჰორიზონტს გადაშლის. უარსებითესი საკითხების კვლევა არ უნდა გადაიქცეს ბელეტრისტულ-პუბლიცისტურ კრიმანჭულად, რაც კვლავ ხდება ნოემბრის რევოლუციის შემდეგ.

ევროპული რევოლუციონიზმისა და განმანათლებლობის შთამომავალი თანამედროვე ადამიანი რელიგიურად განსჯის ხელისუფლების წარმომადგენელს, როდესაც გრძნობს, რომ მას

ისევ ატყუებენ, მაგრამ თვით ტყუილის წარმომშობი სისტემის განსჯა მას არ შეუძლია. სამომხმარებლო თვალთმაქცობაში გამეცადინებული ეგოისტი ინდივიდი რომ ტყუილს გრძნობს, ეს ბევრს ნიშნავს. ინდივიდი თავისთვის იტოვებს სხვისი მოტყუების უფლებას. სიცრუის შესაძლებლობა მას საკუთარი თავისუფლების განუყოფელ ნაწილად მიაჩნია. მაგრამ როდესაც ეგოისტი ინდივიდი ანონიმური სისტემის მიერაა მოტყუებული, მას მყისვე ახსენდება ზნეობა და სინდისი. როდესაც ის სატანისტს უწოდებს სისტემის რეპრეზენტირებულ ფიგურას, ამით თავის თავს ამხელს და განსჯის. თუ სატანისტ, ე.ი. უსინდისო მოხელეს ინდივიდი ირჩევდა არჩევნებზე, გამოდის, რომ მას ასეთივე უსინდისო ამომრჩეველი ირჩევდა. ეს ნიშნავს, რომ უზნეო კაცის ხელისუფლებაში მოსასვლელად ხმა მისცა უზნეო ელექტორატმა. ისიც აღსანიშნავია, რომ ინდივიდის მამხილებლობა და ღვარძლიანობა მაშინც ისეთივეა, როდესაც მას კი არ ატყუებენ, არამედ სამართლიანი და სათნო ცხოვრებისაკენ მოუწოდებს სამართლიანი და ზნეობრივი ხელისუფალი. ამის შესახებ კარგად უწყიან ჰუმანიტარული ტექნოლოგიების მესვეურებმა. სიცრუე უფრო დიდ ძალას იმოსავს და უწყვეტი ხდება. ასეთი ტექნოლოგიები დიდი წარმატებით ხორციელდება ქრისტიანულ ქვეყნებში, მაგრამ ყოველთვის უშედეგოა ყველაზე განათლებულ და ვესტერნიზებულ ისლამურ ქვეყნებშიც კი.

ტრანსნაციონალური კაპიტალი მაქსიმალური სარგებლიანობით იყენებს სოციალური დაპირებების ტექნოლოგიას. ამაოდ მოელიან პოსტსაბჭოთა ხალხები, რომ კაპიტალი მათი ნაციონალური ინტერესებისათვის რაღაცას გააკეთებს. უკვე ნეოლიბერალიზმის სოციალური დაპირებები არის ანტინაციონალისტური და ინდივიდუალისტური. ამის შეცნობის შემდეგ დავინახავთ, რომ კაპიტალის მიერ საქართველოში ხალხისა და ნაციონალურის ცნების გამოყენება არის კიდევ ერთი სატყუარა, რათა დამცირებულმა ქართველობამ არ შეიტანოს ეჭვი დასავლეთის სიტყვაში და ირწმუნოს, რომ ნეოლიბერალიზმი ნაციონალური მოძრაობების მხარდამჭერია. ნოემბრის მოვლენები იყო სოციალური დაპირებებისა და ანტინაციონალური მადეზორიენტირებელი ტექნოლოგიების შერწყმის უმაღლესი გამოხატულება. ნოემბრის რევოლუციამ დაგვანახა,

რომ საქართველოში ნაციონალური პოლიტიკური რევოლუციისა და ცნობიერების რევოლუციის შესაძლებლობანი ამოიძირკვა სოციალური დაპირებების ტექნოლოგიის მიერ. რაც ქართველობისათვის ღვთის წყალობად და ნოემბრის რევოლუციაში გამოვლენილ ეროვნულ განსაკუთრებულობად მიიჩნევა, ის კაპიტალისათვის კიდევ ერთი ექსპერიმენტი იყო. ნაციონალური პროტესტის ყოველგვარი პერსპექტივა აღმოიფხვრა. კაპიტალმა ამ რევოლუციის მოწყობით ეროვნულ მოძრაობას დიდი წერტილი დაუსვა და მას მარგინალიზაციის საბოლოო ვერდიქტი გამოუტანა. კაპიტალმა ამ რევოლუციით დაგვაყენა იმ ფაქტის წინაშე, რომ ჩვენ უუნარო, უკულტურო და უნიადაგო ხალხი ვართ, ექსპერიმენტის საგანი ვართ და არაფერს ნიშნავს მისთვის ქვეყნის ისტორია. ამ რევოლუციით კაპიტალმა ქართველობა შეიყვანა ისტორიის დასასრულის ნეოლიბერალურ გლობალურ არეალში.

რა ბოროტებაც შევარდნაძემ გააკეთა, მართლაც უმაგალითოა საქართველოს ისტორიაში, მაგრამ კაპიტალის გლობალური სისტემის ბოროტებასთან შედარებით შევარდნაძის ბოროტება უმნიშვნელოდ მოჩანს.

კაპიტალმა დათრგუნა დასავლეთში 60-იანი წლების მოჯანყე ახალგაზრდობა და წაართვა მას რევოლუციური სულისკვეთება. საქართველოში ნოემბრის რევოლუციამდე პოლიტიკურად ინდიფერენტულ ახალგაზრდობას კაპიტალმა რევოლუციურობის, შესაბამისად, იდეურობისა და ზნეობის ილუზია შეუქმნა. ამით კაპიტალმა ქართველი ახალგაზრდობა იდეურად დათრგუნა. ახალგაზრდობის, როგორც რევოლუციური პოტენციის მქონე სოციალური სეგმენტის ნონკონფორმიზმი და ანტიბურჟუაზიული მოჯანყეობრივი სული საიმედოდ იქნა ნეიტრალიზებული. ამ რევოლუციის მოთავე კაპიტალი მუდმივად ახალგაზრდობისადმი აპელირებდა და ისე წარმოაჩენდა, რომ ყველაფერი ახალგაზრდობაზე და არა კაპიტალზე იყო დამოკიდებული. კაპიტალმა ახალგაზრდობა სისტემის მსახურად აქცია. ეს მისი უდიდესი მიღწევაა, გაცილებით დიდი, ვიდრე მუშათა კლასის დესოციალიზება და მარგინალიზებაა. მინისტრი თუ ბიზნესმენი ბიჭუნები ტელეეთერ'ში რეპრეზენტირებულნი არიან როგორც სისტემის სიმართლის დასტური და

მისი მიღწევა. კაპიტალმა ახალგაზრდობას ორი შესაძლებლობა დაუტოვა – ან სისტემის მსახურება, ან შოუბიზნესში წასვლა. ახალგაზრდული სტილის მუდმივი კულტივირება განამტკიცებს ილუზიას, რომ სისტემა ახალგაზრდობაზე ზრუნავს. ეს ძალზე მკაფიოდ ჩანს შოუბიზნესის დემონსტრაციულ ეიჯეიზმში, რომლის მიზანია ახალგაზრდის სოციალურ-კოსმოპოლიტურ, მაგრამ არა ნაციონალურ-პოლიტიკურ არსებად ჩამოყალიბება. ახალგაზრდობის სისტემის ფუნქციონერად გადაქცევა იმას ნიშნავს, რომ კაპიტალის ტოტალური სულიერი ძალაუფლება სამერმისო აბსოლუტიზაციისაკენ მიისწრაფის. საზოგადოების არც ერთი ფენა აღარაა ნონკონფორმისტული. ქურდული კონტრკულტურის წარმომადგენელი ახალგაზრდობაც კი სისტემის მხარდამჭერია და მონაწილეობს საარჩევნო კამპანიაში, მიტინგებში, რაც უწინ წარმოუდგენელი იყო.

კაპიტალმა დაიმორჩილა ახალგაზრდული რომანტიზმი და იდეალიზმი. კულტურის თინეიჯერიზაცია და ექსტრემალური ფემინიზაცია ახალგაზრდული ფსევდოიდეალიზმის დამკვიდრებას უწყობს ხელს. რახან საზოგადოებაში მაღალი სულის მქონე ადამიანი აღარაა და ისტორიის დასასრულს მცხოვრები ფუკუიამასეული უკანასკნელი ადამიანი მაინც სულის სიმაღლისაკენ მიისწრაფის, რაც კარგად უწყის კაპიტალმა, ამიტომ იწყება ახალგაზრდული თიმოსის ინდუსტრიალიზაცია შოუბიზნესში. თიმოსი უკავშირდება სახელოვნებო ბოჰემას, კინოსა და ესტრადის მსახიობთა, პორნოვარსკვლავების რომანებსა და სკანდალებს. სენსაციად განიხილება მერლინ მენსონის ან ემინემის უხამსი გამონათქვამები, კალათბურთელისა და შოუმენის დენის როდმანის დებოშები და ა.შ. შოუბიზნესში დებოშები და ეპატაჟი დასაშვებია და ამით იქმნება ნონკონფორმიზმის მოჩვენებითობა. ყველაფერი გამოიხატება კლიპში და კლიპურად. მკვიდრდება უკიდურესად გამარტივებული შეხედულება ყველაფერზე და ყალიბდება კლიპური ცნობიერება. შოუბიზნესის მოღვაწენი მიიჩნევიან რეფერენტულ ჯგუფად მომხმარებელთა მასებისათვის.

კაპიტალმა დაუმტკიცა ახალგაზრდობას, რომ ნებისმიერი პოლიტიკური პროტესტი მის წინააღმდეგ მარცხისათვისაა განწირული, რომ არაფერს აქვს აზრი ინდივიდის პრაგმატულო-

ბისა და ეგოიზმის გარდა. თანამედროვე რუსი მწერლის ვიქტორ პელევინის სიტყვით, ჩვენ ვართ Generation П (пиздец поколение).

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ არ შეიძლება არ დავინახოთ, თუ რა უაზრო გახდა ეროვნულ ტრადიციასა და თაობათაშორის კავშირზე განუწყვეტელი ლაპარაკი. ესეც ერთგვარ სუროგატად იქცა მზარდი გაუცხოების პირობებში. ტრადიცია, პირველ რიგში, ყველასათვის საერთო ისტორიული დროა, რაც შეწყდა იქ, საიდანაც ისტორიის დასასრულის არეალი დაიწყო. ტრადიცია დისკრეტული ინდივიდუალობისა და სოციალური ატომიზმისათვის ხელისშემშლელია და ამიტომ ნეოლიბერალიზმი მას ყველგან ებრძვის. ყოვლად უსაფუძვლოა მსჯელობა, რომ ტრადიციას სწორედ ლიბერალიზმი განამტკიცებს, რომ ეროვნული ტრადიციები ბოლშევიზმმა შეარყია და შერყეული ტრადიცია განმტკიცდება პლურალიზმით. აქ რეფლექსია თავიდანაა დასაწყები. ტრადიციის საკითხი უშუალოდ უკავშირდება ნაციონალიზმისა და ეროვნული იდეის საკითხს. ტრადიციონალიზმი შეუძლებელია ნაციონალიზმის გარეშე და პირიქით.

სპექტაკლის საზოგადოება და ბედნიერი ერი

წერილი პირველი*

ნოემბრის რევოლუცია ბევრმა პოლიტიკოსმა შეაფასა როგორც სპექტაკლი. ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი, მწერალი ელიზბარ ჯაველიძე მიუთითებდა, რომ ნოემბრის რევოლუცია შევარდნაძის რეჟისორობით დადგმული სპექტაკლი იყო (ყოველკვირეული გაზეთი „ახალი ეპოქა“ 28 ნოემბერი - 4 დეკემბერი, 2003 წ.). ჩვენთან საუბარში ასეთსავე შეფასებას აკეთებდა ეროვნული მოძრაობის სხვა წარმომადგენელი, მონარქისტი თემურ ჟორჟოლიანი.

---

* წერილი პირველი პირველად გამოქვეყნდა ყოველკვირეულ გაზეთ „ოვერიაში“ (№65, 16 ივლისი, 2004წ.).

აქ გასარკვევია შემდეგი: სპექტაკლის ცნება დამკვიდრებული პუბლიცისტური ჩვეულების გამო იქნა გამოყენებული, თუ ის, ვინც ამას ამბობდა უფრო მეტს გულისხმობდა და ამ ცნების გამოყენებით შევარდნაძის რეჟიმის გარდა კიდევ რაღაცას ამხელდა? ჩვენი აზრით, ეს ცნება უფრო ჩვეულების გამო გამოიყენებოდა და აი, რატომ: ანტიბურჟუაზიული პოლიტიკური რეფლექსია საქართველოში ვერ ჩამოყალიბდა. ეროვნული მოძრაობის დროიდან ხშირად იიქმოდა, რომ რაღაც მოვლენა უნიჭოდ დადგმული სპექტაკლი, ან უბრალოდ - სპექტაკლი იყო. ქართული პოლიტიკის უკიდურესი დაკნინების გამო ასეთი შეფასება იმდენად გავრცელდა და ისეთი მოსახერხებელი გახდა, რომ მას ყველანი იყენებდნენ ყველა შემთხვევაში. ასეთი შეფასებით, გარდა იმისა, რომ ცდილობენ ნეგატივის მაქსიმალიზებასა და ექსტრემიზებას, გულისხმობენ იმას, რომ არაფერი არაა საზოგადოებაში ნამდვილი, ადამიანი კი მხოლოდ მოთამაშე არსებაა. სპექტაკლის ცნება გამოიყენება როგორც უაპელაციო მსჯავრი და სიყალბის გამამჟღავნებელი კრიტერიუმი.

თუ ყოველთვის ასე გულისხმობენ, როგორღა მიიჩნევა დემოკრატია ჭეშმარიტ წყობილებად და სამართლიანობის უმაღლეს გამოხატულებად? სპექტაკლის შესახებ ხშირი საუბრები არ გახდა რაიმე არსებითი განზოგადების საფუძველი. ეს საუბრები მხოლოდ ხელისუფლების ქმედებებს ეხება და ამ ქმედებებს არ სცილდება.

ქართულ პოლიტიკურ დისკურსში სპექტაკლის ცნება 1990-91 წლებში მედასავლეთე რუსული მედიის გავლენით დამკვიდრდა. ეს ცნება ბოლშევიკური სისტემის დასაგმობად გამოიყენებოდა. თვით დასავლეთში ამ ცნებას 60-იანი წლების ანტიბურჟუაზიული დისიდენტობა იყენებდა კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგ.

1992-94 წლებში გამსახურდიას მოწინააღმდეგე ოპოზიცია ეროვნულ მოძრაობას სპექტაკლს უწოდებდა და ამ გზით განამტკიცებდა საკუთარ ოპოზიციურობას. ამის გარდა საუბრობდნენ დაპროგრამებულ ადამიანებზე და რობოტებზე. ასეთები, ოპოზიციის თქმით, გამსახურდიას მომხრეები იყვნენ. ამის შესახებ ლაპარაკი საკუთარი ანტისისტემური აზროვნებისა

და გონების სისხარტის ნიშნად მიიჩნეოდა. ეროვნულ მოძრაობას მრავალი ინტელიგენტი ბოლშევიკების მიერ დაღგმულ სპექტაკლად მიიჩნევდა, რათა გაემართლებინათ შევარდნაძის მხარეს გადასვლა და ეს მოძრაობა დისკრედიტებული ყოფილიყო ქართველთა თვალში. ამით ინტელიგენციას იმის თქმა სურდა, რომ შევარდნაძის მოსვლა და მოღვაწეობა იყო ნამდვილი, გონითი და არა სპექტაკლი, ხოლო მისი მომხრენი დაპროგრამებული არსებები, რობოტები კი არა, არამედ სულიერებით აღვსილი ადამიანები იყვნენ. დრომ კი წარმოაჩინა, რომ ის, რაც თავისუფალი სულის ქმედებად მიიჩნეოდა, სინამდვილეში სპექტაკლი და PR-ტექნოლოგიური ციკლი იყო.

თანამედროვე ადამიანი მიიჩნევს, რომ ის რაღაცას აკეთებს, როგორც სულიერი არსება და აღმოჩნდება ხოლმე, რომ ადამიანი სპექტაკლის მონაწილე მექანიკური ნაწილია. რაც მას გმირულ ბრძოლად მიაჩნია, სინამდვილეში უბანალურესი რამ აღმოჩნდება ხოლმე.

პოლიტიკური კონკრეტიკის განზოგადებისას არ შეიძლება არ დავდგეთ უსაზარლესი და ძრწოლისმომგვრელი ვითარების წინაშე: თუ ყველაფერი სპექტაკლია და ადამიანი მექანიკური მოწყობილობის, ავტომატის გარდა არაფერი ყოფილა, მაშინ ისტორიაში ვერაფერი იქნება გონითი და სულიერებით აღბეჭდილი და თვით ისტორიის ცნებაც ზედმეტი ხდება. აღარაფერს ნიშნავს ტექნიკის უკანასკნელი მიღწევები. თანამედროვეობა სწორედ ამას გვიმტკიცებს. ყველაფერი იცვლება მედიაკრატიული ერზაცითა და მულაჟით. ტოტალური სოციალური მექანიკურობის პირობებში ადამიანის გონითი არსებობის საკითხი დავიწყებას ეძლევა. აღნიშნული ვითარების შესახებ დაფიქრება ადამიანს ენითუთქმელ სულიერ ტანჯვას აყენებს. ძველი დროის ადამიანს ბოროტების სიდიადე შემეცნებით ძალას ანიჭებდა და ადამიანი გნოსტიკური, ბოგომილური თუ ალბიგოური სწავლებების შექმნით ცდილობდა აეხსნა ისტორია. ბოროტების შემეცნების საკითხი უშუალოდ უკავშირდება ღვთისა და მის მიერ შექმნილი სამყაროს გამართლების საკითხს. ამის გამო ამ საკითხის სეკულარული, ე.ი. ფილოსოფიური და სოციალური განაზრება

(მაგ.ლაიბნიცის ან კოპენის) ვერასოდეს იქნება თავისუფალი რელიგიური იდეისაგან. ახალი დროის (XVII - XVIII სს.) აზროვნება ცდილობდა ეს საკითხი რაც შეიძლება დაეშორებინა ღვთისმეტყველებას. ამან წარმოშვა ზემოაღნიშნული საუკუნეების გნოსეოლოგიური ექსტრემუმი - მექანიციზმი. მეტაფიზიკა განიდევნა აზროვნებიდან და ის სულ უკანა პლანზე გადავიდა. ასეთი გზით შეეცადა მაშინდელი ადამიანი ამ მტანჯველი საკითხების გადაწყვეტისათვის მიეგნო. განმანათლებლებმა მთელი ფილოსოფიური ცნობიერება გადაიყვანეს ბუნებისმეტყველებაში. მექანიცისტური ფილოსოფიის წარმომადგენელნი ფრანგი მათემატიკოსი პიერ ლუი მორო მოპერტიუი (1698-1759), ფრანგი ფილოსოფოსი ჟულიენ ოფრე ლამეტრი (1709-1751), შვეიცარიელი მათემატიკოსი ლეონარდ ეილერი (1707 -1783) და მაშინდელი მეცნიერების სხვა ცნობილი მოღვაწენი ადამიანს მექანიცისტურად განიხილავდნენ და ზნეობრივი პრობლემატიკის დამოუკიდებელ ღირებულებას უარყოფდნენ. ტექნიცისტური შეხედულება ადამიანზე მაშინ ჩამოყალიბდა. დღეს პოსტმოდერნის ფილოსოფია და ჰუმანიტარული ტექნოლოგია სწორედ მექანიციზმის იდეას იცავენ. სოციალურ მექანიციზმს გაბატონებული მდგომარეობა უკავია, მიუხედავად იმისა, რომ კანტიდან დაწყებული მექანიციზმის უარყოფა გააგრძელეს მისმა მომდევნო მოაზროვნეებმა (ნიცშემ, ბერგსონმა და სხვებმა). ცნობიერების ბუნებისმეტყველებიდან კვლავ მეტაფიზიკაში გადმოყვანამ, მისმა ძალზე საფუძვლიანმა ონტოლოგიზაციამ და ფენომენოლოგიურმა ანთროპოლოგიზაციამ დასრულებული სახე მიიღო ექსისტენციალიზმში, რომელმაც ფილოსოფია და რელიგია ერთმანეთს ძალზე დაუახლოვა. ნეომექანიციზმის პოზიციები კი ურყევი დარჩა.

ევროპული აზროვნების ამ დიდ მოვლენებში გარკვეულობის გარეშე ადამიანს გაუძნელდება შეეწინააღმდეგოს კონიუნქტურულ, გამარტივებულ შეფასებებს ტოტალიტარიზმისა და ათეიზმის შესახებ.

ბოლშევიკური ათეიზმისა და ტოტალიტარიზმის გამო გაორებული ცნობიერების მქონე საბჭოთა ადამიანზე, როგორც რობოტსა და დაპროგრამებულ თოჯინაზე საუბარი დასავლური ბანაკის მიერ დიდი წარმატებით გამოიყენებოდა იდეოლოგიური

დივერსიის მიზნით. ანტისაბჭოური პოლიტიკური კარიკატურის ძირითადი თემა იყო თოჯინა, რომელსაც ძაფებით ათამაშებენ. ამ აზრს იმეორებდა მრავალი დისიდენტი და აღარ ექცეოდა ყურადღება, რომ ლიბერალ-დემოკრატიისა და საერთოდ, რევოლუციამდელი წყობილების - მონარქიის პირობებშიც კი ადამიანი შეიძლება ყოფილიყო დაპროგრამებული მექანიკური არსება და თოჯინა. ამაზე დაფიქრება ინტელიგენციას მართებდა, რაც მან არ გააკეთა.

მექანიცისტურ ფილოსოფიას დეკარტმა დაუდო საფუძველი. შეეძლო კი მექანიცისტური ექსტრემიზმის გარეშე XVIII საუკუნის ევროპულ მეცნიერებას მიეღწია დიდ აღმოჩენებამდე?

მექანიკური არსების თემა დამუშავდა ლიტერატურაშიც. რომანტიკოს ჰოფმანის შემოქმედებაში პერსონაჟი ხშირად ადამიანი-ავტომატია. ჰოფმანთან ბედისწერა ადამიანს თოჯინასავით ათამაშებს (რომანი „სატანის ელიქსირი„). რილკეს „დუინურ ელეგიებში“ ადამიანი ანგელოზთან დაპირისპირებული თოჯინაა.

დღევანდელი სოციალური მენეჯმენტი და პოლიტიკური პრაქტიკა მთლიანად ნეომექანიცისტურია, მაგრამ ეს პირდაპირ არ ითქმის. ნეომექანიციზმი ძალზე მოხერხებულად ინიღბება რელიგიით. საგნებს ნამდვილი სახელები არ ჰქვიათ. მთელი საზოგადოება იქცევა ტოტალური სპექტაკლის მონაწილედ. მხოლოდ ასე არის შესაძლებელი ბედნიერების მოჩვენებითობის დამკვიდრება. ნიცშე „ანტიქრისტეს“ 55-ე პარაგრაფში ამბობს: „იმისათვის, რომ იცრუო, უნდა იცოდე რა არის ჭეშმარიტი“.

სპექტაკლურობა მხოლოდ მიმდინარე რეჟიმის მახასიათებელი კი არა, არამედ მთლიანად სისტემის მახასიათებელია. პოლიტიკური რეჟიმები სანახაობრივად იცვლება, სისტემა კი იგივე რჩება. ამიტომ ხმამაღალი პრეტენზია, რომ ახალი რეჟიმი (სააკაშვილის ხელისუფლება) წინამორბედი რეჟიმისაგან (შევარდნაძის ხელისუფლება) განსხვავებით იქნება არასპექტაკლური, ყოვლად უსაფუძვლოა.

პოლიტიკურ ლექსიკაში ფრიად გავრცელებულია სიტყვები: „იშიფრება“, „გაიშიფრა“, „რეჟისორი“, „სცენარი“, „იმართება“, „ზომბირება“. ადამიანები გრძნობენ საკუთარი ყოფიერების არანამდვილობას. თუ მავანი იმართება, თუ რაღაც მოვლენა

სპექტაკლია და ადრე თუ გვიან საზოგადოებამ ეს „გაშიფრა“ და მთელი მისი სააზროვნო უნარი მიიმართება სიცრუეთა გამოვლენაზე და ამის მიუხედავად საზოგადოების ცხოვრება ისევ სპექტაკლური რჩება, მაშინ რაღა არის დემოკრატია? რატომაა ადამიანისათვის ყველაფრის მიუხედავად ის სისტემა მიმზიდველი, რომელსაც სპექტაკლების დადგმის უდიდესი შესაძლებლობანი აქვს?

უკვე ეროვნული მოძრაობის დროიდან ჩაეყარა საფუძველი სპექტაკლის საზოგადოების დამკვიდრებას. ბოლშევიზმი ვერ თამაშობდა და ვერ დგამდა სპექტაკლებს ისე, როგორც ამას ლიბერალიზმი აკეთებს. წლებთან ერთად სპექტაკლის ყოვლისმომცველობისა და აბსოლუტიზაციისაკენ სვლა ხდებოდა. ქართველობამ თავად დაასრულა საკუთარი ისტორია, სინამდვილის სრული ბანალიზაცია მოახდინა ინდივიდის პრაგმატულობის სახელით. ლიბერალიზმის მომხრეობა არა გონითი, არამედ მაშინალურია. მედიაკრატია ყალბი ნიშნების გამოყენებით აკეთებს იმას, რასაც ვერ აკეთებს სინამდვილესთან დაკავშირებული სიტყვა. მეოთხე ხელისუფლების შექმნა სპექტაკლის საზოგადოებაში სულაც არ საჭიროებს სულიერებას და ზნეობრიობას. სადაც ტრადიციაა, იქ შეუძლებელია იყოს სპექტაკლი და პირიქით. ყოველთვის ისე ხდება, რომ დამარცხება ხალხში აძლიერებს ნაციონალიზმს. გერმანიაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა ასობით ნაციონალისტური ორგანიზაცია. საფრანგეთში ნაცისტური ოკუპაციის დროს ნაციონალიზმის იდეა წინა პლანზე გამოვიდა. იაპონიაში მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ ნაციონალიზმის პოზიციები არ შერყეულა. რუსეთში დღეს დასავლეთისგან იმედგაცრუების შემდეგ ძალას იკრებენ ნაციონალისტური ორგანიზაციები. საქართველოში კი დამარცხებათა წყების შემდეგაც კი ვერ ყალიბდება სახალხო ნაციონალური ფრონტი. ნაციონალისტობას არავინ კრძალავს, მაგრამ ის ისეა დისკრედიტებული და საბოტირებული ქართველთა მიერ, რომ ვეღარ ყალიბდება. ქართული ნაციონალიზმი იქამდე დაცემულია, რომ მისი სახელით გამოდის ნოემბრის რევოლუციის მომწყობი საერთაშორისო კაპიტალი. კაპიტალის სისტემას არ ეშინია ქართველი ხალხისა

და სპექტაკლების კასკადის მოწყობით ის საზოგადოებრივი ცნობიერების თავისთვის ხელსაყრელ ფორმირებას ახდენს. სისტემამ ფილიგრანული ფალსიფიკატორობის უსაზღვრო შესაძლებლობანი გამოავლინა.

შევარდნაძეს ეწოდა ნოემბრის სპექტაკლის რეჟისორი, მაგრამ სისტემის მხარდაჭერის გარეშე რეჟიმი სპექტაკლს ვერ დადგამდა.

სპექტაკლის აბსოლუტიზაცია, სანახაობითი ტოტალიტარიზმი მართლდება იმის მტკიცებით, რომ „ჩვენ ვცხოვრობთ ინფორმაციულ საზოგადოებაში“. სპექტაკლის საზოგადოება საჭიროებს ინფორმაციის დაუსრულებელ კვანტიფიკაციას. ასევე ინფორმაციული საზოგადოება საჭიროებს სპექტაკლს. ინფორმაციის სიმრავლე ქმნის ურთიერთობათა ინტენსივობის ილუზიას და ფარავს გაუცხოებას.

სატელევიზიო პოლიტიკური გადაცემების სიმრავლე, ღამის პოლიტიკური დებატები რამდენიმე არხზე, წესით, ხალხში მღელვარებას უნდა იწვევდეს, მაგრამ ეს გადაცემები მხოლოდ სანახაობაა. საზოგადოებას იზიდავს საკუთარი დაცემისაგან სპექტაკლის შექმნა. ეს ზომბირების უმაღლესი გამოხატულებაა. უკვე მოთხოვნილებად ექცათ ადამიანებს მწვავე პოლიტიკური დებატების ტელეეთერში ხილვა. ინფორმაცია ინფორმაციას მოსდევს და ადამიანები ერთ-ორ დღეში ივიწყებენ დაუჯერებელ დანაშაულთა შესახებ ნაუწყებს. არც ერთ ქვეყანაში არაა, რომ ყოველღამე რამდენიმე არხზე ტელეაუდიტორიას პოლიტიკური გადაცემებით ტვინს უხვრეტდნენ. ამაში დაგვარწმუნებს სხვა ქვეყნების ტელეპროდუქციის გაცნობა.

მხოლოდ სპექტაკლის საზოგადოებაში პოულობს სრულ გამოხატულებას რესენტიმენტული სული. სპექტაკლის აბსოლუტიზების, სანახაობითი ტოტალიტარიზმის პირობებში სისტემა არა უბრალოდ იძლევა პურსა და სანახაობას, არამედ ეწევა სანახაობის ერთადერთ სინამდვილედ ქცევას. ამის გამო ვერიფიკაციის შესაძლებლობანი მცირდება. სპექტაკლი გამოდის ერთადერთ სინამდვილედ და ნებისმიერი სინამდვილე მხოლოდ სპექტაკლის პრიზმაში გარდატეხის შემდეგ ხდება სინამდვილე. ასე მიიღწევა სანახაობის ონტოლოგიზება. ამ დროს მედიაკრატია ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში. მის მიერ

ყოველივე ის, რაც სანახაობითობას არ ემორჩილება, ტრეტირებული და განდევნილია. სისტემა ისეთ სულიერ ძალაუფლებას მოიპოვებს, რის შესახებაც საკაცობრიო ისტორიამ აქამდე არა უწყოდა რა. სისტემა უფრო შორს მიდის, ვიდრე ეს აღწერა გერმანელ-ამერიკელმა ფილოსოფოსმა ჰერბერტ მარკუსემ (1898-1979) თავის ნაშრომში „ერთგანზომილებიანი ადამიანი" (One-Dimensional Man) (1964 წ.) მარკუზე საზოგადოების რაციონალური მოწყობის მანიპულაციურ-ტექნოლოგიურ ხასიათზე მსჯელობს.

სისტემისაგან რეპრესირებულ, 60-70-იანი წლების დისიდენტობის შთამომავალ ევროპულ ინტელიგენციას არ შეიძლება ირონიულად არ გაეღიმოს ქართველთა მტკიცებებზე, რომ მათ სისტემის მხარდაჭერით ნოემბრის რევოლუცია მოაწყვეს და ქართველობა ყველაზე ბედნიერი ერი გახდა.

სისტემამ XX საუკუნის 70-იანი წლების ყველა სახის დისიდენტური ალტერნატივა გაანეიტრალა და კონტრკულტურათა სიმბოლოები თავის სამსახურში ჩააყენა. ასევე გაანეიტრალა მან იმდროინდელი რევოლუციონიზმიც (1968 წლის მაის-ივნისის სტუდენტური აჯანყება საფრანგეთში) და რევოლუციის ცნება საკუთარ ტექნიკურ სიმბოლოდ აქცია. სისტემამ თავისი სარგებლისათვის დაუკავშირა ერთმანეთს უნივერსიტეტი და რევოლუცია ნოემბრის მოვლენების დროს და მან „ახალ საზოგადოებაზე" დაიწყო ლაპარაკი.

მხოლოდ ყოველივე ზემოაღნიშნულის გააზრების შემდეგ ხდება შესაძლებელი ვიმსჯელოთ ნოემბრის რევოლუციაზე როგორც სპექტაკლზე და სხვა სპექტაკლის მაუწყებელზე.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

1968 წელი ფრანგი მოაზროვნეებისათვის ამოსავალი წერტილი გახდა და მათ ამ სტუდენტურ აჯანყებას უწოდეს რევოლუცია. 60-70 წლების ცნობილ ევროპელ მოაზროვნეთ აფიქრებდათ რევოლუციის პრობლემა, რევოლუციური კლასის გაქრობა და რევოლუციური სულის დაკარგვა სამომხმარებლო საზოგადოებაში. რევოლუცია იყო ის შუქურა, რომლის

ნაჩვენები გეზის მიხედვით მუშაკობდნენ XIX - XX საუკუნეების მწერალი, სოციალური თეორეტიკოსი, ათეისტი ბუნებისმეტყველი. რევოლუციითა და რევოლუციურობით ნამდვილობდა ახალი დროის ადამიანი.

პოსტსაბჭოთა საზოგადოებრივ აზროვნებაში ეს ვითარებანი მიიჩქმალა. რევოლუციის პრობლემის უფრო მეტი გაბუნდოვანებისათვის 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციას ეწოდა სპექტაკლი. უვიც ადამიანთა მასამ ეს სიხარულით აიტაცა და დღემდე იმეორებს. ამ დროს არ თქმულა, რა იყო 1905-07 წლების რევოლუცია. მხოლოდ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციას შიზოფრენიული აკვიატებულობით ეწოდება სპექტაკლი და არ სურთ დაინახონ, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში არაადამიანური და არნახული სპექტაკლია დაწყებული. არ სურთ დაინახონ, რომ სპექტაკლი სწორედ ბოლშევიკური რევოლუციონიზმის სპექტაკლად შერაცხვა იყო. არც ერთმა რუსმა მოაზროვნემ არ გამოიკვლია რევოლუციის პრობლემა პოსტბოლშევიკური საზოგადოებისათვის. საქართველოში რევოლუციის სახარებაზე მითითებით არტისტულ განკითხვას ხელი შეუწყო XX ს. დასაწყისის ქართველ რევოლუციონერთა ბრიყვულ მსჯელობებზე მითითებამ. უარესი სიბრიყვეები ითქვა და ითქმის ქართველ ნეოლიბერალთა მიერ. საკუთარი სალახანობის მტანჯველი განცდით დასერილი ქართული საზოგადოება ამ განცდისაგან თავის დაღწევას მასობრივი ელიტიზმის, ინდივიდუალისტური აბსოლუტიზმისა და კონსიუმერული პარანოიის დამკვიდრებით ცდილობს. ეს მიზანდასახულობა ვლინდება ყველა პერიოდულ გამოცემასა და ტელეეთერში. უკიდურესი დამცირებულობის მიუხედავად საზოგადოებას რევოლუციურობის ნასახიც არ გააჩნია. მხოლოდ სპექტაკლურობის პირობებში ბათილდება უუნარობა და სიმდაბლე. სპექტაკლით მცხოვრები ინდივიდი ერთთავად სხვათა სპექტაკლზე ლაპარაკობს და მიუთითებს იმ ღირებულებებსა და პრინციპებზე, რომელთაც ინდივიდუალისტური აბსოლუტიზმის გამო აზრი აქვთ დაკარგული.

„... სპექტაკლის სივრცეში პოლიტიკური მოწყობის პრინციპებისათვის ბრძოლის ტრადიციული ფორმები შეუძლებელი ხდება“, - აღნიშნავენ ჰარდტი და ნეგრი (Майкл

Хардт, Антонио Негри. Империя. "Праксис" , Москва. 2004, с.300).

სპექტაკლი აუქმებს დემოკრატიას. ნეოლიბერალი კი ამის დაფარვას PR-ფორმებით ცდილობს. კარლ შმიტს ნათქვამი აქვს, რომ დემოკრატიას არა აქვს არანაირი ღირებულებითი შინაარსი და არის მხოლოდ ორგანიზაციის ფორმა. ნეოლიბერალი კი გვიმტკიცებს, რომ დემოკრატია უზენაესი ღირებულებაა.

ინდივიდუალისტური აბსოლუტიზმის პირობებში არაფერს ნიშნავს ასობით პარტიის, ასოციაციის, კლუბის და ა.შ. არსებობა. არაფერს ნიშნავს ინდივიდთა არჩევნებში მონაწილეობა. დემოკრატია მხოლოდ ანტურაჟია ინდივიდების არითმეტიკული ჯამის ცხოვრებაში. ინდივიდები მხოლოდ უტილიტარული მიზნით დაჯამდნენ. ლაპარაკი სამართლიანობაზე, სიყვარულზე, იდეალებზე ყველასათვის მისაღები შეგნებული სიყალბეა. ყველა სოციალური ინტერაქცია კონვენციური და მექანიკურია. არ არსებობს ინტერგენერაციული ურთიერთობანი. პრაგმატისტ უფროსებს არაფერი აქვთ სათქმელი კიდევ უფრო პრაგმატული უმცროსებისათვის და პირიქით. ამ ვითარების შერბილება მედიაკრატიული იმპროვიზაციებით ვერ ხერხდება. სუვერენული ინდივიდისათვის არაფერს ნიშნავს პრინციპი, იდეა და ყოველივე ის, რაც მისი სუვერენობის საზღვრებს სცილდება. მკვიდრდება ისეთი სოციალური რეგლამენტი, რომელშიც გამორიცხულია არსებობდეს დიდი ადამიანი. ამავე დროს ტელემედია ხელისუფლების ფუნქციონერებს დიდ ადამიანებად წარმოაჩენს, რომელთაც აქვთ პრინციპები და იდეები.

ვთქვათ, მავანი არის მხარის გუბერნატორი ან ქალაქის მერი. ის მთელი გულით მუშაობს და სურს, რომ 4 წლის შემდეგ კვლავ აირჩიონ ამ პოსტზე. როდესაც ის ელექტორატს ხვდება, თავის ნამუშევარზე მიუთითებს. კონკურენტი კანდიდატი გუბერნატორის ან მერის პოსტზე არის მდიდარი, ქირაობს იმიჯმეიკერებსა და PR-მენეჯერებს, რომელნიც ელექტორატის კაპრიზულობის პროვოცირებას ახდენენ და არწმუნებენ ინდივიდების არითმეტიკულ ჯამს, რომ ახალი გუბერნატორი ან ახალი მერი უფრო მეტს გააკეთებს და რაც ძველმა გააკეთა, ეს ისეთი არაფერია. ელექტორატი ირჩევს ახალ მოხ-

ელეს და მცირე ხანში ხედავს, რომ ის მოტყუვდა ამ ახალი მოხელის იმიჯმეიკერთა მიერ. ძველი მოხელის ნამუშევარი იმიჯმეიკერთა ყალთაბანდობით მნიშვნელობას კარგავს და ელექტორატი მას მალე ივიწყებს. ასეთი რამ ძალზე ბევრჯერ მომხდარა პოსტსაბჭოთა სინამდვილეში. ელექტორატის ამყოლ-დამყოლობა, რომელსაც თვალთმაქცურად ხალხის არჩევანი ეწოდა, არაა იმის გარანტია, რომ ხელისუფლების სათავეში უთუოდ ღირსეული ადამიანი მოვა. ასე რომ იყოს, PR-მენეჯ-მენტის როლი უზომოდ არ გაიზრდებოდა. ამომრჩევლებს არაფერი საერთო არა აქვთ ერთმანეთთან. ისინი იკრიბებიან საარჩევნო ურნებთან და იშლებიან. არჩევნები შარშანდელი რთველივით მალე ავიწყდებათ. აღარც საკუთარი პოლიტიკური არჩევანი ახსოვთ. თუ გუშინ მის გამო ერთი ალიაქოთი იდგა, დღეს მისი ხსენებაც კი უსიამოა.

ოთხი წელი იყავი და წადი. არა აქვს აზრი საკუთარი უნარის ბოლომდე გამოვლენას, თუნდაც ეს გენიალობა იყოს. ეს გენიალობაც მყისვე კონვენციური და მექანიკური ურთიერთობების საზღვრებში მოთავსდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მას არავინ არაფრად ჩააგდებს. ინდივიდთა არითმეტიკული ჯამი ცხოვრობს ფიზიოლოგიური შანტაჟით. ცხადია, ეს ლამაზ-ლამაზი სიტყვებით იფარება. აქ დგება მეგალოთიმიის ძალაუფლებასთან მიმართების პრობლემა. თუ მეგალოთიმია მხოლოდ ბიზნესსა და სპორტშია დაშვებული, მაშინ ბიზნესი, როგორც ეკონომიკური ძალაუფლება ცდილობს შთანთქოს პოლიტიკური ძალაუფლება. დღეს ამ ფაქტის წინაშე ვდგავართ.

ფუკუიამა მიუთითებს, რომ მეგალოთიმიის პრობლემა ლიბ-ერალურმა დემოკრატიამ კანონის უზენაესობით, უფლებათა დაცვით პირობითად გადაჭრა და ამ მიზნითვე შექმნა მან თანამედროვე ეკონომიკა (ფრენსის ფუკუიამა. ისტორიის დასას-რული და უკანასკნელი ადამიანი .CIPDD. თბ., 1999, გვ. 341-342). მაგრამ ფუკუიამავე მსჯელობს, რომ „დაძაბულობა და დაპირისპირება გარდაუვალია ეგალიტარული საზოგადოების იზოთიმოტურ იდეალებსა და ამგვარი საზოგადოების შესაქმნელად აუცილებელ მეგალოთიმოტურ ტიპებს შორის“ (იქვე, გვ.313).

პლურალიზმი ხელს არ უშლის ტოტალურ მექანიცისტურ

ჰომოგენიზაციას საზოგადოებაში. პროგნოსტიკულ გამოთვლათა მიუხედავად მომავალი გაურკვეველია. ადვილია ახსენო ზნეობა და სულიერება. ეს არაა საკმარისი. რაღაც დიდი და საზარელი მოდის. გენიალური იყო ის ადამიანი, ვინც სრულად გაიაზრა, რომ კონცლაგერი შეიძლება არსებობდეს მავთულხლართების, სახრჩობელების, კრემატორიუმების, უნიფორმების გარეშე და ეს იქნებოდა მთელი საზოგადოება.

ნებისმიერი განსჯა გადაიქცა გამომსახველობის ტექნიკად და ეს უკანასკნელი უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე განსჯა. ადამიანი ამ ტექნიკის მექანიკური დანამატი ხდება. ეს ყველაზე უკეთ ჩანს ტელემედიის მუშაობაში. ტექნოლოგემა, რომ ადამიანი მანქანაა, სულ უფრო ექსტრემისტული და აბსოლუტისტური ხდება. სპექტაკლის საზოგადოების დაუსრულებელი იმპროვიზაციები და ჰუმანური სიმულაციები ამ ვითარების გადასხვაფერებას ემსახურება. ირგვლივ აუწონელი ბოღმა, შურის ოკეანე, ანონიმურობა და ვირთხების სილაღეა.

ხელშეკრულებისა და კონტრაქტის ფეტიშიზება სპექტაკლის საზოგადოებაში იმის დამადასტურებელია, რომ ყველა ურთიერთობა ყალბი და დროებითია და საჭირო ხდება თვალთვალის, დასმენის, ისტერიის დამკვიდრება. ასეთი საზოგადოება უმცირეს ზნეობრივ მინიმუმსაც ვერ იცავს და სარჩელებს, სასამართლო პროცესებს, დავებს ბოლო არ უჩანს. ასეთ ვითარებაში სახელისუფლო იდეოლოგია ადამიანისაგან მაინც ისევ იმ იდეურობასა და ენთუზიაზმს მოითხოვს, რასაც თვითონვე აბათილებს და ყოველგვარ აზრს უკარგავს. ეს კი მეტად საგულისყურო რამ არის. ადამიანს მოუწოდებენ იყოს იდეური და ამავე დროს მას უბიძგებენ უარყოს ყველა ღირებულება და გამოავლინოს თვალთმაქცობა. სპექტაკლში ჩართულია ყველა, მეეზოვიდან პრეზიდენტამდე. დღეს ისევე ისტერიულად ამტკიცებენ რაღაცის შესახებ, როგორც გუშინ ამტკიცებდნენ საპირისპიროს. კარიერა გარანტირებული აქვს მას, ვინც ადაპტირების უნარს ავლენს და ყველაფერს მოერგება. მთელი დემოკრატია ეს არის და ეს.

დასავლურ სოციოლოგიაში არსებობს „პროგრამირებული საზოგადოების“ ცნება. PR-ტექნოლოგიების ერთადერთი მიზანი არის საზოგადოების პროგრამირება და ადამიანისადმი ტექნი-

ცისტური მიდგომის, სრული სოციალური მექანიკურობის დამკვიდრება. როდესაც საუბრობენ პროგნოზირებად ქმედებაზე, აქ იგულისხმება მექანიკური არსებებისაგან შემდგარი პროგრამირებული საზოგადოება. ლექსემა „პროგნოზირებადი ქმედება“ დადებითი მნიშვნელობის მქონეა. პროგნოზირება კი ინტელექტუალურ სიმაღლედ აღდება უამრავი პოლიტტექნოლოგის, ექსპერტისა და ანალიტიკოსის მიერ. არაპროგნოზირებადი ქმედება უარყოფითი მნიშვნელობის მქონეა და ის გამოიყენება პროპაგანდისტული სტიგმატიზაციის მიზნით. ამავე მიზნით გამოიყენება მართვის ცნება. ითქმის, რომ რაღაც მოვლენა მართულია, რაღაც მოვლენა უმართავია. მართვის ცნება სპექტაკლთან და საზოგადოების პროგრამირებასთანაა დაკავშირებული. მართვის ცნება ხელისუფლების მიერ ყოველივეს კონტროლირების მნიშვნელობით დადებით კონტექსტში გამოიყენება. ამავე დროს ეს ცნება გამოიყენება როგორც ინვექტივა, ბრალდება და მხილება. მაგალითად, პოლიტიკოსი ამბობს: „გარკვეული ძალების მიერ მართული პროცესები“, „მართული პიროვნების პროვოკაცია“, „ჩემთვის უცნობია, რა ტექნოლოგიების გამოყენებით მოხდა ასეთი ფაქტი“, „ისინი ბნელი ძალების მიერ იმართებიან“, „ამას უცხო ქვეყანა მართავს“ და ა.შ.

ხშირად გვინახავს სარეკლამო განცხადებები: „გახდით ლობისტი, იმიჯმეიკერი, PR-მენეჯერი (საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი) და თქვენ შეგეძლებათ მართოთ საზოგადოება ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ სიტუაციაში.“

ამ განცხადებაში მართვას არა მხოლოდ დადებითი, არამედ ელიტური აზრიც აქვს. სპექტაკლის საზოგადოების აგრესიული მეხოტბეობა მედიაკრატიის მიერ ყველაფერს უგულებელჰყოფს. თვით საეკლესიო ღვთისმსახურების ტელეჩვენება სპექტაკლის საზოგადოების აპოლოგიად იქცევა.

PR-ტექნოლოგი, ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი და მისთანანი მიჩნეულ არიან რაღაც განსაკუთრებული ცოდნის, დაფარული სიბრძნის მფლობელებად, სპექტაკლის საზოგადოების ავგუსტალებად. თუ მათ საზოგადოება შეიძლება მართონ „ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ სიტუაციაში“, მაშინ ეს ადამიანის მანქანურობისა და ნეომექანიციზმის გამარჯვების

კიდევ ერთი დადასტურებაა. ეს რაციონალიზმისა და რეპრესიული ლოგიკის ყოვლისმომცველობის პრეტენზიას გვიჩვენებს.

ის, რომ საზოგადოება ყოველთვის იმართება PR-ცოდნით, არაა დასაგმობი. მთავარია, მას ხელისუფლება მართავდეს. თუ საზოგადოებას სხვა მართავს, მაშინ ადამიანებს ამხელენ და ამუნათებენ, რომ ისინი მართულნი არიან, რომ ისინი იმართებიან დესტრუქციული ძალების მიერ. აქ, ცხადია, გულისხმობენ. რომ ადამიანები, რომელნიც იმართებიან, მოკლებულნი არიან ადამიანობას, ხოლო მოვლენა, რომლის მონაწილენიც ეს მართული ადამიანები არიან, უთუოდ სპექტაკლია. აქაც ისევ ის ზემოთაღნიშნული ორაზროვნება ვლინდება. ადამიანს თავისუფლების სახელით ყველა ღირებულების უარყოფისაკენ უბიძგებენ და ამავე დროს მისგან მოითხოვენ იდეურობასა და ზნეობრიობას. ამ ვითარების გააზრება არ ხდება.

როგორ არის შესაძლებელი ის ადამიანთა ერთობა, რომელიც PR-მენეჯერმა, პოლიტტექნოლოგმა შეიძლება მართონ „ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ სიტუაციაში?“ რატომ არის ასეთი რამ სასახელო და ელიტურობის ნიშანი?

თუ PR-მენეჯერი მართავს საზოგადოებას, როგორ უნდა გავარკვიოთ მართვის პოზიტიურობა ან ნეგატიურობა? მმართველის მმართველი ვინ შეიძლება იყოს? თუ PR-მენეჯერი ასეთი ინტელექტუალი და მოგვია, რატომ არის, რომ მისი მსჯელობა თაღლითობის მეტი არაფერია?

ახლა შემდეგი ვიკითხოთ: PR-მენეჯერი ნებისმიერ სიტუაციაში მართავს საზოგადოებას და ეს დემოკრატიის მიღწევად წარმოჩინდება. ამავე დროს ითქმის, რომ ხელისუფლებას ხალხი ირჩევს და ამით მოიპოვება ძალაუფლების ლეგიტიმურობა. აქ ხალხი მოიაზრება არა მხოლოდ უმაღლეს სამართლებრივ ინსტანციად, არამედ ზნეობრივ კრიტერიუმადაც. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ PR-მენეჯერის ავგურობა რაღა საჭიროა? თუ ხალხი არაა უმაღლესი მსაჯული, მაშინ ასეთი PR-მენეჯერი უნდა იყოს, რომელსაც ყოველთვის შეუძლია ხალხის მართვა. თუ ეს ასეა, დემოკრატიის იდეისგან რაღა რჩება?

დღეს ამ საკითხთა ყურადღების მიღმა დატოვება მიუტევებელია. ლიბერალ-დემოკრატიზმს რაც ემართება, ჩვენ წინა

გამოკვლევაში განვიხილეთ.

ტანსაცმლის, შოუბიზნესის, ტელევიზიის მაგია ადამიანთა უძლურ და უბადრუკ სულებზე მომნუსხველ გავლენას ახდენს. საესტრადო ხელოვნება თავისი მსარდი ექსტრავაგანტულობით ცდილობს წარმოაჩინოს, რომ ადამიანი თავისუფალია, გონითი არსებაა. ასეთი ქიმერული თავისუფლების ერთ-ერთ ატრიბუტად იქცა ფიჭური ტელეფონი. კონკრეტულია აბონენტის ნომერი, ასევე შემავალი და გამავალი ზარები, მაგრამ არავინ რეკავს არავისთან. ანონიმური მექანიკურობის ეს სიმბოლო სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს ადამიანის ცხოვრებაში.

მოდით, ესტრადითა და ტელევიზიით გაქსუებულ ადამიანს არ შეუძლია გაუძლოს მინიმალურ ზნეობრივ ძალისხმევას. ის არსებობს როგორც თოჯინა, როგორც ბიოლოგიური ავტომატი, მაგრამ მას მიაჩნია, რომ ანგელოზურ ბუნებასთანაა ნაზიარები. თაობა თაობას მისდევს და თანამედროვე ტექნიკის საკვირველი მიღწევები ამ ვითარებას მხოლოდ უფრო და უფრო ამძიმებს. თითქოს პირიქით უნდა იყოს.

ვინ და როგორ უნდა გაარკვიოს დისკრეტული ინდივიდების საზოგადოებაში ის, მე სხვათა მსგავსი მექანიკური არსება ვარ, თუ მართლა მაქვს რაღაც სულიერი ნაპერწკალი? სად არის საზოგადოებაში ასეთი ადამიანთშორისი ურთიერთობები? თუ მე მაქვს სულიერი ნამუშაკარი და საზოგადოება კი ამას არ არკვევს, მაშინ როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება ჩემსა და საზოგადოებას შორის? როგორ უნდა ავიცილო თავიდან დიდი კონფლიქტი საზოგადოებასთან ისე, რომ სინდისთან კომპრომისებს არ ვსაჭიროებდე?

თუ საზოგადოებამ იცის ჩემი სულიერი ნამუშაკარის შესახებ, შეუძლია კი მას ერთი ადამიანის გულისათვის მცირედი მაინც დათმოს? თუ საზოგადოება განზრახ ხუჭავს თვალს ჩემს ნამუშაკარზე, რაღა აზრი აქვს იმას, რომ საზოგადოება ინდივიდის თავისუფლების სახელით ერთთავად სინდის-ნამუსს ირწმუნება? ეთიკაზე ამდენ ლაპარაკსა და საგაზეთო გულითადობას რაიმე აზრი და ღირებულება რომ ჰქონდეს, მას ასე არ მიმოყრიდნენ ყველგან ხმელი ფოთოლივით.

საზოგადოებაში მიმდინარე მუდმივ სპექტაკლსავე უკავშირდება სპეცსამსახურებზე განუწყვეტელი მითითებანი.

ყველაფერზე ითქმის, რომ სპეცსამსახურების მოწყობილია და ნებისმიერ ადამიანს შეიძლება დასწამონ ცილი, რომ ის „იმართება გარკვეული ძალებისაგან“. საზოგადოებას კი არ შეუძლია გაარკვიოს, მავანი იდეურობის გამო აკეთებს რაღაცას, თუ სპექტაკლს ქმნის. თუ საზოგადოებას ეს არ შეუძლია, მაშინ რა აზრი აქვს ვინმეს სიცრუეში მხილებას? ასეთი მხილებით სავსეა გაზეთები. ხშირად ითქმის, რომ რაღაც მოვლენა დადგმული სპექტაკლი იყო. აქ ისე გამოდის, რომ სპექტაკლი შეიძლება არ იყოს დადგმული. გამოთქმით „დადგმული სპექტაკლი“ ცდილობენ ხოლმე სიცრუის მასშტაბის ხაზგასმას. სპექტაკლი დადგმას გულისხმობს და დადგმული სპექტაკლი პლეონაზმი და ემფატიკური გამოთქმაა.

რატომ სწორედ ევროპულ აზროვნებაში და სწორედ საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინა პერიოდში წარმოიშვა ფილოსოფემა ადამიანი-მანქანა და მექანიციზმის თეორია? დეკარტის მოძღვრებამ ევროპული ფილოსოფიის წინაშე ახალი ჰორიზონტი გახსნა, მაგრამ მისმა მოძღვრებამვე ჩაუყარა საფუძველი მექანიციზმს. დეკარტი ორსახოვანია. გამოთქვა კი მან სრულად თავის ხშირად ბუნდოვან ნააზრევში ის, რასაც გონების ძალით სწვდებოდა? მეტად საყურადღებო იქნებოდა ფილოსოფიის ისტორიის მცოდნე თანამედროვე თეოლოგის აზრი დეკარტის ამ ორსახოვნების შესახებ. მამარდაშვილი დეკარტს ფილოსოფიის ისტორიაში ყველაზე იდუმალ ფილოსოფოსად მიიჩნევდა. ჰუსერლი მიუთითებდა დეკარტის მოძღვრების დაფარულ ორაზროვნებაზე. განვითარდებოდა კი ევროპული ფილოსოფიური, საბუნებისმეტყველო, სოციალურ-პოლიტიკური აზროვნება, რომ ყოფილიყო მხოლოდ დეკარტის შემეცნების თეორია და არ ყოფილიყო დეკარტის მექანიციზმი?

აღიარო, რომ ადამიანი მექანიკური არსებაა, ნიშნავს ამხილო ქრისტიანული ღმერთი სიცრუეში. ამიტომ მერყეობდა ბევრგან დეკარტი და ღმერთზე არა მხოლოდ იეზუიტთაგან დევნის გამო მიუთითებდა თავის ნააზრევში.

დეკარტის შემდეგ მექანიციზმმა უფრო ექსტრემისტული სახე მიიღო, უარყო ღმერთი და თეოლოგიაზე იერიში მიიტანა. მატერიალიზმი და ათეიზმი კი გნოსტიციზმის ახლებურ გამოვლინებად იქცა. ამ ექსტრემიზმს უნდა უმადლოდეს მეცნიერე-

ბა და ტექნიკა თავის განვითარებას.

ლამეტრი და ჰოლბახი რუსები რომ ყოფილიყვნენ და ფრანგული მატერიალიზმი რუსეთში წარმოშობილიყო, ნეოლიბერალიზმის იდეოლოგია ამას „რუსული სულის ავტორიტარულობას“ დაუკავშირებდა. ნეოლიბერალიზმი სპექტაკლურობაში ბოლშევიზმს და მთლიანად ბიზანტიზმის იდეას ამხელს. აქ, ცხადია, იგულისხმება, რომ დასავლეთის წარსულიც და აწმყოც ნამდვილია, არასპექტაკლურია.

თუ ბიზანტიზმის წარსული ასე უარიყოფა, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ სპექტაკლი იყო, როდესაც ბიზანტიის ბასილევსი დიდებულ აუდიენციას უწყობდა ბალკანეთიდან მოსულ ბარბაროს სტუმრებს. სპექტაკლი იყო ის, როდესაც კნიაზ იგორის ქვრივი ოლგა მიიღეს და მონათლეს ბასილევსმა კონსტანტინე VII-მ და ბიზანტიის პატრიარქმა.

თუ ეს და მრავალი სხვა მოვლენა ბიზანტიის ისტორიიდან (ოიკუმენის იდეისათვის ბრძოლა, ბიზანტიური ლიტურგია და პოლიფონია და ა.შ) იყო სპექტაკლი, მაშინ კათოლიციზმიც თავისი მისიონერობით შორეულ ქვეყნებში და მთლიანად ქრიატიანობაც სპექტაკლი ყოფილა. ჰოლბახისა და მთლიანად ფრანგი ენციკლოპედისტების ნააზრევი ამას ამტკიცებს. ნეოლიბერალიზმის იდეოლოგია კი ფრანგ ათეისტთა შესახებ არას ამბობს. იგი წარსულის ფაქტების მანიპულირებით ხელს უწყობს მექანიკური ურთიერთობების ნორმატიზებას გლობალური მასშტაბით. მხოლოდ ასეთი მზაკვრობით აღსრულდება აბსოლუტური ბაზრის ადეპტთა განზრახულობანი. ხალხების სიბილწე და სიმხდალე, მონათა ვირტუოზული პოზიორობა ყველაზე უკეთ მართლდება სწორედ მექანიკური ურთიერთობებით, დემონსტრაციული პროტოკოლურობითა და ფორმალობით, ინტერნაციონალური მედიაკრატიული სპექტაკლით, რომელსაც თავისუფლება და დემოკრატია ეწოდება. გლობალურმა სპექტაკლმა და PR-მანქანის აბსოლუტიზაციამ თავისდა უნებლიედ სულ უფრო დაუფარავად წარმოაჩინა ხალხების სულმდაბლობა. ეს ხდება სწორედ დღეს, XXI საუკუნის დასაწყისში. ხალხები ითხოვენ მაქსიმუმს, მაგრამ არ შეუძლიათ დაიცვან მინიმუმი. ამის გამო მათი თვალთმაქცობა უსაზღვროა. სპექტაკლის საზოგადოებაში ინდივიდი არის არა მოქალაქე,

არამედ homo videns (ადამიანი მაყურებელი), რომელიც თავისსავე თვალისსეირს უცქერს. ამ დროს საზოგადოების განუწყვეტელი მითითებანი ქრისტიანობაზე სასაცილოა. ასეთი მითითებები რელიგიის სპექტაკლად ქცევას გვიჩვენებს. ადამიანის ღვთიურობის რწმენის შენარჩუნება უფრო გაძნელდა.

გვიანდელი პლატონი თავის „კანონებში“ ამბობს, რომ ადამიანი მხოლოდ თოჯინაა (πaiyviov) ღმერთების ხელში (I 644 -e). იქვე პლატონი ამბობს, რომ ადამიანი ყველაფერს ღმერთების ნებით აკეთებს. ამ თოჯინას ღმერთები ძაფებით ათამაშებენ (VII 803 c - 804 b). ადამიანი, პლატონის თანახმად, იმ ძაფისაკენ უნდა ისწრაფოდეს, რომელიც გონებისაა. კაცნი უმეტესწილად თოჯინები არიან და მხოლოდ მცირედ თანაეზიარებიან ჭეშმარიტებას (804 b). პლატონის ასეთი მსჯელობა უარყოფს მთელ მის ფილოსოფიას. თუ ადამიანი ღმერთების ხელში სათამაშოა, როგორ უნდა მოიძიოს მან თავის თავში ის ნება, რომელიც მას გონების ძაფისაკენ სწრაფვაში შეუწყობს ხელს? პლატონის ფილოსოფიის ეს სიძნელე ქრისტიანულ თეოლოგიაში ღვთის ნებისა და კაცის ნამოქმედარის შეთანხმების გადაუწყვეტ პრობლემაში გამოვლინდა.

რატომ შეეჭვდა გვიანდელი პლატონი ადამიანის არსებასა და ღმერთის სიმართლეში? „კანონებში“ ის მსჯელობს ორ მსოფლიო სულზე, კეთილსა და ბოროტზე (X 896 c - 897 a). იქვე საუბარია კეთილ ერთიან მსოფლიო სულზე. (იხ. ასევე 896 d-e – 897 a-d, 898 c, 902 e -903 a). გნოსტიციზმი და ბოგომილობა ქრისტიანობასთან ძირითადად ამ საკითხზე კამათობდა. ფრანგმა ენციკლოპედისტებმა ქრისტიანობა ბოროტებად მიიჩნიეს და მათ მიერ ეკლესიასთან დაწყებული კამათი დღემდე გრძელდება. გავიხსენოთ, რომ ვოლტერი თავიდან ეთანხმებოდა ლაიბნიცის თეოდიცეას. 1755 წლის მიწისძვრამ ლისაბონში 30 ათასზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა. სტიქიური უბედურების გააზრება კვლავ პოლიტიკურ კრიტიკად იქცა. ვოლტერმა პოემაში „ლისაბონის დაღუპვის შესახებ“ (1756 წ.) უარი თქვა ლაიბნიცის მსოფლიო ჰარმონიის იდეაზე. მოთხრობაში „კანდიდი, ანუ ოპტიმიზმი“ (1758 წ.) ვოლტერმა შესაქმის გამამართლებელი ლაიბნიცისეული იდეა ირონიის საგ-

ნად აქცია. ამავე დროს, ვოლტერს სწამდა, რომ პოლიტიკური ინსტიტუტებისა და ადამიანის სრულყოფა სამყაროს უკეთესს გახდიდა. ვოლტერიც უტოპისტი იყო და მან აღწერა იდეალური სახელმწიფო - ელდორადო. ვოლტერმა უარყო ლაიბნიცის ოპტიმიზმი და მისი განაზრება ადამიანის სრულყოფის შესახებ საფუძვლად დაედო ევროპულ რევოლუციონიზმს. ლაიბნიცის თეოდიცეა კი ამ რევოლუციონიზმმა თავისთვის ხელისშემშლელად მიიჩნია. ვოლტერმა თავისი მებრძოლი ანტიკლერიკალიზმის გამო ყურადღება არ მიაქცია გნოსტიციზმსა და ალბიგოიზმს. გამოთქვა კი ვოლტერმა ბოლომდე ის, რასაც ფიქრობდა ღმერთსა და შესაქმეზე?

პლატონი უფრო ბნელია და ბუნდოვანი, ვიდრე დეკარტი. ეს შესამეცნებ საკითხთა სიძნელისაგან მომდინარეობს. ათეისტობა ვერ დაგვეხმარება ამ სიძნელისაგან თავის დახსნაში. ფრანგ ენციკლოპედისტებს, განსაკუთრებით დიდროს, ეს კარგად ესმოდათ. ყველაფრის მიუხედავად, მაინც ფრანგ განმანათლებელთა იდეურ მემკვიდრეს - ნიცშეს ათეიზმის პრობლემურობა ღრმად ჰქონდა გააზრებული. ნაშრომში „ნება ძალაუფლებისაკენ“ (§421) ნიცშე ამბობს, რომ სურს შექმნას ფილოსოფოსის იდეალი, რომელიც ყველაზე ძნელი მისაღწევია.

სპექტაკლის საზოგადოებაში ასეთ იდეალზე არ ფიქრობენ. სპექტაკლისათვის სულ ერთია ქრისტიანობა და ათეიზმი, ყველა დიდი მოაზროვნე და მათ მიერ დასმული საკითხები. სპექტაკლის საზოგადოების არგუმენტირებული კრიტიკისგანაც სპექტაკლი იქმნება. აბსოლუტური რაციონალობის ასეთი გამოვლინება მაინც ვერ სწვდება და ვერ იპყრობს შეუცნობელ მომავალს. სპექტაკლის საზოგადოების აგრესიული აწმყო ვერ იცილებს შიშს მომავლის გამო. ჯერ კიდევ მდუმარე მომავალი კი ამ აწმყოს გაცამტვერებას უქადის.

წერილი მესამე

მედიაკრატია ხშირად აღნიშნავს ხოლმე სპეცსამსახურებისა და აგენტების შესახებ. ამის მიუხედავად, ძნელად სადმე მოიძებნება იმის საფუძვლიანი ანალიზი, რაც ხდება ჩვენს

თანამედროვეობაში. ქვემოთ შევეცდებით გავარკვიოთ რეპრესიული ორგანოების, პირველ რიგში, უ'შიშროების როლი პოსტსაბჭოთა რეალიების ჩამოყალიბებაში. მიგვაჩნია, რომ ასეთი ანალიზი აუცილებელია მრავალი მოვლენის შემეცნებაში.

პოსტსაბჭოთა უახლოესი წარსული (1992-99 წლები) ყალიბდებოდა აგენტურული ამერიკულ-რუსული ინტერნაციონალის მრავალი ფარული შეთანხმებით, რომელნიც მთავრობათა შორის დოკუმენტურად გაფორმებულ ოფიციალურ შეთანხმებებზე მაღლა დგანან.

საბჭოთა იმპერიის ასეთი გაუგონარი დათმობები და სოციალისტუირი სისტემის დემონტაჟი გადაწყვეტილი იყო ГБ-ს გენერალიტეტის მიერ. ანტისაბჭოთა დისიდენტობა საბჭოთა კავშირის დაშლას ვერასოდეს შეძლებდა. უდიდესი სოციალისტური იმპერიის დაშლის დროიდან დაიდო მრავალი ფარული შეთანხმება ГБ -სა და CIA -ს შორის. იდეოლოგიური ბარიერების მოხსნამ, მარქსიზმ-ლენინიზმის გაუქმებამ უფრო დააახლოვა ეს ორი რეპრესიული ინსტიტუტი. როგორც ГБ -ს, ასევე CIA -ს ანალიტიკური ცენტრებისათვის, სისტემათა განსხვავებულობის მიუხედავად ყველა საკითხში ერთნაირი სიძნელეები იყო დასაძლევი.

ГБ -ს გენერალიტეტმა რუსული მედიაკრატიის საშუალებით ყველას დაუმტკიცა, რომ საბჭოთა ხალხის ენთუზიაზმი, თავგანწირვა და გმირული ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის სისულელე იყო. ამ მიზნით იქნა გამოყენებული რუსული ეკლესიაც. რუსულმა პოლიტიკურმა ელიტამ 1992-93 წლებში სწრაფად აითვისა დასავლური PR-ტექნოლოგიები. ამ ელიტამ რამდენიმე წელიწადში ბოლო მოუღო იმას, რაც საბჭოთა ადამიანების რწმენითა და დისციპლინირებულობით იქმნებოდა. ГБ -სა და CIA -ს შორის დადებულ ფარულ შეთანხმებათა მიუხედავად, დასავლეთმა არ მიიღო რუსეთი თავის სრულუფლებიან წევრად, არ მოხდა რუსეთის უსწრაფესი ინტეგრაცია დასავლურ სტრუქტურებში. დასავლეთში მაინც თავი იჩინა რასისტულმა სიძულვილმა რუსების მიმართ, ასევე სიძულვილმა მთლიანად მართლმადიდებლობის მიმართ.

პოლიტიკური ელიტა, მედიაკრატია და მათთან ერთად ეკლე-

სია ულვთოდ ცრუობენ. რუსული მსხვილი ბიზნესი და უშიშროება ერთი მთლიანობაა. იგი ლამის ყოვლის'შემძლეა, მაგრამ რუსეთის მომავალთან დაკავშირებული ვერც ერთი საკითხი მან ვერ გადაწყვიტა, მიუხედავად იმისა, რომ მან არაერთხელ განაცხადა საკუთარი ლიდერობის შესახებ.

ГБ -სა და CIA -ს შორის ფარული შეთანხმების ძალით პუტინი პრეზიდენტად დაინიშნა ელცინის მშვიდობიანად გადაყენების შემდეგ. სახელმწიფო დამნაშავემ, თავის დროზე (1988-91 წლები) დისიდენტმა ელცინმა მიიღო ხელშეუხებლობის ყველა გარანტია და მას ყველაფერი მაროლაც რომ ხახვივით შერჩა. ელცინი თავისი პრეზიდენტობისას იყო დასავლური ნეოლიბერალიზმის ადგილობრივი ადეპტი და დასავლეთმა თავი მოვალედ მიიჩნია ის დაეცვა. ელცინის გადაყენებიდან მალევე გამოვიდა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული წიგნი, რომელშიც მოთხრობილია მის, როგორც სახელმწიფო მოღვაწის შესახებ. ასეთი სიცრუით წარმოჩნდა, რომ არანაირი განსხვავება კეთილსა და ბოროტს შორის არ ყოფილა. ორივე ღირებულია მხოლოდ როგორც მანიპულაციის საგანი. უშიშროებიდან მოსული გენერალი პუტინი მრავალმა ადამიანმა, ვისაც გული შესტკიოდა დამცირებულ და მოტყუებულ რუსეთზე, გონს მოსული პოლიტიკური ელიტისა და პატრიოტული წრეების წარმომადგენლად ჩათვალა. ადამიანთა ყველაზე მეტად მოსაფრთხილებელი გრძნობა რუსულმა PR-მანქანამ მანიპულაციის საგნად აქცია. გავიხსენოთ პუტინის პრეზიდენტად დანიშვნის წინ მიმდინარე პოლიტიკური კამპანია, როდესაც სიცრუეს თავი მიაჩნდა ჭეშმარიტებად. ამ დროს აღარ ისმოდა ცნობილი რუსი ანტისაბჭოთა დისიდენტების ხმა და თუ ვინმემ რამე თქვა, ის მედიაკრატიისათვის აღარ იყო რამენაირად ღირებული. სოლჟენიცინის მოთხოვნა Жить не по лжи გაიგებოდა ისე, რომ სიცრუე მხოლოდ საბჭოთა სისტემა იყო და მისი უარყოფა დისიდენტი მწერლის ამ მოთხოვნას უთუოდ განახორციელებდა. ასე კი არ მოხდა.

მეორე საპრეზიდენტო ვადას პუტინი ხელმოცარული ამთავრებს. ის არაა და ვერ იქნება რუსეთის პატრიოტი. ის ვერ იქნება ევრაზიელი პოლიტიკოსი და მისი მმართველობა PR

- მენეჯმენტის რაფინირებულობის გამოხატულებაა. ГБ -ს კაპიტალისებულმა გენერალიტეტმა ვერანაირ იდეურ მოძრაობას ვერ ჩაუყარა საფუძველი. პუტინის მმართველობა არის სპექტაკლი, რომელშიც ძალზე უხვად გამოიყენება პატრიოტიზმის ელემენტები, რუსეთის იმპერიული წარსულის სიმბოლოები. ამ სპექტაკლით გენერალიტეტმა თავისი ქონების უსაფრთხოებისათვის მეტი გარანტიები მოიპოვა. ეს არის და ეს. ისიც გავიხსენოთ, რომ ელცინი თავისი პრეზიდენტობისას, კრიმინალური პრივატიზაციის გამო გამოთქმული აღშფოთებისათვის სამოქალაქო ომით დაიმუქრა.

პრეზიდენტურა ბანალური მანიპულაციის შემადგენელი ნაწილია. პრეზიდენტის სპექტაკლში მონაწილეობა ნამდვილობისა და ზნეობრიობის მოჩვენებითობას ერთიანად ზრდის.

პრეზიდენტის გადაყენების PR-ტექნოლოგიური ციკლი განხორციელდა საქართველოშიც. სახელმწიფო დამნაშავე შევარდნაძემ მიიღო ხელშეუხებლობის გარანტია. ვითომ რუსეთთან ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლი საქართველოს პოლიტიკური ელიტა შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს სინამდვილეში შეთანხმებული იყო ГБ -ს გენერალიტეტთან, დღევანდელ ФСБ - თან. ქართული მედიაკრატიის მიერ რუსეთის კილვა და მის ძრახვაში თავის გამოდება არის პოლიტიკური სინამდვილის უმნიშვნელო, პროფანული ქვედა დონე. ამავე დროს მედიაკრატიის ასეთი საქმიანობა არის ის კამუფლაჟი, რომელიც ქმნის საზოგადოებისა და განსაკუთრებით ჟურნალისტთა კორპუსის იდეურობისა და პატრიოტობის მოჩვენებითობას.

ელცინის მმართველობის დროს მოხდა კრიმინალური წრეების პოლიტიზაცია და პოლიტიკური ელიტის მაფიიზაცია. ამ მოვლენამ ისეთი მასშტაბი და ინტენსივობა შეიძინა, რომ რუსეთის არსებობის საფუძვლებს დაემუქრა. პუტინის მიერ პოლიტიკური ინსტიტუტების ოპტიმიზაცია, მისი ეფექტურობის მიუხედავად, მაინც უმნიშვნელო მოვლენად რჩება, რომელიც მძიმე სინამდვილეზე მცირე გავლენას ახდენს.

ელცინის რუსეთთან მებრძოლი შევარდნაძის საქართველო იყო მცირე დანამატი ГБ - CIA-ს გლობალურ ფარულ შეთანხმებაში. საქართველოში სამოქალაქო ომის (1991 -94

წლები) დროს, შევარდნაძე დაიცვა ელცინის რუსეთმა და არ გამართლდა გამსახურდიას მომხრეთა ვარაუდი, რომ აფხაზეთის ომის წაგება, სოხუმის დაცემა, შევარდნაძის ხელისუფლებას დაამხობდა და ამის შემდეგ აფხაზეთში კვლავ ქართველები შევიდოდნენ. შევარდნაძე რუსეთმა იარაღით დაიცვა, დასავლეთმა კი, სიტყვით. 1993 წელს შევარდნაძის შეშინებული გარემოცვა თბილისში გამსახურდიას მოღალატეობაზე ყვიროდა და ტელევიზიის საშუალებით ცდილობდა რაც შეიძლება მეტი თბილისელის პოლიტიკური და ტრაიბალური ისტერიით ინფიცირებას. მაშინ ლაპარაკობდნენ მეგრელთა გაულეტაზე (რ.მიმინოშვილი, ვ. ადვაძე და სხვ.). გამსახურდიას მომხრე მეგრელთა პოზიციების რუსთა მიერ საავიაციო დაბომბვით ყველამ დაინახა, რომ რუსეთი შევარდნაძისათვის იბრძოლებდა. მან მოიყვანა ის საქართველოში და ისვე კბილებით იცავდა მას. მედიაში ეს მოვლენა გაფორმდა ისე, რომ დემოკრატ შევარდნაძეს დემოკრატიული რუსეთი დაეხმარა და არა იმპერიული რუსეთი, რომელსაც დემოკრატი შევარდნაძე დემოკრატ რუსებთან ერთად ებრძოდა. მაშინ ბევრს ლაყბობდნენ ორ რუსეთზე, რაც მოვლენის არსის შენიღბვის მიზნით გაკეთდა. ქართული ეროვნული მოძრაობა სამოქალაქო ომის დაწყებამვე უმნიშვნელოდ აქცია. ქართველთა მოღალატური ზნის აწყვეტამ და არნახულმა გაქანებამ ქართული კულტურის ყველა საფუძველს დიდი დარტყმები მიაყენა.

ბიზნესმენებად და ბანკირებად გარდასახულ რუს გენერლებსა და CIA -ს აგენტურას შორის იყო შეთანხმება, რომ გამსახურდიას მომხრენი არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაენდოთ. ამავე დროს ქართულ მედიაში დასავლეთზე მოიმედეობის კამპანია მიმდინარეობდა. სისხლიან და ღალატიან სინამდვილეში ფამილარობას ეძლეოდა გასაქანი. დღესაც, ბუშის საქართველოში ჩამოსვლა (ამა წლის 9-10 მაისი), მედიაში გაიგება როგორც დასავლეთის უეჭველი ზრუნვა დემოკრატიის განმტკიცებისათვის მსოფლიოში.

1992-94 წლებში, რამდენიმე ათეული კაცის პოლიტიკური კარიერისა და ზღაპრულად გამდიდრების გამო ათასობით ადამიანი ამოწყდა. მთელი ქართული პოლიტიკური ელიტა

თავისი კარიერითა და კეთილდღეობით იყო და არის დავალე-ბული რუსეთის მთავრობისაგან. მედიაკრატიაში გაშლილი რუსების რასისტული გმობა პოლიტიკური იმპროვიზაციისა და შეურაცხადი ადამიანის თავისუფლების გარდა არაფერია. წლობით მიმდინარე ანტირუსული საგაზეთო კამპანია არამც და არამც არაა ქართველობის რაღაც მიზნისათვის ბრძოლის დამადასტურებელი. მრავალ ქართველს უეჭველად სწამს, რომ საქართველო დასავლეთს „ორგანულად ეკუთვნის“ და ქართველების ევროპაში მისვლას ვინმე ელოდება. ვითომ იმპერიულ რუსეთს ებრძვიან, მოსკოვში კი დაიარებიან, დიდი ხნით ან სულ იქ რჩებიან. აქ კი ისევ ისე აგრძელებენ ყაყანს კრემლის შესახებ.

ერთობ დამაფიქრებელია ანტისაბჭოთა დისიდენტურის პოლი-ტიკური ხვედრი პოსტსაბჭოთა სინამდვილეში. ანტისაბჭოთა დისიდენტებმა თავისი ბრძოლა მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ ცალკე არებულ მოვლენად წარმოიდგინეს. ეს გაუმართლებელი იყო. დეკოლონიზაციის პერიოდის დროინდელ (XX ს-ის 50-70-იანი წლები) აზიელ და აფრიკელ დისიდენტებთან და ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობებთან, ასევე საკუთარ დისიდენტებთან (XX ს-ის 60-70-იანი წლები) ბრძოლის დიდი გამოცდილება დასავლურ სის-ტემას ჰქონდა. მან ეს გამოცდილება ქმედით არსენალად აქცია საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში. დასავლეთი აზიელ და აფრიკელ დისიდენტებს ისეთივე რეპრესიული ხერხებით ებრძოდა, როგორც საბჭოთა ხელისუფლება თავის დისიდენ-ტებს. საკუთარი თავის გლობალურ ისტორიულ კონტექსტში დანახვა ანტისაბჭოთა დისიდენტებმა არ მოისურვეს, რადგან ეს მათ ანტიკომუნისტურ რიტორიკას წყალს შეუყენებდა. ჩვენთვის ეს დისიდენტური მოძრაობის არსისა და მისი უსახელო თანამედროვეობის გასაგებად მეტად მნიშვნელოვანი ვითარებაა.. თუ დასავლეთს საკუთარ დისიდენტებთან ბრძოლის ასეთი გამოცდილება ჰქონდა, შეუძლებელია მისთვის საბჭოთა ბანაკში არსებული დისიდენტობა რაიმე განსაკუთრებული მოვლენა ყოფილიყო. დასავლეთმა კარგად გამოიყენა სოლჟენიცინის, სახაროვის, გამსახურდიას, სლეპაკის, აგურსკის და სხვა ანტისაბჭოთა დისიდენტების პროტესტი საბჭოთა სისტემის

დისკრედიტაციისათვის. საუბედურო, საბჭოთა ბანაკმა, პირველ რიგში, ГБ -ს ანალიტიკურმა ცენტრებმა ვერ შეძლეს XX ს-ის 60-70-იანი წლების ევროპელ დისიდენტთა პროტესტის კაპიტალის სისტემის დისკრედიტაციისათვის გამოყენება, იმის მიუხედავად, რომ საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლება მთელ მსოფლიოში სოციალიზმის ექსპორტს ეწეოდა. საბჭოთა ხელისუფლებას რომ ევროპელ დისიდენტთა პროტესტის გამოყენება შესძლებოდა, დღეს ევრაზიის პოლიტიკური სინამდვილე სხვაგვარი იქნებოდა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ რფ-ს ერაყში ამერიკელთა შეჭრისათვის უთუოდ ხელი უნდა შეეშალა. მხედველობაში გვაქვს 2003 წლის მარტში დაწყებული ომი. რფ-ს ხელისუფლებას ყველა შესაძლებლობა ხელთ ჰქონდა, რათა წინ აღდგომოდა ბრიტანულ-ამერიკული კოალიციის ერაყში შესვლას. მან ეს არ გააკეთა სწორედ იმიტომ, რომ არსებობდა ფარული შეთანხმებანი ГБ - CIA-ს შორის. ერაყში შეჭრის წინა პერიოდი (2003 წლის იანვარ-თებერვალი და ასევე წინა, 2002 წელი) ისლამურ აღმოსავლეთში რუსეთის, როგორც უმთავრესი ევრაზიული ფაქტორის გამოცდის დრო იყო. საკითხი ამ დროს უფრო დიდ რაღაცას ეხებოდა, ვიდრე დემოკრატია და ადამიანის უფლებებია. ამერიკულმა პოლიტიკამ ღიად დაამტკიცა, რომ მისთვის არის უფრო მნიშვნელოვანი რაღაც, ვიდრე დემოკრატია, ვიდრე გაეროს სტატუტი.

CIA-სა და პენტაგონის ანალიტიკური ცენტრების განსჯათა საწინააღმდეგოდ ერაყში სიტუაცია სულ უფრო დამძიმდა. სასწორზე დაიდო ლიბერალიზმისა და ევროპეიზმის ბედი. ისლამური ფუნდამენტალიზმი კიდევ უფრო მძვინვარე გახდა. ერაყის კრიზისში ბრალი ამერიკელებზე უწინ რუსებს მიუძღვით. ამერიკელები ბევრ რამეს ვერ გაბედავდნენ, რომ არა ГБ-ს კოლაბორაციონისტული პოლიტიკა. ГБ-ს CIA-სთან შეთანხმებათა მიუხედავად, ლევიათანი უკვე რფ-ს საზღვრებთანაა და იგი ახლა ცდილობს თავისი მიზნებისათვის გამოიყენოს ფედერაციის მუსულმანთა ექსტრემიზმი. ისლამის დოლარით მოთვინიერებას ამერიკელები ვერ ახერხებენ.

რუსეთის დათმობამ ერაყის საკითხში მძიმე წანამძღვრები წარმოშვა. ასეთი დათმობის ფაქტიდან იმ დასკვნის გამოტანა

შეიძლება, რომ ГБ - CIA-ს ფარულ შეთანხმებებს ეკონომიკური ხასიათი უფრო აქვთ, ვიდრე გეოპოლიტიკური. ამ შეთანხმებებმა წყალს გაატანა მეორე მსოფლიო ომის უდიდესი მიღწევა - გაეროს შექმნა. აზრი დაეკარგა ნაციზმის წინააღმდეგ მილიონობით საბჭოელი და დასავლელი ჯარისკაცის ბრძოლასა და უდიდეს მსხვერპლს. ერაყის კრიზისმა დაგვანახა, რომ არ არსებობს ერთიანი კაცობრიობა და საკაცობრიო ცივილიზაცია. ამ კრიზისმა გააცამტვერა ერთიანობის ის განცდა, რაც ნაციზმთან საერთო ბრძოლის შემდეგ დამკვიდრდა ვესტერნიზებულ მსოფლიოში.

ГБ - CIA-ს ფარულმა შეთანხმებებმა ჩამოწერა ყველაფერი და გადაიყვანა სპექტაკლის კატეგორიაში. წარსულის სპექტაკლი მედიაკრატიამ თანამედროვე სპექტაკლით შეცვალა.

რუსეთს მიუძღვის ბრალი იმაშიც, რომ ავღანეთში დღეისათვის მძიმე სიტუაციაა. გორბაჩოვის მმართველობის დროს ავღანეთიდან რუსეთის უკანმოუხედავად წამოსვლა (1989 წ.) გაუმართლებელი ნაბიჯი იყო. ავღანეთიდან საზეიმო გამოსვლის შემდეგ რუსეთს ამ ქვეყანაში არ ჰქონია არანაირი პოლიტიკა. მრავალი წლის მანძილზე ეს ქვეყანა რუსეთს მივიწყებული ჰყავდა. დიდი მსხვერპლის ფასად, ავღანეთში რუსეთს შექმნილი ჰქონდა ის საფუძველი, რაზეც უნდა აგებულიყო სამერმისო ევრაზიული პოლიტიკა. რუსეთმა აზრი დაუკარგა საბჭოთა ჯარისკაცების ნაბრძოლსა და მსხვერპლს ისევე, როგორც მან ეს გააკეთა აღმოსავლეთ ევროპაში, როდესაც მან უპასუხისმგებლოდ გამოიყვანა ჯარები ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებიდან. ისტორიაში ძნელია სხვა ისეთი ფაქტის მოძიება, როდესაც გამარჯვებული ქვეყანა საკუთარ მსხვერპლს აზრს ისე უკარგავდა, როგორც ეს რუსეთმა აღმოსავლეთ ევროპასა და ავღანეთში გააკეთა. ყოვლად მიუტევებელი სენტიმენტალური ნაბიჯი იყო საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა II ყრილობაზე დადგენილების მიღება, რომლის მიხედვითაც მორალურად და პოლიტიკურად დაიგმო საბჭოთა ჯარის ავღანეთში შეყვანა 1979 წლის დეკემბერში. ამას თან დაერთო ავღანეთის თემაზე საგაზეთო არტისტობათა ციკლი.

რუსეთში დაწყებული საჯარო თვითგვემისა და არტისტული

მონანიების პანდემია საბჭოთა იმპერიისათვის დამღუპველი იყო. გორბაჩოვისეული გარდაქმნის დროიდან ჩაეყარა საფუძველი საბჭოთა სინამდვილის დასავლურ სპექტაკლიზაციას. სპექტაკლად იქცა სოლჟენიცინის ლიტერატურული მოღვაწეობა, სახაროვის რადიკალური პროტესტი.

მსოფლიომ და ,პირველ რიგში, დასავლეთმა, არად ჩააგდო რუსების მიერ ჯვარზე მითითებით ბოლშევიზმის დაგმობა. პირიქით, დასავლეთმა ეს ისევ რუსთა სამტროდ გამოიყენა. ძალზე ბევრი რამ, რაც უკვე დაწყებული იყო, გაბათილდა რუსთა სენტიმენტალიზმის გამო და თავიდან დასაწყები გახდა. რუსულმა ლიბერალურმა სპექტაკლმა 1992-93 წლებში, ასევე ელცინის დემაგოგიამ დაღუპა ის, რის შექმნასაც საბჭოთა პოლიტიკური ელიტის ხანგრძლივი ძალისხმევა მოხმარდა. სპექტაკლი გაცილებით მიმზიდველი და ხელმისაწვდომი აღმოჩნდა რუსი ლიბერალებისა და რეფორმატორებისათვის, ვიდრე პროზაული პოლიტიკური სინამდვილე ევრაზიასა და მთელ მსოფლიოში.

არ დაგვავიწყდეს, რომ კოლონიალიზმის დროს უცხოეთში დაღუპული თითოეული ინგლისელი ჯარისკაცი ბრიტანეთის იმპერიისათვის უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე ევროპულ პრესაში ატეხილი ანტიბრიტანული ხმაური და ლამაზი ფრაზები. არც ,ის დაგვავიწყდეს, რომ დღეს, ყველაფრის მიუხედავად, ინგლისს ჩრდილოეთ ირლანდია რკინის მუშტით უჭირავს. ნურც გიბრალტარის სრუტისა და ფოლკლენდის კუნძულების საკითხებს დავივიწყებთ. ინგლისი არასოდეს დაიწყებს საკუთარი იმპერიული წარსულის მორალურ გმობას. ის მას პატივს მიაგებს ყოველთვის.

რუსეთსავე მიუძღვის ბრალი, რომ შუა აზიის ქვეყნებში ამერიკელთა პოლიტიკური გავლენა იზრდება. შუა აზიის ქვეყნებშიც, ისევე როგორც ავღანეთში, რუსეთს მრავალი წელი არ ჰქონია საკუთარი პოლიტიკა. პუტინის ხშირი მითითებანი რეგიონში ტერორიზმთან ბრძოლის აუცილებლობის შესახებ ფარავს ამ ვითარებას.

რუსეთშიც და ამერიკაშიც სულ უფრო იზრდება უშიშროების სამსახურების როლი პოლიტიკაში. უშიშროებას ახლა ტერორიზმთან ბრძოლის სახელით შეუძლია გაამართლოს

ყოვლისმომცველი კონტროლი, ახალი საიდენტიფიკაციო სისტემების სხვადასხვა სტრუქტურებში დანერგვა.

აგენტურულ ინტერნაციონალს თავისი ყოვლისშემძლეობის მიუხედავად, არ ძალუძს ანტიტერორისტული საერთაშორისო ფრონტის შექმნა. ამას დიდი კონტრიდეა ესაჭიროება. იდეები კი დასავლეთს და მასთან ერთად რუსეთს არა აქვს. ГБ - CIA-ს შეთანხმებამ იოლად შექმნა და განამტკიცა ანტიმუშური, შრომის საწინააღმდეგო ფრონტი, რისთვისაც ეკლესიაც იქნა გამოყენებული. მისი შექმნა ნგრევასთან და დემორალიზაციასთან იყო დაკავშირებული.

დღეისათვის დასავლური პოლიტიკური ელიტები, ასევე ცნობილი მეცნიერნი (მაგალითად, ამერიკელი პოლიტოლოგი ამიტაი ეტციონი) მიუთითებენ, რომ აუცილებელია შეიქმნას ანტიტერორისტული ინტერნაციონალური კოალიცია. ეს მსჯელობა როგორც იდეა, ისე წარმოჩინდება დასავლურ და რუსულ მედიაკრატიაში. იდეური ადამიანების არარსებობა დასავლურ და რუსულ პოლიტიკურ ელიტებში, გლობალური ანტიტერორისტული ფრონტის შექმნის საქმეს გაჭიანურებულ ფორმალობად აქცევს. სპექტაკლის საზოგადოება ვერ შეებრძოლება იმას, ვინც იდეას ადამიანის სიცოცხლეზე მაღლა აყენებს. მხედველობაში გვაქვს ისლამური ფუნდამენტალიზმი.

დავუბრუნდეთ საქართველოს პოლიტიკურ სინამდვილეს. საქართველო'ში ხორციელდება რუსულ-ამერიკული ფინანსური კოიმპერიუმი. ამის ყველა ნიშანი ცხადლივ გამოკვეთილია. რუსულ-ქართული აგენტურული შეთანხმების მაგალითია ის, რომ რუსული კომპანიები ყიდულობენ ქართულ საწარმოებს, საბანკო კაპიტალს. სისულელეა ამ დროს მედიაკრატიის ყვირილი სუვერენიტეტზე, ან კიდევ საუბარი პროქართული ლობის გააქტიურებაზე დასავლეთ'ში.

გლობალურმა კაპიტალმა დაასრულა სუვერენიტეტების ეპოქა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იმპერიათა გარდაუვალი ჟამი დგება. იმპერიის ცნებამ გლობალური კაპიტალის პირობებში ახალი შინაარსი შეიძინა. ნეოკონსერვატიული ფინანსური იმპერია გეოგრაფიულად ანომალიურია.. იგი ვირტუალურ კონსტრუქციებს ეყრდნობა. მას არა აქვს

იდეოკრატიული მისწრაფება. ამავე დროს ის ძველი დროის, იმპერიათა მსგავსად, მესიანისტურია, რაც მონოიდეიზმს გულისხმობს. ასეთი ორსახოვნება პოლიტიკურ ანალიზს, რა თქმა უნდა, ართულებს. ძნელდება იმპერიულობის მომენტის გამოვლენა გლობალურ ფინანსურ პანკოსმიონში. ძნელდება იმპერიული ევიდენტობის დანახვა მიმდინარე ისტორიაში იმიტომ, რომ საიმპერიო სტრუქტურა იგება მონოიდეიზმის გარეშე. ამავე დროს, ყველგან იგრძნობა ახალი ტიპის იმპერიის კოლოსური ძალა. ეს იმპერიული ევიდენტობა გაბნეულია მრავალი ათეული ქვეყნის სუვერენიტეტში. იმპერიულად არსებობის აუცილებლობა გლობალურ კაპიტალს აიძულებს რაღაც აიღოს გარდასულ იმპერიათა დანატოვარიდან და თავი მათ მემკვიდრედ გამოაცხადოს. ეს აუცილებლობა მრავალ ძალისხმევათა შედეგად თავსდება სპექტაკლის ფარგლებში, მიეწოდება როგორც სპექტაკლი, ამავე დროს, როგორც ყველაზე ბუნებრივი და ადამიანური რამ, რომლის გაკრიტიკება არა მხოლოდ ბოლშევიკური წარსულის ოდიოზური რეციდივია, არამედ მკრეხელობაა.

სუვერენიტეტზე, ქვეყნის ინფრასტრუქტურებზე, ინვესტიციებზე, რუსული სამხედრო ბაზების გაყვანაზე გამუდმებით ლაპარაკი, რაც ყველას ყოველდღე გვესმის, არის ის ქვედა დონეები, რომლითაც მედიაკრატია კომპრადორულ ელიტებთან ერთად მანიპულირებს. ადამიანებს სთხოვენ აზრი გამოთქვან, შეაფასონ. ГБ -CIA შეთანხმდნენ, რომ მედიაკრატიას მისცემოდა სრული თავისუფლება. 1989 -93 წლებში ჟურნალისტთა უმრავლესობამ ეს არ იცოდა. საათავეში რომ დადგინდა, სამომავლოდ რა როგორ ყოფილიყო, შემდეგ ყველაფერი თავისთავად აეწყო.

დასავლეთში წესი ასეთია, რომ სახაზინო თანამდებობაზე მოსული ბიზნესმენი საკუთარ ბიზნესში აღარ უნდა მონაწილეობდეს. დასავლეთში დიდი მეწარმეები და კომერსანტები არ მიისწრაფიან დეპუტატობისა და მინისტრობისაკენ. საქართველოში და ასევე რუსეთში კი პირიქითაა. ბიზნესმენი პარლამენტსა და მთავრობაში საკუთარი კომერციული ინტერესების დაცვის მიზნით მოდის. საქართველოს რეფორმატორ ხელისუფლებას ეკონომიკის მინისტრად ჰყავდა რუსეთში მცხო-

ვრები მულტიმილიონერი ბენდუქიძე. იგი რუსეთის ეკონომიკური რეზიდენტია საქართველოში. ამას მამხილებლური მსჯელობა სულაც არ სჭირდება. დღევანდელ გლობალურ სიტუაციაში ეს ბუნებრივია. ბენდუქიძის რუსეთიდან ჩამოყვანა და მისი ქართულ პოლიტიკურ ელიტასთან ზიარების ფაქტი ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმულ მსჯელობათა სისწორის დადასტურებად მიგვაჩნია.

როგორ უძღვება თავის ბიზნესს რუსეთში საქართველოში მყოფი სახ.მინისტრი ბენდუქიძე? მას ან მიბარებული აქვს ბიზნესი, ან თავად დადის რუსეთში საქმის გასაძღოლად. საქართველოს ხელისუფლება ვითომ რუსეთს ებრძვის და ამ ქვეყნის ბიზნესელიტის წარმომადგენელს მინისტრად ნიშნავს. ბენდუქიძის ეკონომიკის მინისტრად დანიშვნის დღიდან დაიწყო პოზიტიური PR-კამპანია და მისი სახელი სპექტაკლად იქცა. ბენდუქიძე უნდა დახმარებოდა ქართველებს რუსეთის იმპერიასთან ბრძოლაში იმით, რომ უმოკლეს დროში აღედგინა ქვეყნის ეკონომიკა. ასეთი ქრესტომათიული სისულელეები გამოითქმოდა პერიოდულ გამოცემებსა და ტელეეთერში. ბენდუქიძეს უნდა მოეზიდა ინვესტორები უცხოეთიდან, განევითარებინა ბანალობად ქცეული მცირე და საშუალო მეწარმეობა. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს უშიშროების მინისტრად იგორ გიორგაძის დანიშვნა. შემდეგ კი მისი საქვეყნო მხილება, რომ ის რუსეთის აგენტი არის. მედიაკრატია ასეთ ფაქტებს ბიზნესად აქცევს ხოლმე.

ბენდუქიძისეული მკაცრად მონეტარისტული ეკონომიკური ბლიცკრიგი ვერ განხორციელდა. ქართული წარმოშობის ეს ცნობილი ბიზნესმენი არა მხოლოდ რუსული ბიზნეს-ნომენკლატურის, არამედ გლობალური კაპიტალის წარმომადგენელია. შეუძლებელია, მას რაიმე სახის ემოციური და მორალური დამოკიდებულება გააჩნდეს საქართველოსადმი. შეუძლებელია, ის საქართველოს ეკონომიკის ფეხზე დაყენებით იყოს დაინტერესებული. შეუძლებელია, მას გააჩნდეს ორიგინალური ეკონომიკური გეგმა. ყოველივე ამის მიუხედავად, სპექტაკლი გრძელდება.

საქართველოს ხელისუფლება რომ პოსტსაბჭოთა პერიოდის ГБ-სთან იყო შეთანხმებული, ჩანს შემდეგი ფაქტებიდანაც:

გენერალმა ყარყარაშვილმა 1992 წელს სეპარატისტული ცხინვალი რომ აიღო, შევარდნაძემ რუსეთის ხელისუფლების მითითებით, იქიდან ქართველთა ჯარი გამოიყვანა. აფხაზეთის ომი ასევე ღალატით დასრულდა და დღემდე არაა გამოძიებული სოხუმის დაცემის მიზეზები და არც არავინ გასამართლებულა. ახალ ხელისუფლებაში არც ერთხელ დასმულა საკითხი შევარდნაძის პარტიის პასუხისმგებლობისა და გასამართლების შესახებ.

2000 წლის 24-25 იანვრის დსთ-ს ქვეყნების მოსკოვის სამიტის შემდეგ პრეზიდენტმა შევარდნაძემ პუტინის საპრეზიდენტო კამპანიასა და არჩევნებში მის უეჭველ გამარჯვებაზე ილაპარაკა. მას არაფერი უთქვამს აფხაზეთის საკითხის შესახებ. ამ სამიტის ჩატარების წინ ქართული მედიაკრატია კვლავ განზრახ ავრცელებდა მცდარ ინფორმაციას, რომ სამიტზე აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტაში რაღაც ნაბიჯები გადაიდგმებოდა. სამიტიდან გამოსულმა შევარდნაძემ, იმხანად პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის პუტინის შექება დაიწყო. 'შევარდნაძემ თქვა, რომ პუტინი ცუდად იცნობდა აფხაზეთის პრობლემას და ამით გაამართლა მან ის, რომ სამიტზე აფხაზეთის შესახებ მას პუტინისათვის არაფერი უთქვამს. საუბარი იყო „ახალ მიდგომათა ჩამოყალიბებაზე". შევარდნაძე და პუტინი შეთანხმდნენ მხოლოდ არჩევნებზე. 2000 წლის 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის შევარდნაძის საარჩევნო კამპანია იწყებოდა. შევარდნაძემ პუტინს თავისი მხარდაჭერა დაანახა და მისგანაც იგივეს ელოდა. შევარდნაძემ, როგორც ყოველთვის, რუსეთის მიმართ კვლავ კაპიტულანტური პოზიცია დაიკავა. ამავე დროს, მისი მომხრე ქართული მედია შევარდნაძის პოლიტიკურ სიბრძნესა და გამჭრიახობაზე ლაპარაკობდა და სატანური იმპერიის აგონიაზე ყვიროდა. ირონიას ისიც აძლიერებდა, რომ მედროვეებით გავსილი ხელისუფლება შევარდნაძის შეურიგებელ მოწინააღმდეგეებს ბრალს სდებდა სამშობლოს ღალატსა და კანონიერი ხელისუფლების დამხობის მცდელობაში. დაქსაქსული და ერთმანეთს გადაკიდებული პოლიტიკური ორგანიზაციები ოპონენტებს ბრალს სდებდნენ სპექტაკლების მოწყობაში. ამ დროს ყველაფერი ერთი დიდი სპექტაკლი იყო, რომელმაც

მრავალი ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მედია, რომელსაც შევარდნაძე მესიად ჰყავდა დასახული, ამბობდა, რომ: „შევარდნაძემ კარგად იცის რუსეთის იმპერიის ბუნება და ის თავისი უნიკალური პოლიტიკური გამოცდილებით დაგვეხმარება, რომ ამ იმპერიის კლანჭებს დავუსხლტეთ.“ ახლა კი, ვითომ არაფერი, ისე იქცევიან და კვლავ სხვათა მხილებას აგრძელებენ.

კომპრადორული ელიტები აქაც და რუსეთ'შიც ერთი მეთოდით ჩამოყალიბდა. კომკავშირის ცკ-ს მდივნები, პარტმუშაკები მოვიდნენ პარლამენტსა და მთავრობაში. გაუგებარია, რისთვისღა იყო ამდენი ანტისაბჭოთა დისიდენტი, ბოლშევიზმის მამხილებელი მრავალი ათეული გა'ხეთი. ეს ელიტები უცხოეთში განსწავლულ თავისსავე შვილებს ამზადებენ თავის შემცვლელად. ასგზის დაწიხლული ეროვნული მოძრაობა სად გდია, არავინ იცის და არც არავის აფიქრებს. რისთვის იყო ეროვნული მოძრაობა და დისიდენტური ბრძოლა და ჰქონდა კი მას დამოუკიდებელი ღირებულება? დღეს რატომ ვერ ყალიბდება ახალი დისიდენტური მოძრაობა?

სულაც არაა აუცილებელი, რომ დასავლეთში განსწავლული მომავალი პოლიტიკური ელიტა რომელიმე რეზიდენტურიდან იღებდეს ინსტრუქციებს. ეს მხოლოდ ერთეულთა საქმეა. უმრავლესობა კი კომპრადორიზმის კალაპოტში თავისთავადაა ჩამდგარი. თანამდებობის მოპოვების ყველა გზა მასსე გადის.

საქართველო საბჭოთა კავშირის დაშლის დროიდანვე, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, იყო აგენტურული ინტერნაციონალის და სხვადასხვა რეზიდენტურათა აქტიური პოლიგონი. ეს დღემდე ასეა ქართველთა მოდგმის მოღალატური ბუნების გამო. ბევრისმთქმელია, რომ საქართველოში, მრავალი კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, არ მოხდა საჯარო მოხელეთა ლუსტრირება, არ გაიხსნა არქივები. ამის გაკეთება ვერც სააკაშვილის ხელისუფლებამ მოახერხა.

ახლანდელ ხელისუფლებას წინამორბედის მსგავსად, კვლავ ამხელენ რუსეთის აგენტობაში, რაც ქართულ სინამდვილეში მეტად ბანალურ ბრალდებად ქცეულა. დავუშვათ, საზოგადოებამ დაწვრილებით შეიტყო ფარულ მოლაპარაკებათა და არაო-

ფიციალურ პოლიტიკურ გარიგებათა შესახებ. გახდება კი საზოგადოება ამის შემდეგ ისეთი ზნეობრივი უნარის მქონე, რომ აღარ დაუშვას ამდენი გაუგონარი ღალატი და ასეთი დაცემა?

ქართული სინამდვილის ყოველი დღე და წელი ამ კითხვაზე მხოლოდ უარყოფით პასუხს გვაძლევს. თუ ეს ასეა და ამას ყველა ხედავს, მაშინ მთელი ეს მედიაკრატიული ალიაქოთი სამშობლოზე, სინდის-ნამუსსე, ღმერთზე, შეგნებული თავის მოტყუება, სავალდებულო დემოკრატიული იმპროვიზაცია და თვითსპექტაკლი ყოფილა. დიდი პოლიტიკის სულ უფრო მეტ ცინიზმს მედიაკრატია სულ უფრო მეტი სიცრიუთ ფარავს.

ქართულმა პარლამენტარიზმმა და რესპუბლიკანიზმმა, როგორც ეს იყო მოსალოდნელი, უსახელოდ დაასრულა პირველი პოსტსაბჭოთა ათწლეული. იგივე გრძელდება ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგაც.

საქართველოში პოლიტიკური სინამდვილის შემადგენელი ნაწილი სწრაფად გახდა ადამიანი, რომელსაც დასავლეთში floater (მერყევი ამომრჩეველი, რომლის მოსყიდვა შესაძლებელია.) ეწოდება, ილეთები, რომელთაც gerrymander (წინასაარჩევნო მაქინაციები.) ჰქვიათ. მაგრამ დასავლეთში ასეთი მასობრივი სახე არა აქვს პარტიულ რენეგატობას, პარტიულ ბანდიტიზმს, პოლიტიკურ მეგიუეობას, ნაკაცართა მეროჭიკეობას.

მედიაკრატიული სპექტაკლი ისაა, რომ ასეთი დაცემის შემდეგ კვლავ ამტკიცებენ დემოკრატიის, როგორც ერთადერთი ეთიკური წყობილების შესახებ. გაუგებარია, რაზე დაყრდნობით ახდენს მედიაკრატია ეთიკის უზურპაციას? რატომ მიაჩნია მას, საკუთარი სპექტაკლი უეჭველ სინამდვილედ?

მრავალი წლის მანძილზე შევარდნაძისა და ასლან აბაშიძის საინფორმაციო საშუალებები ერთმანეთს ლანძღავდნენ. ეს მრავალ ადამიანს სინამდვილე ეგონა. 2003 წლის ნოემბერში, როდესაც თბილისში საპროტესტო მიტინგები მიმდინარეობდა, შევარდნაძე აბაშიძესთან ბათუმში ჩავიდა როგორც მოკავშირესთან. ერთიც და მეორეც რუსეთის პროტეჟეები იყვნენ. შევარდნაძის ბათუმში ჩასვლით გაქარწყლდა ამდენი გაზეთის მიერ აბაშიძის მრავალწლიანი გაკილვა. მედიაკრატი-

ის უახლოეს წარსულში ასეთი ფაქტები უამრავია. გაზეთები, რომელნიც სააკაშვილს დასცინოდნენ, მისი პრეზიდენტად გახდომის შემდეგ მეხოტბეებად იქცნენ და რა გამოთქმები, რა ფრაზები დაახვავეს მის საქებრად.

სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლა ამერიკულ-რუსული აგენტურული ინტერნაციონალის შეთანხმების ძალით მოხდა. აქაც ძალზე მოხერხებულად იქნა გამოყენებული ბიჰევიორულ-ნეომექანიცისტური მეთოდოლოგია, ფართო მასების, როგორც საექსპერიმენტო დიდი თაგვის მონაწილეობით. ცხადია, ეს შეინიღბა მორალური პოზიორობით, ერთიმეორეზე ფამილარული ტელესიუჟეტების სიმრავლით. ნოემბრის რევოლუციის შემდეგ ადამიანთა შორის ისევ ის გაუცხოებაა, რომელიც სანთლების ციმციმითა და სამრეკლოებიდან დარისხებული ზარებით ვერ დაიძლევა. ამ რევოლუციით ქართველმა ისევ თავისი გულისა მიიღო. ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს. სპექტაკლი გაგრძელდა და მან უფრო ცინიკური სახე შეიძინა. მართალ, ნამდვილ ცხოვრებას სულ სხვა ძალისხმევა სჭირდება, რაც ქართველთათვის მიუწვდომელია.

საქართველომ საკუთარი რელიგია დიდი ხანია დაუჯერებელი პოლიტიკური მანიპულაციისა და PR-მენეჯმენტის საგნად აქცია. თუ რელიგიასთან ასეთი მოპყრობა შესაძლებელია, მაშინ ამას ისევ მებრძოლი ათეიზმი სჯობს. ლიბერალიზმის დამკვიდრების საქმეში დიდი მარცხი რუსეთშიც და საქართველოშიც მართლდება ეკლესიისადმი უხშირესი აპელაციებით.

რუსეთთან აგენტურულ შეთანხმებაზე ისიც მეტყველებს, რომ ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ 1992-2003 წლებში სიტყვასიტყვით გაიმეორა პოლიტიკური კრიმინალიტეტის ჩამოყალიბების ყველა ის საფეხური და თავისებურება, რაც რუსეთში იყო. ოღონდ საქართველოში ამას უფრო გამომწვევი და ტრაიბალური სახე მიეცა.

ელცინიც და შევარდნაძეც ხელშეუხებელნი არიან, რადგან მათი დამსახურებაა გაპარტახება, დატაცება და ნეოლიბერალ გლობალისტთა გეგმის პირველი ნაწილის, როგორც პრელუდიის განხორციელება. მედიაკრატია კი კრიჭაში უდგას სინამდვილეს და პოლიტიკური ელიტის გარეწართა ფოტოებს

ჟურნალ-გაზეთების პირველ გვერდებზე აქვეყნებს, მათი ცოლებისაგან ინტერვიუებს იღებს. დგას ერთი ღლაბუცი და სიცილი. ამაში პერიოდულ გამოცემათა რედაქციები ერთმანეთს ეჯიბრებიან. ყველანი ერთმანეთს ეცრუებიან და ეცულლუტებიან. ყველაზე უკეთ თვითსპექტაკლს შეუძლია გაამართლოს უამრავი ადამიანის სულიერი ხეიბრობა და აყვირებული სიბილწე.

პოლიტიკური და მედიაკრატიული სპექტაკლის კიდევ ერთ მახასიათებელ ფაქტს მოვიყვანთ: რამდენიმე წლის წინათ რუსულმა კომპანიამ „რაო , ეეს“-მა ამერიკელებისაგან საქართველოში იყიდა ენერგეტიკის სფერო. ამ გაყიდვას წინ უძღოდა, პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ ამერიკული კომპანია AES-ის უარყოფითი შეფასებანი დენის ცუდი მოწოდების გამო. პრეზიდენტის შეფასებები იმას ნიშნავდა, რომ რაღაც მზადდებოდა. AES - თან დადებული კონტრაქტის პირობები გასაიდუმლოებული იყო და ისე წავიდა ეს კომპანია საქართველოდან, რომ ვერ გაირკვა, რა როგორ იყო შეთანხმებული. ქონების მართვის ყოფილ მინისტრს მიხეილ უკლებას ნათქვამი ჰქონდა, რომ AES - თან გაფორმებულ ხელშეკრულებასთან ერთად არსებობდა საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც სად იყო, არავინ იცოდა.

თქმა არ უნდა იმას, რომ გასაიდუმლოებულია ამერიკულ და რუსულ კომპანიებს შორის დადებული ხელშეკრულების ტექსტი და პირობები, მისი ღირებულება.

მრავალი გაზეთი და პოლიტიკოსი აყვირდა და ითქვა, რომ სტრატეგიული დარგების რუსეთისათვის გადაცემას ქართველი ხალხი უნდა შეეწინააღმდეგოს, რადგან ასეთი ყიდვა-გაყიდვა ქვეყნის სუვერენიტეტს ბღალავს. კი, მაგრამ რუსულ კომპანიას საქართველოში შემოსვლის უფლება ქვეყნის პრეზიდენტმა არ მისცა? ტელეარხებმა ინტერაქციები მოაწყვეს, მოხელეები მოიწვიეს სტუდიაში. სპეციალური გადაცემები მიეძღვნა ენერგეტიკის საკითხებს. შეშფოთებული მინისტრები, დეპუტატები, ტელეჟურნალისტები ამტკიცებდნენ, რომ ქვეყნის სუვერენიტეტი შეიბღალა. ზიზღისმომგვრელი იყო ეს საყოველთაო თვალთმაქცობა. ვითომ სულ რუსებს ებრძვიან დასავლურ ორიენტაციაზე მითითებით. რუსული კომპანიის წარმომადგენლები

ირწმუნებოდნენ, რომ მათი მიზანი არის დენის შეუფერხებელი მიწოდება მოსახლეობისათვის. შემდეგ ამას ქართული მედიის დადებითი კომენტარები მოჰყვა.

ამერიკელებმა ენერგეტიკის საკუთარი წილის გაყიდვა რომ მოისურვეს, საქართველოში რატომ მოითხოვენ და მიაჩნიათ, რომ ამის შესახებ ისინი ქვეყნის მთავრობას დაეკითხებოდნენ? საკუთარი კომერციული მიზნები AES -მა საქართველოს სუვერენიტეტზე მაღლა დააყენა. კაპიტალის ძალაუფლება სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა. საქმე ასეულ მილიონობით დოლარს ეხება. რაში სჭირდებოდა AES -ს საქართველოს ინტერესების დაცვა ან რატომ სჯეროდათ, რომ ის ქვეყნის ინტერესებს დაიცავდა? ვერ ამოიძირკვა საქართველოში ეს სულელური მოიმედეობა, რომ მავანი უცხოელი ინვესტორი ქართველებით მოიხიბლება და იმაზე ფიქრს დაიწყებს, თუ როგორ დაეხმაროს საქართველოს.

მოვიდა რუსული ბიზნესი, რუსული კაპიტალი საქართველოში და, ცხადია, მას თან მოჰყვება პოლიტიკური მიზნები. უცხოურ კომპანიებთან დადებული კონტრაქტები და მათი პირობები გასაიდუმლოებულია. მათ შესახებ ხელისუფლების უმაღლესმა პირებმაც არ უწყიან, რაც არაერთხელ წარმოჩნდა. „რაო ეეს“-ის საქართველოში შემოსვლის შემდეგ, ქართულ გაზეთებში ანატოლი ჩუბაისის საქებარიც დაიწერა. ქართული ბიზნესწრეების რუსულ კაპიტალთან სიახლოვე აქ კარგად წარმოჩნდა. ამავე დროს, ქართულ მედიაში რუსების რასისტული ძაგება არ წყდებოდა. ჩუბაისი ტიპური კრიმინალური პრივატიზატორია და პრეზიდენტ ელცინის უახლოეს გარემოცვაში შედიოდა. იგი ეგორ გაიდართან ერთად რუსეთის ეკონომიკის რეფორმატორად მოიაზრებოდა. რუსულმა მედიაკრატიამ ზღვა მელანი მოახმარა ჩუბაისისა და გაიდარის პოზიტიურად წარმოჩენის საქმეს. მილიარდერმა ჩუბაისმა გაიდარისაგან განსხვავებით, მრავალ სახელისუფლო ცვლილებას გაუძლო. ჩუბაისის კაპიტალის წინაშე დადგომისას მყისვე გაქარწყლდა ქართულ მედიაში წლობით მიმდინარე საუბრები კრემლზე, იმპერიულ ნოსტალგიაზე, წითელ-ყავისფერ ძალებზე. მაგრამ რახან ასეთი საუბრები მტკიცე ჩვეულებად ქცეულა და იოლია, რახან ასეთი საუბრები ურთიერთობათა ნამდვილობისა

და ზნეობრივი ცხოვრების მოჩვენებითობას ქმნის, ამიტომ ისინი არ წყდება. უთვალავი სიმულანტი პატრიოტი ცდილობს ფონს გავიდეს გამოთქმებით „დიდი შოთა“, „სულკურთხეული ილია“, „ტანჯული ზვიადი“, რადგან მათ არ ძალუძთ პოლიტიკურ ვითარებათა ანალიზი.

ევროპული პოლიტეკონომიის გენეზისსა და მის თანამედროვეობაში გაურკვევლობა იფარება ისეთი ფანდით, როგორიცაა 1937 წელს რეპრესირებულთა შესახებ დაუსრულებელი თეატრალური განსჯა. ქვეყნის სინამდვილემ კი ის დაგვანახა, რომ რეპრესირებულთა სახელები მხოლოდ მანიპულაციის მიზნებისათვის იქნა გამოყენებული. რეპრესირებულნი დავიწყებას არიან მიცემულნი. სპექტაკლით მცხოვრებ ადამიანებს ორი-სამი წლის მახსოვრობაც არა აქვთ.

ევროპული ისტორიის განვითარების მაგისტრალური გეზისაგან საქართველო შორს დგას. ეს სიშორე დრომ სულ უფრო მკაფიოდ წარმოაჩინა. თავისი სულიერი წყობითა და ეთნიკური თვისებებით ქართველი ევროპისათვის უცხო არის. ეს დაუძლეველი შინაგანი სიბილწე, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე თვალში საცემია, ვერ იფარება მჭახე საეთერო პარადიზით, ყოვლისმომცველი სპექტაკლურობით. შესაძლებელთაგან ყველაზე უარესი საქართველოს ბედისწერაა.

ქართველობა ვერ ჩამოყალიბდა ნაციად. ერომანეთის გამომრიცხავი ტრაიბალიზმი და რასიზმი საქართველოში გვერდიგვერდ არასებობენ. უმჯობესი იქნებოდა ქართველობა ყოფილიყო პოლიტიკური ნაცია და მას არ ჰქონოდა ეს პოლიფონია, ცეკვა, კულინარია, დიდი სიმულანტური და იმიტატორული ნიჭი, არ ყოფილიყო უცხოელთა გამრთობი. ამ ცეკვა-სიმღერით ხდება ნაციად ჩამოყალიბების ვერშეძლების, უკულტურობის, მუდმივი ხელმოკარულობის თვალთმაქცური კომპენსირება. ეს ცეკვა-სიმღერა მორიგი საქვეყნო მარცხისა და ახალი ღალატის პირობებში PR-იზებულ რელიგიასთან ერთად გამოდის ხოლმე როგორც შეუვალი საყოველთაო ალიბი. სხვა ხალხების ცხოვრებაში ცეკვა-სიღერასა და კულინარიას ასეთი როლი არ აკისრია. ქართველში არტისტული მათხოვრობა და

დიდი ამპარტავნება ერთმანეთს უთავსდება. ქართული სპექტაკლი უნიკალურია და ვულგარული.

XXI საუკუნეში საქართველო შეიდა როგორც ტომების კონგლომერატი, როგორც ტრაიბალური ქვეყანა, რომელიც მუდმივად ანარქიისა და დანაწევრებისაკენ არის მიდრეკილი, რომელშიც ყოველთვის ათასობით გამცემია.

ქართველთა ზნეს აგენტურული ინტერნაციონალი უკვე კარგად იცნობს და იყენებს. საქართველოს ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ თითქოს რაღაც იდეების გამო არის ტრივიალური ბლეფი, მედიაკრატიული პოლიშინელი.

რუსულ-ამერიკული აგენტურული ინტერნაციონალის ფარულ შეთანხმებათა მიზეზითაა, რომ რუსეთის პოლიტიკა ასეთი ორსახოვანი, მერყევი და კოლაბორაციონისტულია. ეს კარგად ჩანს თუნდაც რუსეთ-ჩეჩნეთის გაჭიანურებული ომიდან. პრეზიდენტ პუტინს საშინაო, სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში კვლავ ნავთობდოლარები დაეხმარა. მისი მმართველობა მარცხიანი, უიდეო და უსამართლოა, რასაც ვერ დაფარავს კრემლში მყოფ PR-ტექნოლოგთა ცულლუტობა. ერაყის საკითხში დათმობით რუსეთმა არაბულ სამყაროში ძველი ავტორიტეტი დაკარგა. ამაზე უარესი კიდევ ისაა, რომ რუსეთი ტერორისტულ ინტერნაციონალთან ბრძოლის სახელით პრინციპულ საკითხებს თმობს და დაუფარავად უთანხმდება ამერიკელებს. ამით, რუსეთის უნებურად და მისდა სავალალოდ, წინ წამოიწევს ცივილიზაციური იდენტურობის ფაქტორი, რაც ზრდის მტრობას რფ-ს მუსულმანებთან. ასეთი გაუმართლებელი დათმობებით რუსეთი უარს ამბობს ოავის დიდ ევრაზიულ მისიაზე და ახალი რეგიონული კონფლიქტების წანამძღვრებს ქმნის. ამ დროს მსჯელობას ატლანტიზმსა და ევრაზიელობაზე დამაჯერებლობა აკლდება. უსაფუძვლოა იმის მოლოდინი, რომ პუტინის პრეზიდენტობისას რუსეთი დიდ მოძრაობას დაიწყებს.

საქართველო და ევროპა დღეს*

გაუგებარია, როდესაც მილიტარიზმის გლობალური ესკალაციის პირობებში ქართული პოლიტიკური აზროვნება მრავალი წელი ამბობს ქვეყნის შესახებ, რომ მას შეუძლია შუამავლის როლი შეასრულოს და იყოს დამაკავშირებელი ხიდი ისლამურ აღმოსავლეთსა და ქრისტიანულ დასავლეთს შორის. საქართველო ასეთ როლს ვერ შეასრულებს. ამ მკაცრი სინამდვილის დაფარვა რომელიმე ქართველი მწერლის ამაღლებულ ნათქვამზე მითითებით, მეცნიერისათვის მიუტევებელია.

აქვე დგება კულტურული კუთვნილების საკითხი. სიძნელე ისაა, თუ რამდენად შეუძლია ქართულ კულტურას არსებითი დანაკარგების გარეშე გადაიტანოს ის რყევები, რაც დაკავშირებულია წინამორბედი რუსული კულტურის უარყოფასა და დასავლური კულტურის სახით ახალი მფარველის ძიებასთან. რას გულისხმობენ დასავლურ კულტურაში, როდესაც ამბობენ, რომ ქართული კულტურა მას ენათესავება? ქართული კულტურა იმას ენათესავება, რაც იყო ევროპაში პროტესტანტიზმის გაჩენამდე? თუ იმას, რაც წარმოშვა განმანათლებლურმა ათეიზმმა და რევოლუციონიზმმა? თუ იმას, რაც დღეს იწოდება მასკულტურად?

დასავლური ბანაკის იდეური სისუსტე წარმოაჩინა ერაყის ომმა. ამ ომში დასავლეთმა ვეღარ შეძლო ერთიანი ფრონტით გამოსვლა. დასავლური ბანაკის ორად გაყოფამდე საქართველოსათვის ამერიკანიზმი და ევროინტეგრაცია იდენტური ცნებები იყო, ხოლო რუსეთი ერომნიშვნელოვნად მტრად მოიაზრებოდა. ახლანდელ სიტუაციაში ცნება „დასავლური ორიენტაცია“ უფრო მეტ დაზუსტებას მოითხოვს. ქართული პოლიტიკური აზროვნებისათვის ორიენტაციის გარკვევის საკითხი გადაუჭრელი პირველი რიგის ამოცანაა. პოლიტიკის ულმობელ კანონთა თანახმად განვითარებულმა გლობალურმა სიტუაციამ საქართველო ორაზროვან მდგომარეობაში ჩააგდო.

---

* პირველად გამოქვეყნდა ყოველკვირეულ გაზეთ „ივერიაში“ (№69, 20 აგვისტო, 2004წ.).

ის ან უნდა ისწრაფოდეს კონტინენტური ევროპისაკენ, ან უნდა იყოს ამერიკანისტული. საქართველოს ამერიკანისტული კურსი ევროინტეგრაციის უმთავრესი წევრებისათვის – საფრანგეთისა და გერმანიისათვის უმნიშვნელო ფაქტია, მაგრამ ასეთი კურსი საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებას სულაც არ უწყობს ხელს. ევროპაში მოვიდნენ ახალი პოლიტიკოსები, რომელთაც აღარ ახსოვთ ედუარდ შევარდნაძე. პრაგმატიზმი გამორიცხავს მადლიერებას და საერთოდ ზნეობრივ ქმედებას.

დასავლური ბანაკის გაყოფის შემდეგ პროამერიკული კურსი აღარ ნიშნავს პროევროპულ და საერთოდ პროდასავლურ ორიენტაციას. საქართველოს შესვლამ ანტიერაყულ ბრიტანულ-ამერიკულ კოალიციაში კი არ გადაწყვიტა, არამედ უფრო გაამწვავა ორიენტაციის საკითხი. რუსეთი ღღეს საფრანგეთ–გერმანიის გვერდით დგას და ამის გამო პრორუსული ორიენტაციის აქამდე არსებული სწორხაზოვანი განქიქება, რაც ჩვეულებისამებრ ისევ ისე გრძელდება მედიაში, უკვე აზრს კარგავს. ევროპის ამ ორი დიდი ქვეყნისათვის საქართველოს სეპარატისტული რეგიონების პრობლემა ბევრს არაფერს ნიშნავს.

რაოდენ ძლიერიც არ უნდა იყოს ერთიანი ევროპა, მისი გავლენა საქართველოს მაინც რუსეთის გავლით და არა რუსეთის გვერდის ავლით მოსწვდება. ეს არის მკაცრი სინამდვილე, რომლის დაფარვას მრავალი წლის მანძილზე აქ ვერბალური კომბინატორიკით ცდილობდნენ. ეს ერთი ვითარებაა. მეორე კი ისაა, რომ ევროინტეგრაციის ყველაზე იდეალური განხორციელების შემთხვევაშიც კი ევროპისათვის საქართველო იქნება უმნიშვნელო ქვეყანა, ძნელად ასატანი enfant terrible (საზიზღარი ბავშვი).

ქვეყნის სამერმისო გეზის გარკვევა მსოფლიო პოლიტიკის ძალთა ახალი კონფიგურაციის პირობებში ძველი კლიშეების გამოყენებით შეუძლებელია. ჩვენი აზრით, უფრო რეალური არის საფრანგეთთან და გერმანიასთან და უახლოეს მეზობელთან - რუსეთთან დაახლოება, ვიდრე ოკეანისგაღმელ გიგანტთან „სტრატეგიული პარტნიორობა“. ბრიტანულ-ამერიკულ კოალიციაში ყოფნა პერსპექტივაში საქართველოსათვის კარგის მომტანი ვერ იქნება. თუ

ევროკავშირი ამერიკისაგან დისტანცირებას დაიწყებს, საკუთარ საგარეო და სამხედრო პოლიტიკას განახორციელებს, რისი ნიშნებიც უკვე საკმაოდაა, მაშინ საქართველო ევროპას უფრო დაშორდება, როგორც კონტინენტალიზმის მტერი.

ახლანდელი საფრანგეთ-გერმანია-რუსეთის კავშირი არის ის, რაც ნათქვამი ჰქონდათ ევროპელ ახალ მემარჯვენეებს XX საუკუნის 70-80-იან წლებში, რაც ნათქვამი ჰქონდა შარლ დე გოლს. დე გოლის თქმით, უნდა შექმნილიყო ფრანგულ-გერმანული კავშირი და ის უნდა დაახლოებოდა საბჭოთა კავშირს. ამრიგად უნდა შექმნილიყო ალიანსი – პარიზი-ბერლინი-მოსკოვი.

მაგრამ აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ილუზიები ამ სამი ქვეყნის კავშირის შესახებ არ უნდა გვქონდეს. დღეისათვის მცირე შესაძლებლობანია იმისათვის, რომ ეს კავშირი პარიზი-ბერლინი-მოსკოვის ღერძად ჩამოყალიბდეს. არც შირაკი და არც შრიოდერი არ არიან იმ მასშტაბისა და გაქანების პოლიტიკოსები, რომ მათ ახალ მოძრაობას დაუდონ სათავე ევროპაში. პოლიტიკური სურათი შეიძლება ისევ შეიცვალოს მათი ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ და სამთა კავშირიც დაიშალოს. ამ კავშირის არსებობამ და მისი საქმიანობის ანალიზმა არ უნდა გადაგვადგმევინოს მცდარი ნაბიჯი გეოპოლიტიკური კონსტანტების აბსოლუტიზაციისაკენ. ისლამურ ექსტრემიზმთან ბრძოლაში რუსეთი და ამერიკა, როგორც გეოპოლიტიკური ანტაგონისტები, შეიძლება ბევრ საკითხზე შეთანხმდნენ.

კარგია, რომ შირაკმა და შრიოდერმა დაიწყეს ის, რაც უკვე რამდენიმე წლის წინ უნდა ყოფილიყო დაწყებული. უმაღლეს სახელისუფლო დონეზე განხორციელდა ანტიამერიკანიზმი. ამან გამოიწვია ამერიკელთა წყრომა. მათ ევროპელებს ჯერ უმადურობაში დასდეს ბრალი და შეახსენეს მათ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ევროპის აღორძინებაში ამერიკის მიერ გაწეული ღვაწლი, შემდეგ კი დაიწყეს ევროპელთა პროვინციელებად მოხსენიება, მათთვის დასაცინი სახელების შერქმევა.

ევროპული ახალი მემარჯვენეობა, რომელიც დღეისათვის მარგინალიზებულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს, საკუთარ

ანტიამერიკანიზმს მეცნიერულად აყალიბებს. ამ მოძრაობის თეორეტიკოსები (ალენ დე ბენუა, არმინ მელერი და სხვ.) ევროპული პოლიტიკის პერსპექტივებს ეძებენ.

საქართველოში მემარჯვენეობა და მემარცხენეობა შეცდომით ისეა წარმოდგენილი, როგორც პოლიტიკური აზროვნების ინვარიანტები. თვით ევროპაში ეს ცნებები დროთა განმავლობაში სხვადასხვა შინაარსს იძენდნენ და საქართველოში მემარჯვენე-მემარცხენეობად დაყოფა რომ უცვლელ მოვლენად განიხილება, ეს გაუგებარია. 1989-91 წლებში ყველა ქართველი დისიდენტი მემარჯვენედ მიიჩნევდა თავს. ამის შესატყვისად, მემარცხენეობა პოლიტიკურ ინვექტივად აქციეს და ბოლშევიზმის გმობას გადააყოლეს სოციალიზმის თეორია. დავიწყებული იყო, რომ თუ ბოლშევიკები 1914-17 წლებში იყვნენ მემარჯვენეები, შემდეგ ისინი გახდნენ მემარცხენეები.

ევროპელმა ახალმა მემარჯვენეებმა რომ შეიტყონ საქართველოში ახალ მემარჯვენეთა პარტიის არსებობის შესახებ, გაეცინებათ. ევროპაში ამ სახელწოდებას აქვს აზრი. იქ იყო ტრადიციული მემარჯვენეობა, ის, რაც კლასიკურ ლიბერალიზმად იწოდება, და ტრადიციული მემარცხენეობა, ის, რაც ევროპულ სოციალიზმად და რუსულ ბოლშევიზმად იწოდება. შემდეგ გაჩნდა ახალი მემარჯვენეობა და ახალი მემარცხენეობა. აქ, საქართველოში ძველი მემარჯვენეობა, ე.ი. კლასიკური ლიბერალიზმი არ ყოფილა, და ახალი მემარჯვენეობის სახელწოდების შემოტანა ერთობ გაუგებარია. ქართველი ახალი მემარჯვენეები (დავით გამყრელიძე, ლევან გაჩეჩილაძე) შარშან ცდილობდნენ ნეოკონსერვატიზმის (რეიგანიზმისა და ტეტჩერიზმის ერთობა, ასევე ამერიკის ახლანდელი ადმინისტრაციის იდეოლოგია) პლატფორმაზე აეგოთ საკუთარი პარტიული იდეოლოგია. ნეოკონსერვატორთა კავშირის თავმჯდომარე იყო ირაკლი ბათიაშვილი. ნეოკონსერვატიზმზე და საბაზრო ექსტრემიზმზე ლაპარაკი პატარა, ღატაკ ქვეყანაში ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ასეთი იდეოლოგია ქართველმა ახალმა მემარჯვენეებმა ვერ შექმნეს, მაგრამ სახელწოდება „ახალი მემარჯვენეები“ პარტიას შერჩა. ნეოკონსერვატიული იდეოლოგიის შემოტანა მიზნად ისახავდა

დასავლური ცივილიზაციის ავანგარდთან - აშშ-თან და მის ნეოკონსერვატიულ ხელისუფლებასთან და თეორეტიკოსებთან (ჯორჯ ბუში, კონდოლიზა რაისი, ფრენსის ფუკუიამა და ა.შ.) იდეურ დაახლოებას.

ამერიკის ახლანდელ აღმინისტრაციას დასახული აქვს აღმოსავლეთ ევროპაში დამკვიდრება. რამდენიმე დღის წინათ ცინცინატიში ომის ვეტერანთა წინაშე გამოსვლისას ბუშმა განაცხადა, რომ ამერიკის სამხედრო ძალები განლაგდებიან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და რუსეთის საზღვრებთან ახლოს. გავიხსენოთ, რომ ლიტვის ნატოში შესვლასთან დაკავშირებით, ვილნიუსში გამოსვლისას, 2002 წლის 23 ნოემბერს ჯორჯ ბუშმა თქვა: „მეტად აღარ იქნება არც მიუნხენი, არც იალტა.“ ეს ნიშნავს, რომ აღმოსავლეთ ევროპაში მკვიდრდება ამერიკა, რომელიც აღკვეთავს როგორც გერმანიის, ასევე რუსეთის დამკვიდრებას ყოფილი ვარშავის ბლოკის ქვეყნებში. ამ პოლიტიკის განხორციელებაში ბალტიისპირეთის ქვეყნების ნატოში შეყვანა ერთ-ერთი საფეხურია. ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებაზე უფროსი ბუში საუბრობდა 1990 წელს, როდესაც ერაყის ომი დაიწყო. ახლა უმცროსი ბუში საუბრობს ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებაზე.

ჯერ კიდევ ბიზანტია და საღვთო რომის იმპერია ებრძოდნენ ერთმანეთს ბალკანეთის ნახევარკუნძულისა და აღმოსავლეთ ევროპისათვის. შემდეგ რუსეთი ცდილობდა ბალკანეთი და აღმოსავლეთ ევროპა თავის ორბიტაში მოექცია. მან ამას მიაღწია მხოლოდ ერთხელ – მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ და არსებული სტატუს-კვო დაკანონდა იალტის შეხვედრაზე.

აღმოსავლეთ ევროპის დაპყრობას გერმანია ფეოდალიზმის დროიდანვე ცდილობდა და სწრაფვა აღმოსავლეთისაკენ მუდამ იყო გერმანული პოლიტიკის ცენტრალური იდეა როგორც რაინდთა ორდენებისა და შემდეგ ნაცისტების დროს, ასევე დღეს. ამას ეწინააღმდეგება ამერიკა, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს გამოიყენებს ევროკავშირის ანტიამერიკული პოლიტიკის საბოტირებისათვის. ევროკავშირის 'შიდა პოლიტიკის კორექტულობა არ აუქმებს საერთოევროპულ იერარქიას, რომლის თანახმად, მთელი აღმოსავლეთ ევროპა დასავლეთ

ევროპასთან ურთიერთობაში დაქვემდებარებულ მდგომარეობაში ექცევა. თვით მდიდარი ჩრდილო-დასავლეთ ევროპა (სკანდინავიის ქვეყნები) საერთოევროპულ პოლიტიკაში პროვინციად რჩება. ევროპული ისტორიის ცენტრებს წარმოადგენენ საფრანგეთი, გერმანია და ინგლისი.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ნატოში პირველები შეიყვანეს პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთი. ეს სხვა არა არის რა, თუ არა რუსეთთან საუკუნოვანი მტრობის გაგრძელება. წარსულში რამდენჯერაც რუსეთმა წაიფორხილა, იმდენჯერ პოლონეთი მას თავს დაესხა.

დასავლეთის წაქეზებით, პოლონელები, უნგრელები და ჩეხები აუჯანყდნენ იალტის სისტემას, რომელიც დასავლეთისვე მიერ იყო დაკანონებული საბჭოთა კავშირთან ერთად. განათლებულ მკითხველს კარგად ეხსომება, რამდენს ლაპარაკობდნენ პრესაში 1989 წლიდან „პრაღის გაზაფხულ'ზე", „ტანკებით თავისუფლების გაქელვაზე". რუბრიკად იქცა იმის შესახებ წერა, თუ როგორ მოთხარეს და დაანგრიეს რუსებმა ტანკებით უნგრეთი 1956 წელს, ჩეხოსლოვაკია – 1968 წელს.

პოლონელებმა და ჩეხებმა მალე დაივიწყეს ის, თუ როგორ ეპყრობოდნენ მათ ნაციზმის დროს, უფრო ადრე ტევტონთა ექსპანსიის დროს. გერმანელი ფეოდალი პოლონელ და ჩეხ გლეხს ტყავს აძრობდა, მიწას ართმევდა, ძალით აგერმანელებდა. დავიწყებულ იქნა საბჭოთა არმიის ლვაწლი სუდეტის ოლქისა და სილეზიის სადავო საკითხთა გადაწყვეტაში.

პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთი იმედოვნებენ, რომ ატლანტისტური თავგამოდებით ევროკავშირ'ში მიიღებენ უფრო მაღალ პოლიტიკურ სტატუსს, ვიდრე მათ ისტორიულად ჰქონდათ, მაგრამ უმკაცრესი სინამდვილე სხვაგვარად გადაწყვეტს. ამ სინამდვილემ ლეხ ვალენსასა და ვაცლავ ჰაველის დისიდენტობა უმნიშვნელო გახადა და დავიწყებას მისცა. სწრაფად დაკარგა აქტუალობა ვაცლავ ჰაველის ცნობილმა დისიდენტურმა მანიფესტმა „ძალა უძალოთა".

დასავლეთ ევროპას ეკონომიკური ძლიერების მიუხედავად არ შეუძლია აღმოსავლეთ ევროპის თავის დონეზე ინტეგრირება. ცრუ გამოდგა საუბრები პოლონური ეკონომიკის აღმავლობაზე. ყველა აღმოსავლეთევროპული ქვეყნის ეკონომი-

კა არის კრიზისში. ამ ქვეყნების იმედები დასავლეთ ევროპასთან სწრაფ დაახლოებაზე მალე გაწბილდა.

ინტენსიურად მიმდინარეობს ბიზანტიური დანატოვარის დისკრედიტაცია აღმოსავლეთ ევროპაში. კათოლიკე მისიონერები საამისოდ ცდას არ აკლებენ, ისევე როგორც საერთოევროპული სტრუქტურების ფუნქციონერები. ბულგარეთსა და რუმინეთში მართლმადიდებლური იდენტურობის განცდა ძალზე დასუსტდა. ამ ქვეყნების მთავრობათა ქმედებებში ეს კარგად ჩანს. მათგან განსხვავებით, სარწმუნოებრივი იდენტურობის განცდა ძლიერი იყო სერბეთში. ეს ქვეყანა რუსეთთან თავის ნათესაობაზე მიუთითებს. სერბები თავს იმპერიულ ხალხად მიიჩნევენ და ამაყობენ იმით, რომ დუშან სილნის დროს სერბეთი ბალკანური იმპერია იყო. სერბეთი დასავლეთმა სასტიკად დასაჯა. 1999 წელს ნატოს ავიაცია ამ ქვეყნის ქალაქებს ბომბავდა. ეს იყო მართლმადიდებლობის დასჯა. მაშინ ევროპელებს არ გამოუთქვამთ ამის გამო პროტესტი. აი, ერაყის ომის დაწყებას კი ევროპის ქალაქებში მრავალათასიანი საპროტესტო მსვლელობები მოჰყვა.

XIV საუკუნის დასაწყისში, როდესაც ადრიატიკის ზღვის გადაღმა – იტალიაში რენესანსი იწყებოდა, სერბები და ბულგარელები ბალკანეთის ჰეგემონობას ერთმანეთს ეცილებოდნენ. 1330 წლის ბრძოლის შემდეგ სერბებმა ჰეგემონობას მიაღწიეს. ბულგარელები თვით ბიზანტიას ეცილებოდნენ პირველობას სხვადასხვა დროს. ბულგარელები არ ლაპარაკობენ თავიანთ მეფეებზე, რომელნიც მთელ ბალკანეთს განაგებდნენ. მართლმადიდებლური იდენტურობის წარმოჩენას ბულგარეთის ხელისუფლება ერიდება და ამერიკელებს ნაბიჯს უწყობს. ასევე იქცევა რუმინეთის ხელისუფლება.

ევროგაერთიანების იდეური სისუსტე ერაყის მეორე ომის დაწყებამდე, წარმოაჩინა ევროპული პოლიტიკური ელიტის დუმილმა სერბეთის დაბომბვისა და მილოშევიჩის სასამართლოს გამო. ამ სასამართლომ ატლანტისტური მედიაკრატიის ყველა მცდელობათა მიუხედავად, ვერ მიიღო მისთვის სასურველი სახე, არადა, სამხედრო დანაშაულთა ფაქტები მრავლად იყო.

სერბეთის დაბომბვაზე ევროპელ პოლიტიკოსთა თანხმობა

იყო ჩვენი დროის მიუნხენი, რომელსაც ევროპისათვის ნეგატიური შედეგები უახლოესი მომავლისთვის ექნება. დაბომბვამ ვერ განახორციელა სამშვიდობო გეგმა.

თუ რამდენიმე წლის შემდეგ ევროპელი მკვლევარნი სერბეთის დაბომბვას შეაფასებენ როგორც უხეშ შეცდომასა და ამორალურ ფაქტს, მაშინ გამოდის, რომ მედიაკრატიის ყველა რწმუნებათა მიუხედავად, ასეთი შეცდომებისა და ამორალიზმისაგან არც სამომავლოდ ვართ დაზღვეულნი და ასეთ ფაქტებს თავიდან ვერ აიცილებენ საერთოევროპული ინსტიტუტები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სტალინს ტიტოსთან მისი ანგლოსაქსური ორიენტაციის გამო ცუდი ურთიერთობა ჰქონდა. ტიტომ ჩერჩილს შესთავაზა ფედერაციული იუგოსლავია. ეს ექვს პოლიტიკურ წარმონაქმნში სერბების ფრაგმენტაციას ახდენდა. ტიტოს პოლიტიკური პროექტი გეოპოლიტიკურად საბჭოთა სისტემის ანტაგონისტი იყო. ამ სისტემის დაშლის შემდეგ იუგოსლავიის ფედერაციამ დასავლეთის მხარდაჭერა დაკარგა და საბჭოთა სისტემის კვალად ისიც დაიშალა.

ევროკავშირში ნატოს დანი'ნულება სულ უფრო გაურკვეველი ხდება. ერაყში ნატო არ იბრძვის და ეს ნიშნავს, რომ ამერიკელებმა ეს ორგანიზაცია მიატოვეს, მასზე მაღლა დადგნენ, მაგრამ კვლავ ცდილობენ მის გამოყენებას ევროპულ საქმეებში. ევროკავშირის გაფართოება ნატოს პერსპექტივას აბუნდოვანებს. თუ ევროკავშირი შექმნის ევროარმიას, მაშინ არაფრის მნიშვნელია ის, რომ ნატოს წევრები არიან პოლონეთი, უნგრეთი და სხვები. ნატოში შესვლის პირობად სახელდება კანდიდატი ქვეყნების არმიათა რეორგანიზება და ნატოს სტანდარტებთან მათი მიახლოება. პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთი ისე შეიყვანეს ნატოში, რომ მათი არმიების რეორგანიზების შესახებ არავის არაფერი გაუგია. ამ სამი ქვეყნის ნატოში ნაჩქარევად შეყვანა ნიშნავს ნატოს სტანდარტებისა და სამხედრო დონის დაქვეითებას. ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების შესვლა ნატოში, სტანდარტებისა და სამხედრო დონის უფრო მეტი დაქვეითების ხარჯზე მოხდება. გამორიცხულია, რომ კანდიდატმა ქვეყნებმა თუნდაც უახლოეს 5-7 წელიწადში შეძლონ

საკუთარ არმიათა ნატოს სტანდარტებთან მიახლოება. ამერიკელები ერაყის კამპანიაში ნატოს განუდგნენ. მათზე უკეთ ამ ალიანსის არმიათა ბრძოლისუნარიანობის შესახებ არავის მოეხსენება. დასავლეთში ერთადერთი მებრძოლი არმია დღეს ბრიტანულ-ამერიკული ძალებია.

2002 წელს ევროპელთა სამხედრო ჩამორჩენილობაზე ყურადღება გაამახვილა ნატოს მაშინდელმა გენ.მდივანმა ჯორჯ რობერტსონმა. მან აღნიშნა, რომ ნატოს ევროპული სახელმწიფოების არმიები დეგრადირებულნი არიან „სამხედრო პიგმეების“ დონემდე.

ამერიკის განდგომა ნატოსაგან ამ ალიანსის გლობალურ, პოლიტიკურ და სამხედრო სტატუსს ძალზე დაბლა სწევს და ორგანიზაცია, რომელშიც პანტა-პუნტით შედიან აღმოსავლეთ-ევროპული ქვეყნები, უკვე აღარაა სამხედრო ალიანსი, არამედ მიზანს მოკლებული ამორფული ორგანიზაციაა, რომელიც დიდხანს ვერ გაატანს. საეროოდ, სისულელეა რუსეთის ნატოში შესვლაზე საუბარი.

ნატოში შესვლის გაიოლება მოხდა კანდიდატი ქვეყნებისათვის სამხედრო ჰანდიკაპისა და პოლიტიკური ავანსის მიცემის გზით. მალე ხორვატები და ალბანელები უნდა შევიდნენ ნატო'ში. არავინ იცის, როდის მოახდინეს მათ არმიათა რეორგანიზება.

გერმანელი სამხედრო ექსპერტი ჰენინგ ბარტელსი აღნიშნავს, რომ ანტიტერორისტულ კამპანიაში ევროპელთა დახმარება ამერიკელთადმი სამხედრო თვალსაზრისით უმნიშვნელოა. მისი თქმით, ევროპელებს არ შეუძლიათ მნიშვნელოვანი სამხედრო დახმარების აღმოჩენა ამერიკელებისათვის. ბარტელსის აზრით, ნატოს ევროპელი წევრების არმიათა ჩამორჩენილობამ განაპირობა ის, რომ ამერიკამ ავღანეთში მარტომ წარმართა ომი. ამ ჩამორჩენილობის აღმოფხვრა ბარტელსს აუცილებელ საქმედ მიაჩნია.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინების შემდეგ დავინახავთ, რომ ხელისუფლების მსჯელობა საქართველოს

ნატოში შესვლაზე, ვერაფერი შვილი ნუგეშია. ცივილოგრაფიული განაზრებების სისუსტე წარმოშობს მრავალ ილუზიას. გაწბილების 12-მა წელმა საქართველოს ვერაფერი ასწავლა. ისევ ისე გამოიყენება ვერბალური კომბინატორიკა („სტრატეგიული პარტნიორობა", „ქართულ-ამერიკული განსაკუთრებული ურთიერთობები" და სხვა ამგვარები). პოლიტიკური აზროვნება საბაზისო ცნებათა მნიშვნელობებში ვერ გარკვეულა და უაპელაციო მსჯავრის გამოტანისა და მორალური შეფასების დიდი პრეტენზია კი აქვს. პოლიტიკურ აზროვნებას ღუპავს პოზის პოზიციად გასაღება. რაც პრინციპულ პოზიციად მიიჩნევა, სინამდვილეში პოზაა.

დასავლური გეოპოლიტიკის მიხედვით, კავკასია არის რუსული ჰარტლენდის the soft underbelly. საქართველოს ნოემბრის რევოლუციის შემდეგ ამერიკელები ახალი ინტენსივობით განაგრძობენ თავის მიზანთა განხორციელებას კავკასიაში და ამისთვის გამოიყენებენ საქართველოს ხელისუფლებას.

არსებულმა სინამდვილემ დაგვარწმუნა, რომ იდეა, რომელსაც „ატლანტიკიდან ურალამდე" ეწოდება და რომელზეც ხშირად მიუთითებდნენ, სიცრუე გამოდგა. ამერიკული ექსპანსია ყველა მიმართულებით ვრცელდება. ამის გამო შეშფოთებას გამოთქვამენ ევროპელები (გერმანელი სამხედრო ექსპერტი ოტფრიდ ნასაუერი, გერმანელი ფილოსოფოსი იორგენ ჰაბერმასი და სხვები).

ოქროს მილიარდისა და პლატინის მილიონის ცნობილი დასავლური კონცეპცია აკანონებს დისტანციის ზრდას დასავლეთსა და დანარჩენ სამყაროს შორის. უკვე ამ კონცეპციის არსებობა აზრს უკარგავს დასავლეთის ყველა დაპირებას დანარჩენი მსოფლიოს ლიბერალიზების შესახებ.

26 მაისისა და მიმდინარე რეფორმების შესახებ*

ამა წლის 26 მაისი ოფიციალურად გამოცხადებულია უქმედ და მას ეწოდება დამოუკიდებლობის დღე. სინამდვილეში ის არის პირველი რესპუბლიკის დღე. რაც არ უნდა აძაგონ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია, ვერ დაიფარება ის ფაქტი, რომ სწორედ მისი უშუალო ზეგავლენით მოხდა საქართველოში პირველი რესპუბლიკის გამოცხადება (1918 წლის 26 მაისი). ამ რევოლუციის გარეშე საქართველოს რესპუბლიკად გამოცხადებას კიდევ დიდი დრო დასჭირდებოდა.

დამოუკიდებლობის დღე არის 9 აპრილი, როგორც მეორე რესპუბლიკის გამოცხადების ოფიციალური თარიღი. სააკაშვილის ხელისუფლებამ დამოუკიდებლობის დღედ დატოვა 26 მაისი. ამით კიდევ ერთხელ იგნორირებულ იქნა 9 აპრილი და მთლიანად XX საუკუნის 90-იანი წლების ეროვნული მოძრაობა. ამის შესახებ არც ეკლესიას უთქვამს რამე. არადა, ეკლესია ეროვნული მოძრაობის მონაწილე იყო და მან ის არაერთხელ აკურთხა.

2004 წლის 26 მაისს ჩატარდა საზეიმო აღლუმი დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად. ამით შევარდნაძის მიერ დადგენილი წესი ახალმა ხელისუფლებამ დააკანონა. არც ხალხი მოითხოვს 26 მაისის 9 აპრილით შეცვლას. მისთვის ორივე თარიღი სულ ერთია.

როდესაც ქვეყანას სულიერად ასე უჭირს, ეკლესიამ აღარ უნდა თქვას, რომ საერო ცხოვრება ამაოებაა. ის თუ ამაოება არის, მაშინ ეკლესია ხელისუფლებას აღარ უნდა იცავდეს. პარლამენტში ოთხი ადგილი მღვდლებისა უნდა იყოს.

9 აპრილის 26 მაისით შეცვლით ისე გამოდის, რომ საქართველოში ისეთი არაფერი მომხდარა, რაც 1918 წლის 26 მაისს აღემატება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართული მენშევიზმი რუსული მარქსიზმის ნაწილი იყო და მენშევიკთა მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება არ ნიშნავდა რუსული

---

* პირველად გამოქვეყნდა ყოველკვირეულ გაზეთ „ახ. 7 დღეში“ (27 მაისი - 2 ივნისი, 2005 წ.)., რედაქციისეული სათაურით „26 მაისი-გოდოს მოლოდინში“.

მარქსიზმისა და მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის იდეისაგან გამიჯვნას. იმდენად ერთგულებდა ქართველი მენშევიკი მსოფლიო რევოლუციის იდეას, რომ უკვე ამით სუვერენობის პრინციპს და სახელდობრ, საქართველოს სუვერენიტეტს ყოველგვარ აზრს უკარგავდა.

26 მაისი 25 თებერვლის წანამძღვარია. ქართველ მენშევიკთა მთელი პოლიტიკური მოღვაწეობა ბოლშევიკური ოკუპაციის წინაპირობაა. ამის დანახვას ხელი არ უნდა შეუშალოს მენშევიკთა მიერ ქვეყნის სუვერენიტეტისათვის გადადგმულმა რაღაც კონკრეტულმა ნაბიჯებმა.

თუ პოლიტიკოსი 26 მაისის ხელუხლებლად დატოვებით სცნობს ევროპულ რევოლუციონიზმს და ტრადიციის დაცვაც სურს, მაშინ ის უნდა იყოს კონსერვატორი რევოლუციონერი. დავით IV-ის საფლავზე საიაკაშვილის მისვლა და ფიცის დადება ამას უნდა გულისხმობდეს, მაგრამ პრეზიდენტის ეს მოქმედება დესემანტიზებულია და მას მხოლოდ მორიგი სატელევიზიო ჩვენების მნიშვნელობა აქვს.

2004 წლის დასაწყისიდან კვლავ გაგრძელდა კამათი იმის შესახებ, თუ რა ტიპის მმართველობა უნდა დაკანონდეს - საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ უნდა იყოს ძლიერი პრეზიდენტი, ძლიერი პრემიერ-მინისტრი, ძლიერი პარლამენტის თავმჯდომარე. ეს გაუგებარი მსჯელობა იყო და სარეკლამო განცხადებას ჰგავდა. იურისტები ერთმანეთს ადარებდნენ ბრიტანულ, ფრანგულ და ამერიკულ მოდელებს, რათა „საქართველოსათვის მისაღები ოპტიმალური ვარიანტი“ შეერჩიათ. ყველა ამ მსჯელობათა მიუხედავად, 2004 წლის დასაწყისიდან საქართველოში კვლავ საპრეზიდენტო აბსოლუტიზმი და ერთპარტიული მმართველობა დამკვიდრდა. ეს მოხდა იმის მიუხედავად, რომ აღდგენილ იქნა პრემიერ-მინისტრის პოსტი და მინისტრთა კაბინეტი.

ქართველმა იურისტებმა იციან ყველა დასავლური ქვეყნის მმართველობის თავისებურებანი. ისინი ცდილობენ საუკეთესოს გადმოღებას, მაგრამ ქართულ სინამდვილესთან შეხებისას ყველაფერი ქარწყლდება და უაზრობად იქცევა. საკანონო ტექსტს რვალის სიმტკიცე უნდა ჰქონდეს, ქართული კანონები კი ნაცარივითაა. იწერებოდა და იწერება კანონები, რომელნიც

ყოველთვის ირღვევა თვით პრეზიდენტის მიერ. კანონები, რომელნიც ახლახანს მიიღეს, ყოველთვის შესასწორებელი ან მთლიანად შესაცვლელია. კანონთა სიმრავლე საზოგადოების სიჯანსაღის მაჩვენებლად არის მიჩნეული. სინამდვილეში კი მათი ასეთი სიმრავლე საზოგადოებაში დაუწერელი ზნეობრივი კანონის არარსებობას ადასტურებს. შევარდნაძის დროს მიღებული ასობით კანონი გასაუქმებელი და თავიდან დასაწერია. ცუდი კანონების მიღება ისევ გრძელდება, რაც ქვეყნის სიწამხდრის ნიშანია. უკანონობისა და სახელისუფლო ანონიმურობის პირობებში ცინიზმია, როდესაც ითქმის, რომ მოქალაქეს უფლება უნდა ჰქონდეს ნებისმიერი კანონპროექტის, ასევე ნებისმიერი დონის ბიუჯეტის შედგენაში მიიღოს მონაწილეობა და გაეცნოს დოკუმენტებს იმის შესახებ, თუ როგორ იხარჯება თანხები.

ქართულ სინამდვილეს ვერ ცვლის ვერც უცხოელ ექსპერტთა რეკომენდაციები, ვერც რეფორმები. გაუგებარია გადაწყვეტილებათა მიღების მოტივი და წესი. ვერბალურ მანიპულაციებს კიდევ უფრო დიდი გასაქანი მიეცა.

2004 წლის დასრულებისას ისევ ითქვა, რომ ეს გარდატეხის წელი იყო. 1993 წლიდან ყოველი წლის გასვლის შემდეგ ითქმის ასეთი რამ. სამინისტროზე ამბობენ, რომ რეფორმების შემდეგ ის ვითარდება. ეს უაზრობაა. რეფორმირებული დაწესებულება, წესით, წინანდელზე უკეთ უნდა ფუნქციონირებდეს. შეუძლებელია, ის ვითარდებოდეს. განვითარების ცნების გამოყენება აქ არ არის სწორი. ცნებათა ასეთი აღრევა PR-ტექნოლოგიის გავლენით ხდება.

ვერბალური მანიპულაციების საგანია თვით რეფორმის ცნება. რა რეფორმებია ისეთი, რომ ყოველ ნახევარ წელში ან უფრო მცირე დროში მინისტრებს ცვლიან? თუ რეფორმატორი ხელისუფლებისათვის ადამიანი საექსპერიმენტო არსება და მაქინატორულ კომბინაციათა ობიექტია, რომელიც წინააღმდეგობის შემთხვევაში რეპრესირებულ უნდა იქნეს ცილისწამებისა და პოლიტიკური დევნის გზით, რაღა აზრი აქვს ხელისუფლების მიერ ეთიკურ პრინციპებზე მითითებას?

რეფორმებში არ არის ჩადებული ზნეობრივი საწყისი. თუ ხელმძღვანელ მუშაკთა ცვლა ასე სწრაფად ხდება, მაშინ

რეფორმები არ ყოფილა განსაკუთრებული მოვლენა და სამერ-მისო კეთილდღეობის გარანტი. ეს რეფორმები მექანიკიზმის გაგრძელებაა. პრეზიდენტმა 2005 წლის იანვრის დასაწყისში თქვა, რომ "შეუცვლელი ადამიანები არ არსებობენ". მედიამ ეს რეკლამად აქცია. გავიხსენოთ, რომ წინა წლებში მედია ამ ცნობილ გამოთქმას ბოლშევიზმის არაადამიანურობის წარმოსაჩენად იყენებდა. რადგან ახლა ეს გამოთქმა პრეზი-დენტმა გამოიყენა, მედია მის დადებით კონტექსტში წარმოჩენას შეეცადა.

ახალი ხელისუფლების მიერ დაწყებული რეფორმები უკვე თითქმის წელიწადნახევარია გრძელდება. თქმა არ უნდა, რომ რეფორმები კიდევ მრავალი წელი პერმანენტულად გაგრძელდება. რეფორმის ცნება ექსტრემისტულ ნეომექანი-ციზმს ამართლებს. მანქანური, ანონიმური ადამიანის აპოლო-გია რეფორმებზე მითითებით ხორციელდება. ყველა ადამიანი ჭანჭიკია ძალაუფლების მანქანაში.

რეფორმების საქმეს მოხელენი ფორმალურად უდგებიან. ისინი დირექტივებს იღებენ პრეზიდენტის აპარატისაგან და მათზე არაფერია დამოკიდებული. ჭეშმარიტ რეფორმებს სჭირდება მუდმივობა, იდეური ადამიანები. შეუძლებელია შევარდნაძის დროინდელი რეფორმატორები (1996-2003 წლები) ახლაც რეფორმატორები იყნენ. ერთ წელიწადში ერთი მოხელე ასწრებს სამი-ოთხი უწყების ხელმძღვანელად ყოფნას. ისიც საკითხავია, თუ შეუცვლელი არავინ არის, როგორღა არიან შეუცვლელნი დეპუტატები, მინისტრები?

თუ სამინისტროს ახლადგადაყვანილ ხელმძღვანელს ასე იოლად შეუძლია თავისი წინამორბედის მიერ დაწყებული რეფორმის გაგრძელება და ამ უკანასკნელს სხვაგან გადაყ-ვანისას ასევე იოლად შეუძლია თავისი წინამორბედის მიერ დაწყებული რეფორმის გაგრძელება, გამოდის, რომ რეფორმე-ბი სიყალბეა და აქ სახელთა განზრახ არასწორ გამოყენებასთან გვაქვს საქმე. რეფორმებზე საუბრისას ტელე-ვიზია პროკურორს ემსგავსება და აუდიტორიას აშინებს დაპატიმრებით, გამოძიებით, მოკვლევით და ა.შ. ტელევიზია სულ იმას არკვევს, თუ ვის რა უფლება-მოვალეობა აქვს, ვის რა სასჯელი ემუქრება. იურისტის კანტორას დაემსგავსა ტელე-

ვიზია.

ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ უმოკლეს დრო'ში მიღწეულ იქნეს მატერიალური სიუხვე. რეფორმების სახელით მკვიდრდება დემონსტრაციული მიზანთროპია, ტუტუცოა მოჩვენებითი სერიოზულობა, თინეიჯერული ოფისიზმი. საქართველო მძიმე ავადმყოფია. ქვეყანა შეიშალა ისე, როგორც ვერ წარმოიდგენდნენ 1918-21 წლების შეშლილნი. ასეთი რეფორმები ქვეყანას საგიჟეთად აქცევს.

ახლახანს, გაზაფხულის დადგომისას ითქვა, რომ დათბება და ხალხი პროტესტის ნიშნად ქუჩაში გამოვა. ნუ დავივიწყებთ, რომ შევარდნაძის დროს, ყოველ გაზაფხულ'ზე და ყოველ შემოდგომაზე ამას ამბობდნენ. ზამთარ'ში გაზაფხულს იქადნიან და ზაფხულში – შემოდგომას. ასე გავიდა მრავალი წელი. ქართველობას არა აქვს იმის მარიფათი, რომ იდეისათვის გაერთიანდეს. ისიც ითქმის, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე აღარ ავირჩევთო სააკაშვილს. არც შევარდნაძე აურჩევიათ მეორე ვადით და მაინც ის იყო პრეზიდენტი. უნიათობის არტისტობით გამართლებას კი დიდი ჭკუა არ უნდა.

2005 წლის 9-10 მაისს ჯორჯ ბუშის საქართველოში ვიზიტმა კვლავ წარმოაჩინა, რომ საქართველოს მიზანი პატრონის ძიების მეტი არა ყოფილა რა. ხელისუფალთა და ასევე თავად პრეზიდენტის მიერ ითქვა, რომ საქართველოს მეგობარი ამერიკელთა გარდა არავინ არის, რომ ევროპაში საქართველოს არავინ უმეგობრა. ამით გაბათილდა ხელისუფლებისავე და ასევე ქართველ მედასავლეთეთა წინანდელი მტკიცებანი, რომ საქართველო ევროპის სულიერი ნათესავია და მას იქ მეგობრები ჰყავს, რომელნიც საქართველოზე ისე ზრუნავენ, როგორც არც ერთ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყანაზე.

ევროპის ქვეყნებში ბუშს პროტესტით ხვდებიან და საქართველო ბუშის ასეთი დახვედრით კიდევ ერთხელ გამოჩნდა ევროპელთა თვალში როგორც infamous state (სახელგატეხილი სახელმწიფო). ვის ეამფსონება საქართველო?

ვინ არ იყო საქართველო'ში ჩამოსული და სად არ იყვნენ საქართველოს ძველი და ახალი პრეზიდენტები. ქვეყანას კი მედიაკრატიული მრავალსიტყვაობისა და ასობით პოლიტიკოსის დაპირებათა მიუხედავად, ვერ ეშველა.

რატომ სწამს საქართველოს ხელისუფლებას, რომ სწორედ ამერიკის პრეზიდენტია დემოკრატიისა და ჰუმანიზმის გარანტი? წმინდა გიორგის ორდენით ბუშის დაჯილდოება რელიგიის PR-იზაციის კიდევ ერთი გამოხატულებაა. ორდენი საეროა, მაგრამ მას რელიგიური სახელი ეწოდება. ბარემ დაემატოს ერთი ვარსკვლავი აშშ-ის დროშაზე და საქართველო იქცეს ამერიკის 51-ე შტატად.

ევროინტეგრაციის გაფართოებაზე საუბრისას არ უნდა იქნეს დავიწყებული, რომ საქართველოზე წინ დასავლეთ ევროპას პირდაბჩენილი შესცქერის ათობით აღმოსავლეთევროპული ქვეყანა. პოლიტიკური ევროპის საზღვრები ბუდაპეშტსაც ვერ უწევს. გეოგრაფიული ევროპის საზღვრები კი დასავლეთ უკრაინასთან წყდება.

უკრაინაში ახალი ხელისუფლების მოსვლისას, კვლავ განახლდა 1991 წლიდან დაწყებული და შემდეგ მიმწყდარი საუბარი უკრაინის დიდ ეკონომიკურ პოტენციალზე. ვინ შეატანინებს დასავლეთ ევროპის ბაზრებზე უკრაინელებს არაყს, მოლდოველებს, უნგრელებს, რუმინელებსა და ბულგარელებს ღვინოს, საკვებ პროდუქტებს, სამრეწველო საქონელსა და სასოფლო ტექნიკას? უკრაინასთან შედარებით, დასავლეთთან უფრო ახლოს არიან რუმინეთი, პოლონეთი, უნგრეთი. მრავალწლიანი PR-ის მიუხედავად, მათი ეკონომიკის შესახებ არაფერია სათქმელი.

პოლიტოლოგები ლამის იმუქრებიან, რომ, აი, შევა უკრაინა ევროკავშირსა და ნატოში. ექსპერტთა თანახმად, „უკრაინის საკითხი ევროკავშირში ინტენსიურად განიხილება“. ეს ისეთი ტონით ითქმის, თითქოს ახლა 1993-95 წლები ყოფილიყოს და პოსტსაბჭოთა ქვეყნებს არ განეცადოთ იმედგაცრუება დასავლეთისაგან.

უკრაინა ტერიტორიულად საფრანგეთზე, ინგლისზე, იტალიაზე, გერმანიასა და ესპანეთზე დიდია. რაში არგია ევროკავშირს ევროპული მასშტაბით უსარმაზარი ღარიბი მართლმადიდებელი ქვეყნის თავის წევრად მიღება?

რუმინეთში ჩაუშესკუს დამხობის (1989 წლის 22 დეკემბერი) შემდეგ მიიჩნევდნენ, რომ ასეთი რადიკალიზმი დასავლეთთან რუმინეთის სწრაფ დაახლოებას შეუწყობდა ხელს, იქნებოდა

ინვესტიციებისა და ახალი ტექნოლოგიების ნაკადი. რუმინელებს ყველა იმედი მალე გაუცრუვდათ და ხმა ვეღარ ამოიღეს. დასავლეთმა ჩაუშესკუს დამხობა ძალზე კარგად გამოიყენა მარქსიზმის დისკრედიტაციისათვის აღმოსავლეთევროპელი და ასევე საბჭოთა იმპერიის ხალხების თვალში. ერაყის ომის დაწყებისას (2003 წლის მარტი) საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა, როგორც ანტი-ამერიკული კოალიციის წარმომადგენელმა, რუმინეთისა და ბულგარეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს, როგორც ერაყის ომის მომხრეებს, უსაყვედურა ამერიკელთა წინაშე ლიქნის გამო.

ჩეხეთი, უნგრეთი და პოლონეთი მრავალი წელია დასავლეთ ევროპასთან ინტეგრირებას ცდილობენ და მედიაკრატიაც ირწმუნებოდა, რომ ასე და ასე იქნებოდა. ასე კი ვერ იქნებოდა და ეს სინამდვილემ დაგვანახა. სინამდვილე იმასაც დაგვანახებს, რომ უკრაინაში სულაც არ იქნება ისე, როგორც ექსპერტები და ანალიტიკოსები ამტკიცებენ.

საქართველოს კი თავისი რეფორმები ცუდის მეტს არაფერს მოუტანს. უსაფუძვლოა იმის მტკიცება, რომ ამ რეფორმებით საქართველო ევროპულ სტანდარტებს უახლოვდება. რეფორმების კრიტიკისას ძველი და ახალი ოპოზიციური პარტიები ერთმანეთის მრავალგზის დუბლირებას ახდენენ. ბევრი მათგანი 10 წლის წინანდელი სტანდარტული ფრაზებით გადის იოლას. ფართო თვალსაწიერის უქონლობა და თეორიული სისუსტე ქართული პოლიტიკური აზროვნებისათვის ყველა დროის მოუშორებელ ჭირად ქცეულა.

შევარდნაძის დროინდელი სახელწამხდარი პარტიების მეთაურნი ნოემბრის რევოლუციის დროიდანვე პრესაში აღნიშნავენ, რომ ხელისუფლების მხრიდან ისინი დიდ იდეოლოგიურ ზეწოლას განიცდიან. მაგრამ მართლა რომ დევნიდეს მათ ხელისუფლება, მრავალი მათგანი საპყრობილეში იქნებოდა, მრავალი უცხოეთში გაიქცეოდა, რამდენიმე კაცი კი მოკლული იქნებოდა. დავა იდეის გამო კი არა, არამედ ქონების გაყოფის გამო ხდება. ასე იყო შევარდნაძის დროსაც.

გაჩნდა რამდენიმე ახალი ოპოზიციური ორგანიზაცია: კობა დავითაშვილისა და ზვიად ძიძიგურის პარტია, ირაკლი

ბათიაშვილისა და თემურ შაშიაშვილის პარტია, გია მაისაშვილის მოძრაობა, აკაკი ასათიანისა და რეზო შავიშვილის გაერთიანება, კონსტანტინე ზ. გამსახურდიას ახლახანს ჩამოყალიბებული მოძრაობა.

ზემოთ დასახელებული ოპოზიციონერები რადიკალურად კი აკრიტიკებენ პრეზიდენტ საკაშვილს და მიუთითებენ, რომ მათ აქვთ ურთიერთობა ამერიკის მთავრობის წარმომადგენლებთან, რომელთა მხარდაჭერითაც ისინი სარგებლობენ, მაგრამ აქ გასარკვევია შემდეგი რამ: საკაშვილის, სოროსის, ბენდუქიძის და სხვათა კრიტიკისას ოპოზიციონერები არ ამბობენ, რომ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა მთლიანად დასავლეთისა და გლობალური კაპიტალის მიერ არის ინიცირებული. თუ შალვა ნათელაშვილი ან გია მაისაშვილი აღნიშნავენ, რომ მათ აქვთ დასავლეთის მხარდაჭერა, გამოდის, რომ ის დასავლეთი, რომელიც მათ უჭერს მხარს, სხვაა, ხოლო ის დასავლეთი, რომელიც საკაშვილს უჭერს მხარს და რომელსაც ოპოზიციონერები გმობენ, სულ სხვა რაღაც ყოფილა. მაგრამ ასე ვერ იქნება. დასავლეთი ერთია. როგორ არის, რომ დასავლეთის მკილავი ოპოზიციონერები დასავლეთისაგანვე პოულობენ მხარდაჭერას? როგორც შევარდნაძე ცრუობდა 1992-94 წლებში ორი რუსეთის შესახებ და ეს მაშინ ჭეშმარიტებად იქნა მიჩნეული, ახლაც ასეა, როდესაც ოპოზიციონერები საკაშვილს აკრიტიკებენ და დასავლეთს, სახელდობრ, ამერიკას მოუწოდებენ ყურად იღოს მათი კრიტიკა. ქართული ოპოზიციის იდეური სისუსტე აქ კარგად გამოჩნდა. ეს არის ქიმერული ოპოზიცია, რომლის ყოველი ნათქვამი დასავლეთის იდეოლოგიურ მიზნებსა და გლობალური კაპიტალის გამართლების საქმეს ემსახურება. აბა, გაერთიანდეს ამდენი ოპოზიციური პარტია, თუ საკაშვილი თავისი რეფორმებით, მათივე თქმით, ღუპავს ქვეყანას,

ამის გარდა გასარკვევია ერთი რამ: ოპოზიციური პარტიები თავის შეკრებებზე იყენებენ რელიგიურ სიმბოლოებს, ტრიბუნაზე ანთებენ სანთლებსა და კელაპტრებს, იწვევენ საპატრიარქოს წარმომადგენლებსა და ეკლესიათა წინამძღვრებს, რომელთაც დაულოცავთ და უკურთხებიათ ეს შეკრებები. ამ შეკრებებზე სამღვდელონი სიტყვითაც გამოდიან და

ეთანხმებიან ოპოზიციონერთა მსჯელობას სააკაშვილის ხელისუფლების უვარგისობის შესახებ. ეს როგორ გავიგოთ? გასაგებია ის, რომ პარტიებს სურთ წარმოაჩინონ საკუთარი რელიგიურობა, რომელიც ყოველთვის ცრუ არის. პარტიებს სურთ თავისი შეკრებები ეკლესიისა და ქრისტეს ავტორიტეტით განამტკიცონ. მაგრამ თუ პატრიარქი და სინოდი ხელისუფლებას უჭერენ მხარს, როგორღა მიდიან ოპოზიციურ პარტიათა შეკრებებზე სამღვდელონი? მოგვიგებენ, რომ სამღვდელონი საკუთარ აზრს გამოთქვამენ. მაგრამ ამ შეკრებებზე მიწვეული მღვდლები და ბერები პარტიათა მესვეურებს სურთ იხილონ როგორც ოფიციალური ეკლესიის წარმომადგენელნი და არა როგორც საკუთარი აზრის გამომთქმელი ღვთისმსახურნი. ძნელად დასაჯერებელია, რომ ოპოზიციურ შეკრებაზე სამღვდელონი საპატრიარქოს ნებართვის გარეშე მივიდნენ, იმიტომ, რომ ეკლესია ადრეული ქრისტიანობის დროიდანვე მკაცრად ავტორიტარული და ტოტალიტარული ორგანიზაციაა.

სამღვდელოთა ოპოზიციურ შეკრებებზე მისვლით გამოდის, რომ ეკლესია ხელისუფლებას ემხრობა კიდეც და ოპოზიციაშიც უდგას მას. მერამდენედ ჩადგა ეკლესია ასეთ ორაზროვან სიტუაციაში ეროვნული მოძრაობის დროიდან. მღვდლები და ბერები რომ დადიან ოპოზიციონერთა შეკრებებზე, ეს ნიშნავს, რომ ისინი მონაწილეობენ საერო ცხოვრებაში და აღელვებთ პოლიტიკური პრობლემები. თუ ისინი ეთანხმებიან ოპოზიციას, რომ ხელისუფლება ღუპავს ქვეყანას, მაშინ მათ კატეგორიულად მოსთხოვონ ოპოზიციურ პარტიებს გაერთიანება. ეს არის საქმე, თორემ პარტიათა ტრიბუნებიდან მღვდლების მიერ მსოფლიო მასონებისა და სატანისტების მხილება არაფერს ნიშნავს.

ოპოზიციონერები სააკაშვილის გმობისას ისევ ამერიკის მოიმედენი არიან. არც ერთი მათგანი არ ახსენებს ევროპელებს, იმიტომ, რომ ევროპა საქართველოს ზედაც არ უყურებს. არავინ ცდილობს ევროპასთან იდეური დაახლოების გზების მოძიებას. არასოდეს დასმულა საკითხი ამის შესახებ ნათელაშვილის, მაისაშვილის, კ.ს.გამსახურდიას და სხვათა შეკრებებზე. ისმის ხოლმე მხოლოდ ზოგადი მითითებანი დასავლეთზე. არაფერი კონკრეტული, არაფერი ამოსავალი,

არაფერი დასაყრდენი.

ტლაპოში ჩაფლული გლახაკის ფართხალს ჰგავს ასეთი ოპოზიციონერობა. კვლავ იმას სთხოვენ შველას, ვინც ქვეყანა ასე საშვილიშვილოდ მოაღორა.

პოლიტიკური ორგანიზაციები კვლავ სახელის გარშემო იკრიბებიან. ამიტომ ასოცირდება პარტიები პერსონებთან და არა იდეებთან. ვერ ყალიბდება სამი-ოთხი პარტიისაგან შემდგარი პოლიტიკური სპექტრი, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი წელი გავიდა და მრავალი პარტია უსახელოდ წავიდა ასპარეზიდან. არ არსებობს თუნდაც ერთი ავტორიტეტული, მასობრივი პარტია. ამის გამოა, რომ პარტიის ცნებამ პლურალიზმის პირობებში ძალზე დიდი დისკრედიტაცია განიცადა. ამის მიუხედავად, კიდევ რამდენიმე ახალი პარტია შეიქმნება.

დემოკრატიის კრიზისი თვით დასავლეთში საქართველოს პოლიტიკურ პერსპექტივას უფრო აბუნდოვანებს. ქვეყანას ჰყავს უამრავი ექსპერტი და ანალიტიკოსი, მაგრამ არ ჰყავს პოლიტიკის თეორეტიკოსი, რომელიც სინთეზირებას დაიწყებს და მყარ იდეურ ფუნდამენტს შექმნის მომავლისათვის.

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების კრიტიკისათვის ანუ რა არის ისტორია და ისტორიული საქართველოსათვის?

წერილი პირველი*

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან ქართული საზოგადოებრივი აზროვნება უმაღლესი ზნეობის სახელით გამოვიდა და მასზე მითითებით აკრიტიკებდა ბოლშევიზმს, როგორც უზნეობას და მას საქართველოს ისტორიული განვითარების შეწყვეტად მიიჩნევდა (აქ იგულისხმებოდა ის, რომ

* პირველად გამოქვეყნდა ყოველკვირეულ გაზეთში „მერიდიანი 44“ (30 მაისი - 6 ივნისი, 2001 წ.).

ბოლშევიზმამდე საქართველო უწყვეტად, თანმიმდევრულად, ისტორიულად ვითარდებოდა). იგი კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ ზნეობრივი იდეალის განხორციელება სწორედ დემოკრატიის, საბაზრო ეკონომიკის და ღია საზოგადოების დამკვიდრებით იყო შესაძლებელი. ე.ი. ყველა მანამდე არსებული იდეური მიზანი უარიყო როგორც უტოპიური, როგორც თავსმოხვეული, იდეოლოგიური და შესაბამისად ყალბი. ამგვარ შეფასებაში ამოსავალი იყო ისევ იდეური მიზანი. ეს, ცხადია, შეუსაბამობა იყო. რა გაბედულებამ შეაძლებინა პოსტსაბჭოთა ქართულ საზოგადოებას ემტკიცებინა, რომ ყველა იდეალი სწორედ ახლა და სწორედ მის მიერ განხორციელდებოდა?

აქ მოხდა ისტორიის უარყოფა. რადიკალური პროვინციალიზმი ისტორიის გონის გამომხატველად გამოვიდა, ლიბერალ-დემოკრატიზმი ჭეშმარიტებად აღიარა და მოითხოვა საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული, ღია საზოგადოება. მაგრამ აქ საკითხავია შემდეგი: ხალხი გამოდიოდა ამ მოთხოვნით? ეს ხალხის აზრი იყო? თუ ხალხის აზრი იყო, როგორც ამის წარმოჩენას ცდილობდნენ, რატომღა არის, რომ ხალხი ეგუება იმ უსამართლობას, რაც დღეს არის? თუ ეს არ იყო ხალხის აზრი და იყო მხოლოდ ახალი კონიუნქტურის აზრი, რომელიც ხალხის ნებად ასაღებდა თავს, გამოდის, რომ ყველა შეგნებულად ცრუობდა. ათწლეული შეგნებულ წყლის ნაყვაში გავიდა. ვინ უნდა დასვას კითხვა – როდის ასცდა საზოგადოება სწორ გეზს და რა შეუძლია მას საიმისოდ, რომ კვლავ ამ გეზს დაუბრუნდეს? რა აზრი ჰქონდა უაზრობის ხალხის აზრად გასაღებას? როგორ არის, როდესაც საზოგადოება ეგუება იმას, რომ მრავალი წელი უაზროდ უცხოვრია და ამას თავისუფლებისათვის ბრძოლად მიიჩნევს? თუ ხალხი მოტყუვდა და ამას მხოლოდ დღეს შეიგნებს ბუნდოვნად, რატომ არ გამოთქვამს ის აზრს და რაღაც სამომავლო მიზანს არ ისახავს? ნორმალურ საზოგადოებაში ასე უნდა იყოს და სხვაგვარად შეუძლებელია, რომ იყოს, მაგრამ ქართული სინამდვილე იმდენად აბსურდულია და ქიმერული, რომ მასში აზრობრივი თანმიმდევრობის მოძიება ჭირს.

თუ არც ახალი კონიუნქტურის, არც ქართული დისიდენტურის, არც ხალხის აზრი არ იყო, აბა, ვისი აზრი იყო ის,

რაც საქართველოს უახლეს ისტორიაში შეეკიდა როგორც ქართველი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის? თუ ისტორიოგრაფია მიიჩნევს, რომ ეს უეჭველად ხალხის აზრი იყო, რატომღა არ ითქმის, რომ ეს მცდარი აზრი იყო, რომ ქვეყანა დამარცხდა? რიგ საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრება შეუძლებელია იყოს იმის მაჩვენებელი, რომ ქვეყანამ გაიმარჯვა და თავისუფლებისათვის ბრძოლა დასრულებულად იქნეს მიჩნეული. ისტორიოგრაფია ისე მოიაზრებს, რომ შეუძლებელია ხალხი ცდებოდეს, რომ ჭეშმარიტებაა ყველაფერი ის, რასაც ხალხი ამბობს.

რა სიმართლეა იმაში, რომ რაღაც პერიოდებში ხალხი ქუჩაში გამოდის და მოითხოვს იმას, რისი შესრულება კი არა, გააზრებაც არ შეუძლია? თუ ასეთი გამოსვლები მიიჩნევა „ხალხის ისტორიულ ბრძოლად“, მაშინ რა არის ის, რაც უეჭველად ისტორიულია და როგორ უნდა განვასხვავოთ ის იმისგან, რაც არაა ისტორიული, არამედ საღდება ისტორიულად? როგორ და ვის მიერ არის შესაძლებელი ისტორიულის ქმნა?

ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისათვის ცენტრალურ საკითხად უნდა იქცეს ის, თუ რა არის ისტორია საქართველოში?

უბედურება ქართული საზოგადოებისა არის მისი იდეურად ყოფნის შეუძლებლობა. თუ ადამიანმა გაარკვია, რისი მომხრეა, რას უჭერს მხარს, როგორ გაიაზრა მოძღვრების ესა თუ ის დებულება, ეს მოითხოვს მოქმედებას იმისათვის, რომ ამ მოძღვრების იდეა ცხოვრებაში დაამკვიდრო. ე.ი. მოძღვრების მიმდევრობა მოითხოვს მოვალეობას, პასუხისმგებლობას და მოქმედების აუცილებლობას. იოლია მხარდამჭერად მოაჩვენო თავი და ამით თავი დაიძვრინო, ვიდრე ის, რომ ჭეშმარიტად გწამდეს, გაგაჩნდეს პოლიტიკური თუ რელიგიური მრწამსი და შენი ცხოვრება იდეას დაუქვემდებარო.

ასე რომ არ ხდება, ამიტომ არის ქართული პლურალიზმი უსაფუძვლო და ნეგატიური ხასიათის მქონე. მისი ერთადერთი მოწოდება კი ბიოლოგიური ინდივიდუალიზმისა და ნომინალიზმის გამართლებაა. პლურალიზმმა ვერ შესძინა საქართველოს

კულტურულ-ისტორიული ინიციატივა. იგი კვლავ იმ ქვეყნებს უპყრიათ ხელთ, რომელთაც წარსულში იდეისათვის უბრძოლიათ. ე.ი. გარდა პლურალიზმისა, რაღაც სხვა არის საჭირო. თავისთავად პლურალიზმს არ შეუძლია ქვეყანას მოუპოვოს კულტურულ-ისტორიული ინიციატივა. საჭიროა რაღაც სხვა და ეს სხვა გააჩნიათ სწორედ იმ ქვეყნებს, რომელნიც წარსულში რაღაც იდეის განხორციელებისათვის იბრძოდნენ. საქართველოში პლურალიზმი დასავლური მონაპოვრების ზერელე, იმიტატორული ათვისება და ზედაპირული დანერგვაა. ეს არის მ'სა ფორმები, რომელსაც დასავლეთი მთელ მსოფლიოში ავრცელებს. პლურალიზმი და დემოკრატიული არჩევითი ინსტიტუტები ვერ უწყობს ხელს იმ ქვეყნის განვითარებას, რომელსაც მანამდე იდეისათვის არ უბრძოლია. ასე რომ არ ყოფილიყო, არც სადღეისო გეოპოლიტიკური იერარქია იარსებებდა მსოფლიოში, რომლის სიმკაცრე თანასწორობასა და პარტნიორობაზე ლაპარაკით არ იფარება.

ქართული სინამდვილის შემხედვარენი ახლა ვაფასებთ, თუ რა დიდი მნიშვნელობის მქონე ყოფილა ის, რომ ევროპული ინტელიგენცია ეკლესიის დისიდენტად გამოდიოდა. ამ დისიდენტებმა ეპოქა შექმნეს აზროვნების ისტორიაში. აქ კი ლაპარაკობენ, მაგალითად, დეკარტზე ან კანტზე, მაგრამ ის მებრძოლი ინტელექტი, კრიტიციზმი და აზრის ავტონომიურობა, რაც არის დეკარტთან ან კანტთან, ქართული ინტელიგენციისათვის სრულიად უცხოა. ამიტომ არის, რომ ევროპელ მოაზროვნეთა მემკვიდრეობა არანაირ სამოქმედო იმპულსს ქართული საზოგადოების განათლებულ ნაწილს არ აძლევს.

არაა სწორი იმის თქმა, რომ საბჭოთა იდეოლოგიის უარყოფისა და რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, საქართველო აღადგენს შეწყვეტილ კავშირებს მსოფლიო კულტურასთან. თუ რაიმე სახის კავშირები იყო მსოფლიო კულტურასთან და, პირველ რიგში, ევროპულ კულტურასთან, ისინი ხორციელდებოდა რუსეთის იმპერიის გავლით და მისი მეშვეობით, როგორც ცარისტული, ასევე ბოლშევიკური მმართველობის დროს. შეუძლებელია ქართული ევროპეიზმის მოაზრება რუსული ევროპეიზმისაგან მოწყვეტით და მის გარეშე. ეს არის ისტო-

რია და მისი გადაკეთებით გართული დემოკრატები ამ ფაქტს ვერ შეცვლიან. შეწყვეტილი კავშირების აღდგენის შესახებ მსჯელობაში დემოკრატები იმას გულისხმობენ, რომ ოქტომბრის რევოლუციამდე ყველაფერი კარგად იყო, რომ რევოლუცია უცბად მოხდა. მაგრამ კრიზისული ვითარება რომ იყო, იმიტომ გავრცელდა რევოლუციური მოძრაობა მთელ იმპერიაში.

არის მეორე საკითხიც: ქართველთა კავშირები და ურთიერთობა ევროპელ მოაზროვნეებთან, მთლიანად ქართული საზოგადოების სინამდვილეზე არ ასახულა და ამას ბოლშევიზმს ვერ დავაბრალებთ. მაგალითად, ჰუსერლის სემინარების მოსასმენად სხვა უცხოელებთან ერთად ქართველებიც ჩადიოდნენ, მაგრამ ასეთ კავშირებს არ შეეძლო ფილოსოფიური აზრის ჩამოყალიბება, არა იმიტომ, რომ ფილოსოფოსობა ყოვლად შეუძლებელი იყო მარქსისტული იდეოლოგიის ფარგლებში, არამედ იმიტომ, რომ ფილოსოფიური მარცვალი, დავარდნილი ქართული სინამდვილის მწირ მიწაზე, ვერ ხარობდა. 90-იან წლებში, მარქსიზმ-ლენინიზმის კრიტიკისას, ფილოსოფიურ აზროვნებად წარმოიდგინებოდა რელიგიური აზროვნება, საეკლესიო სწავლება, ირაციონალიზმი და მისტიციზმი, ათეიზმისა და მატერიალიზმის საწინააღმდეგოდ, მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა ფილოსოფია რელიგიის უარმყოფელი იყო. თვით ქართულ ფილოსოფიაში საბჭოთა მმართველობის დროს არსებობდა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისაგან განსხვავებული მომენტები, მაგრამ ყოვლისმომცველი უარყოფის ტალღამ ისინი დაფარა. მართლმადიდებლობამ ფილოსოფია შეცვალა.

პოსტსაბჭოთა ქართულმა სინამდვილემ სრულად წარმოაჩინა აზროვნების ავტონომიურობის ტრადიციის არქონა. ეს არაა „70-წლიანი კომუნისტური წარსულის“ ბრალი. აზრის თავისუფლება განათლებულ წრეებში ვერ დამკვიდრდა. არავინ კრძალავს აზრის გამოთქმას, მაგრამ ადამიანს არ სურს იყოს ფილოსოფიის ავტონომიურობისათვის მებრძოლი. საეკლესიო სწავლება შეუძლებელია ფილოსოფიას რაიმეთი დაეხმაროს. სად არის აზროვნების ავტონომიურობა ან ფილოსოფიურ და რელიგიურ აზროვნებაში, ან პოლიტიკის თეორიაში?

მუდამ აღინიშნება, რომ უნდა ჩამოყალიბდეს სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც სახელმწიფოსაგან დისტანცირებული იქნება, რომ უნდა ჩამოყალიბდეს საშუალო ფენა. ეს იდეები კლასიკური ლიბერალიზმის თეორიიდან არის აღებული. ამდენი დროის გასვლის შემდეგ საკმარისი საფუძველი გვაქვს საიმისოდ, რომ ვთქვათ: სამოქალაქო საზოგადოება არ ჩამოყალიბებულა, იმიტომ, რომ სახელმწიფოც არაა ჩამოყალიბებული. რაც არ არსებობს, შეუძლებელია მისგან დისტანცირებაზე ლაპარაკი. ქართული სინამდვილე კლასიკური ლიბერალიზმის ცნებების მიხედვით ვერ გაირკვევა. სახელმწიფო წინ უსწრებს სამოქალაქო საზოგადოებას. აზრი და ძალისხმევა ჯერ სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე უნდა იქნეს მიმართული და შემდეგ შესაძლებელი იქნება სამოქალაქო საზოგადოების შესახებ მსჯელობა. კლასიკური ლიბერალიზმის ცნებებით ოპერირება ქართულ სინამდვილეში თავის მოტყუებაა. ასევე ვერ ყალიბდება საშუალო ფენა. ეს არის ძალზე გაცვეთილი და ბანალური რამ მარტო დასავლური პოლიტიკის თეორიაში კი არა, არამედ საერთოდ საზოგადოებათმცოდნეობაში. ამ ცნებას მონარქიული საზოგადოებებიც იცნობდნენ და მაშინაც მიუთითებდნენ ამ ფენის შექმნის აუცილებლობაზე. არაფერი რაღაც პრინციპულად ახალი აქ არ არის. ქართულ სინამდვილეში კი საშუალო ფენაზე ლაპარაკი ასევე თავის მოტყუებაა. მაგალითად, ჩამოდის რომელიმე ცნობილი დასავლელი ბიზნესმენი და „გვირჩევს“ ჩამოვაყალიბოთ საშუალო ფენა. ამაზე ლაპარაკს იწყებენ ყველანი. ეს არის ეროვნული ქიმერის დასაყრდენი, როდესაც მომხმარებელთა მასებისათვის საშუალო ფენაზე ლაპარაკი უკავშირდება რაღაც იმედს.

ვერ მოხერხდა ქართველი მოქალაქის კონსტიტუირება, რომელიც იქნება ბურჟუა, ბიურგერი ამ სიტყვათა საუკეთესო გაგებით. ტიპური ქართველი დღეს არის გაურკვეველი ნარევი ქურდული კონტრკულტურისა, კინტოობისა და ნახევრად განათლებულობისა. ქართული საზოგადოება ღამის ცხოველია. ყველა შეგუებულია სიბნელეში ცხოვრებას. ადამიანი ბნელში გამოდის საშოვარზე. ამ დროს ლაპარაკობენ რაღაც იდეაზე, ღირსებაზე, ღმერთზე. ქვეყანა ბნელი სოროა და

ღიმილისმომგვრელია ასე გადაჭრით ლაპარაკი სამოქალაქო, ღია საზოგადოებასა და სახელმწიფოსგან მის დისტანცირებაზე. როგორ არის ასეთ პირობებში შესაძლებელი ის, რასაც ქართული კულტურა ეწოდება? ვინ ინარჩუნებს მას? თუ ასე გაგრძელდება, არ გათენდება არასოდეს საქართველოში.

რა იდეა უნდა იყოს ის, რომ მთელი ქვეყანა მისი განხორციელებისათვის იბრძოდეს? ქართული სინამდვილე ვერ შეცვალა ვერც დემოკრატიაზე და ვერც რელიგიაზე მითითებამ.

ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში უნდა გაირკვეს, თუ რას ვუჭერთ მხარს. ჩვენ გვსურს ვიყოთ რელიგიური დემოკრატებიც, ჰუმანისტებიც, ფილოსოფოსნიც და ღვთისმეტყველნიც, მაგრამ აზრი გვეკარგება და არაფერია სინამდვილეში ის, რასაც აზრის მიღწევად წარმოვაჩენთ.

საზოგადოებრივ აზროვნებას ფილოსოფიური საფუძველი უნდა ჰქონდეს. სხვაგვარად შეუძლებელია. საეკლესიო სწავლება შეუძლებელია იყოს საზოგადოებრივი აზროვნების ფილოსოფიური საფუძველი. მარქსიზმის უარყოფა მართლმადიდებლობაზე დაყრდნობით აბსურდული რამ არის. ვაკრიტიკებთ ხოლმე მავან მოაზროვნეს, რომ მან, მაგალითად, ვერ შეძლო სუბიექტივიზმისაგან და ეკლექტიზმისაგან თავის დაღწევა. ამას რომ ვამბობთ, იგულისხმება, რომ გაგვაჩნია რაღაც მყარი კრიტერიუმი, გაგვაჩნია რაღაც იდეა, სწავლება, რომელზე დაყრდნობითაც ვმსჯელობთ და განვსჯით რაიმე მოვლენის შესახებ. მაგრამ სხვისი კრიტიკისას ჩვენეული არაფერი გაგვაჩნია და ეს არის კრიტიკა კრიტიკისათვის, რომელიც ყოველთვის კრიტიკანობაში გადადის. მაგალითად, ვაკრიტიკებთ სოციალ-დემოკრატიზმს, სახელმწიფო რეგულირების იდეას და მივუთითებთ ლიბერალ-დემოკრატიზმზე, მაგრამ არ გვსურს დავინახოთ, რომ ლიბერალიზმი დასავლეთში სხვადასხვაგვარად გაიგება და თუ დასავლეთს სახელმწიფო რეგულირების პრინციპის დაცვა თავისთვის სჭირდება, დანარჩენ მსოფლიოს თავისუფალი, ღია ვაჭრობისათვის სწირავს, რაც სხვა არა არის რა, თუ არა მთელი რიგი სახელმწიფო სტრუქტურების მოშლა. დასავლური ლიბერალიზმი დღეს მსოფლიოს სთავაზობს ღია საზოგადოებას სახელმწიფოს გარეშე. დასავლური ლიბერალიზმი დღეს გლობალიზმის

მედროშეა და აქ რომ გლობალიზმისა და თავისუფალი ვაჭრობის იდეის დასაცლელ მოწინააღმდეგეებზე ირონიულად ლაპარაკობენ, ეს კიდევ ერთხელ რადიკალური ქართული პროვინციალიზმის მაჩვენებელია. ამ ლიბერალიზმის ფილოსოფია პოსტმოდერნიზმია, ნომინალიზმია. ვერ დავასახელებთ ვერც ერთ „ექსპერტსა“ და „სპეციალისტს“, რომელიც თავის საჯარო გამოსვლებში ამ თემას განხილვის საგნად აქცევდა.

ცუდი ისაა, რომ ქაროულ საზოგადოებრივ აზროვნებას ხიბლავს მსოფლიო ძალაუფლებასთან წილნაყარობის ილუზია. ის დღეს გამარჯვებულთა ბანაკშია და დასცინის დამარცხებულს. ამით ის უარყოფს ქრისტიანული სწავლების პრინციპებს, თუმცა მუდამ მის მომხრედ წარმოაჩენს თავს.

პოსტმოდერნიზმის სკეპსისმა დაამარცხა დასავლური დისიდენტურა, რომელიც XX საუკუნის 60-70-იან წლებში მატერიალიზმის წინააღმდეგ გამოვიდა. ამ სკეპსისმა დასავლელი ორიენტალისტი და ალტერნატივისტი დისიდენტების პროტესტი არარაობად აქცია. პოსტმოდერნიზმი ის ფილოსოფიაა, რომლის ძალითაც დასავლეთი ინარჩუნებს ჰეგემონიას. ჩვენ ჯიუტად არ გვსურს იმის დანახვა, რომ მარქსიზმის უარყოფით გაიმარჯვა არა იდეალიზმმა და სულიერებამ, დამარცხდა არა მატერიალიზმი, არამედ გაიმარჯვა ისევ მატერიალიზმმა, რომლის იდეა არა ისეთი რევოლუციური იდეოკრატიაა, რომელიც ყოველ ადამიანს განიხილავს იდეასთან მიმართებაში, როგორც ეს ბოლშევიზმში იყო, არამედ არის სკეპსისის იდეა, რომელსაც ეწოდება პრაგმატიზმი, ინდივიდუალიზმი, საბაზრო თავისუფლება. ეს სკეპსისი უკანასკნელი ხელჩასაჭიდია დასავლური ლიბერალიზმისათვის. სასაცილოა ყოველი პროტესტი, ყოველი იდეა და იდეალიზმი და ლიბერალიზმის ეს სკეპსისი ქართული დამცინაობისათვის პირდაპირ მისწრებაა. სავალალო მდგომარეობაში მყოფი საზოგადოება დასცინის სხვას, ვინც ეწინააღმდეგება დასავლური ლიბერალიზმის სკეპსისს, რომელიც ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე თანაარსებობს პლურალიზმის პრინციპთან. პლურალიზმი სკეპტიკურია და ამიტომ ის ვერ უწყობს ხელს ერთიანი ტემპორალური აზრის განვითარებას.

სკეპსისი ყველასათვის მიმზიდველია იმიტომ, რომ ის არც აზრის დაძაბვას მოითხოვს, არც ფიქრსა და განსჯას. იცინე და იქილიკე რამდენიც გინდა და რაზეც გინდა. სკეპტიკური პლურალიზმი რელატივისტურია და ნომინალისტური. მისი პრინციპია „რამდენი ადამიანიცაა, იმდენი აზრია“, ან კიდევ „ყველა ადამიანს თავისი აზრი აქვს“. ეს ახლოს დგას ცნობილ ანტიკურ დებულებასთან „ადამიანი არის ყველაფრის საზომი“. სკეპტიკური პლურალიზმისა და რელატივიზმის ლეგიტიმაცია ხდება ფრაივესის პრინციპზე მითითებით.

მსოფლიოს მბრძანებელთა ხომალდზე ასული საქართველო თავს გამარჯვებულად მიიჩნევს და არ სურს დაინახოს, რომ ის შეიძლება ხომალდიდან მოისროლონ როგორც უსარგებლო ბალასტი, თუ კი ლიბერალისტური რელატივიზმი ამას საჭიროდ ჩათვლის.

სადღეისოდ ქართულ საზოგადოებაში ძნელია დაარწმუნო ადამიანი, რომ არ გაუმარჯვია მის ქვეყანას. პლურალისტურმა სკეპტიციზმმა ადამიანთა უპრეცედენტო დეზორიენტაცია მოახდინა. დაისი ქართულ საზოგადოებას უეჭველად აისად ეჩვენება.

თუ საქართველოში კიდევ რაიმეს გადარჩენაზე შეიძლება ლაპარაკი, დასავლური ლიბერალიზმის ფილოსოფიას უნდა დაუპირისპირდეს ფილოსოფიური აზრი, რომელიც ქართული საზოგადოების განათლებული წრეებისათვის გამაერთიანებელი იდეის როლს შეასრულებს. ხაზს ვუსვამთ: არა მართლმადიდებლობა, გასაღებული ფილოსოფიურ აზრად, არამედ ჭეშმარიტი ფილოსოფიური აზრი. ეს უნდა იყოს აღმაფრენა, რწმენა, რომელიც ქართულ ბიოლოგიურ არსებობას ადამიანური და იდეური არსებობის სიმაღლეზე აიყვანს, რომელიც უაზრო აწმყოს აზრს მიანიჭებს და მიზანს დაუსახავს.

სახელმწიფოს არარსებობა იწვევს იმას, რომ ქართული საზოგადოება ყოველთვის ნეგატიურადაა პოლიტიკურად ანგაჟირებული. შეუძლებელია კომუნისტურ წარსულს დაბრალდეს ის, რაც სინამდვილეში საუკუნოვანი უკულტურობისა და უვიცობისაგან მომდინარეობს. ამგვარი ლოგიკით სრული საფუძვლიანობით ეს შეიძლება დაბრალდეს მონარქი-

ასა და ეკლესიას. ყველა დიდი ისტორიული ძვრა მსოფლიოში, იქნება ეს რეფორმაცია, განმანათლებლობა, რევოლუცია, ისე მოხდა, რომ ქართულ საზოგადოებას არ შეეხო. არ შეეხო იმ აზრით, რომ ქართველისათვის ეს იდეები მისი ცხოვრების სახელმძღვანელო და წარმმართველ პრინციპებად არ ქცეულან. მაგალითად, წარსულში ქართული ვოლტერიანელობა უფრო სნობიზმი იყო, ვიდრე იდეურობა. ასევე XX საუკუნის დასაწყისის ქართული სოციალ-დემოკრატია არ იყო ნამდვილი იდეურობა. სასაცილო იყო მაშინ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე ასეთი კატეგორიული მსჯელობა. ასევე არის დღეს. დემოკრატობა არაიდეურია. კი წარმოაჩენს ადამიანი თავს დემოკრატიის მომხრედ, მაგრამ ეს არაა იდეურობა. იმიტომ კი არ ხდება ასე, რომ განმანათლებლობა, სოციალ-დემოკრატიზ-მი და ლიბერალ-დემოკრატიზმი ყალბი იდეებია და ჭეშმარიტი იდეა, თურმე, მართლმადიდებლობის გარდა არაფერია, არამედ იმიტომ, რომ ქართველთა ბუნების მანკიერება შეუძლებელს ხდის იდეურად ყოფნას. ამის გამო საქართველოში არაფერი ხდება ისტორიული.

წერილი მეორე*

ახალი დროის ევროპელისათვის სისხლხორცეული საკითხი იყო ის, თუ როგორ უნდა ეცხოვრა მას ისე, რომ ქრისტიანუ-ლი ზნეობის პრინციპები არ დაერღვია. ეს საკითხი მას აღელვებდა უფრო ადრეც, რეფორმაციის პერიოდში. ადამიანი გულით იყო დაინტერესებული იმით, თუ როგორ უნდა ყოფილ-იყო გადაწყვეტილი საზოგადოების ცხოვრების წესისა და ადამიანის პრაქტიკული საქმიანობის შესაბამისობა ქრისტიანულ ნორმებთან, ბიბლიის პრინციპებთან. ეს იწვევდა საღვთო წერი-ლის მრავალგვარ ინტერპრეტაციას. იქმნებოდა ერეტიკული და სექტანტური აზრი. სწორედ ამან მისცა ბიძგი რელიგიური და მეცნიერული, ფილოსოფიური და სოციალური აზრის განვითარებას.

ქართველს კი არასოდეს აღელვებდა ის, თუ რამდენად

* პირველად გამოქვეყნდა გაზეთში „მერიდიანი 44“ (6-13 იანისი, 2001წ.).

შეესაბამებოდა მისი ცხოვრება ბიბლიურ ნორმებს. ქართულ საზოგადოებაში ისეთი გარემოა, რომ ამ საკითხის დასმა და მისი განხილვა სასაცილოა და ძალზე სულელურად მოჩანს. და თუ მაინც ეს სპორადულად აქა-იქ ხდება, ის ან თეატრალობად იქცევა ხოლმე, ან ისტერიად. აზრის სიმძიმეს და სიმკაცრეს ქართველი ვერ უძლებს. ის ცდილობს გაამარტივოს და სალაყბოდ აქციოს ის, რაც ცნობიერების ძალთა დიდ დაძაბვას მოითხოვს. ქართველი ძალზე მიწიერი და ძალზე ბიოლოგიური არსებაა საიმისოდ, რომ მისთვის რელიგიური აზრი და ღმერთის იდეა შთაგონებისა და აღმაფრენის წყარო იყოს. აზროვნება ქართული სინამდვილის გამამართლებელი და მისი მსახურია. ის არ არკვევს იმას, თუ რა არის ყალბი და რა ჭეშმარიტი. უსახური წარსულის იდეურ ბრძოლად გასაღება აწმყოსაც სიცრუის გაუვალ ტყვრად აქცევს. ადამიანი ხედავს ამ სიცრუეს, მაგრამ ის მის დაძლევას კი არ ცდილობს, არამედ ეგუება მას. ეს საყოველთაო შემგუებლობა აზროვნებას აქცევს ხოლმე უაზრო გონებამახვილობად და ჭკუის კოლოფობად. მუდამ სხვას ვუსწორებთ აზრს, სხვის ომში ვბრძნობთ და საკუთარი არაფერი გაგვაჩნია. მუდამ არაფრად ვაგდებთ უცხოელ დიდ მოაზროვნეებს და ვცდილობთ მათაც შევუსწოროთ აზრი, როცა ისინი ქართული პროვინციალიზმის ვიწრო თვალსაწიერს სცილდებიან. თაობების ცხოვრებაში ერთი და იგივე მეორდება და არ მოიძიება ძალა, რომელიც ამ მანკიერ წრეს გაარღვევდა. ისტორიული ეწოდება იმას, რაც არაა და არ შეიძლება იყოს ისტორიული. კრიტიკისას იმას კი არ გამოვყოფთ, რაც უდავოდ მნიშვნელოვანია და მას სახელმძღვანელო დებულებად და ამოსავალ პუნქტად კი არ ვიხდით, არამედ ვცდილობთ მოაზროვნის განქიქებას, დაცინვას და ეს ბნელი მისწრაფება ყველგან გამოსჭვივის ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში, რომელშიც ვერა და ვერ დამკვიდრდა დისკუსიის კულტურა. კამათი ამა თუ იმ საკითხზე უნაყოფოა და უაზრო.

ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისათვის ილია ჭავჭავაძეზე მუდმივი მითითება არის რაღაც მყარის, რაღაც დასაყრდენის შექმნის მცდელობა. ილიას შესახებ ლაპარაკი არის როგორც პოლიტიკურად, ასევე კულტურულად

ნეიტრალური. ე.ი. თუ ეროვნულობის სახელით უარიყოფა ის, რაც ეკუთვნოდა მეფის რუსეთის პერიოდს, ბოლშევიკურ პერიოდს, იმის მიუხედავად, არის თუ არა ეს პოზიტიური ან ნეგატიური, საჭირო ხდება ისეთი რაღაცის შექმნა, რაც ამ უარყოფაში დასაყრდენი, ამოსავალი დებულება იქნება. ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისათვის ისტორიულობის კრიტერიუმი არის ეროვნულობა და ეს არის ცუდი. ეს ეროვნულობა არის ეთნოცენტრიზმი, რომელიც მოწოდებულია გააყალბოს მრავალი რამ, რათა თავისი თავი ჭეშმარიტად წარმოაჩინოს. არსებითი საკითხების გაუაზრებლობა იფარება გამოთქმებით, რომ „ქართველი ხალხის ბუნებაშია თავისუფლებისმოყვარეობა“, „ოდითგანვე ჩვენი წინაპრები დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ“. ისტორიის მსაჯულად გამოსული ეროვნული იდეა საქართველოს ისტორიულ ყოფიერებას ვერ ანიჭებს. სხვაგვარად შეუძლებელიცაა რომ იყოს. საქართველო კვლავ ისტორიის გარეთ დარჩენილი ქვეყანაა.

ილიას სახელისა და ნაღვაწის დიდი გაყალბება მოხდა. მას საქართველოს მეოხად და მარტვილად მიიჩნევენ. მისი ხატიც კი დაწერეს. მაგრამ, აბა, ილიას სულს ვკითხოთ, თუ სურს მას იყოს საქართველოს მეოხი და მფარველი. დამაშვრალ ერისკაცს მის სიცოცხლეშივე უმადურობით პასუხობდნენ და არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ ვინ მოკლა ის, სოციალ-დემოკრატებმა, ბოლშევიკებმა თუ სხვებმა. ქართულმა შურმა და ბოღმამ, ქართულმა სიშლეგემ მოკლა ილია. მისი სიკვდილის შემდეგ დიდხანს ქილიკობდნენ არა მარტო სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები, არამედ თავადები, აზნაურები, რომელთაც სძულდათ იგი. არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ სომხური წარმოშობის გამოც დასცინოდნენ ილიას. უხამსობაზე დაგეშილი უბირი ხალხი ილიაზე ანეკდოტებს ჰყვებოდა.

ვისა აქვს საქართველოში ზნეობრივი უფლება, რომ ილიას სულს მოუწოდოს და მისი სახელი საშემწეოდ ახსენოს? შეუძლებელია, რომ მისი სახელის მალი-მალ ხსენება ჩვენ საამისო უფლებას გვაძლევდეს. მიგვაჩნია, რომ საამისო უფლება ჩვენ ეკლესიამ მოგვცა, რახან მან ის წმინდანად შერაცხა.

მაგრამ ეს ჩემს და ჩემი თანამემამულის დამოკიდებულებას ილიას მიმართ ვერ არკვევს. რა აზრი აქვს ილიას სახელის საშემწეოდ ხსენებას, როცა საქართველო ისევ ძმათამკვლელობის, ქურდობის, ძალადობის ლაფ'ში დგას? გამოდის, რომ ყველა შეგნებულად ცრუობს და ეს გამართლებულია ილიას სახელის ხ'შირი ხსენებით, მისი მკვლელობის შესახებ თეატრალური ლაპარაკითა და ყასიდი აღშფოთებით.

თუ ილია წმინდანად არის მიჩნეული, მაშინ მისი, როგორც საზოგადო მოღვაწის, სურათი აღარ უნდა ეკიდოს უწყებებსა და დაწესებულებებ'ში, არამედ უნდა ესვენოს მხოლოდ ხატი. გამზირს უნდა ერქვას წმინდა ილიას და არა ილია ჭავჭავაძის სახელი. მაგრამ ამ შეუსაბამობებს აღარ ექცევა ყურადღება. ჩვენი აზრით, არაა სწორი, როცა ქუჩას წმინდანის ან მარტვილის სახელს არქმევენ. მაგალითად, ქეთევან წამებულის გამზირი. მკრეხელობაა, როცა ხალხმრავალ ჭუჭყიან ქუჩას ეწოდება რწმენისათვის წამებულის სახელი, თანაც არა ქეთევან დედოფლის, არამედ ქეთევან წამებულის. როცა ეროვნული მოძრაობის პერიოდიდან ამგვარი გადარქმევები დაიწყეს, მიიჩნეოდა, რომ ეს გმირულ წარსულთან, ისტორიასთან დაბრუნება იყო, რომელთან კავშირიც ბოლშევიზმის ძალით იყო გადაწყვეტილი.

თუ სადმე ილიას ძეგლი, ბიუსტი თუ რელიეფური გამოსახულებაა, მაშინ იმის ძალით, რომ ილია კანონიზებულია, უნდა მოხდეს ამ მემორიალთა შეცვლა და ილია წმინდანის ატრიბუტით – ნიმბით უნდა იქნეს გამოსახული. ამას არ ექცევა ყურადღება, ისევე როგორც იმას, რომ კანონიზებული ილია ფულზეა გამოსახული. მკრეხელობაა წმინდანებად შერაცხული ადამიანების ფულზე გამოსახვა. მაგალითად, მეფე დავითის, მეფე თამარის. ხურდა ფულზე გამოსახულია ლომზე აღმჯდარი წმინდა მამაი ნიმბით. ესეც არ იკმარეს და საიუბილეო მონეტაზე გამოსახეს ქრისტეს კვართი, თითქოს ის მეზვერე ან მეკერმე ყოფილიყოს. ჭეშმარიტ რჯულზე დებს თავს ქართული საზოგადოება და ყველგან ამ რჯულის პროფანაციას უწყობს ხელს.

თუ დავით IV წმინდანია, მის ძეგლში შესატყვისი ატრიბუ-

ტი უნდა იყოს და ის ჯორზე ამხედრებულ მეფის შიკრიკს კი არ უნდა ჰგავდეს, არამედ უნდა ჩანდეს ის, რომ დავითი ქრისტეს ჭეშმარიტი მეომარი და კავკასიის იმპერიის მეფე იყო. აუცილებელი იყო ამ იმპერიის რელიეფურად გამოსახვა, აუცილებელი იყო რაღაც წარწერის გაკეთება. არც ერთ კავკასიელს ეს შეურაცხყოფად არ უნდა მიეღო. ეს არის ისტორია, კავკასიის არსებობის მანძილზე ერთიანი სამეფოს არსებობის ერთადერთი ფაქტი და ქართველური ტომების ისტორიაში ერთადერთი გაბრწყინება. ასე თავის დაძვრენით ისტორია არ იქმნება. ამგვარი შემარცხვენელი ძეგლის დადგმით კიდევ ერთხელ წარმოჩინდა ქართული საზოგადოების ნამდვილი დამოკიდებულება საკუთარი წარსულის მიმართ. როდესაც ამ ძეგლის ესკიზი მზადდებოდა, რატომ არ ნახა ის საეკლესიო პირმა? რატომ არ შეეწინააღმდეგა ეკლესია ქრისტეს პერანგის ფულზე გამოსახვას? უწინ მიუთითებდნენ, რომ რაღაცის თქმა სურდათ, მაგრამ საბჭოთა იდეოლოგიისა და ტოტალიტარიზმის გამო ვერ ამბობდნენ. ახლა ვინ ვის უშლის ხელს? რესპუბლიკის მოედანზე აბსოლუტისტი მონარქის ძეგლის დადგმა საღმე გაგონილა?

ისტორიის ღვთის სახელით გადაკეთებით ისტორიული არ იქმნება. ეს გადაკეთება ყალბი რადიკალიზმია, რომელიც აზროვნებას მცდარ გეზზე აყენებს, ხოლო თავგადაკლული კონიუნქტურისტობა შეუძლებელია, მრწამსისა და იდეურობის მაჩვენებელი იყოს.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან ილიაზე მიუთითებდა ყველა. მისი დანატოვარი მოქმედების სამომავლო პროგრამად იქნა წარმოჩენილი, მაგრამ არავინ კითხულობს – დღეს შესრულდა ეს პროგრამა? რატომ არის, რომ დასავლურმა პლურალისტურმა სკეპტიციზმმა დაჩრდილა ილიას იდეები? გმობასა და სიძულვილში მაინც თუ არის ქართული საზოგადოება გულმართალი?

თეატრალური გმობა იქამდე მივიდა, რომ დაიწყო მტკიცება ლენინის ძეგლის გარშემო უარყოფითი აურის არსებობის შესახებ. ითქვა, რომ ძეგლი ენერგეტიკული ვამპირია, რომ ადამიანები მის სიახლოვეს ცუდად ხდებოდნენ. მავანს თავის ტკივილები დაეწყო, ექსტრასენსმა შავი სვეტი დაინახა და

ლოცვებითა და კურთხევით სივრცე გაწმინდა. არავინ გრძნობს უხერხულობას ამის გამო. ეს იყო რელიგიის სახელით გამოსული რესენტიმენტი. ამას თან სდევდა ეზოთერიკით უაზრო გატაცება. დაიწყო ლაპარაკი ასტრალურ სხეულებზე, მისტიკურ აქტებზე და ა.შ. შემდეგ ყოველივე ამის მოსმენა აუტანელი გახდა და მიივიწყეს. ქართულ საზოგადოებაში ყველაფერი ფალსიფიცირებულია. განზრახ არ ირკვევა ის, თუ რა არის ნამდვილი, სარწმუნო, უეჭველი და რა - ყალბი, რათა არ მოიშალოს ლაყბობის შესაძლებლობა.

დავაყენოთ ასეთი კითხვა: შეუძლია თუ არა ილიას სულს იყოს ქვეყნის მეოხი, როცა ის საერო საქმეებს წარმართავდა და დიდი მორწმუნე არ იყო, ისევე, როგორც აკაკი წერეთელი და სხვა მრავალი მისი თანამედროვე მოღვაწე? ილია რუსეთში მოწაფეობისას, ცხადია, განიცდიდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა გავლენას, იმ ფილოსოფიის გავლენას, რომელიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა პროგრესის ძალით შეიქმნა და რომელიც რელიგიურ დოგმატოლოგიას ძალზე კრიტიკულად მიუდგა. განმანათლებელი ილია დეისტი უფრო იყო, ვიდრე თეისტი.

ილიას კანონიზებით ეკლესიამ ქართულ ეთნოცენტრიზმს ხარკი გადაუხადა და ამით ტრაფარეტულ ეროვნულობის იდეას აამა. არაა სწორი სახელდება „ილია მართალი". საზოგადო მოღვაწეს ეს არ შეეფერება. „მართალი" ორთოდოქსიის ტრადიციაში არის праведник, რაც შეესაბამება მხოლოდ რელიგიურ მოღვაწეს. თუ მაინც გვსურს მართალის ცნების ასე გამარტივება, მაშინ ნოე ჟორდანიაც მართალი იყო. რომ არ გაქცეულიყო და აქ, ბრძოლის ველზე მომკვდარიყო, არც მისი კანონიზება გაუჭირდებოდა საქართველოს ბოლშევიკების ჯიბრით და, ცხადია, დაივიწყებდნენ, რომ ნოე ჟორდანია ათეისტი და თავგადაკლული მარქსისტი იყო.

ჩვენთვის გაუგებარია თამარ მეფის წმინდანად შერაცხვა და განსაკუთრებით, დავით IV -ის წმინდანად შერაცხვა. საკითხი აქ ეხება იმას, თუ როგორ ხდის დასაშვებს რელიგიური ტრადიცია ძალადობას და ომს. ეს, ერთი შეხედვით, ტრივიალური საკითხი ძალზე რთული გასარკვევია. დავით IV-ემ კავკასიის იმპერიის შექმნას მრავალი ადამიანის სიცოცხლე

შესწირა და პოლიტიკური მოწინააღმდეგეები სიკვდილით დასაჯა. ესე იგი, მისი წმინდანად შერაცხვით ჩვენ ვამართლებთ მონარქის მიერ განხორციელებულ რეპრესიებს იმიტომ, რომ მისი მოღვაწეობის რეზულტატი ამ რეპრესიათა მსხვერპლით ვერ შეფასდება. რელიგიის ტრადიცია ამართლებს მსხვერპლს ისეთი მიზნის წინაშე, როგორიც დავით მეფეს ჰქონდა დასახული. ამავე დროს, ჩვენ ფრაიფესის პრინციპზე მიმითებით კატეგორიულად ვამტკიცებთ, რომ არავისა აქვს უფლება, ხელყოს ადამიანის სიცოცხლე. ჩვენ არ გვსურს ვიფიქროთ ამ შეუსაბამობაზე, მხოლოდ ზოგადი აღნიშვნებით ვკმაყოფილდებით.

ილია საერო საქმეებს წარმართავდა, უამრავ ადამიანთან ჰქონდა ურთიერთობა და, ცხადია, მრავალ კონფლიქტსა და გაუგებრობასაც ექნებოდა ადგილი. მრავალი მათგანის მიზეზი დღესაც გაურკვეველია. მაგრამ ილიას ავტორიტეტს ეს გაუგებრობანი ჩრდილს ვერ აყენებს ისევე, როგორც დავით IV-ის სიდიადეს ვერაფერს დააკლებს მის მიერ გამოვლენილი სისასტიკე პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთადმი. საკითხი ეხება იმას, რომ ეკლესია ძალზე ხშირად პირმოთნეობს ქართული ეთნოცენტრიზმის წინაშე.

თუ ილია წმინდანად შეირაცხა, მაშინ ასევე შეიძლება წმინდანად შეირაცხოს ყველა პოლიტიკური, საზოგადო მოღვაწე, ვინც კრიტიკულ პერიოდში ცხოვრობდა. ასე შეიძლება ედუარდ შევარდნაძის წმინდანად შერაცხვა და ლოგიკურად, სრული საფუძვლიანობით დასაბუთდეს, რომ მან საქართველო დაღუპვას გადაარჩინა, ურჩხულისაგან იხსნა, თავად კი მოინათლა, საჯაროდ დაგმო ათეიზმი.

ქართული ეთნოცენტრიზმი წარსულის შელამაზებას ეწევა იმით, რომ ერთმანეთს უთანაბრებს პოლიტიკურ ბრძოლაში დაღუპულთ და სარწმუნოებისათვის დაღუპულთ.

ერეკლე მეფეს ხმალი გაუცვდა ომებში და ქვეშევრდომთა ღალატით გამწარებული ჩავიდა საფლავში. თუ შევარდნაძის შესახებ ასე კატეგორიულად ითქმის, რომ მან საქართველო გადაარჩინა, ერეკლეს შესახებაც შეიძლება ამის თქმა და თუ ეს აღარ ითქმის, მხოლოდ იმიტომ, რომ პოლიტიკურ კონიუნქტურას არ შეესაბამება. მაგრამ არც ის ითქმის, რომ ქართულ

ისტორიოგრაფიასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში დამკვიდრებული განსჯა რუსეთის მფარველობის ძიებითა და გეორგიევსკის ტრაქტატით (1783 წ.) საქართველოს გადარჩენის შესახებ, ძალზე საეჭვოა და გადახედვას საჭიროებს. საქართველო'ში ისტორიული კვლევა კონიუნქტურის გავლენით წარიმართება ხოლმე და კვლევას თავისი შინაგანი იმპულსი არ გააჩნია. საქართველო არ დაიღუპებოდა, რომ არ შეერთებოდა რუსეთს. გეორგიევსკის ტრაქტატამდელი პერიოდი ისტორიოგრაფიაში ყალბად დრამატიზებულია.

ილიას დილემა, მისი მკვლელობის ცოდვის სიმძიმე, ასევე მონანიების ვერშეძლება ქართულმა საზოგადოებამ თავიდან მოიშორა მისი კანონიზების გზით. თუ ეკლესია ასე პრინციპულად არ ერევა საერო საქმეებში და ზეცაზე მიუთითებს, რატომღა შერაცხა წმინდანად ილია, რომელიც საერო კაცი იყო და პოლიტიკურ ბრძოლას ემსხვერპლა?

თუ უმაღლესი ზნეობის სახელით გამოსული ქართული საზოგადოებრივი აზროვნება მსაჯულობას ესწრაფვის და მცირე მანკიერებასაც არავის შეარჩენს, ილიას შემთხვევაში ის დუმს. ილიას მძიმე ხასიათი ჰქონდა. თავადური ქცევის კაცი იყო. მას უთანხმოება მოსდიოდა, მაგალითად, ივანე მაჩაბელთან, ნიკო ნიკოლაძესთან. ილია უსამართლოდაც მოქცეულა. მას ისიც უთქვამს, რომ მისი მსგავსი არავინ იყო საქართველოში, რაც ბევრს საწყენად დაურჩა. ეს ვერ აიტანეს და ილიას დასცინეს. მაგრამ ეს ყველაფერი არის მცირე მომენტები ილიას დიდ საქმიანობაში და საერთო სურათი მისი მოღვაწეობისა მასშტაბურია. ილია მოვლენა იყო XIX ასწლეულის მეორე ნახევრისა და XX ასწლეულის დასაწყისის საქართველოს ბნელ წარსულში. ყველას გვსურს იყოს რაღაც წმინდა 80 წლის წინანდელ, სიძულვილით, ღალატით, ქურდობითა და მედროვეობით გაჯერებულ წარსულში. არ შეიძლება ქვეყნის წარსული მუდმივად ასეთი მძიმე იყოს. წმინდანად შერაცხვით ილიას დაეკისრა ამ წარსულის სიბნელეში სინათლის სხივის შეტანა. მართალია, იყო სიბინძურე, მაგრამ იყო ილიაც და ერთმა კაცმა გაანათა მთელი ეპოქა. მაგრამ ჩვენთვის საყურადღებო ეს კი არ არის, არამედ ის, რომ ილიას წმინდანად შერაცხვით ქართველმა კიდევ ერთხელ მოიხსნა

ზნეობრივი მოვალეობის მძიმე ტვირთი არა მხოლოდ წარსულისათვის, არამედ სამომავლოდაც. ილია შეიძლება ახსენოს ყველამ და ყველა შემთხვევაში. სამომავლოდ ქართული საზოგადოება დარჩება ისეთივე, როგორიც ახლა არის და თუ გამოჩნდა ვინმე ერისკაცი, ქართველობა მასაც ასევე დაჰკოდავს და სიკვდილს შეჰყრის. შემდეგ მისი სახელის ფიცილს დაიწყებს, მას შეაწმენდს ხელებს და თაობათა ბილწად ნაცხოვრებს ერთი კაცის სახელით გაამართლებს.

90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის დროს, როდესაც ბოლშევიზმის გმობა დაიწყო, ილიას სახელი ყველამ სათავისოდ გამოიყენა. ბოლშევიკური რეპრესიების დროს ღალატითა და დასმენით გასვრილმა მრავალმა ქართულმა ოჯახმა ილიას სახელით დაიწყო საბჭოთა იდეოლოგიის გმობა. აქ იმათი შთამომავალნიც იყვნენ, ვისი მშობლებიც ილიას სიკვდილს სიხრულით შეეგებნენ. ეს ეხება ასევე უცხოეთში მენშევიკურ მთავრობასთან ერთად გაქცეულ ქართველებს, რომელნიც ბოლშევიკების ლანძღვისას თვალთმაქცურად ილიას სახელს ამოეფარნენ. ეს ყველაფერი გასაღდა ერის ხმად და მის ნააზრევად, რომელმაც, თურმე, „ათეისტური ურჩხულის ულელს ვერ გაუძლო და თავისუფლებისათვის ბრძოლა დაიწყო“. ეს იყო თავმოთნეობა იმ საზოგადოებისა, რომელიც დალხინებული ცხოვრობდა და საერთოდ არ ფიქრობდა მომავალზე. ამგვარი სიყალბის მძიმე შედეგები ახლა თანდათანობით იწყებს გამოვლენას.

გამოხდება ხანი და ზვიად გამსახურდიასაც წმინდანად შერაცხავენ. აქაც ისევ იგივე განმეორდება. უკან მოხედვისას შთამომავალთ შეზარავს წინამორბედთა სიმდაბლე. გვიან შეიგნებს ქვეყანა, რომ ის უკანასკნელი დიდი ქართველი იყო, რომ ძალადაშრეტილი საქართველო ვეღარასოდეს შეძლებს დიდი ერისკაცის შობას. შთამომავალნი იძულებულნი იქნებიან ზვიადის სახელით შეალამაზონ წინაპართა ნაავკაცარი, რომ მთლად ისე მურდლად არ გალეულა მათი წუთისოფელი, რომ საქართველოს ზვიადი ჰყავდა, დიდი მორწმუნე და დიდი ერისკაცი. ახლა მისი სახელის გარშემო დატრიალდება სიყალბის მორევი. ახლა მის სურათებს გააკრავენ ბოძებზე, კედლებზე, ავტობუსებზე. გამოვა ტელეგადაცემები, დაიწერება

მოგონებები. ერის მეცრუე მწერალთა და პოეტთა ახალი თაობა თხზულებებს შექმნის, მაგრამ ერთი ბისტის ფასი არ იქნება ეს ყველაფერი, იმიტომ, რომ ჩვენმა თაობამ თავისი თვალით ნახა, რა იყო სინამდვილეში. იგი იძულებული იქნება დუმდეს ამ სიყალბის გავლენით.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ*

სოციალური ფილოსოფია ვერ მკვიდრდება საზოგადოებაში და ამის კომპენსირება საეკლესიო დოქტრინით ხდება, რაც რელიგიას სოციალურ დემაგოგიად აქცევს. რეფორმაცია, განმანათლებლობა და რევოლუციონიზმი არის ისეთი ინტენსივობის სოციალური აზრი, რომელიც ასწლეულების მანძილზე განსაზღვრავს ევროპეიზმის განვითარებას. ევროპეისტული სოციალური აზრი ვერ აღწევს ქართულ სინამდვილეში. აუცილებელი ხდება ხოლმე რაღაცის გამოგონება, მაღალ ცნებებზე მსჯელობა. ყველაფრის მაფალსიფიცირებელი ქართული სინამდვილე ეხება ასევე წარსულსაც და ხშირად აღინიშნება საქართველოს 3000-წლიანი უწყვეტი სახელმწიფოებრიობის შესახებ. ეს აზრი გულისხმობს შემდეგს: პოსტსაბჭოთა ქართული საზოგადოება აცხადებს, რომ მას აქვს ისტორიული მეხსიერება, რომ ის არის ყველა ისტორიული მოვლენის შეუმცდარი მსაჯული, რომ მას უფლება აქვს დემოკრატიის სახელით ყოველივე გადაასხვაფეროს.

წარმოიშობა უამრავი შეუსაბამობა და უაზრობა, რომელთაც არ ექცევა ყურადღება. 26 მაისი მიჩნეულია საზეიმო თარიღად და ითქმის, რომ ეს არის საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე, რომ 70 წლის შემდეგ ქვეყანამ აღიდგინა დამოუკიდებლობა. ე.ი. 70 წელი საქართველოს სახელმწიფოებრიობა შეწყვეტილი იყო. ამგვარად, 3000 წელს გამოაკლდა 70 წელი. მაგრამ ბოლშევიკების შემოსვლამდე თუ იყო საქართველო სახელმწიფო? მტკიცება, რომ 70 წლის შემდეგ საქართველომ აღიდგინა სახელმწიფოებრიობა, გულისხმობს

---

* პირველად გამოქვეყნდა გაზ. „ახალ მერიდიანში“ (7-9 ნოემბერი, 9-12 ნოემბერი, 2001წ.).

იმას, რომ პოზიტიურად მიიჩნევა სოვეტიზაციამდელი პერიოდი. ამ შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად ერთდროულად აღინიშნება ხოლმე ის, რომ 70 წლის შემდეგ სახელმწიფოებრიობა აღდგა და ისიც, რომ 200 წლის მონობის შემდეგ ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობა მოიპოვა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა შეწყვეტილი იყო არა 70 წელი, არამედ ორი საუკუნე. ამგვარად, 3000 წელს გამოაკლდა ეს ორი საუკუნე. მაგრამ 200 წლის წინ თუ ჰქონდა სახელმწიფოებრიობა საქართველოს? განა ერეკლე სპარსეთის მიერ არ იყო მეფედ დამტკიცებული? გამოდის, რომ არც 200 წლის წინ ჰქონია საქართველოს დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა. როდესაც ასე კატეგორიულად აღინიშნება საქართველოს 3000-წლოვანი სახელმწიფოებრიობის შესახებ, აქ გასარკვევია ის, თუ რამდენად მართებულია სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის სინონიმურ ცნებებად მოაზრება. ქართულ სინამდვილეში შეუძლებელია სახელმწიფოებრიობა გაიგებოდეს როგორც დამოუკიდებლობა და პირიქით. დავით IV-ის დროს კავკასიის იმპერია იყო დამოუკიდებელი და თავისთავად, ეს დამოუკიდებლობა სახელმწიფოებრიობას გულისხმობდა. ეს იმის ძალით ხდებოდა, რომ ეროვნული და უნივერსალური ერთ სიმაღლეზე იდგა. დამოუკიდებელი იყო ღლიღვეთი, დურძუკეთი, ჩერქეზეთი კავკასიის იმპერიის დაშლის შემდეგ, მაგრამ მათთან არ ყოფილა სახელმწიფოებრიობა. შეუძლებელია ვილაპარაკოთ ჩეჩნურ ან ჩერქეზულ სახელმწიფოებრიობაზე. სახელმწიფოებრიობას ქმნის ქვეყნის მიმართება უნივერსალურ იდეასთან და არა იმგვარი დამოუკიდებლობა, რომელიც ეთნოცენტრიზმის იდეაზე ეფუძნება. ამგვარი დამოუკიდებლობა შეიძლება გაგრძელდეს მრავალი საუკუნის მანძილზე, მაგრამ სახელმწიფოებრიობის აღმოცენებასა და გავრცელებას ის ხელს ვერ უწყობს. აქვე გასარკვევია, რამდენად მართებულია დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სინონიმურ ცნებებად მოაზრება. როდესაც დიდოეთი და ჩერქეზეთი კავკასიის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ, ეს არის მათთვის სახელმწიფოებრიობის პერიოდი უნივერსალური იდეის თვალსაზრისით, ხოლო ეთნოცენტრისტული იდეის თვალსაზრისით კი ეს სხვაზე

დამოკიდებულებაა. ამ იმპერიის დაშლის შემდეგ დიდოეთი და ჩერქეზეთი იქცნენ დამოუკიდებელ მხარეებად, მაგრამ მათ დაკარგეს სახელმწიფოებრიობა. როდესაც საქართველო სპარსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო, მას ჰქონდა სახელმწიფოებრიობა საიმპერიო უნივერსალიზმის თვალსაზრისით. საიმპერიო ძალაუფლების დაცემა კი იწვევდა დამოუკიდებლობის მოპოვებას და სახელმწიფოებრიობის მოშლას.

თუ დღევანდელი ქართული ეთნოცენტრიზმი სახელმწიფოებრიობას და დამოუკიდებლობას სინონიმურ ცნებებად მოიაზრებს, ეს ნიშნავს იმას, რომ ხდება ეთნონაციონალისტური და უნივერსალური იდეების ერთმანეთში აღრევა. როდესაც აღინიშნება, რომ საქართველოს 3000-წლოვანი უწყვეტი სახელმწიფოებრიობა გააჩნია, აქ განზრახ არაა გარკვეული, რა იგულისხმება ამ სახელმწიფოებრიობაში, როგორ არის ეს ცნება გაგებული. ე.ი. ჩვენ ქვეყნის 3000-წლოვანი სახელმწიფოებრიობის შესახებ მტკიცებისას ვეწინააღმდეგებით ჩვენსავე თავს იმიტომ, რომ თუ უარვყოფთ იმპერიათმშენებლობის იდეას, ასევე უნდა უარვყოთ საქართველოს წარსულიც, რადგან თავისი არსებობის მანძილზე ის იყო სხვადასხვა იმპერიების შემადგენელი ნაწილი, მენაპირე პროვინცია. თუ ქართული საზოგადოებრივი აზროვნება აიგივებს დამოუკიდებლობას და სახელმწიფოებრიობას, ამის გამო სრულიად უსაფუძვლო ხდება ქვეყნის 3000-წლოვანი სახელმწიფოებრიობის მტკიცება. ე.ი. ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისათვის მისაღებია მხოლოდ ისეთი სახელმწიფოებრიობა, როცა ქვეყანა არ არის რომელიმე იმპერიის შემადგენლობაში. მაგრამ საქართველოს სპეციფიკა ამგვარ მსჯელობას უსაფუძვლოს ხდის, იმიტომ, რომ სახელმწიფოებრიობა საქართველოში იყო სწორედ მაშინ, როცა ის იმპერიათა შემადგენლობაში შედიოდა. დღეს არის დამოუკიდებლობა, მაგრამ არაა სახელმწიფოებრიობა. საქართველომ თავისი უუნარობა წარმოაჩინა სახელმწიფოს შენების საქმეში.

ხშირად აღინიშნება, რომ სწორედ დღეს, დემოკრატიის ძალით, საქართველომ რუსეთის იმპერიის 200-წლოვან მონობას თავი დააღწია. ეს არის კონიუნქტურული აზრი. თუ ასე ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ საქართველო მუდამ მონობაში იყო,

რახან რუსეთის იმპერიამდეც ის იმპერიების პროვინციას წარ-
მოადგენდა.

რატომ არის საკამათო ის, რომ უსაფუძვლოა 3000-წლოვან სახელმწიფოებრიობაზე ლაპარაკი იმის გამო, რომ 5-6 საუკუნე ემატება საქართველოს ისტორიას? 80-იან წლებში და უფრო ადრე ქართულ ისტორიოგრაფიაში აღინიშნებოდა ხოლმე კოლხთა და იბერთა ქვეყნის არსებობის 2500-წლოვანი თარიღი. ესეც საკამათოა იმიტომ, რომ ცოტა რამ არის ცნობილი წარმართული იბერიისა და კოლხეთის შესახებ. ეს წარმართული კულტურა ახლადშემოსულმა ქრისტიანობამ მოსპო. ამის აღნიშვნას ერიდებიან ხოლმე.

თუ ეჭვი შეგვაქვს 3000-წლოვანი სახელმწიფოებრიობის შესახებ გავრცელებული მსჯელობის მართლსომიერებაში, ეს არ ნიშნავს, რომ კონტრარგუმენტების სახით ჩვენ გამოვიყენებთ ძველ ისტორიულ ცნობებს, კოლხური თუ იბერიული ტომების შესახებ. საკითხი ეხება არა იმას, თუ რა იყო კოლხური სახ-ელმწიფოებრიობა, რა იყო იბერიის სამეფო, არამედ იმას, რომ საქართველო დამოუკიდებელი და ერთიანი არასოდეს ყოფილა. ქვეყნის ერთიანობა მიღწეულ იყო მხოლოდ დავით IV-ის, თამარის, გიორგი ბრწყინვალის მეფობის უამს. ეს არის სულ რაღაც 2 საუკუნეზე ცოტა მეტი და ახალ დროში ერთიანობა მიღწეული იყო ბოლშევიკური მმართველობის უამს. დღეს საქართველო დამოუკიდებელია, მაგრამ არაა ერთიანი ქვეყანა.

მოსაჩვენები პატრიოტიზმის სიჭარბე ქართულ საისტორიო აზრს მხოლოდ ვნებს. საქართველოს სპეციფიკა ძნელია დაიფაროს ისეთი გამოთქმებით, როგორიცაა ის, რომ ყველა ძველი ხალხი, ასურელნი, ბაბილონელნი, ეგვიპტელნი და სხვები, მიწის პირისაგან აღიხოცნენ, „ქართველები კი მოდიან და მოდიან“. არ შეიძლება უფრო ძველ და კულტურულ ხალხად მოაჩვენო თავი, ვიდრე ძველ დროში სპარსელები, ბერძნები და სომხები იყვნენ. არ შეიძლება ქართული კულტურის ორიგი-ნალურობის შესახებ უაპელაციო მსჯელობით ისე წარმოჩნდეს, რომ ეს კულტურა ორიგინალური მსოფლიო კულტურების თანასწორი იყოს. ორიგინალური კულტურები მსოფლიოში თითზე ჩამოსათვლელია. ორიგინალობა აუცილებლად კულ-ტურის მსოფლიურობას და უნიკალურობას უნდა გულისხ-

მობდეს, თორემ ასე რომელიმე აფრიკული ტომის წეს-ჩვეულებანი და ხის ნაკეთობანი ასევე ორიგინალურ კულტურად შეიძლება იქნეს მიჩნეული. ირანელებმა რომ გაიგონ, რომ საქართველო სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავს აღნიშნავს, შეუძლებელია, არ გაეცინოთ. გამოდის, რომ კულტურით და სიძველით საქართველო დიდ და უძველეს სპარსულ კულტურას თავს ამეტებს. 3000-წლოვანი უწყვეტი სახელმწიფოებრიობა, იმ აზრით, როგორც ამას საქართველოში გულისხმობენ. ეგვიპტეს, სპარსეთს და საბერძნეთს არ ჰქონიათ. სპარსეთი როცა დამოუკიდებლობას კარგავდა, მაგალითად, ალექსანდრე დიდის დროს, არაბული დაპყრობების დროს, ეს მისოვის იყო მისი საკუთარი იმპერიათმშენებლობის ტრადიციის დარღვევა. ამ ტრადიციის აღდგენისათვის ბრძოლა უიგივდება ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. იბრძვის რა ქვეყანა დამოუკიდებლობისათვის, ის იბრძვის საკუთარი საიმპერიო იდეისა და უნივერსალიზმისათვის. უახლეს დროში კოლონიური ირანი აიათოლას რევოლუციის შემდგომ, იბრძოდა იმგვარი დამოუკიდებლობისათვის, რომელიც ისლამურ უნივერსალიზმს და სპარსულ საიმპერიო ტრადიციას გულისხმობდა.

უძველეს სახელმწიფოებრიობაზე ლაპარაკისას მიუთითებენ ხოლმე ქართველურ ტომთა გაერთიანებებზე, მაგრამ ის, რომ ტომში და ტომთაშორის გაერთიანებაში არსებობს რაღაც იერარქია, არ ნიშნავს სახელმწიფოებრიობას. ჩრდილოკავკასიელთა შორის არსებობდა ბატონყმური ურთიერთობები, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ არსებობდა სახელმწიფოებრიობა. ეს იყო ჩაკეტილი ტრაიბალური ერთობები. ისინი კი იყვნენ დამოუკიდებელნი, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა კულტურულ უნივერსალიზმს ვერ აღმოაცენებდა. ლაპარაკი კავკასიელთა თავისუფლებისმოყვარეობაზე გულისხმობს ხოლმე იმას, რომ ეს თავისუფლებისმოყვარეობა სახელმწიფოებრივი პოტენციის შემცველია. მაგრამ საქმეც ისაა, რომ თავისუფლებისმოყვარეობაზე ლაპარაკი არანაირ მიმართებას არ იქონიებს სახელმწიფოებრივ პოტენციასთან. სახელმწიფო განსხეულებული იდეაა. იდეის განხორციელებისათვის ბრძოლა ყველა ხალხს არ შეუძლია და ამას გვიჩვენებს ცივილიზაციის ისტორია. საიმპერიო ტრადიცია არის ზოგადის, საერთოს განხორციელებისათ-

ვის ბრძოლა. სხვა საკითხია, თუ როგორ ფორმებს იღებს ეს ბრძოლა. იმპერიათმშენებლობა არ შეიძლება არსებობდეს დომინანტი ქვეყნის გარეშე. ნებისმიერი საიმპერიო, საერთო, ინტეგრაციული სივრცე გულისხმობს უნივერსალური იდეისათვის მებრძოლ ხალხს, რომელიც შემკრებ, გამაერთიანებელ როლს ასრულებს. 90-იან წლებში გამოთქმა „უფროსი ძმა“, რომელიც რუსეთის დაცინვის მიზნით ძალზე ხშირად გამოიყენებოდა, გაიგებოდა იმგვარად, რომ მის კონტრარგუმენტად მოიაზრებოდა თანასწორუფლებიანი, პარტნიორული ურთიერთობის იდეა. მაგრამ შეუძლებელია, რომ თანასწორი ურთიერთობები იყოს ყველა ხალხს შორის. დასავლურ ინტეგრაციაში სადღეისოდ გერმანია სწორედ „უფროსი ძმაა“, საერთოევროპული დომინანტია.

ჩრდილოკავკასიელნი ძველისძველი ხალხები არიან, მაგრამ ეს სიძველე არაა კულტურული თვითმყოფადობის, ორიგინალობის და სახელმწიფოებრიობის დასტური. ის, რაც ძველია, ყოველთვის არ არის ისტორიული და რაც ისტორიულია, უთუოდ ძველი არ არის.

როდესაც 26 მაისის შესახებ ვსაუბრობთ, გვინდა აღვნიშნოთ ერთი ვითარება: მენშევიკთა საქმიანობას ილია ძალზე ნეგატიურად აფასებდა. საკითხავია, რა აზრისა იქნებოდა ილია, სიცოცხლე რომ დასცლოდა, ქართველი ხალხის მიერ მენშევიკების ხელისუფლებაში არჩევასა და მენშევიკთა მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე, საქართველოში კაუკის, ვანდერველდეს და სხვათა ჩამოსვლაზე. ილია არ ეთანხმებოდა მენშევიკებს, ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ მენშევიკთა მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება ილიას გზის გაგრძელება იყო, რომ ახლაც ილიას გზას ვაგრძელებთ, ვემხრობით რა დასავლურ დემოკრატიას. მარქსიზმი და სოციალ-დემოკრატია ქართულმა საზოგადოებრივმა აზროვნებამ საატანურად მიიჩნია და სულ ახლახანს, ამა წლის 26 მაისს, როცა საქართველოში ჩამოტანილ იქნა მენშევიკების მიერ გამოცხადებული დამოუკიდებლობის აქტის ორიგინალი, მას წმინდა რელიქვია ეწოდა. პოსტსაბჭოთა პერიოდის დეზორიენტირებული საზოგადოება ხან მისგანვე დაგმობილ სოციალ-დემოკრატიას ეპოტინება, ხან ილიას სახელს. ორი ურთიერთგამომრიცხავი

ვითარება საზოგადოებრივ აზროვნებას ერთმანეთისაგან გამოჰყავს და ერთმანეთს აჯარებს, რათა შექმნას რაღაც დასაყრდენი. ამიტომ ის აღარ აქცევს ყურადღებას იმას, რომ თუ ილია არ ეთანხმებოდა მენშევიკებს, როგორღა არის მენშევიკთა გზა,ისევე როგორც პოსტსაბჭოთა დემოკრატია, ილიას გზა? დავუშვათ, საქართველოს დღევანდელი დამოუკიდებლობა ილიას მიერ დასახულ მიზანთა სრული განხორციელებაა, რომ ილიას ოცნება ასრულდა. თუ ეს ასეა, შაშინ გამოდის, რომ ილიას გზა დასრულდა და დაასრულა ის პლურალიზმმა, ადამიანის უფლებებმა და დემოკრატიამ, მაგრამ ახალი გზა პლურალიზმითა და დემოკრატიით ვერ იქმნება. ქვეყანა უგზო-უკვლოდ მიდის. შესაბამისად დაისმის საკითხი: ვინ და როგორ უნდა დაიწყოს ახალი გზა? აღნიშნული ვითარება ნათელს ხდის იმას, რომ ილიას გზაზე ლაპარაკისას რაღაც არ არის ისე, როგორც უნდა იყოს, მაგრამ მაინც შეგნებულად ამბობენ, რომ არსებული სინამდვილე ილიას გზაა, რომ ეს სინამდვილე ისტორიული მნიშვნელობის მქონეა.

3000-წლოვანი სახელმწიფოებრიობის შესახებ კატეგორიულ მტკიცებაში იგულისხმება ის, რომ დემორალიზებული საზოგადოება დიდ პრეტენზიას გამოთქვამს ისტორიულ, ეროვნულ მეხსიერებაზე. აქ გვინდა აღვნიშნოთ კალენდრის შესახებ. ქართული საზოგადოება, მისივე თანახმად, სამოქალაქო საზოგადოებაა. ისტორიული შეგნების ნაკლებობის მაჩვენებელია ის, რომ ეს საზოგადოება ჭეშმარიტ ეროვნულ დღესასწაულებად მიიჩნევს მხოლოდ საეკლესიო დღესასწაულებს. გამონაკლისი არის მხოლოდ 26 მაისი. 9 და 14 აპრილი ხან აღნიშნულია კალენდრებში, ხან არა. უძველეს სახელმწიფოებრიობაზეა ლაპარაკი და გარდა საეკლესიო დღეებისა და 26 მაისისა, საზოგადოება აღნიშვნის გარეშე ტოვებს წარსულის დიდ მოვლენათა თარიღებს. მხედველობაში გვაქვს კავკასიის იმპერიის მიერ ომებში მოპოვებული გამარჯვების დღეები. თუ 9 მაისი აღნიშნულია კალენდარში, მაგრამ ქართული საზოგადოება მას თავის გამარჯვების დღედ არ მიიჩნევს, მაშინ აღნიშნოს მან ის, რაც მისი წარსულის კუთვნილებაა. აღნიშნოს ის, რომ კავკასიური იმპერია ომებში საკუთარი უნივერსალიზმისა და საიმპერიო ტრადიციისათვის იბრძოდა.

მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ამ წარსულს ქართული საზოგადოება მოწყვეტილია. კავკასიური უნივერსალიზმის იდეა ქართველთათვის უცხოა. საქართველოს 2300-წლოვან ისტორიაში ოქროს ხანად შევიდა სწორედ კავკასიის იმპერიის მიერ საკუთარი უნივერსალიზმისათვის ბრძოლა, საკუთარი საიმპერიო ტრადიციისათვის საფუძვლის ჩაყრა და არა მენშევიკთა უაზრო პირველობა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნაში, არა ძველი და ახალ დემოკრატთა ყბედობა.

საქართველოს იმთავითვე ევროპულობის დასტურად ახლა დმანისში ნაპოვნი ძვლები მიაჩნიათ და ამაზე მაღალი ტრიბუნიდან ლაპარაკობენ. თურმე აქედან წავიდა ადამიანი ევროპაში მრავალი ათასი წლის წინ და ეს ისეთი ტონით ითქმის, რომ ადამიანი დმანისიდან პირდაპირ რომსა და პარიზში წავიდა, რომ ევროპა მაშინაც ის იყო, რაც ახლა არის. არქეოლოგიური აღმოჩენის PR-ი'ხაცია მოხდა. ჩვენთვის საყურადღებო აქ ის არის, რომ ქართული საზოგადოება ჭეშმარიტ რჯულზე დებს თავს და ახლა ამ ძვლების აღმოჩენის შემდეგ ის მაიმუნიდან ადამიანისაკენ ევოლუციის თეორიის მომხრედ გამოვიდა. თუ დასავლურმა ეკლესიამ, პირველ რიგში, კათოლიკურმა ეკლესიამ თავის დროზე ევოლუციის ამ თეორიას დაუპირისპირა აზრი, რომ ადამიანი ღვთის ხატად შექმნილია, ქართული ეკლესია დმანისში აღმოჩენილი ძვლების გარ'შემო ატეხილ პროპაგანდისტულ ხმაურში არ ჩარეულა.

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ გამოკვლევაში, რომელიც მაღალი სამეცნიერო ცენზის მქონე ავტორის მიერაა დაწერილი, აღნიშნულია, რომ საქართველოში აქტიურად მიმდინარეობდა მაიმუნის გაადამიანების პროცესი. შემდგომ ეს დაბრალდა საბჭოთა ათეიზმს, მაგრამ დღეს რაღას შეიძლება დაბრალდეს ის, რომ ქართულმა საზოგადოებამ ასეთი სიხარულით აიტაცა აზრი ევოლუციონისტური განვითარებისა? ჯანდაბას მაიმუნიც, ადამიანიც და ღმერთიც, ოღონდაც როგორმე დამტკიცდეს, რომ საქართველო იმთავითვე ევროპული ქვეყანაა. დმანისის აღმოჩენაზე ლაპარაკისას, ქართულმა საზოგადოებამ კიდევ ერთხელ უარყო თავის თავი. მაიმუნი კი არა,

თუნდაც მიწის მატლი იყოს ჩვენი წინაპარი, ოღონდ ითქვას, რომ ევროპელები ვართ. ეს არის სერვილიზმი. ევოლუციის თეორიის გარშემო დღემდე არ წყდება კამათი დასავლეთის სამეცნიერო, ფილოსოფიურ და საღვთისმეტყველო წრეებში. აქ კი დმანისის აღმოჩენას არ გამოუწვევია არანაირი დისკუსია. ყველაფერი უკამათოდ იქნა მიღებული და უეჭველად მიიჩნევა, რომ ადამიანი მაიმუნისაგან წარმოიშვა. ეს ადამიანები ყოველგვარი უხერხულობისა და შინაგანი წინააღმდეგობის გარეშე შევლენ ეკლესიაში და აი, ეს არის მაიმუნობა, რომელიც უკვე არ ჩანს კონტრასტულად იმის გამო, რომ იგი მთელ საზოგადოებასაა მოდებული. ეს მაიმუნობა ნორმაა, ცხოვრების წესია. დასავლეთში ინტელიგენციისათვის ევოლუციონისტობა ან რელიგიურობა არის პრინციპისა და მრწამსის საქმე. ან ერთს უნდა ემხრობოდეს ადამიანი, ან მეორეს. აქ კი ადამიანი ერთსაც ემხრობა და მეორესაც. აქედანაც ვლინდება, თუ რა არის სინამდვილეში ქართული რელიგიურობა.

ვინ უნდა გაწმინდოს ქართული სინამდვილის ავგეას თავლა? სადამდე უნდა გრძელდებოდეს ამ თავლაში დაგროვილი ჭუჭყის გმირულ წარსულად წარმოჩენა?

შ ი შ ი*

დასავლეთის მიერ მოწოდებული დემოკრატიის იდეა გარდაქმნის დოქტრინის დაწყებიდან ქართულმა საზოგადოებამ რაღაც უსიამო აკვიატებულობით აიტაცა, ზუსტად ისე, როგორც ამ ასწლეულის დასაწყისში მარქსიზმის იდეები ჰქონდა მას ატაცებული. ეს ისე ხდებოდა, რომ საზოგადოება რიგიანად არც გარკვეულა მარქსიზმის ავკარგიანობაში. საქართველოში გაბატონებული საყველპურო მარქსიზმი, რომელმაც ილია ჭავჭავაძის სიცოცხლე შეიწირა, იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ილიასეული ქართული ნაციონალიზმის

---

* პირველად გამოქვეყნდა ყოველკვირეულ გაზეთ „7 დღეში“ (9-15 თებერვალი, 1996 წ.) რედაქციისეული სათაურით „კეისრისაც კეისარმა მიიღო და ღმრთისაც“.

იდეა დაჩრდილა და საქართველოს მისთვის შეუძლებელი, უნივერსალური, მსოფლიო იდეის მედრო'შეობა დააკისრა. 'შეიქმნა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც თავიდანვე ქიმერა იყო და სინამდვილისაგან ძალზე შორს იდგა. მარქსიზმის ჭეშმარიტი მცოდნე მა'შინდელ საქართველოში არ იპოვებოდა, თუმცა მარქსისტული იდეები მალი-მალ გაისმოდა. თავისი სულისკვეთებით უნივერსალური და მსოფლიური მარქსის მოძღვრება, საქართველოს არაფერში წაადგა და უაზრო მსხვერპლის გარდა, მას მისთვის არაფერი მოუტანია. ეს გარემოება იმდენად მტკივნეულია ქართული ცნობიერებისათვის, რომ მიუხედავად თითქმის საუკუნის გასვლისა ამის შემდეგ, მის ანალიზსა და მიუკერძოებელ შესწავლას ხელს არავინ ჰკიდებს. ქართული ისტორიოგრაფია დღემდე გაურბის ყველაფრის ბოლომდე თქმას. იგი მდარე მორალიზებითა და პუბლიცისტურ-მამხილებლური წამოძახილებით კმაყოფილდება. საქართველოში ყოველთვის შეინი'ნება წარსულის განსრახ დავიწყების ტენდენცია, იმის გამო, რომ ის სამარცხვინოა. ილიას მკვლელები სწორედ ქართული საყველპურო მარქსიზმის მესვეურნი იყვნენ. ისინი, ვინც ჩვენი დროის ეროვნულმა მოძრაობამ ლამის გმირებად დასახა.

გარდაქმნის გორბაჩოვისეული დოქტრინის განხორციელების წლებში, საქართველოში კონკრეტულად 1989-91 წლებში, მოხდა კიდევ უფრო უარესი, სახელდობრ, საყველპურო ქართული მარქსიზმის ასევე საყველპურო ლიბერალ-დემოკრატიული უარყოფა, რაც ყოვლად უმსგავს ქილიკში გამოიხატა. მარქსის მკითხველს შეშლილად მიიჩნევდნენ. ასე იქნა დავიწყებული მარქსის მოძღვრება. საზოგადოებამ მიაგდო ის მისთვის ჩვეული დაუდევრობით და ხელში აიტაცა დემოკრატიის იდეა, ისე, რომ არ გარკვეულა, რას წარმოადგენდა ეს იდეა, რა სოციალურ და პოლიტიკურ საფუძვლებს ეყრდნობოდა, ვინ იყო მისი ცნობილი წარმომადგენელი. გაჩნდნენ დემოკრატიის თავგადაკლული დამცველები, ისევე როგორც თავის დროზე იყვნენ მარქსიზმის დამცველები.

90-იანი წლების დასაწყისის ეროვნული მოძრაობის დროს მარქსის საბასრებლად წარმოთქმული ყოველი სიტყვა ქუჩური ოხუნჯობისა და კინტოური ენაკვიმატობის დონეს არ გას-

ცილებია. აქ ქართული საზოგადოება კიდევ ერთხელ გაექცა აზროვნებას და მომდიმარე საშუალოს შეაფარა თავი. საქართველოში არ იცნობენ დასავლურ მარქსიზმს. დასავლური მარქსიზმი კი არა, მარქსიზმ-ლენინიზმიც არ ყოფილა სერიოზული შესწავლის საგანი საქართველოში. არაფერი უწყიან ისეთი მოაზროვნეების შესახებ, როგორებიც არიან იორგენ ჰაბერმასი, ჰერბერტ მარკუზე, თეოდორ ადორნო. ქართული პოლიტიკური დისკურსისათვის უცნობია ჰორკჰაიმერი და მანჰაიმი, უახლესი დასავლური სოციოლოგია და მისი ამჟამინდელი ტენდენციები. იმიტომ კი არ არის უცნობი, რომ ლიტერატურა მიუწვდომელია, არამედ იმიტომ, რომ მისი შესწავლით თავს არავინ იწუხებს და საყველპურო ქართულ დემოკრატიას აფარებენ თავს. ამით ქართული საზოგადოება ცდილობს დაფაროს აპათია და ინდიფერენტიზმი ყველასა და ყველაფრის მიმართ. მედიაში კი ისე ჩანს, რომ ყველაფერზე ზრუნავენ.

ქართული ცნობიერება უაზრო მამხილებლობითაა დაღრღნილი და დაიარებული. მამხილებლობა აზროვნების ნაცვლად საბოლოოდ კლავს ყოველივე უბედურების შემდეგ დანაშთენ ინტელექტს. მამხილებლობის ნეგატივიზმის შესახებ ჯერ კიდევ ნიცშე აღნიშნავდა. აზროვნების დონე საქართველოში საოცრად დაეცა. პერიოდული გამოცემათა უმრავლესობა თანდათან ყვითელი პრესის დონეზე დავიდა და მასაც გასცდა. იგი უაზრო ქილიკითა და სექსუალიზმით იქცევს თავს. ქართული ცნობიერება უსაგნო და უნაყოფო დავამ ყოვლად ტრივიალურ საკითხებზე, დააკნინა და ის ოდიოზურ სადღეგრძელურ პატრიოტიზმს დაუბრუნდა.

ქართულ საზოგადოებაში პიროვნება მოკვდა. გაბატონდა ჯოგური მორალი. სერიოზულ დაფიქრებას ან მოწოდებას თვითანალიზისაკენ დაუნდობლად ახშობენ და დასცინიან ისე, როგორც მხოლოდ აქ იციან. ეს იწვევს გაუცხოების ზრდას და ის იზრდება იქამდე, რომ უკვე არანაირ საფრთხეს აღარ შეუძლია საზოგადოების გაერთიანება. კოლექტივიზმის იდეის მცდარად გაგებამ და მისმა ფსიქიატრიულმა შეფასებამ, ასევე ავტორიტეტის ღირებულების თავისუფლების სახელით უარყოფამ, საქართველოს ავტორიტეტები დაუკარგა. სამოქალაქო

კონსენსუსის მიღწევა უკვე შეუძლებელი გახდა. დისიდენტები, რომელნიც თავის დროზე ავტორიტეტით სარგებლობდნენ, დღეს აღარ არიან ავტორიტეტები, იმიტომ, რომ მათ აღიარეს ის, რასაც უარყოფდნენ.

დღეს საქართველოს არა ჰყავს დიდი თეოლოგი, დიდი ფილოსოფოსი, სოციოლოგი, უბრალოდ მოაზროვნე ადამიანი, ვინც თავისი სიტყვისა და პიროვნულობის ძალით დააჯერებდა უგუნურ თანამემამულეთ, შეიტანდა მათში თვითდადგენისაკენ სწრაფვას.

აკვიატებულმა პოლიტიკანობამ სრულიად მოაკვდინა ინტელექტი და აზროვნება შეცვალა უმაქნისი შეძახილებით. მედია სიგიჟის გამოხატულებაა. ქართულმა საზოგადოებამ მხოლოდ დასავლური კულტურის გარეგნული, სანახაობრივი მხარეები აითვისა, რადგან მათ ათვისებას არც აზროვნება სჭირდებოდა და არც რაიმე ზრუნვა, გარდა მედიის თვალთმაქცობისა. საოცრად გაყალბდა მეტყველება. ასეთი რამ არ ყოფილა კომუნისტური იდეოლოგიის დროსაც კი. აკრძალვათა გაუქმებამ ენა იმდენად გააყალბა, რომ ადამიანს მსჯელობის უნარი სრულიად წაერთვა. მსჯელობათა ერზაცთან გვაქვს ხოლმე საქმე.

მრავალი პერიოდული გამოცემის არსებობით გამოხატული სიტყვის თავისუფლება, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს, კი არ ავითარებს, არამედ საბოლოოდ კლავს თავისუფალ აზროვნებას, ყოველგვარ სერიოზულ აზრს. კლავს არა აკრძალვებით, არამედ სწორედ სიტყვის თავისუფლებით.

დასაკლეთში სოციოლოგია უკიდურესად განვითარდა და ის ფილოსოფიის პრეტენზიითაც კი გამოდის. ამის ტენდენცია ჯერ კიდევ მარქსთან შეიმჩნეოდა. მარქსი ფილოსოფოსი კი არ არის, როგორც დღემდე მიიჩნევდნენ, არამედ სოციოლოგია. გენიალური სოციოლოგი, რომელმაც განჭვრიტა მომავალი ეპოქის ეგალიტარული სულისკვეთება. მარქსი დასავლური სოციოლოგიის ერთ-ერთი უდიდესი ფუძემდებელია. მარქსის იდეები საგანგებო შესწავლის საგანი იყო ნაცისტურ სოციოლოგიაში. თავის მხრივ, ნაცისტური სოციოლოგიის იდეები საფუძვლად დაედო თანამედროვე სოციოლოგიას. იდეებმა ისეთი მეტამორფოზა განიცადეს, რომ მათ მემკვიდრეობაზე თვალის გადევნე-

ბა ძნელი ხდება.

მარქსი იმითაც იყო გენიალური, რომ სოციოლოგიას ფილოსოფიის როლი დააკისრა, ფილოსოფიის სოციოლოგიზება მოახდინა და ამით თავისი მოძღვრება მძლავრ, უნივერსალურ მონოლითად აქცია. დღეს დასავლური სოციოლოგია ფილოსოფიისა და სოციოლოგიის სიმბიოზია. მარქსის ხაზს აგრძელებენ ფრომი, ჰაბერმასი, მარკუზე. ისინი ეჭვს გამოთქვამენ დასავლური საზოგადოების მიმართ. რატომ გამოითქმის შეეჭვება იმის შესახებ, რაც ტექნიკური პროგრესისა და მატერიალური სიუხვის უმაღლეს საფეხურზეა? მით უმეტეს, ხსენებული მოაზროვნენი არიან არა რელიგიური მოაზროვნენი, არა მეტაფიზიკოსები, არამედ სოციალურად მოაზროვნენი, რომელნიც მარქსიზმის დიდ გავლენას განიცდიან. ამაზე აქ არავის უფიქრია, რადგან სადღეგრძელური ქართული პატრიოტიზმი ყოველგვარ შეეჭვებას უარყოფს.

ქართული ცნობიერებისათვის უცხოა ღირებულებათა დამოუკიდებლად დადგენა. იგი ყოველთვის სხვისაგან ელოდა შექებასა და ტაშს. ეს მას დასავლურ კულტურასთან წილნაყარობად მიაჩნია. ღირებულებათა დამოუკიდებლად დადგენის ვერშემძლე ქართული საზოგადოება ილუზიებს აფარებს თავს. არათუ მარქსიზმს, არამედ დასავლურ სოციოლოგიასა და პოლიტოლოგიასაც არავინ სწავლობს საფუძვლიანად. ამიტომაა ქართული პოლიტიკური დისკურსისათვის გაუგებარი, რატომ გვევლინება დემოკრატიის იდეა დასავლური კულტურის შემდგომი ექსპანსიის საფუძვლად იმ დროს, როდესაც სუვერენიტეტისა და ერთა თვითგამორკვევის პრინციპი, რაზე მითითებითაც დაიშალა საბჭოთა იმპერია, ექსპანსიას უნდა გამორიცხავდეს.

ჩვენ'ში, პოლიტიკური და ფილოსოფიური დისკურსისათვის სრულიად უცნობია გეოპოლიტიკის ფუძემდებელთა დოქტრინები, მაგალითად, ადმირალ მეჰენისა, თუმცა პოლიტოლოგობით მრავალი იწონებს თავს.

ჯერ კიდევ ამ ასწლეულის დასაწყის'ში ქართველმა მარქსისტებმა ვერ განსაზღვრეს, როგორ შეძლებდნენ ბოლშევიკები მარქსიზმის იდეების რუსული ექსპანსიის საფუძვლად ქცევას და ამით ევრაზიული იმპერიის შენარჩუნებას. რუსეთი მარქსიზ-

მამდეც ექსპანსირებდა, როგორც მსოფლიო სახელმწიფო.

გაუგებარი დარჩა ისიც, რომ გარდაქმნის დოქტრინის შემდგომ, რუსეთმა, უარყო რა მარქსიზმი, შემდგომი ექსპანსია დემოკრატიის იდეებზე დააფუძნა. უსაფუძვლო და ყოვლად უაზრო აღმოჩნდა შინაური დემოკრატების მტკიცება, რომ დემოკრატიის პირობებში რუსეთი ექსპანსიას შეწყვეტდა. მსოფლიო სახელმწიფო და ადამიანთა ზენაციური ერთობა იმიტომაა მსოფლიური, რომ ყოველთვის ექსპანსირებს. იცვლებიან პოლიტიკური მიძღვრებები და მმართველები, მაგრამ ექსპანსიის აუცილებლობა ყოველთვის რჩება ზენაციისათვის და აიძულებს ადამიანს იმოქმედოს, იზრუნოს მსოფლიოზე, რაც ქართველი კაცისათვის ყოველთვის გაუგებარი და უცხო იყო. თავად უძლური, იგი ყოველთვის დასცინოდა ამ იდეას.

ჯერ კიდევ მარქსი აღნიშნავდა რუსული დიპლომატიისა და პოლიტიკის წარმოუდგენლად დიდ სწრაფვას მსოფლიო სახელმწიფოს ასაშენებლად. მარქსიზმამდე რუსი ზენაცია თავის ექსპანსიას საფუძვლად მართლმადიდებლობას უდებდა და თავი ქრისტეს მახვილის მცველად მიაჩნდა.

მსოფლიურობისაკენ სწრაფვას საქართველოში უგუნურად დასცინეს და დიდი ხნის განმავლობაში აკვიატებული ჰქონდათ, რომ რუსეთის დაცემა საქართველოს თავისუფლებას მოუტანდა. ეს აზრი მდგრად კლიშედ იქცა და მასზეა აგებული მედიის მსჯელობანი. ოდნავი შეკამათებაც კი გაცოფებულ უარყოფას იწვევს. ესეც დასტურჰყოფს იმას, რომ დღევანდელ საქართველოს არ ესმის მსოფლიურობისა და უნივერსალურობის იდეა. ღიმილისმომგვრელია, როდესაც მავანნი გვიმტკიცებენ, რომ საქართველო არასოდეს ყოფილა დამპყრობელი და ამით სხვა ხალხებზე მაღლა დგას. ჩვენ ვიტყვით: მორალით დაფარული უძლურება გადაგვარების გამართლება და დაკანონებაა. როდის ყოფილა ეთნოცენტრისტული და მსოფლიურობისადმი მტრული დიდი? აი, აქ ხდება ღირებულებათა საბედისწერო აღრევა. დიდი ნიშნავს მსოფლიოზე ზრუნვას. საქართველოს კი დავით IV-ის შემდეგ ათასი წელია არაფერზე უზრუნია, გარდა გადარჩენისა. აღვნიშნავთ კიდევ ერთ საყურადღებო ვითარებას: რატომ გამოიყვანა რუსთაველმა თავისი პოემის გმირებად მსოფლიო ხალხების წარმომადგენ-

ლები - ინდოელი და არაბი, მაგრამ არა ქართველი. ეს მაშინ, როდესაც საქართველო რუსთაველის დროს კავკასიის იმპერია იყო და ძლიერების ზენიტში იდგა. პოემის მოქმედების გასაშლელად კავკასიაში საკმაო სივრცე მოიპოვებოდა. რუსთაველის სიმაღლეები, ქართული მწერლობის თანახმად, დღემდე დაუძლეველია. შუა საუკუნეების ეს რაინდულ-ეროტიკული და კოსმოპოლიტური პოემა ქართულმა მწერლობამ ეტალონად დაისახა და აღარც უცდია უფრო აღმატებული რამ შეექმნა. ამავე დროს, ქართველი მსოფლიურობის განცდას მოკლებულია.

ეთნოცენტრიზმის გავლენით ქართული ცნობიერება ეთნიკური კუთვნილების ღირებულებას ზოგადადამიანურზე მაღლა აყენებდა და აყენებს. ქართველს ფარულად და აშკარად ეშინია მსოფლურობის განცდისა. ქართული კულტურა მხოლოდ ქართველისათვის არსებობს და ამით განსხვავდება ის მსოფლიო ზენაციური კულტურისაგან, რომელიც ყველასია და მოწოდებულია მოიცვას ყოველი.

მსოფლიო ძალაუფლების დილემურობიდან გამომდინარე, საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ, დასავლეთი ექსპანსირების აუცილებლობის წინაშე დადგა. ეს აუცილებლობა აიძულებს დასავლეთს იმოქმედოს და შესაძლოა, მას აღარც სურს სხვაზე ზრუნვა, მშვიდობისმქმნელის უმადური საქმის შესრულება, მაგრამ ყოველ ზენაციას, ამ შემთხვევაში იანკებს, საკუთარი უნივერსალურობა აიძულებს იმოქმედონ და იზრუნონ. საქართველოში კი ამტკიცებენ, რომ ამერიკელი მეგობრები გვეხმარებიან. აქ ძევს ისევ ეთნოცენტრისტული ქვეტექსტი: გვეხმარებიან და მეგობრობენ იმიტომ, რომ ქართველები ვართ. ასეთ რამეს დიდი გასავალი აქვს.

ქართულ ცნობიერებას პოლიტიკოსი და პოლიტოლოგი ღირებულებათა დამდგენად და განსაკუთრებული ცოდნის მფლობელად მიაჩნია. შინაურ პოლიტოლოგთა მთელი არმია ცდილობს საკუთარი თავი და საკუთარი მსჯელობანი კეთილდღეობისა და კანონიერების გარანტად წარმოაჩინოს. დავიწყებულია ის, რომ ქართულ სინამდვილეში პოლიტიკოსზე მეტად კონიუნქტურულად სოციალიზებული და დეტერმინიზებული ადამიანი არავინაა. შესაბამისად, იგი ვერასოდეს იქნება

ღირებულებათა დამოუკიდებლად დამდგენი.

პოსტსაბჭოთა ქართულ საზოგადოებას ეჩვენება, რომ მან საბოლოოდ უარყო მარქსი და ვერ ამჩნევს, რომ ისევ მარქსისმიერი კატეგორიებით აზროვნებს, ისევ მარქსისტულ განსაზღვრებებს იყენებს. სწორედ ჩვენთან და არსად სხვაგან, განსაკუთრებული გაბოროტებით დასცინეს მარქსს, უარყვეს მისი დებულება რევოლუციის შესახებ, მუშათა კლასის აბსოლუტური გაღატაკების შესახებ. მაგრამ მაინც მოხდა რევოლუცია და სამოქალაქო ომი. წარმოჩნდა ის, თუ რა ყალბი იყო ქართველთა მიერ ოქტომბრის ბოლშევიკური რევოლუციისა და სამოქალაქო ომის (1918 -20 წწ.) მხილება. გამართლდა მარქსის აზრი მუშათა კლასის გაღატაკების შესახებ. მუშათა კლასი კი არა, მთლიანად საქართველო აბსოლუტურად გაღატაკდა და სულს ღაფავს. ქართველი მუშა დღეს გაცილებით უარეს პირობებშია, ვიდრე მარქსს აქვს ნაჩვენები „კაპიტალის“ მესამე ტომის მეორე ნაწილში. მუშა დღეს სამუშაო ადგილის მძევალია. მისი პროლეტარიზაცია გრძელდება. ჩვენ მოწონების შეძახილებით დაეუბრუნდით თავდაპირველ კაპიტალიზმს და ეს თავისუფლების მოპოვებად მივიჩნიეთ. აქედანაც წარმოჩნდა, რომ ეს თავგადაკლული ეკლესიურობა სრული სიყალბე და მასობრივი რელიგიური არტისტობა იყო. არავინ იცის, სადამდე გაგრძელდება ყოველივე ეს. მოჩვენებითი ოპტიმიზმი აქ მხოლოდ უმეცრებასა და შეზღუდულობას ადასტურებს. დემოკრატიას საქართველოში იმდენი უმაქნისი დამცველი ჰყავს, რამდენიც მარქსიზმს ჰყავდა საუკუნის დასაწყისში. არავინ გაიაზრა, რომ დემოკრატიის იდეა სინამდვილეში მარქსიზმის დებულებათა განვითარებაა და არა რაღაც ახალი. დემოკრატია დოგმად იქცა, გაცილებით მძლავრ იდეოლოგიურ დოგმად, ვიდრე მარქსისტულ-ლენინური დოგმები იყო. ეს ერთი შეხედვით უცნაურია, მაგრამ ქვემოთ განვმარტავთ, რატომ არის ასე. დემოკრატიას ის იცავს ყვირილით, ვისაც ყურმოკვრით გაუგია მის შესახებ, ვისაც არ ესმის დემოკრატიის იდეის არსი და მისი წყარო. ფეხის ხმას აყოლილი უმეცართა ლეგიონები ყოველგვარ შეეჭვებას ქილიკით ახშობენ. ამას თვით დემოკრატიის იდეოლოგია უწყობს ხელს. იქმნება საკმაოდ მყარი ილუზია, რომლის

თანახმადაც, რახან უმრავლესობა იცავს დემოკრატიას, ის უეჭველად ერთადერთია, ნამდვილია და მეტიც - ჭეშმარიტებაა. გვავიწყდება, რომ უმაღლესი საყოველთაო და მასობრივი არასოდეს არის.

დოგმად კი დემოკრატია იმიტომ იქცა, რომ იგი არ იყო და არ არის თვითკმარი ღირებულება. დასავლური დემოკრატიის იდეა მანამ იყო პოზიტიური ღირებულების მატარებელი, სანამ არსებობდა საპირისპირო სოციალისტური სისტემა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით. ესე იგი, დემოკრატია საწინააღმდეგოსთან დაპირისპირებაში იძენდა აზრსა და მნიშვნელობას. მოიხსნა რა ეს დაპირისპირება სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ, დასავლური დემოკრატიის იდეა იქცა ერთგვაროვან, ყოვლისმომცველ ინტელექტუალურ ურჩხულად, რომლის უარყოფა შეუძლებელია. დემოკრატიის იდეა გადაიქცა სიცრუის მონოლითად, რომელსაც ვერსაიდან მიუდგები. სიცრუემ საბოლოოდ მოაკვდინა პიროვნება, თუმცაღა იგი სულ ინდივიდის სახელით გამოდის. დღევანდელ საზოგადოებაში შეუძლებელია რაიმე დიდის არსებობა. აქ შეუძლებელია დიდი შეძრწუნება, დიდი სიმარტოვე, დიდი ტრაგედია ან დიდი სიხარული. ყოველი ღირებულება მასობრივ სამომხმარებლო დონემდე დავიდა. მასობრივი ცნობიერება კი არ იქნა აყვანილი დიდის სიმაღლეზე, არამედ დიდი იქნა დაყვანილი მასების დონეზე. ასეთმა ეგალიტარიზმმა და დემოკრატიამ საბოლოოდ გააყალბა ადამიანი. მან ეს განზრახ გააკეთა ძალაუფლების განვრცობა-განმტკიცებისათვის.

ამ მიზნით ეგალიტარიზმმა უარყო რელიგია, დასცინა წმინდანებს, მეცნიერული მეთოდით გააძევა მაღალი სქოლასტიკა და მისტიკა ინტელექტუალური ასპარეზიდან. მათი გაძევებით კი შეიქმნა აზროვნების მასშტაბის მკვეთრად შემცირებისა და მსოფლგაგების უკიდურესად გამარტივებული საფუძველი. გზა გაეხსნა მანიპულაციურ ტექნოლოგიებს. ყოველივე ეს ხდება ევროპაში და არსად სხვაგან. ამის გამო თქვა ნიცშემ, რომ ჩვენ მოვკალითო ღმერთი. მისი სიკვდილის შემდგომ მოდის ნიჰილიზმი.

დემოკრატიამ ჯერ კიდევ მაშინ გაწირა თავი უარსაყოფად, როდესაც გარდაქმნის დოქტრინის მსვლელობისას,

პოსტსაბჭოთა პერიოდის დასაწყისშივე უღალატა თავის იდეალებს. მან თვალი დახუჭა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დატრიალებულ ტერორსა და ანომიაზე, რადგან ყოველივე ეს დემოკრატიის სახელით გაკეთდა.

ადამიანი დამცირებულია. იგი განწირულია მთელი ცხოვრება ცრუობდეს, უაზრო ბოღმით იხრჩობოდეს და ისე აღესრულოს, რომ ვერც გაიგოს სიმართლე რა არის. რისთვის არის ადამიანი ასე დაუნდობლად განწირული?

უცხოა ქართული სულისათვის დასავლური კოსმოპოლიტური კულტურა თავისი უნივერსალობით, ძალისა და სექსის კულტით. შიში გამოკრთის კუთხეში მიმწყვდეული საქართველოს თვალებიდან. მას არ შეუძლია ხმის ამოღებაც კი, რადგან თვითონვე აირჩია ის, რისი მსხვერპლიც დღეს არის. მოდის რაღაც დიდი, მანამდე არნახული. კეისრის ძალაუფლება დღეს კიდევ უფრო ტოტალური გახდა. კეისრისაც კეისარმა მიიღო და ღმრთისაც. ეგალიტარული დემოკრატია განივრცო საბოლოოდ და ყოველივე მოიცვა, ყოველგვარი წინააღმდეგობა და დაპირისპირება თავისი უნივერსალობით შთანთქა. არც ერთ ძალაუფლებას არ ჰქონია წარსულში უნივერსალური ყოვლისმომცველობის ისეთი უნარი, როგორიც ეგალიტარულ დემოკრატიას აქვს. ნაციონალ-სოციალისტურმა და კომუნისტურმა საზოგადოებებმა შეამზადეს დემოკრატიული საზოგადოება, რომელიც კიდევ უფრო ტოტალურია და დაუნდობელი ადამიანის მიმართ, ვიდრე მისი წინამორბედნი. უბედურებაა, რომ ქართულმა საზოგადოებამ არაფერი უწყის ამის შესახებ და არც სურს, რომ რაიმე უწყოდეს. ჯოგური მორალი თავის საქმეს აკეთებს.

შიში გამოსჭვივის დამცირებული საქართველოს მზერიდან, რომელიც დღეს არარსებულ გმირულ წარსულზე მოგონებებით იქცევს თავს და ნაძალადევ მხიარულებაში ფარავს ამ შიშს. უახლოეს წარსულზე მოგონებები და ძველი თაობის წარმომადგენელთა მიმართ ექსპრესიული აპელირება არის ჩუმი და უმწეო პროტესტი ყოველივეს მიმართ, რაც ხდება. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საზოგადოებას არ ძალუძს შეწინააღმდეგება და ღირებულებათა დამოუკიდებლად დადგენისათვის ბრძოლა. ის დიდი ხანია უკვე მოწყვეტილია

თავის ჭეშმარიტად ისტორიულ, იმპერიულ წარსულს, გაუცხოებულია მისგან და ძალზე დეტერმინისებულია უახლოესი უსახელო წარსულით.

Rex mundi*

ძალაუფლების დილემურობაზე ვისაუბრებთ. დასავლური კოსმოპოლიტური კულტურის ექსპანსიამ ქიმერები გააბატონა, რომელთა უარყოფა საქართველოსათვის ძალზე ძნელია. ქიმერები ბურჯად უდგას მოცინარ ოპტიმიზმს და ჭეშმარიტ მსჯელობას გვაშორებს. ახლოვდება ჟამი, რომლის შესახებაც იუწყებოდა იოანე ღვთისმეტყველი. ქრისტიანობის დასასრული დგება. ჩვენი წერილის მიზანია ჩამოვაშოროთ მკითხველი ამ ოპტიმიზმს და დავანახოთ მას სინამდვილე. დაე, ის შეძრწუნდეს.

ევროპის კულტურაში განმანათლებლობის დროიდან უკვე შეიმჩნეოდა პოლიტიკის რელიგიად ქცევის ტენდენცია. მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, გერმანელი ლუდვიგ ფოიერბახი (1804-72) აცხადებდა: პოლიტიკა უნდა გადაიქცეს ჩვენს რელიგიადო. განჭვრეტს რა მომავალი ეპოქის ხასიათს, ნიცშე აღნიშნავს, რომ პოლიტიკის ცნება მთლიანად განზავდება სულიერ ომში.

კულტის რანგში აყვანილმა პოლიტიკამ და ძალაუფლებამ მთლიანად დაიმორჩილა ადამიანის აზროვნება. მოვლენები ვითარდება არა იქითკენ, საითკენაც ჯიუტად მიგვითითებს დემოკრატიული ეგალიტარიზმი და ჩვენგან თანხმობას ელის, არამედ სულ სხვა მიმართულებით. ჩვენ გვაქვს საფუძველი შევეჭვდეთ.

ეგალიტარიზმზე დაფუძნებული სოციალურ-პოლიტიკური მოძღვრებები ბოლმისა და შურისძიების საფუძველზე წარმოიშვა, რაც სამართლიანობისა და ბედნიერი მომავლის სახელით იფარებოდა. ექსტრემუმად ქცეული ეგალიტარიზმის იდეა სპობს რევოლუციური დემოკრატიზმის საუკეთესო მონ-

---

* პირველად გამოქვეყნდა ყოველკვირეულ გაზეთ „7 დღეში“ (12-18 იანვარი, 1996წ.).

აპოვრებს. რევოლუციონიზმი ყოველთვის ორსახოვანია. მისი დაცვა დიდ გონებრივ უნარებსა და ფართო თვალსაწიერს მოითხოვს, რასაც ვერ ვიტყვით მის უარყოფაზე. ეგალიტარული სოციალურ-პოლიტიკური აზროვნება, რელიგიური და მეტაფიზიკური აზროვნებისაგან განსხვავებით, ყოველთვის ინფერნალურ საწყისს ეფუძნება და ბოროტების მატარებელია. ის უწყობდა ხელს რევოლუციის იდეალების გაყალბებას დროთა განმავლობაში. ეგალიტარიზმს სძულს რელიგია და მეტაფიზიკა განსაკუთრებული სიძულვილით და ამას მეცნიერულობით ფარავს. ეგალიტარიზმი მეცნიერული მეთოდის მეშვეობით გვიმტკიცებს რელიგიისა და მეტაფიზიკის უსაფუძვლობასა და სიყალბეს. მას თავისი შეხედულებანი ერთადერთ, მეცნიერულად დასაბუთებულ ჭეშმარიტებად მიაჩნია. ეგალიტარული მოძღვრებების იდეოლოგია ყოველთვის მარცხდება სინამდვილესთან ჭიდილში. ამის გამო ის სულ უფრო მეტ სიცრუეს საჭიროებს. ამ იდეოლოგიისათვის უცხოა სიყვარული ადამიანის მიმართ, თუმცა იგი ყოველთვის ჰუმანიზმის სახელით გამოდის. ეს ჰუმანიზმი მექანიცისტური და რესენტიმენტულია. ეგალიტარიზმის სულ უფრო მეტი სიცრუე სულ უფრო გროტესკულად წარმოაჩენს სამყაროს ბოროტებას. ეგალიტარისტს არასოდეს შეუძლია დაიოკოს ბოღმა და წრფელი გულით შეხედოს სამყაროსა და ადამიანს. სიცრუე ეგალიტარიზმის ბედისწერა, ერთდროულად მისი ძალა და სისუსტეა. ცრუობდა ვოლტერი და მისი ნააზრევი მეტად წინააღმდეგობრივია, მაგრამ თავის დროზე იგი ევროპასა და რუსეთში პროგრესულ ადამიანად იყო მიჩნეული. ვოლტერმა თავისი ბასრი ირონიით მონარქიზმის ურყევ დებულებათა უარყოფასა და ახალი ეპოქის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულა.

რევოლუციონიზმის ორსახოვნება, მისი ღმერთმებრძოლობა, მისი პრინციპები ძველი დროის ერეტიკულ მოძღვრებებთან დიდ იდეურ სიახლოვეს პოულობს, იმის მიუხედავად, რომ რევოლუციონიზმის თეორიაში რეპრესიული ათეიზმი მოავარი იდეაა. რევოლუციონერთა თანახმად, ქრისტიანული ღმერთის, როგორც სიცრუის უარყოფით, ბოროტი სამყარო უნდა შეცვლილიყო. გონების ძალას ამ ბნელ და უსამართლო სამყაროში შუქი

უნდა შეეტანა. ახალი ადამიანის მისია ტიტანური იყო.

კათართა მოძღვრების (XII -XIII სს.) თანახმად, სამყარო ღმერთი – უზურპატორის ქმნილებაა. მას Rex mundi (მსოფლიო მეფე) ეწოდება. იგი ყოველთვის ადამიანის დამონებას ცდილობს. მატერიის გავლენისაგან თავისუფალი წმინდა სულიერი არსება Amor (სიყვარულის ღმერთი), კათართა თანახმად, არის ის, ვისკენაც უნდა ისწრაფოდეს შემმეცნებელი ადამიანი. პაპის ბრძანებით, ამ მოძღვრების მიმდევარნი გაულიტეს როგორც ერეტიკოსები. ეს მოძღვრება არა მხოლოდ პაპისა და მონარქის ძალაუფლებას, არამედ მოლიანად ქრისტიანობას უარყოფდა და შესაქმის საკუთარ ინტერპრეტაციას იძლეოდა. კათართა აღმოსავლური წარმოშობის ეზოთერული სწავლება ტამპლიერებისა და როზენკროიცერების ორდენებში გადავიდა. ეს სწავლება სხვადასხვა ხარისხით არსებობს მასონურ ლოჟებში.

დღეს, როდესაც ატლანტიკიდან ურალამდე შეიქმნა ერთი ტიპის დემოკრატიული სისტემა თავისი უძლეველი იდეოლოგიით, სიცრუემ პლანეტარული მასშტაბები შეიძინა. Rex mundi მიზანმიმართულად იმონებს ადამიანს. იგი დაუნდობლად გვამათრახებს, ჩვენ კი, ყოვლად უმწეონი, მხოლოდ ვიკინით და ვთამაშობთ ცივილიზებული, ბედნიერი ადამიანის როლს.

ეგალიტარიზმის უკანასკნელი სიტყვა – დემოკრატია, გაცოფებით გვარწმუნებს, რომ სწორედ მან მოგვიტანა თავისუფლება, გაგვათავისუფლა რა კომუნისტური ტოტალიტარიზმის ტყვეობიდან. დემოკრატიამ ადამიანის თავისუფლება საარჩევნო ურნასთან პერიოდულ მისვლას დაუკავშირა და მანაც, ისევე როგორც ყველა ეგალიტარულმა იდეოლოგიამ, უარყო თავისუფლება როგორც მეტაფიზიკური და იგი გაიაზრა მხოლოდ სოციალურ მოვლენად.

ყოველი დიდი კულტურა მიისწრაფის მსოფლიო ძალაუფლებისაკენ, ექსპანსირებს უნივერსალური იდეებით. Rex mundi სრული სახით ყოველთვის მსოფლიო ძალაუფლებისაკენ სწრაფვაში ვლინდება. ყოველი მსოფლიო კულტურა ძალაუფლების დილემას წყვეტს ბაბილონის შენების სასარგებლოდ. ბაბილონის შენებას მრავალი მცირე ხალხი ზვარაკად

ეწირება და უკვალოდ ქრება ისტორიის სარბიელიდან.

Rex mundi უძლეველია დღეს. იგი დემონურად ლამაზი და მაცდურია, ამქვეყნიურ სამოთხეს ჰპირდება ყველას. მას ადამიანის სული, მისი მეტაფიზიკური თავისუფლება სჭირდება და შეუძლია მილიონობით ადამიანი უშფოთველად გაწიროს. არავის ძალუძს მას დაუპირისპირდეს, გარდა ზეადამიანისა, რომელიც პატარა ადამიანებმა მოკლეს. ისინი აღმერთებენ Rex mundi -ს და მისგან პურსა და სანახაობას მოითხოვენ.

არაფერია იმის გარანტი, რომ არსებული საზოგადოება ოდნავ უკეთესი იქნება ბოღმითა და სიცრუით დამხობილ წინამორბედ საზოგადოებაზე, რომელმაც თავის დროზე ასევე ბოღმითა და სიცრუით იგდო ხელთ ძალაუფლება. არასოდეს გვაქვს ხელთ ის საზომი, რომლის მიხედვითაც შეიძლება ვამტკიცოთ ერთი სისტემის უდავო უპირატესობა მეორეზე. არასოდეს ყოფილა ადამიანი ისე დეზორიენტირებული, როგორც დღეს. ჭორებისა და ფობიების დონეზე მართულ საზოგადოებაში ღიმილისმომგვრელია ათასობით შეშინებული ადამიანის ცქერა. მათ აშინებენ მაფიით, კანონიერი ქურდებით, ფარული ძალებით, დაუდგენელი პირებით და ა.შ. საზოგადოების ტიპი, რაც გარდაქმნისშემდგომი მანიპულირების შედეგად მივიღეთ, კიდევ უფრო საზარელი გამოდგა, ვიდრე ერთად აღებული ნაცისტური და კომუნისტური საზოგადოებები.

Rex mundi განსაკუთრებით ვნებს მცირე ხალხებს. ის მათში კლავს სულს და არა ხორცს, ამიტომ მისი უარყოფა სულ უფრო ძნელდება. იგი გვიჩვენებს ქიმერებს და მათ ჭეშმარიტებად ასაღებს. იგი ცდილობს იხსნას სამყარო ომისაგან და ამ, ერთი შეხედვით წარმტაც, მაგრამ განუხორციელებელ იდეას თავისი იდეოლოგიის ძირითად მიზნად აქცევს. ამ იდეოლოგიიდანაა მომდინარე ეგალიტარული ნიველირების გლობალური ტენდენცია, რომელიც გულისხმობს ყველასა და ყველაფრის გათანასწორებას. ეს ტენდენცია შლის განსხვავებას კულტურებს, რელიგიებს შორის. იგი ჩვენგან მოითხოვს დავივიწყოთ წარსული და მზერა დემოკრატიულ მომავალს მივაპყროთ. ამ მოთხოვნას აყენებს ყველა ეგალიტარული მოძღვრება და ყველა მათგანი აპელირებს თავისუფლებისადმი.

უმეცრებაა, როდესაც მავანნი გვიმტკიცებენ, რომ საზოგადოება განთავისუფლდა იდეოლოგიისაგან. საზოგადოება დღეს რეიდეოლოგიზებულია , და არა დეიდეოლოგიზებული. დღევანდელმა იდეოლოგიამ მთლიანად აითვისა ნაცისტური და კომუნისტური იდეოლოგიის მეთოდები, დახვეწა და განავითარა ისინი. საჯაროდ კი ნაციზმსა და კომუნიზმს უარყოფს და ეს ძალზე ეფექტურად გამოუდის, რადგან ის სარგებლობს მომდევნოს ისტორიული უპირატესობით და ამ უპირატესობის ძალით იქმნება წარსულის, „ტოტალიტარული რეჟიმების" უარყოფის მდგრადი ილუსია.

პოსტსაბჭოთა საზოგადოებაში იდეოლოგიის დანახვა იმიტომ ჭირს, რომ იგი აუქმებს ყოველგვარ აკრძალვას, რაც გააჩნდა ნაცისტურ და კომუნისტურ იდეოლოგიებს. ამით იქმნება გამარჯვებისა და სასიამოვნო მიშვებულობის განწყობა, რაც თავისუფლების მოპოვებად საღდება. სიტყვა „იდეოლოგია" ალარც მოიხსენიება და ის საგანგებოდ დაფარულია დავიწყების მტვრით.

ამ გლობალურ ტენდენციას საქართველო მოუმზადებელი შეხვდა. საქართველო კი არ შეეჭვდა მის დებულებებში, არამედ აიტაცა ისინი და ამ ტენდენციის მედროშედაც იქცა. ერთადერთი, ვინც დაუფარავად ეწინააღმდეგება ამ ტენდენციას, არის მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც ქვეყანაში ისტორიული მეხსიერების ერთადერთი მცველია. დემოკრატიულობის კრიტერიუმის მიყენება ეკლესიის მიმართ სრული უაზრობაა. კეისრის ძალაუფლება სხვაა, ღვთისა - სხვა. ქართული ეკლესიის პოზიცია ცალკე მსჯელობის საგანია.

ეგალიტარული ნიველირების გლობალური ტენდენცია არ არის რაღაც ახალი და მხოლოდ დღევანდელი სინამდვილის მახასიათებელი. ის ყოველთვის ახასიათებდა მსოფლიო კულტურებს. ეს ტენდენცია წარსულში გულისხმობდა ყველა საშუალებით დაუფარავ ასიმილირებას. მას, დღევანდელისაგან განსხვავებით, არ ჰქონდა ანტიარისტოკრატიული, ეგალიტარული ხასიათი.

ჩვენს დროში ეს ტენდენცია არასოდეს იყენებს იარაღს, არამედ მანიპულირებს ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებით, ახდენს ყოველგვარი დაპირისპირების

გათანასწორებას. ამის შემდეგ უკვე ერთნაირ ღირებულებას წარმოადგენს ვოლტერი და ქრისტე, მარქსი და ავგუსტინე. ეს კი ადამიანის დეზორიენტირებას იწვევს. წიგნის მაღაზიაში გვერდიგვერდ რომ დევს მარქსი და ბიბლია, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ საზოგადოება, როგორც დაჟინებით გვარწმუნებენ, ტოლერანტი გახდა. ეს ნიშნავს, რომ ადამიანმა დაკარგა ღირებულებათა იერარქიულად განსხვავების უნარი. საბოლოო ჯამში, ეს ქმნის ძალზე სასიამოვნო ეიფორიული მიშვებულობის განწყობას. დეზორიენტირებული ადამიანი ადვილად ემორჩილება სხვადასხვა მანიპულაციებს. ასეთი ადამიანებისაგან შედგება დღეს ცივილიზებული ქართული საზოგადოება.

ეგალიტარული ნიველირების ტენდენციამ დაუნდობლად გააშიშვლა ქართული კულტურა და წარმოაჩინა მისი უმწეობა. ეს კულტურა იმ სახით, რა სახითაც აქამდე მოაღწია, მშვიდობიანად ვითარდებოდა საბჭოთა იმპერიაში. იყო იდეოლოგიური აკრძალვები, მაგრამ საბჭოთა სისტემა ქართული კულტურისათვის საიმედო პროტექტორის როლს ასრულებდა და იცავდა მას დასავლური კოსმოპოლიტური კულტურის ექსპანსიისაგან, რომელიც მაშინ იდეალად ესახებოდა კარგი ცხოვრებით გათამამებულ ქართველს. რუსული საბჭოთა კულტურაც ექსპანსირებდა, მაგრამ ამავე დროს იგი ქართულ კულტურას თვითგანვითარების შესაძლებლობას აძლევდა. ამას იდეოლოგიურად კულტურული თვითგამორკვევა ეწოდებოდა. ქართულ კულტურას არასოდეს შეეძლო ექსპანსირება თავისი ეთნოცენტრული და პროვინციული ხასიათის გამო. რუსული კულტურა კი დასავლური კულტურის მსგავსად, ზენაციური და კოსმოპოლიტური იყო. საბჭოთა იმპერია ქართულ კულტურას იცავდა დასავლური, უკიდურესად კომერციალიზებული კულტურისაგან და მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიური აკრძალვებით ქართულ კულტურაში ზნეობრივ მინიმუმს ინარჩუნებდა. საიმპერიო პროტექციის ქვეშ ქართული კულტურა ჩანდა.

დღეს კი, ეგალიტარული ნიველირების ტენდენციამ, რომელიც თითქოს თანაბარ სასტარტო პირობებს უქმნის ყველა ხალხს და რომელსაც ორგანულად ერწყმის პოსტმოდერნული კულტუ-

რული რელატივიზმი, ქართულ კულტურას მოაშორა საიმედო პროტექტორი რუსული კულტურის სახით (საბჭოთა ათეიზმის მიუხედავად, ამ ორ კულტურას მართლმადიდებლობა აახლოებდა). ქართული კულტურა დარჩა გაშიშვლებული დასავლური კოსმოპოლიტური კულტურის ექსპანსიის წინაშე, რომელიც მტრულად არის განწყობილი მართლმადიდებლობის მიმართ. ეს ექსპანსია იმდენად ინტენსიურია, რომ რუსულ კულტურასაც იმორჩილებს, შეაქვს მასში მეტი კოსმოპოლიტიზმი და ახდენს მის ვესტერნიზებას. მაგრამ რუსულ კულტურას შემხვედრი ექსპანსიის გატარების შესაძლებლობა რჩება, რადგან იგი თავად არის კოსმოპოლიტური.

ქართული საზოგადოება დღეს შინაგანად მზად არის სარწმუნოება სანახაობაზე გაყიდოს და ეს ცივილიზებულობით გაამართლოს. დასავლური კულტურის ექსპანსიას თან ერთვის რუსული კულტურის აგრესიული ექსპანსია ქართული კულტურის მიმართ. ის სრულიად უუნაროა დაუპირისპირდეს ამ მსოფლიო კულტურებს და თვალსა და ხელს შუა გვეცლება. ექსპანსიის ერთ-ერთი ქმედითი იარაღია სექსი და სექსუალური ლიბერალიზაცია. ეს ცალკე წერილის საგანი იქნება. ყოველივეს თან ერთვის რელიგიური ექსპანსია, რაც მომაკვდინებელ გავლენას ახდენს ქართულ ცნობიერებაზე. თუ დასავლურ რელიგიურ ექსპანსიას დღევანდელ ვესტერნიზებულ მსოფლიოში აღმოსავლეთი შემხვედრ რელიგიურ ექსპანსიას – დასავლეთში ბუდიზმის, ინდუიზმის და ისლამის გავრცელებას უპირისპირებს, საქართველოს ექსპანსირება კი არა, საკუთარი რელიგიის დაცვაც უჭირს და თანდათან მომრავლდა მართლმადიდებლობის უარმყოფელი ხმები.

დღევანდელ პოლიტიკურ ტექტონიკაში არ არის მიღებული ისეთი ცნებებით ოპერირება, როგორიცაა „ექსპანსია“, „იმპერია“, „იდეოლოგია“. ექსპანსიას ეწოდება თანამშრომლობა, იმპერიას – ინტეგრაცია და თანამეგობრობა, იდეოლოგიას – ახალი აზროვნება. ასეთი ვითარება ქმნის ილუზიას, რომ ახალი მსოფლიო წესრიგი ყველა ხალხისათვის ერთნაირ პირობებს შექმნის განვითარებისა და წარსულის რეციდივებისაგან განთავისუფლებისათვის.

დასავლეთმა მომაკვდინებელი დარტყმა მიაყენა ქართულ

კულტურას. ეს კი თანამშრომლობისა და პარტნიორობის ფარგლებში მოხდა. ახლა იწყება ის, რისიც ქართულ კულტურას და მოლიანად ქვეყანას ყველაზე მეტად უნდა ეშინოდეს. ეს არის უსისხლო ასიმილირება და ისტორიული მეხსიერების სრული დაკარგვა. ეს ისეთი ასიმილირებაა, როდესაც ადამიანთა დიდი მასა მომხმარებელია და მეტი არაფერი. ეს მოხდება სიცილითა და მოწონების შეძახილებით, ცივილიზებულობისა და თავისუფლების სახელით.

ერთადერთ შეურყეველ ციტადელად, გაუმართლებელი კომპრომისული ნაბიჯების მიუხედავად, ჯერ-ჯერობით რჩება მართლმადიდებლური ეკლესია. ამის გამო Rex mundi მის მიმართ დაუფარავ მტრობას ავლენს. მართლმადიდებლობის დაცემა საქართველოს ცოცხალ მძორად ქცევას ნიშნავს. ეკლესია რჩება დასავლური კულტურის ექსპანსიის ერთადერთ შემაკავებელ ძალად. ქართული კულტურა ამ ამოცანას უკვე ვეღარ იკისრებს. მასზე იმედის დამყარება უაზრობაა. დასავლეთმა პროვინციული ქართული კულტურა მიწასთან გაასწორა. საქართველო დღეს ისეთ პირობებშია, რომ ხმამაღლაც ვერ იტყვის ამის შესახებ. ის იმგვარად არის ჩიხში მიმწყვდეული, როგორც არასდროს თავისი არსებობის მანძილზე. ყველა თანამშრომელი და მეგობარია, ყველა პარტნიორია. არავინ არის მტერი და არაა გამოკვეთილი კონკრეტულად, ვინ წარმოადგენს საფრთხეს ქართული კულტურისათვის. Rex mundi სატანურად გენიალურია. ეს არის ვითარება, როცა საქართველოს აქვს დამოუკიდებელი ქვეყნის ყველა ატრიბუტი. გაწევრებულია რიგ საერთაშორისო ორგანიზაციებში, აქვს საელჩოები და დიპლომატიური ურთიერთობანი. მრავალმა ამაყმა პროვინციელმა ყოველივე ეს ქართული პოლიტიკის უმაღლეს მიღწევად მიიჩნია. სინამდვილეში კი ასე არ არის.

ეგალიტარული ნიველირების გლობალურმა ტენდენციამ შექმნა ილუზია, რომ სუვერენობის ატრიბუტიკის შეძენით საქართველო გახდა სხვა ქვეყნების თანასწორი. ეს ატრიბუტიკა კი მხოლოდ ლოგოტიპებია. ასეთი ატრიბუტიკა და საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა მიიღო საქართველოს მსგავსმა მრავალმა ჩამორჩენილმა ქვეყანამ. ამ ქვეყნების

თვალში ნიველირების გლობალურმა ტენდენციამ უდავოდ მოიპოვა პროგრესული აზროვნების ბრჭყვიალა სახელი.

წარსულში გამორიცხული იყო მსგავსი თამაში პოლიტიკურ ტექტონიკაში. იყვნენ დამპყრობლები და იყვნენ დაპყრობილნი, რომელთაც დაუფარავად ამცირებდნენ. გამოკვეთილი იყო მტერიც და მოყვარეც. დღეს არა. დღეს ყველა თანასწორია. ამ თანასწორობას ეკისრება მტრობის გაუქმება. ამ თანასწორობას ეკისრება მაღალისა და მდაბალის გასწორება. ქართული კულტურა თავისი უძლურების გამო ეჭიდება ამ ქიმერულ თანასწორობას და მისი სახელით მსჯელობს ხოლმე, რაც განწირულის თავისმოტყუებაა.

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის კანონები მსოფლიო, ექსპანსირებადი კულტურებისათვის მისწრებაა. პროტექციას მიჩვეული ქართული კულტურა ეულად დარჩა დიდი ხალხების ზღვაში. უცხოეთში წასული ქართველი ძალზე სწრაფ ასიმილირებას განიცდის, პირველივე თაობაში უცხოელებს ემსგავსება. აქ ამაყი და ამპარტავანი ქართველი უცხოეთში შინაგანად გატეხილია, მონად და თოჯინად იქცევა.

ქართველი კაცი თავისი ბუნებით არასოდეს ყოფილა მოწოდებული უნივერსალიზმისა და მსოფლიურობისათვის. ამან განაპირობა საქართველოს მუდმივი სატელიტობა და მონობა. ერთადერთი მეფე, ვინც შეეცადა, რომ ქართველ კაცში დამპყრობლური სულისკვეთება ცეცხლითა და მახვილით დაემყნო, იყო დავით IV. ის მიზნად ისახავდა შეექმნა უნივერსალური კავკასიური კულტურა და კავკასიის ერთიანი სახელმწიფო. მან ეს მიზანი განახორციელა. არ დაინდო არავინ და არაფერი, რადგან მისთვის ეს მიზანი უმაღლესი იდეალი იყო. მან შთამომავლობას დაუტოვა ომი და არა მშვიდობა. ეს იყო საქართველოს ერთადერთი გაბრწყინება, მისი ერთადერთი მცდელობა უნივერსალური კულტურის შექმნისა. ერთიანი კავკასიის იდეა საქართველომ მიატოვა და მიეშვა. ის დაკნინდა კუთხურობითა და ტრაიბალური ომებით. ასე მოვიდა საქართველო დღემდე. ხელთ შეგვრჩა ყველაფრის გამამართლებელი მოცინარი ქართული პროვინციალიზმი. ქართული კულტურა დღეს სრულ მარაზმს განიცდის და თუ რაიმე იქმნება, ისიც ოდნავ ჩანს დასავლური კულტურული

ექსპანსიის ფონზე.

ზემოაღნიშნული გარემოებანი აძლიერებს ინდიფერენტიზმს ქართული კულტურის მიმართ. ეს ინდიფერენტიზმი მტრულ დამოკიდებულებაში გადაიზრდება. ადამიანებში არის თვითდამანგრეველი ირაციონალური ძალა, რომელიც თავს იჩენს გარკვეულ პირობებში და უპირისპირდება კულტურას, სპობს მის ჰაბიტუსს. ის, რაც უწინ სიყვარულისა და თაყვანისცემის საგანი იყო, დღეს ქილიკისა და ზიზღის საგნად იქცევა.

ყოველი ნაცია და ეთნოსი იმ ისტორიული ხვედრისა და ბედისწერის ღირსია, რაც ერგუნა. დამარცხებულთ დარჩებათ უძლურებისა და უსასოობის ცრემლები, რაც მალე ჭამა-სმითა და სანახაობით მოპოვებული სიხარულით შეიცვლება და ისინი ხალხების ზღვაში ჩაინთქმებიან.

დასავლური კოსმოპოლიტური კულტურის ქართველ მედროშეებს, რომელნიც გატაცებით მოგვიწოდებენ „ინტეგრაციისაკენ“, უნდა ახსოვდეთ, რომ მსოფლიო იდეა არასოდეს ეტევა მცირე ხალხში და მას მხოლოდ უბედურება მოაქვს. კიდევ ერთხელ ვიტყვით: მოვლენები ვითარდება არა იქითკენ, საითკენაც სიცილით მიგვითითებენ.

ჩვენ და მთელი მსოფლიო დღეს მეტაისტორიული გაურკვევლობის წინაშე ვდგავართ. მსგავსი გაურკვევლობანი დიდი კატაკლიზმების წინ დგება.

ქართული ეკლესია — სინამდვილე თუ ილუზია?*

მისიონერიზმსა და სექტანტურ პროზელიტიზმს შეუჩვეველი ქართული ეკლესია აღმსარებლობათაშორის კონკურენციულ ბრძოლაში თანდაოანობით კარგავს თავის გავლენასა და ავტორიტეტს. მსჯელობათა უმეტესი ნაწილი ქართული ეკლესიის შესახებ დაიყვანება ფორმულირებაზე, რომ ყოველივე არამართლმადიდებლური სატანურია, რომ მსოფლიოს წარმართთავენ სატანისტი მასონები. ასეთი ხერხი კი ისევ

* პირველად გამოქვეყნდა გაზეთში „მერიდიანი 44“ (6-8 სექტემბერი 2000წ.).

ქართულ ეკლესიას ვნებს. მსჯელობები მთავრდება ხოლმე მეორედ მოსვლასა და ივერიის გაბრწყინების შესახებ აზრით. რომ ამერიკა და რუსეთი დაემხობიან, საქართველო კი განდიდდება. მაგრამ განა ქართული მრევლი არ იყო, ვინც გამსახურდიასეულ ქართული მესიანიზმის იდეას დასცინა? განა ქართული საზოგადოება არ იყო, რომ ნებისმიერი მესიანიზმი და საერთოდ მესიანისტური მოლოდინის იდეა პარანოიად მიიჩნია?

დასავლური ცხოვრების წესისამებრ ქართული საზოგადოების მოწყობამ და რელიგიური პლურალიზმის დამკვიდრებამ კი არ მოაწესრიგა ქვეყანა, არამედ გააღრმავა მასში იდეური გაურკვევლობა და ურთიერთუნდობლობა. ძალზე ხანგრძლივმა უსახელმწიფოებრიობამ განაპირობა ქვეყნის სრული მოუმზადებლობა იმ რეფორმებისათვის, რომელთა განხორციელება დასავლური სიუხვისა და დეიდეოლოგიზებული საზოგადოების დამკვიდრებას გულისხმობს.

ეს მოუმზადებლობა და შინაგანი შეურიგებლობა დასავლური კულტურისადმი ვლინდება იმ მოწოდებებში, რომელნიც რელიგიური პლურალიზმის აღმოფხვრას გულისხმობენ. არაა სწორი, როცა დღევანდელი მსოფლიოს სახე მორელიგიო მსჯელობებში განიმარტება როგორც სატანურ ძალთა გავლენით შექმნილი. ასეთი მსჯელობები იმას გულისხმობს, რომ სწორედ ქართულ მართლმადიდებლობას აქვს ამ მსოფლიოსაგან განსხვავებული სულიერი, მაცხონებელი ძალა. თქმა იმისა, რომ მართლმადიდებლური საქართველო თავის თავში ინახავს რაღაც დასავლეთზე აღმატებულ სათნოებასა და ზნეობას, სასაცილოა. უფრო მეტი თვალთმაქცობა კი ის არის, რომ იწყება ლაპარაკი დასავლელი ადამიანის გამოთვლითა და ტექნიკით გატაცების შესახებ, მისი უზნეობის და ურწმუნოების შესახებ. მაგრამ ამის შესახებ თვით დასავლელი მოაზროვნენი არ ლაპარაკობენ? განა ამას არ ამბობს მრავალი კათოლიკე თუ პროტესტანტი ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი? საქართველოში ვის რას ასწავლიან? თუ დასავლეთში თვითონვე ამჩნევენ ადამიანის ტექნიციზმით გატაცებას და ეძებენ გზებს დასავლური კულტურის კრიზისის დასაძლევად, ეს ამ კულტურის სიძლიერეზე მიუთითებს. ქართულ საზოგა-

დოებას რითი შეუძლია დაძლიოს საკუთარი კულტურის კრიზისი?

ცივილიზაციის დღევანდელი სახე შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი, როგორიც ის არის. სწორედ მასთან უდიდეს წინააღმდეგობაში იმყოფება ქართული მართლმადიდებლობა. დასავლური სინამდვილე არის ის, რაც იშვა დიდი ფრანგული რევოლუციის, ათეისმისა და სოციალიზმის მიერ. გაუგებრობათა მთელ წყებას ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი, როცა დასავლური დემოკრატია ქართული მართლმადიდებლური დოქტრინისათვის შესატყვის წყობად იქნა მიჩნეული იმის საფუძველზე, რომ ეს დემოკრატია გმობდა ბოლშევიზმს და ამხელდა საბჭოთა ათეიზმს.

ქართულმა საზოგადოებრივმა აზროვნებამ ვერანაირად ვერ იგუა დასავლეთისათვის დამახასიათებელი სულ უფრო და უფრო მზარდი ლიბერალიზმი კულტურაში, იდეების სფეროში. ამიტომ არის, რომ იგი სულ უფრო ხშირად მიუთითებს ქართულ მართლმადიდებლობაზე, როგორც ყველა იდეაზე აღმატებულ ჭეშმარიტ სწავლებაზე.

პროტესტანტული ეთიკა და ცხოვრების ნორმები, რომლითაც დასავლური კულტურაა გამსჭვალული, ქართული ცნობიერებისა და ქართული ცხოვრების წესისათვის მიუღებელი რჩება. ქართული საზოგადოება დასავლური საზოგადოების უხეირო ასლია. თუ მან თვითონ აირჩია დასავლური ცივილიზაცია, როგორც განვითარების ერთადერთი გზა, როგორც ერთადერთი შესაძლებლობა ქვეყნის არსებობისა, რატომღა არის საზოგადოებისათვის მიუღებელი და სამძიმო ამ ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი ყოვლისმომცველი პლურალიზმი? გამოდის, რომ მან ან თავიდანვე ვერ განსაზღვრა რა სურდა, ან ვერ გაერკვა იმაში, რაზეც მუდამ მიუთითებდა, როგორც ჭეშმარიტ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაზე, რომლის არსებობა ეკლესიის მიერ იყო მოწონებული.

ქართულ აკადემიურ წრეებს არ შეუძლიათ წინ აღუდგნენ რელიგიის პროფანაციის ტენდენციის გაღრმავებას. ქართულმა ინტელიგენციამ არ იცის რა იღონოს საკუთარი კონფესიის დასაცავად. რელიგიური კონფორმიზმი ძალზე ხშირად რწმე-

ნის სიმტკიცედ საღდება. ქართული ინტელიგენცია არასოდეს ყოფილა ეკლესიისადმი დისიდენტურად განწყობილი და რელიგიური მაძიებელი. უნივერსიტეტისა და ეკლესიის დაპირისპირება არასოდეს ყოფილა საქართველოში. შუა საუკუნეებში ეკლესიებთან დაარსებული სასწავლებლები თუ აკადემიები ისევ ეკლესიის წიაღში ჩაიკარგნენ და არა გამოეყვნენ მას, როგორც ეს ევროპაში მოხდა. ქართული ინტელიგენცია არ არის ის, ვისაც შეუძლია საეკლესიო დოქტრინის განახლებისა და რეფორმაციისათვის ბრძოლა დაიწყოს. დამოუკიდებელი რელიგიური აზრის ჩამოყალიბება და მისი დაცვისათვის ბრძოლა ინტელიგენციისათვის სამძიმოა. ის ასპარეზი, რომელზეც ქართული საუნივერსიტეტო წრეების წარმომადგენელნი უნდა იდგნენ თავიანთი იდეებით, თანდათან ივსება რელიგიური თაღლითებით და მათი მადევარი ბნელი ადამიანებით. დღეს ხდება კათოლიკურ ევროპასთან ქართული მართლმადიდებლობის შეურიგებლობის იდეით სპეკულირება. ამ დროს მიუთითებენ ტრადიციაზე და ქვეყნის წარსულზე. მაგრამ იყო ტრადიციაც, მომდინარე იოანე პეტრიწის (XI საუკუნის მეორე ნახევარი - XII საუკუნის პირველი მესამედი) დროიდან, რომელიც ანტიკური აზროვნების მონაპოვრების შესწავლისა და დაცვის აუცილებლობაზე მიუთითებდა. ქართული საღვთისმეტყველო აზროვნების ისტორიაში იოანე პეტრიწი უდიდესი ავტორიტეტია. პეტრიწისდროინდელი ტრადიცია შეურიგებლობის ტრადიციამ სრულიად დათრგუნა და ის თანდათან გაძლიერდა ბიზანტიის დაცემის შემდეგ. ქართულ მართლმადიდებლობას მსოფლიო ასპარეზზე გასვლის შესაძლებლობა აღეკვეთა. ქართულ მართლმადიდებლობას ეროვნული, ეთნოცენტრული სულისკვეთება გააჩნდა და არა მსოფლიო-ქრისტიანული. როდესაც ლაპარაკობენ ქართული ეკლესიის განსაკუთრებულ ღვაწლზე, აქ უნდა ვიგულისხმოთ ბრძოლა ეთნიკური ცნობიერების შენარჩუნებისათვის და არა ბრძოლა ქრისტიანული მისიონერიზმისათვის. საქართველო თავისი არსებობის მანძილზე უმეტესწილად მსოფლიო იმპერიების პროვინცია იყო და ქართულმა ეკლესიამ ქრისტიანობის მსოფლიურობა ქართულ ეროვნულ იდეამდე დაამცრო, რათა ამ გზით გაიოლებულიყო ქრისტიანული

საერთაშორისობის მორგება ქართულ ეთნოცენტრიზმთან.

ინტელიგენცია თავისი რელიგიური კონფორმიზმით ცუდ სამსახურს უწევს ქართულ ეკლესიას. ის ორაზროვან მდგომარეობაში იმყოფება. ქართული საუნივერსიტეტო წრეები რევოლუციურ, ათეისტურ და რელიგიის უარმყოფელ მეცნიერების იდეებზე აღიზარდნენ. ასევე იყო დასავლეთშიც. ინტელიგენციამ გორბაჩოვისეული გარდაქმნის დოქტრინის გამოცხადების შემდეგ თავისი ანტიკომუნიზმი დააფუძნა რელიგიას. ამით მან თავისი თავი უარყო. ეკლესიას არ აღუზრდია საუნივერსიტეტო წრეები, არამედ ის ყოველთვის მისი ანტაგონისტი იყო. დღეს კი ინტელიგენცია თავის დიდ მიღწევად თვლის იმას, რომ ეკლესიის გვერდით დგას. თავის მხრივ, ეკლესიაც დიდი მოწონებით ხვდება ინტელიგენციის ასეთ ქცევას. დაიწყო ინტელიგენციის იდეური კვდომა და მას ვერ შეაჩერებს მითითება ეკლესიაზე. პოსტსაბჭოთა ინტელიგენციის ეკლესიასთან გაერთიანება არა ზნეობრივი გმირობის, არამედ ინტელიგენციის, როგორც საზოგადოებრივი ავტორიტეტის, დაცემის მაჩვენებელია. ინტელიგენციამ ათეიზმის პრობლემა საბოლოოდ ამოწურულად მიიჩნია და ახლა მისთვის მოსაწონია ლაპარაკი იმაზე, თუ რა წერია საღვთო წერილში, რა თქვა ამა თუ იმ წმინდა მამამ, თუ როგორ აპირებს მავანი ეკლესიის აშენებას.

დასავლეთში საუნივერსიტეტო წრეები არ დაახლოებიან ეკლესიას ისე, როგორც ეს აქ მოხდა. თუ ეს დაახლოება უდავოდ ზნეობრივი გამარჯვების დასტურად მიიჩნევა, მაშ რატომღა არის, რომ ინტელიგენციას აზრი დაშრეტია? რატომ ვერ მისცა მას ეკლესიამ სულისა და აზრის აღმაფრენა? თუ იშვა პოსტსაბჭოთა ინტელიგენციის წიაღში დიდი საღვთისმეტყველო ან ფილოსოფიური აზრი, რომელიც ათასებს გადასწვდებოდა? ვინ არის ისეთი ავტორიტეტული ინტელიგენტი, რომელსაც თავისი უგუნური თანამემამულენი მოუსმენენ? ეკლესიამ ინტელიგენციასთან მჭიდრო დაახლოებით თუ შეიძინა რაიმე ღირებული?

რელიგიის პროფანაცია ათეიზმზე გამარჯვების სახელით, ჯერ კიდევ არ მისულა თავის უკიდურეს ზღვარამდე. ინტელიგენცია თავისი კონფორმიზმით ხელს უწყობს

რელიგიური აზრის ჩაკვლას. ნებისმიერი რელიგიური დიალოგი სწრაფად იქცევა ხოლმე მორელიგიო ბინძურ პოლემიკად, მუქარად და ურთიერთშეურაცხყოფად. უმეტეს შემთხვევაში, ქართულ საზოგადოებაში ჭეშმარიტ რელიგიურობად გაგებულია მხოლოდ მართლმადიდებლობა. ამ დროს ინტელიგენცია დუმს. კი მაგრამ, რა კრიტერიუმით შეიძლება იმის განსაზღვრა, რომ ეკლესია დღეს შეუმცდარია? რელიგიურ საკითხებზე მსჯელობას ინტელიგენცია თავიდანვე დასრულებულად მიიჩნევს იმით, რომ მიუთითებს საეკლესიო დოქტრინაზე. მას არ უფიქრია ამ საკითხებზე და თავიდანვე ასეთი შეურიგებელი და უაპელაციო არის თავის მსჯელობებში. დიდი რელიგიური აზრი დიდი ძიებისა და მტანჯველი ფიქრის ნაყოფია. ავგუსტინე ქრისტიანი სწორედ დიდი ძიების შემდეგ გახდა და მისი კატეგორიულობა მისივე რელიგიური გამოცდილებისგან მომდინარეობს. ინტელიგენციამ თუ იფიქრა, როგორ არის ამ სამყაროში ღმერთი? იყო თუ არა ოქტომბრის რევოლუცია ბედისწერა? იყო თუ არა ბოლშევიკური ათეიზმი განგების ძალით? დასცინო ყველაფერს დასავლეთზე მითითებით და იოხუნჯო მარქსზე, არაფერს ნიშნავს. წარმოვიდგინოთ, რა იქნებოდა დასავლური კულტურა ჯორდანო ბრუნოს ან ბარუხ სპინოზას გარეშე? მიუტევებელ შეცდომად მიგვაჩნია ის, რომ ათეიზმის ფილოსოფიური დაფუძნება სიყალბედაა მიჩნეული ინტელიგენციის მიერ, რომ ათეისტური ზნეობრიობის შესაძლებლობის შესახებ მსჯელობა უარყოფილია. რითი ვართ ჩვენ ფრანგ განმანათლებლებზე ან დიდ ათეისტ მეცნიერებზე მეტნი? ვის ვამეტებთ თავს ჩვენი ეკლესიაში სიარულით? ასე ადვილი რომ ყოფილიყო ღმერთთან მისვლა და ღმერთის შემეცნება, აღარ იქნებოდნენ დიდი ფილოსოფოსნი და ღვთისმეტყველნი. ყველგან, სადაც გავიხედავთ, აზროვნების დაცემას და ამ დაცემის ღმერთის სახელით გამართლებას წავაწყდებით პოსტსაბჭოთა ქართულ საზოგადოებაში. რა შორსა ვართ იოანე პეტრიწისაგან, ისე შორს, თითქოს მას ქართულად არ ეფიქროს და ეწეროს.

არაქრისტიანულ სწავლებათა საკანურად მიჩნევით ამ სწავლებათა უდავოდ დიდ მნიშვნელობას ვერ დავამცრობთ. ადრეული ქრისტიანობის დროს ანტიკური ფილოსოფია და მისი

მასწავლებლები სატანურად მიიჩნეოდნენ ქრისტიანული აზროვნების მთელი შეურიგებლობითა და კატეგორიულობით, მაგრამ გამოხდა ხანი და ქრისტიანულმა აზროვნებამ მისგანვე შეჩვენებული ანტიკური ფილოსოფია თავის წიაღში დააბრუნა. რა ვთქვათ ახლა ჩვენ, სატანაზე ლაპარაკით ასე გატაცებულებმა – ეკლესია მაშინ ცდებოდა, როცა ანტიკური ფილოსოფია შეაჩვენა, თუ მაშინ – როცა მისი შესწავლის აუცილებლობაზე მიუთითა?

ის, რომ არაქრისტიანულ კონფესიათა იდეები მამხილებლური მორალი'სებით უარიყოფა სამღვდელოთა, თუ საეროთა მიერ, ქართულ მართლმადიდებლობას მხოლოდ ვნებს. ინდუისტური კონცეპციები, რომელნიც დასაბამს იღებენ უძველესი არიების აზროვნებიდან, ქრისტიანობისაგან განსხვავებული სახით ავითარებენ ღმერთის და სულის იდეას. ბუდისტური კონცეფციები ადამიანის ზნეობრივ სრულყოფაზე აკეთებენ აქცენტს და ღმერთის იდეა თავდაპირველ ბუდი'სმში არ იყო. განსხვავებულობა ქრისტიანულ და ბუდისტურ აზროვნებას შორის სულაც არაა ბუდიზმის მხილებისა და უარყოფის საფუძველი. საქართველოში ისე იქცევიან, თითქოს ადამიანად არავინ დაბადებულა ქართველის გარდა და ღმერთის შემეცნება არავის უცდია. საიდან მოდის ასეთი არაფრადჩამგდები და მტრული დამოკიდებულება სხვა კულტურების მიმართ? გარდა ამისა, გასარკვევია ისიც, რა რასთან მიმართებაში არის სექტანტური. ამის გაურკვევლობას მივყავართ იქამდე, რომ ნებისმიერი ფილოსოფიური სწავლება ან კონფესია სექტად მიიჩნევა. აქ რომ დაოიზმის ერთ-ერთმა მიმართულებამ დაიწყოს მისიონერული ქადაგება, ის ჩვენთვის სექტა კი არა, არამედ პროზელიტური დაოიზმი იქნება. კათოლიკე მისიონერთა ქადაგება ჩინეთში ჩინელთათვის არა სექტანტობა, არამედ პროზელიტური ქრისტიანობაა. ვი'შნუიზმი საქართველოში სექტა კი არა, არამედ მისიონერული ინდუიზმია. სექტა არის იეჰოვას მოწმეთა ორგანიზაცია, ან ორმოცდაათიანელთა ორგანიზაცია, იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით, რა არის ქრისტიანობა და ვიცით, რომ მას გამოეყო ეს ქრისტიანული მიმდინარეობები, ისევე როგორც არიან ბაპტიზმი, მეთოდიზმი და სხვები, მაგრამ ძველ მართლმადიდებლებს ვერ ვუწოდებთ სექტას. ხოლო თუ

ჩვენ არ ვიცით დაოიზმი, არ ვიცით ინდუიზმი, მაშინ ვერ ვილაპარაკებთ დაოისტურ ან ვიშნუიტურ ჯგუფებზე როგორც სექტებზე. ასევე სექტას ვერ ვუწოდებთ შტაინერის მიმდევართა ჯგუფს, იმიტომ რომ ჩვენ არ ვიცით, რა იყო თეოსოფია შტაინერამდე, არ ვიცით ის ინდუისტური სწავლებები, რომელთაც შტაინერი იყენებს. სუფიზმი ჩვენთვის სექტა კი არა, არამედ ეზოთერული ისლამია. ისლამისადმი დამოკიდებულება საქართველოში ყოველთვის ზერელედ მტრული იყო. იმის გამო, რომ საქართველო ისლამური იმპერიების უკიდურეს პროვინციას წარმოადგენდა, აქ არ აღწევდა ცნობილ მუსლიმ ღვთისმეტყველთა და დერვიშთა ორდენების სწავლებათა შუქი. ისლამური ღვთისმეტყველება კი არა, ქართველმა არისტოკრატიამ ქრისტიან მამათა სწავლებაც არ იცოდა. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ისლამთან და მის კულტურასთან საუკუნოვანი ურთიერთობა ჰქონდა, აქ ყურანიც კი არ იყო თარგმნილი XIX ასწლეულამდე, ესე იგი მანამდე, როცა საქართველომ სრულიად გაწყვიტა ურთიერთობა აღმოსავლეთთან, დაიწყო სპარსული კულტურის გავლენის აღმოფხვრა და რუსეთთან შეერთებით იგი ევროპეიზაციის გზას დაადგა. ისლამი საქართველოში გაიგებოდა როგორც დაუნდობელი დამსჯელი და დამპყრობელი. დაპყრობილ ქვეყანაში თავნება ყადი ან უვიცი ფაშა, რომელთა გამგებლობაშიც საქართველო შედიოდა, ისლამის ზნეობრივ სახედ მიიჩნეოდნენ.

ქართული ეკლესია დღეს წარმოუდგენლად დიდ წინააღმდეგობაშია დასავლურ ცივილიზაციასთან, პოსტსაბჭოთა სინამდვილესთან. რელიგიური პლურალიზმი ეკლესიისათვის მომაკვდინებელი აღმოჩნდა. ეკლესია ხან სექტანტობის და მისიონერული ჯგუფების აკრძალვას ესწრაფვის და უბირთა ხელით ნარის გლეჯვას ცდილობს, ხან კიდევ ლაპარაკობს მშვიდობიან თანაარსებობასა და ურთიერთპატივისცემაზე. კანონის მიღება რელიგიის შესახებ ვერ აღმოფხვრის ეკლესიასა და დასავლურ ცივილიზაციას შორის წინააღმდეგობას. რელიგია გულისა და რწმენის საქმეა და კანონი აქ უძლურია. იქმნება ისეთი შეხედულება, რომ ყველა ცდება გარდა ეკლესიისა, რომ მხოლოდ მართლმადიდებლებს შეიძლება ჰქონდეთ განკითხვის დღეს ცხონების იმედი. გარდაქმნისშემდგომი აღორძინებული

რელიგიურობა აღმოჩნდა თვალთმაქცობა და კონფორმიზმი. ეკლესიას არ შეუძლია ითავოს ერის წინამძღოლობა და მას ამაში ვერ წაეხმარება ინტელიგენციისა და გაუნათლებელი მრევლის მის გვერდით დგომა. ამაში დრომ დაგვარწმუნა. საჭიროა ახალი აზრი, ძიება, რომელიც ქართულ ეკლესიას სიცოცხლეს შთაბერავს.

აღმოსავლური პროზელიტიზმის საკითხისათვის*

აღმოსავლურ რელიგიათა შესწავლის ფილოსოფიური და სამეცნიერო ტრადიცია საქართველოში არ არსებულა. ამის მიზეზი მხოლოდ ბოლშევიკური ათეიზმი არ ყოფილა. წინა ასწლეული, ილიასა და აკაკის ასპარეზზე გამოსვლის დროიდან, საერთოქართული კულტურის დიდი განვითარების პერიოდი იყო, მაგრამ ეს განვითარება რელიგიურ აზროვნებას არ შეხებია. ეს განვითარება სოციალური და პოლიტიკური პრობლემატიკის გავლით წარიმართებოდა. მარქსიზმის გავრცელებამ გამოიწვია რელიგიის უარყოფა და ეს უარმყოფელი დამოკიდებულება რელიგიისადმი წითელ ხაზად გასდევს ქართული კულტურის განვითარებას დაწყებული XIX ასწლეულის 60-იანი წლებიდან, ვიდრე XX ასწლეულის 20-იან წლებამდე. ამ დროს ასეთივე იყო რელიგიისადმი დამოკიდებულება ევროპასა და რუსეთში, მაგრამ იქ რელიგიური აზრი ფილოსოფიური კვლევის საგანს წარმოადგენდა, რამაც შესაძლებელი გახადა შენარჩუნებულიყო რელიგიათა შესწავლის კულტურული ტრადიცია. რუსეთში რელიგიური აზრის ფილოსოფიური კვლევის შესაძლებლობა ოქტომბრის რევოლუციამ მხოლოდ 20-იანი წლებისათვის აღმოფხვრა.

თავისი უძველესი ქრისტიანობის მიუხედავად, ქართველს არ ახასიათებს ისეთი რელიგიურობა, როგორც გერმანელს, ფრანგს ან რუსს. წინა ასწლეულიდან გერმანულ ფილოსოფიაზე ორიენტირებული ქართული ფილოსოფიური აზრი რელიგიური საკითხებით ნაკლებად ინტერესდებოდა. ქართულმა ფილოსოფი-

* პირველად გამოქვეყნდა ყოველკვირეულ გაზეთში „მერიდიანი 44“ (15-22 ნოემბერი, 2000 წ.).)

ამ გულისყური ფილოსოფიის ისტორიას, ლოგიკას და მეცნიერების ფილოსოფიას მიაპყრო. დღეს ღმერთსა და ტაძარზე მითითებით მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის უარყოფა ვერ უწყობს ხელს რელიგიური აზროვნების ტრადიციის ჩამოყალიბებას არა საეკლესიო, არამედ საუნივერსიტეტო წრეებში. ამ ტრადიციის ჩამოყალიბება უნდა დაიწყოს იოანე პეტრიწის მემკვიდრეობაზე დაყრდნობით. პეტრიწის ნააზრევი აერთიანებს ანტიკურ ფილოსოფიას და ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას. საუნივერსიტეტო წრეებისათვის ღვთისმეტყველება არ უნდა ამოიწურებოდეს წერილსა და ეკლესიაზე მითითებით. დღეს სწორედ ამგვარი მითითება განსჯის დასაწყისად და დასასრულად გამოდის. უკან პეტრიწისაკენ! აი, ეს უნდა იყოს სახელმძღვანელო თეზისი საუნივერსიტეტო წრეებისათვის. სწორედ პეტრიწთან დაბრუნება უნდა იქცეს რელიგიური ძიების წინსვლის საფუძვლად. პეტრიწისეული საგანძური მაცოცხლებელ წყაროდ უნდა ექმნეს ჩვენი დროის რელიგიურ-ფილოსოფიური აზრის განვითარებას. ამ წყაროს უნდა გაარღვიოს სარწმუნოებრივი ქსენოფობიითა და ეთნოცენტრიზმით შემოზღუდული სივრცე და გაიჭრას აღმოსავლეთისაკენ. აღმოსავლურ რელიგიათა კვლევის საფუძვლად უნდა იქცეს ქართული ორიენტალისტიკის მიღწევები. ჩვენ დღეს ხელთა გვაქვს საუკეთესო ქართველი არაბისტების, ირანისტების, თურქოლოგების ნაშრომები, მაგრამ ეს არის ისტორიოგრაფიული გამოკვლევები და მათში რელიგიისადმი აღწერითი დამოკიდებულების გამო მუდამ უკმარისობის გრძნობა ჩნდება. უნდა დაიწყოს ისლამური საღვთისმეტყველო აზრის კვლევა და წარმოჩენილ იქნეს დასავლეთთან მისი რადიკალური დაპირისპირების მიზეზები. საქართველო საკუთარი კულტურული წარსულითა და კავკასიაში ყველაზე მაღალკულტურული ქვეყნის სტატუსით არის დავალებული, რომ აღმოსავლეთს დაუახლოვდეს, რომ შეეგებოს აღმოსავლურ პროზელიტიზმს როგორც განათლებული ქვეყანა და არა როგორც ბნელი პროვინცია. ისლამური, ინდუისტური და ბუდისტური პროზელიტიზმი მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება.

აღმოსავლურ რელიგიათა კვლევის კულტურული ტრადიცი-

ის არარსებობამ მწვავედ იჩინა თავი პროზელიტურ ორგანიზაციებზე ტენდენციური მსჯელობისას. აქამდე რუსული საიმპერიო პროტექციის ქვეშ მყოფ, კონკურენციისგან საიმედოდ დაცულ ქართულ ეკლესიას გაუჭირდა შემხვედრი პროზელიტიზმის წარმართვა. ამიტომ, როცა ლაპარაკია აღმოსავლურ პროზელიტიზმზე, სამღვდელონი მუდამ ცეცხლზე ნავთს ასხამენ, ხოლო საუნივერსიტეტო წრეებში კი ვერ აკავებენ ბრიყვულ მხილებათა მოძალებას. ტელევიზიით გამოდის პროზელიტიზმზე მომსჯელე ადამიანი და ეკრანზე ტიტრით აღინიშნება, რომ ის არის თეოლოგი. ამით ტელეაუდიტორია სურთ დაარწმუნონ იმაში, რომ არის განსაკუთრებული რამ, თეოლოგია, და ვინც არის თეოლოგი, ის რაღაც ცოდნას ფლობს. ხოლო ეს მცოდნეობა ამართლებს იმ უაზრობის საჯაროდ წარმოთქმას, რომელიც პროზელიტიზმის საკითხს ეხება. თუ აღინიშნება, რომ ტელევიზიით გამომსვლელი თეოლოგია, უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომელი კონფესიის თეოლოგი არის ის. ამას არ ექცევა ყურადღება საზოგადოების რელიგიური გაუნათლებლობის გამო. ტელევიზიით გამოსული თეოლოგი კი დემოკრატიაზე ლაპარაკობს იმ ფრაზების გამოყენებით, რომელთაც ჩვენ ყოველდღე ვისმენთ ყველა რანგის ტრიბუნიდან. დემოკრატიაზე მოლაპარაკენი ისედაც საკმარისად არიან და თეოლოგი, თუ ის საჯაროდ გამოდის, რაღაც ისეთზე უნდა მსჯელობდეს, რაც ადამიანთა გულებში კვალს დატოვებს. გამომსვლელი თეოლოგი კი არ არის, არამედ საპატრიარქოს თანამშრომელი და სასულიერო აკადემიის ლექტორია. თუ ადამიანი არის ფილოსოფოსი, რელიგიის მკვლევარი ან რელიგიის ისტორიის მასწავლებელი სამღვდელო ან საერო პირი, ეს არ ნიშნავს, რომ იგი თეოლოგი არის. დღეს საქართველოს არა ჰყავს ღვთისმეტყველი, რომელიც თავის გარშემო გულანთებული ადამიანების შემოკრებას შეძლებდა, ღვთისმეტყველი, რომელიც იფილოსოფოსებდა ვითარცა იოანე პეტრიწი. საქართველოს ჰყავს საეკლესიო პირები და უნივერსიტეტებში მოღვაწე რელიგიის ისტორიკოსები, მაგრამ ღვთისმეტყველი, როგორც ეს დასავლეთში და აღმოსავლეთში (ირანი, სირია, ეგვიპტე, იაპონია, ინდოეთი, ჩინეთი) არის, რომელიც მკვლევარი და ფილოსოფოსებთან

მოპაექრე იქნებოდა, არ გამოჩენილა. პროტესტანტი ღვთისმეტყველი ადოლფ ჰარნაკი (1851-1930), რომელიც ქართული კულტურით დიდად დაინტერესებული იყო, იკვლევდა ადრეულ ქრისტიანობას და ანტიკური ავტორების მისადმი დამოკიდებულებას. კათოლიკე ღვთისმეტყველი დიტრიხ ფონ ჰილდებრანდი (1889-1977) ჰაიდეგერის ოპონენტად გამოდის და ქრისტიანული ზნეობის პოზიციიდან უარყოფს მის დებულებებს.

საუნივერსიტეტო წრეები კი ლაპარაკობენ გორბაჩოვისეული გარდაქმნის პერიოდის დასაწყისიდან რელიგიის აღორძინებასა და ათეიზმის მავნებლობაზე, მაგრამ როგორც ორთოდოქს, ასევე კათოლიკე და პროტესტანტ ღვთისმეტყველთა აზრი ვერ ახდენს გავლენას საუნივერსიტეტო წრეებზე და ვერც ეს უკანასკნელი ახდენს გავლენას ქართულ ეკლესიაზე. ეკლესიაზე მუდმივი მითითება რელიგიურ ფიქრს არ ნიშნავს. ამის გამოა, რომ საზოგადოება, რომელიც გამუდმებით წარმოაჩენს თავის რელიგიურობას, სინამდვილეში რელიგიურ ინტენციას მოკლებულია.

რელიგიურ და ფილოსოფიურ აზრს შორის მკვეთრი ზღვარის გავლება შეუძლებელია. ასე იყო ანტიკურ კულტურაში, ასე არის ინდუიზმში, ბუდიზმში, ისლამში. ქრისტიანობა ერთადერთია, რომელმაც ფილოსოფია მოციქულთა დროიდან მოიძულა და შერისხა. ის, რომ ფილოსოფია შუა საუკუნეების ევროპას დაუბრუნდა, ამაში არაბულ კულტურას მიუძღვის დიდი წვლილი.

რელიგიათა შესწავლის ფილოსოფიური ტრადიციის არარსებობამ თავი იჩინა ტრადიციონალიზმის გაგებაშიც. ტრადიციონალიზმის სოციალური და რელიგიური გაგება გულისხმობს ეთნიკური ადათების მიხედვით ცხოვრებას და წინაპართა მიერ დადგენილი ნორმების დაცვას. ამ დროს არ ექცევა ყურადღება იმას, რომ ეთნიკურ ტრადიციებს მიყოლა არ იცავს ადამიანსა და საზოგადოებას სოციალური, რელიგიური და ზნეობრივი კრიზისისაგან. ტრადიციებს მიყოლა არ იცავს რელიგიას ტრადიციის დაკარგვისა და პროფანაციისაგან. ესე იგი, რელიგიის ტრადიცია ტრადიციის ჩვეული გაგებისაგან განსხვავებულ გაგებას გულისხმობს. ფილოსოფიის ისტორიაში არსებული აკადემიური ტრადიცია დიდი სკეპტიციზმით უცქერს

ყოველგვარ მისტიკასა და ეზოთერიზმს. ეზოთერულ სწავლებათა მიერ ტრადიცია სულ სხვანაირად გაიგება, ვიდრე ეს არის ფილოსოფიასა და რელიგიაში. ეზოთერულ სწავლებათა მიხედვით, ქრისტიანობას საკრალური ტრადიცია დაკარგული აქვს და ,მაგალითად, ამაში ბრალს სდებენ პროტესტანტიზმს ან დეკარტის რაციონალიზმს. ეკლესია, ცხადია, ასეთ შეფასებას არ ეთანხმება და ეჭვით უცქერს ეზოთერისტებს, როგორც გუსას გადაცდენილ ერეტიკოსებს.

საზოგადოებრივი აზროვნებისათვის, ყველაფრის მიუხედავად, ტრადიციის ცნება მიმზიდველი რჩება და ამ ცნებას ის უსადაგებს ისეთ ვითარებებს, რაც ტრადიციის ცნების გაგებაში მეტი ბუნდოვანების შემტანია. საზოგადოებრივი აზროვნება ამ ცნების უხშირესი გამოყენებით ცდილობს წარმოიდგინოს, რომ არის რაღაც მყარი, რომელიც ყველა ცვალებადობის დროს უცვლელი რჩება, რომელსაც ვერ სწვდება ყოვლისმომცველი დამცინაობა და კრიტიკანობა.

ტრადიციის შესახებ, მისი დაკარგვის თუ შენარჩუნების შესახებ უმძაფრესი პოლემიკა თვით რელიგიათა შიგნით მიმდინარეობს. სხვადასხვა ჯგუფები ბუდიზმში, ინდუიზმში, ისლამში ერთმანეთს ბრალს სდებენ საკრალური ტრადიციის დაკარგვაში. ამ პოლემიკაში გარკვევა მოითხოვს საკითხით არა სნობისტურ, არამედ გულით დაინტერესებას. საკრალურ ტრადიციასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი არსებითი ვითარება, რაზედაც მკითხველის მთელი გულისყური გვინდა მივაპყროთ. ტრადიციის ქონა-არქონის საკითხი კარგავს მნიშვნელობას უცხოეთში მოღვაწე პროზელიტური ორგანიზაციისათვის. მაგალითად, ბუდისტური ორგანიზაცია იწყებს მისიონერულ საქმიანობას არაბუდისტურ ქვეყანაში. ეს ორგანიზაცია თავის ქვეყანაში სხვა ბუდისტური ჯგუფების მიერ მიიჩნევა ტრადიციას მოკლებულად, მაგრამ როდესაც იგი მისიონერული მიზნით შედის სხვა ქვეყანაში, ამ დროს ტრადიციის ქონა-არქონა კი არაა მნიშვნელოვანი, არამედ ის, რომ ეს ორგანიზაცია ბუდიზმის გამავრცელებელია. ის არის პიონერი უცხო ქვეყანაში, სადაც ბუდიზმის შესახებ არაფერი უწყიან. შეუძლებელია ისიც, რომ არაბუდისტური ქვეყნის დაინტერესებულმა პირებმა პროზელიტური ბუდისტური ორგანი-

ზაციისაგან მოითხოვონ საკრალური ტრადიციის ქონა. ამ მოთხოვნამდე რომ მივიდნენ, მათ უნდა გაიარონ სწავლების გზა. მანამდე კი, ბუდიზმის საფუძვლებს ისინი ეზიარებიან პროზელიტური ბუდისტური ორგანიზაციის წყალობით. საკრალური ტრადიციის ძიება უკვე თითოეული ნეოფიტის პირად ინიციატივასა და რელიგიურ თავდადებაზეა დამოკიდებული. შეუძლებელია, რომ პროზელიტურმა ბუდისტურმა, ინდუისტურმა ან ისლამურმა ორგანიზაციამ უცხო ქვეყანაში მზა სახით შეიტანოს თავისი მოძღვრების საკრალური ტრადიცია, თუ ის მას გააჩნია. ამას სჭირდება დიდი დრო, კულტურული მუშაობა. ბუდისტი მისიონერები ევროპასა და ამერიკაში მრავლად არიან. ასევე მრავლად არიან პროზელიტებიც (ბუდიზმს შემდგარი ყოფილი ქრისტიანები), მაგრამ საკრალური ტრადიციის მქონე ბუდისტური ორგანიზაციები საეჭვოა, რომ დასავლეთში იყვნენ. ყველა მსოფლიო რელიგია დგას იმ საფრთხის წინაშე, რომ მისიონერიზმი და პროზელიტიზმი იწვევს ამ რელიგიებში არსებული საკრალური ტრადიციის დამცრობას, დამახინჯებას ან სრულად დაკარგვას. რელიგიის გავრცელებისათვის ხდება საჭირო რაღაც გამარტივებების დაშვება, რათა პროზელიტებისათვის კონფესიური დებულებები ადვილად გასაგები იყოს. ყველა დიდ რელიგიას აქვს ეგზოთერული და ეზოთერული მხარეები და რელიგიური ეგზოთერიზმი დასაშვებს ხდის საკუთარი სწავლების გამარტივებული სახით გავრცელებას. ცხადია, ამ დროს საკრალურ ტრადიციაზე ლაპარაკი ზედმეტია. ყველა პროზელიტური რელიგიური ორგანიზაცია ცდილობს გაავრცელოს საკუთარი საღვთო სწავლება. ამ დროს ისინი ამაზე ამახვილებენ ყურადღებას და არა ეზოთერული მნიშვნელობის საკრალური ტრადიციის წარმოჩენაზე. მასთან ზიარებისათვის კი აუცილებელია ადგილზე მისვლა, იმ ადგილზე, სადაც რელიგიური ცენტრია და საიდანაც ესა თუ ის რელიგიური ორგანიზაცია გამოვიდა პროზელიტური მიზნით. საკრალური ტრადიცია არ წარმოჩნდება. ის დაფარული სახით არსებობს მხოლოდ თავდადებულ რჩეულთათვის და შესაბამისად, იგი არ ელტვის მისიონერიზმს. კი წერია წერილში, რომ „წადით და მოიმოწაფეთ“, მაგრამ ქრისტე იმასაც ასწავლის მოციქულებს,

რომ „ნუ მისცემთ სიწმინდესა ჩემსა ძაღლთა, ნუცა დაუგებთ მარგალიტთა თქვენსა წინაშე ღორთა...“. რელიგიური მისიონერი იძულებულიც კი ხდება დაუშვას რაღაც გამარტივებები, რათა განამრავლოს მიმდევარნი. აქ აღსანიშნავია ასეთი ფაქტები: კათოლიკე მისიონერები ჩინეთში ქრისტიანობის გავრცელების სიიოლისათვის ქრისტეს კონფუცისთან აახლოებდენ. ჩინეთში კათოლიციზმი დამკვიდრდა, შემდეგ კი კონფუცის და ქრისტეს დაახლოება ვატიკანმა მცდარად მიიჩნია.

ლათინურ ამერიკაში ინდიელ ტომთა შორის კათოლიციზმის გავრცელებისას, იეზუიტი მისიონერები თვალს ხუჭავდნენ ქრისტესა და წარმართი ღმერთების აღრევაზე ინდიელთა მიერ.

არაბი მისიონერები შუა საუკუნებში აფრიკის ტომებს შორის ისლამის გავრცელებისას, თვალს ხუჭავდნენ ალაპისა და ხის თერაფინების ერთმანეთში აღრევაზე აფრიკელთა მიერ.

ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ინდიელს ან აფრიკელს ახალმოღებული რჯული თავისი ღმერთებისაგან მოწყვეტით ძნელად ესმოდა.

სვამი პრაბჰუპადამ ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ სახელები კრშნა და ქრისტე ერთმანეთს ჰგავს. მან ეს იმ აზრით თქვა, რომ დასავლელი ადამიანი უფალ შრი კრშნაში ქრისტეს თუ არა, ქრისტეს მსგავს ღმერთს მაინც ხედავდეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ტრადიციონალიზმი კათოლიციზმში არის XIX ასწლეულში წარმოშობილი მიმდინარეობა, რომელიც დაუპირისპირდა რაციონალისტურ ფილოსოფიას და შემეცნების საფუძვლად გამოცხადებას მიიჩნევდა. ეს ტრადიციონალიზმი ვატიკანის კრებამ დაგმო, იმიტომ, რომ ის ტრადიციის, როგორც პაპის პრეროგატივის წინააღმდეგ გამოდიოდა. ტრადიციონალიზმის სხვაგვარი გაგება დღევანდელ კათოლიციზმში გულისხმობს კათოლიკური დოქტრინის განუხრელ დაცვას და რელიგიურ კონსერვატიზმს, რომელიც უარყოფს სოციალიზმის, მეცნიერებისა და დემოკრატიის მონაპოვრებს. ამ ტრადიციონალისტებსაც ჰყავთ თავისი კრიტიკოსი ტრადიციონალისტები, რომელნიც კათოლიციზმს ჭეშმარიტების გაყალბებაში სდებენ ბრალს. ასე ხდება დღეს ყველგან. ყველა რელიგიაში მიმდინარეობს დანაწევრება. კარგია ეს თუ ცუდი, ცალკე განსახილველია.

თუ უცხო ქვეყანაში ერთი კონფესიის წარმომადგენელი ორი ან მეტი პროზელიტური ორგანიზაცია შედის, მათ შორის მყისვე დაპირისპირება იწყება. არ წყდება ერთმანეთის დადანაშაულება სწავლების გაყალბებაში. ეს ხდება უცხოეთში ყველას თვალწინ. ადამიანს უჭირს ასეთ დროს აირჩიოს. უწინ კონკურენცია მიმდინარეობდა უცხოეთში მოღვაწე კათოლიკურ ორდენებს შორის, დღეს დასავლეთში ასეთივე მოვლენას აქვს ადგილი ბუდისტურ, ინდუისტურ და ისლამურ ორგანიზაციებს შორის.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, მაგალითად, ევროპის ქვეყნებში მოღვაწე სუფისტური ორდენების სწავლება არ არის მხოლოდ რელიგია. ეს არის ფილოსოფიაც. ესვე ითქმის დასავლეთში გავრცელებულ ძენ-ბუდიზმზე. ის არა მხოლოდ რელიგიური, არამედ ფილოსოფიური და კულტურული მოვლენაა, რომელმაც დასავლეთს ბუდისტური აზრის სიღრმე და საკვირველება დაანახა. არაა გამორიცხული, რომ ძენ-ბუდიზმის პატრიარქებთან მოპაექრე სხვა ბუდისტური სკოლები მათ სწავლების გაყალბებასა და ტრადიციის შერყევაში სდებდნენ ბრალს. არსებობს უამრავი ბუდისტური სკოლა, ჯგუფი, დიდი თუ მცირე სექტა. ასევე ხდება ისლამშიც. არსებობს მრავალი სუფისტური სკოლა და ისლამით დაინტერესებულ ადამიანს ძალზე გაუჭირდება მოიძიოს სწორედ ის, რისი შეცნობაც მას სწადია. აქ ადამიანის უნარზეც ძალზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. მხოლოდ მიმდევრობა, მაგალითად, ბუდისტური ან სუფისტური სწავლებისა, ჯერ კიდევ არ არის რელიგიური შემეცნების დასაწყისი. განვიხილოთ ასეთი ფაქტი: ვიშნუიზმი საქართველოში პროზელიტური ინდუიზმია იმის მიუხედავად, არის თუ არა ის ინდუისტური ტრადიციის ჭეშმარიტი მატარებელი. ვიშნუიტური ლიტერატურიდან ინდური რელიგიითა და ფილოსოფიით დაინტერესებული ადამიანი ბევრს ისწავლის. ეს არის საწყისი საფეხური მისთვის, ვინც რელიგიური თვითშემეცნების გზით აპირებს სვლას. საქართველოში ინდოლოგიური და სინოლოგიური კვლევის ცენტრები მხოლოდ ახლაღა ყალიბდება. ცნობილია, რომ სვამი პრაბჰუპადას თვით ინდოეთში მრავალი კრიტიკოსი ჰყავს, რომელნიც მას რიგი ინდუისტური დებულებების დარღვევაში სდებენ ბრალს. ახლა

ეს მისწვდა აქაური ოპონენტის ყურს და ისიც არ ახანებს კრიტიკას. თუ ოპონენტი გარკვეულია ოკულტისტურ და ეზოთერულ მიმდინარეობებში და საერთოდ რელიგიაში, მაშინ ის ვიშნუიტებს პირდაპირ ბრალს სდებს საკრალური ტრადიციის არქონაში. კი მაგრამ, რა უფლებით აძლევს ის თავს იმის ნებას, რომ საკრალური ტრადიციის სახელით გააკრიტიკოს სხვა? თვითონ ის აქამდე თუ ცდილობდა, რომ რელიგიის საკრალური ტრადიციის მცველი ყოფილიყო? ე.ი. სიძნელე იმაშია, რომ რელიგიის თუ ფილოსოფიის ისტორიკოსს არა აქვს ზნეობრივი უფლება პროზელიტური ორგანიზაცია ტრადიციის არქონაში დაადანაშაულოს. ამისი უფლება მხოლოდ რელიგიურ მოღვაწეს აქვს და ისიც მხოლოდ პირობით. ვიშნუიზმის შემთხვევაში ქართველი რელიგიის ისტორიკოსი ვერ გააკრიტიკებს მას ტრადიციის სახელით, იმიტომ, რომ ინდუიზმი საქართველოში საერთოდ უცნობი რელიგიაა, ისევე როგორც ბუდიზმი. ვთქვათ, საკრალური ტრადიციის მქონე ინდუისტური, ბუდისტური ან ისლამური პროზელიტური ორგანიზაცია შემოსულიყო საქართველოში, კრიტიკა ამ შემთხვევაშიც არ შეწყდებოდა. შიდარელიგიური და რელიგიათაშორისი კონკურენცია ბუნებრივი მოვლენაა. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს არა ამ კონკურენციის უკიდურესობამდე მისული გამოვლინებანი, არამედ იდეური ძიება, რელიგიური საკითხებით ადამიანის გულმართალი დაინტერესება და არა ღმერთის სახელით წარმართული რეზონერობა.

ბუდიზმში არის წინასწარმეტყველება, რომ დადგება დრო, როდესაც ბუდას მოძღვრება დასავლეთის რელიგიად იქცევა. ამ წინასწარმეტყველებაზე ხშირად მიუთითებენ დასავლეთში მოღვაწე ბუდისტი მისიონერები. იმისათვის, რომ ბუდისტური ფილოსოფია იოლად გასაგები იყოს დასავლელი ადამიანისათვის, ხდება მისი გამარტივება და ადაპტირება. ასევე ხდება ვიშნუიტ მისიონერთა მიერ ინდუისტური ფილოსოფიის გამარტივება. მაგრამ რაც ძირითადი არის ბუდიზმსა და ვიშნუიზმში, ის შენარჩუნებულია და ხელუხლებელი. შეუძლებელია, რომ დასავლელმა ბუდისტმა ან ვიშნუიტმა პროზელიტმა ისე მოახერხოს, რომ მაშინვე ბუდისტურ ან ინდუისტურ საკრალურ ტრადიციას ეზიაროს, როცა

ის ამ მოძღვრებებს სწავლობს და მათ მიხედვით ცხოვრობს. ინდუიზმშიც არის გამოთქმული აზრი, რომ თუ დასავლეთმა აღმოსავლეთი ტექნიკით დაიპყრო, აღმოსავლეთმა დასავლეთი იდეებით უნდა დაიპყროს. ეს არის კულტურათა ურთიერთგავლენა და კონკურენციული ბრძოლა. ასე გავრცელდა თვით ქრისტიანობა ანტიკურ კულტურასთან ხანგრძლივ ბრძოლაში, რომელზე მითითებითაც ჩვენ მივეჩვიეთ ვამხილოთ და ბრალი დავდოთ ყველას და ყველაფერს. ამით უარს ვამბობთ ვცნოთ აღმოსავლური კულტურების უდიდესი ღირებულება, რომელთაც მზერა მიაპყრეს შოპენჰაუერმა, ჰაიდეგერმა და სხვა მრავალმა დასავლელმა მოაზროვნემ.

ეკლესიის საკითხისათვის ქართულ საზოგადოებაში

წერილი პირველი*

როცა მსჯელობას ვიწყებთ ეკლესიისა და პლურალისტური საზოგადოების, ეკლესიისა და პროზელიტური ორგანიზაციების ურთიერთობების შესახებ, უთუოდ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი არსებითი ვითარება: მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის უარყოფის შემდეგ ეკლესია თავისი სწავლებით ცდილობდა ახალი, პოსტსაბჭოთა იდეოლოგიის როლში გამოსვლას და ყოველთვის მიიჩნევდა, რომ დემოკრატია და დასავლური ლიბერალიზმი იყო საზოგადოებრივი მოწყობის ის ნიმუში, რომელიც შეესაბამებოდა ეკლესიის დოქტრინას სახელმწიფოსა და საზოგადოების შესახებ. ეს იყო ეკლესიის მხრიდან განზრახ დაშვებული მიუტევებელი გაუგებრობა, რომლის მძიმე შედეგებს საზოგადოება ახლა იწვნევს.

უფლის ვექილად ქცეულმა ქართულმა ინტელიგენციამ, რომელიც პასუხისმგებელი იყო პოსტსაბჭოთა საზოგადოებრივი აზროვნების სწორი გზით წარმართვაზე, ეკლესიის მიერ

---

* პირველად გამოქვეყნდა გაზეთში „მერიდიანი 44“ (11-13 ოქტომბერი, 2000წ.).

დაშვებულ ამ გაუგებრობას უკამათოდ დაუჭირა მხარი. ინტელიგენცია აქ შეეცადა სინამდვილის იმგვარ გააზრებას, რომ არსად არანაირ იდეურ წინააღმდეგობებს არ ეჩინა თავი. ეს გაკეთდა ღეიდეოლოგიზაციის სახელით. დეიდეოლოგიზაციაში კი ინტელიგენცია გულისხმობდა ყალბი საბჭოთა იდეოლოგიისაგან განთავისუფლებას, ბოლშევიკური ათეიზმის უარყოფას და საზოგადოების იმგვარ დემოკრატიზაციას, რომელიც საეკლესიო დოქტრინას იდეოლოგიის სახეს მისცემდა. ესე იგი, დემოკრატიულ ქართულ საზოგადოებაში საეკლესიო დოქტრინა საზოგადოების არსებობის იდეური საფუძველი უნდა ყოფილიყო. იდეოლოგიაზე, როგორც ცრუმეცნიერებაზე მსჯელობისას, ინტელიგენცია აღნიშნავდა, რომ შუა საუკუნეებში ქრისტიანობა იყო სახელმწიფო იდეოლოგია. მან ვეღარ შეამჩნია, რომ ქრისტიანობის ამგვარ კონტექსტში, ესე იგი, ცრუმეცნიერების სახით მისმა მოხსენიებამ ეჭვქვეშ დააყენა თვით მისი მტკიცებები ეკლესიისაკენ შემობრუნების აუცილებლობის შესახებ. ამას არც ეკლესიამ მიაქცია ყურადღება, რადგან ზღვარდაუდებელი იყო ბოლშევიზმის გმობით გატაცება. რელიგიური იდეოლოგია, რომელიც იდეური წინააღმდეგობების გარეშე იარსებებდა დასავლური პლურალიზმის გვერდით, ვერ შეიქმნა. ვერ გადაწყდა ეროვნული იდეოლოგიის შექმნის საკითხი და ამ იდეოლოგიაში ქართული რელიგიური ორთოდოქსალისტიკის მნიშვნელობის საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ იდეოლოგიის შექმნის აუცილებლობაზე საზოგადოებაში დიდი ხანია მსჯელობენ აკადემიური ტრიბუნიდან.

გარდაქმნის შემდგომ პერიოდში ქართული ეკლესია ცდილობდა იდეოლოგიად გამოსვლას. ეს ნიშნავდა, რომ ეკლესია უბრუნდებოდა იმ რევოლუციამდელ დროს, როდესაც ქრისტიანობა წარმოადგენდა ოფიციალურ, სახელმწიფო იდეოლოგიას. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავდა, რომ უარყოფილად ცხადდებოდა არა მხოლოდ ბოლშევიკური რევოლუცია და სოციალიზმის რევოლუციამდელი პერიოდი, არამედ ევროპული სოციალიზმიც, მუშათა მოძრაობაც მთლიანად და ყველაფერი ის, რამაც შექმნა დღევანდელი დასავლური ცივილიზაცია. ეს უარყოფა კი ეფუძნებოდა მითითებებს ეკლესიის დიდ მამათა

სწავლებაზე, მოციქულთა ნათქვამზე. ეკლესიამ არ მოისურვა იმის დანახვა, რომ დღევანდელი დასავლური ცივილიზაცია არა კათოლიკურმა საეკლესიო დოქტრინამ და პაპისტურმა უნივერსალიზმმა, არამედ კათოლიციზმთან მებრძოლმა და ქრისტეს უარმყოფელმა მოძღვრებამ შექმნა. თუ ეკლესია ღმერთზე მითითებით უარყოფს ათეიზმს, რევოლუციას, სოციალიზმს და ცდილობს ქრისტიანობა პოსტსაბჭოთა საზოგადოების იდეოლოგიად აქციოს, მაშინ ამ ლოგიკით, ის არსებული ხელისუფლებისა და დემოკრატიის მხარდამჭერად კი არ უნდა გამოდიოდეს, არამედ მონარქიას უნდა დაუბრუნდეს, იმიტომ, რომ საეკლესიო ტრადიცია, სულიწმინდით განბრძნობილ მოციქულთა და დიდ მამათა ავტორიტეტული სიტყვა სახელმწიფოებრივი მოწყობის ერთადერთ შესაძლებელ ფორმად მონარქიას მიიჩნევს. ხოლო მეფის წინააღმდეგ „ვინც მონა აამხედროს, ანათემა“. ბასილი დიდი ამბობს „ნუ გადახვალ საზღვარს, რომელიც დასდვეს წმინდა მამებმა“. ცივილიზაცია კი ამ საზღვრის მრავალგზისი დარღვევის გზით ვითარდებოდა.

ჩვენს დროში ქართული რელიგიური ორთოდოქსიის საზოგადოებრივ იდეოლოგიად ქცევა შეუძლებელი აღმოჩნდა იმიტომ, რომ ქართულ ეკლესიას არ გაურკვევია, რამდენად სამართლიანი არის ის სინამდვილე, რომელიც ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში იშვა და იწოდება დასავლურ ცივილიზაციად. დასავლეთში როგორც კათოლიკურმა, ასევე პროტესტანტულმა ეკლესიებმა მოახდინეს საეკლესიო სწავლების რეფორმირება და მოდერნიზაცია, იმიტომ, რომ ამის გარეშე ქრისტიანობის თანაარსებობა დასავლურ პლურალიზმთან აბსურდამდე მიდიოდა. ესე იგი, მოდერნიზაციის გზით კათოლიკურმა და პროტესტანტულმა ეკლესიებმა სცნეს არსებული სინამდვილის ისტორიული ღირებულება და პოზიტიური მნიშვნელობა, მის მიერ საეკლესიო ნორმების მუდმივი დარღვევისა და ქრისტეს სიტყვის მრავალგზისი უარყოფის მიუხედავად. ეს არის ქრისტიანობის ის ტრაგედია, რომელიც თანამედროვე ადამიანის თვალწინ ხდება. დასავლურმა ქრისტიანულმა ეკლესიებმა აღიარეს ის სინამდვილე, რომელიც მოიტანა ეგალიტარიზმმა, სოციალიზმმა და ათეიზმმა. ქართული

ფუნდამენტალიზმის მრავალი წარმომადგენელი ბრალს სდებს დასავლურ ეკლესიებს სწორედ იმაში, რომ არსებული სინამდვილის აღიარებითა და გამართლებით მათ დაკარგეს უფლის მადლი და ჭეშმარიტი სწავლება. დასავლეთი ხშირად იგმობა მართლმადიდებლურ ტრადიციაზე დაყრდნობით, იმხილება ანტიქრისტეს მოსვლის სამზადისში და ამის წანამძღვრებს ორთოდოქსი ტრადიციონალისტები დღევანდელ გლობალიზაციასა და ეკუმენისტურ მოძრაობაში ხედავენ. საკითხის სიძნელე აქ იმაშია, რომ ასეთი ბრალდება ხშირად გაისმის თვით დასავლელი ტრადიციონალისტებისაგან (მაგალითად, რენე გენონი), რომელნიც მართლმადიდებლებს ჭეშმარიტებას განდგომილ ადამიანებად მიაჩნიათ. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისლამური ფუნდამენტალიზმის შესახებაც. მიუხედავად მისი რადიკალური დაპირისპირებისა დასავლეთთან, ისლამური ფუნდამენტალიზმი საკუთარ ტრადიციაზე დაყრდნობით არ მიდის მონარქიამდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წინააღმდეგობისა და უარყოფის მიუხედავად, ისლამური ფუნდამენტალიზმი სცნობს დასავლური სოციალიზმისა და ანტიმონარქიზმის იდეებს, სცნობს იმ რევოლუციური მოძრაობის მნიშვნელობას, რომელმაც მოიტანა სოციალიზმისა და სოციალ-დემოკრატიზმის იდეები.

საქართველოში დამკვიდრებულ დასავლურ სინამდვილესთან ქართული მართლმადიდებლური დოქტრინა წინააღმდეგობაში იმყოფება და ამავე დროს ქართული ეკლესია მას უფლისათვის მოსაწონ სინამდვილედ და თავისი ტრადიციისათვის შესატყვის პოლიტიკურ წყობად მიიჩნევს. ეს არის ეკლესიის მიერ თავისი თავის უარყოფა. ესე იგი, ტრადიციის სახელით, გამართლებულად მიიჩნევა არსებული დემოკრატია, როგორც ქართველი ხალხის ნების გამომხატველი წყობა და ამავე ტრადიციის სახელით იგმობა დასავლური დემოკრატია, როგორც სატანური და ანტიქრისტიანული. ამ სიძნელემ ჯერ კიდევ მაშინ იჩინა თავი, როდესაც ზვიად გამსახურდია ქართული მესიანიზმის იდეებს აფუძნებდა მართლმადიდებლურ ტრადიციაზე დაყრდნობით. ეკლესიამ კი ეს მესიანისტური იდეა უარყო სწორედ დემოკრატიის სახელით.

ქართული ეკლესიის წარმომადგენელი, რომელიც ასე

შეურიგებელია დასავლური ცივილიზაციის მიმართ, არ უნდა ივიწყებდეს, რომ ტექნიკის ის მიღწევები, რომელთა გამოყენებითაც იგი თავის მრევლს დასავლური ქრისტიანობის სიცრუის შესახებ უქადაგებს, არის ათეიზმისა და რელიგიის უარმყოფელი საბუნებისმეტყველო აზროვნების მიერ და არა ქრისტიანული ტრადიციონალიზმის მიერ შექმნილი პროდუქტი. სწორედ „გუტენბერგისეული ცივილიზაციის“ წარმოშობამ მიანიჭა იმპულსი სამეცნიერო შემეცნების არნახულ გავითარებას და არა საეკლესიო დოქტრინამ, რომელიც კრძალავდა დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევებს.

ხდება ქართული ცნობიერების დეზორიენტირება, როდესაც ლაპარაკობენ „საქართველოს იმთავითვე ევროპულობაზე“, რომ დემოკრატია არის ის, რაზედაც ქვეყანა საუკუნეების მანძილზე ოცნებობდა. ეს არის სიყალბე, შეგნებული ტყუილი, რომლითაც საფუძველი ეყრება საქართველოს უახლესი ისტორიის – 90-იანი წლების წარსულის ფალსიფიცირებას. ვინ ოცნებობდა დემოკრატიაზე საუკუნეების მანძილზე, როგორც ამას საუნივერსიტეტო წრეების ცენზიანი წარმომადგენლები ამბობენ? დავით IV ოცნებობდა დემოკრატიაზე? ქართლ-კახეთის და იმერეთის მეფეები ოცნებობდნენ ამაზე, თუ ქართული ეკლესიის პატრიარქები?

დასავლური კულტურა, რომელზეც საქართველოში მიუთითებენ როგორც ჭეშმარიტებაზე, არის არა კათოლიკური საეკლესიო დოქტრინის, არამედ დიდი ერესისა და საეკლესიო დისიდენტობის პირმშო. ამას კათოლიკურ ეკლესიაზე უკეთ ვერავინ გრძნობს, რომელიც ცდილობს შეეგუოს არსებულ სინამდვილეს და სცნოს მისი პრობლემების მართებულობა. ამაზე მეტყველებს პაპთა ენციკლიკები – Rerum novarum - ლეო XIII -ის, Redemptor hominis და Sollicitudo rei socialis - იოანე პავლე II-ის. მართლმადიდებლობა ამას ნაკლებად გრძნობს, იმიტომ, რომ მან არ იცოდა რა იყო რენესანსი, არ იცოდა რა იყო დიდი დაპირისპირება ეკლესიასა და უნივერსიტეტებს შორის. რუსეთში ეს დაპირისპირება მხოლოდ XIX ასწლეულში დაიწყო და ის დამთავრდა მონარქიის ლიკვიდაციით, რევოლუციური მოძრაობითა და ათეისტური აზრის გამარჯვებით. მართლმადიდებლობამ არ იცოდა სამეც-

ნიერო და საღვთისმეტყველო ერესები, არ იცოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიერ არგუმენტირებული ათეიზმი. ქართული მართლმადიდებლობის წიაღში არ შობილა რენესანსი და როდესაც რუსთაველზე მიუთითებენ, როგორც რენესანსული ეპოქის პოეტზე, ეს ძალზე საფავოა. ეკლესია რუსთაველს რწმენის შერყვნაში სდებდა ბრალს. იოანე პეტრიწიც ეულ მნათობად დარჩა ქართული ფილოსოფიური აზროვნების ცარგვალზე. ეკლესია მასაც ეჭვით უცქერდა. გაიმარჯვა არსენ იყალთოელის ხაზმა და მისმა დოგმატიზმმა. დოგმებზე მითითებით გაცილებით ადვილია მტანჯველი ფილოსოფიური და რელიგიური საკითხებისაგან თავის არიდება და ეს ეკლესიის ისტორიაში რწმენის სიმტკიცედ საღდებოდა. რწმენის ასეთმა სიმტკიცემ ვერ დაიცვა საქართველო სირცხვილისა და დაცემისაგან, ვერ აარიდა ქვეყანას გაველურება, რომელში მყოფმაც მან მოაღწია მეთვრამეტე ასწლეულის დასასრულამდე.

კათოლიციზმი ყველა რელიგიას შორის იმით არის გამორჩეული, რომ მის უნივერსალისტურ დოქტრინასთან დაპირისპირებამ შვა საკაცობრიო მნიშვნელობის აზროვნების მონაპოვრები. ქრისტეს სიტყვასთან ბრძოლამ შვა ტექნიკა, რომელსაც არსად სხვაგან არ მიუღია ისეთი განვითარება როგორც ეს ევროპულ კულტურაში მოხდა. დიდი დასავლელი მოაზროვნენი საეკლესიო თვალთახედვით ერეტიკოსები არიან, მაგრამ ერეტიკოსობა მათ ავტორიტეტს ვერაფერს აკლებს. ვინ არიან ევროპული კულტურის უდიდესი წარმომადგენლები – დეკარტი, კანტი, ჰეგელი, მარქსი, თუ არა დიდი ერესიარქები?

კათოლიკური ეკლესია ცდილობს გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ევროპულ პოლიტიკაზე. ამის დასტურია იოანე პავლე მეორის დაუღალავი მოღვაწეობა. საქართველოში მდგომარეობა სავალალოა ყველა მიმართებით და ახლა ვიკითხოთ – ქართული ეკლესია თუ ერევა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და თავისი ზნეობრივი ავტორიტეტით თუ ახდენს რაიმე გავლენას ერის ცხოვრებაზე? ეკლესია ამბობს, რომ მისი საქმე არის სულისათვის ზრუნვა და არა ამაოებისა და მიწიერისათვის ზრუნვა, მაგრამ ეს არაა მისი უნიათობის გამამართლებელი საბუთი. იოანე ოქროპირი არ ერეოდა საერო

ცხოვრებაში? ან ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, მიქელ პსელოსი? ქართული ეკლესიის ისტორიიდან ცნობილია, რამდენი სამღვდელო მონაწილეობდა საერო საქმეებში. ეკლესიის თვითნებობამ და ორაზროვნებამ მოიტანა ის, რომ საპატრიარქოს განუდგნენ რიგი ჯგუფები, რომელთა სექტანტებად მოაზრება უსაფუძვლოა. განდგომის მიზეზად ეს ჯგუფები მიიჩნევენ საპატრიარქოს მიერ ჩადენილ მრავალ უსამართლობას. მაგალითისათვის, რელიგიური გაერთიანების „მართლმადიდებლური ეკლესია საქართველოში“ წევრი თეიმურაზ დედაბრიშვილი (თსუ-ს ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტის თანამშრომელი) ამბობს, რომ შეიქმნა ცალკე ეკლესია, რომელშიც შედიან ბეთანიისა და სხვა მონასტრების ბერმონაზვნები. მათ საპატრიარქო უამრავ ცოდვაში ამხილეს. აღნიშნავენ ასევე, რომ გამიჯნულნი არიან გლდანის ეპარქიისაგან. მამა ბასილ მკალავიშვილი საპატრიარქოსგან განდგომის მიზეზად ასევე უსამართლობას ასახელებს. საპატრიარქოს განუდგა ბორის ივანოვის მართლმადიდებლური ჯგუფი. არსებობს ასევე ფუნდამენტალისტური მოძრაობები. მაგალითად, ავთანდილ ჯოგლიძის რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობა, ქრისტიანულ-მონარქისტული ერთობა, რომელიც გამოსცემს გაზეთ „ივერიის გაბრწყინებას“ (რედაქტორი გიორგი გაბაშვილი). ეს გამოცემა თავის პუბლიკაციებში მწვავედ აკრიტიკებს საპატრიარქოს. არსებობს ძველ მართლმადიდებელთა ჯგუფი, რომელნიც საპატრიარქოს ნიკონიანური მწვალებლობის დაფუძნებაში სდებენ ბრალს და მოუწოდებენ მას აღადგინოს პეტრე I-ის რეფორმებამდე არსებული მართლმადიდებლური ტრადიცია.

როდესაც აზრთა ასეთი განსხვავებულობაა მართლმადიდებლური დოგმატიკის გაგების საკითხში, აქ თავისი აზრი უნდა გამოთქვან მონარქისტთა პარტიამ, ტრადიციონალისტთა პარტიამ, ქრისტიან-დემოკრატებმა. თუ ადამიანი მონარქიზმისა და ტრადიციონალიზმის მიმდევრად მიიჩნევს თავს, მაშინ ის რელიგიურ საკითხთა განხილვაში უნდა მონაწილეობდეს. მონარქია არის ის, რასაც საეკლესიო დოქტრინა ერთადერთ შესაძლო და სამარადჟამო პოლიტიკურ ინსტიტუციად მიიჩნევს. მონარქიზმი ახლოს დგას რელიგიურ

ფუნდამენტალიზმთან და ტრადიციონალიზმთან. საქართველოში კი მონათესავე იდეების წარმომადგენელნი ერთმანეთისგან არიან გამიჯნულნი. ეს კი იმ დასკვნის საფუძველს გვაძლევს, რომ ქართულ საზოგადოებრივ სარბიელზე მონარქისტობა, კონსერვატორობა, ტრადიციონალისტობა მხოლოდ სახელებია, ხოლო ოპოზიციონერობა პოლიტიკური სპეკულაციებით იფარგლება.

ჩვენთვის გაუგებარია ოპოზიციის დუმილი, როდესაც მძაფრი ხასიათი ეძლევა დისკუსიას საზოგადოებაში ეკლესიის ადგილის განსაზღვრის შესახებ, როდესაც წვავენ იეჰოვას მოწმეთა ლიტერატურას და არბევენ მათ შეკრებებს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ოპოზიცია თავს არიდებს რელიგიური საკითხების განხილვას და როდესაც რელიგიურ ჯგუფებს შორის შეჯახება მოხდება, ის მთელ პასუხისმგებლობას ხელისუფლებას დააკისრებს. მონარქისტები, ქრისტიანდემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, ეროვნული მოძრაობის დროიდან მოდიან და ისინი დაინტერესებულნი უნდა იყვნენ ერთიანი ეროვნული იდეოლოგიის შექმნით და მასში ეკლესიის როლის განსაზღვრით.

რელიგიური ორგანიზაციების ქვეყანაში დაფუძნებისა და რელიგიური კონფლიქტების შემდეგღა დაიწყო ლაპარაკი რელიგიის კანონის მიღებასა და კონკორდატზე. ეს კანონი უნდა მიღებულიყო 1995-96 წლებისათვის. ძნელი გასარკვევი არის პროზელიტიზმის ცნება, მისი აკრძალვა კი შეუძლებელია. თუ, მაგალითად, ქართველი მღვდელი ბოლნისელ ან მარნეულელ აზერბაიჯანელებს ქრისტეს სწავლებას უქადაგებს, ეს ისეთივე პროზელიტიზმია, როგორც ის, რომ თურქი ან სპარსელი მოლა ქართველებს მუჰამედის სიტყვას უქადაგებს. ყველა რელიგია პროზელიტიზმის გზით ვრცელდება და ყველა დიდი რელიგიური მოძღვარი მისიონერიზმს ქადაგებდა, კანონს კი სახელმწიფო იღებს და არა ეკლესია. არის სხვა სიძნელეც, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ტრადიციული და სექტანტური რელიგიების დეფინიცირება ჭირს. რელიგიური თვალსაზრისითაც კი არსებობს ტრადიციის არაერთგვაროვანი გაგება და ძნელია იურიდიულად ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს ტრადიციისა და ტრადიციულის ცნებები. იურიდიულ სიძნელეს

წარმოადგენს ასევე სექტის და სექტანტურის ცნებების განსაზღვრება.

წერილი მეორე*

კონსტიტუციის მე-19 მუხლი ლაპარაკობს რწმენის თავისუფლებაზე, ამ მუხლის მესამე პუნქტი კი ასეთია - არ უნდა შეილახოს სხვისი რწმენის თავისუფლება. როდესაც იეჰოვას მოწმეთა ორგანიზაციის მიერ წარგზავნილი სრული დროით მომსახურე პიონერი მოუწოდებს ადამიანს ბიბლიის შესწავლისაკენ და მას თავის დახმარებას სთავაზობს მის შესწავლაში, ეს არ ნიშნავს, რომ ის სხვისი რწმენის თავისუფლების შემლახავია. ესევე ითქმის ვიშნუიტ მისიონერებზე, რომელნიც ადამიანს სთავაზობენ ამ ორგანიზაციის დამაარსებლის სვამი პრაბჰუპადას ნაშრომებს. კანონი ადგენს, რომ არ უნდა შეილახოს სხვისი რწმენის თავისუფლება, მაგრამ სიძნელე იმის გამორკვევა არის, აქვს თუ არა ადამიანს რწმენა და თუ ის მას არა აქვს, ამას კანონი უკვე ვეღარ სწვდება. საქართველოში მრავალი ადამიანი მართლმადიდებლად მიიჩნევს თავს, მაგრამ საკითხავია, სარწმუნოებრივი მრწამსი თუ გააჩნიათ მათ? თუ აღელვებთ მათ, რამდენად შეესაბამება სახარებას და ქრისტეს სიტყვას მათი ცხოვრების სინამდვილე?

არაა სწორი, როდესაც მსჯელობენ, რომ გაჭირვებული ადამიანისათვის რწმენა კი არა, არამედ კუჭია მნიშვნელოვანი და ამის გამო გახდა მავანი ბაპტისტი, ორმოცდაათიანელი, იეჰოვას მოწმე. ეს არის პუბლიცისტური უტრირება, რომელსაც მისი სიიოლის გამო იყენებს პოლიტიკოსი, კანონმდებელი, ჟურნალისტი. პირველი ქრისტიანები იყვნენ უპოვარნი და გლახაკნი, რომელთა რწმენამ რომის იმპერიისა და ანტიკური კულტურის საფუძვლები შეარყია. თვით ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებს არ სჭირდებათ კუჭის გულისათვის მისული ადამიანების გაწევრება. ეს მათ არაფერს შემატებს. ამ

---

* პირველად გამოქვეყნდა გაზეთში „მერიდიანი 44“ (13-16 ოქტომბერი, 2000წ.).

ორგანიზაციათა ფილანთროპული აქციები არის ერთ-ერთი შემადგენელი და არა ძირითადი ნაწილი მათ მისიონერულ საქმიანობაში. ყველა ორგანიზაცია ცდილობს ჰყავდეს მტკიცე რწმენის მქონე მიმდევრები. ასეთებს ამჩნევენ, ეხმარებიან, სტიმულს აძლევენ მათ რელიგიურ თავდადებას, აგზავნიან სასწავლებლად, ორგანიზაციის სტრუქტურებში უქმნიან იერარქიული წინსვლის შესაძლებლობას. ეს კი განათლებისა და ინტელექტის გარეშე არ მიიღწევა, ამიტომ ამა თუ იმ რელიგიურ ორგანიზაციაზე იმის მიხედვით მსჯელობა, რომ ისინი საჭმელს ურიგებენ უპოვარ ადამიანებს და ამით იტყუებენ სექტებში, არის უაზრობა. უფასო საჭმლის დარიგება არ არის მიზეზი, რომ მათ მრავალრიცხოვანი მომხრეები ჰყავთ. ამის მიზეზი ის არის, რომ ადამიანებს აღარ სწამთ ოფიციალური ეკლესიისა. აი, ეს არის აქ პრობლემა და ეკლესიისა და სექტების ურთიერთობაზე საუბრისას ამ პრობლემის განხილვით უნდა იწყებოდეს მსჯელობა და არა ბრალდებითა და შეურაცხყოფით.

როდესაც საქართველოში 5 წლის წინათ „ხსნის არმია“ შემოვიდა, ტელევიზია ამას წარმოაჩენდა როგორც საქართველოს დასავლეთთან დაახლოების ფაქტს. უჩვენებდნენ ამ ორგანიზაციის უნიფორმიან ოფიცრებს, მათგან იღებდნენ ინტერვიუებს. გამოხდა მცირე ხანი და მათ ბრალი დასდეს პროზელიტიზმში, სახელდობრ, იმაში, რომ უფასო სადილების გზით იზიდავდნენ ადამიანებს თავიანთ ორგანიზაციაში. ასე დამკვიდრდა ეს აზრი უფასო საჭმლის შესახებ.

იეჰოვას მოწმენი კუჭის გამო რომ ყოფილიყვნენ ამ ორგანიზაციის წევრები, ისინი ვერ გაუძლებდნენ იმ რეპრესიებს, რაც მათ გადაიტანეს ამერიკაში, ევროპაში. ამ ორგანიზაციას ჰყავს თავისი რწმენისათვის წამებულნი, რომელნიც დაიხვრიტნენ ნაცისტური ხელისუფლების მიერ ომის დროს. თუ ჩვენ ნაცისტებიც და იეჰოვას მოწმეებიც სატანისტებად მიგვაჩნია, გამოდის, რომ სატანა სატანას ებრძოდა. ყველა მსჯელობა რელიგიურ ორგანიზაციებსა და მათ მისიონერულ საქმიანობაზე ისეთია, რომ იგულისხმება ეკლესიის უმწიკვლოება და ამ ორგანიზაციათა ბიწიერება, სინამდვილეში კი ეკლესიამ თავისი ორსახოვნების გამო დაკარგა მრევლი. ვნახოთ რამდენი

განათლებული ახალგაზრდაა ვიშნუიტებთან, ბაპტისტებთან, ორმოცდაათიანელებთან, შტაინერის მიმდევრებთან, იეჰოვას მოწმეებთან. ეს არის პროტესტი ეკლესიის მიმართ. დიდი ერუდიცია არ უნდა იმის დანახვას, რომ ეკლესია ბევრს სცოდავს. ამას ხედავენ ნაკლებგანათლებული ადამიანებიც და ისინი უერთდებიან სხვადასხვა რელიგიურ მოძრაობებს. ნაკლებგანათლებულ განდგომილებზე მითითებით კი ამ მოძრაობათა შესახებ მსჯელობა ტენდენციური და უსამართლოა. პროტესტი ოფიციალური ეკლესიის მიმართ არ ქმნის ეკლესიის ისეთ ოპოზიციას, რომელიც დადებითად იმოქმედებდა საზოგადოებაზე, მოახდენდა ადამიანთა დიდი მასების შემოკრებას რაიმე იდეის გარშემო და იმპულსს მისცემდა ზნეობრივ-სარწმუნოებრივ ფიქრსა და იმ თავდადებას, რათა ქართული სინამდვილე ბიბლიურ ნორმებთან შეთანხმებული ყოფილიყო. საკმაოდ არიან ადამიანები, რომელნიც ერთი რელიგიური ორგანიზაციიდან მეორეში გადადიან. ეს იმგვარი დენომინაციაა, როცა თვით რელიგიური ორგანიზაცია არ არის დენომინაციური ხასიათისა. პროტესტანტიზმი, გამოხატული რელიგიურ მოძრაობებში ჩართვით, საზოგადოების იდეურ კონსოლიდაციას კი არა, არამედ მის ჯგუფებად დაშლას უწყობს ხელს. მხოლოდ მართლმადიდებლური ჯგუფები ერთ ათეულს აღწევს. ის, რაც დასავლეთში ნორმალურად მიიჩნევა და რასაც შეიძლება ეწოდოს რელიგიური პლურალიზმი, აქ უკიდურესად უარყოფით სახეს იძენს იმიტომ, რომ არ არსებობს სახელმწიფოდ ყოფნის კულტურა და საამისო ნება. რელიგიურმა ორგანიზაციებმა კი არ დაშალეს ქართული საზოგადოება, არამედ ის დაშლილი იყო საქართველოში მათ შემოსვლამდე. ამ ორგანიზაციათა მისიონერულმა საქმიანობამ მხოლოდ მთელი სიცხადით კვლავ წარმოაჩინა, რომ საზოგადოება დანაწევრებულია და ის არსებობს გამაერთიანებელი იდეის გარეშე. ეკლესიას კი სურს, რომ საზოგადოების დანაწევრება დაბრალდეს რელიგიურ ორგანიზაციებს. დავეთანხმოთ ეკლესიას და მივიჩნიოთ, მაგალითად, იეჰოვას მოწმეთა სწავლება სიცრუედ, მაგრამ თუ სიცრუეს შეუძლია მთელ მსოფლიოში ამდენი ადამიანის ენთუზიასტად ქცევა და მათში მტკიცე რწმენის ჩამოყალიბება, რატომ არ შეუძლია ეს ეკლე-

სიას საკუთარ ქვეყანაში, ეკლესიას, რომელსაც ჭეშმარიტი სწავლება უპყრია ხელთ? რატომ არ შეუძლია ეკლესიას წინ აღუდგეს საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის არსებულ გაუცხოებას? ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ადამიანის გასაკეთებელი საქმე ეკლესიას სურს ღმერთს წამოჰკიდოს. რა აზრი აქვს საკათედრო ტაძრის შენებას ამ მარცხიანობისა და დაცემის ჟამს? საკათედრო ტაძრის შენება ყოველთვის დიდ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას და საერთო იდეისათვის ბრძოლას უკავშირდება. ასე იყო, როდესაც სვეტიცხოველი შენდებოდა და ის, რომ ქართული მართლმადიდებლობის ცენტრი იყო არა სატახტო ქალაქში, ნიშნავდა სულიერი მეუფების განდგომილებას მიწიერი მეუფებისაგან. საკათედრო ტაძრის შენება ერის რელიგიური აღმაფრენის სიმბოლოა და დღევანდელი დრო მას არ შეესაბამება. ამიტომ შეუძლებელია ეს მშენებლობა ცუდი სიმბოლო არ იყოს. ისე ლაპარაკობენ ამ მშენებლობაზე, რომ ლიბერალ-დემოკრატიამ მოიტანა სულიერი ამაღლება, რომ დიდი მატერიალური და სულიერი შეჭირვების დროს აშენებს ქართველი ამ ტაძარს და ამით ის გამორჩეულია ხალხებს შორის. ეს არის თავმოთნეობა და ეროვნული ტყუილის კვლავ და კვლავ გამართლება. ეს არის ის, როდესაც ნორმალურად, ბუნებრივად მიიჩნევა არაადამიანური ქართული სინამდვილე და ადამიანი უარს ამბობს მის წინააღმდეგ იბრძოლოს. ის ცდილობს შეეგუოს ამ სინამდვილეს, შეეგუოს იმას, რომ ერი თავისთვისაა და ბერი თავისთვის. საზიზღრობაა ამ ტაძრის შენების შესახებ ტელევიზიით გადაცემული ანიმაციური რეკლამა. საკათედრო ტაძრის შენება დიდი ერთიანობისა და აღმშენებლობითი ძალის ნიშანია და ამიტომ ტაძარი ხდება რაღაც დიდის და საკრალურის აღმნიშვნელი, რომლის ძალა, ტაძრის შიგადში დავანებული, მრავალ ასწლეულს გადასწვდება და ერის მეოხად იქმნება, ხოლო მაშინ, როდესაც არსებული სინამდვილე მშენებლობის მნიშვნელობას არ შეეფერება, ტაძარი ცუდის მენიშნედ იქცევა. დაცემული ერის კადნიერება უკვე ზეცას სწვდება და ის თავს მიიჩნევს იმად, რაც არ არის.

თუ დღეს ეკლესია არ ერევა საერო ცხოვრებაში, მაშინ სამღვდელონი ხელისუფალთა გვერდით არ უნდა ისხდნენ

სამთავრობო ღონისძიებებზე. როდესაც მღვდელი აკურთხებდა 1991-92 წლებში, მაგალითად, მიტინგს, კონგრესისა და ფორუმის შექმნას, ნიშნავდა თუ არა ეს, რომ დემოკრატიის იდეა საეკლესიო იდეალის გამომხატველი იყო და ნაკურთხ პოლიტიკურ თავყრილობაში მონაწილე დემოკრატი ღვთისათვის მოსაწონს იქმდა?

1995-96 წლებში იეჰოვას მოწმეთა მისიონერები რელიგიურ დისკუსიაში იწვევდნენ მღვდლებსა და ქართული ინტელიგენციის ცნობილ წარმომადგენლებს. დისკუსიის მოწყობას მრავალი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, მაგრამ არაფერი საშიში, ანტიეროვნული და ანტიქართული აქ არ იყო. ჩვენ არ გვესმის, რატომ ეშინიათ იეჰოვას მოწმეთა მისიონერიზმისა. გამოდის, რომ ქართველ მრევლს რწმენის სიმტკიცე არ ჰქონია, რახან პიონერ მისიონერს შეუძლია თავისი ქადაგებით მისი დარწმუნება. ორგანიზაციის სამსახურებრივი წლის მსოფლიო ანგარიშის მიხედვით (ჟურნალი „საგუშაგო კოშკი“. 01. I, 2000), ამჟამად საქართველოში სამეფოს მაუწყებელთა უმაღლესი რაოდენობა 14 ათასზე მეტია. პროზელიტური თავდადების მიუხედავად, ეს ორგანიზაცია საქართველოში დომინანტურად ვერასოდეს იქცევა. არიან სხვა რელიგიური მოძრაობები, მიმდინარეობს იდეების კონკურენცია. საზოგადოებასა და მედიაში იეჰოვას მოწმეთა თემა წინ წამოწეულია ჯერ კიდევ 1994-95 წლებიდან. მომსახურე პიონერები მგზნებარე მისიონერები არიან და ეს მათ მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას იწვევს. უბრალოდ რომ ვთქვათ, ყველას უჩნდება ჭკუის კოლოფობისა და დაცინვის სურვილი. ასევე შეიძლებოდა, იეჰოვას მოწმეთა საკითხის მაგივრად, ბაპტისტთა, ორმოცდაათიანელთა ან შტაინერის მიმდევართა საკითხი ქცეულიყო მორიგე თემად და პუბლიცისტურ შლაგერად. ყველას გვახსოვს, როდესაც გამსახურდიას ოპოზიციონერებმა მთელი კატეგორიულობით სატანიზმში დასდეს ბრალი, რახან ის შტაინერის მოძღვრებით იყო გატაცებული, შემდეგ კი ეს ისე საგულდაგულოდ მიივიწყეს, თითქოს არც ყოფილიყოს წარმოთქმული. ცუდი ის არის, რომ საკითხის რაობა კი არ აღელვებს საზოგადოებას, არამედ საკითხის ის მხარე, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება ოპონენტს დასცინო, ბრალი დასდო ან პირდაპირ დაადანაშაულო. აღსანიშნავია

ისიც, რომ იეჰოვას მოწმეთა ძალზე უტრირებულ საკითხს მიაწყდა მრავალი არამკითხე პატრიოტი, გაურკვეველი ერუდიციის მქონე ადამიანი და ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ რას იტყვის უფრო თავზარდამცემს. ეს ტენდენცია ეროვნული მოძრაობის დროიდან გამოიკვეთა, როცა გამსახურდიას ბრალს სდებდნენ ინდური ფილოსოფიით, მაჰათმა განდისა და რუდოლფ შტაინერის სწავლებებით გატაცებაში და ეს იმის უდავო დასტურად მიაჩნდათ, რომ პრეზიდენტი სატანისტი იყო. ამ დროს დუმდნენ ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერები, დუმდა ეკლესია. ეს იყო საქართველოს შემარცხვენელი უაზრობა.

თუ ჩვენ, დაცინვის მიზნით, იეჰოვას მოწმეს იეჰოვისტს ვუწოდებთ, მასზე უფრო იეჰოვისტი არის იუდაისტი ებრაელი. იუდაიზმი ეს არის იეჰოვიზმი როგორც უმკაცრესი მონოთეიზმი, გაცილებით მკაცრი, ვიდრე ქრისტიანული მონოთეიზმი, იმიტომ რომ იუდაისტური ტრადიცია დაუშვებლად მიიჩნევს ღმერთის ერთსამობას. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ იეჰოვას მოწმეთა გაქირდვის მიზნით, უფლის სახელის – იაჰვეს დაცინვით წარმოთქმა ნამდვილ ქრისტიანთათვის შეუფერებელია.

არაკეთილმოსურნეობა და შეურიგებლობა ყველაფრის მიმართ, ვითომდა თავგამოდებული მართლმადიდებლობის სახელით, დიდ ზნეობაზე მითითებით, არის შინაგანი კნინობისა და არასრულფასოვნების მაჩვენებელი. მკვიდრდება გამოთქმები, რომელთაც უკანასკნელი ინსტანციის პრეტენზია აქვთ. ასეთი გამოთქმებია „სექტანტები ანტიქრისტეს მოწაფეები არიან!“ „ძირს ტოტალიტარული სექტები!“ გამოთქმა „ტოტალიტარული სექტა“ გულისხმობს იმას, რომ შეიძლება იყოს სექტა, რომელიც არაა ტოტალიტარული, ესე იგი, დასაშვებია სექტის პოზიტიურობა. მაგრამ აქ მკითხველის ყურადღება გვინდა მივაპყროთ იმას, თუ როგორ გაიგება ტოტალიტარულის ცნება. როდესაც ჩვენ ვაფასებთ რელიგიურ მიმდინარეობას როგორც ტოტალიტარულს, აქ ვგულისხმობთ იმას, რომ ჩვენთვის მისაღებია ისეთი რწმენის თავისუფლება, როცა ადამიანის სამოქალაქო ცხოვრებას, რომელიც საზოგადოებრივი კანონებითაა რეგულირებული, რელიგიური ნორმები და სარწ-

მუნიციპალური იმპერატივი არ ეხება. ესე იგი, ადამიანის უფლებების (ფრაიველის) სახელით მოქალაქის სოციალური ყოფა და რელიგიური იმპერატივი ერთმანეთისაგან გამიჯნულია. აქ უკვე გასარკვევი ხდება, რა არის რწმენის თავისუფლება. მაგრამ ამის გარკვევამდე დავადგინოთ რამდენად მართებულია, რომ რელიგიის ავკარგიანობის კრიტერიუმად ტოტალიტარიზმის ცნებას ვიყენებთ. რელიგია ტოტალიტარულად მიგვაჩნია, თუ ის ადამიანის სამოქალაქო ცხოვრებაში იჭრება. ეს არის უარყოფა იმ რელიგიისა, რომელზე მითითებითაც განვაქიქებთ ბოლშევიზმს, როგორც ტოტალიტარულ სისტემას. დასავლური ინდივიდუალიზმი გულისხმობს იმას, რომ ადამიანი უნდა იცავდეს სამოქალაქო კანონებს და არავის არა აქვს უფლება ჩაერიოს სხვის ცხოვრებაში. ეს არის ქრისტიანული იდეის რადიკალური უარყოფა. ჩვენ, როგორც ლიბერალებს, მისაღებად მიგვაჩნია მხოლოდ ისეთი ღმერთი, რომელიც სამოქალაქო კანონებით რეგულირებულ ზღვარს არ არღვევს. ასეთი დაშვებით რელიგია ფიქციად იქცევა. ერთი მხრივ, ჩვენ ვეყრდნობით იმ იდეოლოგიურ პოსტულატებს, რომელნიც წარმოშვა ეგალიტარულმა ათეიზმმა. მეორე მხრივ, ჩვენ ვხედავთ რა ამ პოსტულატთა უკმარობას და არამყარობას, ვცდილობთ ისინი განვამტკიცოთ ღმერთზე მითითებით. მაგრამ ასეთი ხერხით ჩვენ უძლურნი ვართ გავაუქმოთ ანტაგონიზმი რელიგიურ იმპერატივსა და ადამიანის უფლებებს შორის. ეს ხერხი არის უმარტივესი ინტელექტუალური მიმიკრია, რომლის მიზანი არის აზროვნებისაგან თავის არიდება, ადამიანური არსებობის ტრაგიზმზე თვალის დახუჭვა.

ტოტალიტარიზმის ცნებას რომ ვიყენებთ რელიგიის შესაფასებლად, ეს მომდინარეობს იქიდან, რომ ბოლშევიზმი და ფაშიზმი დაიგმო როგორც ტოტალიტარიზმი. იმის გამო, რომ ეს ტერმინი უნივერსალურ ბრალდებად იქცა საზოგადოებრივ აზროვნებაში, ყველგან ვხედავთ მისი ბოროტად ან უაზრო გამოყენების ფაქტებს. ტოტალიტარიზმი აღნიშნავს მთლიანობასა და ყოვლისმომცველობას და ტოტალური იგივეა, რაც ინტეგრალური. ტოტალური თავისი შინაარსით ახლოს დგას უნივერსალურთან და აბსოლუტურთან. ყოველი მსოფლიო რელიგია კი უნივერსალურია და ტოტალური. ღმერთის მეუფე-

ბა არის ტოტალური, ყოვლისმომცველი და ყოველთაგანმსჭვალავი. აქ კი ვდგებით იმ შეუსაბამობის წინაშე, რომ ბოლშევიზიც ტოტალიტარულია და რელიგია, რომელსე მითითებითაც ბოლშევიზმი უარვყავით, ასევე ტოტალიტარულია. გამოდის, რომ ტოტალიტარიზმის ცნების გამოყენება არ ყოფილა სწორი და ის მხოლოდ პოლიტიკური კონიუნქტურისა და იდეოლოგიური კაზუისტიკის ნაყოფი ყოფილა. სრული საფუძვლიანობით ტოტალიტარული შეიძლება ეწოდოს მაგალითად, კვანტურ მექანიკას ან ორგანულ ქიმიას და მთლიანად აწ არსებულ მეცნიერულ პარადიგმას, რადგან ის ცდილობს მთელი სამყარო მოიცვას.

გავარკვიოთ ახლა რწმენის თავისუფლების შინაარსი და მნიშვნელობა: ის ეგალიტარული იდეოლოგიის პოსტულატია და არა რელიგიური დოქტრინისა. მონარქიულ საზოგადოებაში ადამიანის ადგილი და მისი მოვალეობანი რელიგიაზე მითითებით სხვაგვარად განისაზღვრებოდა, ვიდრე ეს ეგალიტარულ საზოგადოებაშია. რწმენის თავისუფლების იურიდიული ცნება და ის, როგორც ადამიანის უფლება, მონარქიისა და რელიგიური დოქტრინისათვის უცხო და მიუღებელი იყო სწორედ ქრისტეს სიტყვაზე მითითებით. გვაქვს თუ არა იმის საფუძველი, რომ ქრისტიანობას ბრალი დავდოთ ადამიანის უფლების დარღვევაში და ვამტკიცოთ, რომ ის ტოტალიტარული რელიგია იყო? ჩვენ გვსურს ამ კითხვაზე გვიპასუხოს იმ დემოკრატმა, რომელიც ბოლშევიზმსა და მარქსიზმს სწორედ ქრისტიანობის სახელით დასცინის. სწორედ ამ დემოკრატისათვის გვსურს იმის თქმა, რომ არა ეკლესიის დოქტრინამ და მონარქიამ, არა ქრისტეს და მისი მოწაფეების ქადაგებამ, არამედ რევოლუციონიზმმა მოგვცა ჩვენ რწმენისა და სინდისის თავისუფლების შესაძლებლობა. აქ გასარკვევია ის, თუ რა აქვს მხედველობაში დღეს ეკლესიას, როდესაც ის ადამიანის თავისუფლებაზე და უფლებებზე ლაპარაკობს და დემოკრატიას მხარს უჭერს. ეს არის ცენტრალური პუნქტი იქ, სადაც არსებული სინამდვილის ბუნების გარკვევას ვცდილობთ. მონარქია და მხოლოდ მონარქია მიაჩნია მართლმადიდებლობის ტრადიციას ერთადერთ ძალაუფლებად და ღვთის მადლით მირონცხებული მეფის ხელმწიფება ამ ტრადიციას ზეციერი

მეუფების მიწიერ კორელატად დაუდგენია. რევოლუციამდე ადამიანის თავისუფლება მისი ახლანდელი გაგებით არ არსებულა და თუ ის ადამიანის ღმერთთან ბრძოლით იქნა მოპოვებული, გამოდის, რომ ღმერთი ბოროტია და მას არ უყვარს ადამიანი, მაგრამ ეს უკვე თავდაყირა აყენებს მთელ ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას. თუ დღეს ეკლესია რევოლუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლებას მიიჩნევს უდავო ზნეობრივ და კულტურულ მონაპოვრად, ამით ის საკუთარი ტრადიციის უარმყოფელი ხდება. ეს არის მტანჯველი ფიქრი ადამიანისათვის. ის, რომ მე შემიძლია საეკლესიო დოქტრინას კრიტიკულად მივუდგე, ამას რევოლუციას უნდა ვუმადლოდე. სხვა შემთხვევაში მე ანათემა, კატორღა და სიკვდილით დასჯა მელოდა, სწორედ ქრისტეს სახელით. ქრისტიანობას წერილის გაგებაში ტოლერანტობა არ ახასიათებდა არც ბიზანტიასა და ევროპაში, არც რუსეთში. ჩვენ ეს ქრისტიანობის ნაკლად უნდა მივიჩნიოთ, თუ არა? თუ დავთმოთ რწმენის თავისუფლება, ადამიანის უფლებები და მოციქულთა და დიდ მამათა მიერ დადგენილი წესები განუხრელად დავიცვათ?

სინდისის თავისუფლება და პლურალიზმი, რომელიც დემოკრატიის ფუნდამენტია, გამორიცხავს სახარებისეული მონოთეისტური ღმერთის იდეას და ძირეულად ეწინააღმდეგება საეკლესიო დოქტრინას, რომელიც, თავის მხრივ, ასევე გამორიცხავს დემოკრატიული ეგალიტარიზმის პრინციპებსა და ადამიანის უფლებათა დეკლარაციას. ეკლესია ისე წარმოაჩენს, რომ დღევანდელი რელიგიური მოძრაობები არის „მელი განმრყუნელი ქრისტეს ვენახისა“, მაგრამ საეკლესიო სწავლება ჯერ კიდევ რევოლუციამდე იყო შერყვნილი. ამას დაემატა ის, რომ ეკლესიამ უპირობოდ მიიჩნია დემოკრატია უფლის მოსაწონ წყობად და მის დამცველად გამოვიდა. ამავე დროს, მან უარყო ბოლშევიზმი ისე, რომ იდეალურად წარმოაჩინა ბოლშევიზმამდელი პერიოდი და ამით უარყო მისგანვე მხარდაჭერილი დემოკრატიის პრინციპები, რომელნიც ეგალიტარიზმის, სოციალიზმის და ათეიზმის ნაყოფია და ბოლშევიზმი კი დიდი ფრანგული რევოლუციის გაგრძელებაა. ეკლესიას არასდიდებით არ სურს თქვას, რომ ბოლშევიზმის სისასტიკის გამო უპირველესად თავად მას და ავტოკრატორ

მონარქს ეკისრება პასუხისმგებლობა. მათ ვერ შეძლეს რევოლუციამდელი იმპერიის გარდაქმნა და რეფორმირება, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიამ ამის შესაძლებლობა მათ არაერთხელ მისცა და დაანახა, რა მოხდა დიდი ფრანგული რევოლუციის დროს. ბოლშევიზმამდე იდეალურად კი არ იყო ყველაფერი საზოგადოებაში, არამედ ყველაფერი იყო ძალზე ცუდად. თუ დემოკრატი ოპონენტი ამას არასწორად მიიჩნევს, მაშინ გამოდის, რომ დიდი რუსი მოაზროვნენი და საზოგადო მოღვაწენი ტყუილად გამოდიოდნენ თვითმპყრობელობის კრიტიკით და ტყუილად მოითხოვდნენ საზოგადოების რევოლუციურ შეცვლას.

გადაჭრით ვეწინააღმდეგებით საზოგადოებაში დამკვიდრებულ აზრს, რომ მართლმადიდებლობას განდგომილი ქართველი ქართველი აღარაა. თუ ეს ასეა, მაშინ წავშალოთ ქვეყნის ისტორიიდან მენშევიკური საქართველოს პერიოდი და დავივიწყოთ, რომ ქართული დემოკრატიის დასაბამთან ათეისტი მარქსისტები იდგნენ. დავივიწყოთ, რომ ისინი ბოლშევიკებთან ერთად ქართული ეკლესიის და საერთოდ რელიგიის დიდი მქირდავნი იყვნენ. ეს ასევე ეხება იმ დროს მოღვაწე სხვა პარტიებსაც. მივიჩნიოთ სექტანტებად ქართველი კათოლიკენი და ახლა ჭეშმარიტი რჯულის სახელით წავშალოთ ერისათვის დამაშვრალი სულხან-საბას, დიდი სიმონ ყაუხჩიშვილის, ზაქარია ფალიაშვილის და სხვათა სახელები.

აღმსარებლობის საკითხი და რელიგიური ტრადიცია მძიმედ პრობლემურია და ასე მარტივად არაა, რომ ეკლესიას გადაცდენილ ქართველს მოღალატედ თვლიან ნომინალური მართლმადიდებლები და რეზონერობაში გაწაფული მედროვენი. აბო თბილელი ქართული ეკლესიისათვის ქრისტესათვის წამებული წმინდანია, მაგრამ არაბთათვის ის რჯულის დამგმობი მოღალატე იყო. რენე გენონი თავის რელიგიურ ძიებაში ისლამს შეუდგა, მაგრამ ვისა აქვს უფლება კათოლიკურ ევროპაში ის მოღალატედ მიიჩნიოს? პავლე ტარსოსელი იუდეველთათვის რჯულს განდგომილია, საქრისტიანოსათვის კი დიდი მოციქული. ქრისტე მესიაა ქრისტიანთათვის, მაგრამ მშობელი ქვეყნისათვის ის რჯულის დამგმობ მოღალატედ დარჩა და ჯვარს აცვეს. ვიკითხოთ, პროტესტანტული გერმან-

ული ეკლესიისათვის კათოლიკური გერმანული ეკლესია მოღალატეა, თუ პირიქით არის? ფრანგი პროტესტანტები? ინგლისელი კათოლიკეები?

იდეისათვის ბრძოლა დიდ უკიდურესობებს ვერასოდეს არიდებს თავს, რაც ჯერ კიდევ ავგუსტინეს კარგად ჰქონდა გააზრებული და იგი ამ უკიდურესობებს ქრისტეს სახელით ამართლებდა, მაგრამ ეს უკიდურესობანი იდეის ღირებულების უარყოფის საფუძველს არ იძლევა. მართლმადიდებლობას ბრალი მიუძღვის, მაგალითად, 1905-07 წლების დიდ რეპრესიებში ყველა ანტიმონარქისტული ძალის მიმართ. ამ დროს ის მუდამ ღმერთზე და დიდ მამათა ავტორიტეტზე მიუთითებდა, მაგრამ ეს არ უნდა იქცეს მართლმადიდებლობის იდეის უარყოფის საფუძვლად.

ქართული ეკლესია თუ ასეთივე ორსახოვანი დარჩება, საქართველო ცოცხალ მძორად იქცევა. კანონი რელიგიის შესახებ ვერ აღმოფხვრის ეკლესიის კრიზისს. ეს ისეთივე ხერხია, როდესაც წინა წლებში მიუთითებდნენ რიგი კანონების არქონაზე და გულისხმობდნენ, რომ კანონთა მიღება არსებულ უკანონობას აღმოფხვრიდა. უკვე ასობით კანონია მიღებული, მაგრამ საზოგადოება არ შეცვლილა. ქართულ სინამდვილეში კი დიდია იმის შესაძლებლობა, რომ რელიგიის შესახებ კანონის მიღება ეკლესიას ანაფორიან პოლიციელად აქცევს.

რა არის დღეს ქართული კულტურა?*

რამდენიმე დღის წინ პრესაში გამოქვეყნდა კულტურის განვითარების კონცეფციის პროექტი, რომელიც კულტურის სამინისტროსთან არსებულმა ჯგუფმა შექმნა. პროექტი განსახილველად დაეგზავნათ მთელ რიგ სამსახურებს და ის ახლა გამოტანილ იქნა საჯარო განხილვისათვის.

თავიდანვე გავარკვიოთ, რას ვგულისხმობთ ქართულ კულტურაში, რომელიც უსაფუძვლოდ მიიჩნევა ევროპულ კულტურად. ევროპელობა არ არის ის თეატრალობა, მანერულობა და თავაწყვეტილი ჰედონიზმი, რასაც ყოველ ნაბიჯზე

* პირველად გამოქვეყნდა გაზეთში „მერიდიანი 44“ (25-27 ოქტომბერი, 2000წ.).

ვაწყდებით. იმ დროს, როდესაც გამქრალია საერთონაციონალური შეგნება და ერთიანობის იდეა, ლაპარაკი ევროპულობაზე არაფერს ნიშნავს. თავის თავზე ძალზე გადამეტებული წარმოდგენა ქართულ საზოგადოებას უღმერთოდ ათამაშებს და ტანჯავს. საქართველო არ არის ევროპული ქვეყანა. ის არის ევროპეიზებული ქვეყანა კავკასიაში და ეს ევროპეიზება არის შედეგი რუსეთის იმპერიის ფარგლებში ორსაუკუნოვანი ყოფნისა. საქართველო არის წყვეტილებრივი განვითარების მქონე მხარეთა ტრაიბალური შენადგენი, რომლის კულტურაში ერთმანეთისაგან იზოლირებულად, ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი ანტიკური, წარმართულ-სპარსული, ბიზანტიური, არაბულ-სპარსული, თურქული და რუსული პლასტები. ეს გამოიწვია იმან, რომ ყველა შემთხვევაში და ყველა დროში საქართველო იყო მსოფლიო იმპერიების უკიდურესი პროვინცია. ევროპეიზმი საქართველოში რუსულ ექსპანსიას მოჰყვა. ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის დროინდელი ქართული არისტოკრატია ევროპულ კულტურას რუსულ კულტურასთან დაახლოებით ეზიარა. მანამდე საქართველოში ევროპეიზმი არ ყოფილა. კათოლიკე მისიონერებს, რომელნიც აქ XV ასწლეულიდან დამკვიდრდნენ, ევროპეიზმი არ შემოუტანიათ, იმიტომ, რომ ის მაშინ არ არსებობდა. ევროპეიზმი ეს არის ის, რაც გავრცელდა დიდი ფრანგული რევოლუციის შემდეგ მთელ მსოფლიოში დემოკრატიული ეგალიტარიზმისა და სოციალიზმის იდეებთან ერთად. ქართული მართლმადიდებლობა, როგორც ქართველთა უძველესი ქრისტიანობა, არაა საქართველოს ევროპულობის დასტური, იმიტომ, რომ კათოლიკურ ევროპას ბიზანტიური ტრადიციის მიმდევარი ქართული ეკლესია მუდამ ეწინააღმდეგებოდა. ქრისტიანობა არ ნიშნავს ევროპელობას. არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ქრისტიანობა ევროპაში აზიიდან შევიდა და მთელი ათი ასწლეული ქრისტიანული ევროპა ბარბაროსობასა და სიბნელეში იმყოფებოდა. ევროპეიზმი არის ქრისტიანობასთან დაპირისპირებაში წარმოშობილი კულტურული მოვლენა, რომელიც მთელ მსოფლიოში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა პროგრესიზმთან ერთად გავრცელდა და მოახდინა მისი ვესტერნიზება. ევროპეიზმი იქცა უნივერსალურ ცნებად და ნების-

მიერი განვითარება უკავშირდება დასავლურ დემოკრატიას. აქ კი კულტურის შემსწავლელთათვის წარმოიშობა ის სიძნელე, რომ ევროპეიზმი მთლიანად გაიგება როგორც დემოკრატია. დემოკრატიის გარეშე ევროპეიზმის მოაზრება უკვე შეუძლებელი ხდება. ეს კი იწვევს დემოკრატიული იდეოლოგიის დოგმატიზაციას თვით დასავლეთში. ეს იდეოლოგია საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ და ამ დაშლის ფაქტზე მუდმივი მითითებით ახდენს თავისი თავის საბოლოო ჭეშმარიტებად მიჩნევას კაცობრიობის ისტორიაში. ფუკუიამას „ისტორიის დასასრული“ ამ იდეას ყველაზე ნათლად გამოხატავს. დემოკრატიის დოგმატიზებული იდეოლოგია გამორიცხავს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების მრავალვარიანტულობას და შეურიგებელი მონისტურობით გამოირჩევა. დემოკრატიის იდეა, ამ იდეოლოგიის მიხედვით, არის ის, რასაც ყველა დიდი და მცირე ხალხის ისტორიული სვლა და განვითარება გულისხმობდა. ე.ი. რაც მისაღებია და ბუნებრივი ფრანგების ან ამერიკელებისათვის, ის ასევე უკამათოდ მისაღები უნდა იყოს ლეკების, ჩეჩნების ან ქართველებისათვის. ამ აზრის მხარდამჭერად გამოსული ქართველი დემოკრატები საქართველოს ევროპულობის დასტურად მის უძველეს ქრისტიანობაზე მიუთითებენ. მაგრამ ქრიქსტიანობა არ აღნიშნავს ევროპეიზმს და მით უმეტეს დემოკრატიზმს. დასავლეთის ცნება არ შეიძლება მოიაზრებოდეს როგორც ქრისტიანობის სინონიმური ცნება. ეს იმას ნიშნავს, რომ დემოკრატია შივიჩნიოთ ქრისტიანული აზრის განვითარებად და ქრისტიანობა ვუწოდოთ დემოკრატიის იდეოლოგიას. დასავლეთი ამას სავსებით სწორად მიიჩნევს და მან ქრისტიანობა პოლიტიკის ინსტრუმენტად აქცია. ქრისტიანობა ევროპეიზმს მრავალი ასწლეულით წინ უსწრებს და მისი ტრადიცია ეწინააღმდეგება იმ ევროპეიზმს, რომლის საფუძველი არის ლიბერალიზმი, პლურალიზმი და საბაზრო საზოგადოება, რომელიც შეცდომით ქრისტიანული აზრის განვითარების ნაყოფად მიიჩნევა.

კულტურის რაობის განსაზღვრა შეუძლებელია ისე, რომ არ შევეხოთ ისტორიას, რელიგიას, გლობალურ პოლიტიკას და მის იდეოლოგიას.

დავუბრუნდეთ ევროპეიზმის საკითხს საქართველოში.

რუსულ კულტურასთან დაახლოებით ალექსანდრე ჭავჭავაძის დროინდელმა ქართულმა არისტოკრატიამ მთლიანად დაკარგა სპარსულ კულტურასთან კავშირი და ისლამურ აღმოსავლეთთან ურთიერთობის ტრადიცია. ასეთივე მოვლენა ხდება დღესაც. საქართველო ცდილობს გაწყვიტოს კავშირი რუსულ კულტურასთან და უმოკლეს დროში აღმოფხვრას მისი გავლენის ყველა კვალი. ქართული ეკლესია ამ დროს კვლავ ძალზე ორაზროვან მდგომარეობაში ვარდება. დღევანდელი დასავლური უნივერსალიზმი ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ აზროვნებას აქცევს ქართული კულტურის დესტრუქტორად. დასავლური უნიკერსალიზმი ქართული კულტურის გონის დამორგუნველია. ქართულ კულტურას არავინ არ უშლის ხელს იდეოლოგიური აკრძალვებით, მაგრამ სწორედ დასავლური კულტურის შემოჭრამ წარმოაჩინა ქართული კულტურის სისუსტე, სახელდობრ ის, რომ ქართულ წიგნს ან ქართულ ფილმს ყოველთვის აკლია საყოველთაობა. ის მხოლოდ ქართულია და მხოლოდ ქართველისთვისაა. ეროვნული ისაა, რაც მხოლოდ ქართველისათვის არის გასაგები და ღირებული. ქართული კულტურისათვის უცხოა კულტურული მისიონერიზმი, საყოველთაობისაკენ სწრაფვა.

დასავლური უნივერსალიზმის შეთვისება კი არა, არამედ მასთან შეგუებაც კი ქართულ კულტურას დიდი დანაკარგების ფასად უხდება. ეთნოცენტრიზმით გამსჭვალული ქართული კულტურა მუდამ იმპერიული კულტურების გავლენის ქვეშ იყო და ყოველი მომდევნო კულტურა, რომლის გავლენის ქვეშ ექცევა საქართველო, ცდილობს წინამორბედი იმპერიული კულტურის კვალის აღმოფხვრას და იკავებს მის ადგილს. წინამორბედი უნივერსალური კულტურის უარყოფა მომდევნო უნივერსალური კულტურის მიერ, არის იმპერიული ნომოსის გამოვლინება. ასეთ ცვალებადობასა და რყევებს კი გამოკვეთილად არაიმპერიული და არაუნივერსალური ქართული კულტურა არსებითი დანაკარგების გარეშე ვერ უძლებს. ამის შემდეგ კი საჭირო ხდება ქვეყნის ისტორიის გაყალბება, მითის შექმნა ქართველის განსაკუთრებულობაზე და ისე წარმოჩენა, რომ ყველაფერი თანმიმდევრულად და ბუნებრივად ვითარდებოდა. დღესაც საქართველო დასავლური ინტეგრაციის,

ამ უნივერსალური გაერთიანების განაპირა სუბიექტად რჩება და ევროპეიზმის უკიდურეს პროვინციას წარმოადგენს. საქართველოს საკუთარი მონაპირეობა მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებს, რადგან მის მიზიდვას თავის ორბიტაში მუდამ შეეცდებიან თურქეთი, რუსეთი და ირანი. პოლიტიკური გეოგრაფია საქართველოს არა დასავლეთთან, არამედ სწორედ ამ ქვეყნებთან აახლოებს. ქვეყანა დღეს ზღვაში გატაცებულ ძველ ნავს ჰგავს და ამ დროს მისი ისტებლიშმენტი თავს წარმოაჩენს იმ ტვირთის მზიდავად, რომლის დაძვრაც კი მას არ შეუძლია.

ქართული კულტურის ეთნოცენტრისტულმა ხასიათმა განაპირობა ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მრავალი უნივერსალური კულტურის გავლენას ჰქონდა ადგილი, არ მომხდარა კულტურათა სინთეზირება. ქართული კულტურა ეროვნულობისა და სარწმუნოების სახელით ყოველთვის უარყოფდა სინთეზირების შესაძლებლობას და რაც უდავოდ დადებითი იყო, იმასაც ხშირად პოლიტიკური კონიუნქტურა ეროვნულობის სახელით სპობდა.

ქართული კულტურის დღევანდელი მდგომარეობის განხილვისას, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს არა დაფინანსების სიმწირე და ხელისუფლების მიერ კულტურის მიმართ გამოვლენილი ნაკლები ყურადღება, არამედ ის, რომ ქართული სული ძალზე დაკნინდა და ეროვნული იდეა გაუფასურებას განიცდის. ამას ფინანსები ვერ გადაწყვეტს. კულტურის განვითარების კონცეფციის პროექტში ნათქვამია, რომ „კულტურის პოლიტიკა აბალანსებს არა იმდენად არსებულ პრიორიტეტებს, როგორც ეს სხვა სფეროებში ხდება, არამედ საზოგადოებაში კულტურის როლის მოასპარეზე თვალსაზრისებს“. აქ ძნელი გასაგებია, რაზეა ლაპარაკი და რაა ნაგულისხმევი.

თვით დასავლურ კულტურაში მიმდინარეობს ბრძოლა მეტი კულტურული ღიაობისა და მეტი საყოველთაობისათვის. აქ ერთმანეთს უპირისპირდება ამერიკული და ევროპული კულტურული მისიონერიზმი. ამერიკული მასობრივი კულტურა იმდენად ფორსირებული ტემპით ექსპანსირებს, რომ ავიწროვებს ევროპულ მასობრივ კულტურას თვით ევროპაში. ამერიკანიზმები იჭრებიან როგორც მცირე, ასევე დიდი ევროპული ქვეყნების

კულტურებში. ამერიკანიზმები შეიჭრა ევროპულ ენებში. ქცევის ამერიკული მანერა გავრცელდა ევროპელ ახალგაზრდობაში, განსაკუთრებით თვალშისაცემი ეს არის აღმოსავლეთ ევროპასა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. დამარცხებული საქართველოსათვის დასავლური მასობრივი კულტურა თავისი სანახაობითობითა და ევფორიულობით ძალზე მიმზიდველია. საზოგადოება მზადაა ძალზე ადვილად დაივიწყოს მრავალი დამცირება. მისწრაფება საკუთარი კულტურის უარყოფისაკენ აშკარად იჩენს თავს. საკუთარი კულტურა სიცრუის და უსამართლობის დაუძლეველობას უკავშირდება. ადამიანი იდეალს ეძებს სხვა კულტურებში. კულტურის ადგილს იკავებს კულტურული თვალისსეირი, სასმელის დაუსრულებელი რეკლამა, თამბაქოს მწეველი მეძროხე ბიჭების უშველებელი სურათები ყოველ ნაბიჯზე. მასობრივი კულტურის მიერ ყოველივე ეს ადამიანურის მოსაწონ და მისაბაძ გამოხატულებად არის მიჩნეული.

ქართულ საზოგადოებაში ადამიანთშორისი და საზოგადოებრივი ურთიერთობები იმგვარად იყო აგებული, რომ ისინი ეფუძნებოდნენ ავტორიტეტს, პიროვნულ გავლენას. ეს სულაც არაა არადემოკრატიულობისა და აზიელობის მაჩვენებელი, როგორც ამის წარმოჩენა კონიუნქტურის მხარდამჭერთ სურთ. ავტორიტეტულობისაკენ სწრაფვა იმდენად ბუნებრივია ქართულ საზოგადოებაში, რომ უახლოეს წარსულში, ის ხედავდა რა საბჭოთა მმართველობის კონფორმიზმს, ავტორიტეტებად სცნობდა ქურდული კონტრკულტურის წარმომადგენლებს. ქართველი იტვირთავდა და ავითარებდა პიროვნული ავტორიტეტულობის იმ ხარისხს, რაც მას შეეძლო თავისი საერთო განვითარებულობის შესაბამისად. ე.ი. სახელმწიფოებრიობის არქონის კომპენსირება სდებოდა ავტორიტეტულობაზე აგებული ურთიერთობების განმტკიცებით. ავტორიტეტულობა არაა ავტორიტარიზმი. უარყოფდა რა ავტორიტეტულობას, კონიუნქტურული აზრი ამტკიცებდა, რომ „ოდითგანვე ქართველი ინდივიდუალისტი იყო და ამით ენათესავებოდა ევროპულ საზოგადოებას.“ ეს არის ცნებათა შეგნებული აღრევა. ჩვეული ურთიერთობების მოშლამ ქართულ საზოგადოებაში, გამოიწვია პიროვნების კვდომა, რომელიც მანამდეც სუსტად იყო წარმოდ-

გენილი. ამ ვითარებამ დამანგრეველად იმოქმედა დიდი ავტორიტეტის მქონე ეროვნული მოძრაობის ლიდერებზე, ქართულ ინტელიგენციაზე და შემზადდა წანამძღვრები ქართული საზოგადოების დაშლისათვის. ავანსცენაზე გამოვიდა გაზეთებით გაგიჟებული ქართველთა ბრბო, რომელმაც თავისი უხამსობითა და თავაშვებულობით შერყვნა საერთოეროვნული ღირებულებანი. პიროვნებისადმი სიძულვილი დღეს ყველა დონის ურთიერთობაში ძალზე თვალშისაცემია. იგი ვერ იფარება მკვეთრად ხაზგასმული პროტოკოლურობითა და ოფიციალურობით, ასევე ფამილარობით. დამკვიდრდა ინდივიდუალიზმი, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს პიროვნულობასთან. ეს ინდივიდუალიზმი ქმნის ტიპს, რომელიც ქართული კულტურის შიგნიდან დამანგრეველია, რომელიც თავისი მქირდაობით სასაცილოდ ხდის სათნოებასა და კაცთმოყვარეობას. ყველგან იგრძნობა ბატონკაცობას მოწადინებულ, გაავებულ მდაბიოთა თავხედობა. ქართული სინამდვილე მზარდი პლებეიზაციის ხელშემწყობია და მტრობს პიროვნებასა და მის ავტორიტეტულობას. არისტოკრატობის პრეტენზიით გამოსული გააზატებული ნუვორიშების წყება ძირფესვიანად არყევს საზოგადოებრივი ერთობის ყველა საფუძველს.

საქართველო ახალ ასწლეულში გაუფასურებული ღირებულებებით შედის და არც საიმისო ძალა შესწევს, რომ ახალ ღირებულებათა დადგენისათვის იბრძოლოს. პროექტში აღნიშნულია, რომ „კონცეფციის ღერძი და მთავარი თემა არის ეროვნული კულტურის მთელი სპექტრის შენარჩუნება და განვითარების ხელშეწყობა, დემოკრატიული პრინციპების ერთგულება, სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფა“. ეს არის ფრაზა, რომელიც არ ეხება სინამდვილეს. კულტუროლოგიური სიძნელე ისაა, რომ თუ ეროვნული კულტურის თვითმყოფად განვითარებად მიიჩნევა რაღაც კულტურული მოვლენები, საკითხი დაისმის იმის შესახებ, როგორ და სადამდე უნდა ვითარდებოდეს ეს ეროვნული კულტურა? აქვს თუ არა ზღვარი კულტურის თვითმყოფად განვითარებას, თუ ის თავის განვითარებაში არ აღწევს უნივერსალიზმს? უნივერსალური კულტურისათვის რა არის თვითმყოფადი განვითარება?

რა ღირებულებას წარმოადგენს მისთვის ეროვნულის ცნება?

საქართველოს ევროპულობის შესახებ აზრი რომ მხოლოდ პოლიტიკური კონიუნქტურის გავლენითაა შექმნილი, ამას მოწმობს შესაბამისი არგუმენტაციის არადამაჯერებლობა. მსოფლიო ისტორიაში რომ მომხდარიყო ისე, რომ აღმოსავლეთი არ დაცემულიყო XVIII ასწლეულის ბოლოსათვის და ევროპა ამ დროიდან მსოფლიო ჰეგემონად არ ქცეულიყო, მაშინ საქართველოში უფრო მეტი საფუძვლიანობით დაიწყებოდა იმის მტკიცება, რომ საქართველო აზიური ქვეყანაა და მიუთითებდნენ იმაზე, რომ წარმართობის დროიდან საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა სპარსეთთან, შემდეგ სხვა აღმოსავლურ ქვეყნებთან. ევროპოცენტრიზმის გავლენითაა, რომ აზიელობაში ვგულისხმობთ სიბნელეს და ბარბაროსობას და ნებისმიერი მოკულტურულე ქართველი ევროპელად მიგვაჩნია. ქართველები აზიელები არიან, მაგრამ მათ აღმოსავლეთიდან შეითვისეს ყველაფერი. ცუდი და ამის გამო ის, რაც უდავოდ კარგი იყო, აღარ გამოჩნდა. ასევე დღეს, ევროპელობიდან ქართველები ითვისებენ ყოველივე ცუდს და ამის გამო რადიკალურად განწყობილი ქართველი ნაციონალისტები და რელიგიური ფუნდამენტალისტები მთლიანად უარყოფენ ევროპულ კულტურას.

ევროპელობის ცნება არ არის ერთგვაროვანი თვით ევროპაში. დასავლეთევროპელებს სრული საფუძვლიანობით მიაჩნიათ აღმოსავლეთევროპელები ნაკლებევროპელებად. სერბებს, ბულგარელებს, რუმინელებს, ასევე ალბანელებს არ შეუტანიათ წვლილი ევროპეიზმის განვითარებაში, რომელიც ეფუძნება რენესანსის კულტურას და მის მფარველ კათოლიციზმს, შემდგომ კათოლიციზმის წინააღმდეგ გამოსულ საერთოევროპულ პროტესტანტულ მოძრაობას და შემდგომ ფრანგული რევოლუციის იდეებზე დაფუძნებულ სოციალიზმსა და სამეცნიერო ათეიზმს. თვით კათოლიკე პოლონელები, უნგრელები და ჩეხები, გერმანელებთან და ფრანგებთან შედარებით, ნაკლებევროპელებად მოჩანან. ბალტიისპირეთის სამი ქვეყანა და ფინეთი ევროპის პერიფერია იყო და არის. დასავლეთევროპელები თვით რუსებს არ თვლიან ევროპელებად კულტურული და ისტორიული თვალსაზრისით. ევროპის

მართლმადიდებლური ქვეყნები დასავლეთევროპელთაოვის ევროპეისტული კულტურის პერიფერიებია. შეუძლებელია, რომ წინა აზიაში მდებარე საქართველო დასავლეთ და აღმოსავლეთევროპელებმა ევროპულ ქვეყნად მიიჩნიონ იმის გამო, რომ ის ქრისტეს სწავლებას სხვებზე უწინ შეუდგა და დღეს დემოკრატიას იცავს.

ქართული კულტურის უპირველეს ამოცანად ჩვენ გვესახება დიდი კულტურტრეგერული მოძრაობის გაშლა. ინტელიგენციამ მთელი ძალების მოკრებით უნდა შეძლოს ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგეს. საქართველოს სხვა ინტელიგენცია არა ჰყავს და ყველაფრის მიუხედავად, არსებული ტრაიბალიზმის პირობებში, მან უნდა დაიწყოს ბრძოლა საერთო ქართული იდეისათვის. ჩვენ დღეს ილიასა და აკაკის დროინდელი ინტელიგენციის მიერ ჩაყრილ საფუძველზე ვდგავართ. მათ შემდეგ საქართველოში კულტურტრეგერული ნაციონალური ხასიათის მქონე მოძრაობა არ არსებულა. ის მშვიდობა, რომელიც დღეს ქართულ საზოგადოებაში სუფევს, არის მოსაჩვენებელი ჩინებულება, რომელიც ინტელიგენციის ნიჰილიზმს განამტკიცებს.

ქართული ესტრადისა და ზოგიერთი სხვა საკითხის შესახებ*

თავი პირველი

არჩილ ჯორჯაძე აღნიშნავს, რომ ქართული ხალხური სიმღერები ხალხის ტანჯვასა და უბედურებაზე არაფერს გვეუბნებიან. მხოლოდ ქალზე მღერის ქართველი მუშაკაცი (ა.ჯორჯაძე. სამშობლო და მამულიშვილობა. თსუ-ს გამომც., თბ., 1990, გვ. 39-40). აქვე ჯორჯაძე ამბობს, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ადამიანი უილაჯობის გამო თვალს არიდებს თავის სევდას და გულს აყოლებს უმნიშვნელო საგნებს. ჯორჯაძე აქვე დასძენს, რომ ეს თვისება თანდათან

* პირველად გამოქვეყნდა ყოველკვირეულ გაზეთ „ახალ 7 დღეში“ (3-9 ივნისი, 2005წ.) რედაქციისეული სათაურით „ალარაფერია პოეტთა დასადგენი“.

აღმოიფხვრა, რადგან ხალხი გათვითცნობიერდა. ჯორჯაძეს მხედველობაში აქვს თავისი დრო, XX საუკუნის დასაწყისი. მას, როგორც განმანათლებელს, სჯეროდა, რომ ქართველობა უკეთესი გახდებოდა თავისი ზნით. სინამდვილემ კი დაგვანახა, რომ XX საუკუნის მიწურულისა და XXI საუკუნის დასაწყისის ქართველობა ამაში არ შეცვლილა.

90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის დასაწყისშივე კატასტროფამ და შევარდნაძის 12-წლიანმა მმართველობამ ქართველობა დიდად დაამცირა. მისი უბედურება სასიმღერო და საესტრადო ხელოვნებაში სწორედ ისე აისახა, როგორც ჯორჯაძე აღნიშნავდა.

ეროვნული მოძრაობის დროს, განსაკუთრებით 9 აპრილის შემდეგ, ქართულ ესტრადაზე ლიბერალურ-რელიგიური პროპაგანდის გავლენით, მოდური გახდა ღმერთზე, ღვთისმშობელზე, წმინდა გიორგიზე მღერა. სასცენო დეკორაციებსე გამოსახავდნენ ნათლისღებას, ხარებას და ა.შ.

სამოქალაქო ომის (1991 - 94 წწ.) შემდეგ, სიმღერები ღვთისმშობელსა და ღმერთზე მიივიწყეს და დაიწყო მსუბუქი შინაარსის სასიმღერო ტექსტების შექმნა. რას უმღერის დღეს ქართული ესტრადის შემსრულებელთა უმრავლესობა? სიძვამრუშობას. შეუძლებელია არ გაგეცინოს ამაზე. გუშინ თითქოს მთელი გულით ქალწულ მარიამსა და მის ძეს უმღეროდნენ. დღეს მართლა მთელი გულით სიძვას უმღერიან. მხოლოდ უცხოური ესტრადის გავლენას ვერ დაბრალდება ის, რომ მრავალი ქართული სასიმღერო ტექსტის შაბლონია "შენთან მინდა, როგორ მინდა", „მოდი ჩემთან, მოგეფერო" და ამგვარები. რელიგიური შინაარსის საესტრადო ჩანაწერებს რეტროს რუბრიკაშიც აღარ უჩვენებენ. ეს მაშინ, როდესაც 1994 წლიდან რადიო და ტელეთეატრში ხშირად გადის XX საუკუნის 50-60-იანი წლების საესტრადო შემსრულებელთა გამოსვლები.

თანამედროვე შოუბიზნესში – კინემატოგრაფსა და საესტრადო ხელოვნებაში ყველაზე მეტად იგრძნობა სოციალური დროის აჩქარება, მისი დისკრეტულობა და უმიზნობა. სოციალური დემობილიზაციითა და მასობრივი ელიტიზმით ინფიცირებული ახალგაზრდობისათვის საესტრადო ხელოვნება ერთადერთი მირაჟული კულტურაა, რომელიც

ინდივიდთაშორისი გაუცხოების პირობებში ქმნის საერთიობის მოჩვენებითობას, ყალბ ინტერაქციასა და ინტერსუბიექტურობას. შოუბიზნესის მზარდი სკაბრეზულობის მიზანი ახალგაზრდული თიმოსის უფრო მეტად მოთვინიერებაა. ყველა პოლიტიკურ სისტემას გააჩნდა ცენზურა და უფრთხოდა იმას, რომ ხელოვნებასა და ლიტერატურაში გამოვლენილი უხამსობა, როგორც პოლიტიკური პროტესტის ფორმა, მაგალითად, ვოლტერის პოემა „ორლეანელი ქალწული“ (1762 წ.), არ გადაზრდილიყო მასების ორგანიზებულ დისიდენტობაში. სხვა პოლიტიკურ სისტემათა მსგავსად, ლიბერალიზმიც უფრთხოდა სახელოვნებო უხამსობასა და კონტრკულტურულ ეპატაჟს XX საუკუნის 60-70-იანი წლების ახალგაზრდული საპროტესტო მოძრაობის დროს. ლიბერალიზმის მზაკვრული გამარჯვება ამ მოძრაობაზე მართლაც შთამბეჭდავი იყო. ამ გამარჯვების შემდეგ შოუბიზნესი იწყებს სხვადასხვა მანიის, ანომალიის, დევიანტური ქცევის სარფიან კულტივირებას. ვიდეოკლიპებში ნაჩვენებია კოპროფაგია (განავლის ჭამა) (მაგალითად, ჯგუფ Bloodhound gang-ის - კლიპი „Bad touch “), სადომაზოხიზმი (მაგალითად, მომღერალ რობი უილიამსის კლიპი “ Rock DJ“), ეპატაჟი (მაგალითად, მომღერალ მერლინ მენსონის კლიპები). დღეს ეს ყველაფერი საესტრადო ხელოვნების განუყოფელი ნაწილია. ამასვე ვხედავთ კინემატოგრაფ'ში, განსაკუთრებით ამერიკულში. აკაკი ბაქრაძე ძალზე უარყოფითად აფასებდა მას და კინოტელენეხვს უწოდებდა (ა. ბაქრაძე. წერილები.2000 წ.).

კაპიტალის პოლიტიკური სისტემა თითქოს უნდა უფრთხოდეს შოუბიზნესის ასეთ ხასიათს და ეშინოდეს იმისა, რომ ასეთი ანომალიურობა კაპიტალის ძალაუფლების წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის სახეს მიიღებს. ასე კი არ ხდება. სწორედ ესაა დამაფიქრებელი და არა დასავლელ საესტრადო შემსრულებელთა სულ უფრო მეტი ეპატაჟი. ადამიანმა დაკარგა წინააღმდეგობის უნარი და მისი ცხოვრება იქცა აბსოლუტურ სპექტაკლად, უწყვეტ კლიპად.

ადამიანი დამცირებულია და ეს მისი ხვედრითაა დადგენილი. ამას სხვადასხვაგვარად გამოხატავენ ბერძნული მითი და ებრაული საღვთო წერილი. ადამიანის დამცირებულობა ჯერ კიდევ გილგამეშის ეპოსშია გააზრებული. გილგამეში სიბრძნეს

ეზიარა და სიღრმე იხილა მაშინ, როდესაც მან შეიცნო, რომ იგი, როგორც ადამიანი, დამცირებულია და ეს მისთვის ტრაგედიად იქცა.

ადამიანის დამცირებულობა მხოლოდ პოლიტიკური სისტემის უსამართლობის გამო არ არსებობს. ადამიანი მაშინაც დამცირებულია, როდესაც პოლიტიკური სისტემა იდეალურთან ახლოს დგას და მმართველი შეფე სოლომონის მსგავსია. ადამიანის დამცირებულობა არის ონტოლოგიური ფენომენი. პოლიტიკური სისტემისა და საზოგადოების სიწ'ამხდრის გამო ადამიანის დამცირებულობა ზედაპირული მოვლენაა. რესენტიმენტულ საზოგადოებაში ადამიანი ყველა საშუალებით მუდამ სხვათა დამცირებას ცდილობს თავისი პოლიტიკური განსჯით. დამცირებულობა ადამიანის მუნ ყოფნის უძირითადესი მახასიათებელია.

შოუბიზნესი ებრძვის ამ ფენომენს და გვიმტკიცებს, რომ ადამიანი მანამ იყო დამცირებული, სანამ ლიბერალ-დემოკრატიზმი დამკვიდრდებოდა. ადამიანი ცდილობს დამცირებულობის პოლიტიკური სპექტაკლით, თვალისსეირითა და იუმორით დაფარვას. ეს არის საყოველთაოდ გავრცელებული, გარკვეული აზრით ყოველთვის ნებადართული, თავისებური superbia (ამპარტავნება, მზვაობრობა), რომელსაც არ მოაქვს ღმერთების რისხვა და სასჯელი, რომელიც არაა ტრაგიკული მოვლენის გამომწვევი. ეს არის დამცირებულობის, როგორც კაცის ხვედრის წინააღმდეგ ფლიდური ჯანყი.

აქ ხელოვნება გამოდის როგორც სიცრუე. შოუბიზნესი ტრაგედიის ანტიპოდია. შოუბიზნესში პოსტულირებულია homo ludens (მოთამაშე კაცი). ადამიანები ერთმანეთს ეთანხმებიან, რომ შოუბიზნესი აბათილებს დამცირებულობას. ეს შეთანხმება ყოველთვის უთქმელად წარმოიშობა იქ, სადაც იუმორი და თვალისსეირი გამოდის როგორც დამცირებულობის უარმყოფელი. კაცთა ში'ში იმის წინაშე, რაც წარმოშობს დამცირებულობას, აიძულებს მათ შეთანხმდნენ უსიტყვოდ და უმზირონ დამცირებულობის გამაუქმებელ ყველაზე მდარე სანახაობასაც კი.

ხალხებს შორის ებრაელები იყვნენ, ვინც არა მხოლოდ უძლებდა დამცირებულობის სიმძიმეს, არამედ საღვთო

წერილში ასახავდა მას, საკუთარ დაცემასა და ტრაგედიას უმაღლეს საღვთისმეტყველო აზრს ანიჭებდა. სხვა ხალხებმა ეს ვერ შეძლეს. ქრისტიანიზაციის შემდეგ მათ ებრაელებს ძალზე ცუდად მიბაძეს იმაში, რაც არ შეეძლოთ. ებრაელთა დამცირებულობამ არ სცნო ქრისტეს დამცირებულობა.

თვალისსეირითა და იუმორით დამცირებულობის უარყოფამ წარმოშვა ყოვლად მცდარი აზრი, რომ იუმორის გრძნობა ადამიანს ამშვენებს. შეუძლებელია, რომ ასე იყოს. აზროვნება იწყება სიცილზე უარის თქმით. ის იწყება მაშინ, როდესაც ადამიანი თავისი ნებით თავის თავზე იღებს წყევლას, რომ არ იცინოს. საკუთარი თავის უუბედურეს ადამიანად ცნობა არ საჭიროებს ასეთი თვითრეფლექსიისათვის იუმორის გრძნობასა და იუმორს, როგორც შემამსუბუქებელ გარემოებას.

ჭეშმარიტმა აზროვნებამ არ იცის სიცილი. მისთვის იუმორი მტრულია. ამავე დროს სინდისი და სიცილი მრავალი ძაფით არიან ერთმანეთს დაკავშირებულნი. საკუთარი თავის უუბედურეს ადამიანად ცნობა არის ის შინაგანი სიტყვა კაცში, ის ყველაზე ინტიმური რამ, რის შესახებაც მოკვდავთ ყველაზე მეტად ეძნელებათ ერთმანეთთან უბნობა.

უუბედურესი ადამიანი შემეცნებას თავისი დამცირებულობის ცნობით იწყებს და ის სულაც არ უკავშირდება, მაგალითად, უვარგის მთავრობას, მორიგ საპარლამენტო არჩევნებს.

ადამიანის მიერ საკუთარი დამცირებულობის ცნობაზე უარის თქმა ვლინდება წყევლის მგულისხმებელ ბანალურ მიმართვაში „შე უბედურო“. ამის მთქმელი ადამიანი მიიჩნევს, რომ თავად იგი არაა და არც შეიძლება იყოს უბედური და დამცირებული. მხოლოდ სხვა. მასობრივი კონსიუმერიზმი ამკვიდრებს შეგნებას, რომ ადამიანს შეუძლია იყოს ბედნიერი, თუ პოლიტიკური ინსტიტუტები გამართულად იმუშავებენ. ეს, რა თქმა უნდა, საგანმანათლებლო დისკურსის გამოძახილია. ადამიანთა გამომწვევი ქცევა ზემოთ აღნიშნული superbia -ს გამოხატულებაა, რომელსაც სახელოვნებო ბიზნესი სულ უფრო ექსტრემალურ და ექსტრავაგანტულ სახეს სძენს. პირველივე სიძნელისთანავე ეს პატარა, საბრალო ადამიანები წრიალს იწყებენ. ნებისმიერი მათი მსჯელობა და მოქმედება ფალსიფიკატორობაა. მედიაკრატია კი ამას გონიერებად წარმოაჩენს.

დასავლეთის მიერ დიდი საგანმანათლებლო პროექტის საბაზრო მოსაზრებებით დახურვის პირობებში, სახელოვნებო შოუბიზნესი განმანათლებლობის მიტაცების დაფარვის მიზნით, სულ უფრო რადიკალურად უარყოფს ადამიანის არსებობის ფუნდამენტურ თვისებას, რომ იგი დამცირებულია, რომ იგი არის homo detrectatus (დამცირებული ადამიანი). ეს არის უფრო არსებითი ადამიანის შესამეცნებლად, ვიდრე ის, რომ ადამიანი არის გონიერი, იარაღის მკეთებელი არსება, რომ იგი არის homo ridens (მოცინარი ადამიანი).

XVIII საუკუნის ფრანგულმა ათეიზმმა და მთლიანად ევროპულმა განმანათლებლობამ უარყო ადამიანური არსებობის დამცირებულობის ფუნდამენტური თვისება. საგანმანათლებლო კრიტიკული დისკურსისათვის ადამიანი გონიერი არსებაა. საგანმანათლებლო უნივერსალური პროექტის ტრანსცენდენტალური სუბიექტი, ფრანგ განმანათლებელთა განაზრებით, ამ ფუნდამენტურ თვისებას მოკლებულია. ეს სუბიექტი ეყრდნობა ratio-ს და ისტორიულ ჰორიზონტს ღმერთმებრძოლობით აღმოაჩენს.

აზრი ადამიანის დამცირებულობის შესახებ კვლავ იჩენს თავს ექსისტენციალურ ფილოსოფიაში, რომელიც ნიცშეს შემდგომ თავისებურად იუწყება განმანათლებლობისა და ratio-ს კრიზისის შესახებ. ჰაიდეგერთან ერთმანეთს უკავშირდება გადაგდებულობა (Die Geworfenheit) და სინდისი. ჰოეტებიდან ჰოლდერლინმა იუწყა ratio-ს კრიზისის შესახებ.

სინდისი, როგორც შინაგანი სიტყვა, ორსახოვანია და ბევრჯერ ცდება. აქაც ვლინდება დამცირებულობა. სპექტაკლის საზოგადოებასა და შოუბიზნესის ინდუსტრიაში სინდისი გაუგონარი მანიპულაციის საგანია. თითქოს დეიდეოლოგიზებული და პოლიტიკისაგან დისტანცირებული სახელოვნებო ბიზნესი, ისევე როგორც ტანსაცმლის სულ უფრო ექსტრავაგანტული მოდა, როგორც მზარდი სექსუალიზაციის საშუალება, ახალგაზრდობას ცხოვრების სიიოლის ილუზიას უქმნის და მას მუდმივად ნევროზულ, შიზოიდურ და მიზანთროპულ მდგომარეობაში ამყოფებს. სიმღერაში ორგაზმების, ხოლო ცეკვაში ფრიქციების იმიტაციები ქმნის ადამიანის სრული თავისუფლებისა და არადამცირებულობის მოჩვენებითობას.

როსკიპელი როკვა და რონინი იქცევა მოდად არა მხოლოდ ახალგაზრდობისათვის.

დოსტოევსკის „ქაჯების“ მერვე თავში (Иван-Царевич) ვერხოვენსკი სტავროგინს ეუბნება: „... Но одно или два поколения разврата теперь необходимо; разврата неслыханного, подленького, когда человек обращается в гадкую, трусливую, жестокую, себялюбивую мразь, - вот чего надо!“.

ინდუსტრიული სექსუალიზმი ადამიანისათვის არის რესენტიმენტულობის გამოვლენის ერთ-ერთი შესაძლებლობა. ეს რესენტიმენტულობა პოლიტიკური წყობილების საფუძვლებს საფრთხეს არ უქმნის. ადამიანი სულ უფრო მეტადაა დამცირებული. ამავე დროს ეს სექსუალიზმი მისთვის რჩება რაღაც უკანასკნელ ხელმოსაჭიდად, რათა მან თავისი ადამიანობის ღირებულება წარმოაჩინოს. ამის გააზრება უჭირთ ხოლმე.

შოუბიზნესის მიერ ყოველდღიურობის სექსუალიზაცია მასობრივი ელიტიზმის შემადგენელი ნაწილია. საესტრადო ხელოვნების ათასფერი ელექტრონული ინფერნალიზმი მაქსიმალურად ატომიზებულ სოციუმს არარაობად აქცევს.

საესტრადო ხელოვნებაზე, მთლიანად შოუბიზნესზე მსჯელობისას განვიხილოთ გენიალობის საკითხი. მაგრამ სანამ ამას განვიხილავთ, უნდა ითქვას შემდეგი: როგორი მდიდარი უნდა იყოს ფინანსური ოლიგარქია დასავლეთში, რომ მსახიობებს, სპორტსმენებს, კინორეჟისორებს, მომღერლებს, ტელეწამყვანებს მულტიმილიონერებად გახდომის შესაძლებლობას აძლევს. ეს გამდიდრებული შოუმენები არანაირ კეთილ გავლენას არ ახდენენ დასავლურ პოლიტიკაზე. მაგალითად, კინომსახიობი და სპორტსმენი არნოლდ შვარცენეგერი ამერიკული ნეოკონსერვატიზმის მხარდაჭერით პოლიტიკაში გადავიდა და მხარს უჭერს ბუშის კურსს. უმეტეს შემთხვევაში, გამდიდრებული მომღერლები და მსახიობები ან ხელისუფლებისა და მთლიანად კაპიტალის სისტემის მხარდამჭერნი არიან, ან კიდევ ლოიალურად არიან მის მიმართ განწყობილნი.

თუ დასავლეთში XX საუკუნის 60-70-იან წლებში ჯერ

კიდევ იყვნენ კაპიტალის სისტემის მაკრიტიკებელი მწერლები და მათი ხმა მსოფლიოს ესმოდა, დღეს ასეთი მწერლები აღარ არიან და თუ არიან, მათი ხმა თვით დასავლეთში ძნელად ისმის. პოლიტიკურმა პოეზიამ და საერთოდ პოეზიამ აზრი დაკარგა. შოუბიზნესისათვის მწერლისა თუ პოეტის სიტყვა უმნიშვნელოა. ამიტომაა, რომ კლასიკური მწერლობა იცვლება კომერციალიზებული ბელეტრისტიკით. პოეზიის სიკვდილი ჩვენი დროის ნიშანია. ჰოლდერლინის სიტყვები Was bleibet aber, stiften die Dichter უაზრო ხდება. აღარაფერი რჩება პოეტთა დასადგენი. დღევანდელი პოეტი აღარ იუწყებს დაფარულის შესახებ. მას აღარც პოლიტიკური მოჯანყეობა ძალუძს. ახლანდელ დროში ბაირონის მსგავსი პოეტი შეუძლებელია, რომ იყოს. თანამედროვე პოლიტიკური სისტემისა და მისი მხარდამჭერი პოეტების ბაირონისამებრ მხილებას აზრი არა აქვს, რადგან ევროპეიზმისა და დასავლური ცივილიზაციის ფარგლებში ალტერნატივა აღარ არსებობს.

დავუბრუნდეთ გენიალობის საკითხს: როგორ ვლინდება გენიალობა შოუბიზნესში? ჰოლივუდში კინემატოგრაფიული შედევრები ათობით იქმნება. როდესაც მათი შექმნა კონვეიერულ ხასიათს იძენს, ისინი ნაკლებღირებულნი ხდებიან. შედევრს მხოლოდ სავალდებულო სტანდარტის მნიშვნელობა გააჩნია. თუ ეს ასეა, რაღა შეიძლება იყოს კინემატოგრაფში გენიალური? ხშირად უთქვამთ – გენიალური კინორეჟისორი სერჯიო ლეონე ან გენიალური ფრენსის ფორდ კოპოლა. მაგრამ ის მხატვრული და ტექნიკური დონე ფილმის შექმნაში, რაც მათთან იქნა მიღწეული, მცირე ხანში მრავალი კინორეჟისორისათვის იოლად შესასრულებელი სტანდარტი ხდება. ენდრიუ ლოიდ უებერის მიუზიკლი „ქრისტე – სუპერვარსკვლავი“ ორიგინალურია თუ გენიალური?

გენიალურნი არიან ალ პაჩინო, კლინტ ისტვუდი, რობერტ დე ნირო, მრავალი ათეული ევროპელი კინომსახიობი. რასაც ალ პაჩინო, ისტვუდი, თუ დე ნირო დიდი შრომის შედეგად აღწევდნენ, იმას დღეს იოლად ითვისებს და იმეორებს უამრავი ახალგაზრდა კინომსახიობი (ლეონარდო დი კაპრიო, ჯოშ ჰარტნეტი, რასელ კროუ და სხვანი).

დაისმის კითხვა: სადამდე შეიძლება მივიდეს კინომსახიობის

გენიალობა? რაღა უნდა იყოს სამსახიობო ხელოვნებაში გენიალური, როდესაც გენიალურნი არიან ათასები? ეს კითხვები ადამიანის არსებისა და ცნობიერების პრობლემებს უშუალოდ ეხება.

ლეონარდოს „მონა ლიზა“, ისევე როგორც ამავე პერიოდის სპარსული მინიატურები, შედევრებად მიიჩნევა. დღეს ასეთი რამ შეიძლება დახატოს სამხატვრო სასწავლებლის უფროსკურსელმა, მაგრამ ის გენიალურად ალარ ჩაითვლება. ლეონარდო რომ წარმოისახავდა, რა უნდა დაეხატა, ის ღვთისაგან იღებდა შთაგონებას, თუ ეს მხოლოდ შემოქმედი გონების დიდი გაქანება იყო? ლეონარდო რომ მანქანათა ნახაზებს ქმნიდა, ეს მხოლოდ მძლავრი გონების ენერგეია იყო, თუ ამაში ღვთიური შთაგონებაც ერია? თუ ეს ასეა, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მომდევნო ეპოქის დიდ მეცნიერთა ტექნიკური გამოგონებანიც ღვთის ინსპირაციით იყო. მაგრამ ეს მეცნიერნი ასეთ დასკვნას არ დაეთანხმებოდნენ. ისინი თავიანთ გამოგონებებს გონების ძალით ახსნიდნენ. აინშტაინი ფარდობითობის თეორიის შექმნას ღვთივშთაგონებულობის ძალით არ ახსნიდა, ისევე როგორც ოპენჰაიმერი ბირთვული იარაღის შექმნას ღვთის ნებას არ მიაწერდა, ხოლო ედისონი საკვირველ გამოგონებებს ხილვებს არ დაუკავშირებდა. ბლეზ პასკალი რომ სამეცნიერო ცდებს ატარებდა და გენიალური ინტუიცია ჰქონდა, ეს ღვთისაგან იყო, თუ გონების ძალისაგან?

რატომ არ შთააგონა ცაბაოთ უფალმა რომელიმე წინასწარმეტყველს ან იუდა მაკაბელის თანამოსაგრე რჯულისკაცებს რაიმე ტექნიკური გამოგონება, რათა ყამალეკიანებისაგან დევნილ ისრაელიტებს თავიანთი ქალაქები დაეცვათ? რატომ არ შთააგონა უფალმა ქრისტეს ან მოციქულებს რაიმე მექანიკური მოწყობილობის შექმნა? ბიბლიური ტრადიცია გვასწავლის, რომ ღვთივშთაგონებულობა გულგრილია ტექნიკური გამოგონებებისადმი. ღმერთი თავის რჩეულთ არა ამას შთააგონებდა. აქვე დაისმის კითხვა: რატომ არ გამოეცხადა უფალი ახალი ან უახლესი დროის რომელიმე დიდ ფილოსოფოსს, მაგალითად, ლაიბნიცს და აუწყა, რომ მისი თეოდიცეა მას ეთნო?

დიდ დაზუსტებას საჭიროებს გავრცელებული მსჯელობა,

რომ „ყველა დიდი მეცნიერი მორწმუნე იყო“. ეს მსჯელობა ღვთის გადარჩენის მეტად უბრალო ხერხია და შემმეცნებელს ვერაფერში დაარწმუნებს.

რატომ უპირისპირდება თავის განვითარებაში ტექნიკა ადამიანსაც და ღმერთსაც? როგორ და სად აღმოვაჩინოთ ის არტეფაქტი, საიდანაც ტექნიკა გონის წინააღმდეგ იწყებს გამოსვლას და თან გონების ძალით კიდევ უფრო წინ მიდის?

როგორ გავარკვიოთ, სად მთავრდება ლეონარდოს, როგორც მხატვრის ღვთივშთაგონებულობა და იწყება მისი, როგორც ტექნიკურ მოწყობილობათა გამომგონებლის მეცნიერული გონების მუშაობა?

ღვთივშთაგონებული გენიალობა გონების გენიალობისაგან როგორ განვასხვავოთ? ავგუსტინე გენიალურია როგორც ღვთივშთაგონებული, მაგრამ ჰაიდეგერის გენიალობა გონების გენიალობაა. აქ კი უნდა დავაყენოთ კითხვა: ავგუსტინე უეჭველად ღვთივშთაგონებული გენიალობაა თუ ისიც გონების გენიალობას მიეკუთვნება?

ფსევდოდიონისემ არეოპაგიტიკის კორპუსი რომ შექმნა, ეს ღვთივშთაგონებულობა იყო, თუ ღვთის მაძიებელი ნათელი გონების გენიალობა? რომ დავუშვათ ორივე? თუ ორივე იყო, მაშინ როგორ უნდა შევიცნოთ უშუალოდ არეოპაგიტიკის ტექსტიდან ამ ორს შორის არსებული კორელაცია?

ანდრეი რუბლიოვმა რომ შექმნა ხატწერაში ცნობილი შედევრი „სამება“, ეს მთლიანად ღვთივშთაგონებულობა იყო, თუ ხატმწერის გონების შემოქმედებითი გენიალობა? როგორ გავარკვიოთ? აქვე ისიც უნდა ვიკითხოთ, არის კი რუბლიოვის „სამება“ გენიალური, თუ ის ბიზანტიური ხატწერის სტანდარტული რუსული ნიმუშია? ვინ და რა წესით დაადგინა ხელოვნებათმცოდნეობაში, რომ ის გენიალურია და რომ მისი ჭვრეტა უდავოდ გვარწმუნებს ღმერთის არსებობაში? ეშერის ან დალის რომელიმე ტილოს ჭვრეტა დაგვარწმუნებს თუ არა ღმერთის არსებობასა ან არარსებობაში? უილიამ ბლეიკის ფერწერა რას გვეუბნება შესაქმის შესახებ?

რა მასშტაბის გენიალობაა ლეონარდოს ტილოებში დალის ტილოებისაგან განსხვავებით და არის კი უდავოდ გენიალური

ტილო „მონა ლიზა“? ფერწერაში ბოსხი უფრო გენიალურია თუ ლეონარდო? თუ ჰო, როგორ განვსაზღვრეთ ეს, რომ დადებით პასუხს ვიძლევით?

რუბლიოვის „სამებასთან“ დაკავშირებით კიდევ ერთს ვიტყვით: ზაზა ლოდიამ ტიხრული მინანქრის მშვენიერი ნიმუშები შექმნა, მაგრამ შედევრებად მიიჩნევა ძველ დროში შექმნილი ბიზანტიური მინანქარი და მისი სტანდარტული ქართული ნიმუშები, რომელნიც ასევე ძველ დროში შეიქმნა. დღეს რაც შეიქმნა ლოდიას მიერ, ის მხატვრულად და ტექნიკურად უკეთესადაა შესრულებული. გენიალურად კი მას არ მიიჩნევენ. რატომ? აქვე ვიტყვით, რომ ხელოვნების ნიმუშის შედევრად აღიარებას ხელს იწყობს მასზე ბიბლიური სიუჟეტების, ასევე მოციქულთა და მახარებელთა გამოსახვა. თუ ეს ასეა, მაშინ წარმოიშობა საფუძვლიანი აზრი, რომ ადამიანი ხელოვნებაში ღმერთს ძალზე დიდ შელავათს აძლევს. ნიმუშის ავტორის ღვთივშთაგონებულობაზე ლაპარაკი კი ეადვილებათ ხოლმე ხელოვნების ისტორიკოსებს.

გარდა ამისა, ყველა ხატი და ფრესკა არ მიიჩნევა ღვთივშთაგონებულად. რატომ? რჯულის მიხედვით, ხატმწერზე მადლი გადმოდის. ეს ღვთივშთაგონებულობას გულისხმობს. თუ ხატმწერის შესრულებული ნიმუში არ მიიჩნევა შედევრად, გამოდის, რომ მან ვერ მიიღო და ვერ შეიცნო მადლი. სადაც მადლია, იქ უთუოდ შედევრი უნდა იყოს. როგორ გამოვარჩიოთ უამრავი ნაწერი თუ ჭედური ხატებიდან რომელი ხატია შექმნილი უფლის მადლის მეოხებით და რომელი მხოლოდ ხატმწერის სტანდარტული უნარისა და ტექნიკური ჩვევის ნაყოფია?

რითი განსხვავდება ბიბლიური სიუჟეტის ტილოზე გამომსახველი რენესანსის ეპოქის დიდი მხატვრის შთაგონება და აღმაფრენა იმ დიდი ხატმწერის შთაგონებისა და აღმაფრენისაგან, რომელიც ასეთსავე სიუჟეტს ხატზე გამოსახავს?

საგანმანათლებლო პროგრესი ადამიანის უწყვეტ ზეაღსვლას გულისხმობს. ეს იდეა დემონური აზრის მქონეა. მის გარეშე კი გონების ჰორიზონტი ვერ გაფართოვდება. დოსტოევსკი გენიოსადაა მიჩნეული, მაგრამ განვითარებული ადამიანისათვის, მისთვის, ვინც უწყვეტად ზეადის, დოსტოევსკი აღარაა ისეთი, როგორიც ის არის უბრალო ადამიანისათვის. რაც დოსტოევსკისთან არის შესაძლებლობათა უკიდურესობა ზნეობრივი საკითხების გადაჭრაში, განვითარებული ადამიანისათვის არის ყოველდღიური რუტინული შემეცნება. ესე იგი, ერთეულთა ხვედრი და უნარი საგანმანათლებლო ზეაღსვლაში მყოფ ადამიანთათვის ყოველდღიური ცხოვრებაა. ეს ნიშნავს, რომ ამ ადამიანთათვის გენიალობა უფრო მეტი სიღრმისა და სიმაღლის მიღწევას მოითხოვს.

თუ ათასობით ადამიანმა ისწავლა გენიოსთამებრ წერა, ხატვა ძერწვა, რა უნდა ვუყოთ იმ თხზულებებს, ტილოებს, ქანდაკებებს, რომელნიც დოსტოევსკის, ლეონარდოს, მიქელანჯელოს სიმაღლეს გაუთანაბრდებიან? როგორ არის შესაძლებელი ათასობით დალი, აინშტაინი, ნიცშე? თუ ერთი თაობა მაღალი შემოქმედებითი უნარის მქონე იქნება და დიდ მიღწევებს შექმნის, როგორი უნდა იყოს განათლების სისტემა და მეთოდები, რომ მეორე თაობამაც შეინარჩუნოს მოპოვებული დონე და დაბლა არ დაეშვას? თუ 16 წლის მოზარდი იოლად ითვისებს აინშტაინის ან ჰაიზენბერგის მასშტაბს და მეცნიერება უსასრულოდ ვითარდება, მაშინ გონების ასეთი ზეაღსვლა უნდა მივიდეს ფიზიკური სამყაროსა და ადამიანის სულის სრულ გარდაქმნამდე. ეს არის საგანმანათლებლო კულტურუტოპიზმის ფუნდამენტური იდეა, რომელიც საერთო იყო მარქსიზმისა და ლიბერალიზმის პლანეტარულ ჭიდილში.

ადამიანის გარდაქმნის იდეა არის ძველი დროის ეზოთერულ მოძღვრებებში: გნოსტიციზმში, ბოგომილობაში, კაბალაში, სუფიზმში. განმანათლებლობამ ეს იდეა ათეისტურად და მკაცრად რაციონალურად გამოხატა.

თუ მხოლოდ ერთეულები მოღვაწეობენ და განმანათლებლობის მიერ შექმნილი ზნეობრივი მინიმუმი

იკარგება, მაშინ სოციალური ენტროპიის შესერება ტირანიითაც კი შეუძლებელი ხდება და ორთოიდული, ვექტორული დროიდან კვლავ ციკლურ დროსთან დაბრუნება ხდება. როგორი უნდა იყოს ის საზოგადოება, რომ ადამიანმა შეძლოს ჯეროვნად დააფასოს უდიდესი და ამავე დროს უკვე ტრივიალური მიღწევები? როგორ და სადამდე უნდა შეძლოს ადამიანმა შეინარჩუნოს ის იდეურობა და ენთუსიაზმი, რაც უწყვეტი ზეაღსვლის განხორციელებას ყველაზე მეტად სჭირდება? ყოველთვის გულისხმობს თუ არა გონების მუდმივი წინსწრაფვის იდეა ზნეობრივ საწყისს?

წარმატებული შოუმენის მიმართ ხშირად გამოიყენება ვარსკვლავის ცნება. ვარსკვლავია ტელეწამყვანი ოფრა უინფრი, ასევე ლარი კინგი, ვარსკვლავია ჰოლივუდის ასობით მსახიობი, ვარსკვლავია საესტრადო შემსრულებელი მერაია ქერი და სხვა მრავალი.

ვარსკვლავობა არ ნიშნავს გენიალობას. საქართველოში ვარსკვლავის ცნება ძალზე ხშირად და უადგილოდ გამოიყენება არა მხოლოდ საესტრადო შემსრულებელთა მიმართ, არამედ კლასიკური მუსიკის შემსრულებელთა მიმართაც. ამან მეტად ფამილარული სახე მიიღო. ვარსკვლავობა კლასიკურ მუსიკაში ნიშნავს იმას, რომ არ უნდა იყო იეჰუდი მენუჰინზე, ჰერბერტ ფონ კარაიანზე, ვან კლაიბერნზე ნაკლები მუსიკოსი.

საქართველოში არ არსებობს მუსიკის ფილოსოფია. ევროპაში მუსიკის ფილოსოფიურ გამოკვლევებს წერდნენ მაქს ვებერი, თეოდორ ადორნო. პრესაში წარმოდგენილი ანალიტიკური მასალები საესტრადო ხელოვნების შესახებ ძალზე უბრალო და უღიმღამოა. ამდენი დამცინავი მსჯელობები და მკვახე შეფასებები პოპსავიკებისა და ცრუ ვარსკვლავების შესახებ, მიზნად ისახავს იმის წარმოჩენას, რომ რაღაც იციან და შეფასება შეუძლიათ. ითქმის, რომ რუსული ესტრადა უნიჭოა, რომ ქართული ესტრადა არ არსებობს. ეს არაა სწორი, მაგრამ როდესაც ერთთავად გაქილიკებასა და უარყოფას ცდილობენ, აღარ დაგიდევენ, რა არის სწორი და რა არა. მათ რომ ვკითხოთ თანამედროვე ფრანგული, იტალიური, ესპანური, გერმანული ესტრადის შესახებ, აზრიანს ვერაფერს იტყვიან, მაგრამ დაცინვა და ქილიკიც გაუჭირდებათ. აი,

იწერება პრესაში ასეთი რამ: ეს ის თაობაა, რომელიც „ქუინებზე“ და „ფარფლებზე“ გაიზარდა, ამიტომ მას არ შეუძლია თანამედროვე მუსიკის შეფასება.

ეს, რა თქმა უნდა, ღვარძლით ითქმის. გაუგებარია, რა არის აქ დასაცინი? „ქვინს“, „დიფ ფარფლს“ და სხვა როკ-ჯგუფებს 70-იან წლებში უსმენდნენ ევროპელი დისიდენტი ახალგაზრდები. 70-80-იან წლებში საქართველოში როკით გატაცება ადამიანის კულტურის დონის მაჩვენებლად მიიჩნეოდა. მაშინ საქართველოში ცხოვრება იაფი იყო. თბილისელი „შავებიც“ კი უსმენდნენ „ზეპელებს“, „ფლოიდებს“, „ფარფლებს“ და ა.შ.. წამხედურობით სოფლებშიც კი უსმენდნენ როკს. მაშინდელი კულტურულობისა და მაიმუნობის მიუხედავად, როკით გატაცება იმას მაინც სჯობდა, რითაც დღეს არიან გატაცებულნი და რასაც ახლა უსმენენ.

სხვა სამუსიკო მიმდინარეობათაგან განსხვავებით, როკს ჰქონდა და აქვს უდიდესი მოჯანყეობრივი სულისკვეთება, რის დანახვაშიც ხელი არ უნდა შეგვიშალოს როკის დღევანდელმა უკიდურესმა სტილიზაციამ და კომერციალიზაციამ. სწორედ როკისა და როკ-ინსურგენტების მოსათვინიერებლად გასწია კაპიტალის სისტემამ უდიდესი მუშაობა. როკ-კონცერტების ორგანიზატორად ახლა კაპიტალი გამოდის.

არანაირი მოჯანყეობრივი სულისკვეთება არა აქვს რეპს, რომელიც კონტრკულტურული ელემენტების იმიტაციითა და კლიპური ექსტრავაგანტურობით იპყრობს ყურადღებას. მოჯანყეობრივი სულისკვეთება არა აქვს სოულს, მისი გულითადობის მიუხედავად, რომელიც არაა ნამდვილი. ესვე ითქმის სხვა მიმდინარეობებზე. როკი მოდერნისტული საზოგადოების ერთ-ერთი უდიდესი ფენომენია, რომელიც სცილდება მუსიკის საზღვრებს. როკი ცალკე ფილოსოფიურ გამოკვლევას საჭიროებს და აუცილებლად უნდა განიხილოს გნოსტიკურ განასერში. როკი ქერათმიანი ბესტიის, ფაუსტური ადამიანის მიღწევაა. ანგლოსაქსების კულტურის ეს მშვენიერი პირმშო პარადოქსულად დაუკავშირდა კალვინისტურ მესიანიზმს.

როკს კარგად ასრულებენ ამ მიმდინარეობაში მოღვაწე შავკანიანები, მაგრამ ის მაინც თეთრი ანგლოსაქსის სულის გამოხატულებად რჩება. არა მხოლოდ იტალიელთა, ესპანელთა,

ფრანგთა, არამედ ანგლოსაქსების მონათესავე გერმანელთა და სკანდინავთა როკიც არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ არის გერმანული და სკანდინავიური კარგი როკ და ჰარდ-როკ ჯგუფები. ასევე არის კარგი რუსული როკ-ჯგუფები.

როკი, როგორც ჩრდილოეთის მუსიკა, უცხო და მიუწვდომელია არიული მოდგმის ირანელების, პაკისტანელებისა და ინდოელებისათვის. როკი გაუგებარია როგორც სემიტური მოდგმის ებრაელებისა და არაბებისათვის, ასევე თურქული მოდგმის ხალხებისათვის, ლათინოამერიკელი მეტისებისა და მულატებისათვის.

სხვა მიმდინარეობათაგან განსხვავებით, როკის ფემინიზება და ჯენდერიზება შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ როკერი ქალებიც არიან.

ვინც „ქვინისა“ და „დიფ ფარფლის“ მსმენელთ დასცინა, მას ვკითხოთ: თავად როგორ გესმის საესტრადო ხელოვნება? შენ ვის და რას უსმენ დღეს? გავა დრო და შენც ისევე დაგცინებს შენი ჭკუის ჟურნალისტი, რომ თაობა, რომელიც თუფაქზე, ფაფ დედიზე და ემინემზე გაიზარდა, ვერ აფასებს თანამედროვე მუსიკას.

სასიმღერო ხელოვნების ასეთი დიდი განვითარების შემდეგ აზრი აქვს კითხვის დაყენებას: რატომ მიიჩნევა საოპერო მომღერალი ლუჩანო პავაროტი გენიალურად, ხოლო საესტრადო მომღერალი, მაგალითად, ფრედი მერკური კი არა? რატომ ჭირს გენიალურ შემსრულებლად მისი დასახელება, ვინც მიკროფონში მღერის?

უნიკალური ხმა აქვს სელინ დიონს. მას რომ XX საუკუნის 60-იან წლებში ემღერა, გაცილებით დიდ ფურორს მოახდენდა ესტრადაზე. ვოკალური ხელოვნება სწრაფად ვითარდება და ცოტანი არ არიან უნიკალური ხმის მქონე მომღერლები (მაგალითად, ჯესიკა სიმფსონი). თანამედროვე საესტრადო ხელოვნებაში ორიგინალობა და იმიტაცია ერთმანეთსაა გადაწნული. ამ მოვლენას უფრო აძლიერებს სამუსიკო ელექტრონული ტექნიკის უაღრესად დიდი განვითარება. ვოკალის პარტიის შესრულება დღეს უფრო ტექნიკურ ჩვევასთანაა დაკავშირებული, ვიდრე რაიმე შთაგონებასა და აღმაფრენასთან. ტერმინი „სიმღერის ტექნიკა“ გულისხმობს

სასიმღერო ხელოვნების ტექნიზაციას. დღეისათვის ძალზე ძნელია იყო ორიგინალური ესტრადაზე. ამის მისაღწევად ყველაფერს აკეთებენ. გავრცელდა კომპილაციები, რემიქსები, რიმეიკები. სიმღერა ტექნიკასთანაა დაკავშირებული. სიმღერა რესენტიმენტულია, ნაყალბევია. საქართველოში ეს იმდენად თვალშისაცემია, რომ უკვე აუტანელია. დასავლური საესტრადო ხელოვნების უკიდურესობანი და მანკიერებანი ქართული წამხედურობისა და პროვინციალიზმის გამო, კიდევ უფრო ცუდ სახეს იძენს. მთელი შოუბიზნესი (სპორტის სახეობანი, ესტრადა, კინემატოგრაფი) ხელმძღვანელობს კომერციული ინტერესებით. სასიმღერო ხელოვნებაც ბიზნესის გარდა არაფერია, რაც არ უნდა მიმზიდველი იყოს იგი. კონტრაპუნქტიც არა აქვთ ნასწავლი რიგიანად და საესტრადო კომპოზიციებს თხზავენ. მელოდიებს სადიჯეო აპარატურით ქმნიან.

როდესაც სელინ დიონის მსგავსი ხმა მრავალ მომღერალს აქვს, ორიგინალობას აზრი ეკარგება. ეს მოვლენა ისევ და ისევ საგანმანათლებლო უწყვეტი ზეაღსვლის იდეას უკავშირდება. სადამდე შეიძლება განვითარდეს ვოკალური ხელოვნება და როგორ შეიძლება ამ დროს მან სახელოვნებო და ესთეტიკური ღირებულება შეინარჩუნოს?

წარმოვიდგინოთ, რომ პლატონის თანამედროვე ბერძენს მოესმინა სელინ დიონის ან ფრედი მერკურისათვის. ეს უკანასკნელი ორიგინალური მომღერალია, რომლის ხმა თავისუფლად ვარირებს დო-დან სი-მდე. მერკური ესტრადაზეც და ოპერის სცენაზეც ერთნაირად ძლიერი იყო. წარმართი ბერძენი გაოცდებოდა სელინ დიონისა და ფრედი მერკურის ვოკალური მონაცემებით და შეეცდებოდა ეს ღმერთების წყალობით აეხსნა. ჩვენს თანამედროვეს კი ასეთი ხმები არ უკვირს. რუსეთში დღეს ნიკოლაი ბასკოვი მღერის თანაბარი სიძლიერით ოპერის სცენაზე და ესტრადაზე. ოპერის პოპულარიზაციის მიზნით პავაროტი მიკროფონში მღერის ესტრადის მომღერლებთან ერთად. ესტრადა ადვილად იტანს იმის ნამღერსაც, ვისაც ხმა არ აქვს. ოპერაში კი ეს შეუძლებელია.

ქართულ ესტრადაზე უნიკალური ხმით და ხალასი შესრულებით გამოირჩეოდა გოგი დოლიძე. ფოლკლორულ

მუსიკაში ასეთი იყო ჰამლეტ გონაშვილი. XX საუკუნის 80-90-იანი წლების ქართულ ესტრადასთან შედარებით, დღევანდელი საესტრადო ხელოვნება ბევრად წინ წასულია. ვიმეორებთ – არაა სწორი მსჯელობა, რომ ქართული ესტრადა არ არსებობს. ასეთ მსჯელობა'ში უფრო ის იგულისხმება, რომ არა მხოლოდ ესტრადაზე, არამედ ყველგან ყველაფერი გაყალბებულია. ქართულ სინამდვილეში ქართული ესტრადისაგან მეტის მოთხოვნა 'შეუძლებელია. თუ ნამღერის შარლატანური ხასიათი მსმენელს აღაშფოთებს, ეს ესტრადის ბრალი კი არ არის, არამედ ქართველთა ეროვნული ზნიდან მომდინარეობს. პოპსას მეტი რა არის რუსეთსა და ევროპა'ში, მაგრამ საესტრადო პრიმიტივიზმი და ვულგარულობა იქ ბუნებრივად ჩანს იმიტომ, რომ იქაური ხალხების ზნე სხვანაირია. ქართული ესტრადა ქართული სინამდვილის სოციალური და კულტურული გამოვლინებაა.

გაზეთში ხშირად წერენ, რომ მავანი მომღერლის კონცერტი ბანძობა იყო. გაუგებარია, რას ელოდება ასეთი უშეღავათო კრიტიკოსი საესტრადო შოუსაგან? შეუძლებელია ნამდვილი ურთიერთობები კონცერტზე ან დისკოთეკაზე იყოს. კონცერტის მაკრიტიკებელს არ შეუძლია უფრო მძიმე საგანს შეეჭიდოს და გაზეთში საესტრადო შემსრულებელს ჟარგონულად აქილიკებს. ასეთი კრიტიკოსები თავიანთი კულტურულობით იკლებენ ჟურნალ-გაზეთებს და მაგალითად, იწუნებენ რომელიმე ტელეწამყვანის საეთერო ჩაცმულობასა და ვარცხნილობას. ან კიდევ, FM დიაპაზონის რომელიმე რადიოსტუდიაში რეკავენ გვიან ღამით და დიჯეის ღვარძლიანად ეკამათებიან იმის შესახებ, თუ რატომ არ მოსწონთ მერაია ქერის ან ჯენიფერ ლოპესის რომელიმე კომპოზიცია. ბრიტნი სპირსზე ქილიკი ხომ მოდებულია პრესას.

ჭოველიძის ქუჩის დასაწყისში ხშირად არიგებენ ხოლმე ეროტიკულ გაზეთ „პაემანს“. ბევრი გამვლელი გამოართმევს, გადაშლის, გადააგდებს, თან ხმამაღლა იგინება და იღრიჯება. თუ იცი, რაც წერია ამ გაზეთში, ნუღარ გამოართმევ. რომ გადააგდე გაზეთი, ეს აღარაფერს ნიშნავს. ხომ გამოართვი და კითხულობ. რაღაზე მოგდის გული? ასევე არის სტანდარტული საესტრადო წარმოდგენა. რატომ მოელიან ფართოდ

რეკლამირებული მორიგი კონცერტისაგან რაღაც უჩვეულოს? შეუძლებელია მათ თავიდანვე არ იცოდნენ თუ როგორი კონცერტი იქნება. იმიტომ, რომ ადრინდელ კონცერტებზე არიან ნამყოფნი. საქართველოში უთვალავი მომღერლის კონცერტი კონცერტს მისდევს, მაგრამ გასაკვირი ისაა, რომ თითქმის ყველა კონცერტი ანშლაგით მიმდინარეობს. ყველაფერზე დადიან.

იქ, დასავლეთში, პოპსას გარდა კიდევ ბევრი რამ არის, რაც დასავლურ კულტურას მსოფლიო ჰეგემონობის შესაძლებლობას აძლევს. საქართველოში კი პამპულაობისა და ლაყლაყის საშუალებით გააქვთ თავი, იმათაც კი, ვინც შოუბიზნესში არ მუშაობს. ეს ყოველდღიურად ვლინდება. ბრიტნი სპირსზე მოქილიკე კრიტიკოსებმა ჯობს თავიანთ ამყრალებულ ქვეყანას მიხედონ, თორემ მომღერალ ქალებზე ქილიკი რა ისეთი საქმეა. ქართული სინამდვილე სხვაგვარად ვერ გამოიხატება.

საესტრადო ხელოვნებისა და მთლიანად შოუბიზნესის განხილვა ყოველთვის ახალგაზრდობის პრობლემასთანაა დაკავშირებული. ქართველ ახალგაზრდას მთელი მისი შეურიგებელი კრიტიკოსობისა და მამხილებლობის მიუხედავად, არ აფიქრებს ის, თუ როგორ უნდა გააჩნდეს მას ადამიანური ღირსება, თუ როგორ უნდა იცხოვროს მან, რომ არ გახდეს ისეთი, როგორებიც არიან ადამიანები ქართულ სინამდვილეში. პრესაში გამოვლენილი ეს ახალგაზრდული შეურიგებლობა და მამხილებლობა საკუთარი უუნარობის წარმოჩენა უფროა, ვიდრე ბრძოლა.

რესენტიმენტულია ის მუსიკა, რომელსაც უსმენენ და რესენტიმენტულია ის ადამიანიც, ვინც ამ მუსიკის მხილებასა და დაცინვას იწყებს. თანამედროვე მუსიკა არის ფრაგმენტული, უმიზნო და ტექნოცენტრული. ახალ-ახალი კომპოზიციების შექმნა სასპორტო შეჯიბრს ემსგავსება. ამ შეჯიბრის ინტენსივობა კი კომპოზიციათა ორიგინალობას მალევე აძლევს დავიწყებას.

შოუბიზნესის დიდი გამარჯვება ადამიანზე, კაპიტალის ტრიუმფის კიდევ ერთი მაჩვენებელია. შოუბიზნესისათვის არანაირი განსხვავება არ არის იმ გავრცელებულ ლოგოტიპებს შორის,

რომლებზეც გამოსახულნი არიან ჩე გევარა, ესტრადის მომღერალი მადონა და ქრისტე. კაპიტალის მტერი, რევოლუციონერი ჩე გევარა სარფიან ლოგოტიპად ქცეულა, რომელსაც შევხვდებით კაფე-ბარში გამოკრულ პოსტერსე, თინეიჯერის მაისურზე, სასცენო დეკორაციაზე. ჩე გევარას სახელი კაპიტალმა თავისი დიდების ნიშნად აქცია. ამაზე მეტი მზაკვრობა შეუძლებელია, რომ ყოფილიყო. ჩე გევარას უმღერიან ის საესტრადო შემსრულებელნი, რომელთაც რევოლუციურობისა და დისიდენტობის ნატამალი არ გააჩნიათ. ქრისტე კი ჯვრის მზიდავ და მასზე გაკრულ მარადიულ შოუმენად წარდგება, რომელსაც მადონა უმღერის.

„ჰარი პოტერის“ ერთი შეფასების შესახებ

გაზეთ „ჩვენ მწერლობაში“ (2 -8 მაისი, 11-17 ივლისი, 2003 წ.) გამოქვეყნდა ლევან მათეშვილისა და ირაკლი ლომოურის მამხილებელი პუბლიკაციები, რომელნიც ეხებიან ინგლისელი მწერალი ქალის ჯოან როულინგის ზღაპარს „ჰარი პოტერს“. ავტორები ცდილობენ დაასაბუთონ ამ ზღაპრის სატანური ხასიათი და შეშფოთებას გამოთქვამენ, რომ ბავშვები დაინტერესდებიან ოკულტიზმითა და მაგიით, ხოლო მოზრდილნი ერესის საცდურის წინაშე დადგებიან. ჩემი ამ წერილის ნაწილის იმავე გაზეთში გამოქვეყნება ვერ შეეძელი. სხვა სალიტერატურო გამოცემებმა მის დაბეჭდვაზე ასევე უარი თქვეს.

სანამ ბატონების ლევანისა და ირაკლის მოსაზრებებს განვიხილავთ, ერთი რამ მსურს გავიხსენო: მკითხველს ნანახი ექნება ფილმი ვამპირთა შესახებ „ბლეიდი -2“, შემზარავი კინოსურათია. ერთია ვთქვათ, რომ ეს დემონური წარმოსახვის ძალით შექმნილი ფილმია და დავიწყოთ მისი ქრისტიანული მხილება. მეორეა, რომ ეს ფილმი ჰოლივუდის მიერ შექმნილ მორიგ თვალისსეირად მივიჩნიოთ. ამაში კი დაგვეხმარება მრავალი ასეთი ფილმის არსებობაზე მითითება.

ფილმ „ბეტმენში“, რომელსაც ბატონი ლევანი ახსენებს თავისი პირველი წერილის დასასრულს, ღამურასებრ მფრენი მეღამური შავი რაინდი ჩაგრულთა შემწე დემონის სახეა.

შავით მოსილი უძლეველი რქოსანი უცნობის, კაცი-მღამიობის კინოპერსონაჟი XX საუკუნის 80-იან წლებში ამერიკაში დიდ აჟიოტაჟს იწვევდა. ფილმის მიხედვით, ადამიანი სწორედ შავ, დემონური იერის სამოსელში გამოწყობისას ხდება ყოვლის'შემძლე. ტანსაცმლისა და ნიღბის მაგიასთანაა დაკავშირებული ფილმის ეს სიუჟეტი. ღამურას სიმბოლო მაგიიდან კარგადაა ცნობილი. ამ არსების თავდაყირა დაკიდების ჩვევა ძველ დროში ში'შს იწვევდა და ეშმაკეულს უკავშირდებოდა. სასწაულებრივი ტექნიკით აღჭურვილი ბლეიდიც და ბეტმენიც ღამის მხსნელნი არიან და არა დღისა.

ფილმი „სპაიდერმენი" ასევე კაცი-მაქციას შესახებ მოგვითხრობს. მასაც დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. კონოპერსონაჟი ბავშვთათვის საყვარელი გმირი გახდა. მათ კოსტიუმირებულ წარმოდგენებზე არიან ბეტმენი, სპაიდერმენი, ჰარი პოტერი. იქმნება თოჯინები, პოსტერები, ლოგოტიპები და ა.შ.

მომავალში ახალი ფილმი შეიქმნება და შემდეგ ის გახდება კომერციული პოპულარობის სიმბოლო. 1991 წელს საქართველოში გადიოდა ტელესერიალი „მემკვიდრეობა". დეტექტივთა ჯგუფი ურჩხულებსა და მოჩვენებებს დასდევს. 2002 წელს ეს ტელესერიალი კვლავ გავიდა, მაგრამ ძალზე მოძველებული გამოჩნდა. რა არის აქ უთუოდ აღსანიშნავი? ის, რომ გართობის ინდუსტრიის მიერ შექმნილი ტელე და კინოპროდუქციის მომხმარებელი სულ უფრო მეტს მოელის, მეტს ითხოვს, რადგან უკვე შექმნილი მალე ძველდება და ველარ იწვევს მაყურებლის აღტყინებას. მისი განცდა სწრაფად უფერულდება. ამ სიტუაციას მიესადაგება ანდაზა A wonder lasts but nine days. სულ უფრო მეტის მოთხოვნა ბადებს სწორედ ასეთ ფილმებს, როგორიცაა „ბლეიდი-2", „კაცები შავებში-2", „მატრიცა-2" და სხვა. კომპიუტერული თამაშები იქმნება ერთმანეთზე სისხლიანი და ბოროტებით გამსჭვალული.

წარმოვიდგინოთ, რომ ასეთი ფილმები ენახათ იეზუიტებს XVII საუკუნეში. დაიწყებოდა ინკვიზიციის მძვინვარება. ათასობით ადამიანს 'შეაჩვენებდნენ და კოცონზე დაწვავდნენ. მკითხველს ამაზე გაეცინება, მაგრამ იმ დროში ,მაგალითად, „ბლეიდი-2" ანტიქრისტეს ლაშქრის 'შემოსევად იქნებოდა გაგებული და ვატიკანი ევროპას წყევლითა და ცეცხლით

შეაზანზარებდა.

ვინ ამარცხებს ვამპირთა უფრო სრულყოფილ გენერაციას, რომელიც უფრო ძლიერია, ვიდრე „ბლეიდი-1“-ში ნაჩვენები ვამპირები? მათ ამარცხებს კაცი-ვამპირი, ვამპირის ნაშობი ადამიანი. ეს როგორ გამოდის, მორწმუნის თვალით რომ შეეხედოთ: ეშმაკთ შეებრძოლება მხოლოდ ეშმაკეულს ზიარებული კაცი და არა სხვა ვინმე. სამყაროს მხსნელის იდეა აქ თავდაყირაა დაყენებული, ქაჯურადაა გაგებული. საოცარია, სადამდე მივიდა თანამედროვე ადამიანის კინემატოგრაფიული წარმოსახვა, უკვე დამარცხებული და თითქოს ჯვარცმული, სამსჭვალისებიან საწოლზე მიჯაჭვული ბლეიდი, ვამპირისებურად აღდგება სისხლში განბანილი და სისხლით ნაკვები, რათა შეებრძოლოს ვამპირების გაუმჯობესებულ გენერაციას და მოსპოს მათ ნაშიერთა საცავი. სისხლით სავსე აუზიდან აღდგინებული კაცი-ვამპირი, კაცთა მხსნელი და მათი მეოხია. ამ ფილმის მაყურებელი მხოლოდ ერთობა. ეს არის და ეს. სხვა რაზე ფიქრობს თანამედროვე მასობრივი ადამიანი, რომ ამ ფილმმა დააფიქროს?

ქართულ საერო პრესაში არა ზემოთ ნახსენებმა ფილმებმა, არამედ „ჰარი პოტერმა“ (ზღაპარმა და ფილმმა) გამოიწვია მამხილებლური წერილების გამოქვეყნება. რა არის „ჰარი პოტერი?“ კომერციალიზებული საზღაპრო სიუჟეტი პროფანული მაგიის ელემენტების გამოყენებით. როულინგის ზღაპარი ორგანულად თავსდება თანამედროვე ევროპული სალიტერატურო ტრადიციის კონტექსტში. ჯონ ტოლკინის წიგნი და მის მიხედვით გადაღებული ფილმი „ბეჭდების მბრძანებელი“ შექმნილია წარმართული ძველგერმანული მითების საფუძველზე. ნიბელუნგების ბეჭდისა და მასთან დაკავშირებული წყევლის ამბავი კინემატოგრაფიულად აისახა.

დასავლურ გართობის ინდუსტრიაში ზღაპრების ბუმია. აგერ, ესტრადის მომღერალი და კინომსახიობი მადონაც წერს ზღაპრებს. დიდმა მემრუშემ სცენურ სახელად მადონა დაირქვა. მისი საესტრადო ხელოვნება არის სახიობაი მეძვისა და სიძვის მესტვირეობა. მადონამ ბავშვებს რა უნდა ასწავლოს? მაგრამ მთელ მსოფლიოში იყიდება მისი ზღაპრები. მეზღაპრეობას სხვა მსახიობებმაც მიჰყვეს ხელი.

თავის დროზე ევროპა რომანტიკოსების მისტიკური ნაწერებით იყო გატაცებული. ბნელი მეზღაპრის, ჰოფმანის რომანი „სატანის ელიქსირი“ ცნობილი იყო, მაგრამ მხოლოდ ამის გამო ოკულტიზმში არავინ შთაფლულა.

ბატონ ლევანს ზღაპრის სატანურობის საბუთად მოჰყავს როულინგის მოგონება, თუ როგორ ეწვია მას შთაგონება მატარებლით მგზავრობისას და წარმოესახა 11 წლის ბიჭუნა, დიდი მოგვი ჰარი პოტერი. ბატონი ლევანი ამას დემონურ ინიციაციას უწოდებს. როულინგი, ბატონი ლევანის თანახმად, ამბობს, რომ მას შეუყვარდა ჰარი პოტერი და მასზე წერა დაიწყო. ბატონ ლევანს ეს პედოფილიის გამოვლინებად მიაჩნია, რაც, ჩემი აზრით, დიდი გადამლაშებაა და აი, რატომ: როულინგის ნათქვამი მისმა მამხილებელმა გაიგო ისე, რომ ზღაპრის ავტორ ქალს გული შეუვარდა პატარა ბიჭზე. ინგლისურ ენაში ძალზე ხშირად უფართოესი მნიშვნელობით გამოიყენება ზმნა to love. ანგლოსაქსურ ქვეყნებში დგანან ხოლმე პლაკატით „ჩვენ გვიყვარს „ბითლზი!“, „მე მიყვარს სელინ დიონი!“ და ა.შ. ზმნის მაგივრად პლაკატზე გულიც დაუხატავთ. ასეთი პლაკატები დასავლეთ'ში ხშირად გამოიყენება შოუბიზნესის პრეზენტაციებზე, წინასაარჩევნო კამპანიაში („ჩვენ გვიყვარს ბუში!“) რამდენს ეცადა PR-ტექნოლოგია ქართულ, რუსულ და სხვა ენებში დაემკვიდრებინა to love-ს შესატყვისები, მაგრამ არ გამოვიდა. კალკა მეტად აშკარაა და უხეში. აი, happy -ს შესატყვისები კი მყარად დამკვიდრდა. ყოვლად უაზროდ, პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და სხვები ხშირად აღნიშნავენ, რომ „მე ბედნიერი ვარ!“. ეს დაცემულ ქვეყანაში ღიმილისმომგვრელია. ინგლისურში ამ happy -ს გამოყენება უფართოესი აზრით, ბუნებრივია. მეშვიდე ცამდე აიყვანა ქართულმა პოლიტიკურმა PR-მენეჯმენტმა ჯერ შევარდნაძე, შემდეგ საკაშვილი, მაგრამ ერთობ ძნელად სათქმელია ამერიკული ფამილარულ-პრიმიტივისტული მანერით, რომ „გვიყვარხარ შევი!“ ან „მე მიყვარს მიშა!“ ინგლისური, თანამედროვე PR-ტექნოლოგიების დედაენა, ყოველთვის არაა ყოვლისშემძლე.

ჯოან როულინგი ის ქალი არაა, რომ მას თავის 11 წლის პერსონაჟზე პედოფილური აზრით რაღაც ეთქვა და თავი

სასაცილოდ აეგდო. ამ სკოლის მასწავლებელმა საბავშვო ლიტერატურაში და გართობის ინდუსტრიაში რაღაც ახალი შემოიტანა. ზღაპარი დაწერა ქალმა და ზღაპრული ხვასტაგი დაუდგა.

„ჰარი პოტერის“ გამო ბატონების ლევანისა და ირაკლის შეშფოთება გადამეტებულია. ის, რაც დაინახა როულინგმა მატარებლით მგზავრობისას და რა შთაგონებაც მიიღო, უეჭველად სატანისეული იყო? თუ სატანამ სწორედ ჯოან როულინგი გამოარჩია რაღაც განზრახვისათვის, ზღაპარზე მეტი მას ვერაფერი შთააგონა?

კარგი შარლატანი ერთნაირი მოხერხებულობით შეიძლება თამაშობდეს როგორც ღვთიურ შთაგონებას, ასევე ეშმაკეულ შთაგონებას. საეკლესიო აფერისტი შეიძლება მთელი ცხოვრება გვატყუებდეს და სიკვდილის შემდეგ ის ღვთის კაცად შეირაცხოს. აღარაფერს ვიტყვი მასზე, ვინც თავს მისნად და მეწამლედ ასაღებს. სადა აქვს თანამედროვე ადამიანს იმის უნარი, რომ არკვიოს - რა არის დემონური ინიციაციით შექმნილი და რა არა გართობის ინდუსტრიაში?

ბატონო ლევან, მეჭველობა და ორჭოფობა უთუოდ სატანისაგან არის? თუ ბარუხ სპინოზა ქრისტეს ღმერთკაცობაში შეეჭვდა, ეს სატანისგან იყო? ის რომ სატანის სატანობაში შეეჭვებულიყო, ეს რა ეჭვი და გულისსიტყვა იქნებოდა? ადამიანს შინაგანი ხმა რაღაცას რომ აუწყებს, როგორ უნდა გაარკვიოს მან - ეს ეშმაკისაგანაა თუ ღმრთისაგან?

როულინგის ქართველი კრიტიკოსები შიშობენ, რომ „ჰარი პოტერით“ გატაცებისას ეშმაკს არ წამოვავლოთ ხელი. მაგრამ რჯულის გულისათვის მოშურნეობა არავის დაუწყია მაშინ, როდესაც საქართველოში „ჰარი პოტერამდე“ იყო ჰარი პოტერობა. ნეტავი, მართლა ისე იყოს საქართველოში, რომ აი, ეს ზღაპარიღა რჩებოდეს მოსაგინებელი და სხვა ყველაფერს მირონი გადასდიოდეს თავზე. ის გულმოწყე მუნათი, რაც ამ ზღაპარს დაედო, უსაფუძვლოა.

XX - ს. 90-იანი წლების ეროვნული მოძრაობა დაწყებულივე საშვილიშვილო შერცხვენით დამთავრდა. ერიც და ბერიც იძახოდა „ჩვენთან არს ღმერთი!“ ეშმაკის ხმობად კი იქცა ეს დაძახილი. თავიდანვე დიდად ნაყიშანი იყო ეროვნული

მოძრაობა და ის ვერ გაასწორა წარამარა ღმერთზე ლაპარაკ-მა. მისხით მისხამდე რომ იდავებს უფალი ქართველებთან, ისეთი რამ არის ჩადენილი. ღვთისათვის შური სინამდვილეში ჟურნალ-გაზეთობის ბოზური კუთვა და საეკლესიო არტისტობა აღმოჩნდა. ენოვნებით ცდუნდა ერიც და ბერიც. ღვთისმეტყველთაგან ვის გაუმართავს გლოვა ამის გამო? სხვათა განსჯისა და დაცინვის სურვილით მომშთვარნი გზიანს მაინც ვერას ამბობენ, მისდღემჩი კი იმოძღვრებიან სახელ-ნატყუარნი და რიოშნი.

რეცა ჭეშმარიტ ღმერთს ესავენ და რჯულის გულისათვის შურით ინთებიან, მაგრამ ვერ ჰპოვა ერმა მადლი უფლის თვალში. რატომ? როგორ, სად და ვის მიერ უნდა იქნეს ნაპოვნი რჯულის გაყალბების წყარო?

ისეთ საკითხებზე ვიწყებთ მსჯელობას, რომ ბატონობით მიმართვა ყურს ეხამუშება. მხოლოდ სულის სიდუხჭირის ნიშანია ხაზგასმულად მშვიდი, კანცელარიული სტილით საუბარი იმ საკითხებზე, რანიც ტანჯვას მოითხოვენ. უფლის ქოფაკი უნდა იყოს ჭეშმარიტი მერჯულე და ასე რომ არ ყოფილიყო, წმინდა წერილი არ დაიწერებოდა იმ ენით, რომელ-იც ყველა ეპოქაში მიწყივ ცხოველ კამათს, საღვთო შურსა და მძვინვარებას იწვევდა.

საღვთო ღვაწლში მდგომ კაცს ისევე მიმართავენ შენობით, როგორც თვით უფალს. ძმებს გეტყვით ლევან და ირაკლი. ცუდად უბნობთ და მხილების სურვილს აუტანიხართ. „ჰარი პოტერმა“ შეგაშინათ? სხვა ვერაფერი ჰპოვეთ განსასჯელი? რჯულისა და მრევლის დარილი კი არაა ეს ნაუბარი, არამედ ანგარიშია ცხონების მიზნით, სასუფევლის თადარიგის დაჭერაა ისე, რომ არაფერი გეტკინოს, სული არ შეგეძრას. აი, მოვ-დიოდი უთვალავი ფეხით ნათელი გზით და მივიჩნევ, რომ ვიწრო გზით მივლია. დაე, განმეღოს მე სასუფევლის კარი. აქაც კარგად ვიყავი და იმქვეყნადაც კარგად ვიქნები. ეგრე ვერ იქნება. თუ ქართველობისათვის არის ასე, იმიტომ არის რჯული ასეთ ჯუქამში. არ გტკიოდეს, არ ევნებოდე, ტკივილ-სა და ვნებაზე კი სიტყვობდე, კულტურულობდე და ლიბერ-ალობდე.

ლაოდიკეის ეკლესიის ანგელოზისადმი ნათქვამია: „მაგრამ

რაკი ასე ნელ-თბილი ხარ, არც ცივი ხარ და არც ცხელი, ამიტომ გადმოგაფურთხებ ჩემს ბაგეთაგან“ (გამოცხ. 3.15).

დიდ საქმეს შესჭიდებიხართ საჯაროდ, ძმებო ლევან და ირაკლი, მაგრამ გული კი მეტად ცივი გაქვთ. თქვენმავე ნაწერმა გამხილათ ამაში.

თვალთმაქცობაა ამდენი საქვეყნო შერცხვენის შემდეგ „ჰარი პოტერის“ გამო წუხილი. ეს ზღაპარიღა დარჩა და სხვა ყველაფერი რიგზეა. თავის აუგით გინება გამოვიდა ამ ზღაპრის მოგინება. როგორ ვირწმუნო, რომ „ჰარი პოტერის“ გამო ედებით გულს?

ვერ რჯულყო ქართველმა თავისი ცხოვრება, სულ რჯულს კი მოქადულობდა. ის უმტკიცო ქრისტიანია. თავად არა სწამს, სხვას კი ასწავლის. ფუჭი უბნობა და ცუდმაშვრალობა. ურთიერთს ელამაზებიან და ეშაქრებიან, მაიმახები და მყრალნი კი არიან. ბოღმითა და უილაჯო მრისხანებით მოწყლული სულები. არ შეეწია ერს საყდრებისა და მირონდადენილი ხატების სიმრავლე. ასე საჯაყად თუ იქნებოდა ქვეყნის საქმე, რომელმა ღვთისმეტყველმა განჭვრიტა? რჩეულ ხალხს უფალი გვცდისო, ამბობენ სამღვდელონი. ეს უფრო თავის გამართლებაა, ვიდრე მართალი მსჯელობა. ერი და ბერი ირწმუნებოდა, რომ 1989 წლის 9 ოქტომბრიდან, როდესაც საქართველოში ჩამოაბრძანეს ღვთის დედის „კარიბჭის“ ხატის ასლი, და უფრო ადრე, კოლხთა და იბერიელთა ქვეყანა, რა დაიწყო მან „სატანური ბოლშევიზმის“ გმობა, ივერიის ღვთისმშობლის მფარველობის ქვეშ მოექცა. მერამდენე წელია წელში ვერ გამართულა ქვეყანა და ამბოკარ ხალხს პური ვერ უჭამია. ცრუ ქრისტიანებად რომ არიან მიჩნეულნი, სწორედ იმ კათოლიკეთა და პროტესტანტთა სამადლოდაა ქვეყანა. მე არ მესმის, ღვთის დედის რა წილხვედრობაზეა ლაპარაკი. საქართველო უნივერსალურ ევროიმპერიაში ცდილობს შესვლას, სადაც არავინ კითხულობს საქართველოს წილხვედრობაზე და არავისთვის აქვს ევროპაში ამას მნიშვნელობა. იქ ქართველი ამის გამო კრინტს ვერ შეუბედავს ვერავის და თუ ხმამაღლა იტყვის თავისი ქვეყნის წილხვედრობაზე, მას დასცინებენ და პირშიც მიახლიან - თუ ეს ასეა, აქ რაღას მოეთრეოდითო. ევროიმპერია ქართველს საბჭოთა იმპერია არ

ეგონოს, სადაც მას კუდი ყავარზე ჰქონდა გადებული. რაიმე რომ არ მოეწონებოდა მას, ხატებით ხელში მიტინგებს მართავდა და რუსებს დასცინოდა.

აი, ეს სასტიკი სინამდვილე რომ დაიფაროს, მრავალგვარ ეფექტურ ვერბალურ ხერხებს იგონებს ქართული მედიაკრატია და განუწყვეტლივ მსჯელობენ ქართული და ევროპული კულტურების ნათესაობაზე, ერთიან ევროქრისტიანულ ცივილიზაციაზე და სხვა მისთანებზე. ამასთან ერთად, მრავალი ინტელიგენტი ხედავს რა, რომ არაა ისე, როგორც წარმოაჩენენ ამ საკითხში, ზოგადად მიუთითებს, რომ დასავლეთი ტრადიციებს სპობს. ეს კი არაა საკმარისი იმისთვის, რომ მოხდეს ვითარებაში გარკვევა. ინტელიგენტები 1989-91 წლებშიც ამბობდნენ, რომ ბოლშევიკები ტრადიციებს ებრძოდნენ. თანამედროვე ევროპასთან დაახლოების იდეური საფუძვლების ჩამოყალიბების მცდელობა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ძნელად მოსაძიებელია. სჯულთამებრ ცხოვრება ლიბერალურ ინდივიდუალიზმს როგორ ეთანხმება? ამის გამორკვევიდან უნდა დაიწყოს ძიება.

ძმებო ლევან და ირაკლი, „პარი პოტერს“ ამხელთ, ქვეყნის გათახსირებაზე კი დუმხართ. თუ რჯული ცხოვრებისაგან შორს იჭერს თავს, მაშ რაღა რჯულია? ბევრჯერ მოქცეულან ასე ახლანდელი ღვთისმეტყველნი. შენ საყდარში იარე, იმარხულე და ინანიე. ქვეყანა რომ ასე მომყრალდა, მღვდელი მოგიგებს, რომ ეს ამაოებაა. მთავარი, მისი თქმით, სულზე ზრუნვაა. ეს კი მეტად ცუდი ნუგეშია მისთვის, ვისაც აფიქრებს ახლანდელი ვითარება. ბოლშევიკმა არ უყო რჯულს ის, რაც მას უყო თეთრის მოყვარე ქართველი დემოკრატების ხომლმა. მიწისა ვერაფერი შეუცვნიათ, მაღლა მხედნი კი არიან. ცრუმორწმუნეობა რწმენად გასაღებულა და PR - მენეჯმენტის ნაწილად ქცეული რელიგია დღეს ისევე არის ხალხის ოპიუმი, როგორც ის იყო გასული საუკუნის დასაწყისში. ასეთი სულიერი გაპარტახება, მედიაკრატიის შაბაშის თანხლებით, არ ყოფილა საქართველოს წარსულში.

მუდამ სოფლისას ეძიებენ და მაინც არ არიან ქართველები მიწასთან ზიარნი. გულარძნილნი არიან, მამულიშვილებად კი მოაქვთ თავი. ქონდრისკაცები ერისკაცობენ და სამშობლოს

ძახილი ფანდია განცხრომის მოსაპოვებლად. თეორის გროვებაში გაწაფულან და წინაპრების ხსენება დაუბეჯითებიათ. მათ ვკითხავ: მიწასთან რა გაქვთ საზიარო, რომ ტატნობს უცქერთ, ცამდე ჰყოფთ ხელს, ანგელოზებს ელაციცებით და ღმერთზე სიტყვობთ? არც მიწის მოყვარენი ხართ, არც ცისა. თავს იტყუებთ და სხვებსაც ასულელებთ. არაფერში ემარჯება ხელი ქვეყანას, ამიტომ მატულობს სიცრუე.

თქვენ რომ შესჭიდებიხართ, ძმებო ლევან და ირაკლი, იმას სხვა ენა, სხვა ქართულით განთქმა სჭირდება. ყველგან ღმერთზე ლაპარაკი ისმის, მაგრამ გულისა არავის უუბნია. გულის 'შიმშილით არავინ დატანჯულა. მედიაკრატიის რჯულისათვის გზნება კი ანგარებითი მაიმუნობაა. ჩადე გაზეთში სანთელი, ხატი, ჯვარი, ზეთი ბოთლაკით და გაყიდე. რომ არავინ აღშფოთდეს, მიაწერე, რომ ამ ყველაფერს პატრიარქის ლოცვა-კურთხევა ახლავს.

ეს ამბავი უნდა ინიშნოთ, ძმებო ლევან და ირაკლი. რა გულდებითაც თქვენ ამბობთ „ჰარი პოტერზე“, ეშმაკსა და ღმერთზე, ასე არ არის.

მეტი მონასტერი და ხატი ქვეყანაზე მეტი მადლის მოლებას და მეოხების განძლიერებას ნიშნავს, მაგრამ ასე არ მოხდა. ქვეყანა მლამობივით ქაჯურად თავდაყირა დგას. ღამის ცხოველი იყო საქართველო და ასეთად დარჩა.

XX ს. 90-იანი წლების დასაწყისიდან და უფრო უწინ ითქმოდა, რომ ქართველი ერი საუკუნოვანი ტრადიციების მქონე თვითმყოფადი ერია. მაგრამ თუ ის ასეთია, რატომ არის ასე იოლი მისი აბურთავება რეკლამითა და გართობის ინდუსტრიით? რატომ არის ქართველობა ასეთი პრიმიტიული?

ძმებს ლევანისა და ირაკლის „ჰარი პოტერის“ გმობისას მოჰყავთ ფაქტები, რომ ბავშვი მაგიდაზე ავიდა, ცოცხით გაფრენა სცადა, ჩამოვარდა და დაშავდა. უფროსკლასელებმა უმცროსკლასელებს რაღაც დაალევინეს და მოწამლეს. მე აქ დავუმატებდი პრესაში გამოქვეყნებულ ცნობას, რომ რუსეთში „ჰარი პოტერის“ გავლენით გაიზარდა მოთხოვნილება ბუს ფიტულზე, ტყეში ბუ აღარ მოასვენეს და მისი სინსილა გააქრეს.

ასეთი ფაქტების ჩამოთვლა ნაწარმოების განქიქებისა და მხილების მიზნით იმას ჰგავს, როდესაც ახალგაზრდებს შორის

არსებულ მსიძაობას, ნარკომანიას, დანაშაულებებს ხსნიან ძალადობისა და სექსის მქადაგებელი კინოს მოძალებით. მაგრამ იგივე ფილმებში არის კეთილშობილება, უსამართლობასთან ბრძოლა. ახლა ასე დავსვათ საკითხი: თუ ადამიანები კინოპერსონაჟებს ბაძავენ მრუშობასა და კაცისკვლაში, რატომ არ ბაძავენ მათ კეთილშობილებასა და უსამართლობასთან ბრძოლაში? თუ ბაძავენ, რატომ არსად გასმენილა ამის შესახებ? დანაშაულებათა ახსნისას კინოს ცუდ გავლენაზე ლაპარაკი გადამეტებულია.

XX ს. 60-იან წლებში, ფილმი „ტარზანი“ რომ გადიოდა კინოთეატრებში, იყო შემთხვევა, როდესაც ტარზანის მიმბაძველი კაცი გადახტომისას დაიმტვრა. ფილმ „შესანიშნავი შვიდეულის“ ნახვის შემდეგ იულ ბრინერს ბაძავდნენ გავლაში და შემოტმასნილი შავი „საროჩკები“ შემოვიდა მოდაში. თბილისელი „შავებიც“ კი ბაძავდნენ მას, იმიტომ, რომ ,მათივე თქმით, იულ ბრინერი „კაი მასტი“ იყო. ფილმ „ტერმინატორი - 2“-ის გასვლის შემდეგ სქელლანჩიან ბათინკებსა და ტერმინატორის „კურტკებს“ დაეძებდნენ (1993-96 წწ.). მანამდე ბრიუს ლის ბაძავდნენ, თვითნაკეთი ნუნჩაკუებით დადიოდნენ ქალაქში, კარატეს არალეგალურ სექციებზე ეწერებოდნენ (XX ს. 80-იანი წლების დასაწყისი). ეს სექციები აკრძალეს კარატისტების მიერ ქალაქში ატეხილი ჩხუბების გამო, რადგან ზოგს ნეკნები ჩაუმტვრიეს, ზოგს ხელი მოსტეხეს. 80-იანი წლების დასაწყისში ტელევიზიით ნაჩვენებმა ფილმმა „ლედი კარატე“ პატარა ფურორი მოახდინა.

როდესაც ასეთი ფილმები კონვეიერული სახით იწარმოება, მაშინ კინემატოგრაფი და კინოპერსონაჟი კარგავს თავის გავლენას მაყურებელზე. ფილმით მხოლოდ თავს იქცევენ. აღარავის აღაფრთოვანებს დადებითი გმირი, არავინ ბაძავს მას. არავინ გამხდარა კეთილშობილი შურისმგებელი, ვერაგულად მოკლული ძმაკაცის სისხლის ამღები და თუ ასეთი რამ ხდება მხოლოდ შავ სამყაროში, საზოგადოებას ამის დაფასება და დამახსოვრება არ შეუძლია უსაზღვრო ფლიდობის გამო. საზოგადოება როგორც ეკრანის წინ არის სეირის მაცქერალი, ისე ცხოვრებაში არის მოსეირე და მოლაყბე.

რაც არ უნდა კარგად გადაღებული იყოს ფილმი, მხოლოდ

ერთხელ თუ ნახავს კაცი. ამიტომ კინემატოგრაფი იძულებულია შექმნას სულ უფრო მეტი თვალის შესაპყარი სანახაობა. კინო ახლანდელი ჟამის ზმნობა და მისნობაა.

ჰარი პოტერს, ამ მემკვიდრეობით მოგვს, შუბლზე ელვის ნიშანი აქვს. ძმა ლევანის მიერ ეს განიმარტება ლამის როგორც სატანის დაღი. იგი საუბრობს ელვის სიმბოლოს ოკულტურ მნიშვნელობაზე და მიუთითებს სატანურ საიტებზე. მაგრამ ელვის სიმბოლოს სხვა მნიშვნელობა ჰქონდა ელინურ და ევროპელ ბარბაროსთა წარმართობაში (საიდანაც აიღო ის ნაციზმმა). რაც ოკულტურია, ის სულაც არაა სატანური. სახელდებამ არ უნდა გვაცდუნოს. გარკვეული აზრით, ოკულტიზმია მართლმადიდებლური ისიხია, კათოლიკური მისტიკური სიყვარული. ოკულტისტი იყო იდუმალის შემეცნებაში ფრიად მიწევნილი გრაფი დე სენ-ჟერმენი, რომლის მოღვაწეობამ თვით მისი თანამედროვე ვოლტერის ყოვლისშემმუსრავ ირონიას გაუძლო. ოკულტისტები იყვნენ ალქიმიკოსი ნიკოლას ფლამელი და ფულკანელი. ისე ჩვენ მოგვეცეს ისეთი შეტყობა და მოცნება, ძმაო ლევან, როგორიც მათ ჰქონდათ. მირჩა ელიადეც ოკულტისტი იყო.

იესუმ გვასწავლა: „იყვენით მეცნიერ, ვითარცა გველნი და უმანკო, ვითარცა ტრედნი“. თვით ის არის ცეცხლის, ე.ი. ელვის სიმბოლოც და მისი საპირისპირო წყლის სიმბოლოც. ისიც გავიხსენოთ, რომ რჯულში გველი არა მხოლოდ სატანის, არამედ ქრისტეს სიმბოლოცაა. წესისამებრ, ღამე მაცდურისაა, მაგრამ იესუც ღამის კაცია, შუაღამის სასიძოა. ღამეულ ჟამს უბნობს კაცი უფალთან ისე, როგორც დღისით ვერ იუბნებს. ესეც ოკულტური აზრის მქონეა. სიმბოლო მრჩობლია. სხვაგვარად შეუძლებელია, რომ იყოს.

თვით იმ სატანურ საიტებზე, რომელთა შესახებ ძმა ლევანი ლაპარაკობს, ბევრზე ბევრი რამ არის კომერციალიზებული, პროფანირებული, ვიზუალურ ეფექტებზე აგებული. ფრთოსანი ურჩხულები და უცხო სამყაროთა არსებანი გამოსახულია a la ბორის ვალეჯო, იმიტომ, რომ თვალს იპყრობს.

ამ სატანური საიტების ყოველდღიური ჭვრეტაც კი ვიეთთ ეშმაკს ნამდვილად არ გადაჰყრის. არავინ იქნება ამის გამო ცხვარი წყმედული და ვერც სატანის სიმაღლესა და სიღრმეს

(τα βαθέα τοῦ Σατανά , altitudines Satanae) (გამოცხ.2.24) შეიმეცნებს.

რახან ამაზე ჩამოვარდა სიტყვა, ისიც ვთქვათ, რომ ახლანდელი მკითხველისათვის წარსული დროის (XVI -XVII სს.) ევროპელ დემონოლოგთა (ნიკოლა რემი, სილვესტრ პრიერიო, მარტინ ანტონიო დელრიო, ფრანჩესკო - მარია გუაცო, ლუდოვიკო - მარია სინისტრარი, ჯონ დი და სხვ.) ნაშრომები მხოლოდ სასაცილო რამ არის. ვინ არის ისეთი, ვინც ამ ტრაქტატებში, ისევე როგორც ოკულტურ, ჰერმეტიკულ და გნოსტიკურ ტექსტებში იპოვის და შეიმეცნებს უდავოდ უეჭველსა და ღირებულს?

ძმაო ლევან, შენ რომ ელვის სიმბოლოს სატანურ მნიშვნელობაზე საუბრობ ასეთი სიიოლით, გიფიქრია როგორ არის ელვა, შუქი, ცეცხლი წყვდიადის მეუფისა და ამა სოფლის თავადის (ასე იესუსაც ეწოდება წერილში) სიმბოლო? რატომ იწოდება იგი ლუციფერად? რა შუქის მქონეა ის, ვინც ღმერთმა ზეცით შთამოდევნა? როგორ განვასხვავოთ მისი შუქი ღვთის შუქისაგან? (ლუკა მახარებლის სახელიც შუქს უკავშირდება) როგორ ინარჩუნებს შუქს ესევიოარსა მოჯანყე ღვაწლსა შინა მყოფი ძველი გველი? განიღმრთო თუ არა სატანა ზეცით განდევნითა და დაცემით? ცოდვით განღმრთობის იდეა როგორ შეიძლება გავიგოთ? რჯულში მდგომი ღვთისმეტყველი მოგვიგებს, რომ ეშმაკი მხოლოდ დაცემული ანგელოზია და არა ღმერთი. მხოლოდ დაცემულ ანგელოზს როგორ შეუძლია ამდენი ბოროტების ქმნა?

წერილ არს, რომ ღვთისშვილნი ერთხელ შეიკრიბნენ უფლის წინაშე წარსადგომად. სატანაც მივიდა მათ შორის. უთხრა უფალმა სატანას: საიდან მოდიხარ? (იობ. 1.6-7). რატომ დატოვეს ეს ადგილი შეუცვლელად ადრეული ქრისტიანობის დროინდელმა ბიბლიის რედაქტორ-კორექტორებმა, როდესაც სხვაგან რაღაც ვითარებანი შეცვლილია? (ქართულ ტექსტში, სხვათაგან განსხვავებით, სატანა უფალს მეტად მკვახედ მიუგებს, რომ ის ქვეყნად წანწალიდან და ხეტიალიდან მოდის). სატანაც ღვთისშვილია, იობის წიგნის მიხედვით, და ეს ითქმის მისი ზეცით შთამოდევნის შემდეგ. უფრო მეტი შეძრწუნება შეუძლებელია, როდესაც იობის უბედურებაში ვხედავთ, რომ

სატანის მოვლინება სინამდვილეში ღმერთის მოვლინებაა, რომ ღმერთი სატანაა და სატანა ღმერთია.

ორიგენემ (185-254 წწ.) თავისი სწავლება აპოკატასტასისით დაასრულა და ამგვარად შეეცადა გადაეჭრა შესაქმის კეთილგანზრახულობის იდეისა და მასთან მოპაექრე ზოროასტრულ-მანიქეველური იდეების ურთიერთობის საკითხი. ორიგენეს სწავლება ოფიციალურმა ეკლესიამ ერეტიკულად შერაცხა, მაგრამ მოძღვრის უდიდეს ავტორიტეტს ვერაფერი მოუხერხა და ის ადრეული ქრისტიანობის მამათა შორის კაშკაშა მნათობად შთება.

ამბობდნენ კი ბოლომდე თავის გულისსიტყვას მოგვიანო დროის წმინდა მამანი, როდესაც ამ ვითარებას საგანჰყოფდნენ?

თუ ჩვენი დროის დემოკრატ ღვთისმეტყველთ თავი ჭეშმარიტ მერჯულეებად მიაჩნიათ, მაშინ მათ თქვან რაღაც საეპოქო მნიშვნელობისა. ეკლესიის რომელიმე დიდმა მამამ რომ ისიტყვა და დიდ სიმაღლეზე ავიდა, თქვენც მათ კვალად ისიტყვეთ და ადით რაღაც სიმაღლეზე. განმარტეთ რჯული თანამედროვე ვითარებათა შესაბამისად. რატომ ვერ სიტყვობთ და მხოლოდ ცუდმედიდობთ? თუ ჭეშმარიტი მერჯულენი ხართ, ამეტყველდეს თქვენში სულიწმინდა, დაძლიოს თქვენი უძლურება და საღვთო ნიშატი აღგინთოთ. ფრიად მოცუდდა დემოკრატიას შემდგარ ღვთისმეტყველთა ნასარჯი, როდესაც ისინი ლამობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანობა და მართლმადიდებლობა სწორედ კაპიტალიზმის და არა სოციალიზმის მონათესავე მოძღვრება იყო და უფლის მადლი სწორედ ინდივიდუალისტ, თეთრის მგროვებელ ლიბერალზე გადმოდიოდა.

აი, აქ მივადექით იმას, რასაც ძმა ლევანიც ეხება. ესაა შესაქმის კეთილი დასაბამისა და ღვთის როგორც სიკეთის წყაროს მოაქამდე გადაუჭრელი, უმძიმესი საკითხი.

ბოროტების ზეობა აფიქრებდა მათ, ვინც რჯულთმეცნიერებასა და ქრისტეს ცხოვრებას შეიმეცნებდა. ბოროტების ზეობის გამო შეჰქონდათ ეჭვი ქრისტეს ღმერთკაცობაში. ეს ინტენცია ჯერ სპინოზასთან, მოგვიანოდ კი ფრანგ განმანათლებლებთან გამოვლინდა. მანამდე, ბოროტების ზეობა აფიქრებდა ბოგომილსა და ალბიგოელს. იმავე

საგონისით იყვნენ დამძიმებულნი კირკეგორი და ნიცშე. დღეს ქრისტიანობა უკიდურესად პოლიტიზებულია, რაც დემოკრატიისა და პლურალიზმის პირობებში თითქოს გამორიცხული უნდა ყოფილიყო. ეკლესია კეისარს მორჩილებს. ქრისტიანობა პოლიტიკის PR -ფორმა და მანიპულაციური ტექნოლოგიის საგანია.

რჯულის დებულებათა ბოგომილურ-ალბიგოური ინტერპრეტაციის ასეთი უკიდურესობა და შეურიგებლობა თვით ეკლესიის სწავლებაში, მოციქულთა ეპისტოლეებში საკითხთა რადიკალური დასმისაგან მომდინარეობს. ბოგომილურ-ალბიგოური ფანატიზმის მასულდგმულებელი წყარო თვით ეკლესიის დოქტრინა და ქრისტეს სიტყვაა. ბოგომილი ასკეტი ძალზე ძნელად გამოსარჩევია საეკლესიო მოწესისაგან. დიდი ერესები წარმოშვა ღმერთსა და ეშმაკს შორის ბრძოლის იდეამ როგორც კანონიკურ, ასევე აპოკრიფულ ტექსტებში. ამ ტექსტებში არსებული უკიდურესობანი ერეტიკულ ინტერპრეტაციებს უფრო გაუმწვავებიათ და ცენტრალურ ექსტრემისტულ მეთოდოლოგემად უქცევიათ. ორიგენე მისი ნებაყოფლობითი საჭურისობის გამო შეიძლება სათნოვყოთ და შეიძლება დავგმოთ კიდეც. სათნოვყოთ იმისთვის, რომ მან თავი დაისაჭურისა ქრისტეს სიტყვის თანახმად. და დავგმოთ იმისთვის, რომ თავის დასაჭურისებით ორიგენე უარყოფს იმ ბუნებას, რაც მას ღვთისაგან ებოძა.

ძმაო ლევან, უკვე ამ საკითხის განსჯა ჩვენს შორის გამოიწვევს ისეთ კამათს, რომ ერთმანეთს შეიძლება მოსისხლე მტრებად ვექცეთ. ამ დროს კი ორთავენი მართალნი ვიყოთ და ჭეშმარიტებას ვუბნობდეთ. აი, ასეთი საკითხები რომ აღელვებდათ ადამიანებს წარსულში, იმიტომ წარმოიშობოდა დიდი და მცირე ერესები. აქ მხოლოდ სატანაზე მითითება საკითხის მეტისმეტი გაუბრალოებაა.

ინდუიზმმა და მისგან ამოზევებულმა ბუდიზმმა არ იციან ასეთი მტრობა თავის ერესთა და მწვალებლობათა შორის. ეს ასევე არ იცის დაოიზმმა, სინტოიზმმა, იმიტომ, რომ ღმერთსა და ეშმაკს შორის ბრძოლის იდეა ამ რელიგიებში არაა. ასეთი მტრობა მხოლოდ აბრაამიტულმა რელიგიებმა და მათმა ერესებმა იციან.

გნოსტიკოსებისა და ქრისტიანული ერესების უკიდურესობანი

სწორედ შესაქმის საკითხის გააზრებაში თანხვდებიან ერთმანეთს. დავაკვირდეთ: საკითხის რადიკალური დასმა ისტორიასა და თანამედროვეობაში ღმრთისა და ეშმაკის ბრძოლაზე, მეტად დასაბუთებულად და ლოგიკური სიმკაცრით მიგვიყვანს ეშმაკის მძლავრების აღიარებასა და ღმერთის მარცხამდე. ათეიზმი აქ კეთილი ღმერთის გადარჩენის ერთგვარი ხერხია. ფრანგ ენციკლოპედისტებს კი ეს კარგად ესმოდათ.

შესაქმის საწყისისა და მიზნის შესახებ კამათი ახალ დროში გაგრძელდა ევროპელ განმანათლებელთა, თეისტთა და დეისტთა შორის. მოგვიანოდ ეს საკითხი განიხილებოდა ათეისტების მიერ. ათეიზმი კი სხვა არაფერია, თუ არა გნოსტიციზმის ვარიაცია. ეს ძველი სულიერი წყლულის აშლაა.

ახალი ევროპის დიდი მოაზროვნენი - ლაიბნიცი, ნიუტონი და სხვები ფილოსოფიურად გაიაზრებდნენ შესაქმის საწყისის საკითხს. ლაიბნიცის თეოდიცეამ დაიცვა საეკლესიო სწავლება შესაქმის კეთილგანზრახულობის შესახებ.

დღეისათვის სასაცილოდ ჩანს კამათი თეისტებსა და დეისტებს 'შორის, მაგრამ XVIII-XIX საუკუნეებში ეს კამათი ევროპული აზროვნების მაგისტრალურ მიმართულებას ქმნიდა. ეს კამათი კი ისევ იმ ბოგომილურ-ალბიგოური საკითხების სეკულარულ და რევოლუციურ განასერში გადატანა იყო.

თანამედროვე უნივერსიტეტელი კი უფრთხის ამ საკითხებს და თავს აჩვენებს, რომ მას სწორედ ისე სწამს, როგორც პატრისტიკულ კლასიკაში და კონფესიურ ავტორებთანაა განმარტებული. მას არ აფიქრებს ბორიტების დიდი აღზევება. დუბიტატური აზრი დასაწყისშივე დაგმობილია, როგორც სატანური. ერთობ პოლიტიზებული რელიგიისათვის კი ასეთი ვითარება პირდაპირ მისწრებაა. დემოკრატი ინტელიგენტი თავს იწონებს იმით, რომ მან ვერ გაბედა შემეცნება.

შესაქმის დასაბამის შესახებ ძველისძველი პოლემიკის უკიდურესმა ესკალაციამ დასავლურ ცივილიზაციაში გამოიწვია ისეთი ინტენსივობის ბრძოლა რელიგიასა და სეკულარულ, ფილოსოფიურ აზროვნებას შორის, როგორიც არ ყოფილა აღმოსავლურ ცივილიზაციებში. ტექნიკის არნახული წინსვლაც, რისი წყაროც რელიგიასთან ბრძოლაა, სატანის განზრახულობას დაუკავშირდა სწორედ დასავლეთში და არსად სხვა-

გან. აზრად არ მოუვა იაპონელ ბუდისტს, კონფუციანელს ან ვედური რელიგიის ინდოელ მიმდევარს, რომ ტექნიკა დემონურად შერაცხოს. კოლონიალიზმის ეპოქის დროს, აღმოსავლელი კაცი ევროპულ ტექნიკაში თავისი დამონების პოლიტიკურ იარაღს უფრო ხედავდა, ვიდრე დემონთა ნახელავს.

სწორედ ქრისტიანულ კულტურაში და არსად სხვაგან, იშვა ღმერთმებრძოლობის ისეთი იდეა, რომელმაც ეპოქები გაანათა და ადამიანს უდიდესი ისტორიული წინსვლა მოუტანა. აღმოსავლეთში, მაგალითად, ტიბეტსა და ინდოეთში არაა საღვთოდ და სატანურად ისეთი დაყოფა, როგორც იუდაისტურ-ქრისტიანულ სამყაროში, რაც არ უშლიდა ხელს ტიბეტსა და ინდოეთს რელიგიური სათნოების მიღწევაში. მაგრამ ის მებრძოლი სათნოება, რომელიც აბრაამიტული რელიგიების წიაღში იქმნება, ინტენსიურად ისტორიზებული და ტემპორალიზებულია. ეს არის ყველაზე არსებითი, რაც განასხვავებს აბრაამიტულ რელიგიებს ინდო-ბუდისტური რელიგიებისაგან. ამას იუდაიზმსა და ისრაელის სახლის რელიგიურ გენიას უნდა ვუმადლოდეთ, რომლის წინაშე მთელი დასავლური ცივილიზაცია განუზომელ ვალშია.

ტიბეტში, ინდოეთსა და იაპონიაში ღმერთი უშვერი სახის მქონე შეიძლება იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი დემონია. დემონური ღვთაებების მსახურება ინდოეთის ხალხებში ისევე ხდება, როგორც ვედური ღვთისმსახურება. ინდუისტური და ასევე ბუდისტური სათნოება შემრიგებლურია. იგი არ ახდენს რელიგიური საკითხების ისეთ ისტორიზებას, როგორც ამას აკეთებს იუდაისტურ-ქრისტიანული და ასევე ისლამური სათნოება.

ჰეგელიც ფიქრობდა შესაქმის დასაბამზე და მას ნათქვამი აქვს, რომ ეშმაკმა არ მოატყუა ადამიანი და მან ის შემეცნების გზაზე დააყენა. ასე მივიღეთ იდეა, რომელსაც ეშმა კეთილი შეიძლება ვუწოდოთ.

შესაქმის დასაბამის შესახებ თავისებურ კონტრინტერპრეტაციას წარმოადგენს დასავლეთში წარმოშობილი საიენტოლოგია და ნიუ-ეიჯერთა სწავლებები. ისინი ქრისტიანობის ახალ ოპოზიციად ყალიბდებიან.

აბრაამიტული რელიგიების და სახელდობრ, ქრისტიანობის

ზემოაღნიშნული თავისებურება გართობის ინდუსტრიამ საფარსაგო საქმედ აქცია. ძმა ლევანი აღნიშნავს, რომ მოგვი ჰარის ლოგოტიპი სარფიანად გაიყიდა. ის გამოსახული იქნება სხვადასხვა საგნებზე. მე ვიკითხავ: ბავშვთა სამოსელზე, ჩანთებზე გამოსახულია ბეტმენის სიმბოლო, მაგრამ განა ეს ავნებს ყრმათა სულებს? ძმა ლევანის მსჯელობას თუ მივყვებით, სახაზავზე და რვეულზე დახატული ჰარი პოტერი და ჰერმიონა წარწყმედს სულს. ეს სურათი წარწყმედს კაცის სულს და ეკლესია რომ სულ შევარდნაძის ღვთისგარეგანი ხელისუფლების მხარდამჭერი იყო, ეს არა?

ჰარი და ჰერმიონა კი არა, თუნდაც სატანა დახატონ საგნებზე. ეს ისევე არვის შესძენს გველის სიბრძნეს, როგორც ქრისტეს დახატვა - მტრედის უმანკოებას.

განა ეშმაკი ის არის, „ჰარი პოტერით“ გატაცებულ მანტიამოსხმულ ბიჭ-ბუჭებსა და გოგოცუნებთან ჯოხის ქნევაზე მივიდეს? ჭეშმარიტი დემონოფანიის მიღწევა ასე იოლი ვის ჰგონია?

რომ შეექმნათ პენტაკლები, შანა და ბაზმანდი ვამრავლოთ ისე, როგორც მოგვი პაპიუსი გვასწავლის თავის წიგნში მაგიის შესახებ, წარმოვთქვათ შელოცვა, ქვესკნელის რომელიმე ავსული უთუოდ გამოგვეცხადება? ყველაფერი ზედმიწევნით ისე რომ შევასრულოთ, როგორც მაგიური რიტუალები გვასწავლის და სასურველი სული მაინც არ მოვიდეს, რაღა რჩება მოგვთა მეცნიერებისაგან?

თავის დროზე ევროპაში ფრიად შესახელებული იყო ალან კარდეკის წიგნი სულთა გამოხმობის შესახებ. მაგრამ ყველა ის, ვინც ამ სახის შემეცნებით დაინტერესებულა, დაგვეთანხმება, რომ კარდეკის წიგნში სულები ისე ვერ უბნობენ, როგორც მათ შეჰფერის. კარდეკთან საკვირველი და გასაშტერებელი არაფერია.

ჩვენი საკითხის განხილვისას ძმები ლევანი და ირაკლი არ აქცევენ ყურადღებას ერთ მეტად არსებით ვითარებას. ყველა მაგია არაა მაგია. როგორც საეკლესიო სწავლების შემთხვევაში, აქაც ძალზე დიდია ფალსიფიკაციის შესაძლებლობა. რახან რაიმე გრძნეულება, სახრეა, მესტროლაბეობა ასეთად იწოდება, ეს არ ნიშნავს, რომ ის არასოდეს

გაყალბდება და რაც მაგიად იწოდება, უეჭველად მაგიაა. ამ ყოვლისმომცველი პროფანაციის გამო წუხდა რენე გენონი და იგი თქვენს მიერ ნახსენებ პაპიუსსაც აკრიტიკებდა, რომელსაც თავის დროზე თავად ემოწაფებოდა.

ღმერთმა რომ ქვესკნელს შთაათხია შესაქმის დამწუნებელი ეშმაკი და მისი თანამოსაგრენი, ამის შემდეგ მტრობა უფალსა და სატანას შორის ისტორიაში სულ უფრო იზრდება და ინტენსიური ხდება. აი. აქ ვიგულისყუროთ, მოვიკრიბოთ ღონე და დავაყენოთ კითხვა: ქაჯური სასწაული, შავი მადლი თუ შეიძლება გაყალბდეს? იქნება კი სატანის კაცის მოკლინება გაუყალბებელი? გვსურს თუ არ გვსურს, კითხვა გნოსტიკურ ხასიათს იძენს.

აქვე მინდა გავიხსენო უახლოესი წარსულის ერთი ფაქტი. 1990 წელს საქართველოში მოიწვიეს იმ დროისათვის ცნობილი ტელეპატი კაშპიროვსკი, რათა მას ემკურნალა 9 აპრილს დარბეული და მოწამლული ადამიანებისათვის. კაშპიროვსკის სეანსი არ ჩაატარებინეს. მრევლმა იგრძნო, რომ ეშმაკეული კაცი იყოო კაშპიროვსკი. ასე განმარტეს მღვდლებმა. თუ იცოდნენ ვინ იყო, რაღას მოჰყავდათ? თუ ასეთი მორწმუნენი იყვნენ, რომ ტელეპატია ეშმაკეულ საქმედ მიაჩნდათ, რატომ მივიდნენ კაშპიროვსკისთან შესახვედრად? რა, ფსალმუნების კითხვას დაიწყებდა კაშპიროვსკი და ასე უწამლებდა? მღვღლები ამბობდნენ, რომ ტელეპატიის უნარი ამ კაცს ეშმაკისაგან ჰქონდა მინიჭებული. ცრუმესიაც კი უწოდეს მას. ილუზიონისტ კოპერფილდის სანახაობა 1996-97 წლებში საქართველოში ბევრმა სამღვდელომ სატანურად შერაცხა. დღეს არც კაშპიროვსკი და არც კოპერფილდი ახსოვთ.

კაშპიროვსკის უნარი ადამიანის გონების ახალ შესაძლებლობათა წარმოჩენა იყო. ძველ დროში პოლიგლოტობა ან მხატვრობის ნიჭი ღვთის წყალობად მიაჩნდათ. დღეს ეს მოწადინებისა და ტექნიკური გარჯილობის, გამოხელვის შედეგია. კანტი, ნიცშე და ჰაიდეგერი რომ ძველ საბერძნეთში დაბადებულიყვნენ, ელინები იტყოდნენ, რომ მათი მამა ოლიმპოს რომელიმე ღმერთი იყო. ადამიანის გონების ასეთი უნარი და გაქანება ღმერთების მეოხების გარეშე იმ დროში წარმოუდგენელ ამბად მიაჩნდათ. მძიმე ათლეტიკაში მსოფლიო

ჩემპიონის შესახებ ელინები იტყოდნენ, რომ მისი მამა გმირი ჰერაკლე იყო და ჩემპიონის დედას პატივს მიაგებდნენ როგორც ღირს ქალს. იგივეს იტყოდნენ ელინები ბოდიბილდერზე (კულტურისტზე) და მის სხეულს სკულპტორებს ნიმუშად დაუსახავდნენ. მოკვდავის მიერ უმეშვეოდ ამის მიღწევას ვერ დაუშვებდნენ ელინები. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის მამას დღეს აღარავინ ეტყვის „მოკვდი დიაგორას!“

„ჰარი პოტერი“ მაგიის მოძალებასა და სულის საცთურთა მომრავლებას კი არა, არამედ რელიგიის დაცემას, ქრისტიანობის აქამდე არნახულ პროფანაციას და მასთან ერთად ყველა სახის მისტიციზმის, ყველა სახის საკრალური სწავლების, ყველა მითის პროფანაციას გვიჩვენებს.

ოდესღაც, „ჰაგაკურეს“ თანახმად, ჩინეთში იყო დრაკონთა მეტრფე კაცი, რომელმაც თავისი სამოსი და ავეჯი მათი გამოსახულებებით მორთო. ამ კაცის ასეთმა გატაცებამ დრაკონთა ღმერთის ყურადღება მიიპყრო და ერთხელ ამ ჩინელის სახლის ფანჯრის წინ გამოჩნდა ნამდვილი დრაკონი. კაცმა შიშისაგან მყისვე სული განუტევა. იგი, სამურაის კოდექსის თანახმად, ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ხმას იმაღლებს, საქმეში კი სხვაგვარნი არიან.

სხვა თქმულების თანახმად, უფალი შივას ერთგული ინდოელი თავისი ნანდაურის გამოცხადებას ელტვოდა. შივამ შეისმინა მისი, მოიღო მოწყალება და უბედურმა კაცმა, რა იხილა შესაზარი, მრჩობლედი სახიერების მქონე მძვინვარე ღმერთი, სული გააცხო შიშით.

მავანი ამ ჩინელსა და ინდოელს შორიდან შეხედავს და იტყვის, რომ ჭეშმარიტ მორწმუნეთ გადაჰყრია. ღვთის მსასოებელნი კი სწორედ ასეთი გამოცხადებით გამოიცდებიან.

ყოვლისმომცველი პროფანაციისა და კომერციალიზაციის გავლენით არის, რომ ასე გავრცელდა ესქატოლოგიური სიუჟეტების ეკრანირება. მაგალითად, ფილმი End of days, სადაც პოლიციელი კინოპერსონაჟი შვარცენეგერის შესრულებით ანტიქრისტეს მოვლინებას უშლის ხელს და თვით სატანას ამარცხებს.

წერილ არს: „არა მოვიდეს სასუფეველი ღმრთისაი ზმნით“. გართობის ინდუსტრია კი კინემატოგრაფიული ზმნობით

ცდილობს აუწყოს ახალი სამყაროს შესახებ.

მკითხველი როგორ ფიქრობს, მთელ დასავლეთში გავრცელებული ჰელოუინი აქ რომ აღნიშნონ ალქაჯების, ჭინკებისა და მოჩვენებების კოსტიუმებში გამოწყობილმა ბავშვებმა, რა, ავსულები მოვლენ და ბავშვებს დაუწყებენ ბღლარძუნს? მექსიკაში ნოემბრობით სიკვდილის დღე აღინიშნება. ქუჩებში კუბოები და ჩონჩხები დააქვთ, მაგრამ მკვდრები არ ამდგარან და ცოცხლებში არ გარეულან.

XX ს. 60-70-იანი წლების ევროპაში როკითა და ჰარდ-როკით გატაცება საყოველთაო იყო. ეშმაკთმიმდევარი ალისტერ კროული ამ მუსიკის ერთ-ერთ ფუძემდებლადაა მიჩნეული. ჰარდ-როკთან კავშირში შეისწავლებოდა დემონური, სპირიტუალისტური კულტები. ფართოდ გამოიყენებოდა ნარკოტიკები. ამ ადამიანთაგან ბევრი დღეს ბიზნესმენი, ადვოკატი, მენეჯერი და პოლიტიკოსია. მომღერალ ოზი ოსბორნის სცენური ეპატაჟი დაუვიწყარი იყო, მაგრამ ოსბორნი დღეს ოჯახის მამა და ცნობილი შოუმენია.

ალისტერ კროული ქართულადაც გადმოიღეს, მაგრამ ეშმაკის ხმობა არვის დაუწყია. კროული წაიკითხეს, როგორც რაღაც მორიგი თავშესაქცევი და მიივიწყეს. სადა აქვთ ადამიანებს იმისი უნარი, რომ შეიკრიბონ და ღვთისა ან ეშმაკისა განსაჯონ ერთმანეთში.

ჰარდ-როკი რომ დემონური სულისკვეთების მუსიკაა, ბევრჯერ თქმულა. ამ მუსიკის მოთაყვანე მსმენელი მხოლოდ ხანმოკლე აჟიტაციას განიცდის და არა სატანურ ინვოლტაციას. სიძნელე კი ისაა, რომ ასეთივე აჟიტაცია იმავე ადამიანმა შეიძლება განიცადოს დოლზე ან კრივზე.

თუ კურტ კობეინმა თავი მოიკლა, ეს მუსიკას ვერ დაბრალდება. მღვდელი და ღვთისმეტყველი კი ამას სატანის ჩარევით ახსნიან. მათი აზრით, „ბითლზის“ მუსიკა სატანურია. ასე არის სენ-ჟერმენის ნაუწყების მიხედვითაც. აქ ასეთი სიძნელე იქმნება: თუ „ბითლზის“ წევრი ჰარისონი სატანურ მუსიკას ქმნიდა, რატომღა შეუდგა ის უფალ შრი კრშნას სწავლებას? მღვდელი მყისვე მოგვიგებს, რომ კრშნა სატანაა და ჰარისონი რომ კრშნას ერთგული გახდა, ეს არის როგორც „ბითლზის“, ასევე ვიშნუიზმის სატანურობის უეჭველი დადას-

ტურება. იყო თუ არა ჰარისონის შექმნილი მუსიკა უფალი კრშნასთვის დემონური? ამ კითხვაზე თვით სვამი პრაბჰუპადა ვერ გვიპასუხებდა. სვამის მოსწონდა „ბითლზის“ მუსიკა? ვინ გაარკვია, ჯონ ლენონი სტილისტორი სატანისტი იყო, თუ ნამდვილი? ვინც ბითლომანი იყო, ჯიბით დაპქონდა ლენონის კომპოზიციების აუდიოჩანაწერები და სულ „ბითლზს“ უსმენდა, რატომ ვერ გამოირჩია ის სხვა მოკვდავთაგან თუნდაც მცირედი დემონური უნარით?

„ბითლზის“ სხვა წევრი პოლ მაკარტნი დღეს უმდიდრესი მუსიკოსია და მთელ მსოფლიოში ტურნეებს მართავს. რა ეტყობა მაკარტნის სატანისა?

ჰარდ-როკი, მაგალითად, „აირონ მეიდნი“, XVI საუკუნის რომელიმე ცნობილ ევროპელ დემონოლოგსა და იეზუიტს რომ მოესმინათ, ძნელი წარმოსადგენი არაა, რას იტყოდნენ და მოიმოქმედებდნენ.

უამრავი წიგნი იყიდება ვარსკვლავთადმი მსახურებლობაზე, რამლის ყრაზე, წინათმოსწავებაზე. არის ზღვა ლიტერატურა დაოისტურ, ტიბეტურ, კელტურ და ა.შ. მაგიაზე. ასევე მრავლადაა წიგნები ყველა დიდი რელიგიის ყველა მიმართულებაზე. მერე? მიჩვენე, ძმაო ლევან, ერთი მოგვი, ნეოპაგანისტი, ალქიმიკოსი, მაჩხიბი, გაზარელი, ჭეშმარიტი ლუციფერიანელი, ჭეშმარიტი ქრისტიანი საზოგადოებაში. ვინაა უცხოდ შეზმნილი ამ წიგნების წაკითხვით და ვინმე თუ ფლობს საკვირველის მიწევნილებას?

ადამიანთა მირიადი რა უგბილი და თვალთმაქციც დღემდე იყო, ისევ ის დარჩა. წიგნთა სიმრავლემ ადამიანთა ურთიერთობებსა და მათ ცნობიერებას კვალი ვერ დაატყო. საითაც გაიხედავ, ყველგან არაფრობის გამოფენაა. ამდენი მოხითხითე სიფათისათვის სულ ერთია ღმერთიც და ეშმაკიც. ნუ მოგვატყუებს ლიანგის მედიდურობა, მდაბალ კაცთა ყიფობა და ყიყინი, მათი მწიკვლოვანება და უწესური საქმენი. რახან ისინი ასეთნი არიან, ეს არ ნიშნავს, რომ უთუოდ ეშმაკს არიან შესაკუთრებულნი. სატანის სუნთქვა რომ გაიგონონ, შიშის ფახი დაეცემათ და ისე მოკურცხლავენ, თვალს ვერვინ მიატანს. მათი ფიქრი და გზნება მიიქცევა თვალთმაქცობისაკენ და არა სატანის საფერი ბოროტებისაკენ. კაცი მიჩვენეთ, ვინც

შეიძლებს სატანის სატრაპეზოში დაჯდეს და რაღაც იგემოს, ბილწებათა სიბრძნეს ეზიაროს. თუ სულით საპყარ კაცს არ ძალუძს უფლის სერობაზე ჯდომა, ეს არ ნიშნავს, რომ მას სატანის სერობაზე ჯდომა ძალუძს.

განათლებული ადამიანების უდიდესი ნაწილი თავს იქცევს რაგინდარა სამისნო წიგნების ასეთი სიმრავლით. შემდეგ მათ ავიწყდებათ ეს წანაკითხი, ერევათ სხვა რაღაცაში და იქმნება დურდო, რომელ'შიც წიგნიერი კაცნი მთელი ცხოვრება ვაგლახად ფართხალებენ. აღარაფერს ვიტყვით უბრალო ხალხზე.

რა არის აქ მეტად საკვალალო? ის, რომ ადამიანის ონტოლოგიური და მეტაფიზიკური სტატუსის დიდი დამდაბლება მოხდა სწორედ დღეისათვის, საბჭოთა ათეიზმის უარყოფის შემდეგ. გვარწმუნებდნენ, რომ პირიქით მოხდებოდა. აღმოჩნდა, რომ ის, ვინც ღვთის ხატად და შესაქმის გვირგვინად იყო მიჩნეული, იოლად მოსაღორებელი და საბურთაო მარტივი არსება, სიცრუით ნაწვართი მოლაპარაკე ავტომატი ყოფილა. აი, ამის პოსტულირებას ახდენს გართობის ინდუსტრია, პოლიტიკური PR -მენეჯმენტი და მთლიანად დასავლური ცივილიზაცია. ამ დროს, კვართების საქართველოში დავანებულობაზე, როგორც ნეომექანიციზმისაგან თავის დაცვის საწინდარზე საუბარი, მწარე ღიმილის მომგვრელია.

ძმა ლევანი აღნიშნავს „ჰარი პოტერში“ (ზღაპარში) გამოთქმულ აზრს, რომ ადამიანი სულის გარეშე შეიძლება არსებობდეს. ძმა ლევანი მიუთითებს თეოფანე დაყუდებულის საწინააღმდეგო აზრზე. მაგრამ ამ ზღაპარში ჩანს ებრაულ მისტიკაში არსებული გოლემის იდეის გავლენა. გავიხსენოთ ფილმი „ფრანკენშტაინი“ (შავ-თეთრი), რომელსაც თავის დროზე საბჭოთა იდეოლოგია ამრეზით უცქერდა. ამ ფილმის სიუჟეტის ახალი კინოვერსია რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა. მეცნიერების მეშვეობით მკვდრის აღდგინება არის გოლემის იდეის გააზრება. ფილმი „ფრანკენშტაინი“ (შავ-თეთრი) ყველგან დიდ ინტერესს იწვევდა, მაგრამ გვამების მოპარვა მათი გაცოცხლების მიზნით არავის დაუწყია. ნახეს, იყბედეს და დაივიწყეს ეს ფილმი. სხვა ფილმი „უნივერსალური ჯარისკაცი“ კიბერნეტიკული გოლემის იდეას გამოხატავს.

სჯულთამებრ ცხოვრებაზე ზრუნვა საქებარია.

ღვაწლისმძლეობა, სიმხნე და ჭირთათმენა თანაგვაძს როგორც სჯულთა, ასევე ჯადაგობასა შინა, მაგრამ საქართველოში ეს ძვირად ვინმემ იცის. საღვაწო ნიშატი და ილაჯი დანელებია ერსაც და ბერსაც. სამღვდელოება ქვეყნის ალი-კვალია. ჭირსა შიგან კიდევ ერთხელ გამოიცადა ერი და რაც გამოდგა, ყველამ დაინახა. მუდამ გაუგონარი ავაზაკობითაა ნაგვირისტალი ქვეყნის წარსულიც და აწმყოც. ერთთავად სალაზღანდაროდ და საყალთაბანდოდ შეყრილი ქართველობა ვერ ახერხებს იყოს იმაზე მეტი, ვიდრე არის. ეროვნული მოძრაობის დროიდან ქართველებზე, როგორც ღვთის ჭურჭელზე და საზეპურო ერზე იმდენს ამბობდნენ, რომ აღარ გაიგებოდა - ქართველს ეჯდა ანგელოზი მხარზე, თუ ანგელოზს ეჯდა ქართველი მხარზე. დიდი ორყაბაზობა იყო ეს ყველაფერი. ასე ალა-ალა ეგონა ქართველს მესიანისტური იდეის ტვირთვა. ქართველებში, როგორც მართალ ერში იცვებაო ის მადლი, რაც სხვა ერებმა დაკარგესო. ამის მტკიცება არ შეწყვეტილა სამოქალაქო ომის დროსაც. გამსახურდიასადმი სიძულვილით გათანგულნი იღრეკდნენ სახეებს და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მის მოგინებაში. უკვე მერამდენედ, საქართველოს წარსულში ბოლმა გასალკლდევდა, შური ჩაიკირა. ცოფით ნასათუთები იყო ის, რასაც სამოქალაქო ომის დროს ქრისტიანობისათვის ბრძოლა ერქვა. ქართული ცნობიერების ღობე-ყორეს მოდება, შფოთი და წრიალი ისევ გრძელდება. ჯეილ მედროვეთა სახელოდ იქცა მთელი ქვეყანა. მხეცთამბრძოლობაა ქართველობა შორის ცხოვრება. ურთიერთში ილალვიან ძველები და ახლები, ისევ ერთად კი არიან. ნაბიჭვართა კოპორტა მიუძღვის წინ ქვეყანას. ასეთი ჰარი პოტერობის დაწერა თუ მოაფიქრდებოდა ჯოან როულინგს, ძმაო ლევან?

ასეთი სვედავსილობის ჟამს, მოგვი ბიჭუნასათვის ეკლესიის მამათა მსჯელობის დაპირისპირება, როგორც შენ ცდილობ, ძმაო ლევან, ძალზე როყიოდ და სასაცილოდ გამოდის. ვინ ოხერია ეს ჰარი პოტერი, რომ მასთან საპაექროდ თეოფანე დაყუდებულს უხმობ?

ძმა ლევანის განსჯას თუ მივყვებით, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ჰარი პოტერის როლის 'შემსრულებელი კინომსახიობი ბიჭუნა წყვდიადის მეუფის თვალში წყალობას ჰპოვებს და

სატანური მადლით აღივსება. ძველმა გველმა ამ ბიჭუნას ნიჭნი საკვირველნი უნდა ანიჭოს. დენიელ რედკლიფი ეშმაკის რჩეულთა შორის დასამკვიდრებლად უნდა ემზადებოდეს. „ჰარი პოტერი“, როგორც ლიტერატურული და კინემატოგრაფიული პროფანაცია მოგვობაზე, ვერ შექმნის ეშმაკის მადლთან ზიარების შესაძლებლობას. თუ საპირისპიროს ვიტყვით, მაშინ გამოდის, რომ ეშმაკისათვის სულ ერთია, მის შესახებ ნამდვილი რამ ითქმის, თუ რიოში. ეს კი შეუძლებელია. რჯულისკაცი და ჯადაგო ამას ერთნაირად უნდა გულისყურობდნენ. რახან მათზე ჩამოვარდა სიტყვა, ჰხამს ითქვას შემდეგი: მოფილოსოფოსე კაცის ღვაწლი არანაკლებია, ვიდრე მეუდაბნოე ბერისა. ფილოსოფიას გულისა თუ არ შესწირე, ვერას მოიპოვებ. საყდრის სენაკში მოღვაწეობისას შეგიძლია ბევრზე ბევრი ბალახტარობა და გამჩვენეობა, ძმაო ლევან. ფილოსოფიური გონების ასპარეზზე დგომა კი ძნელია. აქ გონებაა მწე და მეოხი. შემეცნებითი შეჭირვებისას პავლე მოციქულის ან ეკლესიის მამის ციტირება კი არ უნდა დაიწყო, არამედ სული უნდა მოითქვა და ისევ ფილოსოფოსობა გააგრძელო.

ასე გკითხავ, ძმაო ლევან: წმინდანად შერაცხული ოხერი დიაკონი რითი სჯობს ნიცშეს? განა ნიცშე ნაკლები მარტვილია, ვიდრე ის, ვინც ქრისტეს გულისათვის უდაბნოში ან ხაროში ხუნდებდადებული ევნებოდა? რომელიღაც ტილიანი ბერი რომ იყო მონასტერში და უფლის ხმა ესმოდა, როგორც ვტყობილობთ მერჯულეთა ცხოვრებიდან, ვინ გასინჯა ამ ბერის განცდების ნამდვილობა მის გარშემომყოფთაგან? რატომ ვერ გაიგონა ღვთის ძიებით დიდად დამაშვრალმა და სასოწარკვეთილმა ნიცშემ თუნდაც ერთხელ სეციური ხმა? ამ დროს ბერს ხშირად ესმოდა უფლის ხმა მხოლოდ იმიტომ, რომ სული ილოცვიდა და იმარხვიდა. თუ ეს ასეა, მაშინ ამ ბერის გონებას რაღა რჩებოდა? შეუძლებელია, რომ ღმრთის მკვირცხე მხოლოდ ის იყოს, ვისაც სოფლის სიმანქნე მოსძაგდა და უდაბნოში ჰპოვა თავშესაფარი.

ძმა ლევანის თანახმად, მოგვი ჰარის მოძღვარი, კეთილი ჯადოქარი დამბლდორი ღმერთის მკრეხელური პაროდიაა. მაგრამ აქ უნდა ითქვას, რომ ბეტმენი ეშმაკის პაროდიაა.

ასეთი გატრისავების გამო ეშმაკს ბეტმენის როლების შემსრულებელთათვის რისხვა არ მოუვლენია. ფილმ „ჰარი პოტერის“ ნახვის შემდეგ მაყურებელი სულ არ იფიქრებს იმაზე, რომ დამბლდორი ღმერთის პაროდიაა. ღმერთის, ეშმაკის და ადამიანის პაროდია აგერ, ცხოვრებაში ყველას ყოველთვის თვალწინ აქვს და ეს არავის აფიქრებს. დამბლდორის ნამოქმედარის გარჩევას ვინღა დაიწყებს?

დიდი წარმოდგენა გქონია, ძმაო ლევან, ახლანდელ ადამიანზე. იგი თავისი ცხოვრების სპექტაკლად ქცევას კარგად შეეთვისა. შენ მას რჯულის სახელით დიდ ავანსს აძლევ. შემდეგ კი იძულებული ხარ ვალად ქცეული ეს ავანსი ისევ ქრისტეს სახელით ჩამოაწერო მას, რამეთუ ასეთი ვალებით განსავსე ადამიანი იმ მოღვაწეებისათვის, რასაც სიორძილი სულისაი ჰქვია, სრულიად უმაქნისია. თავის თავისა ვერაფერი გაუგია ამ მუდამ მოლაყბე, უდებ და უმადლო არსებას. დამბლდორისას რაღას გაიგებს და გაიკვლევს?

კინოში და მთლიანად გართობის ინდუსტრიაში, უბრალოდ რომ ვთქვათ, ყველაფერი გადის. არავის აფიქრებს რა ღვთისაა, რა ეშმაკისაა, რა ჭეშმარიტი სწავლების მიხედვითაა შექმნილი და რა ერეტიკულია. მთავარია დიდი ფულის მომტანი თვალისსეირის შექმნა, რომელიც მორიგი თერაფინი იქნება დიდისა და მცირესათვის. „ბეტმენი-1-3“ არის კინემატოგრაფიული ერეტიკოსობა ეშმაკის გააზრებაში. გავიხსენოთ მარტინ სკორსეზეს ფილმი ქრისტეს ცხოვრებაზე, რომელმაც დიდი კამათი გამოიწვია თვით ლიბერალურ დასავლეთში. მაგრამ ფილმის გავრცელების შემდეგ არ წარმოშობილა ახალი ერეტიკული სწავლება რჯულის შესახებ. არც ქრისტეს როლის შემსრულებელი მსახიობი შერისხულა უფლისაგან. აქვე გავიხსენოთ ენდრიუ ლოიდ უებერის მიუზიკლი „ქრისტე-სუპერვარსკვლავი“. დღეს რომ აუდიტორიამ ნახოს ნაცისტი კინორეჟისორის ლენი რიფენშტალის (1902-2003) ფილმი „ნების ტრიუმფი“, რომელიც დოკუმენტური კინოს ჟანრში შედეევრად ითვლება, განა ის ნაციზმისაკენ მიიქცევა?

ჩანს, რომ ძმა ლევანი სასულიერო აკადემიიდანაა და ღვთისმეტყველების მძიმე სავალს შესდგომია. „ჰარი პოტერის“ გარჩევისას იგი მსჯელობს „ერეტიკოს-გნოსტიკოსებზე“. ეს

გამოთქმა გულისხმობს ისეთი გნოსტიციზმის არსებობას, რომელიც ერეტიკული არ იქნება. ამის გარკვევა კი ერთობ საძნელო საქმეა. გნოსტიციზმისა და ჰერმეტიზმის მძლავრი ნაკადები თვით ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაშია. ამიტომ არსებობს ქრისტიანული გნოსტიციზმი და ქრისტიანული ნეოპლატონიზმი. ზღაპარ „ჰარი პოტერში“ გნოსტიკური ელემენტის არსებობას ბავშვები კი არა, ზრდასრულნიც არ მიაქცევენ ყურადღებას. ქრისტიანი კაცი, ძმა ლევანის თანახმად, აქაც კვლავ საცდურის წინაშე დგება. მე ძმა ლევანს ვერ დავეთანხმები.

ვალენტინ ეგვიპტელი და ვასილიდ სირიელი რომ მოვიდნენ და თავისი სწავლება განმარტონ, ადამიანები მათ სანახავად მივლენ ისე, როგორც დღეს პრეზენტაციებზე დადიან. ვიეთმა შეიძლება ვასილიდთან უკმეხი კამათი დაიწყოს არა რჯულში მოშურნეობის, არამედ ტუტუცობისა და ამპარტავნების გამო. იკამათებს, თორემ რომელიმე სახარებას ან სჯულთამდებელ მამათა სწავლებას აბულბულებს. ვიეთს ერთი დღისა ვერაფერი გაუგნია და ვასილიდთან კამათში იმას რჯულყოფს, რომ ცაბაოთ უფალი კეთილი ღმერთია და არა ბოროტი?

ვალენტინსა და ვასილიდს დღევანდელთაგან არავინ გაპყვებოდა იმის მიუხედავად, რომ უცუდესი ქრისტიანები არიან. ნომინალურ ქრისტიანად დაშთენა უფრო სარფიანია. ეს კი წარმოჩნდება, როგორც რჯულში მტკიცედ დგომის დასტური.

ახლა შემდეგი ვითარება საგანვყოთ: ვალენტინსა და ვასილიდს სატანამ ათქმევინა ის, რაც მათ თქვეს? თუ ჰო, მაშინ გამოდის, რომ დიდროსაც სატანამ ათქმევინა, დეკარტსაც, ნიცშესაც. თუ არა, მაშინ მეჭველობა შესაქმის შემეცნებაში ადამიანის გონების ის დამოუკიდებელი უნარი ყოფილა, რომელიც უმრავლეს კაცთათვის გაუსაძლისი ტვირთია.

სიკეთე და ბოროტება სამყაროში თანაბარძალოვანნი არიან, თუ არა? ზარდუშტის შემდეგ, ქრისტეს შემდეგ, გნოსტიკოსებმა ეს საგონისი უფრო ამიზეზეს. არანაირად არ გამოდის, რომ გნოსტიკოსები შეაჩვენო და ამით საკითხი გადაწყვეტილად ჩათვალო. ევროპული აზროვნების ისტორია სწორედ ამას გვიდასტურებს, რომ გნოსტიციზმი საწუნელი არაა.

აი, კაცი, ვისაც სოფლის უშვერებანი შესძულდა, ყოველივე ამქვეყნიურს განერა და უკაცრიელ ალაგას ქვაბში დაეჯუდა. ასეთი კი შეიძლება იყოს როგორც გნოსტიკოსი და ბოგომილი, ასევე ქრისტიანი განდეგილი. რომელია მათ შორის უარხანიგესი ღვთის თვალში? ისინი რომ გვერდიგვერდ მწირობდნენ, რას იუწყებდნენ ურთიერთში კაცთაგან შორს მყოფნი?

ძმა ლევანს ბევრი მსჯელობა აღებული აქვს მცირე კრებულიდან „ჰარი პოტერი მართლმადიდებლური თვალთახედვით“, რომელიც გამოსცა ვიქტორ ავდოიანმა. ამ კრებულის ბოლოსიტყვაობაში არქიმანდრიტი რაფაელი ამბობს, რომ ადამიანებს ოკულტიზმის შხამს სისხლძარღვებში უშხაპუნებენ მსგავსად არცთუ შორეულ წარსულში გაბატონებული ათეიზმისა (გვ.53).

ათეიზმი რატომაა შხამი, მამაო რაფაელ და ძმაო ლევან?

არქიმანდრიტი რაფაელი მსჯელობს, რომ „ნიცშემ სცადა შეექმნა ჰიმნი ბოროტებისათვის, მაგრამ ბოლოს შეშლილობამდე მივიდა...“(გვ.54).

ეს როგორ გავიგოთ? სამღვდელონი ნიცშეს შეშლილობაზე ხშირად მიუთითებენ, რომ აი, მოჯანყე ფილოსოფოსი, ქრისტიანობის დიდი მგმობარი და მღვდელთა მოძულე, უფალმა დასაჯა. ეს ვერაფერიშვილი არგუმენტია.

რატომ არ დასაჯა უფალმა ათეისტი, ანტიმონარქისტი რევოლუციონერები ევროპასა და რუსეთში, როდესაც მათ სამეფო დინასტიები დაამხეს?

მუშა, რომელიც ათეიზმსა და ბუნებისმეტყველებაზე დაყრდნობით თავისი შრომითი უფლებების დაცვისათვის იბრძოდა, რატომ არ დაისაჯა ღვთისაგან?

მამაო რაფაელ, სიბერეში შესული დიდი ცოდვილი რომ სინდისმა შეაწუხოს და განიზრახოს თავისი ცხოვრების დარჩენილ დღეთა სინანულში გალევა, ბერთა სავანეში მორჩილად დადგეს, გველმა დაგესლოს და მოკვდეს უნანებელი, რა უნდა ვთქვაო? უფალმა არ მისცა მას მონანიების შესაძლებლობა თუ ეს ეშმაკმა ქნა, რათა ცოდვილი სული მოეტაცა? თუ ეს ეშმაკმა ქნა, ღმერთმა რატომ არ დაუშალა? თუ ღმერთმა არ ისურვა დიდი ცოდვილის მონანიება, როგორღაა ის ყოვლადმოწყალე?

ძმა ლევანი ყურადღებას ამახვილებს ადამიანების დაყოფაზე „ჰარი პოტერში“. ზღაპრის თანახმად, არიან მაგლები (უცოდინარნი) და მოგვები. ძმა ლევანი ამას რელიგიურ რასიზმს უწოდებს. ეს მეტად პუბლიცისტური განსჯაა. გნოსტიკური სექტების სწავლებაში არსებული დაყოფა მცოდნე და უცოდინარ ადამიანებად, შეუძლებელია იწოდოს რელიგიურ რასიზმად. ეს შემეცნებითი არისტოკრატიზმია, რომელიც გნოსტიციზმში დამკვიდრდა პითაგორასა და პლატონის მოძღვრებებიდან. ვედური კასტების არსებობამ ხელი არ შეუშალა ინდოეთს დიდი სულიერების მიღწევაში. მისტერიებისა და ინიციაციის ცნება უკვე გულისხმობს ადამიანთა დაყოფას მცოდნეებად და უბირებად. არაფერი ანტიჰუმანური აქ არაა. განა ქრისტე მცირეთა ცნობას არ ეძიებდა? ასე ისიტყვა: „ნუცა დაუგებთ მარგალიტსა თქვენსა წინაშე ღორთა...“. ადამიანთა დაყოფას შემეცნებაში ძმა ლევანი ადარებს ადამიანთა დაყოფის ნაცისტურ თეორიას, რაც კიდევ ერთი გადამლაშებაა. ეზოთერიზმი რელიგიაში უთუოდ ადამიანთა დაყოფას გულისხმობს. იმის თქმა, რომ ქრისტეში ყველა თანასწორია, არ აუქმებს ეზოთერიზმს. ამის გარეშე რელიგია ვერ იქნება რელიგია. ეგზეგეტიკას ყველა ვერ გაიგებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი მოვაყივნოთ. ქრისტე ხალხთან მხოლოდ იგავებით უბნობს, თავის მოწაფეთ კი ცალკე განუმარტავდა (მარკ.4.34), მაგრამ მოწაფენი ვერ გულისყურობდნენ. მოძღვარი ამის გამო მათ ხშირად საყვედურობდა.

კაცთა გნოსტიკური დაყოფისა კი არა, ჩვენი დროის ლიბერალური დაყოფისა ვიკითხოთ. ათეული წელი მედიაკრატია ამტკიცებდა, რომ სწორედ მან, მსოფლიო პოლიტიკოსმა იცოდა დემოკრატიად წოდებული საკრალური ცოდნა, სწორედ შევარდნაძემ იცოდა რაღაც დიდი და შეუცნობელი, რაც არავინ იცოდა. აღმოჩნდა, რომ მან არაფერი იცოდა. ახლა სააკაშვილის შესახებ ირწმუნება მედიაკრატია ისეთივე ჟინითა და სიაფთრით, რომ სწორედ მან უწყის რეფორმებად წოდებული იდუმალი რამ. PR -მენეჯმენტი ყველას უმტკიცებს, რომ დემოკრატიასთან ნაზიარები ადამიანი უვიცთა შორის დიდად ირჩევა და ლიბერალიზმის ავგურთა სახელოვან დასს უერთდება. რაღა ლიბერალიზმი სცოდნია კაცს და რაღა

დაფარული სიწმინდენი. აი, ამას ამტკიცებს მედიაკრატია, რომელიც ახლანდელი დროის უბოროტესი მსმენელია.

და კიდევ ერთს გეტყვი, ძმაო ლევან, გულში ილეკროს სიმტკიცით რომ გამოგესახება და ფრიად გაგტანჯავს. შენ რომ გვერდით ამოგიდგეს რომელიღაც სალახანა და შენეულ სულიერ ნაღვაწთან შეზიარება მოგთხოვოს რჯულისმიერი ძმობის სახელით, ხომ აღშფოთდები, გააგდებ მას და ეტყვი - წადი, ვისაც აქამდე ეცინებოდი და ელაღებოდი, იმასთან იყავი. იგი თავად ხომ სულით საპყარია და სიბილწით შეალმაგებული. შენც წაგბილწავს, ძმაო ლევან. თავის ბარაში გაგიყვანს და უკმეხი მოპყრობით ნაღვაწსა და სათნოებას გაგიარაფრებს. თუ ეს სალახანა ხედავს, რომ შენ რჯულისათვის დაგითმენია, ღვთისათვის გიმუშაკნია, ის ნამუშაკარის გაყოფას უტიფრად მოგთხოვს, როგორც მოყვასი და თუ მას თვინიერად გაუყოფ, ვითომც არაფერი, ისე შეიქვიღიფებს. როდესმე მას გული გაუსარკდება შენი მართალყოფნით? ვითომ მამა-პაპურ წესს მისდევს და შენთვის რამე ემეტება, ძმაო ლევან. ქართული პურისტეხითა და მოსმურობით შეგსვრის და დაგაწყლულებს. სუფრით გაგიარმებს ყველა სიკეთეს. ჟუჟღიანი გულით იოხუნჯებს ეს ენაჭარტალა. შეგეთამამება და შეგესიტყვება. სუფრა მისთვის შურისგების ოლეთია. ვითომ შენი მოთაულია, ისე დაგიწყებს სოფლის ავან-ჩავანის სწავლებას, ვინძლო გაუვიდეს. პურზე და ღვინოზე უნდა დაუფურთხო მას და გულ-ბოყვი წიხლით გაუტანო. მესისხლედ ვექცევი მას და მივუგებ - თუ არ შეგიძლია კარგი იპატიო, შე ოხრიშვილო, რაღას ითხოვ? ეგდე, როგორც გდიხარ. შენს საფერაოდ შენივე ამყოლი მოსცდეს. მან უსმინოს შენს ცუდად მეტყველებას.

ამაზე კი კარგად ვერ გიფიქრია, ძმაო ლევან, და ამიტომ წაგიქანდა სიტყვა. ეს არის, თორემ ლიტონად იმის თქმა, რომ ყველა თანასწორია ქრისტეს წინაშე და კაცთა გნოსტიკოსთამებრ დაყოფა არაქრისტიანულია, ვერას ნათელჰყოფს.

აი, ამ სალახანამ, რომელსაც მთელი ჭკუა თვალებსა და ხახაში აქვს, იმის მეოთხედი გააკეთოს, რაც მე ღვთისათვის მიმოქალაქნია და მოყვასად მერე დამიდგეს გვერდით. ასეთ კაცს, ყველაფრის მიუხედავად, მოყვასურად ბევრზე ბევრ

შეღავათს რომ მისცემ და ქრისტესმიერი სიყვარულით მოეპყრობი, იგი მაინც დაგცინებს და ძვირს იტყვის. მე თუ საათნოება საღმრთო წიგნთამებრ შემისრულებია, შემეცნების და არა ოხერთაგან შექების გულისათვის, რატომ უნდა ვაიაფო ეს საათნოება იმ სალახანას გამო, რომელიც მეშურნეა ჩემი და ავისმყოფელი და რომელსაც ასე ჰაიჰარად ჩემს მოყვასს უწოდებენ?

თავად ამ მოყვასმა ანგარებით ზუზვივ რაღაც მომიგდოს და ჩემგან კი სიმწრით მოპოვებული პატიოსანი თვალი ბისტის ფასად წაიღოს? ამ მოყვასს რახან სადღაც სანთელი დაუნთია, რჯულით უნდა განმიკითხოს და მამხილოს? ის სხვებს ასწავლის რა ჰხამს და რა არა ჰხამს. სააქაოსი ვერაფერი გაუგია და საიქიოსას უბნობს.

დიდად რომ დაგეთმინა და მოყვასისათვის მიუტევებელი მიგეტევებინა, ძმაო ლევან, განა შენდა თავად ასე არ იტყოდი? ასეთმა მოყვასმა თუნდაც მდღევრად იაროს საყდარში, ამით რა, ან ღმერთს, ან კაცს?

ძმაო ლევან, ვფიქრობ, ყველგან გინახავს კაცი, აკმეს რომ კარგა შორს გასცდება და თავისი ზნით ისევ ის მაცაცერაა. ასეთი კაცები ეროვნული მოძრაობის დროიდან შეუსვენებლივ ლაპარაკობენ ღმერთსა და დემოკრატიაზე, სამშობლოსა და სინდისზე. ფინთნი და უშვერნი ასწავლიან, თუ რა ჰგიებს კაცის სულისათვის ცუდად.

მე ვიჯანყებ და დიდი მკრეხელი ვიქნები იმის გამო, რომ სიყვარულის სახელით სურთ უწიფთა, ბრიყვთა და უნიათოთა მარაქაში გამრიონ. ღვთის გმობას ვიტყვი იმის გამო, რომ ჩემს ნამუშაკარს მცონარენი და თაღლითნი მოყვასურად შემოეხვეწებიან. ასეთი მოყვასი ძაღლთუმრავლესია.

რაც ჩემი არაა, იმას მაძლევდნენ და რაც ჩემია, იმას მართმევდნენ, სხვას აძლევდნენ ღმერთისა და სამშობლოს სახელით. აი, ამიტომ ვიდავებ ღმერთთან და მოყვასს მოლალედ ვექცევი მისი უსინდისობის გამო.

რა გულითაც ჩემს მოყვასს ვიძმობ, ის მიძმობს? ესაა საკითხავი, ძმაო ლევან, თორემ საკურთხეველთან მისვლა და სანთლის დანთება არავისგან არას მოითხოვს. ტაძრად მისვლა ყველას ძალუძს. ეს ჩანს და ამას ყველგან რჯულიერების დას-

ტურად წარმოაჩენენ. ბევრეულნი მივლენ ტაძრად, ხატებსაც ეახლებიან, მაგრამ გულხენეშნი და უნდობარნი, ძაღლნი ძაღლთაგანნი არიან. არც ისეა, რომ მღვდელი მთელი ცხოვრება ლიტანიობს, ილოცვის, იმარხვის და მხოლოდ ამის გამო სასუფეველში დაემკვიდრება.

ვინც თავისი თავი იმეცნა, მისგან ძნელია მოითხოვო მოყვასისადმი სიყვარული. არა სჯულის მამათა გამჩვენედ მალი-მალ ხმობით, არამედ შეშლილობამდე მისული მდუმარე ღვაწლისმძღეობითა და დათმენით აღიდგინება სულის სახილველნი. საკუთარ თავში შუქმოიეფე ტაძრის განქმნა ხილულ ტაძრად ყოფნაზე უმეტესია. გულის ტაძრის ძალითაა, რომ კაცი ყველგან შინ არის და მაინც ყველგან მიუსაფარია, სახლს ეძიებს. ერთდროულად დიდი სიხარულისა და მწუხრის მომტანი ცეცხლის მნათობი აღჩნდება მოკვდავში და მწველ უდაბნოს შობს მასში. ცეცხლოვანი იქნება კაცის საგონისი. ასეთ მოცნებაში ყოფნა მადლიც არის და წყევლაც. ასეთი წყევლის თავისი ნებით ტვირთვა მცირეთ ძალუძთ. აი, მაშინ იუბნებს კაცი - ჩემი სულის უდაბნო მირჩევნია შენს ბაღებს, უფალო. არა მსურს მე მტილნი და სამოთხენი, არცა სხვათათვის სანუკველ წალკოტებს ვესწრაფვი. ღმერთი და უდაბნო, უდაბნო და ღმერთი. ცეცხლი მსურს და არა ჰამო ჩრდილოვანნი და სიჩჩო შვებისათვის. რაღა ნუგეშია საბაღნარონი ზეცისა?

კაცნი საკუთარი სულის ძალოვანებისა და სიღრმის მიხედვით სხავადსხვაგვარად განმარტავენ დაუსაბამ მიწყივ ერთს და ამის გამო განიწვალებიან ურთიერთისაგან რჯულნი და სწავლებანი.

თავისი სამსჯავროს წინადღით იესუმ თქვა, რომ სურს ძმათაგან უმცირესში მას ხედავდნენ (მათე 25.40,45). მასვე მიეწერება არაკანონიკური გამონათქვამი: „ვინც თავის ძმას ხედავს, ღმერთს ხედავს“. ჭეშმარიტად ასე ჰხამს, მაგრამ ძმათაგან უმცირესი თუ მხედავს მე? ქრისტესმიერი სიყვარული მოყვასის მიმართ როგორ შეიძლება იყოს სამართლიანი? ისიც ნათქვამია - დღეში შვიდჯერ რომ შეგცოდოს შენმა ძმამ და შვიდჯერვე მოიქცეს სინანულით, მიუტევე (ლუკ.17.4). მაგრამ ღვაწლში დგომის ვერშემძლე მდაბალთათვის ასეთი მიტევება

მათი სიმდაბლის მუდმივი ალიბია.

წერილიდან ისიც შეგვიტყვია, რომ სულგრძელი კაცი მამაცს სჯობია, საკუთარი თავის ხელმწიფე კი - ქალაქის ამღებს (იგავ.16.32). მაგრამ მხოლოდ ქალაქის აღების შემდეგ შეიცნობს კაცი, რომ სულგრძელობა მამაცობაზე უმეტესია. ესეც ამა სოფლის სიბრძნეა.

რამდენის მიტევება და დათმობა უწევს დამაშვრალ მოძღვარს, რომ ბრბოი მძვინვარე და მხდალი მრევლად შეინარჩუნოს. თუ ქრისტეს გულისათვის ამდენი მიეტევება, ასე რჯული წახდება. თუ ადამიანს ეწოდება ქრისტიანი, ეს არ ნიშნავს, რომ მას შეუძლია ქრისტეს ვნებათაგან უმცირესი დაითმინოს. ყოველთვის უნდა იყვნენ რჩეულნი, ვინც დაითმენს და იუწყებს, ვისი გულიც დარდით იქნება მოცული. ეს კარგად იცოდნენ იეზუიტებმა. არა ყოველმა შეიძლოს ის, რაც პავლე მოციქულმა ასწავლა: „მობაძავ ჩემდა იყვენით, ვითარცა მე ქრისტესი“. მაგრამ პავლე რომ ნიცშეს დარად გაკილო და მოაყივნო, ქრისტეს სიტყვა ნიცშესებრ უნდა იგზნო და ივნო.

ეს დღესაა, რომ ადამიანები თავს ქრისტიანებად მიიჩნევენ და ამით ზვაობენ, მაგრამ რომელიმე მათგანი თუ გაჰყვებოდა მის სიცოცხლეში იმას, ვინც თქვა : „დაივიწყე თავი შენი და აღიღე ჯვარი ჩემი“? რომელიმე მათგანი თუ შეაშველებდა ხელს ჯვრის ზიდვაში მას, ვინც თავს ღვთის ძედ აცხადებდა? აი, ასეთი მზვაობარნი დღეს ლიბერალობენ, რევოლუციონიზმის ეპოქას რჯულით განსჯიან. ისინი ვითომ სატანას გაუგულისდნენ და პირზე ოფლგადამდინარენი წყევლიან მას. მე მათ კვლავ ვკითხავ: რომელიმე თქვენთაგანი 1905-07 წლებში, უფრო წინ და უფრო გვიან ეკლესიას დაიცავდა თუ რევოლუციონერი და ანტიმონარქისტი გახდებოდა? საბრალონო, რა უწყით თქვენ ან რჯულისა და ან რევოლუციისა? ვინ ხართ, რომ სატანის ძრახვაში ასე გარჯილხართ? ლიბერალიზმის მადევრობამ გაგხადათ თქვენ ასეთ მგზნებარე ქრისტიანებად და სატანის მსაჯულებად? ისემც თქვენ რა გითხარით. ცუდად გარჯილხართ და ფუჭად გიუბნიათ. ბზე გიგროვებიათ და ბაჯაღლოდ გისაღებიათ. სატანის ლალვითა და კილვით არ იღლებით, ქაჯური სახიერებისანი კი ხართ. ქაჯებს ესავთ და შეჰფრფინვით. საიგავოდ დაგცინათ განგებამ და გაგიცუდათ

განსჯა. ველარაფერი გიღონიათ, ასე კანთიელად ორყაბაზობთ, უშვერი სულთქმით გათანგულთ ხატი და ჯვარი თქვენივე უმსჯავროების დარაჯად დაგიყენებიათ.

რჯული ყოვლისმომცველი და განუწილველია, ამიტომ ერთგან რომ სცემ, სხვაგან ხვდება. ვინ უნდა იტვირთოს და გააგრძელოს ბიზანტიზმის მოღვაწეობა რუსეთის წახდომის შემდეგ? თუ ეს სიძნელე ვერ გიცვნიათ, რაღა ქრისტიანები ხართ? თუ რჯული დღეს მხოლოდ სუვერენიტეტის დაცვას ემსახურება, მაშინ რაღა აქვს უნივერსალური მართლმადიდებლობას? დამოუკიდებლობის სახელით სამშობლო ავაზაკთა ხელშეუხებელ საბუნაგედ გიქცევიათ და ტაშ-ფანდურობთ.

დავუბრუნდეთ ზღაპარს. „ჰარი პოტერში“ შრომით დასჯა'ხეა ლაპარაკი და ძმა ლევანი ამას ზღაპრის მკითხველ მოზარდთა ცდუნებას უკავშირებს. ბავშვები შრომაზე უარს იტყვიანო ამ ზღაპრის გავლენით. „ჰარი პოტერის“ ამ პასაუს ძმა ლევანი უპირისპირებს ამონარიდებს საღვთო წერილიდან.

შრომის საკითხის გააზრება ისევ და ისევ შესაქმის კეთილგანზრახულობის პრობლემას, შესაბამისად, გნოსტიციზმისა და ქრისტიანობის პაექრობას უკავშირდება. შრომის შესახებ ქრისტიანობაში არაერთგვაროვანი აზრი იყო. წერილიდან ვიცით, რომ ადამი შრომით დაიწყევლა. ადრეული ქრისტიანობისათვის დამახასიათებელი თებაიდის მასობრივი განდეგილობა ამ წყევლისაგან თავის დახსნას ისახავდა მიზნად. შრომის საკითხის საღვთისმეტყველო ექსტრემიზაციამ წარმოშვა პროტესტანტიზმი. მასთან შედარებით, შრომის მეშვეობით სამყაროს რაციონალურ მოწყობას კათოლიციზმში, ისევე როგორც მართლმადიდებლობაში, ნაკლები ყურადღება ექცეოდა. კალვინის მიერ ითქვა, რომ ადამიანი შრომით უნდა ცდილობდეს ღვთის მადლის მოპოვებას. ამ პროტესტანტულმა თეოლოგემამ მოგვიანოდ სეკულარული სახე მიიღო ფრანგულ განმანათლებლობაში. შრომის შესახებ ასეთი რამ არ უთქვამთ რეფორმაციასთან მებრძოლ იეზუიტებს და კათოლიკე ღვთისმეტყველებს. იცოდნენ, რატომ არ უნდა ეთქვათ.

ასევე გადამეტებულია ძმა ლევანის შეშფოთება იმის გამო, რომ „ჰარი პოტერში“ ერთგან ნიუ-ეიჯიდან აღებული სულთა

გადასახლების იდეაა ნაგულისხმევი. ძნელად სარწმუნოა, რომ ამ ზღაპრის გავლენით ადამიანები ურთიერთგარდასხეულების იდეას მიემხრობიან და ნიუ-ეიჯს გამოეკიდებიან. ქრისტესი და მოციქულებისა რა იციან, რომ სულთა გადასახლებაზე იფიქრონ? ძმა ლევანი ლაპარაკობს ზღაპრის ავტორის ფარულ მცდელობაზე, რომ მკითხველს შეაპაროს სულთა მრავალჯერადი გადასახლების რწმენა. ეს უფრო პუბლიცისტური ინტრიგაა. ვთქვათ, ირწმუნა რამდენიმე ასეულმა კაცმა რეინკარნაციის მოძღვრება, როგორც სწამთ ქართველ ვიშნუიტებს. ეს ავნებს რჯულს და უფრო მრავალთა მიერ ქრისტიანად თავის გასაღება და რჯულში დიდი ცუღლუტობა კი არა?

თუ ეს არის ჯოან როულინგის ფარული მცდელობა, ძმაო ლევან, მაშინ ბუდისტური წელთაღრიცხვის სიმბოლოთა კომერციალიზებაზე რაღას იტყვით? მერამდენე წელია საქართველოში ყოველი ახალი წლის დადგომაზე გასაყიდად გამოაქვთ გველის, ცხენის, მაიმუნის, ძაღლის, ღორის, ვირთხის და ა.შ. ნაკეთობანი. საამო მოსასმენია, რომ ბუდას დაძახილზე მასთან მივიდნენ ხარი, ვეფხვი, ცხენი , დრაკონი. მაგრამ ღორი, ვირთხა და მაიმუნიც მივიდნენ ბუდასთან. ეს კი უსიამო რამ არის.

იწერება პროგნოზები, თუ როგორი იქნება ამა თუ იმ ცხოველის ნიშნით აღბეჭდილი წელი. რჯულში მდგომი მეტანიობდეს, წყალკურთხევისათვის და მარხვისათვის ემზადებოდეს, მას კი ერთიმეორეზე ყიამყრალი ათობით გაზეთი ფამილარულად ემასლაათებოდეს ვირთხის წელზე ან იმაზე, თუ როგორი ზნე და ბუნება აქვთ ღორის ან მაიმუნის წელს დაბადებულ ადამიანებს. ძმა ირაკლის მხოლოდ ზღაპრის მხილებისას ახსენდება, რომ „ვირთხა სასტიკად უსიმპათიო ცხოველია (ასევე ბაყაყიც)“.

მრავალი გაზეთი დიდი ხალისით მუსაიფობს კარმულ კანონზე, რაც მეტემფსიქოზისს გულისხმობს, მაგრამ ღუმს იმაზე, რომ ეს არაქრისტიანულია. მთავარია, გაზეთის გვერდები ფამილარული ზრუნვით შეივსოს. პერიოდულ გამოცემებსა და ტელეარხებს აქვთ მუდმივი რუბრიკა რჯულის მცნებათა შესახებ და იქვე ვარსკვლავთმჩხრეკელობაზეა საუბარი, ჰორისკოპებს ადგენენ, რომელთა წაკითხვაზე შეუძლებელია

ირონიით არ აღივსო. არა მხოლოდ ცოიმილთა მისანნი, არამედ ჟურნალისტები, პუბლიცისტები ბაასობენ გატაცებით ჩვენი ეონის დასასრულზე, აურასა და კუნდალინიზე, ელემენტალსა და ეგრეგორზე, გრაალსა და არკანებზე, სატანასა და უფალზე.

ასე იქმნებოდა 1989-91 წლებში ახლადნაბარტყები მედიაკრატიის მიერ რელიგიისა და სულიერებისაკენ შემობრუნების მოჩვენებითობა „სატანური ათეიზმის“ უარყოფის შემდეგ. იმ დროის ყალთაბანდური და არტისტული, ღვარძლიანი სულისკვეთების დავიწყება ასე ადვილად არ ეგების. იმ დროიდან აიწყვიტა თავი მედიაკრატიამ და ყოველთა მსაჯულად დაჯდა. აღმოჩნდა, რომ ეს განსჯანი ღირს მამებზე, წარმართთა მიერ ქრისტიანთა დევნაზე, წამხდართა ფლიდური შურისგება და ქალალდის აბჯრის ულარუნი იყო. ჯანდაბად და დოზანად იქცა მთელი ეს საუბრები ეონებსა და ცრუქრისტეების მოსვლაზე. რელიგიური არტისტობა მალე მოიწყინა მედიაკრატიამ და 1992 წლიდან ის სიძვის მოციქულად იქცა. აიღე, ძმაო ლევან, იმ დროის გაზეთები. რა ბაყლი, რა სიგიჟე, რა ცინცხალი მატრაბაზობაა მათში. ამ საგაზეთო ჰარი პოტერობით გააშტერეს და გააბრიყვეს ქვეყანა. გაზეთში დახატული ძუძუ და უკანალი ადამიანის განთავისუფლების ნიშნად მიიჩნიეს. თურმე ადრე ამას ბოლშევიკური ტოტალიტარიზმი კრძალავდა. სოფლის ნათლიად იქცა ქართველი და ყველას დიდად მოეწონა ეს ხელობა. მაგრამ ამ ხელობას რომ ჭკუა არ უნდა, იმიტომ დახვავდა ამდენი მთხლე ნამსჯელ-ნაკალმევი, ქაჯური წესი და თარგვა. ნაყიში მირონად და ღვთის წყალობად წარმოჩინდა. არ დაარჩინეს არაფერი წაუხდენელი. ცოდვის მყვარი ამბიონიდან ბრძნობდა. შეეკვეთა ქვეყანა უწმინდურებას და სულ უფრო ამრავლა იგი. სულ იყვედრებოდნენ, სადაც არ პხამდა, იქ აბნიეს ორჭოფობა. არა მწვალებლებმა, მასონებმა, სატანისტებმა და სხვებმა, არამედ ცხოვრებამ და მასში გამოვლენილმა განგების ძალამ გალახა ერი და ბერი. მაინც იხტიბარს არ იტეხენ და თავს იაბდლებენ. არ გატყდა ქართველი და ისევ ის მეცრუე დარჩა. ცუღლუტურად ითქმის, რომ ჭირსა შიგან გამაგრება ასე უნდა ვით ქვითკირსაო. ქირის მამულიშვილთა მოქენეობა გრძელდება. შურით ეწამება ეს

ბორგნეული და გათანგული ქვეყანა. ვერ იუნჯა მან უნჯი და საუნჯეთა ფლობაზე კი სიტყვობს. ერის ღვთივრჩეულობაზე ბჭობდნენ, რათა გაუტანელ მოდგმაში ურთიერთობების მოჩვენებითობა ყოფილიყო. თავიდანვე პირი უშალეს რჯულს.

ძმაო ლევან, 'შენი მსჯელობის მიხედვით, სადაც სულთა გადასახლების იდეაა ნახსენები, ის თხზულება და მოძღვრება უნდა მოითხაროს. მაგრამ თვით ქრისტიანობის ისტორია საპირისპიროს გვასწავლის.

რა არის შესაპარები სულთა გადასახლების იდეაში? ჰო, ისეთი ნდობა და ურთიერთობებია ქართველთა შორის, რომ დასხდებიან და განბჭობენ პლატონი უფრო სწორია თუ ავგუსტინე, ნეოპლატონისტი პროკლე თუ მაქსიმე აღმსარებელი. ევროპულ სქოლასტიკაში რომ მეტემფსიქოზისის მქადაგებელ პლატონს უტიეს გზა, ამით რა წახდა? იოანე პეტრიწის დროს, კავკასიის ქართულ იმპერიაში ნეოპლატონიზმის თარგმანება გაცილებით მაღლა იდგა, ვიდრე იმ დროის ევროპაში.

ღმერთი რატომ არ გაუწყრა, ძმაო ლევან, მათ, ვინც ქრისტიანობაში პლატონი შემოიტანა? ღვთისმეტყველებას კი დია თასლიბი გაუწიეს პლატონმა, პლოტინმა და პროკლემ.

ლიბერალური პოლიტიკური კონიუნქტურის გავლენით ძმა ლევანი მსჯელობს, რომ „ჯადოქრების სამყაროსათვის, რეალურად არსებული სახელმწიფოებიდან, ყველაზე უფრო ახლობელი ფაშისტური თუ კომუნისტური რეჟიმის მქონე ქვეყნები აღმოჩნდნენ.“ აქ ძმა ლევანს მრავალთა მსგავსად, კვლავ მიაჩნია, რომ ლიბერალ-დემოკრატიზმი ჭეშმარიტად თავისუფლების მცველი წყობილებაა, რომ ის არაა და არ შეიძლება იყოს ტოტალიტარული.

ეკლესიის ავტორიტეტით განმტკიცებულ მონარქიაზე უფრო ტოტალიტარული სისტემა არის სადმე, ძმაო ლევან? ნებისმიერი საეკლესიო და ასევე რაციონალურ განსჯაზე აგებული საერო ორგანიზაცია ტოტალიტარულია და ეყრდნობა ებგურობასა და მეთვალეობას.

ტოტალური ორგანიზაციის ნიმუშია საგიუეთი და მილოშ ფორმანის ცნობილი ფილმი, გავრცელებული აზრის თანახმად, მიზნად ისახავდა საბჭოთა სისტემის მხილებას, რასაც მე გადაჭრით არ დავეთანხმები. ეს ფილმი („ვიღაცამ გუგულის

ბუდეს გადაუფრინა“) არა მხოლოდ საბჭოთა, არამედ ნებისმიერი რაციონალური ორგანიზაციის უნიფორმულ და რეპრესიულ ხასიათს წარმოაჩენს. დანარჩენი კი ამ ფილმში არის შეურიგებელი და მოჯანყე ადამიანის ძველისძველი და ათასგზის გადაღეჭილი თემის კარგი კინემატოგრაფიული იმპროვიზაცია.

გაუშვან ახლა ფორმანის ეს ფილმი, როგორც გადიოდა წინა საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში აჟიოტაჟის თანხლებით, და ის იქნება თანამედროვე ნეოკონსერვატიზმის, საბაზრო ტოტალიტარიზმისა და გლობალიზმის კრიტიკა. მაგრამ კინომცოდნენი, ასევე ტელეეკრანს გამოკერებული მატაროცი ტიპშები რომ ხმაჩაკმენდილნი იქნებიან, ამას კამათი არ სჭირდება.

ტოტალური ორგანიზაციის ნიმუშია საარმიო სტრუქტურა, სასპორტო კლუბი, სატუსაღო, მასონური ლოჟა, კიბუცი, ბერების სავანე, განსაკუთრებით იეზუიტთა ორდენი და საბავშვო პაღიც კი.

ასე არ არის, რომ კაცმა თან ილიბერალოს, ბოლშევიზმისა და მთლიანად რევოლუციონიზმის გმობას გული შეაყოლოს, სატელევიზიო ჭრელა-ჭრულებით თავი შეიქციოს, მრავალპარტიულ არჩევნებზე ეთრიოს და თან მართლმადიდებლობის ტოტალიტარულ პრინციპებს იცავდეს. ამ სიძნელის გააზრება არ ხდება. ეკლესია გაურბის ამ მეტად საჭირბოროტო საკითხს, საერონი კი თავს აჩვენებენ, რომ ყველაფერი სწორედ ისე უნდა იყოს, როგორც არის. ასეთი მსჯელობით ისინი სინამდვილეს კრიტიკის მიღმა აყენებენ. მათი აზრით, ჯერარსულობა და არსებული ერთია, შესაბამისად, კრიტიკისათვის არაფერი რჩება. თეოლოგია როგორ არის შესაძლებელი პოსტსაბჭოთა მრავალწლიანი გაპარტახების შემდეგ?

ძმა ირაკლი გაწბილებას გამოთქვამს, რომ როულინგის ზღაპარი არაფერი თაბაუთია, რეკლამა კი მას ძალზე აქებდა. მაგრამ დასავლეთში თუ იტაცებენ და სულმოუთქმელად კითხულობენ ამ ზღაპარს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იქ ბრიყვნი არიან. ზღაპრისა კი არა, არამედ ისაა საკითხავი, თუ როგორ ქმნის ქართველისაგან განსხვავებული სულიერი წყობის უცხოელი სიმდიდრეს? ქართველობა სულ სხვისი ავ-კარგის

გარჩევაშია და ეს კარგადაც გამოსდის, მაგრამ ვის რაში არგია ეს ჭკოსნობა და კულტურულობა? სიყმილის აჩრდილი ვერ მოუშორებია ქვეყანას. რატომ ვერ ქმნის სიმკოდვეში მყოფი ქართველი დოვლათს? კი, ეცინებათ დასავლური გართობის ინდუსტრიის პრიმიტივიზმზე, მაგრამ ეს სულაც არაა წანამძღვარი რაიმე იდეური წამოწყებისათვის. სიმდიდრე ჰქონდა საქართველოს და ვერ იპატია. თეთრის მორეწას ქართველი ჭკუიდან გადაჰყავს და წერას ატანილს ცხოვრება თავისი ჰგონია. ქარის მოტანილივითაა ქართველთა სიმდიდრე. ერთ ადგილზე ვერ ჩერდება. რაც არის, ისიც ნაარმალია და ნაჯალათარი, რომელსაც გულმოდგინედ დარაჯობენ, რომ ისიც არ განქარდეს.

როგორია, დაწერა სკოლის მასწავლებელმა ქალმა ზღაპარი და მულტიმილიონერი გახდა. დაწერა უნივერსიტეტის პროფესორმა ჯონ ტოლკინმა ზღაპარი და სახელი გაითქვა მსოფლიოში. არ უკვირთ ეს ინგლისში. სიმდიდრეს ნაჩვევი ხალხია და სიმდიდრე მათ არის შეჩვეული. სულ მათ კარსეა ბარაქა. საქართველოში კი „კუტოკის“ მწერალი რომ ბელეტრისტულ ჯამბაზობას შეთხზავს, მის ქებას ვერ რჩებიან. ცუდმეტყველთ კიდევ ჰყოფნით იმდენი თავხედობა, რომ უცხოელნი დაუნდობლად გაქირდონ. თავად აზროვნების სიმკაცრისა ეშინიათ, უცხოთ კი სიმქისითა და გულმოწყეობით განსჯიან. ქართველისათვის რომ ყველაფერი შეურაცხი არის, იმიტომაა უაზრობა ასე დაუძლეველი ქვეყანაში. ისინი, ვისი ხელობაც ყველაფრის გაარაფრებაა, თავად არაფერნი არიან. არაფრობის ყველაფრობა და ყველაფრობის არაფრობა.

ინგლისსა და მთლიანად ევროპაში კი შრომის დაფასება იციან. მაღალი ლიტერატურის ყადრიც კარგად უწყიან და იმისიც, რასაც fantasy და მეზღაპრეობა ჰქვია. ქართველთა ცხოვრება კი ჰარი პოტერობა იყო და არის. ჯერ სად იყო როულინგი, რომ „ჰარი პოტერზე„ მრავალჯერ აღმატებული ჰარი პოტერობა საქართველოში იწერებოდა. ქართული სინამდვილეა ძირშივე დემონიზებული. ზედაპირზე კი პროფანაციული წრედები იცვლებიან. ვოლდემორტები და დამბლდორები აქ არიან. ჩართე ტელევიზორი, გადი ქუჩაში, შედი ნებისმიერ დაწესებულებაში, ძმაო ლევან, და მათ სიმ-

რავლეს იხილავ. რეფორმატორი ჰარი პოტერები და ჰერმიონებიც იკლებენ ქვეყანას.

საკანას გაფიქრებული არა აქვს, ქართველებმა კი უკვე უწყიან ამის შესახებ. ყველაფერი რომ იციან, ის ხალხია ქართველები და მაინც ყველაფერი თავზე ემხობათ. რატომ? მადლსა და წყალობაზე ერისმთავარნი სიტყვობენ, მადლი კი ვერ უპოვია ერს უფლის თვალში. ერისმთავარნი თავგამოდებით იმასაც ამტკიცებენ, რომ ყველაფერი რაციონალურად შეიძლება შევიმეცნოთ, ყველაფრის დაგეგმვა და გამოთვლა შესაძლებელია, ყველაფრის PR-იზაცია მისაწვდომია. ეს უპირველეს მიზნად ისახავს საკუთარი საშვილიშვილო სიგლახ-ის მიფუჩეჩებას რაციონალურ განსჯათა (ლიბერალური რეფორმები, საბაზრო ეკონომიკა და ა.შ.) მეშვეობით. ამავე დროს ასგზის ხელნაცარავი ქართველი სწორედ ამ საქმეში მოითხოვს ღმერთისაგან მეოხებასა და შემწეობას. ოღონდ წარ-სულის ნაარმალი როგორმე გაბათილდეს რაციონალური გაიმასქნებითა და ხიმანკლობით. ქართველი ამ მიზნით ღმერთსაც თავისი უგვანი სინამდვილის მსახურად აქცევს, ვინძლო ამ მსახურმა მაინც შეძლოს ესოდენი მწიკვლოვანების მოშორება.

ბნელი ასწლეულებიდან კი კვლავ და კვლავ გამოტყვრებიან წარსულის ერთიმეორეზე საზარელი აჩრდილები, რომელთა მოშთობა ზემოაღნიშნული ფანდით ვერ ხერხდება.

სიღატაკემ დიდი ძალა უყო ქვეყანას, ჭირი და ვაგლახი დაეკვება მას. განგებისაგან ასეთ განპატიჟებას არავინ ელოდა. რამდენიც გააგორეს კოჭი, სულ თაფი და თაფი ამოვიდა.

ანგია წინასწარმეტყველის წიგნში ნათქვამია: „ბევრის მოლოდინი გაქვთ, მაგრამ მცირედი გისრულდებათ; რაც სახლში მიგაქვთ, იმასაც ვანიავებ, რატომ? ამბობს ცაბაოთ უფალი. იმიტომ, რომ მიგდებულია ჩემი სახლი, თქვენ კი ყვე-ლანი თქვენს სახლებზე ზრუნავთ“(1.9).

თენგიზ აბულაძის ფილმი „მონანიება“, ვფიქრობ, გახსოვს, ძმაო ლევან. ისიც XX საუკუნის 90-იანი წლების ქართული ჰარი პოტერობის ნაწილი იყო. რა სინდის-ნამუსობა აუტყდა ყველას. ვითომ რჯულით განსჯიდნენ ვარლამსა და აბელს. ქართველის ფარული გულისთქმა კი ვარლამად ყოფნა იყო. ეს

მალევე ერთობ კანთიელად წარმოჩინდა. პოსტბოლშევიკური პერიოდის საქართველოში აოწლეულზე მეტი ხნის მანძილზე ვარლამ-აბელობა იყო. ქართულ სინამდვილეში თორნიკე თავის მამას არ დასტაკებია და თავი არ მოუკლავს. თორნიკეს მამამ ეროვნული მოძრაობა მოაშთო. აბელი და თორნიკე დემოკრატიულ ლიდერებად იქცნენ და გაზეთებს ბოლშევიკების ძაგებით იკლებდნენ. თორნიკე ეროვნულ მოძრაობას შორიდან უცქერდა. დღეს თორნიკე დეპუტატია ან მინისტრი. აბელიც თავის ძესთან არის. მამა-შვილი დიდ ვარლამს მიაგებენ პატივს.

აქაც განგებამ არაადამიანურად დასცინა ქართველობას. საბჭოთა ბანაკის ხალხებიდან სწორედ ქართველებს უნდა გადაეღოთ ასეთი ფილმი და სწორედ ქართველებს უნდა მოეხდინათ ის 1991-92 წლებში, რაც სხვას არავის მოუხდენია.

ფილმის პათოსიდან და ასევე ქართული მორალიზმიდან გამომდინარე, უნდა შექმნილიყო „მონანიება-2“, „მონანიება-3“, „მონანიება-4“. 1989 წლიდან დღემდე საქართველოში ავაზაკობის კონცენტრირება ხდება, მაგრამ არავინ ინანიებს და არც ფილმი „მონანიება“ იწვევს კამათს და ნამსჯელის გადახედვას. ძმაო ლევან, არ გაფიქრებს, რა ხდება დღეს მათ სულებში, ვინც 1991-92 წლებში გამსახურდიას გაქირდვას დღისით არ კმარობდა, ღამით დადიოდა თბილისის ქუჩებში და მას უშვერი პირით აგინებდა? რას იქმიან ის კაცები და ქალები, რომელნიც ცოდვის სიმძიმისაგან თავის დახსნას ქალაქის ანონიმურ მასაში დაკარგვით ლამობენ?

1991-92 წლების შემდეგ ქართული კულტურა მისი დეკლარაციებითა და რელიგიური აპელაციებით არის თაღლითობა. ეს და შემდგომი წლები არის უახლესი დროის ანთროპოლოგიური კატასტროფა საქართველოში. ამ ჩიტის ბუდისოდენა ქვეყანაში ადამიანები ასე უცხონი და შორებელნი არიან ერთმანეთისათვის. თავის ქვეყანაში ქართველი ცხვირწინ ბუსს არ აიფრენს, უცხოეთში მყოფი კი, ის მოქენე და მონაა.

დიდი მოსახევი კალენდარია ქვეყნის ცხოვრება. ერთიმეორეზე მყვირალა და აჭრელებული ფურცლები ერთმანეთს მისდევენ. ირწმუნებიან, რომ სწორედ დღეს, აი, ამ ფურცელზე არის ის, რაც არსად არის. ასე მისდევს

ერთმანეთს სიცრუისა და სირცხვილის დღეები და წლები.

კინოში და თეატრის სცენაზე ახსენდებათ ის სინდისი, რომელიც ცხოვრებაში არა აქვთ. ფილმი „მონანიება“ უდიდესი რესენტიმენტულობის გამომხატველი შედევრია. საქართველოში მსახიობი და მოაზროვნე ერთ სიმაღლეზე დააყენეს. ამიტომ იყო, რომ სამოქალაქო ომის წინ და შემდეგ კინოსა და თეატრის მსახიობთა პოლიტიკური გამოსვლები უკამათოდ მიიჩნეოდა აზროვნების ნიმუშებად. ფილმი „მონანიება“ ბოლშევიზმის მანამდე არნახულ მხილებად იქნა გაგებული მთელ საბჭოთა ბანაკში. ქართულმა სინამდვილემ კი ეს ფილმი ქართველთავე დიდ მხილებად და დაცინვად გადააქცია. რაც ღმერთისა ეგონათ, ეშმაკისა გამოდგა.

ძმა ლევანი ამბობს, რომ ეშმაკმა ადამიანი თავის არარსებობაში დაარწმუნა. თუ ეს ასეა, მაშინ ადამიანმა ღმერთზე რა უნდა იფიქროს? ეს გავრცელებული გამოთქმაა და ეშმაკის ასეთი ოინის შესახებ თვით დასავლურ კინოფილმებში პერსონაჟები ლაპარაკობენ ექსპრესიული დიალოგების შექმნის და არა სხვა რამ მიზნით. ფილმებში ეშმაკიც და ღმერთიც გაშარჟებულნი არიან.

დასავლეთი ქმნის ასეთ ფილმებს და არავინ სხვა. ინდუსთა რელიგია დემონებითაა სავსე, მაგრამ ასეთ ფილმებს იქ არ იღებენ. დასავლეთში განიცდიან ღვთისაგან კაცის მიტოვებულობასა და სამყაროს ღმერთსმოკლებულობას. ეს უმძიმესი საკითხი წარმოიშვა სწორედ ევროპულ კულტურაში. ის არის ქრისტიანული და ბოგომილურ-ალბიგოური პაექრობის გაგრძელება და გამოძახილი. ფილმებით ხდება იმ ძველი, მძიმე საფიქრალის აშლა შესაქმის დასაბამის შესახებ, რომლის ქრისტიანულ გადაწყვეტასაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებმა სისხლიანი ძალისხმევა მოახმარეს. თუ კაცთა საცხოვრისი ღმერთსმოკლებულია, ნიშნავს თუ არა ეს, რომ იგი ეშმაკსმოკლებულიცაა? ღმერთსმოკლებულობა ახლანდელ ჟამს უნდა გავიგოთ მხოლოდ ფილოსოფიურად და ელინურად, თუ ის უნდა გავიგოთ ქრისტიანულადაც და გნოსტიკურადაც?

თუ ადამიანი სათნოების გამო უფრო მეტად იგვემება და ევნება, ვიდრე მზაკვრობის გამო, მაშინ როგორ უნდა დაშთეს ის სათნოდ ისე, რომ არ შეეჭვდეს ღვთის სამართალში?

კინომისტიკისა და სოტერიოლოგიური სიუჟეტების ასეთი მოძალება დასავლეთში არის ფაუსტური ადამიანის კაეშანი ღვთის გამო. ოღონდ იგი კინოხელოვნებაში შებრუნებული სახით ვლინდება - ეშმაკი მაინც ვიხილოთ, თუ ღმერთს ვერ ვიხილავთ. ამ მისწრაფებაში ეშმაკიც ღმერთადაა ნაგულისხმები. ამის გამო მნიშვნელობას კარგავს ის, რომ ფილმებში ბოროტება ბოლოს მაინც მარცხდება. საინტერესოა, რამდენად გააზრებული აქვთ ეს ვითარება ჰოლივუდის კინორეჟისორებსა და მსახიობებს.

ერთი კია, რომ ეს ვითარება არის რაციონალიზმის დიდი კრიზისის ერთ-ერთი გამოხატულება. თავად განსაჯე, ძმაო ლევან, საკომუნიკაციო საშუალებათა ფანტასტიკური განვითარება ბოლო 10 წლის მანძილზე არ იწვევს იმ აღტაცებას, ახალი ერის დადგომის იმ განცდას, რაც იყო XX საუკუნის პირველ ნახევარში. უახლოეს მომავალში ნანოტექნოლოგიების კონვეიერული წარმოება იგეგმება, მაგრამ აღარაა ის ენთუზიაზმი, რაც მეცნიერების ახალ-ახალ აღმოჩენებს უკავშირდებოდა. აღარ არის მეცნიერული მესიანიზმი და აღტყინება გონების მონაპოვართა გამო.

ადამიანი დემონურ სამყაროთა ტექნიკური, კინემატოგრაფიული ვიზუალიზაციით იამებს კაეშანს ღვთის გამო. ისეთი პოეტი, როგორიც ჰოლდერლინია, მხოლოდ დასავლეთში შეიძლებოდა ყოფილიყო. ვარამი ღვთისაგან კაცთა მიტოვების გამო ჰოლდერლინთან ფილოსოფიურ ექსტრემუმადაა ქცეული. ფრანგული ღმერთმებრძოლობისა და ელინური წარმართობის ეს დიდი, შეშლილი მოციქული ქრისტეს ელინურ ღმერთად მიიჩნევდა და ღმერთების კვლავ მოსვლას იუწყებოდა. ღვთისაგან კაცთა მიტოვების საკითხსვე ეჭიდებოდა ჰაიდეგერი და მანამდე, მეორე დიდი შეშლილი ნიცშე, ასევე ელინური წარმართობის მოციქული, რომელმაც დაწყევლა ქრისტიანობა, მაგრამ არა ქრისტე. ამის გააზრება გონების დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

ღვთისაგან კაცთა მიტოვების მტანჯველი განცდის გამო, დასავლელი ადამიანი ილტვის ეშმაკისა და ეშმაკეულთა მხატვრული ხილვისაკენ და საამისოდ გონების მონაპოვრებს იყენებს. ტექნიკის საშუალებით მოუხმობს კაცი ეშმაკთ, რათა

დაიამოს თავისი მეტაფიზიკური სევდა. ეშმაკთა გამოსახვა იზიდავს მას და აღიტაცებს. კვლავ ვიტყვით, რომ აღარა აქვს მნიშვნელობა იმას, იმარჯვებს თუ არა ბოლოს სიკეთე. აზროვნების ფუნდამენტური არაგარანტირებულობა დასავლურ ლოგოცენტრიზმში და არსად სხვაგან, მთელი სიმწვავით გამოვლინდა.

ძმა ირაკლი ჰარი პოტერის სახელის ეტიმოლოგიაზე (მეთუნე ეშმაკი) ამახვილებს ყურადღებას, მაგრამ განა სიბრძნის მამას და ძველ გველს, მას, ვინც უწყის უყი უფსკრულისა და სიმაღლეთა შინა ჰგიებს, თიხისაგან ქოთნის შეძერწვა გაუჭირდება? მირჩა ელიადეს თავის „აზიურ ალქიმიაში“ აღწერილი აქვს, თუ როგორ მახინჯდება ხოლმე რომელიმე თქმულება ჟამთა მსვლელობაში, ხალხური ზეპირსიტყვიერების ცუდი გავლენით.

ძმა ლევანს „ჰარი პოტერის„ სატანურობის დასადასტურებლად მოჰყავს როვენის ეკლესიათაშორისი კავშირის განცხადება, რომლის თანახმად, როულინგის ზღაპრები სატანისტურ ლიტერატურას მიეკუთვნება. აქ მივადექით საკითხს, რის გამოც მე მრავალ მხცოვან და ჯეილ მღვდელთან მიკამათნია, ძმაო ლევან. მღვდელმა არც მიძმო და არც მოყვასად მიმიღო. ამ კამათისათვის მომიძულა, ცილი დამწამა და გამაგდო.

როვენის ეკუმენური კავშირის განცხადებას მართლმადიდებლისათვის რა მნიშვნელობა აქვს? დასავლურ ეკლესიებს ქართული მართლმადიდებლობა ცრუდ მიიჩნევს. „ჰარი პოტერის“ მათეულ შეფასებასა და განაჩენს მართლმადიდებლისათვის რა ღირებულება უნდა გააჩნდეს? არამართლმადიდებლური ეკლესიები და მათი ეკუმენური გაერთიანება, ქართველ სამღვდელოთა თანახმად, თუ ეშმაკს შემდგარნი არიან, მაშინ გამოდის, რომ მათ მიერ „ჰარი პოტერის“ სატანურად შერაცხვით, ეშმაკთმიმდევარმა ეშმაკს აუკრძალა.

ძმა ლევანს მოჰყავს ფაქტი, რომ ამერიკელმა პასტორმა ჯორჯ ბენდერმა და მისმა მრევლმა როულინგის წიგნებს აუტოდაფე მოუწყო. თუ ეს ფაქტები ძმა ლევანს „ჰარი პოტერის“ უეჭველი დემონურობის კიდევ ერთ დასტურად მიაჩნია, მაშინ გამოდის, რომ იგი როგორც მართლმადიდებელი,

სცნობს კათოლიკეთა და პროტესტანტთა ქრისტიანობას. ესე იგი, მათაც აქვთ ჭეშმარიტი სულიერება. მაშასადამე, კათოლიკეც და პროტესტანტიც შეიძლება ცხონდნენ სიკვდილის შემდეგ. ლოიოლას და კალვინს ალალად სწამდათ, მაშინ ისინი უეჭველად უნდა ცხონდნენ. მართლმადიდებელი რჯულთმოძღვარი კი გვასწავლის, რომ შესაძლოა, მათ მართლაც სწამდათ, მაგრამ ცხონებისათვის აუცილებელია მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში დაბრუნება. მაგრამ როგორ უნდა დაბრუნდნენ ლოიოლა და კალვინი მართლმადიდებლობის წიაღში? მე ვერასოდეს დავეთანხმები მღვდელს იმაში, რომ ყველა არამართლმადიდებელი წარიწყმიდება იმის მიუხედავად, რომ არსებობს უმწიკვლო კათოლიკე, არსებობს მგზნებარე პროტესტანტი. სამღვდელოთა თანახმად, ასევე წარიწყმიდება ყველა ფილოსოფოსი, ესე იგი ისინი, ვინც ამა სოფლის სიბრძნეს უბნობს და შლეგობს უფლის წინაშე.

მღვდელი იმასაც ირწმუნება, რომ დასავლეთის სიმდიდრე უმადლოა და მას მალე უფლის რისხვა გააცამტვერებს, ხოლო ვაებაში მყოფი ივერია კი გაბრწყინდება. ასეთი მსჯელობა გულისხმობს, რომ, ყველაფრის მიუხედავად, ღვთის მადლი მაინც მართლმადიდებელ ივერიას აქვს. გულისხმობს ასევე იმას, რომ გაბრწყინება ხდება მხოლოდ ზნეობრივი ჭირთათმენით და სათნო ცხოვრებით. ქართველობაზე კი ამას ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ვიტყვით. არც ერისმთავრებს, არც მღვდელთმთავრებს თავისი ქვეყნის გაჭირვებითა და უბედურებით ერთი დღეც არ უცხოვრიათ. ქართველთა მოლოდინი ღმრთის სიტყვასა და მის მოსვლას კი არა, არამედ ტელემედიის სიტყვას და საბაზრო ეკონომიკის მოსვლას უკავშირდება.

ისიც ვთქვათ, ძმაო ლევან, რომ თუ „ჰარი პოტერი“ დასავლურმა ეკლესიებმა აკრძალეს, როგორც სატანური წიგნი, ეს არ ნიშნავს, რომ კათოლიციზმი და პროტესტანტიზმი რაიმე გავლენას ახდენენ ნეოლიბერალიზმის მატერიალისტურ და რადიკალურად ეკონომოცენტრულ პროექტზე. დასავლური პლურალიზმისათვის სულ ერთია, დაიგმობა „ჰარი პოტერი“ თუ ხოტბა აღევლინება მას. მაგრამ დასავლეთი სწორედ თავის

საბაზრო მესიანიზმში ვერ იქნება პლურალისტი.

ძმების, ლევანისა და ირაკლის ნააზრევის გამოქვეყნებიდან საკმაო ხანი გავიდა. ადამიანებს დააავიწყდათ ზღაპარიც და ფილმიც. ისინი დღეს კინოინდუსტრიის ახალ პროდუქციას აწყდებიან. არც დიდი, არც პატარა, მოგვთა მოსასხამებით არ შემოსილან, მაგიურ წრეში მისნობა არავის დაუწყია. არც ეშმაკი ეტორღიალება ვინმეს.

ადამიანები, რომელნიც არც ღმერთს არგიან და არც ეშმაკს, შავ სასწაულთა ხილვის შემდეგ ეშმაკს არ დაე-მოწაფებიან. ზიზღით იბრუნებს პირს მათგან არა მხოლოდ სასუფეველი, არამედ წარსაწყმედელიც.

საზოგადოება ინფერნალურია, მაგრამ არა ასეთი, ყოვლად უვარგისი ადამიანების გამო. ბევრეულნი მხოლოდ PR-ტექნოლოგიების, სოციალური მექანიკის და გართობის ინდუს-ტრიის მუდმივი საექსპერიმენტო მასალა არიან. ერთეულნი კი სრულიად მარტოსულნი, კვნესითა და ვაებით, ხშირად ღვთისგმობით ეძიებენ ჭეშმარიტებას. ამ ერთეულთა ნაღვაწს აღიარებენ ხოლმე შემმეცნებელთა თაობები და ისინი მათზე სწორებით ცდილობენ ახალ მონაპოვართა შექმნას. ფილოსო-ფოსი კი არ წარიწყმიდება, არამედ გონების ძალას ამტკიცებს. მრავალი ფილოსოფოსთაგანი არა მხოლოდ არ ჩამოუვარდება წმინდანებს, არამედ მათზე მეტიც არის. პავლე მოციქულმა კი მოიძულა ფილოსოფია, მაგრამ ევროპული აზროვნება პავლესთან და მთლიანად საღვთო წერილებთან მძიმე კამათში ამაღლდა და გაბრწყინდა. სულიწმინდა კი არ გმობს ფილოსოფიას პავლე მოციქულის პირით, არამედ მისი მოძღვარი – ფარისეველი გამალიელი ბჭობს ფილოსოფიის საწინააღმდეგოდ.

ძმაო ლევან, შენც გაბედე და შემეცნების მიზნით ისეთი რამ ჰქმენი, რომ სინანულად და მისით ამაღლებად ღირდეს, თორემ რას უშველის სულს რჯულზე ხაზგასმულად მშვიდი და კულ-ტურული სიტყვაობა და ყასიდი წუხილი იმის გამო, რომ იუდე-ველებმა არ სცნეს ღვთის ძე და გვემეს ის. იუდეველებმა უმძიმეს ისტორიულ პირობებში დაამტკიცეს, რომ მოსეს რჯული ქრისტეს შემდეგ ისევ უწყვეტად გრძელდება და ის დასავლურ ცივილიზაციაში უდიდესი ძალის იდეური გენერა-

ტორია. რომ არა ებრაელები, დასავლეთი არ იქნებოდა ისეთი, როგორიც ის არის.

შენ თუ შეგიძლია, ძმაო ლევან, ცოდვით შეიმოსო, დაეცე და ასე ამეტყველო შენში შინაგანი სიტყვა? ვულკანური სიძულვილი ან ასეთივე სიყვარული თუ შეგხებია? თუ ძალგიძს ჭვრიტო სატანის სიმაღლენი და უყნი უფსკრულთანი? მაშ, რატომ არის კაცი ღმერთის მმეცნებელი? კაცთა შორის იმის გამორჩევა თუ შეგიძლია, ვინც ჭეშმარიტად ზიარექმნა მიწრიელის ნათელს?

სატანის საკითხის ფილოსოფიური დამუშავებისას ყოველ წუთს ჩნდება იმის ცდუნება, რომ კვლევა თეოლოგიისაკენ მიიდრიკოს. თუ ამა სოფლის სიბრძნე სატანისაგანაა, მაშინ სატანა უნდა შეგვეწიოს იმაში, რომ სატანის საკითხი ფილოსოფიურად შევიმეცნოთ. მაშ, საიდანღა ჩნდება იმის ცდუნება, რომ ძიება თეოლოგიისაკენ მიიდრიკოს? ვინღა მაცდუნებს? წესითა და რიგით, მაცდუნებელი მხოლოდ ამა სოფლის თავადია. ადრეული ქრისტიანობის ჟამს ქრისტიანი ღვთისმეტყველის ფილოსოფიისაკენ მიდრეკა აპოსტასიად და სატანის გამარჯვებად გაიგებოდა. მოგვიანოდ ფილოსოფია თეოლოგიის მსახურად გაამწესეს და თუ ფილოსოფია ასეთ მსახურებაზე უარს ამბობდა, მას შეაჩვენებდნენ. ახალ დროში, დეკარტის წამოწყების შემდგომ, ფილოსოფიამ თეოლოგიის წინააღმდეგ დიდი აჯანყება მოაწყო. მან გაიმარჯვა და თეოლოგიაზე მაღლა დადგა. ამან ევროპულ კულტურას უდიდესი ექსპანსიონისტური შესაძლებლობანი მიანიჭა.

თუ მე სატანის საკითხის შემეცნებისას ვფილოსოფოსობ და ამ დროს თეოლოგობის ცდუნება მიჩნდება, ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩემს ფილოსოფოსობაში ერთმანეთს ღმერთი და სატანა ებრძვიან? თეოლოგობის ცდუნება რომ მიჩნდება, რა, ღმერთი მაცდუნებს, რათა ჩემი თავი ეშმაკს მოსტაცოს? ისიც სიძნელეა, თუ როგორაა შესაძლებელი, რომ სატანის საკითხის ფილოსოფიურმა შემეცნებამ თავი დააღწიოს გნოსტიკურ და ბოგომილურ გავლენას. სატანის გარკვეული იპოსტასის განხილვას წმინდა მამანი მუდამ თავს არიდებდნენ, რათა დიდ ერესებთან მებრძოლ ეკლესიას უფრო არ დამძიმებოდა ქრისტიანობის განმტკიცების საქმე.

როგორ არის ის, რაც საზოგადოებას ინფერნალურ ხასიათს ანიჭებს ტოტალური რაციონალობის, ნეოლიბერალური მატერიალიზმისა და ტექნიციზმის პირობებში? ამის კვალად ვიკითხავთ - ტექნიკის ონტოთეოლოგია და ბოროტების ფენომენოლოგია სატანის საკითხის ფილოსოფიურ შემეცნებასთან ერთად როგორ უნდა შეიქმნას? ჭეშმარიტ სატანას ეთნება ნეოლიბერალური პლანეტარიზმის განზრახულობანი, თუ არა?

ტექნიკის ასეთი წინსვლა და მთელი სამყაროს ექსტრემისტული მაშინიზაცია ხშირად ეშმაკეულ საქმედ ცხადდება თვით ფილოსოფოსთა მიერ. განკითხვის ჟამს მესია მთლიანად უარყოფს ტექნიკას, თუ მის მადლით შემოსვას დაიწყებს? ტექნიკის უკამათოდ სატანის საქმედ ცნობა კი კვლავ გნოსტიციზმსა და ბოგომილობასთან მიგვიყვანს.

სახელთა საძიებელი

აბაშიძე ასლან 134,217,256
აბო თბილელი 360
აბრაამი (ბიბლიური) . . .101, 106, 107
აბულაძე თენგიზ 425
აგურსკი მიხაილ 180, 247
ადვაძე ვალერიან 246
ადორნო თეოდორ 143, 309, 381
ავგუსტინე ავრელიუსი . .6, 39, 114, 168, 170, 220, 322, 331, 361, 378, 422
აედოიანი ვიქტორ 413
აიათოლა ხომეინი 303
აინშტაინი ალბერტ 377, 380
ანგია წინასწარმეტყველი 425
ანდრეევი დანიილ 49
ალექსანდრე დიდი 303
არნდტი ერნსტ მორიც . .90
არსენ იყალთოელი 348
ასათიანი აკაკი 279
აშოკა მაურია 89

ბაგრატიონები 168
ბათიაშვილი ირაკლი . . .265, 279
ბაირონი ჯორჯ 182, 183, 376
ბარდო ბრიჯიტ 188
ბარტელსი პენინგ 270
ბასილი დიდი 345, 349
ბასკოვი ნიკოლაი 384
ბაქრაძე აკაკი 159, 176, 371
ბელინსკი ვისარიონ . . .183
ბენდერი ჯორჯ 429
ბენდუქიძე კახა 253, 279
ბენიამინი ვალტერ 143
ბენუა ალენ დე 265
ბერგერი პიტერ ლუდვიგ 116
ბერგსონი ანრი 227
ბერდიაევი ნიკოლაი . . .99, 131
ბერეზოვსკი ბორის 121
ბერია ლავრენტი 146
ბერნარ კლერვოელი . . .69
ბერძენიშვილი დავით . .155
ბირნბაუმი ნორმან 143
ბიუკენენი პატრიკ 129
ბიჩერ-სტოუ პარიეტ . . .130
ბლეიკი უილიამ 378
ბლოხი ერნსტ 116, 143
ბორხესი ხორხე ლუის . .89
ბოსხი პიერონიმუს 379
ბუზინსკი ზბიგნევ 21, 52, 53, 61, 65, 129
ბრინერი იულ 396
ბრუნო ჯორდანო 34,331
ბუბერი მარტინ 95
ბუდა 105, 342, 420
ბურბონები 166
ბურკპარდტი იაკობ . . .86
ბურჯანაძე ნინო 133, 134, 170, 204, 211
ბუში ჯორჯ (უფროსი) . .266
ბუში ჯორჯ 32, 52, 126, 190, 246, 266, 276, 277, 375, 390

გაბაშვილი გიორგი 349
გაიდარი ეგორ 131, 259
გამალიელი 431
გამსახურდია ზვიად . . .139, 144, 146, 147, 148, 151, 157, 160, 161, 162, 163, 165, 168, 169, 170, 193, 194, 203, 204, 209, 211, 214, 215, 219, 225, 246, 247, 260, 298, 327, 346, 355, 356, 409, 426
გამსახურდია კონსტანტინე ზ. 279, 280

გამსახურდია კონსტანტინე..156
გამყრელიძე დავით 265
განდი მოპანდას კარამჩანდ 356
გაჩეჩილაძე ლევან 265
გენონი რენე 68,346,360,404
გიორგაძე იგორ 253
გიორგი ბრწყინვალე . . .302
გიორგი (წმ.) 277; 370
გოდვინი უილიამ 20
გოლდმანი ლუსიენ 143
გოლი შარლ დე 264
გონაშვილი ჰამლეტ . . .385
გორბაჩოვი მიხაილ 21,70,121,178,
179,214,249,250,308,330,337
გრიგოლ ღვთისმეტყველი 349
გუაკო ფრანჩესკო-მარია .398
გურიონი დავიდ ბენ . . .104
გუტენბერგი იოჰან 347

დავითაშვილი კობა 278
დავითი (ბიბლიური) . . .101, 102, 111,
120, 125
დავით IV აღმაშენებელი 163, 166, 273,
293, 294, 295, 296, 300, 302, 312, 325, 347
დალი სალვადორ 378, 380
დებორი გი 180
დებრე რეჟი 180
დედაბრიშვილი თეიმურაზ 349
დეკარტი რენე 11, 20, 63, 64,
104, 157, 228, 239, 242, 284, 338, 348,
412, 432
დელრიო მარტინ ანტონიო398
დი ჯონ 398
დიდრო დენი 6, 40, 206,
242, 412
დი კაპრიო ლეონარდო .376
დილთაი ვილჰელმ 195
დიონი სელინ 383, 384, 390
დოლიძე გოგი 384
დირენკო სერგეი 131
დოსტოევსკი ფეოდორ . .375, 380
დრაკერი პიტერ 190
დრექსლერი ანტონ 136, 138
დუშან სილნი 268

ედისონი თომას ალვა . .377
ევოლა იულიუს 68
ეზრა წინასწარმეტყველი .104
ეილერი ლეონარდ 227
ეკარტი დიტრიხ 136
ელიადე მირჩა 68, 397, 429
ელული ჟაკ 182
ელცინი ბორის 46, 121, 244,
245, 246, 250, 257, 259
ემინემი (მარშალ მესერსი) 223, 383
ერეკლე მეფე 296, 300
ესერი გერმან 136, 137
ეტკიონი ამიტაი 129, 251
ეშენბახი ეოლფრამ ფონ .116
ეშერი მაურიც 378

ვალენსა ლეხ 267
ვალენტინ ეგვიპტელი . .412
ვალეჯო ბორის 397
ვანდერველდე ემილ . . .304
ვაჟა-ფშაველა 149
ვასილიდ სირიელი 412
ვაშინგტონი ჯორჯ 130
ვებერი მაქს 116, 142, 184,
185, 190, 381
ვოლტერი ფრანსუა მარი არუე დე 36,
40, 142, 241, 242, 318, 322, 371, 397

ზამიატინი ევგენი 184
ზარდუშტი 412
ზიმელი გეორგ 116
ზომბარტი ვერნერ 116

თალესი 105, 106
თამარ მეფე 293, 295, 302
თოფანე დაყუდებული . .408, 409

იანი ლუდვიგ ფრიდრიხ .91
იაკობი (ბიბლიური) 96, 101, 111
იასპერსი კარლ 95
იგორი 240
ივანოვი ბორის 349
იოანე ბატონიშვილი . . .200
იოანე დამასკელი 170, 171
იოანე ოქროპირი 348
იოანე პავლე II 61, 62, 347, 348
იოანე პეტრიწი 329, 331, 335, 336, 348, 422
იოანე ღვთისმეტყველი . .317
იობი (ბიბლიური) 39, 96, 107, 109, 112, 123, 398
იუდა მაკაბელი 377
იუდა ისკარიოტელი . . .105
ისტეუდი კლინტ 376
იუნგი კარლ გუსტავ . . .188

კაბე ეტიენ 20
კალეგინი ოლეგ 131
კალვინი ჟან 39, 41, 86, 170, 186, 419, 430
კამიუ ალბერ 31, 180, 183
კანვები (სამეფო დინასტია) 89
კანტი იმანუელ 61, 137, 143, 227, 284, 348, 404
კარაიანი პერბერტ ფონ .381
კარდეკი ალან 403
კარელინი რაფაელ (არქიმანდრიტი) 413
კარლოს I 163
კასტრო ფიდელ 219
კაუცკი კარლ 304
კაშპიროვსკი ანატოლი . .404
კეინსი ჯონ მეინარდ . . .21, 68
კენე ფრანსუა 20
კინგი ლარი 381
კირკეგორი სიორენ 96, 205, 206, 400
კისინჯერი პენრი 129
კლაიბერნი ვან 381
კობდენი რიჩარდ 61
კობეინი კურტ 406
კოენი სტივენ 129
კონსტანტინე VII 240
კონფუცი (კუნ-ძი) 340
კოპერფილდი დევიდ . . .404
კოპოლა ფრენსის ფორდ 376
კორძაძე ნინო 188
კოსტავა მერაბ 156, 214
კოტეტიშვილი ვახუშტი .204
კოპენი პერმან 143, 227
კრომველი ოლივერ . . .43, 74, 96
კროული ალისტერ 406
კროუ რასელ 376
კრშნა 340, 406, 407
კუჩმა ლეონიდ 192

ლაიბნიცი გოტფრიდ ვილჰელმ 227, 241, 242, 377, 401
ლამეტრი ჟულიენ ოფრე .227, 240
ლანგბენი იულიუს 90
ლენინი ვლადიმირ 18, 294
ლენონი ჯონ 407

ლეონარდო და ვინჩი . .377, 378, 379, 380
ლეონე სერჯიო . .376
ლეო XIII 347
ლი ბრიუს 396
ლისტი ფრიდრიხ 21
ლოდია ზაზა 379
ლოიოლა ინიგო 69, 430
ლოკი ჯონ 79
ლომოური ირაკლი 387, 391, 392, 393, 394, 395, 403, 420, 423, 429, 431
ლიპესი ჯენიფერ . .189, 385
ლორენცი კონრად 161
ლუგერი კარლ 90
ლუთერი მარტინ 86, 186
ლუკა მახარებელი 398, 417

მადონა (ლუიზა ჩიკონე) .189,387, 389
მათე მახარებელი 417
მათეშვილი ლევან 387, 390, 391, 392, 393, 394, 395, 397, 398, 399, 400, 403, 407, 408, 409, 410, 411, 412, 413, 414, 415, 416, 419, 420, 421, 422, 424, 426, 427, 428, 429, 431, 432
მაილსი რიჩარდ 190
მაისაშვილი გია 279, 280
მაკარტნი პოლ 407
მაკინდერი პელფორდ . .51
მამაი (წმ.) 293
მამარდაშვილი მერაბ . .207, 239
მანპაიმი კარლ 309
მარიამ ღვთისმშობელი . .370, 393
მარკოზ მახარებელი . . .414
მარკუსე პერბერტ 101, 182, 187, 231, 309, 311
მარუნი არტურ 137
მარქსი კარლ 18, 24, 30, 31, 33, 56, 68, 83, 86, 98, 99, 108, 116, 140, 141, 142, 143, 144, 145, 146, 147, 184, 185, 190, 202, 204, 219, 309, 310, 311, 312, 314, 322, 331, 348
მაქსიმე აღმსარებელი . .422
მაჩაბელი იოანე 297
მელერი არმინ 265
მენსონი მერლინ 223, 371
მენუპინი იეპუდი 381
მერკური ფრუდი (ფეროხ ბულსარა) 383, 384
მეტოხიტესი თეოდოროს .84
მეპენი ალფრედ თაიერ .43, 311
მეპმედ ფატიპი 163
მილოშევიჩი სლობოდან .191, 268
მიმინოშვილი რომან . . . 246
მირანდოლა პიკო დელა .206
მიქელანჯელო ბუონაროტი380
მკალაეიშვილი ბასილ . .349
მოპერტიუი პიერ ლუი მორო 227
მოსე (ბიბლიური) 91, 92, 99, 100, 101, 102, 106, 110, 112, 127, 431
მოსკა გაეტანო 194
მუსოლინი ბენიტო 88, 136
მუპამედ წინასწარმეტყველი 107, 127, 350

ნათაძე ნოდარ 150, 156, 167, 217
ნათელაშვილი შალვა . .279, 280
ნასაუერი ოტფრიდ 271
ნეგრი ანტონიო 32, 232
ნეერი ანდრე 97, 102
ნიკოლაძე ნიკო 201, 297
ნირო რობერტ დე 376
ნიუტონი აიზეკ 401
ნიცშე ფრიდრიხ 30, 31, 78, 86, 99, 100, 206, 227, 228, 242, 309, 315, 317, 374, 380, 400, 404, 410, 412, 413, 418, 428

ნოუაკი მაიკლ 116

ოლგა 240
ოპენპაიმერი იულიუს . .377
ორბელიანი გრიგოლ . . .362
ორბელიანი სულხან-საბა .360
ორიგენე ალექსანდრიელი 170, 399, 400
ორტეგა ი გასეტი ხოსე .51, 207
ორუელი ჯორჯ (ერიკ ბლეარი) 184
ოსბორნი ოზი 406
ოტონ I 173

პავაროტი ლუჩანო 383, 384
პავლე ტარსოსელი 174, 360, 410, 418, 431
პაპიუსი (ქერარ ანკოსი) .403, 404
პარეტო ვილფრედო . . .194
პარფიონოვი ლეონიდ . .131
პასკალი ბლეზ 39, 377
პასკო ლინ 190
პაჩინო ალ 376
პელევინი ვიქტორ 224
პესტელი ედუარდ 48
პეტრე მოციქული 105
პეტრე I 349
პეჩეი აურელიო 48
პითაგორა 105, 106, 414
პლატონი 22, 84, 99, 241, 242, 384, 414, 422
პლეთონი გეორგიოს გემისტოს 84
პლეხანოვი გეორგი . . .201
პლოტინი 422
პომერანცი გრიგორი . . .180
პოპერი კარლ რაიმუნდ .68
პრაბუდა სუმი 340, 341, 351, 407
პრიერიო სილვესტრ . . . 398
პროკლე 422
პსელოსი მიქელ 349
პუტინი ვლადიმირ 45, 121, 244, 245, 250, 254, 261

ულანია ზურაბ 155, 160, 204
ჟორდანია ნოე 180, 295
ჟორჟოლიანი თემურ . . .224

რაისი კონდოლიზა 266
რაიხი ვილპელმ 187
რამსფელდი დონალდ . .28
რანერი კარლ 56
რედლიფი დენიელ . . .410
რეიგანი რონალდ 139
რემი ნიკოლა 398
რიკარდო დეივიდ 20
რილკე რაინერ მარია . .228
რიფენშტალი ლენი 411
რობერტსონი ჯორჯ . . .270
როდმანი დენის 223
როზენბერგი ალფრედ . .136
რომანოვები 166
როტშილდი მაიერ ამშელ 99
როულინგი ჯოან 387, 389, 390, 391, 409, 420, 423, 424, 429
რუბლიოვი ანდრეი 378, 379

სააკაშვილი მიხეილ . . .133, 155, 156, 157, 160, 161, 163, 164, 167, 176, 177, 190, 194, 209, 210, 211, 212, 213, 217, 219, 220, 228, 255, 257, 271, 272, 273, 276, 279, 280, 390, 414
საიმსი დიმიტრი 129
სარტრი ჟან პოლ 31, 80, 103, 104, 147, 180, 183, 187, 206, 219

სახაროვი ანდრეი 129, 247, 250
სენ-ჟერმენი 397, 406
სეროუ ლესტერ 196
სიმფსონი ჯესიკა 383
სინისტრარი ლუდოვიკო-მარია 398
სკირსეზე მარტინ 411
სლეპაკი ვლადიმირ . . .247
სმითი ადამ 20
სოლომონ მეფე (ბიბლ.) .372
სოლუენიცინი ალექსანდრ 129, 131, 180, 244, 247, 250
სოროკინი პიტირიმ . . .187
სოროსი ჯორჯ 32, 52, 65, 151, 279
სპინოზა ბარუხ 34, 143, 331, 391, 399
სპირსი ბრიტნი 385, 386
სტალინი იოსებ 146, 269

ტაქსილი ლეო (ანბრიელ ჟოან-პაჟესი) 158
ტეილორი ფრედერიკო უინსლოუ 190
ტელბოტი სტროუბ 190
ტიტო იოსიპ 269
ტიურგო ანნ რობერ ჟაკ .20
ტოინბი არნოლდ 7, 11, 23, 48
ტოლკინი ჯონ 389, 424
ტოლსტოი ლევ 183
ტროცკი ლევ 219

უებერი ენდრიუ ლოიდ .376, 411
უილიამსი რობი 371
უინფრი ოფრა 381
უკლება მიხეილ 258
უნამუნო მიგელ დე . . .207
ურბან VIII 170

ფალიაშვილი ზაქარია . .360
ფაფ დედი 383
ფედერი გოტფრიდ 136, 137
ფირდოუსი აბოლყასემ . .116
ფლამელი ნიკოლას . . .397
ფოიერბახი ლუდვიგ . . .317
ფონდა ჯეინ 188
ფორესტერი ჯეი 48
ფორშანი მილოშ 422, 423
ფრანკლინი بენჯამინ . . .130
ფრანკო ბაამონდე ფრანსისკო 88, 136
ფრიდმენი მილტონ . . .102
ფროიდი ზიგმუნდ 188, 206
ფრომი ერიხ 31, 142, 143, 144, 147, 188, 219, 311
ფსევდოდიონისე 378
ფუკუიამა ფრენსის 14, 23, 27, 28, 33, 35, 42, 52, 68, 73, 76, 78, 129, 159, 223, 234, 266, 363
ფულკანელი 397

ქეთევან წამებული 293
ქერი მერაია 381, 385
ქრისტე . . . . . .26, 41, 74, 76, 90, 92, 94, 96, 97, 98, 99, 102, 103, 105, 108, 109, 110, 113, 114, 143, 157, 188, 206, 217, 280, 293, 294, 312, 322, 339, 340, 345, 348, 350, 351, 358, 359, 360, 361, 369, 373, 377, 387, 397, 398, 399, 400, 403, 410, 411, 412, 414, 417, 418, 420, 428, 431.

ყარყარაშვილი გიორგი . .254
ყაუხჩიშვილი სიმონ . . .360
ყორანაშვილი გურამ . . .148

შაიშვილი რეზო 279
შაქური თუფაქ 383
შაშიაშვილი თემურ . . .279
შვარცენეგერი არნოლდ .375, 405
შევარდნაძე ედუარდ . . .19, 133, 134, 149, 151, 155, 156, 157, 159, 160, 161, 162, 163, 164, 165, 166, 167, 169, 170, 185, 190, 191, 192, 193, 195, 196, 204, 211, 212, 213, 217, 218, 222, 224, 225, 226, 228, 230, 245, 246, 254, 255, 256, 257, 258, 263, 272, 274, 275, 276, 278, 279, 296, 370, 390, 403, 414
შექსპირი უილიამ 116
შირაკი ჟაკ 264, 278
შმიტი კარლ 233
შოთა რუსთაველი 260, 312, 313, 348
შოპენჰაუერი არტურ . . .343
შპენგლერი ოსვალდ . . .43, 44
შრიოდერი გერჰარდ . . .264
შტაინერი რუდოლფ 333, 353, 355, 356
შტრაიხერი იულიუს . . .136, 137
შტრასერი გრეგორ 137
შტრასერი ოტო 137, 138
შუნგები (სამეფო დინასტია) 89

ჩაუშესკუ ნიკოლაი 277, 278
ჩე გევარა ერნესტო . . . 387
ჩეინი დიკ 28
ჩემბერლენი პიუსტონ სტიუარტ 90
ჩერჩილი უინსტონ 269
ჩერქეზიშვილი ვარლამ .180
ჩოლოყაშვილი ქაქუცა . .156
ჩუბაისი ანატოლი 259
ჩხენკელი აკაკი 180

ძედუნი მაო 246
ძიძიგური ზვიად 155, 278

წერეთელი აკაკი 295, 334, 369
წერეთელი ირაკლი 180
წერეთელი ირაკლი . . .150

ჭავჭავაძე ალექსანდრე . .362, 364
ჭავჭავაძე ილია 156, 260, 291, 292, 293, 294, 295, 296, 297, 298, 304, 305, 307, 308, 334, 369
ჭოველიძე თამარ 385

ხაინდრავა ივლიანე . . .155
ხოდორკოვსკი მიხაილ . .121
ხუმნოსი ნიკიფოროს . . .84

ჯაველიძე ელიზბარ . . .224
ჯოგლიძე ავთანდილ . .349
ჯორჯაძე არჩილ 369, 370

პაპერმასი იორგენ 31, 32, 271, 309, 311
პაპსბურგები 85
პაველი ვაცლავ 267
პაიდეგერი მარტინ 37, 39, 56, 93, 95, 96, 195, 206, 337, 343, 374, 378, 404, 428
პაიდერი იორგ 219
პაიეი ფრიდრიხ ავგუსტ 21, 68
პაიზენბერგი ვერნერ . . .380
პანტინგტონი სემუელ . .6, 7, 8, 9, 11, 14, 20, 21, 22, 23, 24, 25, 27, 28, 29, 31, 33, 42, 52, 57, 68, 120, 125, 129
პარდტი მაიკლ 32, 232,
პარისონი ჯორჯ 406, 407
პარნაკი ადოლფ 337

პარტნეტი ჯოშ 376
პაუსპოფერი კარლ 51, 52
ჰაქსლი ოლდოს ლენარდ 184
ჰეგელი გეორგ ფრიდრიხ 137, 174, 205, 348, 402
ჰელვეციუსი კლოდ ადრიან 40
ჰესი მოშე 98
ჰილდებრანდი დიტრიხ ფონ 88, 337
ჰიტლერი ადოლფ . .43, 88, 136, 137, 138, 144
ჰობსი თომას 79
ჰოკინგი სტივენ 37
ჰოლბახი პაულ ჰაინრიხ დიტრიხ 40, 240,
ჰოლდერლინი იოჰან კრისტიან ფრიდრიხ 374, 376, 428
ჰორკჰაიმერი მაქს 309
ჰოფმანი ერნსტ თეოდორ ამადეუს 182, 183, 228, 390
ჰუგენბერგი ალფრედ . . .137
ჰუსერლი ედმუნდ 39, 40, 57, 58, 64, 93, 239, 285

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge